

თანამედროვე
ქართული ენის
მორფოლოგია

სალიტერატურო ენა

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გიორგი გოგოლაშვილი
ნინო შარაშენიძე
გიორგი ცოცანიძე
ნინო ჭუმბურიძე

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია

II. დიალექტები

გიორგი გოგოლაშვილის რედაქციით

თბილისი
2016

პროექტი — **თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. თანამედროვე ქართული ენის დიალექტთა მორფოლოგია** (№ 31/12) — განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The Project – **The Morphology of the Contemporary Georgian Language II. The Morphology of the Dialects of Contemporary Georgian** (№ 31/12) – has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

რუსთაველის ფონდმა **2009-2011 წლებში** დააფინანსა პროექტი „**თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსი**“, რომელიც გამოიცა წიგნად 2011 წელს („**თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა**“). წინამდებარე პროექტი (2013-2016 წწ.) არის გაგრძელება იმ პირველი პროექტისა, ანუ II ნაწილი თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიისა (დიალექტების მორფოლოგია).

ასისტენტები **ციცინო კვანტალიანი**
რუსუდან ლანდია

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

უფასო გამოცემა

წინასიტყვა

თანამედროვე ქართული ენა რთული ფენომენია: იგი არის ერთობლიობა ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის თანამედროვე დიალექტებისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სალიტერატურო ენისა და დიალექტებს განიხილავენ საერთო-ეროვნული ენის ნაირსახეობებად; მათი ურთიერთმიმართება — ურთიერთშეპირობებულობა — გარდაუვალი აუცილებლობაა.

მხოლოდ სალიტერატურო ენის შესწავლა (რასაც ითვალისწინებდა რუსთაველის ფონდის მიერ 2009-2011 წლებში დაფინანსებული პროექტი — თანამედროვე ქართული ენის აკადემიური კურსი), ანდა მხოლოდ დიალექტების შესწავლა (რასაც ითვალისწინებს წინამდებარე პროექტი), ცხადია, ვერ შეგვიქმნის სრულ წარმოდგენას თანამედროვე ქართულ ენაზე. ასეთი შედეგი შეიძლება მოგვცეს მხოლოდ ამ ორივე მხარის სრულყოფილმა აღწერამ. წინამდებარე წიგნი (წინა პროექტთან ერთად) არის **ამგვარი ნაშრომის შექმნის პირველი ცდა ქართულში**. ვფიქრობთ, იგი შექმნის კარგ საფუძველს, ზოგადად, თანამედროვე ქართული ენის, და კერძოდ, ქართული დიალექტების მონაცვლი კვლევა-ძიებისათვის.

* * *

ქართული დიალექტების მეცნიერულ კვლევას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. გაკეთდა ძალიან ბევრი. თითქმის ყველა დიალექტის მასალა (ტექსტები, ლექსიკა) იქნა ჩაწერილი და გამოქვეყნებული; მოხდა თითოეული კილოსა თუ კილოკავის თავისებურებათა აღნუსხვა-კვალიფიკაცია; მაგრამ **ნაკლებად მოგვებოვება ამა თუ იმ მორფოლოგიური ფაქტის, გრამატიკული მოვლენის კვლევა საერთო დიალექტური სივრცის გათვალისწინებით; სალიტერატურო ენასთან და ენაში მიმდინარე მოვლენებთან თუ ენობრივი ცვლილებების ტენდენციებთან მიმართებით**; გასარკვევია, ამა თუ იმ დიალექტში დადასტურებული ესა თუ ის თავისებურება როგორ წარმოიჩნდება საერთო დიალექტურ სივრცეში (როგორ ზის სისტემაში) ანუ გასაკეთებელია კრებისთი ანალიზი.

ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროში ამგვარი კვლევის კარგი მაგალითია ბ. ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ II ტომი (1998 წ.), რომელშიც თანამედროვე ქართული ენის დიალექტების ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემის ღრმა მეცნიერული ანალიზია მოცემული. სწორედ ამგვარი ამოცანის წინაშე გვაყენებდა თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაზე ფიქრი: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მორფოლოგიის გვერდით უნდა დამდგარიყო თანამედროვე ქართული დიალექტების მორფოლოგია.

* * *

თანამედროვე ქართული ენის სრული კურსის შექმნა არის XXI საუკუნის ვალი ქართული სახელმწიფო ენის წინაშე. მისი განვითარების ყოველ ეტაპზე აუცილებელია განზოგადდეს ის რაოდენობრივი და თვისობრივი

ცვლილებები, რომლებიც ენაში დროთა განმავლობაში იჩენს თავს. ეს კი, როგორც ითქვა, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის სრულ გრამატიკულ აღწერას გულისხმობს და, მეორე მხრივ, დიალექტების სისტემურ მიმოხილვას. წინამდებარე პროექტი სწორედ მიზნად ისახავს გაერთიანდეს რამდენიმე თაობის მეცნიერული ნააზრევი ამ სფეროში, შეიქმნეს ახალი კონცეპტუალური და თეორიული საფუძვლები და აიგოს ისეთი თანმიმდევრული გრამატიკული სისტემა, რომელიც იქცევა საერთო ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ორგანულ ნაწილად. წინამდებარე პროექტის დასრულების შემთხვევაში ქართულ სინამდვილეში ჩვენ გვექნება ქართული ენის მორფოლოგიის მეტნაკლებად სრული, შემაჯამებელი ნაშრომი, ქართული სახელმწიფო ენის განვითარების თანამედროვე ეტაპის შესაბამისი, რაც სრულიად ახალ საფეხურს შექმნის ქართული ენის მორფოლოგიის სამომავლო კვლევაში.

* * *

საუკუნოვანი კვლევა ქართული დიალექტების თავისებურებებისა საკმაოდ მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობას ქმნის. საჭირო იყო ამ ჩატარებული სამუშაოების სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია, ფასეული სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენა; განვლილი სამეცნიერო მუშაობის კვალიფიციური შეფასება, ფასეულის აღება და მასზე დაყრდნობით მომავალი კვლევადიების ჩატარება.

როგორც ყოველ კოლექტიურ ნაშრომში, მკითხველი შეამჩნევს სტილის სხვაობას; ვერ ავცილთ ცალკეულ შემთხვევაში განმეორებებსაც (ვერ შეველიეთ...); მაგრამ დასაშვებად ჩავთვალეთ...

ცხადია, ავტორებს არა აქვთ პრეტენზია, რომ საკითხები ამოწურულია და პრობლემები სრულად შესწავლილი.. ახლა, როცა დასრულებულად მივიჩნით ჩვენი ნაშრომი, ნათლად გამოჩნდა, რომ გასაკეთებელი გაცილებით მეტია... ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ წინამდებარე წიგნი დაეხმარება მომავალ კვლევა-ძიებას... ვფიქრობთ, ამას გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ნაშრომზე თანდართული პარადიგმებიც. მადლობა ყველას, ვინც ამ პარადიგმების შედგენაში დაგვეხმარა. ვფიქრობთ, საჭირო საქმე გაკეთდა...

ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას მასალა გავყავით აღმოსავლური და დასავლური დიალექტების მიხედვით; შეიძლება არ ეთანხმებოდეს დიალექტთა კლასიფიკაციასა და სადავო იყოს ის, რომ სამცხურ-ჯავახურს დასავლურ ჯგუფთან ერთად მიმოვიხილათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვემყარებით იმას, რომ ლიტერატურაში სამცხურ-ჯავახური სამხრეთ-დასავლურ დიალექტად მოიხსენიება და მიუთითებენ ამ დიალექტის ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების მსგავსებაზე დასავლურ დიალექტებთან... ასე რომ, პირობითობა ამგვარი დაყოფისა დასაშვებად გვეჩვენება...

ავტორები მადლობით მიიღებენ ყველა საქმიან შენიშვნას.

შესავალი

0.1. ქართული სახალხო მეტეველების ნაირსახეობათა ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრისათვის

ქართველი ერი, იგივე ქართული ეთნოსი, წარმოადგენს კავკასიის მოსახლეობის ერთი ნაწილის მთლიანობას, რომელიც ამ რეგიონის სხვა ავტოქტონური ხალხებისაგან იმით გამოირჩევა, რომ აქვს სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი, დოკუმენტურად დადასტურებული ისტორია, რომლის ასაკიც განისაზღვრება მინიმუმ 23 ასწლეულით, ხოლო ჰიპოთეტურობის დონეზე შეიძლება რამდენიმე ათასწლეულსაც აღწევდეს.

ასეა თუ ისე, სადღეისოდ ქართულ ეთნოსს აქვს ეთნიკური მთლიანობის სრულიად ჩამოყალიბებული ხასიათი, რაც ორი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული: ესენია, ერთი მხრივ, ენა, ეთნიკური მთლიანობის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი და, მეორე მხრივ, თვითმყოფადი კულტურა, თავისი უშუალო დაკვირვებისთვის ისეთი თვალსაჩინო ელემენტებით, როგორცაა: დასახლების ორიგინალური ფორმები და ხალხური არქიტექტურა, მიწათსარგებლობის წესები და ხალხური აგროკულტურა, ხალხური ხელოსნობა და გამოყენებითი ხელოვნება, ლიტერატურა და ფოლკლორი, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნება, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი და სხვანი. იგულისხმება, რომ ქართველი ხალხის ამ ორიგინალური იერ-სახის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა მის ორიგინალურ საარსებო გეოგრაფიულ გარემოსთან ხანგრძლივი კავშირის პირობებში.

ქართული ეთნოსის შიგნით მისი ეთნოგრაფიული ერთიანობის ფონზე გამოიყოფა სუბეთნიკური ჯგუფები, რომელთაც ახასიათებს ერთურთისგან ვარიანტულად განსხვავებული ეთნოკულტურული ნიშნები, რომელთა წყალობით წარმოდგება თითოეული მათგანის ეთნოგრაფიული თავისებურებანი. ამ ჯგუფებს აქვთ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები, რომლებიც საქართველოს ლანდშაფტურ პირობებში ერთიმეორისაგან გამოყოფილია გეოგრაფიული საზღვრებით. ამ ადგილებს ეთნოლოგები ეთნოგრაფიულ კუთხეებს უწოდებენ. ასეთი ეთნოგრაფიული კუთხეები ქართული ეთნოსის განსახლების ტერიტორიაზე სადღეი-

სოდ ცხრამეტია. ამათგან 15 — ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, აჭარა, გურია, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი — საქართველოს ტერიტორიაზე, სამი კი — საინგილო, ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი — სხვადასხვა დროს სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო სახელმწიფოთა — აზერბაიჯანის, თურქეთის — ტერიტორიებზე აღმოჩნდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს და ვითარდება საერთოქართული ეთნოკულტურული და ენობრივი ორგანიზმისაგან მოწყვეტით. საგანგებო ვითარებას ქმნის ფერეიდანი. სპარსეთის ამ ისტორიულ პროვინციაში ცხოვრობენ ქართველები XVII საუკუნიდან. ფერეიდანი შეიძლება განვიხილოთ ქართველებით დასახლებულ ეთნოგრაფიულ კუთხედ. ამისდა მიუხედავად, ეს ადგილებიც, იქაური მოსახლეობის ეთნიკური თვითშეგნებისა და ენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით ქართულ ეთნოგრაფიულ კუთხეებად განიხილება.

საბოლოო ჯამში საერთო ქართული ეთნოკულტურა წარმოგვიდგება როგორც დანაწევრებული მთლიანობა, რომელიც 19 ერთეულისგან შედგება და რომელთაგან თითოეული განთავსებულია ერთი ეთნოგრაფიული კუთხის ტერიტორიაზე. ეს სუბეთნიკური ერთეულები ნაწილობრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამავე დროს წარმოადგენენ ერთიანი ეთნიკური კულტურის შემადგენელ ნაწილებს. ეს მდგომარეობა შეძლება გამოიხატოს შემდეგი გრაფიკული სქემის სახით (იხ. სქემა №1).

ამ ფონზე იკვეთება საერთო-სახალხო ქართული ენის ადგილობრივ ენობრივ სახესხვაობებად დანაწევრებისა და ამ სახესხვაობათა ადგილობრივ სუბკულტურულ ერთეულებთან კავშირის საინტერესო სურათი.

ქართულ საერთო სახალხო ენას, როგორც ყველა ცივილიზებული ხალხების ენებს, აქვს არსებობის ორი ძირითადი ფორმა — ენის ლიტერატურული ფორმა და სახალხო მეტყველება.

ლიტერატურული ენა წარმოადგენს ენის სახელმწიფოებრივი გამოყენების ფორმას. იგი მთლიანია, მონოლითურია, ნორმირებულია და მას დაუბრკოლებლად იყენებს მთელი ქართველი ხალხი, მისი ყველა სოციალური თუ ტერიტორიული ჯგუფი საზოგადოებრივი ყოფიერების ნებისმიერ სფეროში.

რაც შეეხება სახალხო მეტყველებას, იგი სუბკულტურული ერთეულების ანალოგიურად, გავრცელებულია ქართული ენოსით დასახლებულ მთელ ტერიტორიაზე და ყოველი ეთნოგრაფიული კუთხე

თუ სოციალური ჯგუფი ს აუბრობს ქართული სახალხო მეტყველების ერთ რომელიმე ნაირსახეობაზე: კახეთის მოსახლეობა მეტყველებს კახურ დიალექტზე, ქართლის მცხოვრებნი — ქართლურზე, იმერეთისა — იმერულზე, ხევსურეთისა — ხევსურულზე და ა. შ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველთა სახალხო მეტყველება იყოფა 19 ადგილობრივ ნაირსახეობად. ესენია: ქართლური, კახური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, მეგრული, ლაზური, ინგილოური, ფერეიდნული, იმერხეული ანუ კლარჯული. **სოციალური თვალსაზრისით**, ე. ი. ენის მომხმარებლის ფაქტორის გათვალისწინებით, მეტყველების ეს ნაირსახეობები განიხილება როგორც საერთო-ხალხური ქართული ენის **სოციალური დიალექტები**. მაშასადამე, საერთო-სახალხო ქართული ენა შედგება სალიტერატურო ქართულისა და ქართული სახალხო მეტყველების 19 სოციალური დიალექტისაგან, რომლის გრაფიკული გამოსახულებაც მთლიანად ემთხვევა სქემას, რომელიც გამოხატავს ზოგადქართული კულტურის სუბკულტურულ ერთეულებად დანაწევრებას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ეთნოკულტურა და ქართული სახალხო მეტყველება ერთმანეთის იზომორფულ სტრუქტურებს წარმოადგენენ.

ქართული სახალხო მეტყველების დიფერენციაციის **სრულიად განსხვავებული სურათი** წარმოგვიდგება იმ შემთხვევაში, თუ ამოსავლად ავიღებთ **არა სოციალურ**, არამედ **წმინდა ლინგვისტურ ფაქტორებს**.

ლინგვისტური კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეთნოსი მეტყველებს სამ ურთიერთმონათესავე ენაზე: ქართულ, სვანურ და ზანურ ენებზე. ამგვარად გამოდის, რომ სვანური და ზანური მეტყველებები, რომლებიც დიალექტებია მათი სოციალური ფუნქციონირების მიხედვით, ლინგვისტურად დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენს და ქართულ ენასთან ერთად ქმნიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ, ანუ იგივე სამხრულ-კავკასიურ განშტოებას.

ამ სამი ენის დამოუკიდებელი სტატუსი განისაზღვრება იმით, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისთავადი ორიგინალური ლექსიკური ფონდი, ურთიერთგანსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები და, ასევე, ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები. ყველაზე თვალსაჩინო და უშუალო დაკვირვებისას ადვილად დასანახი ამ ლინგვისტური კრიტერიუმებიდან, ლექსიკაა. იოლად შევამჩნევთ ამ

ენათა ლექსიკის თავისთავადობასა და ორიგინალურობას, თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ მათი ძირითადი ლექსიკური ფონდების სიტყვებს

ქართული	ზანური	სვანური
თავი	დუდი	თხვიმ
ცხვირი	ჩხვინჯი	ნესტვ
ფეხი	კუჩხე	ჭიშხ
კბილი	კიბირი	შდიქ
კაცი	კოჩი	ჭჷშ
მთვარე	თუთა	დოშდილ
ბუზი	ჭანჯი	მერ
ძალი	ჯოლორი	ჟელვ

ასეთია ამ ენების ლექსიკურ ფონდებს შორის შესატყვისობები. საერთოა ლექსიკის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიღებულია ურთიერთსესხების გზით ან მომდინარეობს საერთო წყაროდან. ამგვარ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა დიდი არაა.

ასევე თვალსაჩინოა ამ ენათა ფონოლოგიურ სისტემებს შორის განსხვავებები როგორც პარადიგმატულ, ასევე სინტაგმატურ მიმართებათა თვალსაზრისით — ასე, მაგალითად, ქართული ენის ვოკალურ სისტემაში ხმოვან ფონემათა პარადიგმატული მიმართებების საფუძველს ორი დიფერენციალური ნიშანი — ლოკალური ნიშანი და აწეულობის ნიშანი — წარმოადგენს, რის შედეგადაც მიიღება ხმოვანთა ხუთწევრიანი ე. წ. სამკუთხა სისტემა; ზანურ ენაში ამ ორ ნიშანს ემატება კიდევ ერთი — პალატარულობის ნიშანი, რის შედეგადაც ხუთწევრიანის მაგივრად ვიღებთ ექვსწევრიან სისტემას. სვანურ ენაში ხმოვან ფონემათა კორელაციური მიმართებები რთულდება იმით, რომ ხმოვან ფონემათა რეალიზაციის დიფერენციალურ ნიშნებს ემატება პალატალიზაციისა და სიგრძითი ნიშნები, რის შედეგადაც ხმოვან ფონემათა რაოდენობა 18-მდე აღწევს და წარმოიქმნება მიმართებათა ერთობ რთული სისტემა.

ვოკალურ სისტემებთან ერთად ორიგინალურნი არიან ამ ენათა კონსონანტური სისტემებიც, მორფოლოგიური დონის გრამატიკული სისტემები და სინტაქსური კონსტრუქციებიც. აქედან გამომდინარე, ვლინდება ამ ენების თვითმყოფადობის ყველა ნიშანი, რისი წყალობი-

თაც ქართულიც, სვანურიც და ზანურიც წარმოადგენენ ენობრივი და არა დიალექტური სტატუსის მქონე ლინგვისტურ ერთეულებს.

თავის მხრივ თითოეული ეს ენა ნაწევრდება უფრო წვრილ ერთეულებად, რომელთაც აქვთ იდენტური ლექსიკური შედგენილობა და მხოლოდ ნაწილობრივ, ელემენტებით განსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები. ისინი წარმოადგენენ ლინგვისტური თვალსაზრისით დიალექტებს. ასეთი დიალექტები ქართული ენის შემადგენლობაში 16-ია, სვანურში — 4, ზანურში — 2.


ამგვარად სხვადასხვაგვარია საერთო-სახალხო ქართული ენის დანაწევრება, ერთი მხრივ, მისი სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით, ხოლო — მეორე მხრივ, ლინგვისტური თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენის ორსაფეხურიან დიფერენციაციასთან, რაც იდენტურია საერთოქართული ეთნოკულტურის სუბკულტურულ ერთეულებად დიფერენციაციისა. მეორე შემთხვევაში დიფერენციაცია სამსაფეხურიანი: პირველ საფეხურზე საერთო-სახალხო ქართული ენაში გამოიყოფა არსებობის ორი ფორმა: სალიტერატურო ქართული და სახალხო მეტყველება; მეორე საფეხურზე სახალხო მეტყველება განიყოფება დამოუკიდებელი ენობრივი სტატუსის მქონე სამ ერთეულად: ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად; მესამე საფეხურზე ამ სამ ენაში გამოიყოფა დიალექტური სტატუსის მქონე 22 ერთეული (იხ. სქემა № 2, 3).

ეს განსხვავება ჩანს გრაფიკულ სქემებზე, რომლებშიც ასახულია ენის დიფერენცირების ეს საფეხურებრივი მიმართებები.

საერთო-ქართველური ენა, რომლის დიფერენციაციის შედეგსაც წარმოადგენს ქართული, ზანური და სვანური ენები, როგორც ლინგვისტური რეალობა სინქრონიაში არ არსებობს. ის წარმოადგენს მხოლოდ კონსტრუქტს, რომელიც კომპარატივისტული მეთოდების საშუალებით აღდგება რეკონსტრუქციის დონეზე. ესაა პრაენა, ანუ ქართველური ენების ფუძეენა, — იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთი განშტოება.

ივარაუდება, რომ დიფერენციაციის პირველ საფეხურზე ქართველურ ფუძეენაში გამოიყო სამი — ქართული, ზანური და სვანური დიალექტები. მათი დამოუკიდებელი და იზოლირებულად განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე ქართველური ენები თავისი დიალექტური განშტოებებით, რომელთა სივრცითი განფენილობაც ასახულია ზემოთ შემოთავაზებულ სქემა-ტაბულაში. რაც შეეხება ქართველური ენებისა და დიალექტების ისტორიული განვითარების გზას ფუ-

ძენიდან დაწყებული მათ თანამედროვე მდგომარეობამდის, ისტორიულ-შედარებითი კვლევების მონაცემთა გათვალისწინებით, ლინგვისტი ქართველოლოგები გვთავაზობენ შემდეგ სქემა-დიაგრამას:



ყველაფერი ზემოთქმული წარმოადგენს ქართველური ენებისა და დიალექტების ურთიერთმიმართებათა საკითხებისადმი მეცნიერულ მიდგომას როგორც სოციოლინგვისტური, ისე საკუთრივ ლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით. აზრთა სხვადასხვაობები ამ საკითხის გარშემო ლინგვისტთა შორის არ შეიძლება არსებობდეს.


მაგრამ არაიშვიათად მსგავსი საკითხებით ინტერესდებიან არა-ლინგვისტებიც: პოლიტიკოსები, სოციოლოგები, ჟურნალისტები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და უბრალოდ ლინგვისტიკას მიტმასნილი პიროვნებები, რომელნიც წინასწარგანზრახულად, ანდა საჭირო ინფორმაციის უქონლობის გამო ამახინჯებენ რეალურ სურათს, რასაც საბოლოოდ მივეყვართ საზოგადოებრივი თვალსაზრისით არასასურველ შედეგებამდის. ასეთი გაუგებრობები ქართული კულტურისა და ქართული ენის მიმართ ხდებოდა წარსულში და, სამწუხაროდ, ხდება თანამედროვეობაშიც.

საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდიდან არსებობდა სამი ავტონომიური წარმონაქმნი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ორი ამათგანი — აფხაზეთი და ოსეთი კონფლიქტური ზონებია. ამ ავტონომიურ რეგიონებში აფხაზური და ოსური ენები ქართულსა და რუსულთან ერთად ფუნქციონირებდა როგორც სახელმწიფოებრივი დანიშნულების ენები. რაც შეეხება აჭარულ მეტყველებას, იგი თავისი ორივე განზომილებით — როგორც სოციალურით, ასევე ლინგვისტურით — ქართული ენის დიალექტს წარმოადგენს. ბუნებრივია, აჭარის მოსახლეობას არასოდეს ჰქონია პრეტენზია მათი მე-


ტყველების ენობრივ სტატუსზე. მიუხედავად ამისა, არც თუ იშვიათად რუსულ პერიოდულ პრესაში და ხშირად უფრო მაღალი რანგის გამოცემებშიც, გამოჩნდებოდა ხოლმე ფაქტები აჭარული მეტყველების ენად მოხსენიებისა. ასეთ შემთხვევებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვქონდა არა შემთხვევით შეცდომებთან, არამედ აჭარელთა შორის სეპარატისტული განწყობილებების ჩანერგვის მცდელობასთან. საბედნიეროდ, ეს ცდები წარმატებით არასოდეს დამთავრებულა.

წარმატების მეტი იმედი ჰქონდათ სეპარატიზმის გამღვივებლებს სამეგრელოში, სადაც ხალხური მეტყველება, სოციალური სტატუსის მიხედვით დიალექტი, ლინგვისტურად დამოუკიდებელ ენას წარმოადგენს, მეგრელები მოიხსენიებოდა როგორც მეგრელი ერი. ამასთან არ ეწეოდა ანგარიში არც ეროვნულ თვითშეგნებას და არც ეთნიკურ კულტურას, რომელიც წარმოადგენს ქართული ერთიანი ეთნოკულტურის განუყოფელ ნაწილს. საბედნიეროდ, დღემდის ყოველი ამგვარი ცდა წარუმატებლობისთვისაა განწირული.


რაც შეეხება საქართველოს ნამდვილ კონფლიქტურ ზონებს, იქ, როგორც აჩვენა ბოლო დროის სამხედრო-პოლიტიკურმა მოვლენებმა, მოქმედებს არა ენობრივი და ეთნოკულტურული, არამედ სრულიად სხვა რიგის ფაქტორები, რაც, ბუნებრივია, ჩვენი მსჯელობის ობიექტი ვერ იქნება.



სქემა 1. საერთოქართული ეთნიკური კულტურის დიფერენციაციის სქემა



სქემა 2. საერთოქართული სახალხო ენის სოციალურ დალექტებად დიფერენცირების სქემა



სქემა 3. საერთო-სახალხო ქართული ენის ლინგვისტურ ერთეულებად დიფერენცირების სქემა

0.2. თანამედროვე ქართული დიალექტოლოგიური სივრცის ზოგადი სურათი

ქართული ენის ეთნიკურ-ტერიტორიულ დიალექტთა შესწავლას, შესაბამისად, დიალექტური დიფერენციაციის საკითხის გარკვევას თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. დაწვრილებით მკითხველს ამის გაცნობა შეუძლია სპეციალურ ლიტერატურაში (ძიძიგური, 1954; მარტიროსოვი, 1992). ჩვენ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

* * *

როგორც აღნიშნავენ (ძიძიგური, 1954), ქართული ენის დიალექტთა კლასიფიკაციის პირველი ცდა ეკუთვნის **მ. ბროსეს** (1834 წ.). იგი ხუთ დიალექტს გამოყოფს: **კახურს, იმერულს, მეგრულს, ცენტრალურ ქართლურს** და **ოთხ „პატუას“** — **„კავკასიის სვანურს“**, **„ლაზიკის ჭანურს“**, **აფხაზურსა** და **მესხურს**. ეს თვალსაზრისი თუმცა მეცნიერულად მიღებულია, მაგრამ იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ჩვენს დროშიც იქნა ამ კლასიფიკაციიდან „გადმოღებული“ იდეა (ამის თაობაზე ქვემოთ)...

ქართული ენის დიალექტთა პირველი, შეიძლება ითქვას, სერიოზული მეცნიერული კლასიფიკაცია მოცემულია **აკაკი შანიძის** ცნობილ მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, რომელიც 1920 წელს გამოიცა. ავტორი საგანგებოდ მიანიშნებს, რომ მისი თვალსაზრისი დიალექტთა კლასიფიკაციისა სწორედ ამ პრეფიქსთა განაწილებას ეფუძნება: „მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების წესის მიხედვით დღეს-დღეობით ცოცხალი კილოები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლურად და დასავლურად. აღმოსავლურ ჯგუფს ეკუთვნიან: **ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მონღეური** და **თუშური**. დასავლურ ჯგუფს შეადგენენ: **იმერული** (ზემო და ქვემო), **გურული** და **რაჭული**“ (შანიძე, 1920, 1440).

შენიშვნა: ავტორი სქოლიოში შენიშნავს: „აქ ჩამოთვლილია ის კილოები, რომელთა შესახებაც სანდო მასალები მაქვს“. კარგი იქნება, თუ ამ შენიშვნას გაკვეთილად მივიღებთ...

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა ა. შანიძის მსჯელობა — „საზოგადო დახასიათება“ აღმოსავლური კილოებისა. კომენტარს, ვფიქრობთ, ამონარიდის მოყვანა სჯობს: „ჩვენი პრეფიქსების განხილვის დროს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ ფონეტიკურ ცვლილებასა და სხვადასხვაობას, არამედ მხოლოდ მორფოლოგიურ აგებულებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოსავლური კილოები თავის მხრივ კიდევ ორ ჯგუფად გაიყოფა. თუ ამ გაყოფას საფუძვლად S_2 -ის ხმარების წესი დაედო, მაშინ ქართლის კილო ცალკე გამოიყოფა, ერთ მხარეს, და დანარჩენი კილოები (კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური, თუშური) მეორე მხარეს იქნება; ხოლო თუ დაჯგუფების საზომად O_3 -ის ხმარების წესს მივიღებთ, მაშინ ცალკე გამოიყოფა ხევსურული, სხვები კი (ქართლური, ქიზიყური, ფშაური და თუშური) მეორე მხარეს მოექცევა. მაგრამ შეიძლება დაყოფის დროს უპირატესობა მიენიჭოს არა უღლებების მორფოლოგიურ მხარეს, არამედ S_2 -ისა და O_3 -ის ფონეტიკური ღირებულების სხვადასხვაობას, მაშინ კი ხევსურული, მოხეური და თუშური სხვა აღმოსავლურ კილოებს გამოეყოფა ცალკე ჯგუფად, რომელსაც შეიძლება ფხოური უწოდოთ“ (შანიძე, 1920). უნდა ვთქვათ: ეს მსჯელობა საინტერესოა მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც და იქვე სქოლიოში გაკეთებულ შენიშვნასაც მივაქცევდით ყურადღებას: „დამატებით ცნობათა უქონლობის გამო არ შემიძლია გადაჭრით ვთქვა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ამ შემთხვევაში მთიულურ-გუდამაყრული და მოხეური“.

ამ მსჯელობის საფუძველზე დიალექტთა სქემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ა) აღმოსავლური კილოები: 1. ქართლური
 2. კახური
 3. ქიზიყური
 4. ფშაური
 5. მთიულურ-გუდამაყრული
 6. ხევსურული
 7. მოხეური
 8. თუშური } ფხოური ჯგუფი
- ბ) დასავლური კილოები: 9. იმერული (ზემო და ქვემო)
 10. გურული
 11. რაჭული

ავტორის შენიშვნის თანახმად, ცხადია, გასაგები მიზეზის გამოსურათი სრული არ არის.

ქართული ენის დიალექტთა კლასიფიკაციის თავის ვარიანტს გვთავაზობს არნ. ჩიქობავა. იგი ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფს:

- ა) ბარის კილოები: 1. ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ)
 2. კახური (ქიზიყურითა და ინგილოურით)
 3. იმერული (ლენხუმურით)
 4. გურული
 5. აჭარული
 6. იმერხეული
 7. ფერეიდნული
- ბ) მთის კილოები: 8. ხევსურული
 9. თუშური
 10. ფშაური
 11. მთიულური (გუდამაყრულითურთ)
 12. მოხეური
 13. რაჭული

(ჩიქობავა, 1966, 5-6).

17 დიალექტს წარმოადგენს ვ. თოფურია:

1. ხევსურული
2. მოხეური
3. მთიულურ-გუდამაყრული
4. ფშაური
5. თუშური
6. კახური
7. ქართლური
8. ჯავახური
9. მესხური
10. აჭარული
11. გურული
12. იმერული
13. ლენხუმური
14. რაჭული
15. ინგილოური (აზერბაიჯანში)
16. ფერეიდნული (ირანში)
17. იმერხეული (თურქეთში).

(თოფურია, 1963).

კიდევ ერთ ვარიანტს გვინდა მივაქციოთ ყურადღება; შ. ძიძიგუ-
რი ქართულ დიალექტებს ხუთ ჯგუფად დაყოფს:

- I. 1. ინგილოური
2. ფერეიდნული
- II. 3. თუშური
4. ფშაური
5. ხევსურული
6. მოხეური
7. მთიულური
8. მთარაჭული
- III. 9. კახური
10. ქართლური
11. მესხური
- IV. 12. ზემომერული
13. ქვემორაჭული
14. ქვემომერული
- V. 15. გურული
16. აჭარული
17. იმერხეული

წარმოდგენილ სამ თვალსაზრისს შორის, ცხადია, არის სხვაობე-
ბიც, მაგრამ ჩვენთვის არსებითია საერთო: საკლასიფიკაციოდ ძირითა-
დად ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპია გატარებული, დიალექტები
ძირითადად ორ მთავარ ჯგუფად წარმოგვიდგება: აღმოსავლური დია-
ლექტები და დასავლური დიალექტები; აღმოსავლურ ჯგუფში ორი ქვეჯ-
გუფი გამოიყოფა: ბარის დიალექტები და მთის დიალექტები. სწორედ
ამ კუთხით დაინახა ბ. ჯორბენაძემ არსებული თვალსაზრისები და მათზე
დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, შემაჯამებელი ვარიანტი შემოგვთავაზა:

- I. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები:
 - ა) მთის დიალექტები: 1. ხევსურული
 2. ფშაური
 3. თუშური
 4. მოხეური
 5. მთიულურ-გუდამაყრული
- ბ) ბარის დიალექტები: 6. ქართლური
7. კახური
8. ინგილოური
9. ფერეიდნული

- II. სამხრეთ-დასავლური დიალექტი
 - 10. მესხური (სამცხურ-ჯავახური)
- III. დასავლეთ საქართველოს დიალექტები
 - 11. რაჭული
 - 12. იმერული
 - 13. ლეჩხუმური
 - 14. გურული
 - 15. აჭარული
 - 16. იმერხეული (კლარჯული)
(ჯორბენაძე, 1989).

ამ, ასე ვთქვათ, დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების გარკვეული ეტაპის შემაჯამებელ ნაშრომში დიალექტთა სისტემური მიმოხილვაცაა წარმოდგენილი და, ამდენად, ცდა ავტორისეული თვალსაზრისის დასაბუთებისა. მხედველობაში გვაქვს იმერულის, კახურის, ქართლურისა თუ რაჭულის შესახებ არსებულ თვალსაზრისთა სხვაობები. ვფიქრობთ, საინტერესო ვარიანტია შემოთავაზებული.

როგორც ვხედავთ, სხვაობა თვალსაზრისთა შორის. მესხურ-ჯავახურს არნ. ჩიქობავა ქართლურის ნაწილად განიხილავს. სხვა ავტორებთან ეს ორი ერთეული ჩვეულებრივ ერთ დიალექტად მოიაზრება, თუმცა ვ. თოფურია მათ ორ დიალექტად მიიჩნევდა (მესხური და ჯავახური).

ქიზიყური ჩვეულებრივ კახურის კილოკავად გაიაზრება, თუმცა ა. შანიძე მას დამოუკიდებელ დიალექტად წარმოგვიდგენს... არნ. ჩიქობავა კი ქიზიყურსა და ინგილოურს კახურის ნაწილად თვლის... ლეჩხუმურს ცალკე დიალექტად არ განიხილავენ არნ. ჩიქობავა, შ. ძიძიგური და სხვა (იმერულის ნაწილია). შ. ძიძიგური დამოუკიდებელ დიალექტებად განიხილავს მთარაჭულს, ქვემორაჭულს, ქვემოიმერულს და ზემოიმერულს.

როგორც ვხედავთ, ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპით დიალექტების გამოყოფისას პირობითობას ვერ ავცდებით. მაგალითად, ლეჩხუმური ცალკე დიალექტად წარმოვადგინოთ, თუ ქვემოიმერულთან ერთად ერთ დიალექტურ ერთეულად მოვიაზროთ — ამ თვალსაზრისის ისეთივე უფლება აქვს არსებობისა, როგორც ზემო და ქვემო იმერულის ცალ-ცალკე ერთეულებად მიჩნევას... საბოლოოდ, თუ იმერულსა და ლეჩხუმურს ორ დიალექტურ ერთეულად განიხილავენ, ამ თვალსაზრისში ლინგვისტურზე მეტად ეთნიკურ-ტერიტორიულ პრინციპს ეძლევა უპირატესობა. ამიტომაც ისეთივე „წარმატებით“ შეიძლება ერ-

თი ვარიანტის მტკიცება, როგორც — მეორისა. იგივე შეიძლება ითქვას სხვა შემთხვევებზეც... ყველა შემთხვევაში პირობითობას ზღვარი სადღაც უნდა დაედოს...

თუმცა მაინც: საგანგებო მსჯელობას ითხოვს ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე (ისტორიულად ქართულ მიწებზე) მოსახლე ქართველთა მეტყველება, რომელიც აქ წარმოდგენილ თვალსაზრისებში ერთ დიალექტადაა დასახელებული — იმერხეული (კლარჯული).

ბოლო წლებში ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში შეინიშნება მცდელობა კლასიფიკაციის არსებული თვალსაზრისების გადასინჯვისა. განსაკუთრებით ეს შეეხება სწორედ თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მეტყველებას. ახალი თვალსაზრისების გაჩენას აქვს ობიექტური საფუძველიც: გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ასრულებულიყო თითქმის საუკუნოვანი ოცნება და ადგილზე შეგვესწავლა ისტორიული საქართველოს ქართველთა მეტყველება. ორი სადოქტორო დისერტაცია დაიწერა ამ მასალის საფუძველზე — შუშანა ფუტკარაძისა (1995 წ.) და მამია ფალავასი (2004 წ.). შესაბამისად, სამხრეთ-დასავლური ქართულის დიალექტური დიფერენციაციის ორი ვარიანტი იქნა წარმოდგენილი:

1. შ. ფუტკარაძის აზრით, „ტაო-კლარჯულ ქართულში გამოიყოფა რამდენიმე დიალექტური ერთეული, როგორცაა: **იმერხეული** (ისტორიული შავშური), **ლივანური**, **მაჭახლური** და **ტაოს ქართული**. მათ შორის ექცევა **აჭარულიც**“ (ფუტკარაძე, 1995). ავტორი მიმოიხილავს „მუჰაჯირთა მეტყველებას“, მაგრამ მას არ უწოდებს დიალექტს. აღნიშნავს, რომ მუჰაჯირთა მეტყველებას „შენარჩუნებული აქვს 100-150 წლის წინანდელი აჭარული დიალექტის იერსახე“ (ფუტკარაძე, 1995). ავტორი ტაო-კლარჯულში ხუთი დიალექტის გამოყოფისათვის ასეთ საფუძველს ხედავს: „ამ დიალექტების განმსაზღვრელი ენობრივი ნიშნები ემთხვევა ეთნიკურ ნიშანს. კერძოდ: იმერხეული იმერხეველებს შორის იმერხევეშია გავრცელებული; ლივანური — ლივანში, მაჭახლური — მაჭახელში, ტაოს ქართული — ტაოში“ (ფუტკარაძე, 1955).

იმერხეულის გვერდით **ლივანური**, **მაჭახლური** და **ტაოური** დიალექტების გამოყოფას მხარს უჭერს ტ. ფუტკარაძე; ერთი დაზუსტებით: „**მუჰაჯირთა ქართულს**“ (ჩვენებურების ქართულს) იგი დიალექტად მოიხარებს (ფუტკარაძე, 2003).

ეს არის ერთი ვარიანტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართულის დიალექტური დაყოფისა: 1. იმერხეული (ისტორიული შავშეთი)

2. ლივანური
3. მაჭახლური
4. ტოს ქართული
- (5. მუჰაჯირთა ქართული)

განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს მ. ფაღავა. მისი აზრით, სამხრულ-დასავლურში ოთხი დიალექტი უნდა გამოიყოს:

1. **აჭარული** (კილოკავებით ზემოაჭარული, ქვემოაჭარულით, ქობულეთური)

2. **შავშური** (კილოკავებით მაჭახლური და იმერხეული)

3. **კლარჯული** (იგივე ლივანური)

4. **ტაოური**

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას იგი ნარეგ მეტყველებად თვლის და მას სამხრული მეტყველების შესასწავლ დამატებით მასალად მიიჩნევს (ფაღავა, 2004).

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მ. ფაღავას თავდაპირველი დასკვნები ემყარებოდა სამხრული დიალექტების ფონემატური სტრუქტურის ანალიზს, ხოლო შ. ფუტყარაძისა — ცალკეულ ნაირსახეობათა ლინგვისტურ ანალიზს. დასკვნების სხვადასხვაობა, შეიძლება იფიქროს კაცმა, ამის შედეგია; მაგრამ არა გვგონია, ასე იყოს...

ის ფაქტი, რომ ქართულ დიალექტოლოგიაში არ არის ერთგვარობა დიალექტური დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივიცაა: სხვადასხვა ავტორი განსხვავებულ მონაცემებზე დაყრდნობით სხვადასხვა პრინციპით ახდენს კლასიფიკაციას.

მოგვიანებით სამხრული მეტყველების ინტენსიური შესწავლის საფუძველზე, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით მ. ფაღავამ ასეთი ვარიანტი შემოგვთავაზა:

— **შავშური კილო // შავშური დიალექტი** კილოკავებით: **იმერხეული, მაჭახლური.**

— **კლარჯული კილო // კლარჯული დიალექტი** კილოკავებით: **ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული** (ლივანური).

— **ტაოური კილო // ტაოური დიალექტი.**

— **აჭარული კილო // აჭარული დიალექტი** კილოკავებით: **ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური.**

აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც **სამხრულ დიალექტებს // სამხრულ კილოებს** ან **სამხრულ მეტყველებას** ვუწოდებთ (ფაღავა, 2013).

მომავალმა კვლევა-ძიებამ სურათი შეიძლება გარკვეულად შეცვალოს; ყოველ შემთხვევაში შეიძლება დაზუსტდეს ვითარება. ამჯერად ჩვენთვის ეს ვარიანტია საყრდენი. თუმცა ყველა შემთხვევაში შეიძლება ვერ გავითვალისწინოთ ეს ახალი კვლევის შედეგები და ტრადიციულად თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მეტყველებას იმერხეულად მოვიხსენიებთ.

* * *

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ იმ თვალსაზრისზე, რომელიც ბოლო პერიოდში ტ. ფუტკარაძემ განავითარა. მან ქართული ენის დიალექტური დიფერენციაციისა და დიალექტთა დაჯგუფების ორიგინალური სქემა შემოგვთავაზა.

ავტორის აზრით, „პირველ რიგში ქართველთა თანამედროვე საშინაო-სამეტყველო ერთეულები უნდა დაიყოს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტებად. თავის მხრივ, განაპირა დიალექტები ექვს ჯგუფად წარმოდგება. კერძოდ:

ცენტრალური კილოები:

კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული

განაპირა კილოები:

მესხური კილოები: **აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჯავახური;**

ჰერული კილოები: **კაკური, ალიაბადური.**

ფხოური კილოები: **ჩალმა-თუშური, ფშავური, ხევსურული, მონეური, მთიულურ-გუდამაყრული,** აქვე შეიძლება განვიხილოთ **წოვათუშური,** რომელშიც შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი როგორც ქართველური, ისე ვაინახური ენობრივი შრეები;

რაჭული კილოები: **ბარისრაჭული, მთარაჭული;**

სვანური კილოები: **ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური;**

ზანური კილოები: **მეგრული, ლაზური** (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური);

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები:

ფერეიდნული, „ჩვენებურების ქართული“ და „ყიზლარ-მოზდოკური“ (ფუტკარაძე, 2003).

წარმოდგენილი თვალსაზრისი რამდენიმე შენიშვნას იწვევს.

ა) ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია, ერთი მხრივ, სვანურის, ზანურის და, მეორე მხრივ, კახურის, ქართლურისა თუ იმერულის ერთ დონეზე განხილვა.

მართალია, **ლენტეხური, ლაშხური... მეგრული, ლაზური და კახური, იმერული** ტრადიციული გაგებით დიალექტებია, ოღონდ სხვადასხვა ენებისა: სვანურის, ზანურის და ქართულის. ჩვენთვის ეს ტრადიციული შეხედულება ეჭვს არ იწვევს. ამიტომ სქემაში ამ ერთეულთა ერთ დონეზე განხილვა მიუღებელია.

ბ) ის ფაქტი, რომ წოვა-თუშურში წარმოდგენილია „ქართველური ენობრივი შრე“, ამ ენის ქართველურ დიალექტად განხილვა, ასე ვთქვათ, სერიოზული ნაკლია ამ სქემისა, გაუგებრობაა...

გ) ზემოთაც ვთქვით, დიალექტების გამოყოფა (შესაბამისად, პასუხი კითხვაზე, ესა თუ ის ენობრივი ნაირსახეობა კილოა თუ კილოკავი) პირობითობას ვერ ასცდება. მაგრამ დასაბუთებას საჭიროებს ტრადიციული კლასიფიკაციის ამგვარი რევიზია: ინგილოური დიალექტის (აქ: ჰერული) კილოკავების — **კაკურისა** და **ალიაბადურის** — დიალექტურ ერთეულებად წარმოდგენა; ასევე **სამცხურისა** და **ჯავახურის** დამოუკიდებელ კილოებად დასახელება; იგივე უნდა ითქვას ალბათ **ბარისრაჭულისა** და **მთარაჭულის** კილოებად მიჩნევის გამო. აქ ტერმინოლოგიის საკითხიცაა: არსებობს ტერიტორიული ცნებები ზემორაჭა, ქვემორაჭა, მთარაჭა; მაგრამ ხელოვნურია ბარისრაჭა... ამ ერთეულთა დიალექტებად გააზრება ხელოვნური გართულებაა სისტემისა, თუნდაც **ინგილოურის** ნაცვლად **ჰერულის** შემოღება. ასეთი რამ, ჩვენი აზრით, დასაშვებია ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებზე მსჯელობისას...

დ) „მესხური კილოების“ ამ სახით წარმოდგენაზე ზემოთ ვისაუბრეთ...

ე) შეცდომაა **ყიზლარ-მოზდოკურის** თანამედროვე ქართულ დიალექტად გააზრება: ყიზლარისა და მოზდოკის ქართველთა მეტყველება დიალექტად არასოდეს განიხილებოდა. „ყიზლარ-მოზდოკური ქართული ცალკე დიალექტურ ერთეულს არ წარმოადგენს... ყიზლარ-მოზდოკური ქართულის შესწავლა მნიშვნელოვანია ენათა შერევისა და დიალექტთა შერწყმის საკითხთა გასაშუქებლად“ (გიგინეიშვილი, 1961). ეს დასკვნა ნახევარი საუკუნის წინანდელი ვითარების ანალიზის შედეგად გაკეთდა. იმჟამად ყიზლარსა და მოზდოკში ქართული მხოლოდ მოხუცებს ახსოვდათ, „ახალგაზრდებს უკვე დავიწყებული აქვთო“, — წერდნენ წიგნის ავტორები... ასე რომ, დღეს ეს ქართული მეტყველება ფაქტობრივ აღარ არსებობს...

ვ) სადავოდ მიგვაჩნია სვანურის დიალექტად ჩოლურის გამოყოფაც (ამის თაობაზე იხ. გოგოლაშვილი, 2004). ამგვარ სქემაში გაუგებარია ხოფურის, ვიწურ-არქაბულისა და ათინურის ფრჩხილებში წარმოდგენა; თუ ისინი ლაზურის კილოკავებად გაიაზრება, კილოკავები რატომ სხვა შემთხვევაში არაა მითითებული?

ზ) „ჩვენებულების ქართულის“ შესახებ ჩვენთვის უფრო მეტად სარწმუნოა მ. ფაღვას ზემომოყვანილი თვალსაზრისი.

ეს, რაც შეეხება „ქართველთა დიალექტების“ დიფერენციაციის საკითხს.

სერიოზულ შენიშვნას იწვევს ამ სქემაში წარმოდგენილი დიალექტთა დაჯგუფების პრინციპიც. „ქართველური დიალექტები სამად ჯგუფდება: ა) **ცენტრალური კილოები**, ბ) **განაპირა კილოები**, რომელიც თავის მხრივ ექვს ჯგუფადაა დაყოფილი და გ) **„საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები“**. ამ უკანასკნელზე არ ვისაუბრებთ, აქ მხოლოდ ფერეიდნულია დიალექტი და ჩვენთვის საგსებით მისაღებია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ფერეიდნული აღმოსავლურ დიალექტთა ჯგუფში განიხილება (ცხადია, ეს თვალსაზრისი ლინგვისტურ მონაცემებზეა დამყარებული).

ნაშრომში არ არის საუბარი იმის თაობაზე, თუ რა არის საფუძველი ამგვარი დაჯგუფებისა. ერთი შეხედვით ეს პრინციპი მარტივია: ასე ვთქვათ, „რუკის პრინციპი“ — საქართველოს ისტორიულ რუკაზე საზღვრის გასწვრივ (ე. ი. „განაპირა ტერიტორიაზე“) წარმოდგენილი დიალექტები ერთ ჯგუფად მოიაზრება; ხოლო რუკის ცენტრში (ცენტრალურ ტერიტორიაზე) განლაგებული დიალექტები — ცალკე ჯგუფად. **არანაირი ლინგვისტური საფუძველი ამ დაჯგუფებას არ გააჩნია**. შესაბამისად, ლინგვისტური თვალსაზრისით უცნაურიც არის სვანურის, ზანურის, მესხურის, ფხოურისა და რაჭულის ერთ ჯგუფში გაერთიანება. ტრადიციული დაჯგუფების რევიზია ამ შემთხვევაში წარუმატებულ ცდად მიგვაჩნია. აი, რატომ:

ტრადიციულად ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფოდა: აღმოსავლური დიალექტები და დასავლური დიალექტები; აღმოსავლურში ორ ქვეჯგუფს წარმოადგენდნენ: მთის კილოები და ბარის კილოები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ამგვარი დაჯგუფება არ არის მხოლოდ გეოგრაფიულ პრინციპებზე დაფუძნებული**: „აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტებად განდასება, რასაკვირველია, გეოგრაფიულ პრინციპს ეყრდნობა, მაგრამ ამას იმავდროულად მხარს უჭერს ენობრივი ნიშან-თვისებანიც. თითოეულ ამ ჯგუფში შემავალი დიალექტ-

ტები ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად საერთო ტენდენციით ხასიათდებიან“ (ჯორბენაძე, 1995). იგივე ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტთა ქვეჯგუფების გამოყოფაზეც: „აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები ორი ძირითადი ნიშან-თვისებით გამოირჩევიან სხვა დიალექტებისაგან: ჯერ ერთი, მათ მეტ-ნაკლებად დაცული აქვთ ქართული ენის ის ვითარება, რომელიც შედარებით ადრეულ ფორმაციებს განეკუთვნება... დაცულია არქაული ლექსიკა... თავს იჩენს მთის იბერიულ-კავკასიური (კერძოდ ნახური) ენების ზემოქმედების კვალი...“ (ჯორბენაძე, 1995).

დაინტერესებულ პირს ამ თემაზე შეუძლია გაეცნოს არაერთ სამეცნიერო ნაშრომს (ი. ყიფშიძის, შ. ძიძიგურის, ბ. ფოჩხუას და სხვ. რამდენიმე გამოკვლევაში ჩვენც შევხებით ამ საკითხებს). კონკრეტული მაგალითების მოყვანა ამჯერად არ მიგვაჩნია საჭიროდ. ფაქტია: **ტრადიციულ დაჯგუფებას ქართული დიალექტებისას აქვს არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ მყარი ლინგვისტური საფუძველიც. ამიტომ, ვიმეორებ, მისი ჩანაცვლება შემოთავაზებული ვარიანტით ყოველად გაუმართლებელია.**

0.3. სოციალური დიალექტების (სოციოლექტების) შესახებ

ჩვენი კვლევის მიზანი ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებია. გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ სხვა სახის დიალექტებზეც. **ტერიტორიულ-ეთნიკური** დიალექტების გარდა გამოიყოფა **სოციალური დიალექტები**. სოციალური დიალექტების მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია კონკრეტული სოციალური ფენის ან განსაზღვრული ჯგუფის წარმომადგენელთა მეტყველების თავისებურება. ამა თუ იმ ფენის მეტყველება გარკვეული ნიშნებით გამოირჩევა საერთო-სახალხო ენისაგან და ქმნის სოციალურ დიალექტებად სახელდებულ ნაირსახეობას.

სოციალური დიალექტების ძირითად მახასიათებელ ნიშნად ითვლება თავისებური ლექსიკა და ფრაზეოლოგია. სოციალურ დიალექტებს მიაკუთვნებენ გენდერული პრინციპით განსხვავებულ მეტყველებასაც, ეგრეთ წოდებულ, მამაკაცისა და ქალის მეტყველების ნაირსახეობას. საზოგადოდ, სოციალურ დიალექტებს მიეკუთვნება გარკვეული ასაკობრივი ჯგუფისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა მეტყველების სპეციფიკური ნაირსახეობა. სოციალურ დიალექტებად განიხილება **ჟარგონი, არგო** და **სლენგი**. ყველა ეს ნაირსახეობა განსხვავებულია უპირატესად ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით. სოციალურ დიალექტებს ასევე უწოდებენ სოციოლექტებს. სოციოლექტების კვლევის არეალში მოქცეულია ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიული ენები, დარგობრივი ლექსიკა. განმარტებების მიხედვით, სოციოლექტის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ნიშნებია შემდეგი: სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი მეტყველება, ფონოლოგიური და სემანტიკური თავისებურებების არსებობა, არაგეოგრაფიული ფონი. სოციოლექტად გამოიყოფა იმ ჯგუფის მეტყველება, რომელსაც ახასიათებს საერთო ინტერესები, წრე, თემები და ამასთანავე გარკვეული ენობრივი ფორმების გამოყენების სიხშირე. ესაა ენობრივი წარმონაქმნი, ენობრივ თავისებურებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ჯგუფის მეტყველებისათვის შეპირობებული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რწმენითი შეხედულებებით. ამგვარი თავისებური მეტყველება ძირითადად ჯგუფის შიგნით ურთიერთსაუბრის პროცესში ვლინდება. ძირითადი თავისებურება ამგვარი მეტყველებისა, როგორც

უკვე აღინიშნა, სპეციფიკური ფორმებითა და თავისებური სინტაქსური კონსტრუქციებით ვლინდება, ხოლო გრამატიკური კატეგორიები და სინტაქსი ზოგადენობრივია.

სოციოლექტების განმარტებისას ასევე წინა პლანზეა წამოწეული მისი ფუნქცია. სოციოლექტი აკავშირებს დაჯგუფებაში შემავალ წევრებს, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები — პროფესიული, სოციალურ-წოდებრივი, ასაკობრივი, კულტურულ-ესთეტიკური. სოციოლექტებში აერთიანებენ აგრევე ტექნოლექტებს — გარკვეული დარგისათვის დამახასიათებელ სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკას, რომელსაც დარგობრივ ლექსიკასაც უწოდებენ.

სოციოლექტები არაა იზოლირებული საერთო სალიტერატურო ენისაგან. მას არ გააჩნია ენობრივი ქვესისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად დამასახიათებელია ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებისათვის. იგი მიიჩნევა სალიტერატურო ენის ქვესისტემად, მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, რომ იგი იყენებს სალიტერატურო ენის ლექსიკასა და მის მორფო-სინტაქსურ კონსტრუქციებს, ყალიბებს.

ჟარგონი — ყველაზე მეტად გავრცელებული და მნიშვნელოვანი სოციოლექტია. იგი წარმოდგება ფრანგული სიტყვისაგან და თავდაპირველად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა, კერძოდ, ქურდების, პროფესიული მათხოვრების, მოხეტიალე მეწვრილმანების მეტყველებას აღნიშნავდა. ჟარგონი ფართო მნიშვნელობით არის გარკვეული სოციალური ჯგუფის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გამოიყენება მხოლოდ ამ ჯგუფში და გასაგებია მხოლოდ მათთვის. ჟარგონი მოიცავს არა მარტო განსაზღვრულ სოციალურ წრეს (მოსწავლეები, სტუდენტები...), არამედ გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფსაც. საერთო ენისაგან ჟარგონი ლექსიკით, სიტყვაწარმოებით, ფრაზეოლოგიით განსხვავდება, ხოლო კონსტრუქციები თუ ფორმათა ყალიბები საერთო ენისაა. მას ასევე ახასიათებს მეტაფორული გადააზრება, სტილისტური კონოტაცია, სიტყვათა სესხება რამდენიმე ენიდან, ნაცნობი ცნების ახალი ექსპრესიული გადააზრება. მაგალითად, **ჟმოტობს (ძუნწობს)**, თავად ლექსიკური ერთეული ნასესხებია, მაგრამ ფორმაწარმოება, ყალიბი ქართულია. ჟარგონში ასევე დასტურდება საერთოენობრივი ლექსიკის ფორმები, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით. **ასწორებს (კარგია, მისაღებია), ტეხავს (ცუდია, მიუღებელია)**. შესაძლებელია, ჟარგონს თავისებური წარმოებაც ჰქონდეს: მაგ.: **გლიჯავს (ძალიან კარგია), დახურა (ყველას აჯობა, საუკეთესოა), გაჭეჯილდა (გათამამდა)**.

არგო სოციოლექტია, რომელიც, უარგონის მსგავსად, საფრანგეთში გაჩნდა. მას იყენებდნენ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. უარგონისაგან არგოს რამდენიმე ნიშანი განასხვავებს: არგო განკუთვნილია კონსპირაციული მიზნებისათვის, მას იყენებენ საიდუმლო ენის ფუნქციით და საქმეში ჩაუხედავი პირებისათვის გაუგებარი ენაა. გარკვეული ჯგუფის ადამიანები არგოს გამოყენებით ცდილობენ საკუთარი ჯგუფი განაცალკევონ სხვებისაგან, გახადონ იზოლირებული. ამდენად, არგო წინასწარგანზრახულად იქმნება და მისი გამოყენების მიზანია კომუნიკაციისას გარკვეული ინფორმაციის დაფარვა. თუ უარგონს იყენებენ ეკონომიისათვის და ემოციურობა-ექსპრესიულობის გამოსახატავად, არგოს მეშვეობით ასაიდუმლოებენ ინფორმაციას. ამგვარ, სპეციალური დანიშნულების სიტყვებს ხშირად იყენებენ ნარკომანები, რათა პოლიციამ ან საზოგადოების სხვა წევრებმა ვერ გაიგონ კომუნიკაციის არსი. ამგვარი ფორმებია: **წყალი (ანგიდრიდის ნაცვლად), თეთრი (პეროინი), მანქანები (ნემსი), ფრანგული (სუბოტექსი)...** თუ სიტყვები გასაგები გახდება საზოგადოების სხვა წევრებისათვის, მაშინ ჯგუფის წარმომადგენლები ცვლიან მას სხვა სიტყვებით. არგო არაა ისეთი ფართო გამოყენების, როგორც უარგონი. არგო რჩება მანამ, სანამ ის გაუგებარია სხვებისთვის, შემდეგ ამგვარი ერთეულები გადადიან ან უარგონში, ანუ იფართოებენ გამოყენების არეალს, ან იცვლებიან ტერმინოლოგიის დანიშნულებით და ამდენად, ხდებიან სალიტერატურო ენის ნაწილი.

ქართულ რეალობაში არგოს წარმომადგენს, მაგალითად, ხატის, ანუ „ჯვართ“ ენა, რაც მხოლოდ ხევისბერისა და სხვა ერთეული ადამიანების გამოსაყენებელი მეტყველების ფორმაა. მასში სრულიად თავისებური ლექსიკა იკვეთება: **ბუბუნა, ბულაური, ხარმანიში (ხარი), მატყეირი, მაცხოვარი (ცხვარი), კიკინმაღალი, რქამაღალი (თხა), ოქროს ბურთვი, ვერცხლის ბურთვი, ვერცხლის ღილი (მამაკაცი), ბიჟიონი (ქალი), ბნელი (ღამე), მზექალი (მზე), მიწათიხანი (მიწა). სპეციფიკური გამოთქმები: „ქერ-ოქროთ გადმოფანტვა მზექალის მიერ“ (გვალვა), „თვალეზე ოქროს საცრის დაფარება“ (დაბრმავება), „ჩიხვის თავ-რქანის გადმოყოლება“ (სიკვდილიანობა, მტრის თავდასხმა)...**

არგოს მიაკუთვნებენ შელოცვის ფორმულებს, „ქაჯურ ენას“, რომლის მახასიათებელია სიტყვის ყოველ მარცვალზე გარკვეული ნაწილაკის დართვა: **კაწაციწა (კაცი), ქაშელიშე (ქალი)...** ვაფაგოფონიფი (ვაფონი) — თანხმოვანი ერთია, ხმოვანი სიტყვის მარცვლისეულია.

სლენგი, როგორც სოციოლექტი, უფრო ფართო გამოყენებისაა და იგი მოიცავს ისეთ სამეტყველო ნაირსახეობას, რომელიც საზოგადოების შედარებით დიდი ნაწილის მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. თავად ტერმინს უკავშირებენ ბოშური წარმომავლობის სიტყვას („slang“ ენა) ან სკანდინავიური წარმოშობის სიტყვას (slengja kjeften — სიტყვიერი შეურაცხყოფა, slengjenamn — მეტსახელი). სლენგი მოდურია, იგი დაკავშირებულია გარკვეულ პერიოდთან, ასახავს ფამილარულ, ირონიულ დამოკიდებულებას სინამდვილესთან. სლენგი ეწინააღმდეგება ენობრივ ნორმებს და უმეტესად ვრცელდება სასაუბრო მეტყველებაში. მეტწილად გვხვდება განსაზღვრულ ასაკობრივ ჯგუფებში. სლენგში ზოგჯერ გვხვდება ჟარგონიდან და არგოდან გადასული სიტყვები, მაგრამ სლენგი უფრო ფართო გამოყენებისაა. ხშირად დაბალ სასაუბრო სტილთან ასოცირდება და იყენებს ბარბარიზმებსა და ვულგარიზმებს. სლენგი შეიძლება შეგვხვდეს უცხოური დაწერილობით ან გადმოტანილი იყოს ეროვნული ანბანური ნიშნებით. იგი თითქოსდა გარკვეულ ეტალონურ ღირებულებასა და მიმბაძველობას უკავშირდება, თუმცა დაბალი სტილის მეტყველებად მიიჩნევა. სლენგის გავრცელებას განსაკუთრებულად უწყობს ხელს დაბალი ჟურნალისტური კულტურა, პროპაგანდა არცთუ მაღალი დონის მასმედიის ნიმუშებიდან. სლენგისადმი საჭიროა განსაკუთრებული კონტროლი, რადგან გამოყენების ფართო არეალის გამო ამგვარი ერთეულები და მეტყველების ფორმა ადვილი შესაძლებელია მოხვდეს სალიტერატურო ენაში, რაც უცილობლად იწვევს ენის დაბინძურებას, გაღარიბებას. სლენგის გავრცელებას ხელი შეუწყობს გლობალურმა პროცესებმა, ტექნიკურმა განვითარებამ, პოლიტიკურმა ტენდენციებმა და ბიზნესის არეალის გაფართოებამ. ქართულ ენაში სლენგის მოძალემა განსაკუთრებულად შეინიშნება. სლენგის ფორმებია: *პერფორმანსი, ივენთი (წარმოდგენა), ვიპი (მნიშვნელოვანი პერსონა), იუნაიტედ ქოლორს ოვ ბენეტონ, იმიჯი (შთაბეჭდილება), ოვერტაიმი (ზედროული), კილერი (მკვლელი), ლეველი (დონე), რესპექტი (პატივისცემა)...*

სოციოლექტების შესწავლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს **ურბანული მეტყველება**. ცნობილია, რომ ურბანული, ანუ ქალაქური, მეტყველებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა დიალექტისა და ენის მონაცემთა კონგლომერატი, რომელიც დროთა განმავლობაში ნიველირდება და იძენს სრულიად თავისებურ ფორმას. ურბანულ

მეტყველებაში ასევე იკვეთება გარკვეული ნაირსახეობები სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ შიდარეგიონული მეტყველების მიხედვით.

ურბანული მეტყველების თვალსაზრისით შეიძლება ვიმსჯელოთ საქართველოს ყველა დიდი ქალაქის მაგალითზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჯერ კიდევ შეუსწავლელ სფეროდ შეიძლება ჩაითვალოს. მხოლოდ რამდენიმე ნაშრომის დასახელება თუ შეიძლება ამ მიმართულებით (ი. გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ და მისივე საარქივო მასალა „ქალაქური ლექსიკონი“; ასევე თ. ლომთაძის „ქუთაისური ქართული“).

0.4. ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები

0.4.1. ძველი ქართული ენის დიალექტური შედგენილობისათვის

ისტორიული თვალსაზრისით ვსაუბრობთ ქართული ენის განვითარების ორ ძირითად საფეხურზე — ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა (ვრცლად ამ თემაზე იხ. გოგოლაშვილი, 2004).

ჩვენს წარმოდგენაში ეს ორი ერთეული არათანაბარი ცოდნით მოგვეწოდება:

ახალი ქართული ენა დიალექტური შედგენილობით მრავალფეროვანია; როგორც ვნახეთ, გამოყოფენ 20-მდე ეთნიკურ-ტერიტორიულ დიალექტს (ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, სამცხური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული და სამხრული ჯგუფი — აქაც რამდენიმეს ასახელებენ (კლარჯული, ტაოური, შავშური...)...) მთლიანობაში ახალი ქართული ენა არის სწორედ ერთობლიობა ამ დიალექტებისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. დიალექტები ბუნებრივი ნაირსახეობებია ახალი ქართული ენისა, სალიტერატურო ენა — ზედიალექტური, ნორმირებული, ასე ვთქვათ, მეტ-ნაკლებად ხელოვნური.

რას წარმოადგენს ძველი ქართული ენა? — ძველი ქართული ენა არის ერთობლიობა ნაირსახეობათა — ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისა, თუმცა ჩვენი ცოდნა ძველი ქართული ენის დიალექტური შედგენილობისა მწირია. ამის გამო ახალი ქართული ენა და ძველი ქართული ენა ჩვენი ცოდნის დონეზე არათანაბარი ენობრივი ერთეულებია: ერთის შედგენილობის შესახებ სრული წარმოდგენა გვაქვს, მეორის შესახებ — არასრული (ნაწილობრივი).

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ძველი ქართული ენა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით? ვფიქრობთ, შესაძლებელია გარკვეული სურათის აღდგენა; რამდენიმე დიალექტური ერთეულის გამოყოფა მათთვის დამახასიათებელი ძირითადი ლინგვისტური თავისებურებებით. ამ საქმეშიც უდიდესია ა. შანიძის ღვაწლი.

ხანმეტობა-ჰაემეტობაზე საუბრისას, უფრო სწორად, მათ ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას გამოიკვეთა ძველი ქართული ენის ორი დიალექტი (თუ დიალექტური ჯგუფი) —

1. ხ ა ნ მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი და

2. ჰ ა ე მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი. ჩვენთვის სარწმუნოა მსჯელობა: „უეჭველია, რომ განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენად დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხ ა ნ მ ე ტ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი ე რ თ კ ი ლ ო ზ ე ა და წ ე რ ი ლ ი და ჰ ა ე მ ე ტ ი კ ი — მ ე ო რ ე ზ ე“ (შანიძე, 1923) (ხაზი ჩვენია — გ. გ.). ამ მსჯელობამ ერთი სერიოზული კითხვა გააჩინა: დიალექტური სახესხვაობანი ერთი და იმავე ქრონოლოგიური დონის მონაცემები უნდა იყოს. აქ კი სხვადასხვა დონის მონაცემებზეა საუბარი. ხანმეტი ძეგლები V-VII საუკუნეების ფაქტია, ჰაემეტი ძეგლები — VII-IX საუკუნეებისა. სარწმუნო და დამაჯერებელია ა. შანიძის პასუხი ამ კითხვაზეც: „ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, რომ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ, რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე. მაგრამ კიდევაც რომ გამოირკვეს საბოლოოდ, რომ სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სალიტერატურო ენას, ეს მაინც არ მოგვცემს იმის საბუთს, რომ ჰაე ისტორიულად ხანის განვითარების მეორე საფეხურად ვცნოთ. რა ერქვა სახელად იმ ტომს, რომელიც ხანმეტ კილოზე ლაპარაკობდა და წერდა, ან იმას, რომელსაც ჰაემეტობა ახასიათებდა, არ ვიცით; არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ როგორი იყო მათი გეოგრაფიული საზღვრები. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (ასე ვთქვათ, მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰაემეტი კილო კი მის დასავლეთით“ (შანიძე, იქვე, გვ. 361) (ხაზი აქაც ჩვენია — გ. გ.). ა. შანიძის აზრით, ძველი სალიტერატურო ქართულისათვის საორიენტაციო დიალექტის ცვლის მიზეზი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის დასავლეთით გადანაცვლება უნდა ყოფილიყო.

ზ. სარჯველაძის აზრით, „ა. შანიძის ამ მოსაზრების დამადასტურებლად გამოდგება ის ფაქტი, რომ ხანმეტი წარწერები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონშია (ბოლნისი, უკანგორა, მცხეთა) აღმოჩენილი, ხოლო ჯერჯერობით ერთადერთი ჰაემეტი წარწერა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში (წყისე) არის ნაპოვნი“ (სარჯველაძე, 1984). (წყისე მდებარეობს ადიგენის რაიონში, სოფ. უდის მახლობლად).

ასე რომ, ვფიქრობთ, დამაჯერებელია ვარაუდი ძველ ქართულში ამ ორი დიალექტის (თუ დიალექტური ჯგუფის) არსებობის შესახებ.

გეოგრაფიული სახელების ანალიზის საფუძველზე ა. შანიძე გამოყოფს კიდევ ერთ დიალექტურ ერთეულს — „**ევ** კილოს“. **-ევ** მრავლობითის **-ებ** სუფიქსის ვარიანტად მიიჩნევა. იგი გავრცელებული უნდა ყოფილიყო „როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით, განსაკუთრებით ხშირად კი ყვირილისა და ძირულის ხეობებში, რამდენადმე აგრეთვე რიონის სათავეებში, ე. ი. ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ასეთი სახელების გავრცელების არე აღმოსავლეთით ივრის ხეობამდე უწყვეს“ (ა. შანიძე, 1981^ბ). საუბარია ისეთ ტოპონიმებზე, როგორიცაა **ვაშლ-ევ-ი, ხუნ-ევ-ი, ბჟინ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი, პერ-ევ-ი, ბელ-ევ-ი** და სხვ.

ევ სუფიქსის გავრცელების გეოგრაფია ზუსტდება: „ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის გავლენის ფარგლებში იყო მოქცეული: ქართულისა, ზანურისა და სვანურისა... ამ კილოზე (თუ ენაზე) მოუბარო შეგვიძლია პირობით მარგველები ვუწოდოთ, ხოლო თვით კილოს — მარგული“ (შანიძე, 1981^ბ) (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

ამგვარად, ა. შანიძის აზრით, ძველი ქართულისათვის სამი დიალექტი (თუ დიალექტური ჯგუფი) უნდა გამოიყოს:

1. ხანმეტი
2. ჰაემეტი
3. მარგული.

ცხადია, ამ კილოებს მხოლოდ თითო ენობრივი ფაქტი არ განასხვავებდა ერთმანეთისაგან (ხანმეტობა-ჰაემეტობა თუ -ევ სუფიქსი). მარგული კილოს შემთხვევაში მიანიშნებს კიდევ ა. შანიძე: „ამ კუთხის მოსახლეობის ენას, **ევ** სუფიქსის გარდა, უეჭველია, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან“ (იქვე) და ასახელებს კიდევ: ფო-

ნეტიკის მხრით, აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება შიშინა ბგერები: ბჟინევი, მერჯევი, ვაჭევი, ჭოლევი, ჭიბრევი. ამის მიხედვით **ეგ** „კილო“ ახლოს უნდა მდგარიყო ზანურთან (იქვე).

შესაძლებელია, მომავალმა კვლევა-ძიებამ სხვა თავისებურებებიც გამოავლინოს ამ დიალექტებისა...

ვფიქრობთ, ძველი ქართულისათვის შესაძლებელი არის კიდევ ერთ დიალექტურ ერთეულზე (თუ დიალექტთა ჯგუფზე) საუბარი. პირობითად ამ დიალექტს (თუ დიალექტთა ჯგუფს) ფ ხ ო უ რ ი შეიძლება ვუწოდოთ.

ტ ე რ მ ი ნ ი ს ა თ ვ ი ს: ახალი ქართულის მთის კილოების განხილვისას ა. შანიძე წერს: „ხევსურული, მოხეური, თუშური და ფშაური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს, რომელსაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრების გამო, მე ფ ხ ო უ რ ს ვუწოდებ“ (შანიძე, 1981¹). ვფიქრობთ, გამართლებული იქნება ამ ტერმინის გამოყენება ჩვენთვის საინტერესო დიალექტური ერთეულისათვის — აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილში გავრცელებული ქართული მეტყველებისათვის. რა საფუძველი გვაქვს ისტორიულად ქართულში გამოცხადებულ ფხოური დიალექტი?

ხმოვანკომპლექსთა ფონეტიკური პროცესების განხილვისას ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა — **მო-** და **შე-** ზმნისწინთა „ა ხმოვნის ვარიანტების გავრცელების სიხშირე უკუპროპორციულია ფონეტიკურ პროცესთა ინტენსიობისა“ (გოგოლაშვილი, 2000²). ფაქტია: ფონეტიკურ პროცესთა ინტენსიობა იზრდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მთიდან ბარისაკენ. ყველაზე მეტად ხმოვანკომპლექსთა ფონეტიკური პროცესები შეზღუდულია ხევსურულში, ყველაზე მეტად აქტიურია აჭარულში (ძიძიგური, 1946; გოგოლაშვილი, 1974). ეს ფაქტი კიდევ ერთი არგუმენტია იმ თვალსაზრისისა, რომ **მო-/ მა-, შე-/ შა-** ზმნისწინათა შემთხვევაში ამოსავალი არის **ა** ხმოვნის ვარიანტები (დევტერსი, 1930; მარტიროსოვი, 1958; გამყრელიძე, 1959; კაჭარავა, 1973; გოგოლაშვილი, 1974).

ამგვარად, საქმე გვაქვს ძალზე საინტერესო ფაქტთან: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე წერილობით ძეგლებში დადასტურებულია ზმნისწინთა მხოლოდ **მო-** და **შე-** ვარიანტები, ე. ი. მეორეული ვარიანტები.

საშუალო ქართულის წარწერებსა თუ სხვა სახის წერილობით ძეგლებში (XII-XV საუკუნეებისა) თავს იჩენს **მა-** და **შა-** ვარიანტები,

რომლებიც დიალექტიზმებად არის კვალიფიცირებული (სარჯველაძე, 1985 და სხვა).

როგორც ჩანს, ძველ ქართულ ენაში არსებობდა ფონეტიკური ვარიანტები ზმნისწინთა **მო-/ მა-, შე-/ შა-**; მათი განაწილება დიალექტური იყო: ამოსავალი, **ა-** ხმოვნიანი ვარიანტები დაცული იყო ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში; ხოლო მეორეული (მო-, შე-) ვარიანტები — ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლურ და სამხრეთ-დასავლურ არეალში, იქ, სადაც ფონეტიკური პროცესი **ა > ე, ა > ო** დასაშვები იყო. გეოგრაფიულად ხანმეტ, ჰაემეტ და მარგულ დიალექტებში.

ფაქტია, ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის საყრდენი იყო სამხრეთ-აღმოსავლური (ე.წ. ხანმეტი), სამხრეთ-დასავლური (ე.წ. ჰაემეტი) თუ ცენტრალური (ე.წ. მარგული) დიალექტები. შესაბამისად, სალიტერატურო ენის ფაქტად იქცა სწორედ წარმოშობით მეორეული ვარიანტები, ხოლო ამოსავალი ფონეტიკური სახე დიალექტურად იქნა კვალიფიცირებული.

ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ენა არის მკაცრად ნორმირებული, განსაზღვრავს იმას, რომ **მა-** და **შა-** ვარიანტები ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სალიტერატურო ენის მიღმა აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც შეირყა ძველი ქართული სალიტერატურო ენა, შემოაღწია წერილობითი ძეგლების ენაში ამოსავალმა, **ა-** ხმოვნიანმა ვარიანტებმა, რომლებიც ძირითადი იყო (პირიქითა ხევსურულში კი დღესაც ერთადერთი) სწორედ ფხოური დიალექტისათვის.

ასე რომ, ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლური არეალი ამ მონაცემთა მიხედვით შეიძლება ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოიყოს — საპირისპიროდ სხვა არეალებისა.

ძველი ქართული ენის ფხოური დიალექტისათვის შეიძლებოდა სხვა დამახასიათებელ ნიშნებზეც გვესაუბრა: ხევსურულსა და მოხეურ დიალექტებში **ს₃** პირის ნიშანი **-ო** არ გვხვდება, **-ა** სუფიქსი გვაქვს ყველა შემთხვევაში: აიღა, გაიგა... ეს ზმნები წყვეტილის ფორმებს **-ი** სუფიქსით იწარმოებენ: ავიღი, გავიგო... აქ საქმე არ უნდა გვქონდეს **-ა** სუფიქსის უნიფიცირებასთან: **-ო** სუფიქსი ამ დიალექტებში არ ივარაუდება ისტორიულადაც; შესაბამისად, არ ივარაუდება არც **-ო** სუფიქსი II კავშირებითის მაწარმოებლად (გოგოლაშვილი 2000^ბ).

ძველი და ახალი ქართული ენის ძეგლების შესწავლამ, ერთი მხრივ, და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთა ჩაღრმავე-

ბულმა ანალიზმა, მეორე მხრივ, ამ არეალისთვის ისტორიულად დამახასიათებელი ფაქტები და მოვლენები შეიძლება გაამრავლოს. ამჯერად კი ის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი ქართული ენისათვის ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლური არეალი შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად. ამ დიალექტს პირობითად **ფხოური** შეიძლება დაერქვას.

აქ ერთი ფაქტიც არის ღირსსაცნობი. აღნიშნავენ, რომ მთის დიალექტებში დადასტურებული არქაული მოვლენები არ გადასცდება X საუკუნეს (თ. უთურგაიძე). ჩვენ მიერ დასახელებული ფაქტები (მა და შა ვარიანტები ზმნისწინთა; სუბიექტური მესამისა და კავშირებითი მეორის მაწარმოებლად რომ არ დასტურდება -ო სუფიქსი) გაცილებით უფრო ადრინდელი ვითარების ასახვაა.

და კიდევ მსჯელობის დაზუსტებისათვის: ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტების გამოყოფისათვის სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პრეფიქსები იქნა დასახელებული. ამჯერად ვერ გავცემთ პასუხს კითხვაზე, სხვა დიალექტურ არეალებში ამ სუფიქსთა გამოყენების თვალსაზრისით რა მდგომარეობაა. ანდა **სანნარევი** ვითარება სხვა დიალექტური არეალის დამახასიათებელია, თუ ხანმეტ და ჰაემეტ დიალექტთა მომდევნო პერიოდის ფაქტი... შესაბამისი კითხვები გაჩნდება **-ვგ** სუფიქსის მიმართაც... ანდა: ინგილოურ დიალექტში რომ **S₃ -ო** სუფიქსის გამოხატვის თვალსაზრისით ხევსურულისა და მოხურის მსგავსი ვითარებაა, ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ეს როგორ აიხსნება. მოკლედ: აღძრულმა თემამ მრავალი კითხვა გააჩინა. მათზე პასუხის გაცემა მომავლის საქმეა.

თუმცა ესეც უნდა ითქვას: ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით დიალექტების გამოყოფა მეტ-ნაკლებად პირობითია. ამიტომაცაა ახალ ქართულში სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა რაოდენობა დიალექტებისა. ეს მით უფრო ითქმის ძველ ქართულზე, რადგან დიალექტთა გამოყოფის პრინციპი აქ არაერთგვაროვანია; საკლასიფიკაციო პრინციპის ცვლა კი კლასიფიკაციის ნაკლად მიიჩნევა, თუმცა სამუშაო ვარიანტად მაინც რჩება (შდრ. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ცნობილი ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების საფუძველზე ოთხი ძირითადი დიალექტი (თუ დიალექტური ჯგუფი) წარმოგვიდგება ძველი ქართული ენისათვის.

1. ხ ა ნ მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთი არეალი;
2. ჰ ა ე მ ე ტ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების სამხრეთ-დასავლეთი არეალი;
3. მ ა რ გ უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების ცენტრალური ზონა ლიხს იქითა და აქეთა საქართველოსი;
4. ფ ხ ო უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი — ქართული ენის გავრცელების ჩრდილო-აღმოსავლეთი არეალი.

ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის საორიენტაციო (საყრდენი), როგორც ჩანს, პირველი სამი მათგანი იყო სხვადასხვა დროს. ფხოური დიალექტი სალიტერატურო ენის საყრდენი არასოდეს ყოფილა. მისთვის დამახასიათებელი ფაქტები და მოვლენები (რითაც ეს დიალექტი სხვებისაგან განსხვავდებოდა) ყოველთვის დიალექტიზმებად გაიაზრებოდა.

ძველი ქართული ენის ამგვარი დიალექტური დაყოფის მიზანშეწონილობა მომავალი კვლევა-ძიებისათვის გეზის მიცემაც შეიძლება იყოს.

0.4.2. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილი დიალექტიზმების შესახებ

ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გამოვლენილი, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი დიალექტიზმების შესწავლა. მართალია, არ მოგვეპოვება დიალექტთა ადრინდელი ჩანაწერები, რის გამოც თითქმის შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ რომელი დიალექტის კუთვნილებაა ესა თუ ის ფორმა, მაგრამ მეცნიერები გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით მაინც ადგენენ მათ დიალექტურ წარმომავლობას.

ცნობილია, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა მტკიცედ ჩამოყალიბებულ ნორმებს ემყარებოდა. ეს კარგად ჩანს ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლებიდან, რომელთა ენა, ნორმათა თვალსაზრისით, ერთიანია.

როგორც ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, „მართალია, V-XI საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებს შორის ჯერჯერობით არაა ცნობილი რაიმე გრამატიკული ტრაქტატი ან ნორმათა კრებული (რაც, რა თქმა უნდა, მათი არსებობის შესაძლებლობას არ გამოორიცხავს), მაგრამ ამ

წერილობით ძეგლთა ენის შესწავლა უეჭველს ხდის იმას, რომ სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა ჩამოყალიბებული და მათ მწერლები და გადამწერები მტკიცედ იცავენ“ (სარჯველაძე, 1975, 5). ისინი სათანადო ყურადღებას აქცევენ სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას და ცდილობენ თავიანთ ნაწერებში თავი აარიდონ არასალიტერატურო ფორმებს. როგორც ჩანს, არსებობდა რედაქტორის ინსტიტუტიც, რომელიც კონტროლს უწევდა გადამწერთა საქმიანობას. მკვლევართა მიერ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში გამოვლენილია ისეთი შემთხვევები, როცა ტექსტში გადამწერის დაშვებული შეცდომა ან ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ფორმა გასწორებულია და შეცვლილია სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით. მიუხედავად ამისა, ძველ წერილობით ძეგლებში მაინც ჩანს ცოცხალი მეტყველების გავლენა და გვხვდება როგორც საერთო-სახალხო ენისათვის დამახასიათებელი ფორმები, ისე დიალექტიზმები.

ზოგჯერ არასალიტერატურო ფორმებთან დაკავშირებით გადამწერები თავიანთ თვალსაზრისს გამოხატავენ მინაწერებისა და შენიშვნების სახით, რომლებიც ორიგინალური ან ნათარგმნი ტექსტების ფურცლების არშიებზეა გაკეთებული. ამ შენიშვნებში „წიგნური“ ანუ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ, დიალექტისთვის დამახასიათებელ ფორმებთან დაკავშირებით ასეთი მინაწერები გვხვდება: **სოფლიონი** უწოდიან...; **სოფლურად** ჰქვია...; **მსოფლიოთა** ენითა ითქმის...

მოვიყვანთ ამ კომენტარების რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც გამოავლინა ზ. სარჯველაძემ. მათში კარგად ჩანს, რომ ავტორები განასხვავებენ სალიტერატურო და დიალექტურ ფორმებს, გამოვლენილი დიალექტური ფორმები კი განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

XI საუკუნის ქართველი მწერლისა და მეცნიერის, ეფრემ მცირის, მიერ თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებაში „ქრისტეს შობისათვის“ 21-ე გვერდზე იკითხება: „მითუაღევდ ყურიმალისცემათა და ჯურთით ცემასა“. ამ ადგილის გასწვრივ ფურცლის არშიაზე არის ეფრემ მცირის შენიშვნა: „ჯურთით ცემად არს: მჯილი მიმოქცევითა თითთაჲთა ძლიერად ტკივნებისა შემძლებელი, რომელსა **სოფლიონი** ქურჯ უწოდიან“. ამ შენიშვნიდან ჩანს, რომ მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს სალიტერატურო და არასალიტერატურო მეტყველებას. რაც შეეხება სიტყვა ჯურთს, როგორც ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, ეს სიტყვა, ჩანს, XI საუკუნეში უკვე არქაიზმი იყო, თორემ მთარგმნელს მისი განმარტება არ დასჭირდებოდა (სარჯველაძე, 1984, 120).

ეფრემ მცირე სხვა დროსაც გვაძლევს მსგავს განმარტებებს და ერთმანეთს უპირისპირებს „წიგნურ“ და „სოფლურ“ მეტყველებას. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანში ლექს სიტყვასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „შეისწავე, ვითარმედ ლექსი ღრმასა სიტყვასა ჰქვან **წიგნურსა**, რომელსა **სოფლურად** ნაცვალი სხუაი აქუნდეს“. მის მიერვე თარგმნილ ძეგლში „ასკეტიკონში“ ერთგან ასეთი შენიშვნა გვხვდება: „შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას მედგარსა ორი სახე აქუს: **წიგნურად** მცონარესა უჭმობს მედგარსა, ხოლო **სოფლურად** მზაკუარსა ჰქვან მედგარი თვთ ქართულსა ენასა ზედა“. ამ შემთხვევაში მეცნიერი მიგვითითებს, რომ სიტყვა მედგარს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ერთი სალიტერატუროა, მეორე კი — „სოფლური“ (სარჯველაძე, 1984, 120).

„სოფლურის“ გარდა დიალექტურის მნიშვნელობით ეფრემ მცირე იყენებს სიტყვებს: **უშუერს** და **ლიტონს**. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანის წინასიტყვაობაში იგი წერს, რომ წმინდანთა ცხოვრებათა და წამებათა ამბები თუ აღწერილია „**სოფლურითა** და **უშუერითა** სიტყვთა“, „მას გარდაკაზმვენ და მეტაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკაზმული“, ხოლო წმიდა სახარების და პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ტექსტს კი ვერავინ შეცვლის, თუნდაც „**ლიტონი**“ სიტყვა იყოს გამოყენებული. ამ მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ ეფრემ მცირე „**სოფლურს**“, „**უშუერსა**“ და „**ლიტონს**“ სინონიმური მნიშვნელობით იყენებს. ამავე დროს ამ ტექსტიდან ნათელია, რომ მწერლები და მეცნიერები ერთმანეთისაგან განარჩევდნენ სალიტერატურო ფორმებსა და არასალიტერატუროს და როცა სალიტერატურო ენაში ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, დიალექტიზმები იჩენდა თავს, რედაქტირებისას ცვლიდნენ და ასე „განაშუენებდნენ, გარდაკაზმავდნენ“ ამ ტექსტს, თუკი ეს დასაშვები იყო, „ეგებოდა კაზმვა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ ტექსტებში დიალექტური ფორმების გამოვლენა და დიალექტისათვის დამახასიათებელი ამა თუ იმ მოვლენის კვლევა ძალზე ძნელი საქმეა, რადგან არა გვაქვს დიალექტთა ადრეული ჩანაწერები. მიუხედავად ამისა, ტექსტებში მოცემული მინიშნებების მიხედვით ირკვევა ამა თუ იმ ავტორის წარმომავლობა ან ვლინდება ამა თუ იმ დიალექტის კვალი მათს თხზულებებში. ანდერძებსა და მინაწერებში გვხვდება მითითებები რომელიმე დიალექტური ფორმის გავრცელების არეალის შესახებაც. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები მცირეა.

„ანდრია სალოსის ცხოვრების“ გადამწერი აღნიშნავს: „ღმერთმან უწყის, რადცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირვე, მაგრა დედად ოდიშს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდა“ (201r-201v). ჩანს, ოდიშში შექმნილ ტექსტში დასავლური ქართული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები იყო გამოყენებული, გადამწერს კი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი იყო, არ მოსწონდა ეს ფორმები. ამავე ხელნაწერის 139-ე ფურცლის არშიაზე გადამწერს ტექსტიდან გამოუტანია სიტყვა ბარე და მიუწერია: ბარე მერულია. ამასთან დაკავშირებით ზურაბ სარჯველაძე აღნიშნავს: „სამწუხაროდ, გადამწერი ხშირად უშვებს შეცდომებს ამა თუ იმ სიტყვის დაწერისას, ამის გამო ძნელი არის, გადაჭრით ვამტკიცოთ, მას უნდა დაეწერა „იმერულია“, თუ „მეგრულია“... არსებითი მაინც ის არის, რომ გადამწერი საჭიროდ თვლის, მიუთითოს ამა თუ იმ, მისი აზრით, დიალექტური მოვლენის სადატურობის შესახებ“ (სარჯველაძე, 1984, 121-122).

ეფრემ მცირე მის მიერ ქართულად გადმოღებულ სამოციქულოს თარგმანების შენიშვნაში წერს: „შეისწავე, რამეთუ ამას სჯნოლოროსსა, რომელ არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქჳან, მიზდებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“. ილია აბულაძის აზრით, ამ შენიშვნის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეფრემ მცირე მესხი იყო. „ცხადია, ეფრემი მესხურ მეტყველებას იმიტომ მიჰმართავს, რომ იგი მესხია, — წერს მკვლევარი (საქმე მოციქულთა, გამოსცა ი. აბულაძემ, 1950).

მეცნიერთა აზრით, სამხრეთ საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ ქართული კულტურის სხვა ცნობილი მოღვაწეებიც: ბასილი ზარზმელი, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, გიორგი მცირე და სხვ. ერთ-ერთი მოღვაწე, ბასილი საათური, მის მიერ გადაწერილი კრებულის ანდერძში მესხებს შენდობას სთხოვდა, რომ დედანში გამოყენებული, მესხურისათვის დამახასიათებელი, ფორმები შეცვალა. იგი წერს: „დედასა შინა “მუნქუესვე“ დიად ეწერა და მისად ნაცვალად „მეყსელად“ დამიწერია და „ამარზაკისა“ ნაცვალად „მყის“ და ამისთვის მესხთაცა შემინდევით. ენასა ქართველთასა ესე უკეთუ მოეგუარების“ (324რ — 324ვ, სარჯველაძე, დასახ. ნაშრ.).

დიდი მწერალი და მეცნიერი არსენ იყალთოელი წარმოშობით კახელი იყო. მის მიერ თარგმნილ დოგმატიკონის ტექსტში იკითხება: „იკრეკ და იღრჳენ კბილთა და განიხერხები“. ტექსტის ერთ-ერთ გადამწერს, ზაქარია ალავერდელს, ხელნაწერის არშიაზე ასეთი მინაწერი გაუკეთებია: კახური ლექსი კრეჳად. ხოლო სხვა ხელნაწერში ამ ფორ-

მებთან დაკავშირებით ასეთი განმარტებაა მოცემული: „ლექსი კახური თვის ეყვის კბილთა: იკრეკ წინათა, იღრჭენ შუათა, იკრჭენ უკუანათა“. აქ დასახელებული და განმარტებულია იკრეკ, იღრჭენ და იკრჭენ ფორმები, რომლებშიც ბგერწერით არის გადმოცემული შინაარსის ნიუანსობრივი სხვაობა და მითითებულია, რომ ისინი კახური დიალექტისთვის ყოფილა დამახასიათებელი.

სამწერლობო ენისაგან გამოარჩევს დიალექტიზმებს სულხან-საბა ორბელიანიც. თავის ლექსიკონში ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას მას მოჰყავს ამ სიტყვის დიალექტური შესატყვისიც.

დიალექტურ, „**გლენურ**“ სიტყვებად მიაჩნია საბას ტაბუხი (მუხლის-თავი გლენურად), დალორტება (**დალორტება** ფინთად დასველება გლენურად **Z**); ფიცხლა (**ფიცხლა** სოფლურად სწრაფად **B**); ქა (**ქა** ქალი, ნაკვეთი გლენურად **ZA**); სვლა (**სვლა** გლენურია, სლვა უნდა **AAB**); აყირო (**აყირო** არს მსგავსი საწდისა, ვიეთნი **კვანად** უწოდებენ) და სხვ. ზოგჯერ საბა აღნიშნავს, რომელი დიალექტისათვის არის დამახასიათებელი ესა თუ ის ფორმა: „მარტული ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, ხოლო **მესხნი** ყრმასა უწოდენ“; „უარე იარე **მესხურად**“.

იმ ფორმათა დიდი ნაწილი, რომელთაც საბა დიალექტურ ან სასაუბრო, არალიტერატურულ ფორმებად მიიჩნევს, დღეს უკვე სალიტერატურო ენის კუთვნილებაა. ასეთია: არწივი, ტარი, ტყავი, ბუდე (=შალითა), კვიცი და სხვ. (ბაკურიძე, 1998). ამავე დროს სულხან-საბას ლექსიკონში გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებსაც არ ახლავს მითითება, რომ ისინი დიალექტურია, მაგრამ ეს ფორმები დღეს ამა თუ იმ დიალექტშია დადასტურებული, სალიტერატურო ქართულში კი — არა. ასეთია, მაგალითად, **ლუყი** — ენა-ბრგვნილივით (საბა), დასტურდება გურულში: „სიცხარეს მოკლებული საჭმელი“ (გ. შარაშ.), ლუყი კაცი — „უფხო, დონდლო კაცი“ (გ. შარაშ.);

ლღავი — ლოქო, „ლოქო სომხურია, ქართულად ლღავი და ლღანი ჰქვიან“ (საბა), დასტურდება იმერულსა და გურულში: „ლოქოს იმერეთში უწოდებენ ლღავს“ (ბ. ჯორჯ., ქეგლ);

წაქი — „განაწური წვენი მაწვნისა და მისთანათა, რაიც გაიწურების“, თანამედროვე ქართულში გვხვდება ქვემო იმერულში და იგივეა, რაც შრატია.

შესაძლოა, ეს სიტყვები საბას დროს სალიტერატურო ენის ლექსიკური ერთეულები იყო, თუმცა, არ არის გამორიცხული, მაშინაც დიალექტური ლექსიკური ფორმები ყოფილიყო, რაკი არ ახლავს ლიტერატურულ წყაროზე მითითება და არც ტექსტებში გვხვდება. დი-

ალექტური ჩანს სულხან-საბას ლექსიკონში წარმოდგენილი კიდევ არაერთი სიტყვა, მაგრამ ამჯერად მათზე აღარ შეგჩერდებით.

* * *

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ დიალექტურ ლექსიკაზე. ძველ სალიტერატურო ენაში, გარდა დიალექტური ლექსიკისა, სხვა მხრივაც შეინიშნება დიალექტების გავლენა. 1920 წელს ა. შანიძე წერდა: „ძველი სალიტერატურო ენა, რომელიც შორიდან და ზერეღე გადათვალიერებით ერთ მთლიან მონოლითად გვეჩვენება, ახლოს რომ დავაკვირდით და გულდასმით გადავსინჯეთ, ერთგვარი მასალისაგან ნაშენები არ აღმოჩნდა. მასში, სხვათა შორის, გვარიანი ადგილი სჭერია ანომალიებს, რომელთაგანაც ზოგი განვითარებულია თვით იმ კილოს ნიადაგზე, რომელიც საფუძვლად უძევს ძველ სამწერლო ენას, მაგრამ ზოგი სხვა კილოებისაგან შემოტანილი ჩანს“.

ზოგი მოვლენა, რომელიც ძველ ქართულ სამწერლობო ენაში ჩანს, მეცნიერთა აზრით, ისტორიული დიალექტების არსებობით აიხსნება. ამგვარად ხსნის ა. შანიძე ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს შორის განსხვავებას. ამაზე ზემოთ იყო საუბარი და აქ აღარ შეგჩერდებით.

ისტორიული დიალექტების არსებობას დაუკავშირა არნ. ჩიქობავამ მახვილის საკითხი ძველ ქართულში. მისი აზრით, ზოგ დიალექტში სიტყვას მახვილი დასაწყის მარცვალზე მოუდიოდა, ზოგ დიალექტს კი — ბოლო მარცვალზე. ამის შესაბამისად ხდებოდა მარცვლის რედუქცია ან სიტყვის თავში, ან სიტყვის ბოლოში.

ქართული ენის ერთ-ერთი ისტორიული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი ყოფილა ი-ს ქცევა ჟ-დ ხმოვნის წინ ერთი მარცვლის ფარგლებში, როგორც ეს გ. ახვლედიანმა გაარკვია: ი>ა>ჟ. ვჟარები ნიშნავს ვიარები, ჟარე — იარე.

იმ მოვლენების გარდა, რომლებიც ისტორიული დიალექტების არსებობით აიხსნება, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ვლინდება ზოგი ისეთი მოვლენა, რომლებიც დიალექტური წარმომავლობისაა და ეს მოვლენები თანამედროვე დიალექტებშიც იჩენს თავს. ასეთია ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია: დასჯერდების → დაშჯერდების, მოგცემ → მოქცემ... დისიმილაცია: სახლეული → სახლეური, შამფური → შანფური... მეტათეზისი: სიღრმე → სირღმე, ბგერათა დაკარგვა: თაფლსა → თაფსა, უსწრობდა → უსრობდა... ბგერათა განვითარება: სიტკბოება → სიტკბოვება, ქვიშა → მქვიშა ... ბგერათა შერწყმა: ერთ სახე → ერცახე და სხვ.

ძველ ტექსტებში გამოვლენილია დიალექტური წარმომავლობის მორფოლოგიური თავისებურებანი. კერძოდ, სახელებში -თვის და -მდე, -მდის თანდებულები გვხვდება -თვინ და -მდენ, -მდინ ვარიანტებით: მისთვინ, რჩეულთათვინ, ვიდრემდენ, დღემდენ, ჟამამდინ, წელთამდინ, აქამომდინ..., რაც სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი.

X-XII საუკუნეების წერილობით ძეგლებში გვხვდება ზოგი ნაცვალსახელისა და ზმნიზედის დიალექტური ფორმები. მკვლევართა აზრით, დიალექტური მეტყველების მკაფიო ნიმუშია ისი ნაცვალსახელი, მიცემითში — იმას, ასევე ჰასე ჩვენებითი ნაცვალსახელი და მისგან მიღებული ფორმა: ჰასეთ. ძველ ხელნაწერებში ასევე დასტურდება დიალექტური წარმოშობის ზმნიზედები: ეგთავე, ისთე, ისრე, ჰასერა, აგერა, იგერ, აქან, არღარასადეთ. მათი უმეტესობა თანამედროვე დიალექტებშიც გვხვდება, ზოგი კი მხოლოდ ისტორიული დიალექტების კუთვნილებათაა (ეგთავე, აქან, არღარასადეთ).

ძველი ქართული ენის ზოგ ძეგლში -ავ და -ამ თემის ნიშნები | სერიის სავრცობიან მწკრივებში -ევ და -ემ ვარიანტებითაა წარმოდგენილი: ილოც-ევ-დ-ა, ჰბაძ-ევ-დ-ა, ჰკითხ-ევ-დ-ა, ვასუ-ემ-დ-ეთ... ეს მოვლენა ამჟამად დამახასიათებელია აღმოსავლეთი საქართველოს დიალექტებისათვის. ასევე აღმოსავლური კილოებისათვისაა დამახასიათებელი სტატიკური ზმნების ერთ ჯგუფში აწმყოში -იან დაბოლოების გამოყენება, რაც ჯერ კიდევ ხანმეტ მრავალთავში, სვანეთის მრავალთავსა და სხვა ძველ ტექსტებში დასტურდება: მრცხვენიან, ემინიან, სურნიან...

II ბრძანებითში -ე მწკრივისნიშნიან ზმნებთან თავს იჩენს -ევი დაბოლოება (შემინდევი, დაასევი), რაც დღეს ქართლური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

მორფოლოგიური თავისებურებების გარდა ძველ ტექსტებში მნიშვნელოვანია სინტაქსური თავისებურებანი, რომელთაც ასევე დიალექტური წარმომავლობა აქვთ. ერთ-ერთი ასეთი სინტაქსური მოვლენაა მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტი გარდაუვალ ზმნასთან: ღმერთმან შეეწიენ, მღვდელმან მოდრკეს... ეს მოვლენა დღესაც გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთი საქართველოს, ისე დასავლეთი საქართველოს დიალექტებში.

დიალექტური წარმომავლობისაა -ყე ნაწილაკი, რომელიც წერილობით ძეგლებში XII საუკუნიდან იჩენს თავს და როგორც ირიბი, ისე

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს: რა უკუე გნებავსუე, ნუ იტვირთავთუე ბალანტებსა.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე მსჯელობის საკითხია, რომელ დიალექტურ ჯგუფს ახასიათებდა ძველ ქართულში ესა თუ ის მოვლენა, რომელიც სხვადასხვა წერილობით ძეგლშია დადასტურებული და დღევანდელი ქართულის ამა თუ იმ კილოშია წარმოდგენილი. შესაძლებელია ეს მოვლენები იმ დროს სხვა კილოებსაც ახასიათებდა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ სამწერლო ენაში მრავლად ჩანს ამა თუ იმ დიალექტის გავლენა და სხვადასხვა ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენის დიალექტური წარმომავლობა.

0.5. ქართული ენის დიალექტების შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა და ამოცანები

ქართული ენის დიალექტების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა შემუშავებულ იქნა დიალექტების კვლევის პრინციპები და დაიწყო მათი სისტემური აღწერა, თუმცა ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეების ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებში არის მოცემული ცნობები ქართული ენის დიალექტების შესახებ, ნახსენებია ქართული კილოკავების თავისებურებები და აღნიშნულია მათი შესწავლის საჭიროება.

ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის აღწერისას მათ მოკლე ენობრივ დახასიათებასაც იძლევა. იგი მიუთითებს ცალკეული კილოების მსგავსებასა და განსხვავებაზე, გვაწვდის საქართველოს ტოპონიმებს და მათს ეტიმოლოგიებს, რომლებიც ძირითადად ხალხური წარმომავლობისაა.

დიალექტური ლექსიკა ნაწილობრივ წარმოდგენილია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“. მართალია, იგი ძირითადად დოკუმენტირებული ლექსიკონია, რომლის წყაროებად ავტორს გამოყენებული აქვს იმდროინდელი მხატვრული, ისტორიული და ფილოსოფიური ხასიათის ტექსტები, მაგრამ მასში წარმოდგენილია ხალხური მეტყველება და შიგადაშიგ — დიალექტური ფორმებიც.

ქართველურ ენათა ცოცხალი მეტყველების ნიმუშები პირველად ჩაუწერიათ უცხოელ მოგზაურებსა და მისიონერებს. XVII საუკუნის 80-იან წლებში თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ თავის წიგნში რამდენიმე გვერდი დაუთმო მეგრულ და ქართულ სიტყვებსა და ფრაზებს (ს. ჯიქია). ამავე პერიოდში ერთმა რომაელმა მისიონერმა მესხეთში ჩაიწერა ორი ზღაპარი, რომლებიც მეტად საყურადღებოა როგორც ფოლკლორული, ისე ენათმეცნიერული თვალსაზრისით (ტექსტი შეისწავლა და გამოაქვეყნა ე. ვირსალაძემ). ეს ტექსტები ითვლება პირველ ქართულ დიალექტოლოგიურ ჩანაწერებად.

XVIII საუკუნეში გიულდენშტედტმა იმოგზაურა ამიერკავკასიაში და მრავალი ენის, მათ შორის ქართულის, სიტყვები ჩაიწერა. შემდგომში ეს ჩანაწერები გამოიყენა, შეავსო და გამოაქვეყნა კლაპროთ-

მა. სხვადასხვა დიალექტური ფორმა გვხვდება პალასის, იანკევიჩ დე მიროს, პაოლონის ლექსიკონებში.

XIX საუკუნეში ქართველურ ენათა კილოებს და მათს მონაცემებს თავიანთ ნაშრომებში განიხილავდნენ უცხოელი მეცნიერები: ფრ. ალტერი, მ. ბროსე, რ. ერკერტი, პ. შუხარდტი, გ. როზენი, პრ. აჭარია-ნი და სხვ.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართველმა მწერლებმა და მკვლევრებმა დაიწყეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზეპირსიტყვიერების მასალების მოძიება და შეკრება, მაგრამ ეს ხდებოდა ლიტერატურული და ეთნოგრაფიული დანიშნულებით და არა დიალექტების ენათმეცნიერული შესწავლის მიზნით. ამდენად ეს მასალა დიალექტური მეტყველების შესასწავლად სანდო არ არის, მაგრამ, როგორც ვ. თოფურია აღნიშნავდა, მაინც მნიშვნელოვანი იყო დიალექტური ლექსიკონის შესადგენად და მოვლენის წინასწარ აღსაწესად. ფოლკლორული მასალის შეკრება-გამოქვეყნების თვალსაზრისით განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს თ. რაზიკაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, ა. წერეთელმა, პ. უმიკაშვილმა, ივანე და კონსტანტინე გვარამაძეებმა, ზ. ბილანიშვილმა, ივ. ბუჭურაულმა, ს. გაჩეჩილაძემ, კ. კალანდაძემ და სხვ.

ცალკეული დიალექტოლოგიური დაკვირვებანი გვხვდება არქეოლოგთა და ისტორიკოსთა ნაშრომებშიც. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც გურიის შესახებ მეცნიერული გამოკვლევა დაწერა. მან საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის დავალებით იმოგზაურა გურიასა და აჭარაში და მისი არქეოლოგიური, ისტორიული, ენათმეცნიერული დაკვირვებანი გამოიცა ცალკე წიგნად: „*Археологическое путешествие по Гурии и Адчаре*“, 1878.

ქართული ენის დიალექტების სისტემური მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო. როდესაც ნიკო მარმა იმოგზაურა შავშეთ-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო ადგილების შესასწავლად, მან ჩაიწერა დიალექტოლოგიური ტექსტებიც და შეიტანა დღიურებში, რომლებიც მეცნიერის ამ მოგზაურობას აგვიწერს. ეს იმერხეული (კლარჯული) ტექსტები და მათი მოკლე ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტის გამოკვლევასთან ერთად გამოქვეყნდა 1911 წელს. შემდგომში მარმა თავის მოწაფეებს მისცა გეზი და მიმართულება დიალექტების კვლევისათვის. ვ. ბერიძემ, ა. შანიძემ, ი. ყიფშიძემ დაიწყეს ქართველური ენების დიალექტების აქტიური შესწავლა.

ვ. ბერიძემ შეადგინა პირველი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონი — „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“. წიგნი გამოიცა 1912 წელს პეტერბურგში აკად. ნ. მარის რედაქტორობით. იგი წარმოგვიდგენს ორი კილოს (რაჭულისა და იმერულის) ლექსიკურ თავისებურებებს. განმარტებულია საყოფაცხოვრებო დარგების, ყოფითი რეალიების, რწმენა-წარმოდგენების ამსახველი, ასევე წყევლისა და შელოცვისათვის დამახასიათებელი ტერმინები და სიტყვები, რომელთა უმეტესობა უკვე იმ დროს ამ კუთხეებში აქა-იქლა იყო შემორჩენილი. ლექსიკონში დიალექტური ფორმების განმარტებებთან ერთად წარმოდგენილია მდიდარი საილუსტრაციო მასალა.

1911-1913 წლებში სტუდენტი აკაკი შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტმა მიაგვლინა ფშავსა და ხევსურეთში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესაკრებად და ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესასწავლად. 1916 წელს კი იგი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით სამეცნიერო მიზნით იყო სამეგრელოსა და რაჭაში, სადაც კრებდა დიალექტოლოგიურ მასალებს.

ა. შანიძემ თავდაპირველად ნაშრომში „პროგრამა ქართული ენის დიალექტური მასალის შესაკრებად“ (თანავტორი — ი. ყიფშიძე, რედაქტორი — ნ. მარი), შემდგომში კი თავის მოგზაურობის ანგარიშსა და გამოკვლევაში „ქართული კილოები მთაში“ ჩამოაყალიბა ქართული დიალექტების მეცნიერული ღირებულება და შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები, გააშუქა ზოგი თეორიული საკითხი, კერძოდ, ლიტერატურული ენისა და დიალექტების მიმართება. მან მეთოდური მითითებების სახით ჩამოაყალიბა დიალექტური მასალის შეკრების პრინციპები. „ყველა ფორმა უნდა ჩავწეროთ ისე, როგორც რეალურად არსებობს; ყურადღება უნდა მიექცეს შესაკრები მასალის არა იმდენად რაოდენობას, რამდენადაც ხარისხს“, — წერს იგი.

თავის სტატიაში „ქართული კილოები მთაში“ ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ქართულის შესწავლა საჭიროა წარმართოს ორი მთავარი მიმართულებით — ისტორიული გრამატიკისა და დიალექტოლოგიის; „აუცილებლად საჭიროა ქართულის ცოდნა ისტორიულად და გეოგრაფიულად, სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა წიგნის ფურცლებზე უკვე გაქვავებული ენის შესწავლა და მასთან ერთად ცოცხალი, მოძრავი ენის (ე. ი. კილოების) გამოკვლევა. ეს ორი პროცესი ხელიხელჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდეს“. „მკვლევარს არაფერი ეთქმის მასალების უქონლობაზე ორსავე დარგში, ე. ი. ქართულის შესასწავლად დროსა და სივრცეში, ისტორიულ გრამატიკასა და დიალექტოლოგია-

ში, რადგან ქართული ენა წერილობითი ძეგლებითაც მდიდარია და ცოცხალი კილოებითაც“ (შანიძე).

ქართული დიალექტოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელია აგრეთვე მ. ჯანაშვილი. 1896 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, რომელშიც დამატების სახით წარმოდგენილია დაახლოებით 700 ინგილოური სიტყვის განმარტება და ინგილოური დიალექტის თავისებურებანი. შემდგომში, 1911-1913 წლებში, მკვლევარმა ცალკე ორ ტომად („საინგილო“) გამოსცა უფრო ვრცელი ნაშრომი საინგილოსა და ინგილოური დიალექტის შესახებ. ინგილოურის გარდა მ. ჯანაშვილი იკვლევდა მეგრულ-ლაზურს, სვანურსა და მთის დიალექტებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა დიალექტოლოგიური მუშაობა, რომელსაც წარმართავდნენ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებლები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, და მასში ჩართული იყო მათი მოწაფეების მთელი პლეადა.

სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის შექმნისა და კადრების მომზადების შემდეგ დიალექტების შესწავლის საქმეში ჩაერთნენ ქუთაისის, გორის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, თელავის პედაგოგიური სასწავლებლების ქართული ენის კათედრები და მათი მეშვეობით სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. კვლევა წარიმართა ეთნოგრაფიული კუთხეებისა და გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. იკრიბებოდა ტექსტობრივი და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალა, რომლის საფუძველზეც იქმნებოდა დიალექტოლოგიური ლექსიკონები და თეორიული ნაშრომები თითოეული დიალექტის შესახებ. მეტ-ნაკლები სისრულით დამუშავდა ყველა დიალექტი. ბევრი მათგანის შესახებ გამოიცა მონოგრაფიული გამოკვლევა. ცალკეული დიალექტების შესწავლასთან ერთად მკვლევართა მიზანი იყო მიღებული შედეგების შეფასება და განზოგადება ქართული ენის ისტორიისა და ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

მოკლედ შევეხებით ძირითად ნაშრომებს, რომლებიც ამ მუშაობის საფუძველზე შეიქმნა.

საენათმეცნიერო საზოგადოების დავალებით 1923 წელს ვ. თოფურია მივლინებული იყო ქართლში, კერძოდ, გორის მაზრაში. მეცნიერმა ქართლურისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფაქტების შესასწავლად შემოიარა ტყვიავის რაიონი, რომელიც მაშინ 24 სოფელს მოიცავდა; ასევე მეჯვრისხევი, შინდისი, ღირბი, ქურთა, ზემო ნიქოზი,

ქვემო ხვითი და სხვა სოფლები. დიალექტის შესწავლის გარდა ვ. თოფურიას მიზანს წარმოადგენდა აგრეთვე აღნიშნულ რეგიონში დაცული სიძველეების დათვალიერება-აღწერა, ტაძრებზე შემორჩენილი, ასევე ხატების და ჯვრის წარწერების გადმოღება.

მკვლევარმა თავისი დაკვირვებები გააცნო კოლეგებს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომებზე 1924 წლის 23 და 30 დეკემბერს, შემდგომში კი ნაშრომი „ქართლური ფონეტიკა და მორფოლოგია“ დაიბეჭდა მოწაფეების მიერ ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში — „არილში“ 1925 წელს (ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია ვ. თოფურიას შრომების მე-2 ტომში, თბილისი, 2002 წ.).

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი აყალიბებს იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც უნდა შეისწავლონ დიალექტი. „უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქართლურისათვის დამახასიათებელ ყველა თავისებურებათა აღნუსხვა. მაგრამ თავისებურებათა აღნუსხვისას ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ რომელსამე გარკვეულ კილოს ან ლიტერატურულად ჩამოყალიბებულ ენას შესადარებლად, რომ ეს სხვაობა უფრო თვალსაჩინო და ნათელი იყოს. შედარებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელად თანამედროვე ლიტერატურული ქართული უნდა ჩაითვალოს. მართალია, დღევანდელ სამწერლობო ენას ხელოვნურობის გარდა ფორმათა მერყეობაც ახასიათებს, მაგრამ უკეთესი დასაყრდენი არ მოგვეპოვება“, — წერს იგი. დიალექტის მიმოხილვისას ვ. თოფურია, ტრადიციულად, განიხილავს ჯერ ფონეტიკას, შემდეგ მორფოლოგიასა და სინტაქსს, მე-4 თავში კი წარმოგიდგენს ქართლურის ზოგ მსგავსებას ძველ ქართულთან.

დიალექტების შესწავლას და მასთან დაკავშირებულ ზოგადთეორიულ საკითხებს ეხებოდა თავის ნაშრომებში არნ. ჩიქობავა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთობა. „სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, მაგრამ იგი სავსებით არაა თანხვედრილი არც ერთ დიალექტთან... თვით შექმნის მომენტშიც კი სალიტერატურო ენა ერთგვარად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთავარი მასაზრდოებელი წყაროს, ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც. განსაკუთრებით ეს ეხება ლექსიკას. ლექსიკისაგან განსხვავებული ვითარება გვაქვს ფონეტიკისა და მორფოლოგია-სინტაქსის მხრივ: ამ დარგების დიალექტური ვარიანტები სალიტერატურო ენაში რომ შემოიჭრას, სალიტერატურო ენას კი არ გაამდიდრებს, არამედ ააჭრელებს და დააძახუნებს.“

1936 წელს ახლადდაარსებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სალექსიკონო განყოფილებამ გამოსცა დიალექტოლოგიური კრებული — „ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, ტბილისი, 1938“. მასში წარმოდგენილი იყო სამი დიალექტის მასალა: ძველ ზნე-ჩვეულებათა სახელწოდებები, ძველი იარაღებისა და ტანსაცმლის ტერმინები, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგსა და საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული სიტყვები. გურული სალექსიკონო მასალა შეკრებილი და დამუშავებული იყო დამსახურებული მასწავლებლის, გ. შარაშიძის, მიერ (1848-1932 წ.წ.), რომელიც თითქმის 60 წლის მანძილზე მუშაობდა მასწავლებლად გურიაში, აკვირდებოდა და სწავლობდა ამ კუთხისათვის დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებებს; ზემოიმერული ლექსიკა შეკრიბა და შეისწავლა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ბ. წერეთელმა, ლეჩხუმური კი — ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტმა მ. ალავიძემ. მთელი მასალა შეამოწმა და პირველადი რედაქცია გაუკეთა პროფ. გ. ახვლედიანმა, კრებული გამოიცა ვ. ბერიძის რედაქციით.

1936 წელს გამოიცა დოც. ს. ჟღენტის „გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი“. ნაშრომი წარმოადგენს ამ დიალექტის შესახებ პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას. ავტორი შესავალში წარმოგვიდგენს გურული კილოს შესახებ მანამდე არსებული ლიტერატურისა და გამოქვეყნებული გურული ტექსტების კრიტიკულ მიმოხილვას; შემდეგ თავში არის მსჯელობა გურული კილოს ადგილზე სხვა ქართულ კილოთა შორის; შემდეგ კი მოცემულია გურულის მთავარი თავისებურებანი ტრადიციული თამნიმდევრობით: ფონეტიკა; მორფოლოგია; სინტაქსი; ლექსიკის თავისებურებანი და გურული კილოს მიმართება სხვა ქართულ კილოებთან. გამოკვლევას ერთვის რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე. წიგნში თეორიული ნაწილის შემდეგ წარმოდგენილია ავტორის მიერ ჩაწერილი სხვადასხვა ხასიათის ტექსტები (ზღაპრები, ლექსები, პოემები, შელოცვები, საუბრებიდან ჩაწერილი ფრაზები) და ლექსიკონი.

ამავე წელს ჯ. ნოღაიდელმა გამოსცა „აჭარა დიალექტოლოგიურად“, ბათუმი. ამ გამოკვლევას ახლდა დანართი „აჭარულში შემჩნეული უცხო სიტყვები“.

1956 წელს გამოიცა არ. მარტიროსოვისა და გრ. იმნაიშვილის „ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ“. ნაშრომი წარმოადგენს კახური დიალექტის მონოგრაფი-

ულ მიმოხილვას, რომელშიც ვრცლად არის განხილული კახურის ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები და ლექსიკა, აღწერილია ყველა ის სპეციფიკური მოვლენა, რომელიც კახურს ახასიათებს და შედარებულია სხვა დიალექტებთან. წიგნის შესავალ ნაწილში მოცემულია კახეთის მოსახლეობის შედგენილობის აღწერა, კახურის შესწავლის მდგომარეობა და კახურისათვის დამახასიათებელი მოვლენები, რომლებიც დასტურდება კახეთში შედგენილ XV-XVIII სს. ისტორიულ საბუთებში და მწერალთა ენაში. წიგნში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ტექსტები: სათავგადასავლო ამბები, გადმოცემები, თქმულებები, ზღაპრები, საუბრის დროს ჩაწერილი ფრაზები და სხვა. ნაშრომს ბოლოს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ძირითადად ის სიტყვები, რომლებიც ადრე გამოცემულ ლექსიკონებში არ არის შესული.

1957 წელს გამოიცა შ. ნიჟარაძის „ზემოაჭარულის თავისებურებანი“, ბათუმი.

1960 წელს — ა. ჭინჭარაულის „ხევსურულის თავისებურებანი“ (გამოკვლევა, ლექსიკა, ტექსტები,) თბილისი.

1960 წელს — თ. უთურგაიძის თუშური კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი.

1960 წელს — ჯ. ნოღაიდელის აჭარული კილოს თავისებურებანი (გამოკვლევა, ტექსტი), ბათუმი.

ქართული დიალექტების გადრმავებულმა შესწავლამ მრავალი ზოგადთეორიული პრობლემა დააყენა დღის წესრიგში. 1960 წლის 20 ოქტომბერს საკოორდინაციო თათბირზე ვ. თოფურიამ წარმოადგინა მოხსენება „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“. მან შეაჯამა მანამდე ჩატარებული კვლევის შედეგები და განსაზღვრა შემდგომში ჩასატარებელი მუშაობის მიმართულება და ამოცანები.

მეცნიერის აზრით, კვლევა უნდა წარმართულიყო შემდეგი მიმართულებით: დიალექტების მონოგრაფიული გამოკვლევა, რაც საფუძველს წარმოადგენს ლინგვისტური გეოგრაფიისა და კარტოგრაფიისათვის; დიალექტოლოგიური ატლასის შედგენა; დიალექტთა შედარებითი ფონეტიკისა და გრამატიკის საკითხების შესწავლა და მიღებული შედეგების განზოგადება; ცალკეული დიალექტების და მათ საფუძველზე კრებისითი, სინონიმური და ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შედგენა; ისეთი ზოგადენათმეცნიერული საკითხების დამუშავება, როგორცაა:

დიალექტთა გენეზისი და განვითარება, სუბსტრატი დიალექტებში, გარდამავალი დიალექტის წარმოქმნა, დიალექტთა და მეზობელ ენათა ურთიერთზემოქმედება და მისი შედეგები, ლიტერატურული ენის ფუძედიალექტი და ლიტერატურული ენის შემდგომ განვითარებაში სხვა დიალექტთა მონაწილეობა, ლიტერატურული ენისა და დიალექტთა ურთიერთგავლენა, ერთგვაროვან ფონეტიკურ და გრამატიკულ მოვლენათა წარმოშობა სინქრონულად ან არაერთდროულად და ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილას და სხვა. ზოგადთეორიულ პრობლემათაგან ვ. თოფურია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სუბსტრატის, უნიფიკაციის, დივერგენცია-კონვერგენციის საკითხებს.

ვ. თოფურიამ მოგვცა აგრეთვე ზოგადი ხასიათის მეთოდოლოგიური მითითებებიც დიალექტური მასალის შეკრებასთან და ლინგვისტური ატლასების შედგენასთან დაკავშირებით.

1961 წელს გამოიცა „ქართული დიალექტოლოგია — ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი“, რომლის ავტორები არიან: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ეს არის პირველი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია ქართული ენის თითოეული დიალექტის მოკლე ისტორიულ-ეთნოგრაფიული განხილვა, მისი გავრცელების არე და არსებითი ნიშნები, ტექსტები და ლექსიკონი. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ მრავალი გამოკვლევა, დიალექტოლოგიური ლექსიკონი და ტექსტები გამოიცა, ეს ნაშრომი ქართული დიალექტოლოგიის შემსწავლელთა ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს და დღესაც სანიმუშოა დიალექტოლოგიის მკვლევართათვის.

1961 წელს გამოიცა შ. ნიჟარაძის, „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“ (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი.

1966 წელს — ვ. იმნაიშვილის „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“;

თ. უთურგაიძის „ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება“

1968 წელს — ვ. სომხიშვილის „ქსნის ხეობის მეტყველება“;

1969 წელს — ზ. შარაშენიძის „ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“; მ. ხუბუტიას „თუშური კილო“;

1970 წელს — შ. ძიძიგურის „ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი“;

1971 წელს — შ. ნიჟარაძის „ქართული ენის აჭარული დიალექტი“;

1973 წ. — ქ. ძოწენიძის „ზემოიმერული კილოკავი“;

- 1974წ. — გ. იმნაიშვილის „ქართლური დიალექტი“;
 1975 წელს — შ. ნიჟარაძის „ჭარული დიალექტი“;
 1978 წელს — გ. ცოცანიძის „ფშავური დიალექტი“;
 თ. სალარიძის „ალგეთის ხეობის ქართლური“;
 ნ. როსტიაშვილის „ინგილოური ლექსიკონი“;
 1981 წელს — გ. ბერიძის „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა“; ვ. სომხიშვილის „ქსნის ხეობის ქართლური მეტყველება“;
 1984 წელს — ა. მარტიროსოვის ქართული ენის ჯავახური დიალექტი;
 1985 წელს — ი. ქავთარაძის „ქართული ენის მოხეური დიალექტი“; შ. ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართული“.
 1985 წელს — კ. კუბლაშვილის „ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი“;
 1988 წელს — გ. ბერიძის „ქართული ენის ჯავახური კილო“;
 2002 წელს — გ. ცოცანიძის „თუშური ლექსიკონი“.
 2012 წელს — ამ ლექსიკონის მეორე გამოცემა;
 2005 წელს — ა. ჭინჭარაულის ხევისურული ლექსიკონი*.

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან დაარსდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის საკოორდინაციო საბჭოს საქართველოს განყოფილება (გამგე — აკად. შ. ძიძიგური, მოადგილე — პროფ. ა. მარტიროსოვი, სწავლული მდივანი — გ. ცოცანიძე). ეს საბჭო კოორდინაციას უწევდა დიალექტოლოგიურ მუშაობას მთელ საქართველოში. 1978 წლიდან სისტემატურად იმართებოდა რესპუბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენციები, იბეჭდებოდა ამ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების თეზისები და მასალები.

1984 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში შეადგინეს კითხვარი დიალექტოლოგიური ლექსიკის შესასწავლად და დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად. ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ეწყობოდა ექსპედიციები და იკრიბებოდა მასალა ამ კითხვარების მიხედვით. ექსპედიციებში მონაწილეობდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები, აგრეთვე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლები და სტუდენტები. მოეწყო ექსპედიციე-

* ამ ძირითადი ნაშრომების გარდა გამოქვეყნებული დიალექტოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა წარმოდგენილია თანდართულ ბიბლიოგრაფიაში.

ბი ქვემო ქართლში, აჭარაში, კახეთში, თუშეთში, თიანეთში. შეკრებილი მასალა დაცულია ქართველურ ენათა განყოფილებაში.

1995 წელს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართველურ ენათა განყოფილებასთან ჩამოყალიბდა ქართული ონომასტიკის კვლევის ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი გ. ბედოშვილი. ლაბორატორია 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იკვლევდა ქართული ონომასტიკის საკითხებს. 2001 წელს გ. ბედოშვილმა გამოსცა ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. I. სამწუხაროდ, გამოსაცემად გამზადებული II ტომის გამოქვეყნება ავტორმა ვერ მოასწრო (დაიბეჭდა 2013 წელს, რედაქტორები ა. არაბული, მ. სუხიშვილი).

ქართული ენის დიალექტების შესწავლის არსებულმა ტრადიციამ, სხვადასხვა დიალექტის შესახებ გამოცემულმა მონოგრაფიულმა ნაშრომებმა და დიალექტოლოგიის ცალკეული საკითხების შესახებ შექმნილმა თეორიულმა გამოკვლევებმა მოამზადა ნიადაგი ქართველურ ენათა დიალექტების შესახებ განმაზოგადებელი თეორიული ნაშრომებისათვის. ქართული დიალექტოლოგიის ძირითადი პრობლემატიკა სისტემური კურსის სახით ჩამოყალიბა ბ. ჯორბენაძემ და მოამზადა თეორიული ნაშრომები: „ქართული დიალექტოლოგია“ და „ქართველურ ენათა დიალექტები“.

„ქართული დიალექტოლოგია“, I გამოცემა 1989 წელს. წიგნის პირველ ნაწილში განხილულია დიალექტოლოგიის ზოგადი თეორიული საკითხები: ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური, პროფესიული დიალექტების წარმოქმნის საფუძველი და მიზეზები; ამ დიალექტების გამოვლენის პრინციპები; იდიოლექტის რაობა; ლინგვისტური გეოგრაფიისა და არეალოგიის პრობლემები; სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების, მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმების გამოყენების საკითხები; დიალექტოლოგიის, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინის, ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები.

წიგნის მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ქართული ენის დიალექტების სისტემური აღწერა, განხილულია ყოველი დიალექტის ისტორიულ-გეოგრაფიული პირობები, ის გარემო და ვითარება, რომლებიც განაპირობებენ მის ჩამოყალიბებას და მოცემულია ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკოლოგიური თავისებურებანი.

„ქართული დიალექტოლოგია“ ბ. ჯორბენაძეს ორ წიგნად ჰქონდა ჩაფიქრებული. მეორე წიგნი, როგორც ამას ავტორი აღნიშნავდა, დაეთმობოდა ქართული დიალექტოლოგიის ძირითად პრობლემებს, მაგრამ შემდეგში ამ პრობლემების ანალიზის შედეგად კიდევ სამი წიგნი შეიქმნა, რომელთა გამოცემა, სამწუხაროდ, ავტორს არ დასცალდა. როდესაც 1993 წელს ბ. ჯორბენაძე გარდაიცვალა, „ქართული დიალექტოლოგიის“ II წიგნი სასტამბოდ თითქმის გამზადებული იყო. მისი გამოცემა მოხერხდა 1998 წელს გ. გოგოლაშვილის ძალისხმევით და მისივე რედაქტორობით.

1995 წელს გამოიცა ბ. ჯორბენაძის ნაშრომი „ქართველურ ენათა დიალექტები“ (რედაქტორები: გ. გოგოლაშვილი, გ. სალიაშვილი), რომელიც, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, მიმოხილვითი ხასიათისაა და მთლიანობაში წარმოგვიდგენს ქართველური ენების შესახებ ამ დრომდე ჩატარებული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს. მასში გაანალიზებულია ისეთი ზოგადი საკითხები, როგორებიცაა ენობრივი სიტუაცია საქართველოში, ქართველურ ენათა დიალექტები ლინგვისტური გეოგრაფიისა და არეალოგიის თვალსაზრისით, ქართველურ ენათა ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები და სხვ. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ქართველურ ენათა ფონემატური, გრამატიკული და ლექსიკური სისტემების დახასიათებას. ნაშრომში დიალექტი განხილულია, როგორც ამა თუ იმ ენობრივი სისტემის ნაირსახეობა და გაანალიზებულია ქართველურ ენათა ყველა დიალექტი როგორც საერთო ენობრივი ტენდენციების, ასევე მხოლოდ რომელიმე დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საერთო ტენდენციების წარმოჩენა, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იჩენენ თავს ტერიტორიულად საკმაოდ დაცილებულ დიალექტებში, რაც ერთი და იმავე ენობრივი პოტენციის გამოვლინებაა.

ამ ნაშრომის შემოკლებული ინგლისური ვარიანტი („ქართველური ენები და დიალექტები“) გამოიცა 1991 წელს.

დასახელებული ნაშრომით შესაძლებლობა გვეძლევა მთლიანობაში წარმოვიდგინოთ ქართველური ენების დიალექტების ენობრივი სურათი, მათ შორის არსებული განსხვავება და ის საერთო ტენდენციები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იჩენენ თავს ტერიტორიულად საკმაოდ დაცილებულ დიალექტებშიც კი და ერთი და იმავე ენობრივი პოტენციის გამოვლინებას წარმოადგენს.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1991 წელს ქართველურ ენათა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა „ლინგვისტური ატლასის“ ლაბორატორია, რომლის ძირითადი სამუშაო იყო ქართველური ენების დიალექტების ტექსტური და ლექსიკური ბაზების მომზადება; წინა წლებში ექსპედიციებში დაგროვილი ინფორმაციის დამუშავება და თეორიული კვლევა. „ლინგვისტური ატლასის“ ლაბორატორიას 1995 წლამდე ხელმძღვანელობდა მ. კობაიძე, 1995-2004 წლებში — გ. ცოცანიძე, 2004 წლიდან 2006 წლამდე — მ. ბერიძე. ამ განყოფილებაში მომზადდა და გამოიცა: 2004 წელს — გ. ცოცანიძის „თუშური ქრონიკები“ (თუშური ტექსტებით), 2005 წელს — მ. ბერიძის „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან — მესხეთი და მესხები 1918-1944 წწ“ (მესხური ტექსტებით).

2006 წელს „ლინგვისტური ატლასის“ ლაბორატორიისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება, რომელმაც გააგრძელა მუშაობა ქართველური ენების დიალექტების ტექსტური და ლექსიკური ბაზების კორპუსის შექმნაზე. კორპუსში ერთიანდება ქართული დიალექტოლოგიის მონაბოვარი მთელი სიტყვიერი მასალა დიალექტოლოგიური ტექსტებიდან, ლექსიკონებიდან, შინამრეწველობის მასალებიდან. კორპუსში ტექსტის აღსაწერად გამოყენებულია სხვადასხვა ექსტრალინგვისტური მახასიათებლები: რეგიონალური, ანკეტური, ტიპოლოგიური, ქრონოლოგიური. კორპუსის მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

1992 წელს ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან ამ უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. მ. თოდუას, ინიციატივით, შეიქმნა დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებდა 2006 წლამდე.

ჩვენ მოკლედ წარმოვადგინეთ ქართული დიალექტოლოგიის შესწავლის მდგომარეობა. უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნება მკითხველს, თუ გაეცნობა გ. იმნაიშვილის მიერ შედგენილ ორ წიგნს: „ქართული დიალექტების ბიბლიოგრაფია“ (1968 წ.) და „დიალექტოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია“ (1990 წ.); ასევე არ. მარტიროსოვის ნაშრომს „ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის“ (1972 წ.), თუმცა ამ ნაშრომთა გამოყენების შემდეგაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა შეიქმნა. წინამდებარე წიგნში შევეცადეთ არსებითად აგვესახა თანამედროვე მიღწევები ქართული დიალექტოლოგიის სფეროში.

1.1. სახელთა ბრუნების საკითხები ქართულ დიალექტებში

სახელთა ბრუნების სისტემა ქართული ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე და მისი არსებობის ყველა ფორმაში — როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში — მის ტერიტორიულ თუ სოციალურ ნაირსახეობებში ერთიანია. მაგრამ სხვაობები ამ ნაირსახეობათა შორის მაინც დასტურდება. ამ სხვაობებს ქმნის, ერთი მხრივ, სისტემის ელემენტები ანუ პარადიგმის წევრთა განსხვავებული გაფორმებები, ხოლო მეორე მხრივ, ბრუნვის ფორმათა ფუნქციურ-მნიშვნელობრივი მიმართებები.

სახელთა ბრუნების თვალსაზრისით, სისტემის ელემენტების მსგავსება-განსხვავებულობის გათვალისწინებით, ქართული ტერიტორიული დიალექტები სამ ჯგუფად განიყოფიან: აღმოსავლურქართული ბარის დიალექტები, აღმოსავლურქართული მთის დიალექტები და დასავლურქართული დიალექტები.

ქართული დიალექტოლოგიური ტრადიცია დიალექტების ამა თუ იმ ენობრივი სისტემის თავისებურებათა დახასიათებისას ეტალონთან მიმართების მეთოდს მიმართავდა და ეტალონებად თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის წიგნური მეტყველების სისტემებს იყენებდა. საერთო სახალხო ენის სისტემა რაც უფრო მარტივია, ეს მეთოდი მით უფრო თვალსაჩინოს ხდის ამა თუ იმ დიალექტის ენობრივი სისტემის ვარიანტულ სახეს. ამ მხრივ სახელთა ბრუნების სისტემა ერთი მარტივთაგანია და დიალექტებში თვალსაჩინოდ ჩანს სისტემის ყოველი ვარიანტის თავისებურებანი.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კარგად არის შესწავლილი სახელთა ბრუნების საკითხები ძველი ქართულისა, ახალი სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისა და დადგენილია, რომ საერთოქართულ ენაში ბრუნება, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, შვიდწევრიან ანუ შვიდბრუნვიან პარადიგმებს ქმნის. ეს საერთო თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისათვის და ბრუნების ამ ერთიან სისტემაში ბრუნვის ნიშანთა ანუ პარადიგმის

თითოეული ფორმის მაწარმოებლების ბრუნების სამი ტიპი გამოიყოფა. ესენია: თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება, ხმოვანფუძიან ფუძეკვეცად სახელთა ბრუნება და ხმოვანფუძიან ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება. არც ჯგუფებში განაწილების თვალსაზრისით არსებითი, რიცხვითი და ზედსართავი სახელები ერთმანეთისაგან არ სხვაობენ — დიალექტური სხვაობები ერთნაირად შეეხება ყველა ამ სახელს. მეტ დიალექტურ ნაირსახეობებს იძლევა ნაცვალსახელთა ბრუნება. თუ შევადგენთ სახელთა ბრუნების ტიპიურ პარადიგმებს ბრუნების სამივე ტიპისათვის სალიტერატურო ენის პარადიგმებთან შეპირისპირებით და ამის შემდეგ დიალექტების მიხედვით წარმოდგენილი იქნება საჭირო კომენტარები, ეს შექმნის საჭირო საფუძველს ქართული საერთო-სახალხო ენის სახელთა ბრუნების დიასისტემური აღწერისათვის.

1.2. სახელთა ბრუნება: ბრუნვის ნიშნები და მათი განაწილება (აღმოსავლურ დიალექტებში)

კახური

კახურ დიალექტში სახელობითი ბრუნვის ნიშნების ალომორფებიცა და მათი დისტრიბუციაც მთლიანად მიჰყვება სალიტერატურო ქართულისას. აქაც თანხმოვანფუძიან სახელებში ვლინდება ბრუნვისნიშნის **-ი** ალომორფი, ხოლო ხმოვანფუძიანებთან — **ო**. კაკალ-ი დაბლერტა; კაც-ი გამოჩნდა; ღობეზე ჩიტ-ი შემოჭდა; დღე გავიდა; მთა გაშრა; კატა ჩხავის; ორმო აიმსო. მნიშვნელობა არც იმასა აქვს, თუ რა ადგილი უჭირავს სახელობითბრუნვიან სიტყვას წინადადებაში — ღია პოზიციაშია იგი თუ დახურულში: კაკალ-ი დაბლერტა — დაბლერტა კაკალ-ი; თხა გაკრიჭა — გაკრიჭა თხა.

მოთხრობითი ბრუნვის ალომორფები და მათი დისტრიბუციაც მთლიანად იმეორებს სალიტერატურო ქართულისას: თანხმოვანფუძიანებთან **-მა** სუფიქსია წარმოდგენილი, ხმოვანფუძიანებთან **-მ**. კაც-მა თქო; კატა-მ დაიკნავლა. აქ მნიშვნელობა აქვს პოზიციას: ხმოვანფუძიანი სახელი თუ წინადადების შიგნითაა, უფრო სწორად, თუ მას სამეტყველო ნაკადში არ მოსდევს ფიქსირებული პაუზა, რეალიზდება **-მ** ვარიანტი. **კატა-მ** თავი დაიჭირა: თუ ასეთი მოთხრობითბრუნვიანი სახელი ფრაზის ბოლოსაა, ე.ი. ფიქსირებული პაუზის წინ, აქ თავისუფლად მონაცვლეობს ბრუნვის ნიშნის **-მ** და **-მა** ალომორფები: უთხრა **ღედა-მ**, შვილო, აქ მოდიო; გაიხედა **ღედა-მა** და რასა ძხედამს... ნაწილაკებთან კი ამგვარ სახელებთან მხოლოდ **-მა** ვარიანტი დასტურდება: ამ დროდ თხა-**მა**-ც დაიკიკინა. აქ, უეჭველია, ფონეტიკურ ფაქტორთან გვაქვს საქმე.

დიალექტური თავისებურება კახურში სახელთა ბრუნებისას მიცემით ბრუნვაში იჩენს თავს. აქ ბრუნვის ნიშნის სამი ალომორფი დასტურდება: **-ს**, **-სა** და **-ო**. ამ ვარიანტების გამოვლენა, ერთი მხრივ, ფონეტიკური პოზიციითაა შეპირობებული, მეორე მხრივ, წინადადებაში სიტყვის პოზიციით. თანხმოვანფუძიანებთან ცალკე მდგომებთან და წინადადების შიგნით არაფიქსირებული პაუზის წინ **-ო** ალომორფი დასტურდება. კაც, ქალ, ძაღლ... კაც მეეჩვენა, ძაღლ შეეშინდა. ფიქსირებულ პაუზასთან, წინადადების ბოლოს და ნაწილაკებთან ვლინდება

-სა ვარიანტი: კაც-სა ფიქსა; ერთი იმ ძალს-სა-ც (ძალს-სა-ფ) მიართყა; შაუჭამია მგელს-სა. ხმოვანფუძიანებთანაც ძირითადი ალომორფი არის **-ფ**: კატა-ფ, თხა-ფ, დღე-ფ. წინადადების ბოლოს და ნაწილაკებთან აქაც **-სა** ალომორფი გამოვლინდება: შეეშინდა ი მელა-სა; ძმა-სა-ც (ძმა-სა-ფ) გაუყო.

ლიტერატურულისაგან განსხვავებულია ნათესაობითის ალომორფები და, ცხადია, დისტრიბუციაც: თანხმოვანფუძიანებთან და ფუძეკვეცად ხმოვანფუძიან სახელებთან ბრუნვის ნიშნის ძირითადი ალომორფი არის **-ი**: კაკლ-ი ფოთოლი, კატ-ი კნუტი. უკვეცელ ფუძეხმოვნიან სახელებთან ბრუნვის ნიშნის ძირითადი ვარიანტი **-ფ**-ია: ორმო-ფ ძირზე, ბზივანა-ფ ფოთოლი. ფუძეთანხმოვნიან და კვეცადფუძიან ბრუნვის **-ის** და **-იფ** ალომორფები თავისუფლად მონაცვლეობენ: კაკლ-ის-თვი უსვრია; ძმი-იფ-თვი გამეერთმივანა; ფუძეუკვეცელებთან აგრეთვე თავისუფლად მონაცვლეობს **-ფ** და **-ს** ვარიანტები ორმო-ფ-თვი აუხდია, ორმოსკე გაუვლია.

მოქმედებითი ბრუნვის ალომორფებიც და მათი დისტრიბუციაც მთლიანად ემთხვევა სალიტერატურო ქართულისას: თოფ-ით მეეკლა; მეეკლა თოფ-ითა; ბუჩო-თი იყო სამსე.

ვითარებითი ბრუნვის ძირითადი ნიშანი არის თანხმოვანფუძიანებთან **-ათ**. **-ად** სპორადულად გვხვდება და ეს სალიტერატურო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს. ხმოვანფუძიანებთან **-თ** ვარიანტია გაბატონებული. ღია პოზიციებში, ანუ ფიქსირებული პაუზის წინ შესაბამისად ვლინდება **-ათა** და **-თა** ვარიანტები. კაც-ათ არ ვარგა; ცხვარი ფარა-თ მოდიოდა; გათიბა ლამაზ-ათა; ამოთხარა ღრმა-თა. ასევე ნაწილაკებთანაც: გოდრ-ათა-ც ხმარობდა; წყლი ჭურჭლ-ათა-ც ხმარობენ; მეცხრე-თა-ც ისევ ის უთხრა. ამავე პოზიციებში გამოვლენილი **-ადა** და **-და** ვარიანტები აგრეთვე სალიტერატურო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

კახურს სახელთა ბრუნებისას ახასიათებს ფუძისეული ხმოვნების უფრო ძლიერი რედუქცია, ვიდრე ეს სალიტერატურო ქართულშია: **კოდლ-ი** ბუდე; **გიტრ-ი** სიმები.

ქართლური

ქართლურში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ორი ვარიანტი გვხვდება **-ი** და **-ო**. ქართლურის თავისებურება ის არის, რომ **-ი** ალომორფი გვხვდება ხმოვანფუძიან სახელებთანაც, საზოგადოსთანაც და საკუთარ სახელებთანაც: დედა-ი, მამა-ი, პაპა-ი, მუხა-ი, პანტა-ი; ხმოვანფუძიან სახელებში **-ო** ალომორფი ვლინდება მაშინ, როცა სა-

ხელს წინადადებაში დახურული პოზიცია აქვს. წინადადების ბოლოს კი **-ი** ვარიანტის გამოვლენა თითქმის უგამონაკლისოა: **მიწა** სუ უნდა ამოყარო; თუ მიყრილი აქვს **მიწა-ი**, მაშინ კი ძირს იკეთებს. ქართლური დიალექტის გავრცელების ისეთ რეგიონებში, სადაც მას მჭიდრო შეხება აქვს სხვა დიალექტებთან, სახელობითი ბრუნვის წარმოების ეს წესი დარღვეულია. ასეთია არაგვისა და ქსნის ხეობის ქართლელთა მეტყველება, სადაც იგი განიცდის მთიულური დიალექტის ძლიერ გავლენას იქაური მოსახლეობის მიგრაციის შედეგად შერევის გამო. ასეთივეა ქვემო ქართლის მეტყველებაც, სადაც ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნის **-ი** ვარიანტი ნაკლები სიხშირით ვლინდება.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ქართლურში ორი ალომორფი — **-მა** და **-მ** მონაცვლეობს პოზიციურად. თანხმოვანფუძიანებთან — **-მა**, ხმოვანფუძიანებთან **-მ**. ხმოვანფუძიანებთან **-მა** ვარიანტი გამოვლინდება მაშინ, თუ ასეთ სახელს წინადადებაში ბოლო პოზიცია უკავია: იცხვარი გაანახევრა ი და-**მა**; ჯერ შამოუტიოფ სიცივე-**მა**.

მიცემითი ბრუნვის ნიშნად ქართლურში ორი ალომორფი მონაცვლეობს: **-ს(ა)** და **-ო**. ბრუნვისნიშნის **-ო** ალომორფი ვლინდება წინადადების შიგნითა პოზიციებში: **ირემ** ქამანდით იჭერდა; ჩემი პაპის პაპა **მტერ** გაუქცევია. წინადადების ბოლო პოზიციაში მიცემითბრუნვიან სახელს მავრცობი **-ა** დაერთვის, რაც პირობაა მიცემითი ბრუნვის **-სა** ალომორფის გამოვლენისა: ვანაწილებდით თორმეტ კილო სიმინდ-**სა**, სამ კილო პურ-**სა**, კილო ლობიო-**სა**. ესევე **-ს(ა)** ალომორფიანი სახელები ვლინდება წინადადების შიგნითა პოზიციებშიც: დაასხამენ მერე **წყალ-სა** იმ **ერბო-სა** და **ხანგ-სა**.

ნათესაობითი ბრუნვა მდიდარია ბრუნვის ნიშნის ალომორფებით. აქ ბრუნვის ნიშნის ოთხი ვარიანტი ვლინდება: **-ის**, **-ისა**, **-ი** და **-სი**. სახლ-**ის** ახლოს გამოჩნდა; დედ-**ის** ნაქონი კაბით დადის; ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **-ი** ვარიანტი ვლინდება მხოლოდ მაშინ, თუ სახელს წინადადებაში შიგნითა პოზიცია უკავია: ინახამს **წიფლ-ი** ხეში; დაჯდა სუფრ-**ი** თავსაო; ნათესაობითბრუნვიანი მსაზღვრელი სახელი გავრცობილი ფორმით მაშინ გვხვდება, როცა მას წინ უსწრებს საზღვრული. ეს **ადგილი** ყოფილა **ბატონ-ისა**; **ბოსტნეული** იყიდება **კოლექტივ-ისა**; **-სი** ალომორფი ხმოვანფუძიან სახელებთან ვლინდება, თუ მას ფრაზაში ბოლო პოზიცია უკავია; ისა ყოფილა **თინა-სი**.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია **-ით**, **-ითა** და **-თი**. წინადადების შიდა პოზიციაში თანხმოვანფუძიან სახელებში ვლინდება **-ით** ვარიანტი: **თოფ-ით** მოეკლა; წინადადების ბოლოს **-ითა** ალომორ-

ფიანი მოქმედებითი რეალიზდება: ერთხელ პრისტავმა მცემა ხმლ-ითა; დაჰკიდა ბატონმა ყმაი ფეხებ-ითა. ხმოვანფუძიან ფუძეუკვეცელ სახელებთან ვლინდება ბრუნვის ნიშნის **-თი** ვარიანტი, აქ სიტყვის პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს: **ძალა-თი** გამათხუა მამაჩემა; **საღამო-თი** აღრე სჭირხლამს; რკინიგზა არ იყო **წინა-თი**. თანხმოვანფუძიან სახელებთან და ხმოვანფუძიან კვეცადებთან სპორადულად ვლინდება **-ითი** ვარიანტი: კიბ-ითი აღიან; ვწურამთ მაშინებ-ითი.

ვითარებითი ბრუნვის ალომორფებია **-ათ** და **-თ**, რომლებსაც გარკვეულ პოზიციებში დაერთვის მავრცობი **-ა** და ვიღებთ **-ათა** და **-თა** ვარიანტებს. განაწილება ამ ალომორფებისა ფონოლოგიური პოზიციებით არის შეპირობებული: ფუძეთანხმოვნიანებთან გვაქვს **-ათ(ა)** ალომორფი, ხოლო ფუძეხმოვნიანებთან **-თ(ა)** ვარიანტი: **კაც-ათ** არ ვარგა; **ყმა-თ** გაუნდა; დაუდგა **მოჯამაგირე-თა**: გვხვდება შემთხვევები, როცა ეგვევ ალომორფები **თ-ს** ნაცვლად მჟღერი **დ-თი** არის წარმოდგენილი **დიდა-დ** გაუკვირდა; **კედლ-ად** მეეჩვენა. აქ, ცხადია, სალიტერატურო ენის ზემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

წოდებებში ლიტერატურული სტანდარტისგან განსხვავება არ არის. აქაც მონაცვლეობენ ბრუნვის ნიშნის **-ო**, **-ვ** და **-ო** ალომორფები, **დღე-ო** წადი, **ღამე-ვ** მოდი; საკუთარ სახელებთან ერთმანეთთან მონაცვლეობენ **-ო** და **-ვ** ვარიანტები: მაყვალ, ნათელ, თამარ; რეზა-ვ.

თუშური

როცა ამა თუ იმ ენობრივ მონაცემებში ბრუნვის ნიშნის ალომორფთა განაწილებაზე საუბარი, ორი რამ არის აუცილებლად გასარჩევი: სახელი დამოუკიდებლად, ცალკე მდგომი და სახელი ფრაზაში. ერთსაც და მეორესაც ალომორფთა თავ-თავისი დისტრიბუცია ახასიათებს. თუშურ დიალექტში ცალკე მდგომ სახელებთან ბრუნვებში ბრუნვის ასეთი პარადიგმებია:

	თანხმოვანფუძიანები:	ხმოვანფ. კვეცადები:	ხმოვანფ. უკვეცელები:
სახელ.	ძალლ-რ	კატა-დ	ორმო-დ
მოთხ.	ძალლ-მ	კატა-მ	ორმო-მ
მიცემ.	ძალლ-ს	კატა-ს	ორმო-ს
ნათეს.	ძალლ-ისაჲ	კატ-ისაჲ	ორმო-საჲ
მოქმ.	ძალლ-ით	კატ-ით	ორმო-თ
ვით.	ძალლ-ად	კატა-დ	ორმო-დ
წოდ.	ძალლ-ო	კატა-ვ	ორმო-ვ

სხვაგვარია ბრუნვის ნიშანთა განაწილება ფრაზაში ნახმარ სახელებთან.

სახელობითი ბრუნვა თუშურში ოთხი ალომორფითაა წარმოდგენილი: **-წ, მ, -O**, და **-ი**. როცა ფრაზაში ნახმარ სახელს ფიქსირებული პაუზა არ მოსდევს, ე.ი. სიტყვა დახურულ პოზიციაშია წარმოდგენილი, იქ სახელობითი ბრუნვის ნიშნად **-O**-ია წარმოდგენილი, როგორც ხმოვან, ისე თანხმოვანფუძიანებთან: კაც მორბის, ცხენ გეცხვეწ, ქვა აგორდ, კდე ჩამიძშალ, ჯმო დაწვი; თუშურში არ გვხვდება უ-ზე ფუძე-დაბოლოებული სახელები. სალიტერატურო ქართულისა და ზოგი დიალექტის **უ**-ხმოვნიანი სახელები **ყრუ, ცრუ, ბუ, რუ...** თუშურში ვ-თანხმოვანფუძიანებადაა გადაქცეული: **ყრუვ-წ, ცრუვ-წ, ბუვ-ი, რუვ-წ**. აქ ისტორიული ფონეტიკური მოვლენის ლექსიკალიზაცია ხდება. სახელობით ბრუნვაში ხმოვანგამყარად ჩამჯდარი /ვ/ თუშურში ფუძეს მიუერთდა. მოხდა ფონეტიკური ვარიანტის ლექსიკალიზაცია. თუშურ დიალექტში ყველა ეს სიტყვა ფუძეთანხმოვნიანი სახელების მორფოლოგიას იზიარებს. გვაქვს შემდეგი პარადიგმა:

ყრუვ-წ
 ყრუვ-მ
 ყრუვ-ს
 ყრუვ-ისაჲ
 ყრუვ-ით
 ყრუვ-ად
 ყრუვ-ო.

როცა თანხმოვანფუძიან სახელს ფრაზაში ფიქსირებული პაუზა მოსდევს, ან იგი ფრაზის ბოლოსაა წარმოდგენილი, იქ ბრუნვის ნიშნის **-წ** ვარიანტი რეალიზდება: შემოჩინდ **კაც-წ**, ისთაჲ მოიდ ის **კაც-წ**, რო კაცის ფერ არ ედგ. ასეთსავე პოზიციებში ხმოვანფუძიან სახელებთან **-მ** ვარიანტია წარმოდგენილი: ქვეშ შეძვრ **კატა-მ**, ისთაჲ მწვაგ იყვ ის **ზე-მ**, რო პირში არ ჩიხვდებოდ.

სახელობითი ბრუნვის ნიშნად **-ი** რეალიზდება, როცა სახელს ნაწილიკი ან რაიმე ენკლიტიკა ერთვის: **ჩიგვ-ი-ც** მეცკლა-დ **ფსიტ-ი-ც; დღე-ი-დ** ღამე არ გაშჩინს.

მოთხრობით ბრუნვაში ორი პოზიციურად შეპირობებული **-მ** და **-მა** ალომორფები მონაცვლეობს. აქ ფრაზაში სიტყვის პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს, ყველგან ერთნაირად იხმარება **-მ** ალომორფით გაფორმებული სახელები. **კაც-მ** ჯმა არ ამიხლვ; ჯმა არ ამიხლვ იმ **კაც-მ**.

-მა ვარიანტი ნაწილაკებთან გამოვლინდება. **თხა-მა-ც** დიქხხავლ; ალა-რაფერ თქვაავ იმ **კაც-მა-ვ**.

მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის ორი ვარიანტი გვაქვს **-ს** და **-სა**. **-ს** ნიშნიანი სახელი ყველა პოზიციაშია: **დღე-ს** ფერ ეცვალ; ვერ ვხედავ **გზა-ს**. **-სა** ვარიანტი ნაწილაკებთან გამოვლინდება: **კაც-სა-ც** ჯვარ გეწეოსთავ, დიაც-**სა-ცავ**.

ნათესაობითი ბრუნვის ოთხი ალომორფი მონაცვლეობს **-ის**, **-ს**, **-ისაჲ**, **-საჲ**. **-ის** ვარიანტი აწარმოებს თანხმომავანფუძიანი და ხმომავანფუძიანი კვეცადი სახელების ფორმებს. **დათვ-ის** ბლავილ მოდის; **კატ-ის** კნავილმ შაცლონ. **-ს** აწარმოებს ხმომავანფუძიანი უკვეცელი სახელების ნათესაობითს: **ორმო-ს** ავდაივ თავგსაც უხარისავ. **-ისაჲ** და **-საჲ** ვარიანტები ვლინდება, როცა ნათესაობითბრუნვიან სახელს ფიქსირებული პაუზა მოსდევს. პირველი თანხმომავანფუძიანებთან, მეორე — ხმომავანფუძიანებთან: ცხენ ხყვანდ თავის **დღე-ისაჲ**; ფერ აღარ ზძეს **კაც-ისაჲ**; ამოთხრა მინდ **ორმო-საჲ**.

მოქმედებითი ბრუნვის მორფემა ოთხი ალომორფითაა წარმოდგენილი: **-ით**, **-ითა**, **-თ**, **-თა**. **-ით** და **-ითა** თანხმომავან ფუძესთან რეალიზდება: პირველი მარტივ სახელებთან, მეორე — როცა სახელს ნაწილაკი ახლავს: ხანჯრ-ით დაკლ; **კვი-თა-ც** იცნობსა-დ **დახედულობ-ითა-ც**. **-თ** და **-თა** ხმომავანფუძიანებთან ვლინდება აგრეთვე მარტივ სახელებთან და ნაწილაკიანებთან.

ვითარებითი ბრუნვის მორფემა აგრეთვე ოთხი ალომორფითაა წარმოდგენილი: **-ად**, **-ადა**, **-დ**, **-და**. **-ად** **-ადა** თანხმომავანფუძიანებს აწარმოებს: როდის ეს **ცხენ-ად** იქცევ; **ბარგ-ადა-მ** გამივდება? **-დ**, **-და** ალომორფები ხმომავანფუძიანებს აწარმოებს, აგრეთვე მარტივ სახელებს და ნაწილაკიანებს: ეს **შეშა-დ** არას გარგებს; **გზა-და-მ** გამაკეთებიავ ვარწ.

წოდებით ბრუნვაში ორი ალომორფი **-ო** და **-ვ** თავისუფლად მონაცვლეობს როგორც თანხმომავანფუძიან ისე ხმომავან ფუძეებთან: **ქვა-ო**, ქვა ხარ-იავ, **ხე-ო**, ხე ხარია-ვ, ვმას არ იღებს; **დიაც-ვ**, შენაწ გი-ძახწ; **კაც-ო**, აბა შემომხედელ.

ფშაური

სახელის ბრუნვის პარადიგმები.

	თანხმომავანფუძიანები	ხმომავანფუძ.	კვეც.	ხმომავანფუძ.	უკვეც.
სახ.	გოდორ-ი	კატა-ი		ორმო-ი	
მოთხ.	გოდორ-მ	კატა-მ		ორმო-მ	

მიც.	გოდორ-ს	კატა-ს	ორმო-ს
ნათ.	გოდრ-ისა	კატ-ის	ორმო-ს(ი)
მოქმ.	გოდრ-ით	კატ-ით	ორმო-თ(ი)
ვით.	გოდრ-ად	კატ-ად	ორმო-დ
წოდ.	გოდორ-ო	კატა-ვ	ორმო-ვ

სახელობითი ბრუნვა ფშაურ მეტყველებაში ორი ალომორფითაა წარმოდგენილი, ძირითადი **-ო**-ია: **კაც** რაიმ მოვიდა; **ცხენ** თავედაცა ხყავ; **-ი** ალომორფი ვლინდება პაუზასთან და ნაწილაკებთან: დაფიქრდა ეს **კაც-ი**; ორნივე ცოცხალი მყვანან **დედა-ი-ც** და **მამა-იცა**.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ფრაზებში სამი ალომორფითაა წარმოდგენილი. **-მ** ალომორფი ვლინდება დახურულ პოზიციებში, არაფიქსირებული პაუზის წინ; **მზე-მ** მაღლა ამიარა; **-მა** ვარიანტი ფიქსირებული პაუზით გამოვლინდება: უთხრა ი **ქალ-მა**, მე რა პასუხს მაძლევო. ეგევე ალომორფი დასტურდება ნაწილაკების წინაც: **ხალხ-მა-ც** გული მოაჯერა.

მიცემითი ბრუნვა ორი ალომორფითაა წარმოდგენილი: **-ს** და **-ს(ა)**-თი. **-ს** დახურულ პოზიციაშია: **დათვ-ს** შეეყარა; **კაკალ-ს** მებ დაეცა; **-სა** ვარიანტი ფიქსირებული პაუზის წინ და ნაწილაკებთანაა: ეწყინა ი **შვილ-სა**, ამას რად მეობნებაო; **ძმა-სა-ვ** დაუთმო ი ცხენი.

ნათესაობითი ბრუნვის ძირითადი ნიშანი **-ის** არის, ხმოვანფუძიანებთანაც და თანხმოვანფუძიანებთანაც: **ცოლ-ის** მზითევემი იყო მოყოლილი; **ბიძა-ის** კაცო, ცხვარ ბევრი გყავა? **-ისა** ვარიანტი აქაც ფრაზაში სიტყვის პოზიციითაა შეპირობებული: შვილიშვილ იყო იმ **კაც-ისა**; „**კაც-ისა-დ** **იარად-ისა** აყრა სიკვდილთან სწორია“ (ვაჟა).

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანაც ძირითადად **-ით** ვარიანტითაა წარმოდგენილი ხმოვანფუძიანებთანაც და თანხმოვანფუძიანებთანაც: ზედას **ცხემლა-ით** გაუყრინ ქსელში; **-ითა** აქაც პოზიციურად გამოვლინდება: ჩასჯდომია **თოფ-ითა**; იმ სიმალღეზეა, რომ **ველ-ითაც** მისწვდება.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ხუთი ალომორფითაა წარმოდგენილი: **-ად**, **-ადა**, **-დ**, **-და**, **-ა**. **-ად** და **-ადა** ალომორფები ვლინდება ფრაზაში თანხმოვანფუძიან სახელებთან. პირველი, როცა მას უკავია დახურული პოზიცია, ანუ მოსდევს არაფიქსირებული პაუზა და მეორე — მაშინ, როცა იგი დგას ღია პოზიციაში, ანუ ფიქსირებული პაუზის წინ: ცრემლს **ნამ-ად** გადმოგაყრიან, მთაო, ქუჩბალახიანო; ვერა, ვერ გამოდგება **კაც-ადა**. ეგევე **-ადა** ვარიანტი რეალიზდება ნაწილაკებისა

და ენკლიტიკური დანართების წინ: წავდღვებთ **ცოტა-ადა-დ** გავაჩერებთ. **-დ** და **-და** ვარიანტები გვაქვს ხმოვანფუძიან სახელებთან და მათი განაწილებაც დამოკიდებულია წინადადებაში სიტყვის პოზიციებზე: **ტვე-დ** წაუყვანავ; დაუყენებავ **მეველე-და**. **-ა** ალომორფი სპორადულად გამოვლინდება ზედსართავ სახელებთან, როცა იგი ზმნისართადაა გამოყენებული: **კარგ-ა** მოვროზგე; **ყინჩ-ა** გამომყვება.

წოდებითი ბრუნვის ნიშანი სამი ალომორფისაგან შედგება: **-ო, ვ, Ø**. **-ო** გვხვდება ხმოვანფუძიანებთანაც და თანხმოვანფუძიანებთანაც: **დათვ-ო**, შემეშვი! **მთა-ო**, ქუჩბალახიანო. **„მთა-ვ**, შენ ეგ ჩემი ნათქვამი გულ-მკერდზე დაიწეროდი“ (ვაჟა); **„ქალ**, ნუ მიმირბი შორადა“ (ვაჟა).

ხევსურული

სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხევსურულმა სამი ალომორფი იცის: **-ო, -ი, -ე**. ამათგან **-ო** ძირითადია: **ზაფხულ** მშვიდობისა და გდგომივასთ. **-ი** ვლინდება ნაწილაკებთან: ერთხანავ **ბობლანა-ი-ც** ადგებისავ; **ე** საკუთარ სახელებთან ვლინდება: მაგივად **გოგია-ე**; გამაჩინდების **ხირჩლა-ე**.

მოთხრობითი ბრუნვის ორი ალომორფიდან **-მ** ძირითადია: **ღმერთ-მ** ჯვარ დაგწერასთ; **თხა-მ** რაჯელ დაგაშინ? **-მა**-ს გამოვლინება პოზიციურია. ის ნაწილაკების წინ რეალიზდება: **კაც-მა-ც, საქონ-მა-ც** იმრავლას.

მიცემითი ბრუნვის ძირითადი ნიშანია **-ს**: **კაც-ს, ბაღ-ს, დიდ-ს, ბეწიკუა-ს** სუყველას მაგდიოდასთ. ნაწილაკებთან და ენკლიტიკურ დანართებთან ამას ცვლის **-სა** ვარიანტი. **ცხვარ-სა-ცა-დ საქონ-სა-ც** ყველას ყურის გდება უნდ.

ნათესაობითი ბრუნვის **-ის** ფორმანტი ერთნაირად აწარმოებს ფუძეხმოვნიანებსაც და ფუძეთანხმოვნიანებსაც: დიდ **ღმერთ-ის** წყენაიას; ისევ მიმღეროს ნანაი **მამა-ის თოვ-ის** ჯმამაო. ნაწილაკებთან და ღია პოზიციებში აქ ვლინდება **-ისი** ვარიანტი: **კაც-ისი-ც** მადლობელი-ორა **დიაც-ისი-ც**.

ვითარებით ბრუნვაში სისტემატურია **-ა** ალომორფი: **შორ-ა** წაილი ამბავი; **შუღლ-ა** გახჯდომივ იმეებს. ასეთი ვითარებითები უმეტესად ზმნისართებია, არის **-ად** ვარიანტის გამოვლენის შემთხვევებიც. ის დევ **კაც-ად** მაშჩვენებავას.

წოდებითის ნიშანი ძირითადად **-ვ** სუფიქსია: **ფანდურ-ვ**, ვიძახათ მება-დ შენაო. მაგრამ არის **-ო**-ს გამოვლენის შემთხვევებიც: კას ყმას აჭმე, **დედა-ო**, დილაადრიან სადილი.

მოხეური

მოხეურ დიალექტში სახელობითი ბრუნვის ძირითადი ალომორფი -ი არის როგორც თანხმოვან, ისე ხმოვანფუძიან სახელებთან, ყველა პოზიციაში, წინადადების შიგნითაც და წინადადების ბოლოსაც: **ქალა-ი** გეეჩვენა; **რა-ი** გინდა; **ბატარა-ი** ხანს მამცქირე. -ო-ს გამოვლენა იშვიათობაა და აქაც, ალბათ, სალიტერატურო ენის გავლენასთან გვაქვს საქმე: **ცხორ-ი** ჩუენ ბარაქაა და **საუყველა-ი**, **რა-ი** არა: **მატყლ-ი**, **ჯორც-ი**, **რძე**, **დო**, **ერბო**.

მოთხრობითი ბრუნვა გამოხატულებით თითქმის არ განსხვავდება მთის კილოთა სხვა დიალექტებისაგან იქაც ძირითადად მონაცვლეობს **-მა**, **-მ**, **-მან** ალომორფები; **ქალ-მ** გამაიხედა; **კაც-მა** ცხვი თქვა; **პირ-მა** დაგლოცნესთ **ღვთისა-მან**. არის იშვიათი ფორმა ფიცლის ფორმულაში: **ღმერთის-მამ**. აქ მიჩნეულია, რომ ბრუნვის გაორმაგებასთან გვაქვს საქმე.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ერთი — **-ს** ალომორფით არის წარმოდგენილი ყველა პოზიციაში: **კაც-ს**, **ქალ-ს**, **შკოლა-ს**, **გზა-ს**.

ნათესაობით ბრუნვაში სამი ალომორფი მონაცვლეობს: **-ის**, **-ისა**, **ის-ი** ხმოვანფუძიანებთანაც და თანხმოვანფუძიანებთანაც. ამათგან პირველი წინადადების შიგნით რეალიზდება, მეორე და მესამე — ფრაზის ბოლოს: **გზა-ის** ბოლოჩი; ეგ ჯაჭვი ჩემი **ქმ-ისია**; რაი მეგონა ამ **დრო-სი**.

მოქმედებითი ბრუნვის ფორმები სამი ალომორფითაა წარმოდგენილი: **-ით**, **-თ** და **-თა**. **თოფ-ით** მაკლული; **ოქრო-თ** შეკაზმული ვმალი; აავსიან ორი ფუთი **ერბო-თა**.

ვითარებით ბრუნვაში ჩვეულებრივ **-ად** და **-დ** ფორმანტებთან ერთად ჩნდება უჩვეულო **-ას** სუფიქსი, რომელიც ზმნისართული მნიშვნელობით ნახმარ ფორმებშია: თოფი **მზა-ს** გუჭონდის; **ტიტველ-ას** დადიოდა.

წოდებით ბრუნვაში მოხეურის ბრუნვის ალომორფები ერთობ ორიგინალურია. აქ ოთხი ალომორფი გვხვდება: **-ვ**, **-ო**, **-უ**, **-ისი**. **გო-ჩა-ვ**, რაისთვი მაწვალე; **ღმერთ-ო**, მიშველე; **ქალა-უ**, რაი გინდა? ბოლო **-ისი** ალომორფი მხოლოდ საკუთარ სახელებთან გვხვდება და ამ მიმართვას მოფერებითი ელფერი ახლავს: **ონისე-ისი**, საით მოსულხარ?

მთიულური

მთიულურის სახელობით ბრუნვაში სამი ალომორფი გვხვდება: **-ი, -ჲ, ო**: დომი ხოა **კარაჟი-ი**; ვარიას **შუშუტა-ჲ** აჟუს; ძირს **ჭრიჭინა** უღევს.

მოთხრობითში ბრუნვის ნიშნის იგივე ვარიანტები გამოვლინდება, რაც სალიტერატურო ქართულში: **-მა** და **-მ**. ალომორფების დისტრიბუციაც იგივეა: დაიწყო **დედაკაც-მა** ტირილი; **ჯარ-მა** დაიძინა; **მამა-მ** უთხრა.

მიცემითი ბრუნვა ორი ალომორფითაა წარმოდგენილი **-ს** და **-სა**. **-ს** ვარიანტი სახელები დახურულ პოზიციებში გვხვდება: **რძალ-ს** პური მომივდა; **სირისკულა-ს** არ აჰმევო; **-სა** ღია პოზიციებშია: შეშინებია **ი კაც-სა**.

ნათესაობით ბრუნვაში სამი ალომორფი გამოვლინდება: **-ის, -ისა, -ისი**: ჩემი **დედამთილ-ის** დედამთილი ყოფილიყო ეგეთაი; **ომ-ის** დრო იყო მაშინა. თქვენი სიმრევლე არ იქნებაო, არც **კაც-ისა-ო**, არც **საქონ-ისა-ო**; არ მისცეს **თავ-ისი** ყალანი.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად დასტურდება **-ით** და **-ითა** ვარიანტები. პირველი დახურულ პოზიციებში გვხვდება: ამ **ჩოულობ-ით** გაათავებენ; მეორე ვარიანტი ღია პოზიციებში გამოვლინდება: იმათ უომნია **ისრ-ითა**.

ვითარებით ბრუნვაში სამი ალომორფი გამოვლინდება: **-ათ, -ათა, -ად**. ყრუ **თ-იანი** ვარიანტები ძირითადაა, **-ად** ვარიანტი სპორადულად იჩენს თავს: **მაცნ-ათ** გაუშვეს; ნეტა ეს როდის იქცევა **კაც-ათა**. დავაგდე **ჯავრიან-ად-ო**.

წოდებით ბრუნვაში სამი ალომორფია დადასტურებული: **-ო, -ო, -გ**. პირველი ორი ორგანულია მთიულურისთვის, მესამე, **-გ**, ალბათ სხვა დიალექტური ან ლიტერატურული გავლენის შედეგია: **ღორ-ო** არეში, მარეში, გამოდი, გამეთამაშე; **ბეჟან, ბეჟან, ყმაწვილ-ო**, რა სირეგვნე მოგრეგია; **გიორგა-გ**, შენა ხარ?

აშკარა შენიშვნას იწვევს სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ორიოდ საკითხი მთის დიალექტების ბრუნვებისა და ბრუნვის ნიშნების შესახებ. ასახელებენ **-ივ** მაწარმოებლიან მოქმედებითებს. **სიმურგელ-ივ, მხარილ-ივ, სიგრძ-ივ**. მაგრამ თუ კარგად დაუფკვირდებით, ეს ვარიანტი ზმნისართების მაწარმოებელი ელემენტია, აწარმოებს ვითარების ზმნიზედებს, რომლებიც წინადადებაში ვითარების გარემოებებია:

„სიგრძ-ივ გაჭხურა ნაბადი, ზედ გადაადვა ფარიო“ (ვაჟა);
თვალნათლ-ივ დაინახა ყველაფერი.

მოქმედებითი ბრუნვის ფუნქცია ინსტრუმენტალურობაა, რომელიც წინადადებაში იარაღის ანუ საჭურვლის დამატებად გვევლინება. ესაა მოქმედებითბრუნვიანი სახელის ძირითადი დანიშნულება. **-ივ** ფორმანტიანი სახელი ამ როლში არასოდეს შეგვხვდება.

მეორე საკითხი, რომელიც აგრეთვე საფუძვლიან შენიშვნას იწვევს, ე.წ. ლოკალური ბრუნვების პრობლემაა. მთის დიალექტებში გამოყოფენ დამატებით ოთხ ბრუნვას: **სადაობითი, გამოსვლითი, მიწევნითი** და **სადაობით-გამოსვლითი**. ამ „ბრუნვათა“ ფორმების ჩამოყალიბება ისტორიული განვითარების შედეგს მიეწერება: მიიჩნევა, რომ თანდებულებსა და ბრუნვის ნიშნებს შორის ურთიერთ ფონეტიკური ზემოქმედების ზღვარი მოიშალა, ორი ფორმანტი ერთ ფორმანტად გაერთიანდა და ბრუნვის ნიშნად ჩამოყალიბდა. მაგრამ ენობრივ ერთეულთა ფორმალურ-ფუნქციური ანალიზი ადასტურებს, რომ ამ პროცესს თანდებულების ფუნქცია არ შეუცვლიათ. ისინი კვლავ ფრაზის ინგრედიენტებად რჩებიან და არა სიტყვაფორმისა. ასე რომ, ისინი წინადადებაში კვლავ სიტყვის დანიშნულებას ასრულებენ.

ამდენად, ქართული დიალექტების პარადიგმებში კვლავ შვიდი წევრი განიხილება და არა მეტი — რვა ან ათი და თერთმეტი (ეს დებულება თანაბრად გავრცელდება ახალ სალიტერატურო ქართულზეც, სადაც მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ფიქსირდება ე.წ. ადგილობითი ბრუნვები).

კ ა ხ უ რ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ი, -ო	კაკალ-ი, გოდორ-ი; თხა, კატა;	რევაზ-ი, მათე.
მოთხ.	-მა, -მ	თავგ-მა, გოდორ-მა; თხა-მ, კატა-მ	რევაზ-მა, მათე-მ.
მიც.	-ო, -ფ, -სა.	თავგ დაიჭერს; კატა-ფ შეეშინდა; შეხედა მთა-სა; თხა-სა-ც დააბამს.	მეთე-ფ დაუძახა; რევაზ გამაართო; დაუძახა მათე-სა, რევაზ-სა-ც გვეცნო.
ნათ.	-ი, -ფ, -იფ, -ის, -ისა	თავგ-ი სორო; კატ-ი ლუკ-მა; ორმო-ფ ნაპირი; სახლის უკან; სახლ-ისა-კენ.	მათე-ფ ქული; რევაზ-იფ ლაპარაკი. ხმა სურევაზ-ისა აქო-ნდა.

მოქმ.	-ით, -ითა, -თი	თოფ-ით მოკლა; კატ-ით შააშინა; მოკლა თოფ-ითა; ხელ-ითა-ც გაშინჯა. ორ-მთი შაინახა.	რევაზ-ით დეემუქრა; მათე-თი მაშინეფს.
ვით.	-ათ, -თ, -ათა	სახლ-ათ იყენებს; მზე-თ ეჩვენება; გუთნ-ათა ხმარობს.	რევაზ-ათ მეჩვენა. მათე-თ ჩათვალა.
წოდ.	-ო, -ვ, O	სახლ-ო, მთა-ვ, გზა-ვ	ლიზა-ვ, ნათელ, მიტუა-ვ

ქ ა რ თ ლ უ რ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ი	სახლ-ი, გზა-ი, ტყე-ი	როსტომ-ი, თინა-ი
მოთხ.	-მა, -მ -მ(ა), -მან	სახლ-მა, ტყე-მ, დამალა გზა-მ(ა) გადმასახლა მეფე-მან	როსტომმა თქო, თინამ მაიტანა.
მიც.	- O , -ს(ა)	კაკალ-ს, კაკალ-სა ბერტყამს. კვერცხ არტყამდა.	როსტომ-ს, თინა-ს
ნათ.	-ის, -ისა, -ი, -სი	სახლ-ის ახლოს; ეს ადგილი ყოფილა ბატონ-ისა; დაჯდა სუფრ-ის თავსა.	როსტომ-ის(ა) თინა-ს ლეკური. ისა ყოფილა თინა-სი.
მოქმ.	-ით(ა) -თ(ი)	გუთნ-ითა ხნავენ. თოფით მოუკლავს. ძალა-თი, საღამო-თი	როსტომ-ით თინა-თი.
ვით.	-ათ(ა), -თ(ა)	კაც-ათ, მოჯამაგირე-თ, ყმა-თ	—
წოდ.	-ო, -ვ, - O	კაც-ო, სახლ-ო, მზე-ვ	მაყვალ, ნათელ, როსტომ;

თ უ შ უ რ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ი, -ი - O	დედაი, მამაი, ძალ-ი, ორმოი. დედა მოიდ; ძალ ხყეფს;	კოტეი, რევაზ-ი, როსტომ-ი; კოტე შემოჩინდ, როსტომ ყოფილ
მოთხ.	-მ -მ(ა) -მან	დედა-მ მითხრ; მამა-მ მიყიდ; ძალმ დიხყეფ. ძალ-მან უთხრ.	კოტე-მ მისწერ; რევაზ-მ ასწავლ; კოტე-მან თქვაავ.

მიც.	-ს -ს(ა)	დედა-ს დეჟშინ; მამა-ს შებედ; ძალ-სა-ც აჭმი.	კოტე-ს, რევაზო-ს, როსტომ-სა-ც
ნათ.	-ის, -ის(ად) -ის(ი) ის(ი) -ს, -ს(ად) -ს(ი)	დედ-ის ბიჭო; ის ყოფილ ჩემ დედ-ისად; დედ-ისაი-ც მცხვე-ნისავ. ეგეავ ჩემ ძმ-ისი-ვ	კოტე-სად, რევაზო-ს-თოფი; რევაზო-სი-ც; კოტე-საი-ც
მოქმ.	-ით, -ით(ა)	თოფი-ით, ხანჯრ-ით, კაც-ითა-ც უზიანოდ შეინახნიდი.	—
ვით.	-ად, -დ -ად(ა) -დ(ა)	თოფ-ად, ხანჯრ-ად, მზე-დ, ორმო-დ, კაც-ადა-ც.	კოტე-დ მომეჩვენ; თამარა-ად ჩავთვა-ლწ.
წოდ.	-ო, -ვ	სახლ-ო. კაცო-ო, დიაც-ვ, ბაღ-ო.	კოტწ, რევაზ-ვ, მუთლაყვ, თამარაყ-ვ

ფ შ ა უ რ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ო, -ი	კაკალ მაიტანა, მაიტანა კაკალ-ი	გოდერძ მოიდა; კი წევსა მართა-ი?
მოთხ.	-მ, -მა, -მან	კაკალ-მ აწყინა; ვარმა თქვა; ცამან დაყარა ნამია	გოდერძ-მ იძახა; მართა-მა თქვა; ლუხუმ-მან თოფი იშმშვლა.
მიც.	-ს, -ს(ა)	კაკალ-ს მეხ დაეცა. დედა-სა უთხრა, ნუ სტირი.	გოდერძ-ს ეჩვენა; მართა-ს ეთქვა; ლუხუმ-სა დკითხა.
ნათ.	-ის, -ის(ა) -ის(ი)	კაკლ-ის ფოთოლი; ვმა მოიდა მეხ-ისი; ბაღ-ისი; კაც-ისა.	რევაზ-ის ცოლია. თილ-ის ობოლი.
მოქმ.	-ით -ით(ა)	ცრემლა-ით; ჯელ-ითა-ც მიეწვავდა.	—
ვით.	-ად, -ადა, -დ, -და, -ა.	ცრემლს ნამ-ად გადმოგაყრიან; წავდღვებთ ცოტა-ადა-ა; ტყვე-დ წაუყვანავ; ყინჩ-ა გამამყვება.	—
წოდ.	-ო, -ვ, -ო	დედა-ვ, მთა-ვ; ძალლუა-ო. ქალ, ნუ მირბი.	თეთრუა-ვ, გრიგოლ-ო, მზევინარ-ო.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ო, -ი, -ე	ზაფხულ მშვიდობისა დაღღგომი-ვასთ. ერთხენ ბობლანა-ი-ც ადგებავ.	მოგივიდ გოგია-ე; გამაჩინდების ხირჩლა-ე.
მოთხ.	-მა, -მ	ღმერთ-მ ნურა მიაღინას; თხა-მ რაჯელ დაგაშინ? ღმერთ-მა-ც, კაც-მა-ც.	გოგია-მ, თამარ-მ როსტომ-მ თქვა; გივ-მა- გაღმართა მაჟარი.
მიც.	-ს	ღმერთ-ს ნუ აწყენ; კაც-ს, ბაღღ-ს, ღიდ-ს, ბეწიკუა-ს	გივ-ს, როსტომ-ს, ვირჩლა-ს.
ნათ.	-ის, -ისი	ღმერთ-ის წყენაიას. ეგ თოფი ჩემ ძმ-ისაჲ	გივ-ის ვარი; როსტომ-ის სიტყვა. ვირჩლა-ისი-ვ.
მოქმ.	-ით, -ით(ა)	თოფ-ით მაკლულრ; ვმალ-ითა-ც უცავ. საკაც-ით მაუყღავის.	—
ვით.	-ად, -ა	თხ-ად მაშჩვენებევ. შორ-ა გავიდა ამბავი. შულღ-ა გამჯღელი.	—
წოდ.	-ო, -ვ	თხა-ო, რას გაგხარებია; ფანღურ-ვ, ვიძახათ მე და შენაო; ღეღა-ვ.	აკაკ-ო, ღელა-ვ.

მ ო ხ ე უ რ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ი, -ო	გუთან-ი, ღეღაკაც-ი, ქალა-ი, ოქრო, კლღე, ყრუვ-ი, ბუვ-ი	გირგოლა-ი, პოვლია-ი, მაყვალა-ი.
მოთხ.	-მა, -მ, -მან, -მამ	კაც-მა; ქალ-მ პირმა... ღვთისა-მან, ბარძიმისა-მან, ღმერთის-მამ.	გირგოლა-მ, მაყვალა-მ, პოვლია-მ
მიც.	-ს	კაც-ს, ქალ-ს შკოლა-ს, გზა-ს	გავა-ს უთხრა; ბერა-ს მოეტანა; იობ-ს.
ნათ.	-ის, -ისა, -სი	სახლ-ის წინ, შკოლა-ის თავ-ჩი. ხიზნ-ის სასაცილო. უცოლო-სა. რაი მეგონა იმ ღრო-სი	გავა-ის მზემა; ჟურხნა-ის მამამა.

მოქმ.	-ით, -თ, -თა	ოქრო-თ შეკაზმული. თო-ფ-ით მაკლული. აავსიან ერბო-თა.	—
ვით.	-ად, -დ -ას	კაც-ად; ქალ-ად; თხა-დ; ტიტველ-ას დადიოდა; წკრინ-ას მიდიან.	—
წოდ.	-გ, -ო, -უ, -ისი	ღმერთ-ო მიშველე. ქალა-უ	გოჩა-გ, მაყვალა-უ, ონისე-ისი

მ თ ი უ ლ უ რ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ი, -ა, ო	ღოში ხოა კარაქ-ი; შუშუ-ტა-ა; ძირს ჭრიჭინა უღევს.	რევაზ-ი; შოთა; გიორგა-ი მოვიდა. ნადირა-ა ჰქვივნებიყო.
მოთხ.	-მა, -მ	დაიწყო დედაკაც-მა ტი-რილი; მამა-მ უთხრა; ჯარ-მა დაიბინა.	რევაზ-მა თქვა; შოთა-მ უთხრა.
მიც.	-ს	რძალ-ს პური მოშვიდა სირისკულდა-ს არ აჭმევო?	რევაზ-ს, შოთა-ს.
ნათ.	-ის, -ისა -ისი	ჩემი დაედამთილ-ის დედამთილი; ომ-ის დრო იყო; თქვენი სიმრევლე არ იქნებაო, არც კაც-ისა-ო, არც საქონ-ისა-ო. არ მისცეს თავ-ისი ყალანი.	სალმი-ს ვმალი; რევაზ-ის შვილები;
მოქმ.	-ით, -ითა	ამ ჩოულობ-ით გაათავებენ. იმათ უომნია ისრ-ითა	—
ვით.	-ად, -ათ, -ათა	მაცნ-ათ გაუშვეს. მწედარსა ანდლიშ-ად ჯერი ჯდებაო. დავაგდე ჯავრიან-ად-ო	—
წოდ.	-ო, -დ -გ	ღორ-ო არეში, მარეში; ყმაწვილ-ო, რა სირეგვენე მოგრეგია.	შე ბეჟან, ბეჟან, ყმაწვილო; გურამ-ო, გიორგა-გ.

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-ი, -ა,	ჩიტ-ი, დედა-ა ლამე-(ა),	ყოდრა-თ-ი, მუხთარ-ი

	-O	წყარო-(ა), ღამე შაიქნა	სედიყე.
მოთხ.	-მა, -მ(ა) -მამ	ჩიტ-მა/მამ; დედა-მ(ა); ღამე- მ(ა); წყალ-მა/მამ;	ყოღრათ-მა, მუხთარ- მა, სედიყე-მ(ა)
მიც.	-ს(ა)	ჩიტ-ს(ა); წყალ-ს(ა); წყარო-ს ღამე-ს(ა);	ყოღრათ-ს(ა); მუხთა- რ-ს(ა), სედიყე-ს(ა)
ნათ.	-ის(ა), -ის(ა)	ჩიტ-ის(ა); წყალ-ის(ა); ღამე-ისა, წყარო-ისა;	ყოღრათ-ის შვილი; მუხთარ-ის ცოლი; სედიყე-ის ძმა.
მოქმ.	-ით(ა), -ით(ა)	ჩიტ-ით(ა); წყალ-ით(ა); ღამე-ით(ა), წყარო-ით(ა);	—
ვით.	-ად/ათ, -ად.	ჩიტ-ად; წყალ-ად; ღამე-ად; წყარო-ად;	—
წოდ.	-ო, -O	ჩიტ-ო; წყალ-ო; ღამე-ო; წყარო.	ყოღრათ; მუხთარ; სედიყე.

ი ნ გ ი ლ ო უ რ ი			
ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებითი სახელთა ბრუნება	საკუთარ სახელთა ბრუნება
სახ.	-O, -ა	შტლ; ყმაწტლ; არწი-ა, გუგრა-ა, ქუა-ა.	გიორგი-ა, თამაზ-ა, ელენე-ა
მოთხ.	-მა, -მ	მამამთილ-მა ჩაიყიბა ფუ- ლევ; ჩე-მა მაზლ-მა მორეკა. ჩემ ზმა-მ. ზმა-მა-ც მაყონა.	გიორგი-მ, თაზა-მ, ელენე-მ
მიც.	-ს, -ს(ა), -ა, -ჰ, O	ხორბალ აზლევენ. ცხენ ეს კლავს. იპარავდენ ცხენ, ცხორ, კამეჩ. ქუა-ს-თან, დედა-ა უთხარ.	გიორგი-ს; თაზა-ს; ელენე-ს.
ნათ.	-ი, -იზ, -იზ, -ა	ჟერან-ი ხორც; მმა-ა სახლ; კაც-იზ-გნი	გიორგი-ის სახლ. თეზა-ის, ელენე-ის.
მოქმ.	-ით, -ითი, -ი.	ყოშუნ-ი ჯოცავს; ველ-ით, ველ-ითი.	—
ვით.	-ა, -ად, -ადა, -და, -დ, -ან	გადურ-ა გოვზარდი; მაჭაკლ-ა მიდიოდა; საყ- დომ-ად უგევენ; კაც-ადა-ც ვერ ივარგევს. წაუდნენ სანადირო-დ.	—

ბრუნვა	კახური	ქართლური	თუშური	ფშაური	ხევსურული
სახ.	-ი -O	-ი	-ი -ა -O	-O -ი.	-O, -ი

მოთხ.	-მა -მ	-მა, -მ, -მან	-მ, -მა, -მან	-მ, -მა -მან	-მა -მ
მიც.	-ო, -ე -ს	-ო, -ს, -სა	-ს, -სა	-ს, -სა	-ს
ნათ.	-ი, -ე, -ის, -ისა	-ის, -ისა, -ი, -სი	-ის, -ისაე -ისაი, -ისი -ს, -საე -საი.	-ის, -ისა	-ის -ისი
მოქმ.	-ით, -ითა -თი	-ით, -ითა -თი	-ით -ითა	-ით -ითა	-ით -ითა
ვით.	-ათ, -თ -ა ა	-ათ, -თ -თა	-ავდ, -დ -ადა, -და	-ად, -ადა, -დ, -და -ა	-ად -ადა
წოდ.	-ო, -ვ -ო	-ო, -ვ, -ო	-ო, -ვ	-ო, -ვ, -ო	-ო. -ვ

ბრუნვა	მოხეური	მთიულური	ფერეიდნული	ინგილოური
სახ.	-ი -ო-	-ი, -ე, -ო	-ი, -ე -ო	-ო, -ე
მოთხრ.	-მა -მან -მამ	-მა -მ	-მა -მამ	-მა -მ
მიც.	-ს	-ს	-სა	-ს, -სა -ი, -ჰ -ო
ნათ.	-ის, -ისა -სი	-ის, -ისა -ისი	-ის -ესა	-ი, -იზ, -ეზ, -ე
მოქმ.	-ით, -თ -თა	-ით, -ითა	-ითა -ითა	-ით, -ითი -ი
ვით.	-ად, -დ -ას	-ად -ათ, -ათა	-ად -ათ -ად	-ად, -ა -ადა, -და -დ, -ან
წოდ.	-ო, -ვ -უ, -ისი	-ო, -ო -ვ	-ო -ო	-ო -ო

1.3. სახელთა ბრუნვა; ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები, მისი ვარიანტები და განაწილება (დასავლურ დიალექტებში)

ქართული ენის დასავლეთის ზონის დიალექტებში ბრუნვათა სისტემა უმთავრესად მიჰყვება სალიტერატურო ენის ბრუნვათა სისტემას. გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც სხვადასხვა დიალექტში გვხვდება, ქმნის დიალექტურ ქვესისტემებს.

მნიშვნელოვანი სხვაობა არ ვლინდება არც ბრუნვათა რაოდენობისა და არც ბრუნვის ფორმათა ფუნქციური გამოყენების თვალსაზრისით. მაგრამ ზოგიერთ დიალექტში გამოიკვეთება ორმაგი ბრუნვის ფორმები. ქვემოთმოდგომის, ლენხუმურსა და აჭარულში დასტურდება **ნანათესაობითარი მიცემითის** ფორმები: **ნათესავისას, მოყვრებისას, მეზობლისას**. აღნიშნული ფორმები გამოხატავენ **ლოკაციას, მყოფობას: „მოყვრებისას ვიყაით“...** აჭარულში ამგვარი ფორმები მოიკვეცენ ბოლოკიდურ თანხმოვანს, კერძოდ, მიცემითის ბრუნვის ნიშანს, მაგრამ სავრცობის არსებობა ნანათესაობითარი მიცემითის ამოსავალ ფორმაზე მიუთითებს. ფორმის ფუნქცია აჭარულშიც იგივეა, რაც ქვემოთმოდგომისა და ლენხუმურში — **ლოკატივი (ლოკაცია): მეზობლისა, შენსა**.

გარდა ნანათესაობითარი მიცემითისა, აჭარულში გვხვდება **ნანათესაობითარი ვითარებითი ის-ათ** დაბოლოებით: **დრო-ის-ათ (დრო-ზე), ქეიფისათ (ნებით, სურვილით)**.

სხვა ფუნქციური სხვაობა სალიტერატურო ენასთან მიმართებით დასავლეთის ზონის დიალექტებში არ დასტურდება.

ბრუნვათა სისტემა დიალექტებში და ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური ვარიანტები:

სახელობითი ბრუნვა: სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** დიალექტებში ორი ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება: სრული ხმოვანი **-ი** და მისი ფონეტიკური ვარიანტი **-ე**, რომელიც ძირითადად ფუძისეული ხმოვნის შემდგომ გვევლინება. ზოგჯერ **-ი/ -ე** კილოური ან ქვეკილოური სხვაობის განმაპირობებელიცაა, როგორც, მაგალითად, სამცხურსა და ჯავახურში: ჯავახურში ვლინდება სრულხმოვანი ბრუნვის ნიშანი, ხოლო სამცხურში — ნახევარხმოვანი, რაც ამ კილოთა ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად იკვეთება. ჯავახური: დედა-ი, მამა-ი, ძალო-ი; ცემი, სროლაი... ჭამა-სემი; სამცხური: მამა-ე; ძალო-ე... სახელობითი

ბრუნვის გაფორმების მიხედვით დასავლურ დიალექტებში შეიძლება რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა:

- დიალექტები, რომლებშიც სახლობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება -ი: ჯავახური, ზემოიმერული, ქვემოიმერული, ლეჩხუმური, გურული.
- დიალექტები, რომლებშიც სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის -ა: სამცხური, რაჭული, აჭარული, იმერხეული.
- დიალექტები, რომლებშიც სახელობითი ბრუნვა ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: რაჭული. აჭარულის ქობულეთური თქმა.

ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის ბრუნვის -ი ნიშანი დიალექტებში ჩვეულებრივ დასტურდება, მაგრამ სხვადასხვა ვარიაციით. ეს სახელთა ბრუნების ძველი ქართულისეული სისტემის გარკვეული სახით შენარჩუნებაა. სალიტერატურო ენაში ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის დასუსტების პროცესი საბოლოოდ მისი დაკარგვით დასრულდა. ჯერ კიდევ საშუალო ქართულში ვლინდება სახელობითში გაუფორმებელი ხმოვანფუძიანი სახელები, ხოლო ახალ ქართულში ხმოვანფუძიანი სახელები ერთადერთი ნულოვანი ალომორფით წარმოდგენენ სახელობით ბრუნვას.

დიალექტებში ხმოვანფუძიან სახელებში სახელობითი ბრუნვა სრული თუ ნაწილობრივი გახმოვანებით გვხვდება, თუმცა არაერთგვაროვნად. მნიშვნელობა ენიჭება როგორც მარცვალთა რაოდენობას, ისე ფუძისეულ ხმოვანს. დასავლური დიალექტებისთვის სახელობით ბრუნვასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული ფონეტიკური პროცესია **აი > ეი > ე**; ეს პროცესი ფართოდაა გავრცელებული რაჭულში, ქვემოიმერულში, ლეჩხუმურსა და ზემოგურულში. პროცესი ვითარდება ორ და მეტმარცვლიან ფუძეებში: **კვირე (რაჭული), მამიდე, ბიძიე, ბაღანე (ქვემოიმერული), ტომარე, კვატატელე, კაცისთავე (ლეჩხუმური); ნაფოტე, ტუმარე (ზემოგურული).**

-ა ხმოვანზე დაბოლოებული **ერთმარცვლიანი** სახელები სახელობით ბრუნვაში ყოველთვის დაირთავენ -ი ბრუნვის ნიშანს. ეს პროცესი თითქმის უგამონაკლისოდ გვხვდება **გურულსა და ქვემოიმერულში** (განსაკუთრებით ვანურ თქმაში). **და-ი, ძმა-ი, გზა-ი, ხეი, დღე-ი, ხბო-ი, ყრუ-ი...** **ზემოიმერულში** განხვავებული ვითარებაა. სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი გვხვდება ორ- და მეტმარცვლიან სახელებთან, მასდარებთან, აბსტრაქტულ სახელებთან, რიცხვით სახელებთან: **ცნობრება-ი, კაცობა-ი, ქალობა-ი, სამივე-ი...** -ი შეიძლება დაერთოს ერთ-

ზე მეტმარცვლიან სახელებს, მაგრამ უფრო მეტად მაშინ თუ მის წინ -ა მორფემა, სიტყვათწარმომქმნელი ან კნინობითისა, ან სახელი კომპოზიტია: **ნაფოტა-ი, გულწითელა-ი, რკინიგზა-ი, მამიდა-ი.** თუმცა ქვემოიმერულის ვანურ თქმაში ამგვარ შემთხვევებში უპირატესად **აი > ე** პროცესი დასტურდება: **გულწითელი, მამიდე...**

დასავლურ დიალექტებში ვლინდება სახელობითის -ი ნიშნის დასუსტების პროცესი და მისი ნახევარხმოვნის -ფ სახით წარმოდგენა. ეს უპირატესად ახასიათებთ **რაჭულს** (განსაკუთრებით ვლინდება **გლოლურ** კილოკავში), სპორადულად ახასიათებს **ზემოიმერულსა** და **გურულს** (ოზურგეთულ თქმას).

საკუთარ არსებით სახელებში ვლინდება შემდეგი თავისებურებები: მესხურ დიალექტში -ი / -ფ მორფემა თავს იჩენს საკუთარ სახელებში: **შოთა-ფ, პეტრე-ფ, ნუნუა-ფ; ნიშა-ფ; ღაბუა-ფ;** ჯავახურში -ი ნიშნით: **შოთა-ი, პეტრე-ი, ნიშა-ი, ღაბუა-ი;** საკუთარი სახელები ძველი ქართულის მსგავსად შეიძლება შეგვხვდეს გაუფორმებელი, ფუძისეული სახით: **ჯავახურში** — როსტომ, თინათინ; რაჭულში — ავთანდილ, ბეჟან, ამირან; **გურულში** — სამსონ, დავით... სამეცნიერო ლიტერატურაში ეს წიგნურ გავლენადაა მიჩნეული, თუმცა უფრო ძველი ქართულისეული წარმოების ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ. ცალკე მსჯელობის საგანია საკუთარ სახელთა გაფორმება იმერულ, ლეჩუმურ და გურულ დიალექტებში. გავრცელებულია -ია კნინობითის მაწარმოებლის დართვა, რომლის ხმოვანიც შეცვლილია სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის დართვის შედეგად და ამდენად ვლინდება ახალი დაბოლოება: -იე ან -ე:

თანხმოვანი + 0	ჯავახური, რაჭული, გურული	როსტომ გამოიპარა; ერქვა თინათინ. (ჯავახური) ავთანდილ; ადგა ბეჟან; ამირან წიხლი ჰკრა. (რაჭული) სამსონ, დავით... (გურული)
ხმოვანი + ი	ჯავახური, ზემოიმერული	შოთა-ი, პეტრე-ი... ნიშა-ი, ღაბუა-ი; (ჯავახური) კაკოი, ვარლამაი, მარგალიტაი; (ზემოიმერული)
ხმოვანი + ფ	სამცხური, აჭარული, იმერხეული	შოთა-ფ, პეტრე-ფ, ნუნუა-ფ; ნიშა-ფ; ღაბუა-ფ (სამცხური) არჩილაფ, უსუფაფ; ესმეფ, ზაქიეფ... (აჭარული); ანა-ფ, (იმერხეული)
აი > ეი/ეფ >	ზემოიმერული,	ბაბილინეი (ზემოიმერული)

ე; ია > იე	ქვემოიმერული, ლენხუმური, გუ- რული, აჭარული	ფიქრიე, ზაქიე... (აჭარული) ოთარი / ოთარიე, კაკოიე, ვარლამიე, მარუსე; ბაბილინე, (ქვემოიმერული) იასონე, ვასილე, ქაქუჩილე; (ლენხუმური) გაბილეი, თამარეი, (გურული) ესმეე, ზაქიე...
---------------	--	--

სახელობითი ბრუნვის ფუძის მიხედვით დიალექტებში ისეთივე ვითარებაა, როგორც სალიტერატურო ქართულში, ანუ ფუძე სრული სახითაა წარმოდგენილი ამ ბრუნვაში, მაგრამ გამონაკლისს წარმოადგენს აჭარული დიალექტის ქობულეთური თქმა, რომელშიც დასტურდება რამდენიმე სახელი უსრული ფუძით სახელობით ბრუნვაში: **ურმი, მეზობლი, დრუბლი, საქონლი...**ეს მოვლენა უფრო გამონაკლისია და დასავლეთის ზონის სხვა დიალექტებში არ შეინიშნება.

მოთხრობითი ბრუნვა: მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი დიალექტებში სალიტერატურო ქართულისაგან მნიშვნელოვან სხვაობას არ იძლევა. ბრუნვის ძირითად მაწარმოებლად ფუძეების მიხედვით გვევლინება **-მა** და **-მ**, შესაბამისად, თანხმოვანფუძიანებთან **-მა** და ხმოვანფუძიანებთან **-მ**. სამცხურ-ჯავახურში ხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობითის ნიშნად დასტურდება **-ნ** (დედა-ნ...), მაგრამ ეს დიალექტში მიმდინარე **მ-ნ** ფონეტიკური მონაცვლეობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ და არა მოთხრობითის ისტორიული მაწარმოებლის **-ნ** ნიშნის ნაშთად, ანუ ეს არაა იმგვარი მოვლენა, როგორცაა **ვი-ნ, ამა-ნ** ფორმებში მოთხრობითის **-ნ** ნიშანი.

ძველი ქართულისეული წარმოების მსგავსად სამცხურ-ჯავახურში სპორადულად ვლინდება **-მან** დაბოლოება, თუმცა ეს არაა ამ დიალექტისათვის მკვეთრი მახასიათებელი და საერთო დიალექტური ნორმა, იგი მაინც იშვიათ შემთხვევად ითვლება: **ქალმან, გლემან, ბიჭმან** (გოგაშენი).

სალიტერატურო ქართულის მსგავსად, თანხმოვანფუძიანი სახელებისთვის მოთხრობით ბრუნვაში ნორმაა **-მა** დაბოლოება და ყველა დიალექტში სახელთა ბრუნება ამ წესს მისდევს. ასევე ზოგიერთ დიალექტში ხმოვანფუძიან სახელებთანაც **-მა** დაბოლოება ვლინდება. ეს დიალექტებია: **მესხური — დამა; მოლამა; რაჭული — გამაგ ზავნა ჩე-მა ძმა-მა; მელა-მა თქვა; ზემოიმერული — ძმამა, დედამა, მამამა; გურული — ძმამა, ხემა, ყრუმა... აჭარული — ურემამა; ძმამა, დედა-მა; იმერხეული — ფაშამა, დედამა, სიძემა.**

ამ წარმოებისაგან განსხვავდება ქვემოიმერულისა და ლეჩხუმურის მონაცემი. აქ ხმოვანფუძიან სახელებში **-მ** მაწარმოებელი ვლინდება. კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ იმ სახელებში, რომლებიც სახელობით ბრუნვას **-ე** დაბოლოებით აწარმოებენ (ბალანე ტიპის სახელები), აღდგება ფუძისეული **-ა** ხმოვანი და მოთხრობითი ბრუნვის ფორმა ამგვარად გაფორმდება: სახელობითი — **ბალანე**, მოთხრობითი — **ბალანამ**.

საკუთარ სახელთა ბრუნებაში იკვეთება რამდენიმე საკითხი: თანხმოვანფუძიანი სახელები **იმერულსა** და **ლეჩხუმურში** მოთხრობით ბრუნვაში წარმოდგენილნი არიან როგორც **-ი** ხმოვნიანი სახელები: **ვანტანგიმ, ოთარიმ, ნოდარიმ. ზემოიმერულში** თანხმოვანფუძიანი სახელები მოთხრობითში შეიძლება ფუძის სახით, ანუ გაუფორმებლად იყოს; ამგვარი მოვლენა ვლინდება **გურულშიც**. ძირითადად ასეთი შემთხვევები **თქმა** ზმნასთან დასტურდება: **ზემოიმერული — თინათინ ამბობს, თინათინ თქვა (ბაღდათურში); გურული — სამსონ, დავით... (დავით გამეიარა და თქვა...)** **მესხურში** დასტურდება ხმოვანფუძიანი სახელის თანხმოვანფუძიანის მსგავსად წარმოების შემთხვევა — **გივ-მა** ფორმა, მაგრამ ეს საერთოდიალექტურ მოვლენად ვერ ჩაითვლება. **იმერხეულში** კი თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების მსგავსად შეიძლება **-მა** ბრუნვის ნიშანი დაირთოს ხმოვანფუძიანმა საკუთარმა სახელმა: **მირზა-მა...**

ის **ა**-ფუძიანი სახელები, რომლებიც სახელობით ბრუნვაში ფონეტიკური ცვლილების შედეგად იჩენენ **-ე** დაბოლოებას (მაყვალე, ბაბილინე, პეტრიე) მოთხრობით ბრუნვაში ისევ აღიდგენენ ფუძისეულ **-ა** ხმოვანს: **მაყვალამ, პეტრიამ, ბაბილინამ...** ეს მოვლენა დამახასიათებელია **ქვემოიმერულისა** და **ლეჩხუმურისათვის**.

მიცემითი ბრუნვა: დასავლურ დიალექტებში მიცემითი ბრუნვის ძირითად ნიშნად გვევლინება **-ს**, ხოლო მის ფონეტიკურ ვარიანტებად შეიძლება შეგვხვდეს **-ჰ, 0. მესხურში** თანხმოვანფუძიან სახელებში შეიძლება მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგოს და სახელი ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი: **ახალქლაქ-(ს) მიდის, იმ ზამთარ, ხურჯინ პირი მოხსნა;** ხოლო ხმოვანფუძიან სახელებთან შესაძლოა მიცემითი ბრუნვის ნიშნის **-ჰ** ვარიანტი შეგვხვდეს: **ახალციხე-ჰ დარჩა;**

ასევე შეიძლება დაიკარგოს ბრუნვის ნიშანი და იგი ნულოვანი ვარიანტით იყოს წარმოდგენილი **რაჭულში — რივნი პირ გამიყვანეო; დვალეთ ცოლოურობა ხეავდა; ლეჩხუმურში — ლაილაშ წვევიდა;** ასევე **იმერხეულში — სადილობინან;**

მიცემითი ბრუნვის წარმოებას ერთი თავისებურება ახლავს **რა-ჭულში**: მიცემითის ფორმაში ვლინდება **-ფ**, რომელიც სახელობითიდან გადმოყოლილად არის მიჩნეული: **მამაფ-ს; ხეფ-ს დაუშენდა; რაფ-ს გვიბძანებთ**; ასეთივე მოვლენა დასტურდება ქვემოიმერულში: **სახლი-ს, კვერცხი-ს, კიტრი-ს. „მუნჯის ვერ გააჩუმეფ და კოჭლის ვერ გააჩერეფო“ (ანდაზა).**

მიცემით ბრუნვაში, მოთხრობითი ბრუნვის მსგავსად, აღდგება ფუძისეული **-ა**, რომელიც სახელობითში **-ე** ხმოვნით იცვლება. ეს პროცესი ახასიათებს **ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურს**: **ბიცოლას, ბაღანას**;

მიცემითის სავრცობიანი ფორმები ხშირია **მესხურში (ქვასა, ტახსა)**. სავრცობიანი ფორმები დასტურდება ასევე **იმერხეულში — დარდას; ზემოიმერულსა და ლეჩხუმურში** გვხვდება **-ე (-სე)** სავრცობი (**ზემოიმერული — სკამსე, ბოვშსე, ფულსე; ლეჩხუმური — კაცსე, დღესე**); თუმცა ქართლის მომიჯნავე რეგიონში **-ა** სავრცობი დასტურდება: **ძმასა, დასა**. ხოლო **ქვემოიმერულში, აჭარულსა და გურულში** სავრცობიანი ფორმები არ დასტურდება.

საკუთარი სახელების მიცემითის ფორმების თავისებურებად შეიძლება გამოიყოს ქვემოიმერულისა და ლეჩხუმურის მონაცემი, როცა სახელობითის **-ე** ფორმიანი სახელები მიცემითში ისევ აღიდგენენ ფუძისეულ **-ა** ხმოვანს: **ქვემოიმერული — ბაბილინას; ლეჩხუმური — ქაქუჩელას. მესხურში** სავრცობი დაერთვის საკუთარ სახელებსაც: **როსტომსა, გივსა**.

ნათესაობითი ბრუნვა: ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელია **-ის** ბრუნვის ნიშანი. იგი ქართული ენის დასავლურ დიალექტებში უცვლელია, თუმცა შეინიშნება გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები როგორც ფუძეში, ისე ბრუნვის ნიშნის გამოყენებაში.

მესხური დიალექტისათვის დამახასიათებელია **-ის > -იჰ > -ი** გადასვლა: **ხის ძირი > ხიჰ ძირი, თავის(ი) ქალი > თავიჰ ქალი**; შესაძლოა ბრუნვის ნიშნის თანხმოდგენითი ნაწილი დაიკარგოს. ეს ძირითადად მართული მსაზღვრელის შემთხვევაში ხდება: **პური ჭამა, სახლი პარტონი, გზი პირას**; ხმოვანფუძიან მსაზღვრელთან ფუძე არ იკვეცება და ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი: **შუათანაის ნაწილი**;

ზემოიმერულისათვის დამახასიათებელია **-ის** ბრუნვის ნიშანზე **-ი** სავრცობის დართვა ყველა სახის ფუძესთან: **ბიძისი, ბიჭისი, კბილისი, წყაროსი...**

დიალექტთა მეორე ჯგუფში კი ხმოვანფუძიანი სახელები არც იკვეცება და არც ბრუნვის ნიშნის რედუცირება არ ხდება. ამ რიგის დიალექტებია: **ქვემოიმერული — დაის, ძმაის, კტეის, დელეის, აბანო-ის... რა-ის... მთა-ის, კტე-ის პირას... ლეჩხუმურში** შეიძლება ბრუნვისნიშნისეული -ი დასუსტდეს და ნახევარხმოვნის სახით მოგვევლინოს: — **ქვა-ის / ქვა-მს, ხე-ის/ხე-მს, სურო-ის/სურო-მს; გურული — ხვოის, დელეის, ყრუის; კერიაის/კერიის...** ასევე ნახევარხმოვნის სახითაა წარმოდგენილი ბრუნვისნიშნისეული -ი აჭარულში — **ქობა-მს ძმანები; აგვისტო-მს თვე...** და რაჭულში — **ხე-მს სიმხხო; წყარო-მს თავზე...**

ქვემოიმერულის მონაცემებს ახასიათებთ კიდევ ერთი თავისებურება: სახელობითში -ე ხმოვნით წარმოდგენილი -ა ფუძიანი სახელები ნათესაობითში ისევ აღიდგენენ -ე ხმოვანს. რასაც წინ ამგვარი ფონეტიკური ცვლილება უძღვის: **ბიცოლა-ის > ბიცოლეის, ბაღანა-ის > ბაღანეის.** ასეთივე მოვლენა შეინიშნება ლეჩხუმურშიც: **ტომარე-ის(მს); ქვემოიმერულის** მეორე რიგის თავისებურებად გვინდება ის, რომ ნათესაობითში უკუმშველადაა წარმოდგენილი კუმშვადი ფუძეები: **კედელი, ქმარის;** ასე რომ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას — უმეტესად დასავლური დიალექტებისთვის ნათესაობითში დამახასიათებელია უკვეცელ-უკუმშველი ფუძე და არარედუცირებული ბრუნვის ნიშანი.

საკუთარ სახელთა ბრუნვაც მისდევს დიალექტებისათვის არსებულ საზოგადო სახელთა ბრუნვის ზოგად წესს და აქაც ნათესაობითში აღდგება -ე ხმოვანი, თუმცა დიალექტში დასტურდება საკუთარი სახელის რედუცირებული ბრუნვისნიშნისანი ფორმაც: **ქვემოიმერული — ნათელეის, ბაბილინის; ლეჩხუმური — ქაქუჩილეის / ქაქუჩილეს; აჭარულშიც** ამგვარი ფორმები დასტურდება, მაგრამ ამ დიალექტში ნათესაობითის ბრუნვის ნიშანი ნახევარხმოვნის სახითაა წარმოდგენილი: **ზექიე-მს ზმისტული;**

მოქმედებითი ბრუნვა: მოქმედებითი ბრუნვის წარმოება მისდევს ნათესაობითი ბრუნვის წარმოებას როგორც ფუძის, ისე ბრუნვის ნიშნის თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ბრუნვაშიც ისევე ხდება უკუმშველი ფუძითა და ურედუქციო ნიშნით ბრუნვის ფორმის წარმოება, როგორც ნათესაობითში. ამგვარი ბრუნვა ახასიათებს რაჭულ, ქვემოიმერულ, ლეჩხუმურ, გურულ, აჭარულ დიალექტებს. ნიმუშები: **რაჭული — რძე-მთ; ერბო-მთ; ასტამა-მთ უნდა მობკეპოთ; ქვემოიმერული — ბიცოლეით, ბაღანეით; დაით, ძმაით, კტეით, დელეით;** უკუმშველი ფუძე — **კედელით, ქმარით, მასპინძელით; რა-ით,**

ქვა-ით, ოქრო-ით; ლეიხუმური — ქვა-ით/ქვა-თ, ხე-ით/ხე-ით, სურ-ით/სურ-ით; ტომარე-ის(ს); გურული — კერიაით/კრეით; აჭარული — ქოსა-ით, საცოლე-ით.

ლეიხუმური დიალექტისათვის დამახასიათებელია მოქმედებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნისა და **-ი** სავრცობის შემდეგ **-ნ** ბგერის განვითარება, რაც ნაზალიზაციითაა ახსნილი. მაგრამ ეს პროცესი ვითარდება იმ ფუძეებთან, რომლებიც ხმოვანდაკარგული ბრუნვის ნიშნით იწარმოება: **სუროთინ, ოქროთინ, იმითინ...**

ნათესაობითი ბრუნვის მსგავსად **ზემოიმერული** მოქმედებით ბრუნვასაც **-ი** სავრცობის დართვით აწარმოებს: **ბიძითი, ხელითი, კბილითი, წყაროთი.**

აჭარულში კი მოქმედებითი ბრუნვის **-ა** სავრცობიან ფორმას დაერთვის **-ი**: **მოცლ-ით-ა-ი, მანგლ-ით-ა-ი, პერანგ-ით-ა-ი.**

რაც შეეხება საკუთარ სახელთა მოქმედებითი ბრუნვის ფორმას, იგი სხვა ბრუნვებთან შედარებით იშვიათი გამოყენებისაა. თავისებურებას წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ ამ ბრუნვაში, ნათესაობითის მსგავსად, **-ე** ხმოვანი და ბრუნვის ნიშანი დასტურდება: **ქვემოიმერული — მაყვალეით, ბაბილინეით; ლეიხუმური — ქაქუჩილეით; აჭარული — ზაქიე-ით.**

ვითარებითი ბრუნვა: დასავლურ დიალექტებში ვითარებითი ბრუნვის წარმოების თვალსაზრისით ორი თავისებურება ვლინდება: ვითარებითი ბრუნვის მყდერი თანხმოვნის დაყრუება: **-ად > -ათ, -დ > -თ** ან ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვა: **-ად > -ა.** ეს უკანასკნელი უფრო ვლინდება **-იან** მაწარმებელი სუფიქსის შემდგომ: **-იან-ად > იანა.**

-ად > -ათ, -დ > -თ: მესხური — **მთათ იყო წასული; ზეზეულა; დედაბუდიანა; რაჭული — საჭმელ-ათ, ძველ-ათ, გასაყიდლ-ათ, დასამალავ-ათ; მოჯამაგირეთ; სამანარობლოთ; ქვემოიმერული — კაცათ, ბიცოლათ, ტყვე-თ; გურული — დიაკონათ, კაცათ, გლახათ, საომრათ... აჭარული — ჩიტათ, ტყეთ... იმერხეული — მტერათ, ავათ, თლათ, სანანავათ, ქიდათ (=მასხრად).**

-ად > -ა: მესხური — **ზეზეულა; რაჭული — ვაშკაცურა; ქვემოიმერული — კარქა, ტყულა... გურული — ვაშკაცურა, შენებურა... კაძახურა; აჭარული — სატირლა, საჭმელა, სასმელა, პირვანდელა, მაშინდელა... ლეიხუმური — სტორა, საკუთრა, ჩუმა;**

-იან-ად > იანა: მესხური — **დედაბუდიანა; რაჭული — ბოშიანა, შვილიანა; ზემოიმერული — ცოლშვილიანა, ხურჯინიანა; ქვემო-**

იმერული — ცოლშვილიანა; გურული — ბაღნიანა... აჭარული — ნიბაკიანა, ქალბაღვიანა; ლეჩხუმური — ცოლშვილიანა.

გარდა ამ კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებებისა, ვითარებითი ბრუნვის გამოხატვაში კიდევ გვხვდება ორიოდ თავისებურება, ესენია: **ქვემორაჭულში** ვითარებითი ბრუნვის ნიშნად დასტურდება **-ეთ** დაბოლოება: **ჩუმეთ, ლაღეთ, დიდებულეთ, მოსაყვანეთ, საშველეთ, ნამაღვეეთ... იმერხეულში** კი **-ად > დ** ცვლილება დასტურდება **-ე** დაბართით: **ჩქარად, უჩუმალოდ, მოსაკლელად.**

წოდებითი ბრუნვა: დასავლური დიალექტების ნაწილში წოდებითი ბრუნვის ნიშნად საზოგადო სახელებში მხოლოდ **-ო** გვევლინება და არასოდეს არ გვხვდება **-ვ** ნიშანი. ეს დიალექტებია: **ზემოიმერული, ქვემოიმერული, ლეჩხუმური: კაცო, ქალო, ბიჯო, ძღაბო (ლეჩხუმური).** **ზემოგურულში** ვლინდება შემოკლებული ფორმები **ცა! ცავ! გო!** ბოლო ფორმა დამახასიათებელია **ქვემოიმერულისთვისაც.** **ზემოგურულისათვის** ასევე დამახასიათებელია წოდებითი ბრუნვის ფუნქციით მასაზღვრელ-საზღვრულის სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენა: **ჩემი ბიძიი! ჩემი ბაბუე! ჩემი ბიჭი!** ცალკე ქვეგუფს ქმნის **აჭარული** და **იმერხეული**, რომლებშიც წოდებითისა და ასევე მიმართვის ფორმად გავრცელებულია შემოკლებული ფორმები: **ჭო! გო!** მაგრამ ამ დიალექტის მახასიათებელია ის, რომ ამ ფორმებს **უჩნდებათ -უ** დაბოლოება, რომელიც ფონეტიკურად გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს **-ო > -ვ** დაბოლოებისათვის. ამგვარი წარმოება მხოლოდ ამ ფორმებისთვისაა დამახასიათებელი: **აჭარული — ჭოჸ! დიაჸ! დია! გოჸ! იმერხეული — ჭოჸ!**

განსხვავებული ვითარებას აჩვენებს საზოგადო სახელთა წოდებითი ბრუნვისათვის **მესხური (სამცხურ-ჯავახური).** მისთვის დამახასიათებელია გაუფორმებელი ფუძე: **ნათლიდედ! ნათლიძამ!**

საკუთარ სახელთა წოდებითი ბრუნვის წარმოებისთვისაც დასავლურ დიალექტებში რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

- საკუთარი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: **მესხური — ლამარ! ნათელ! ზემოიმერული — ვახტანგ! ლეჩხუმური — ქაქუჩელა; ქვემოიმერული — დავითია, ბაბილიანა, მაყვალა, პოლია, ვასასი.**
- საკუთარი სახელის ფუძედ გამოყენებულია სახელობითი ბრუნვის ფორმა, ანუ **-ი** ფუძისეულადაა გააზრებული: **ზემოიმერული, ქვემოიმერული, ლეჩხუმური — ვახტანგი!**

- საკუთარ სახელს დაერთვის **-ო** ნიშანი: **ზემოიმერული — ვახტანგო, მიხეილო, დარეჯანო, ნათალო; ლეჩხუმური — დავითო, ვასილო; აჭარული — დურსუნო! დემურალო!**
- საკუთარ სახელს დაერთვის **-უ** მაწარმოებელი, მაგრამ იგი წარმოდგენილია მახვილითა და გაგრძელებით: **გურული — ელიკოუ! ოლდაიაუ!** ეს ფორმები შორი მანძილიდან დაძახებისას გამოიყენება.
- წოდებითის ფორმა წარმოდგენილია **-ვ** მაწარმოებლით: **აჭარული — ახმედავ! ჭემალავ! ფიქრიევ/ფიქრიავ! ზაქიევ/ ზაქიავ! დურსუნავ!** აჭარულში ასევე გამოიკვეთება საპატივცემულო პირისადმი მიმართვის სპეციალური ფორმა: **შემსუდინო!**

დასავლური დიალექტები:

მესხური — სამცხურ-ჯავახური			
ბრ.	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:	საკუთარ არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:
სახ.	-ე — სამცხურში	მამა-ე; ძალო-ე	შოთა-ე, პეტრე-ე, ნუნუა-ე; ნიშა-ე; ლაბუა-ე
	-ი - ჯავახურში	დედა-ი, მამა-ი, ძალო-ი; ცემი, სროლაი... ჭამა-სმაი;	შოთა-ი. პეტრე-ი... ნიშა-ი, ლაბუა-ი; როსტომ გამოიპარა; ერქვა თინათინ.
მოთხრ.	-მან -მა -ნ	დამა; მოლამა; დედა-ნ; ქალმან, გლეხმან, ბიჭმან (გოგაშენი)	გივ-მა მოახსენა;
მიც.	-ს -0 -ჰ ხშირია -ა სავრცობიანი ფორმები;	ახალქლაჟ-(ს) მიდის; ახალციხე-ჰ დარჩა; იმ ზამთარ; ხურჯინ პირი მოხსნა; ქვასა, ტახსა,	გივ-ს გაატანებენ; როსტომსა; გივსა;
ნათ.	-ის > -იჰ > -ი -ი (ა)-ის	ხის ძირი > ხიჰ ძირი, თავის(ი) ქალი > თავიჰ ქალი პური ჭამა, სახლი პართონი, გზი პირას; შუათანაის ნაწილი;	გივ-ის
მოქმ.	-ით	სოფლ-ით ამოვიდა;	—

ვით.	-ათ; -ა	მთათ იყო წასული ზეზეულა; დედაბუდიანა;	
წოდ.	-0;	ნათლიდედ! ნათლიმამ!	ლამარ! ნათელ!

რაჭული			
ბრ.	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:	საკუთარ არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:
სახ.	-0 -ფ	ქალ; ქალა-ფ; დანუკა-ფ; კლდე-ფ, ხე-ფ; კვირე;	ავთანდილ; ადგა ბეჟან; ამირან წიხლი ჰკრა; (წიგ- ნური გავლენა)
მოთხრ.	-მა	გამაგზავნა ჩემა ძმა-მა; მელა-მა თქვა;	
მიც.	-ის -0	მამა-ის; ხე-ის დაუშენ- და; რიგნი პირ გამიყვანეო; დვალეთ ცოლოურობა ხყავდა; ბაბუასობას;	
ნათ.	-ის (უკვეცელ ფუძესთან)	ხე-ის სიმსხო; წყარო-ის თავზე;	
მოქმ.	-ფთ (უკვეცელ ფუ- ძესთან)	რძე-ფთ; ერბო-ფთ; ასტამა-ფთ უნდა მობკე- პოთ; ზეითვან; იმერე- თიდგან; ზედაუწერით წამოველ;	
ვით.	-ათ -თ -ა -ეთ (ქვემოა- ჭულში)	საჭმელ-ათ, ძველ-ათ, გასაყიდლ-ათ, დასამა- ლაგ-ათ; მოჯამაგირეთ; სამახა- რობლოთ; ბოშიანა, შვილიანა; ვა- შკაცურა; ჩუმეთ, ლა- ლეთ, დიდებულეთ	
წოდ.			

ზემოიმერული			
ბრ.	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებით სა- ხელთა ბრუნვის ნიმუში:	საკუთარ არსებით სა- ხელთა ბრუნვის ნიმუში:
სახ.	-ი	ძმაი, დაი, ცაი; ცხოვრე- ბაი, კაცობაი. ბალანეი.	კაკოი, ვარლამაი, მარგა- ლიტაი; ბაბილინეი

მოთხრ.	-მა	ძმამა;	თინათინ ამბოხს, თინათინ თქვა (ბაღდათურში)
მიც.	-ს -სე	ძმასა, დასა (ქართლის მომიჯნავედ) სკამსე, ბოვსე, ფულსე;	
ნათ.	-ის/-ისი -ითე	ბიძისი, ბიჭისი, კბილისი, წყაროსი	
მოქმ.	-ით/-ითი	ბიძითი, ხელითი, კბილითი, წყაროთი	
ვით.	-ათ -ა	ცოლშვილიანა, ხურჯინიანა	
წოდ.	-ო (ვ არასოდეს არ გვხვდება)		ვახტანგ / ვახტანგი, ვახტანგო, მიხეილო, დარეჯანო, ნათალაო

ქვემოთხეული			
ბრ.	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები:	საკუთარ არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები:
სახ.	-ი	დაი, ძმავი, ცავი, გზავი... დანე, მამიდე, ბიძიე, ბაღანე (-ი მხოლოდ ერთმარცვლიანებთან; ორ და მეტმარცვლიანებთან აი>ე, ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია); ბაღანე	ოთარი/ოთარიე, კაკოიე, ვარლამიე, მარუსე; ბაბილინე,
მოთხრ.	-მა -მ	კაცმა; ბიცოლამ, ბაღანამ	ბაბილინამ/ბაბილინემ
მიც.	-ს (ემფატიკური ხმოვნის გარეშე)	ბიცოლას, ბაღანას სახლი-ს, კვერცხ-ის, კიტრი-ს, (ვანურ თქმაში)	ბაბილინას / მამილინეს
ნათ.	-ის (ურედუქციო ფიქსურთან)	ბიცოლის, ბაღანის, დაის, ძმავის, კტეის, ღელის; უკუმშველი / უკვეციელი ფუძე — კედელის, ქმარის; აბანო-ის, ღელე-ის, რა-ის, და-ის, მთა-ის, კტე-ის პირას,	ნათელის, ბაბილინის
ნან.მიც.	-ის-ა-ს	მეზობლისას, დაისას, მოყვრებისას, ნათესავისას	ბაბილინისას

მოქმ.	-ით (ურედუქციო ფუძესთან)	ბიცოლეთ, ბალანეთ; დაით, ძმაით, კტეთ, დელით; უკუმშველი ფუძე — კედელით, ქმართ, მასპინძელით; რა-ით, ქვა-ით, ოქრო-ით	მაყვალეთ, ბა-ბილინეთ,
ვით.	-ათ -თ -ა	კაცათ, ბიცოლათ კარქა, ტყვე-თ; ცოლშვილიანა... ტყულა	
წოდ.	-ო (ვ არასოდეს არ გვხვდება)	კაც-ო ქვა-ო მასპინძელ-ო	დავითია, ბაბილინა, მაყვალა, პოლია, ვასასი...

ლენსუპური			
ბრ.	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები:	საკუთარ არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნები:
სახ.	-ი (აი > ეი > ე)	ტომარე, კვატატელე, კაცისთავე, კტეი, ურბი; ბუვი, ყრუვი, რუვი...	იასონე, ვასილე, ქაქუჩელი; ვახტანგი
მოთხრ.	-მა -მ		ქაქუჩელამ; ვახტანგამ
მიც.	-ს -სე -0 სავრცობი -ბ, -უ	კაცსე, დღესე ლაილაშ წევიდა ხუჩაფათსე/ ხუჩაფათსუ,	ქაქუჩელას; ვახტანგის;
ნათ.	-ის	ქვა-ის/ქვა-მს, ხე-ის/ხე-მს, სურო-ის/სურო-მს; ტომარე-ის(მს) / ტომარე-ს	ქაქუჩელეს / ქაქუჩელის;
ნან.მიც.	-ის-ა-ს	ამ კაცისას, სახლიკაცისას	ვასილიესას
მოქმ.	-ით -თინ	ქვა-ით/ქვა-მთ, ხე-ით/ ხე-მთ, სურო-ით/სურო-მთ; სურო-თინ, ოქროთინ, იმითინ... ტომარე-ის(ს)	ქაქუჩელით; ვახტანგით
ვით.	-ათ -ა	სტორა, საკუთრა, ჩუმა; ცოლშვილიანა	ქაქუჩელათ, ვახტანგით
წოდ.	-ო	კაცო, ძღაბო...	ქაქუჩელა; ვახტანგი; დავითო, ვასილო;

გურული			
ბრ.	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:	საკუთარ არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:
სახ.	-ი (ყველა ერთმარცვლიან ფუძესთან) -0	ძმაი, დაი, ხმაი, ცაი, ქვაი, ტპაი, რძეი, ყრუი... მამიდაი, რკინიგზაი... ნაფოტაი, ტუმარაი, ჭილოფაი, ტარანაი, ბალანაი, ციცაი... // ნაფოტე, ტუმარე... უთო, ეზო, თარო, სითფო... ხელობა, ცხოვრება, ღრისება, კეთება... მიწა, ძროხა... ნენაი, ბაბაი, // ნენე, ბაბე (ერთმარცვლიანები -ი, ორ და მეტმარცვლიანები -ე) ზ.გ. — პანტე, კერიე ქ.გ. — პანტაი, კერია/კერიეი/კერიი	გაბილეი, თამარეი, სამსონ, დავით...
მოთხრ.	-მა	ძმამა, ხემა, ყრუმა... ჩამა	სამსონ, დავით... (დავით გამეიარა და თქვა...)
მიც.	-ს	ჩას (ჩაში)	
ნათ.	-ის -ს	ხფოს, ღელეის, ყრუის; ხფოს, ყრუს (ოზურგეთელი); კერიაის/კერიეის,	
მოქმ.	-ით	კერიაით/კერიეით,	
ვით.	-ათ -ა	ღიაკონათ, კაცათ, გლახათ, საომრათ... ვაშკაცურა, შენებურა... კაძახურა, ბაღნიანა...	
წოდ.	-ი -0	ჩემი ბიძიი! ჩემი ბაბუე! ჩემი ბიჭი! ცა! ცავ! გო! (ზემოგურულში)	ელიკოლ! ოლღაიაუ! (-უ მახვილითა და გაგრძელებით)

აჭარული			
ბრ.	ბრუნვის ნიშნები	საზოგადო არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:	საკუთარ არსებით სახელთა ბრუნვის ნიმუში:
სახ.	-ა -0	ყველა ერთმარცვლიანი: დაა, ძმაა, თვეა, ყრუა... სარაკუნაა; პაწაა, შავ-თვალწარბაა; თებზ ხელ-	არჩილაა, უსუფაა; ესმეა, ზაქიეა... ფიქრიე, ზაქიე...

		ში უკავია (ქობულეთურ-რი); ურმი, მეზობლი, ღრუბლი, საქონლი...	
მოთხ.	-მა	ურემა; ძმამა, დედამა	
მიც.	-ს	ურემს	
ნათ.	-ის -ის	ურმის; ქოსა-მს ძმანები; აგვისტო-მს თვემ	ზექიე-მს ზმისტული;
ნან.მიც.	-ის-ა	მეზობლისა, შენსა,	
მოქმ.	-ით -ათ -ათ-ა-ფ	ურმით; ქოსა-ათ, საცო-ლე-ათ, მოცლ-ათ-ა-ფ, მან-გლ-ათ-ა-ფ, პერანგ-ათ-ა-ფ	ზაქიე-ათ
ვით.	-ათ -თ -ა	ჩიტათ, ტყეთ, ხიბაკიანა, ქალბაღვიანა; სატირლა, საჭმელა, სასმელა, პირ-ვანდელა, მაშინდელა...	
ნან.ვით.	-ის-ათ	დროისათ (= დროზე), ქეიფისათ (=ნებით, სურ-ვილით)	
წოდ.	-ო -ჟ	ჭოუ! ჭო! ღიაუ! ღია! გოუ! გო!	ფიქრიევ/ფიქრიავ! ზაქიევ/ზაქიავ! ახმედავ! ჯემალავ! დურსუნო! დე-მურალო! შემსუდინო! დურსუნავ!
იმერხეული (კლარჯული)			
ბრ.	ბრუნვის ნიშ-ნები	საზოგადო არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნი:	საკუთარ არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნი:
სახე.	-ფ	მამა-ფ,	ანა-ფ,
მოთხ.	-მა	ფაშამა, დედამა, სიძემა	მირზამა,
მიც.	-ს -ო	დერდსა (დარდს) სადილობიხან	
ნათ.	-ის -სი (უკვეცველთან)		მირზასი,
მოქმ.			
ვით.	-ათ -თ -აფ	მტერათ, ავათ, თლათ, სანახავათ, ქიდათ (=მა-სხრად) ჩქარაფ, უჩუმალაფ, მო-საკლელა?	
წოდ.	ჟ	ჭოუ!	

ბრუნვა	მესხური	რაჭული	ზემო იმერული	ქვემო იმერული
სახ.	-ფ სამცხურში -ი- ჯავახურში	-0 -ფ	-ი	-ი
მოთხ.	-მან -მა -ნ	-მა	-მა	-მა -მ
მიც.	-ს -0 -ჰ ხშირია -ა საერცობიანი ფორმები;	-ფ-ს (სახ.+ს) -0	-ს -სე	-ს (ემფატიკური ხმოვნის გარეშე)
ნათ.	-ი (ა)-ის	-ფს (უკვეცელ ფუძესთან)	-ის/-ისი	-ის (ურედუქციო ფუძესთან)
ნანათ. მიც.				-ის-ა-ს
მოქმ.	-ით	-ფთ (უკვეცელ ფუძესთან)	-ით/-ითი	-ით (ურედუქციო ფუძესთან)
ვით.	-ათ; -ა	-ათ -თ -ა ეთ (ქვემო- რატული)	-ათ -ა	-ათ -თ -ა
ნანათ. ვით.			-ო (ვ არასოდეს არ გვხვდება)	
წოდ.	-0			-ო (ვ არა- სოდეს)
ბრუნვა	ლეჩხუმური	გურული	აჭარული	იმერხეული
სახ.	-ი (აი> ეი> ე)	-ი (ყველა ერთმარცვლიან ფუძესთან) -0	-ფ -0	-ფ

მოთხ.	-მა -მ	-მა	-მა	-მა
მიც.	-ს -სე -0	-ს	-ს	-ს -0
ნათ.	-ის სავრცობი -გ, -უ	-ის -ს	-ის -დს	-ის -სი (უკვეცელ.)
ნანათ. მიც.	-ის-ა-ს		-ის-ა	
მოკმ.	-ით -თინ	-ით	-ით -დთ -დთ-ა-დ	
ვით.	-ათ -ა	-ათ -ა	-ათ -თ -ა	-ათ -თ -ად
ნანათ. ვით.			-ის-ათ	
წოდ.	-ო	-ი -0	-ო -უ	-უ

1.4. მავრცობი ხმოვნები სალიტერატურო ქართულში და მათი ნაირსახეობანი დიალექტებში

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში თანხმოვანზე დაბოლოებული (ან თანხმოვნით წარმოდგენილი) ბრუნვის ნიშნების შემდეგ, ასევე მრავლობითი რიცხვის **-თ** ნიშნისა და ზოგი ნაცვალსახელის, ზმნისართისა და ნაწილაკის შემდეგ გარკვეულ პოზიციებში ჩნდება ხმოვანი **ა**, რომელსაც მავრცობს, ემფატიკურ ნიშანს ან მარცვალთლიაობის **ა**-ს უწოდებენ. იგი წინამავალი ფორმანტისაგან განუყოფელი ელემენტია და ფონეტიკურ საფუძველზე ჩნდება. მკვლევართა აზრით, მისი ფუნქციაა წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის შემოსაზღვრა (არნ. ჩიქობავა, თ. უთურგაიძე); თანხმოვანთაჯგუფების გაყრა (თ. ზურაბიშვილი, დ. მელიქიშვილი); მარცვალთლიაობის შექმნა (ა. ფოცხიშვილი, შ. აფრიდონიძე).

-ა მავრცობის გარდა სალიტერატურო ქართულში გვაქვს **-ი**, ხოლო დიალექტებში — **-ე**, **-უ**, **-გ** მავრცობები. ამათგან ძველ ქართულში გვქონდა მხოლოდ **-ა** მავრცობი, ყველა დანარჩენი ახალ ქართულში გაჩნდა ფონეტიკურ საფუძველზე. სანამ იმ თავისებურებებს განვიხილავდეთ, რომლებიც ამა თუ იმ დიალექტისათვის არის დამახასიათებელი, მოკლედ შევჩერდებით იმ შემთხვევებზე, რომლებშიც ხდება მავრცობთა დართვა სალიტერატურო ქართულში.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში მავრცობის გამოყენება ზოგ შემთხვევაში აუცილებელია, ზოგ შემთხვევაში კი სტილისტური საჭიროებით არის გამოწვეული.

აუცილებელია **-ა**-ს დართვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა პოსტპოზიციური მსაზღვრელია (სახლი **ხისა**, წიგნი **მეგობრისა**...);

ბ) როცა ბრუნვისნიშნის ფორმას **-ც** ნაწილაკი მოსდევს (**დედამაც**, **წყაროსაც**, **წიგნითაც**...);

გ) როცა მიცემითი (ან ნათესაობითი) ბრუნვის ფორმას **-ვით** თანდებული ერთვის (**ძმსავით**, **ხვერდისავით**).

დ) ნანათესაობითარი მიცემითის შემთხვევაში (**მეზობლისას**, **მეგობრისას**);

ე) როცა არსებითი სახელის მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმას, ნაცვალსახელს ან ფორმაუცვლელ სიტყვას შეკვეცილი **არის** ზმნა მოსდევს **-ს** სახით (გოგონა ათი წლისაა; წიგნი ჩემი მეგობრისაა; ჭიქა **წყლითაა** სავსე; დედა უკვე **კარგადაა**; **როგორაა? ვინაა?...**)

ვ) როცა თანიანი მრავლობითის ფორმა მსაზღვრელად არის გამოყენებული მყარ შესიტყვებებში (**ფრინველთა** ბუდეები, **ხალხთა** მეგობრობა, **მწერალთა** სახლი...);

-ა მავრცობი ხშირად გამოიყენება:

ა) როცა ბრუნვისნიშნიან სახელს მოსდევს **და** ან **თუ** კავშირი და იმავე ბრუნვაში წარმოდგენილი მეორე სახელი (ასეთ შემთხვევაში კავშირი საერთო მახვილით ენკლიტიკურად ეკედლება წინა წევრს: **მთასა** და ბარში, **ქალისა** და კაცის, **სულითა** და გულით...);

ბ) როცა ბრუნვისნიშნიანი სახელის მომდევნოდ გვაქვს ზმნა, რომელიც ერთმარცვლიანია (**მეგობარსა** სწერს; **დედასა** აქვს შენახული, **ჩვეულებადა** მაქვს ქცეული). ამავე პოზიციაში სახელის გარდა მავრცობი შეიძლება დაერთოს ნაცვალსახელს, ნაწილაკს ან ზმნისართს: **ვინა** ხარ? **თანა** მაქვს წამოღებული);

გ) -თ სუფიქსიანი მრავლობითის წარმოებისას (**გამარჯვებულთა** შორის, **ფრინველთა** გადაფრენა);

დ) როცა ბრუნვისნიშნიან ფორმას **-კენ** ან **-თვის** თანდებული მოსდევს (**სახლისაკენ**, **ბავშვებისათვის**);

ე) როცა ბრუნვისნიშნიანი ფორმა სტრიქონის, წინადადების ბოლო წევრია („და უფსკრულს დასცქერს პირიმზე, მოღერებულის **ყელითა**“);

შენიშვნა: სასაუბრო მეტყველებაში შეიძლება გავრცობილი იყოს ზმნაც: **მივიღეთა** და ვნახოთ.

როგორც აღინიშნა, ძველ ქართულში გვქონდა მხოლოდ **-ა** მავრცობი: **წყარო-მს-ა**, **წყარო-მთ-ა**; ახალ ქართულში კი გვხვდება **-ი** ხმოვანიც, მხოლოდ უკვეცელი ხმოვანფუძიანი სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითში: **თაროსი**, **თაროთი...** **ყრუსი**, **ყრუთი...** **-ა**-ს გარდა **-ი**-ს გაჩენა ფონეტიკური კანონზომიერებით არის შეპირობებული: თუ ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი შენარჩუნებულია, მავრცობი ხმოვნად დაჩნდება **-ა**, ხოლო თუკი ხმოვანი რედუცირებულია, მავრცობი ხმოვნის პოზიციაში წარმოდგენილი იქნება **-ი** (ჯორბენაძე, 1998, 594). დიალექტებში **-ა** და **-ი** მავრცობთა განაწილების წესი ძირითა-

დად ისეთივეა, როგორც სალიტერატურო ქართულში, მაგრამ შეინიშნება თავისებურებანიც, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

-ა და **-ი** მავრცობი ხმოვნების გარდა დიალექტებისათვის დამახასიათებელი **-ე**, **-უ** და **-გ** ხმოვნების გაჩენის საფუძველიც ფონეტიკურია. ეს მავრცობები ენაცვლებიან ერთმანეთს სხვადასხვა კილოკავსათუ თქმაში, ზოგჯერ კი ერთი კილოსა ან თქმის ფარგლებშიც, ოღონდ არის პოზიციები, რომლებშიც მხოლოდ **-ა** მავრცობი გამოიყენება: ა) ბრუნვის ნიშნის შემდეგ თანდებულის დართვისას: **კლდესავით, სახლისაკენ, თიხისაგან**; ბ) ნანათესაობითარ მიცემითში: **მეზობლისას**.

დიალექტებში მავრცობი ხმოვნები გვხვდება არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებშიც სალიტერატურო ქართულში გვაქვს; მავრცობის დართვა სახელის პოზიციაზე ნაკლებად არის დამოკიდებული და გვხვდება სინტაქსური კონსტრუქციის ბოლოშიც და დასაწყისშიც.

შენიშვნა: მავრცობის დართვას გარკვეული რიტმულ-სტილისტური დანიშნულებაც აქვს. ალგეთურ ქართულურზე მსჯელობისას თ. სალარიძე შენიშნავს: ორზე მეტი სიტყვისაგან შემდგარ თხრობით მარტივ წინადადებაში -ა ერთვის პირველ ან მეორე სიტყვას და ეს სიტყვა აქცენტირებულია, ინტონაციურად გამოყოფილია და მის შემდეგ პაუზა გვაქვს: იმ დამესა/დაიძინა თითონა; უფალსა/ჯორით უვლია უწინა; გაწურულ დოსა/უზამთ მარილსა... ამგვარი წინადადებები დამახასიათებელია დინჯი, აუჩქარებელი მეტყველებისათვის (სარალიძე, 1978, 58). სიტყვის აქცენტირება მავრცობის დართვით მისი ერთი დამახასიათებელი ნიშანია სხვა დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულშიც.

განვიხილავთ მავრცობ ხმოვნებთან დაკავშირებულ, ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

1.4.1. **-ა მავრცობთან დაკავშირებული თავისებურებანი დიალექტებში**

-ა მავრცობი რამდენიმე დიალექტში წარმოდგენილია სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით; იგი გვხვდება იოტიზებული დამართვით ბრუნვის ნიშნების, ასევე ნაცვალსახელების, თანდებულების, კავშირების შემდეგ: **ნელ-ათ-ა-მ, ტყუილ-ათ-ა-მ** (გურული), **მოცლით-ა-მ, ჩემდა-თვინ-ა-მ** (აჭარული), **სარკმელ-ში-ით-ა-მ** „სარკმილიდან“, **ცინით-ა-მ** (თუშური). **მ**-ს ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს **ი**: **ნელათა-მ//**

ნელათა-ი. ა-ა// ა-ი დაბოლოების ნაცვლად გვხვდება მისი ფონეტიკური ვარიანტიც **-ე: ტყულათ-ა-ა// ტყულათ-ა-ი// ტყულათ-ე** (გურულში, იმერულში).

-ა მავრცობიანი მოთხრობითი (ხმოვანფუძიან სახელებთან), რომელიც სალიტერატურო ქართულში მაშინ გვაქვს, როცა მას ნაწილაკი **-ც** ერთვის, ზოგ დიალექტში დამოუკიდებლადაც გვხვდება. ხშირია ასეთი ფორმები ქართლურსა და კახურში, უფრო ნაკლები სიხშირით გვხვდება იმერულში, ქართლის მოსაზღვრე რეგიონებში, და იშვიათია მთის კილოებში: **მეფემა** თქვა; **სიბერემა** დამჩაგრა (კახური); **მამიდამა** თქვა; ამ **ჩვეულება** დიდი გავლენა იქონია (ქართლური); დაავლო ხელი **დამა**; **გენადი**მ ვანო ღელემდე ჩამეყვანაო (იმერული); **ხვეყანა-მა**, **დედამა** (ფშაური). თუშურში ემფატიკური **-ა** ერთვის მოთხრობითის **მან** ნიშნისაც: **მტერმანა** გვიყო ძალიო.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთან **-ა** გვხვდება პოზიციის შეუზღუდავად: **კახასა** იკერამდნენ, გზა იცოდა **კახეთისა** (კახური); დაასხამენ მერე **წყალსა** იმ **ერბოსა** და **ხახვასა**; ეს ადგილი ყოფილა **ბატონისა**; **ფაიტვნებითა** დადიოდნენ; გათალა **დანითა**; ცხოვრობენ **ერთათათა**; **მზათა** გვაქვს (ქართლური); **სარველებსა** ერთი მარხილი ქონდათ; მე **ჭირითისა** არა ვიცი; აჩეჩა **ხმლითა**; დავყარე **გასახმობათა** (ჯავახური, ბერიძე, 1988, 79).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში — იმერულში, გურულში, აჭარულსა და რაჭულში — უმეტესად **-ა** მავრცობის ფონეტიკური ვარიანტებია გავრცელებული ან **-ი** მავრცობი, თუმცა **-ა-საც** გვხვდებით. **-ა-ს** გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია ზემოიმერული სახელების, რაც ამ დიალექტზე ქართლურის გავლენით აიხსნება. ქართლის მოსაზღვრე რეგიონებში **-ა-ს** ხმარება ხშირია, დასავლეთისაკენ კი თანდათან იკლებს: **მამაჩემსა** ცხრა შვილი ყამდა; ფილიმონი ცემს ხმას **აკაკისა**? მოვჭრი ენას **დანითა**; გული ვიჭერე **ღვინითა** (ძოწენიძე, 1973, 80-82). ფშაურში **-ა** მიცემით ბრუნვასთან უმეტესად ლექსებში გვხვდება (შემოგავლებ **ლაფანყურსა** მარმარილოს **გალავანსა**), გამოიყენება სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, როცა მიცემითი გვხვდება ლოკატივად (ლაშარის ჯვარია იმ **აფშოსა**; **სათიბსა** ყოფილიყო); ზოგჯერ ფუძეუკვეცელ სახელებთან ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები სრული სახითაა წარმოდგენილი და ისინი **-ა** ხმოვნით არის გავრცობილი: ხელდადებულ იყო **ბახანისა**; მემრე მათურევენ **სარველათათა**; **-ა** გვხვდება ასევე როცა მოქმედებითი სადაურობა-გამოსვლითობას

გამოხატავს: **ცაბაურთითა** ვარ გადმოსული; ამაიღებენ **წყალშიითა**. ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმა **-ა**-თი ივრცობა მაშინაც, როცა იგი ზმნისართია: თორმეტი წლისა ვიყავ **მაშინისა**; მიუდიოდა... **ცხვაკნითა** ყარაულეები. პეტრე გაფცდომიყო **ავადა**. წავდღვებთ **ცოტაადად** მემრე გადმოსახამთ. **-ა** უკვეცელ სახელებთან გვხვდება მოხეურში: ქობი აავსიან **ერბოთა** „ქვაბს აავსებენ ერბოთი“ (ჯორბენაძე, 1998, 595); ხევსურულში ჩვეულებრივია **-ა**-თი გავრცობილი ნათესაობითის ფორმა, რომელსაც ერთვის მრავლობითობის **-ნ** ან **-თა** მაწარმოებელი: **კაცისანი, მთისანი, ცხვრისათაი, მთისათაი**.

შენიშვნა: ხმით ნატირლებსა და ლექსებში ასეთი ფორმები ემფატიკური ხმოვნის გარეშეა: შვილნიმც ხყონ შენის **დავლათისნიო** (ჭინჭარაული, 1960, 53).

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, ემფატიკური **-ა**-ს დართვისას კი **-ს** ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია: თქვენ **იაღონსა** და ბულბულ მამიყვანთო (კახური; შდრ.: **თავი** ქალ უთხრა; **მეველე** დეეჭირნა; მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, 69); ვანაწილებდით თორმეტ კილო **სიმიინდსა**; (ქართლური; შდრ.: **ხარებ** ვაჭამოთო).

შენიშვნა: ზოგ დიალექტში, კერძოდ, ქვემო ქართლის წითელსოფლის, დაბა წყნეთისა და ალგეთის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში, მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება მაშინაც, როცა მას ემფატიკური ხმოვანი ერთვის: **პურა** ძჭამდი, **სახლა** ვგვიდი (იმნაიშვილი, 1974, 195); ერთი არ აბია ჩვენ **ქლიავება** (სარალიძე, 1978, 37).

ზოგ დიალექტში, კერძოდ, ქართლურში, კახურში, ჯავახურში, გვაქვს **მენა, შენა, ჩვენა, თქვენა, ესა, ისა, ეგა** ნაცვალსახელები, რომელთა ბოლოკიდურ **-ა**-ს მავრცობის ფუნქცია აქვს: **ისაც** კიდე სიმამრია; **ეგაც** ახალწელწაღია; აი, **ესაც** არი და მიირთვიო (ქართლ. სარალიძე, 1978, 60); **მენა** ეგრე დევენიშნე, რო **მენა** არ ვიცოდე; **ეგაც** ურმის ქირაში; **ისაც** მოვიდა (კახური, მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, 76). **-ა** დაერთვის ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმებსაც: გამოულდა **ამასა** (ჯავახური).

-ა გვხვდება აგრეთვე თანდებულების შემდეგ: **იმი-თვინ-ა, სოფლიდ-ან-ა, გვერდი-დან-ა; ძირა-მდინ-ა; იქით-კენ-ა;** გუთანი სხვა **მე-ზობელთანა** მქონდა; **ფეხებსა** ხლართამს **გზაზედა; ყურებშია** ჭრიალი შამეესმა; იმას ხმარობენ **წყლისთვინა;** დაძალულია ბევრი **საქმისგანა;**

მანანა **ფოთლიდამაც** მოჰქონდა ფუტკარს (ქართლური; სარალიძე, 1978, 60). ამოველი **სახლშია** (ჯავახური); ამას ვწიკვედით ჩვენე **სადგურადანა** ჩვენ საბჭომდინ; აქ ვიყავი **ექიმთანა**; მერე იქ წევვდით **გურიაშია**; მითხრა, მიგიყვან **სახშიდაო**; **ლიჩამდინა** შვიდი კილომეტრი მაინც იქნება; მოდიან **იქიდანა**, ირევა ი ბოვში **სულა** (იმერული; ძოწენიძე).

მავრცობი **-ა** გამოიყენება ასევე ნაწილაკისა და კავშირის შემდეგ: **ისაც** შაილღებება **თანა**; ეტყვის **რომა...**; **ოლონდა** ამომიყვანეო; იმათიც ბევრი დაიხოცა და **ჩვენცა**; **მაგრამ-ა...** (ჯავახური, მარტიროსოვი, 1984, 53);

1.4.2. -ი მავრცობის გამოყენების შემთხვევები და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი დიალექტებში

დიალექტები სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენენ **-ი** მავრცობის გამოყენების მხრივაც. ზოგ დიალექტში (კახურში) **-ი** გვხვდება **-ა**-ს პარალელურად, ზოგ დიალექტში კი (იმერულის ზოგ კილოკავში) **-ა**-ზე უფრო ხშირად. **-ი** წარმოდგენილია არა მხოლოდ ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების, არამედ ასევე თანხმოვანზე დაბოლოებული სახელებისა და ხმოვანზე დაბოლოებული კვეცადი სახელების ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში: **კაც-ის-ი, ქვეყნ-ის-ი, ძმ-ის-ი, ხელ-ით-ი, მანქან-ით-ი, ხ-ით-ი, კიბ-ით-ი, რილა-ით-ი, წინათ-ი, აქეთ-ი...** ეს და მსგავსი ფორმები გვხვდება ფშაურ, თუშურ, მოხეურ, მთიულურ-გუდამაყრულ, ქართლურ, კახურ, იმერულ დიალექტებში: ჰყამდა ორი ვაჟიშვილი, უმფროსი რვა **წლისი**; ე ჯოხი **რისი** არიო? შერცხვათ **ერთიმეორესი**.

-ი მავრცობი სალიტერატურო ქართულში გვხვდება ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან, ამა თუ იმ დიალექტში კი ზოგი ასეთი სახელი უკვეცელია და ბრუნვის ნიშანს ერთვის **-ი**: **ნადირობა-ს-ი** „ნადირობის“, **დილობა-ს-ი** „დილისა“ (ფერეიდნული).

მთის დიალექტებში და ზოგ სხვა დიალექტში ფუძეუკვეცელ სახელებთან ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები სრული სახითაა წარმოდგენილი და ისინი **-ი** ხმოვნით არის გავრცობილი: **უში-შა-ის-ი** (ხევსურული), **გუგუა-ის-ი** (მთიულურ-გუდამაყრული), **ბიძა-ის-ი** (ხევსურული), **დედა-ის-ი**, **მამა-ის-ი** (მოხეური), **სუფრა-ის-ი**, **სუფრა-ით-ი...** (ინგილოური).

-ი მავრცობი დაერთვის ზმნისართებს, რომლებიც წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია: **დიღ-ით-ი** (ქართლური), **ღამ-ით-ი** (კახური), **წინა-თ-ი** (ქართლური), **შინა-ით-ი** (ინგილოური), **აქეთ-ი**, **საღამოთ-ი**.

-ი ზოგ დიალექტში (იმერულსა და ლეჩხუმურში) გამოყენებულია **-გან>-ან** თანდებულთანაც: **სოფლიდ-ან-ი**, **მადლიდ-ან-ი**, **ხვალდ-ან-ი**, **ზეიდ-ან-ი** და სხვ.

დიალექტების ერთ ნაწილში, კერძოდ, მთის დიალექტებში, მავრცობი **-ი** გვხვდება მრავლობითის **-თ** მორფემის მომდევნოდ: **ბალახ-თ-ი** „ბალახებისა“, **ცხოველ-თ-ი** „ცხოველებისა“, **მამა-პაპა-თ-ი** „მამა-პაპებისა“ (ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული).

იმერული დიალექტის კილოკავები მავრცობთა გამოყენების მხრივ განსხვავებულ სურათს იძლევიან: ქვემოიმერულისათვის როგორც **-ა**, ისე **-ი** მავრცობი არ არის დამახასიათებელი, ზემოიმერულში კი განსხვავდება სხვადასხვა რაიონის მეტყველება: ხარაგაულის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში **-ა**-ს გამოყენების შემთხვევები იშვიათია და ემფატიკურ ხმოვნად ძირითადად გვაქვს **-ი**: საჭმელი შეჭამეს ამ **კაცი-სი**; გემო არა აქ **არაფრისი**; მევიდენ **მანქანითი**; კვებოდა **ჯავრითი**... (ძოწენიძე, 1973, 21). ასეთივე ვითარებაა ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაშიც: ლოგინი მქონდა ჩემი **ბიჭისი**; მოყოლა იცის ძველი **ამბებისი**, დაქვწყვიტა **სიცილითი**, მივედი **მანქანითი**, კაი **ენითი** ყიდის (იქვე, 178-179).

საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში სისტემატურად იხმარება **-ა** ემფატიკური ხმოვანი, განსაკუთრებით მთის სოფლებში (ება იმ **ვაშლსა**; **ღორსა** მოვლა უნდა... გული ვიჭერე **ღვინითა**), იშვიათად გვხვდება **-ი**-ც: — ვერია წავა? — ვინ ვერია? — **დომენტისი**; დავგითხოვეს სამი **ღლითი** (იქვე, 80-81). თანდებულების ან თანდებულად გამოყენებული ზმნიზედის შემდეგ **-ა** არის გამოყენებული, **-ი**-ს გამოყენების შემთხვევები კი იშვიათია: **ექიმთან-ა**, **შვილფთან-ა**, **აქედან-ა**, **ჯარიდან-ა**, **ეზოდან-ი**, **იქიდან-ი**, **მას უკან-ი** (იქვე, 81-82). **-ა**-ს ნაცვლად **-ი** გვხვდება სოფ. მოხვაში, სხვა სოფლებში კი ხშირია **-ა**, **-ი** — იშვიათი (იქვე, 101). ასეთივე ვითარებაა ჭიათურის რაიონში. აქაც **-ა**-ს ნაცვლად **-ი** ნიშანდობლივი არ არის. **-ი** ზემო იმერეთის რაიონებიდან განსაკუთრებით ახასიათებს სვერს ქვემო და ყვირილის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებსა და ჭიათურის რაიონს: ბოვში მოუყვანია

სალაცადანი; ტკბილი ვიყიდე **ლუბადანი**; წამოსულა **იქიდან**... (იქვე, 179). -გან, ასევე -თან თანდებულთან ფორმებს ქართლის მოსაზღვრე სოფლებში **-ა** დაერთვის მავრცობად (მოსულან **ქუთაისიდანა**, **ზარბა-ზანთანა** იყო, მოსულა **ცეცხლთანა**...), ხოლო მარელისის დასავლეთით მდებარე სოფლებში — **-ი** (მევიდა მერე **იქიდან** კაცი...).

მოხეურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მომდევნოდ ჩვეულებრივია ემფატიკური **-ა** ხმოვანი, ოღონდ ამ დიალექტში ის უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ქართლ-კახურსა და ზემორაჭულში. ლექსებში **-ა**-ს ნაცვლად გვაქვს **-ი** ხმოვანიც: რაი მეგონა იმ **დროსი**; ამბავი **მამა-პაპათი**... როგორც ივ. ქავთარაძე აღნიშნავს, მხოლოდითში ეს **-ი** იშვიათია: **ოქროთ** შეკაზმული ვმალი; სპილენძის ქობი აავსიან ორი ფუთი **ერბოთა** (ქავთარაძე, 1985, 36). **-ი**-ემფატიკურიანი ნათესაობითი ჩვეულებრივია თუშურსა და ფშაურში: ძალა ვიჭადეთ **ღვთისია**; **ლუხუში** ვინ ხართ შინაო; **ქართველთი** ვერა გავიგე... (ჭინჭარაული, არაბული, 1960, 53.).

ხევსურულშიც მთიბლურ-ხმითნატირლებსა და ლექსებში ნათესაობით ბრუნვაში მოცემული სახელი **-ი** ხმოვნით არის გავრცობილი: თვე დადგა **მარიანობისიო**; მამე ნებაი **საუბრისიო**...

ინგილოურში ნათესაობით ბრუნვაში მავრცობად გვხვდება **-ი**. ალი-აბათურში იგი გვხვდება ყველა შემთხვევაში: როგორც თანხმოვანზე დაბოლოებულ, ისე ბოლოხმოვნიან ფუძეებთან, როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობისას: **ხანულისი** ყუას უდებენ; კარ გააღეს **კიღობნისი**; მეშველი ზმნის დართვისას: ეს ბინა ჯომარდი **ყასაბისია**.

ზოგ დიალექტში **-ი** მავრცობი ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის: **-ი>-ინ**: **იით-ინ**, **სუროთ-ინ**, **ოქროთ-ინ** (ლენჩუმური).

1.4.3. დიალექტებისათვის დამახასიათებელი -ე, -უ და -გ მავრცობი ხმოვნები

-ა და **-ი** ხმოვნების გარდა დიალექტებში გვხვდება **-ე**, **-უ** და **-გ**, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან ერთი კილოსა ან თქმის ფარგლებშიც კი.

მავრცობად **-ე** ხმოვნის გამოყენება დამახასიათებელია იმერული, ლენჩუმური, აჭარული და ქვემორაჭული დიალექტებისათვის, მაგრამ მის ხმარებას სისტემური ხასიათი ყველაზე მეტად აქვს ქვემოიმერულში. იგი გვხვდება მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნების შემდეგ: **კაც-ს-ე**, **კაც-ის-ე**, **კაც-ით-ე**, **კაც-ათ-ე**,

დღე-ს-ე დღ-ის-ე, დღ-ით-ე, დღე-თ-ე; თანდებულების შემდეგ: **კაცის-კენ-ე.** ყველაზე ხშირად **-ე** გამოიყენება ოკრიბულში. იგი გვხვდება როგორც სახელებში, ისე ზმნებში: ნუ აშინებ ბოვშსაო; დღეს ვხურავთ სახლს; დიდი გაჭირვება **მაქვს**; შორიდან **მოდიხ** (ქვემოიმერული, კუბლაშვილი, 1985, 107).

პირის ნაცვალსახელები როგორც ზემო, ისე ქვემო იმერულში გავრცელებულია **შენ-ე, ჩვენ-ე, თქვენ-ე, ვინ-ე** სახით. ნაცვალსახელებზე **-ც** ნაწილაკ-მორფემიდიის დართვისას **-ე** შეიძლება უსწრებდეს ნაცვალსახელს: **შენ-ე-ც, ჩვენ-ე-ც...** და შეიძლება მოსდევდეს მას: **შენ-ც-ე, ჩვენ-ც-ე...** რამდენი წლისა ხარ, ბიჭო, **შენე?** დავამთავროთ ახლა ლაპარაკი **ჩვენე;** აქაური ვარ **მეცე;** ასე თუ იზამ **შენეც.** წამოვალ **მე-ცე;** დავლევოთ **ჩვენცე.** (ძოწენიძე, 1973, 83).

უნდა აღინიშნოს, რომ **შენე, თქვენე, ჩვენე** ფორმებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგი მკვლევრის აზრით, ამ ფორმებისათვის ამოსავალია **შენა, ჩვენა, თქვენა,** რომელთა ბოლოკიდური **-ა** სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვის შედეგად ნაწილობრივი ასიმილაციით იქცა **-ე**-დ (შენაი>შენეი>შენე), ისევე როგორც **-ა** ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებში (ტომარე, დეიდე და მისთ.) (ა. მარტიროსოვი). ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ნაცვალსახელებზე, როგორც უბრუნველ სიტყვებზე, სახელობითი ბრუნვის ფორმანტის დართვა არ არის მოსალოდნელი, ამიტომ მათ ბოლოში გამოვლენილი **-ე** სხვაგვარ ახსნას მოითხოვს; კერძოდ, იგი აღმოსავლური კილოებისათვის დამახასიათებელი **-ა** მავრცობის ბადალია. ამ ვარაუდს ამყარებს თანხმონით დაბოლოებული ზმნისართებისა და ნაწილაკების აუსლაუტში წარმოჩენილი **-ე:** **ჯერ-ე, ზეთ-ე** „ზედა“, **გარეთ-ე, ჩუმათ-ე, შით-ე, ხვალ-ე, სულ-ე... ხომ-ე, კი-ე** „კი, დიახ“... წინდა მეცვა **სულე** (ძოწენიძე, 1973, 165) ასევე ზმნებთან: **არის-ე, ყავს-ე, აქვს-ე, მოდის-ე...**

ჩვენებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ხმარებისას სრული სახითაც გვხვდება: **ესე, ეგე, ისი.** ქ. ძოწენიძის აზრით, **ესე** და **ისი** ფორმების კონტამინაციის შედეგია ამ კუთხის მეტყველებაში გამოვლენილი **ესი. ესე, ეგე, ისი** და **ესი** ნაცვალსახელების ბოლო ხმოვანი, იმისდა მიუხედავად, რა წარმომავლობისაა, ამჯერად იმავე ფუნქციით გამოიყენება, რითაც **-ა** მავრცობი.

-ე-ს პარალელურად იმერულსა და ლეჩხუმურში გვხვდება **-უ** და **-გ** მავრცობებიც: **კაცს-უ, კაცის-უ, კაცით-უ, მისთვის-უ//მისთვის-გ** (ქვემოიმერული), **სოფელს-უ//სოფელს-ე//სოფელს-გ, ამას-უ-გ //ამას-**

ე // ამას-გ, თქვენ-უ // თქვენ-გ, წერს-უ // წერს-გ, მოდის-უ // მოდის-გ (ლექსუმური). **-უ**, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ზანური სუბსტრატია. იგი გამოიყენება ქვემოიმერულის დასავლურ რეგიონში, მეგრულის მომიჯნავე სამტრედიულ და აბაშურ თქმებში.

ზანურის **-უ** მავრცობი ბოლოკიდურ პოზიციაში წარმოდგენილი **-ო**-ს დავიწროების შედეგია, **-ო** კი ფონეტიკურად და მორფოლოგიურად შეესატყვისება ქართულ **-ა** ფორმანტს: მეგრ. **კო-ს-უ** „კაცსა“, **შურ-ს-უ** „სულსა“. **გ**, რომელიც ასევე დამახასიათებელია ზანურისათვის, ნაწილობრივი რედუქციის შედეგად გვაქვს: **ამა-ს-უ // ამა-ს-ე > ამა-ს-გ, სოფელ-ს-უ // სოფელ-ს-ე > სოფელ-ს-გ; შდრ.: ზანური: ღორონ-ს-ე „ღმერთსა“, კირდე-ს-გ „კლდესა“**.

მავრცობ ხმოვნებთან ერთად განიხილავენ **-ა, -ე, -უ, -გ** ხმოვნებს, რომლებიც ხშირად იჩენენ თავს კითხვის გამომხატველ კონსტრუქციებში: რა **უყოთა?** შენ **ხარა?** შენ **ხარე?** **ხომ-ა?** **ხომ-ე?** **ამას-ე?** **ამას-უ?** **ამას-გ?** ამ ხმოვანთაგან **-ა** და **-ე** გამოიყენება ზოგიერთ მთის დიალექტში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში): არ **გაგონდებისა?** აღარ **უჭრისა** ხმალია? არ **მოგწყინდაე** მთას ყოფა? (ხევსურული, ჭინჭარაული, 1960, 184); ლექსან არა **იცნაა**, ქეთო ბებო? წინანდულეებ არა **გაჯსონსაა**, ბაბა-ლე? (ფშაური, ცოცანიძე, 1978, 116); **-ე, -უ, -გ** დასტურდება ქვემოიმერულის ზოგიერთ თქმაში და ლექსუმურში: შენ **ხარ-ე?** რა **გუყოთ-ე?** **აქს-უ** „აქვს“? **ჭამს-უ** „ჭამს“?

შენიშვნა: კითხვით ფორმებში **-გ** დასტურდება მოხეურშიც (ძაუგს მიდინარ, ძაუგს-გ?) და რაჭული დიალექტის რიგნისთაურ კილოკავშიც (რა არის-გ?), თუმცა, როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, ამ შემთხვევაში იგი სხვადასხვა წარმომავლობისა უნდა იყოს (ჯორბენაძე, 1998, 599), უფრო დაწვრილებით ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

აქვე უნდა ვახსენოთ **-ა**, და **-ო**, ე. წ. პროსოდიული, ხმოვნები, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება ხალხურ პოეზიაში ცეზურის შემდეგ და ტაების დაბოლოებისას. მთის დიალექტებში პროსოდიული **-ა** გვხვდება აგრეთვე სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკის წინ: **მოვდივართ-ა-ო, აფუჭებს-ა-ო, გინდათ-ა-ო...** ამბობენ, თადიაურნო, ჭირზე ვერ გონობთ **ჭირსაო...** (ხევს., ჭინჭარაული, 1960, 66); **-ო**-ს ფონეტიკური ნაირსახეობაა **-ვ:** ჩამოდგემ სისოს ლაყაში, როგორც ნაგუბარ **წყალივ...** (ჯორბენაძე, 1998, 599).

1.5. სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება ქართულ დიალექტებში

1.5.1. რიცხვის გრამატიკული კატეგორია ქართულში. მრავლობითის ფორმანტები

რიცხვის გრამატიკული კატეგორია არსებითი სახელის, ანუ იგივე სუბსტანტივის დამახასიათებელი კატეგორიაა. რაც შეეხება სხვა სახელებს: ზედსართავებს, რიცხვითებს, ნაცვალსახელებს და მოქმედების სახელებს, ისინი ამ კატეგორიის მიხედვით მონაცვლეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეტყველო ნაკადში სუბსტანტივის დანიშნულებით ფუნქციონირებენ, ანუ თუ ზმნურ სინტაგმაში სინტაგმის პირმიმართ წევრებს წარმოადგენენ ან როგორც მსაზღვრელები სინტაქსურად უთანხმდებიან წინადადების პირმიმართ წევრებს — ქვემდებარეს და პირდაპირ და ირიბ დამატებებს.

რიცხვის კატეგორია ქართულ ენაში ორწევრა კატეგორიაა. — ერთმანეთს უპირისპირდება რიცხვის ორი ფორმა: მხოლობითი და მრავლობითი. ეს წესი საერთოა ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის. აკაკი შანიძის მიერ თავის დროზე გამოთქმული ვარაუდი, რომ ხევსურულ დიალექტში შეიძლება არსებობდეს ე. წ. მრჩობლობითი ანუ წყვილობითი რიცხვის ფორმები, შემდგომმა კვლევებმა არ დაადასტურა.

რიცხვის გრამატიკული კატეგორიის ფორმებიდან მატერიალურად გამოხატული მორფემა მრავლობით რიცხვს აქვს. მხოლობითის მორფემა ნულოვანია და იგი პოსტულირდება მრავლობითის ფორმასთან უპირისპირებით.

ერთიან ქართულ ენაში არსებობს სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოების ორი ტიპი: არქაული, მაწარმოებელი მორფემის ორი ალომორფით **-ნ** და **-თ**. სუფიქსური ფორმანტებით, რომელნიც კომპლემენტარულ, ანუ ურთიერთშემავსებელ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან: **-ნ** აწარმოებს სახელობითი და წოდებითი ბრუნვის მრავლობით ფუძეებს: **კაცნი, კაცნო. -თ** ფორმანტი დაერთვის დანარჩენ ბრუნვებში, რომლებშიც იგი ერთსა და იმავე დროს ფუძის მაწარმოებელიცაა და ბრუნვის ნიშანიც. **-ნ** და **-თ** ერთმანეთს ვერსაოდეს ჩაანაცვლებენ. ამაში მდგომარეობს მათი კომპლემენტარულობა. მეორე

ტიპი ახალი ქართულის დამახასიათებელი წარმოებაა, წარმოდგენილია ერთი **-ებ** ალომორფით, რომელიც აწარმოებს მრავლობითი რიცხვის ფუძეს ყველა ბრუნვისათვის. მრავლობითი რიცხვის წარმოების პირველ ტიპს გრამატიკოსებმა **ნართანიანი** მრავლობითი უწოდეს, მეორეს — **ებიანი**.

თუ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას რეტროსპექტივაში გავადევნებთ თვალს, ერთ საინტერესო კანონზომიერებას აღმოვაჩინთ: მრავლობითი რიცხვის წარმოების ორივე ტიპი დამახასიათებელია ენის მთელი ისტორიისათვის, ოღონდ სხვაობა მათ შორის მაინც არის და იგი მათი გამოყენების ინტენსიურობაში მდგომარეობს: ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე ნართანიანი მრავლობითის ხმარების ინტენსივობა ბევრად აღემატება ებიანისას. ამასთან ნარ-თანიანი მრავლობითი აღჭურვილია სრული სინტაქსური ძალით; ამ ტიპით ნაწარმოები მრავლობითის ფორმები ყოველთვის აჩენს ზმნაში შესაბამის ფორმანტს: „მამამან შენმან აღაშენნა სამარტვილენი. მან ანგელოზნი შემოიხვნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დეენი შემოიხვენ და სხვად გადააქციენ საქმენი მისნი“. რაც შეეხება **ებ**-იან ტიპს, მისი ხმარება იშვიათია და უმნიშვნელოა მისი სინტაქსური ძალა: ის უმეტესწილად ვერ ითანხმებს ზმნის ფორმებს რიცხვში და ვერც საზღვრულში აჩენს მრავლობითი რიცხვის ფორმანტს. მაგრამ დროთა განმავლობაში ვითარება იცვლება: **ნართანიანი** მრავლობითის ხმარების სიხშირე კლებულობს, ებიანისა — იმატებს და ბოლოს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად ეს უკანასკნელი ბატონდება. ამასთან ხდება ცვლილებები მათ სინტაქსურ ძალებშიც — ნართანიანის გამოყენების სიხშირე მცირდება, ებიანის სინტაქსური ძალა იზრდება და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იგი სრული სინტაქსური ძალის მქონე ფორმად გვევლინება.

1.5.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება ქართულ დიალექტებში

ქართული ენის დიალექტების ტექსტობრივ მასალასა და ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებამ წარმოაჩინა, რომ ქართულ დიალექტებს შორის სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით განსხვავებები საგრძნობია. ამ განსხვავებებს ქმნის, ერთის მხრივ, მრავლობითის ნართანიანი და ებიანი ტიპების ინტენსიურობის მეტ-ნაკლებობა და, მეორე მხრივ, ამ ფორმანტთა სინტაქსური ძალის მქონელობის ხარისხი. ანგარიშგასაწევია აგრეთვე ე. წ. ნართანიან

წარმოებაში ამ ფორმანტთა ფლექსიური ძალის შესუსტებისა და სადერივაციო ფუნქციების განვითარების ფაქტორებიც. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ქართული დიალექტები სამ ტერიტორიულ ჯგუფებად გადანაწილდა: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტები და დასავლურქართული დიალექტები. მართალია, ნიუანსიური სხვაობები ამ ჯგუფებს შიგნით შემაჯავალ დიალექტებს შორისაც შეინიშნება, მაგრამ ისინი მაინც წარმოადგენენ ტიპოლოგიურ ერთობებს, რომლებიც, თავის მხრივ, ნაწილობრივ იზომორფულ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საფეხურებთან.

როცა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის სამ დიალექტს — ხევსურულს, ფშაურსა და თუშურს გულისხმობენ. მართალია მთის არეალს მიეკუთვნება მოხეური და მთიულური დიალექტებიც, მაგრამ პირველი სამი ხასიათდება ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე მეტი ერთიანობით და ამ ერთიანობის ზოგადი დამახასიათებელი ნიშანია ენობრივ მოვლენათა არქაულობა როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ სფეროებში. ეს ზოგადი ნიშანი ახასიათებს ამ დიალექტებში სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებასაც. ამ სამივე დიალექტში ვადასტურებთ მრავლობითი რიცხვის წარმოების არქაული ტიპის, ე. ი. **ნართანიანი** წარმოების ინტენსიურობას. სამივე მათგანში საკმაოდ ხშირია ამ ფორმანტების გამოყენება, ოღონდ განსხვავება ამ დიალექტებს შორის ამ მხრივ მაინც არის და ეს სხვაობა მდგომარეობს არქაულობის ხარისხის სხვადასხვაობაში. არქაულობის ხარისხი ხევსურულში მეტია, ფშაურში შედარებით ნაკლები და თუშურში კიდევ უფრო ნაკლები. ეს სხვაობები ნათლად გამოჩნდება სამსჯელო საკითხის თითოეულ მათგანში ცალკე-ცალკე განხილვისას.

ხევსურულში აქტიურია სახელის მრავლობითის წარმოების ორივე ტიპი — ნართანიანიცა და ებიანიც, ოღონდ სიხშირის თვალსაზრისით ებიანი სჭარბობს ნართანიანს. ამასთან სინტაქსური ძალა ნართანიანს ბევრად მეტი აქვს ებიანზე. ამ მხრივ იგი ახლოს დგას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ადრეულ საფეხურთან. ოღონდ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნართანიანი მრავლობითი ძირითადად დამახასიათებელია მეტყველების ექსპრესიული სტილისა და პოეტური ენსიათვის. ხევსურულში **ნართანიანი** მრავლობითის ხმარე-

ბის საკმაოდ ნათელ სურათს შეგვიქმნის თუნდაც ერთი ხევსურული ლექსი:

თავი მთას გიგავთ, **ოშკაცნო, მწვანილნიმც ადგებიანა,**
 შუბლი — ალგეთის მინდორსა, **ყანანიმც ესწრებიანა.**
წარბნ გიგვანთ მშვილდის მალიკსა, მაზინებთ, — მად გებიანა,
თვალნი ბუსლომას **მიგიგვანთ,** შიგ **ქორნი ბუდობდიანა,**
კბილნი — მარილის კომბულსა, **კმელეთნიმც დამძებიანა!**
 ყელ გიგავთ ღვინის ჭურჭელსა, **ღვინონიმც ჩადგებიანა!**
 ტანი — ზღვისპირის ლერწამსა, — **მტერნ შორით დამთხვებიანა.**
 გამაგრდით, **არხოტიონნო,** გატეხით რა იქნებისა.

ერთი რამ არის ხევსურულისთვის შესამჩნევი: ნართანიანი მრავლობითი ძირითადად აწარმოებს მცირე სიმრავლეს, ორს, სამს... ალბათ იმიტომ შეექმნა აკაკი შანიძეს შთაბეჭდილება, რომ ნართანიანი ტიპი მრჩობლობითი რიცხვის მაწარმოებელია: „**წარბნ გიგვანთ** მშვილდის მალიკსა“; „**თვალნი** ბუსლომას **მიგიგვანთ**“. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ მრავლობითის ეს ტიპი აწარმოებს ისეთ სახელებს, რომელთაც კრებითობის შინაარსი აქვთ, ასეთნი არიან ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა, თემისთვის მიკუთვნებულობათა, გვართა და შტოგვართა, საგვარეულოთა სახელები: **მიდმანველნი, შატილიონნი, ბაცალიგველნი, თუშნი, ფშაველნი, ხევსურნი, ჭინჭარაულნი, გოგოჭურნი, ლიქოკელნი, თიაყანი, ბაღურიკანი, ლეკონი, გიგიანი.**

არაიშვიათად ნართანიანი მრავლობითის ფორმა აქვთ სახელებს, რომლებიც ფაქტობრივად ერთ საგანს აღნიშნავენ. ასეთია ძირითადად უსულო საგანთა სახელები: **ჯოხნ დასცნა, მსხალნი უდგან, წელნი მოსწყვიტნა.** რიცხვში შეთანხმებითი ძალა, როგორც ვხედავთ ამ ფორმებსაც აქვთ.

-ებ სუფიქსი ხევსურულში მრავლობითი რიცხვის ძირითადი მაწარმოებელია. აქ არა აქვს მნიშვნელობა მეტყველების სფეროსა და სტილს. სინტაქსური ძალა **-ებ** ფორმანტისა საკმაოდ ნაკლებია ზმნებთან შეთანხმებისას: **მავიდა ახალუნლები; გაიგებს შატილივნები;** მერე **არდოტლებიც შამქდარა; მეწვერეებ ქისტებსაც ხყვანივ.** მაგრამ აქვეა: **ფშავლებ გვიდებდეს იმედსა; ხანჯალებმ დაიწყეს პრიალი; ზოგებ უკვენ მისწყვიან.** არის შემთხვევები, როცა მრავლობითი რიცხვის ფორმის სახელი ზმნას რიცხვში ითანხმებს, ოღონდ არა სათანადო აფიქსის გაჩენით, არამედ ინტენსიურობის ზმნისწინით ან თვით მრავლობითის მნიშვნელობიანი ფუძით: **ტყვეებ მაუჭერავ** — ერთს

დაიჭერენ, ბევრს მიაჭერენ; **ტყვეებიც წაუსხმავ** — ერთს წაიყვანენ, ბევრს წაასხამენ.

მაღალია მრავლობითრიცხვიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის რიცხვში შეთანხმების ხარისხი: **თქვენებ ძმებიც დაიხოცებავ, თქვენებ ქმრებიცავ. დიდებ სასმლებ მაიღეს. დიდიდებ ყანწებ მაგვართვი; გამასადეგებ სიტყვები.**

ფშაურ დიალექტში სახელის მრავლობითი რიცხვი ებიანი ტიპით იწარმოება. აქ ამ ფორმანტის გამოყენება უფრო ფართოა, ვიდრე ხევსურულში. აქ ებ-იანი მრავლობითის ფორმები ზმნაში რიცხვის ნიშნებს აჩენს, მაგრამ ეს არ ჩანს ფშაურის ორგანული წესი, აქ სალიტერატურო ქართულის გავლენაა საგულვებელი: **დასტურები იყვნეს; ჩემ ქალებ გამაუდგენ; მონადირეებ მოდენილიყვნენ გზაზედა. ორ ქალი დამრჩ, ისეებიც დამითხოვდა.**

ფშაურში, როგორც წესი, ებიანი მრავლობითის სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს: ჭიჩოს **დათხოვდა ქალები**; ისივ ფშავლის **შვილებ იქნებავ**; უკვენ **მაიღევდა ქისტები**; **ებლაუჭება ეს მაყრები საკიდელსა**; სიძე დასტირის თავზედა, **დები სუ შაიშალაო. მემრე მენშევიკებ გამოჩნდა.**

ებიანი მრავლობითით იწარმოება ჩვენებითი ნაცვალსახელები: მემრე **შუაფხოველებს სუ აუყრიან ისეები. ისეები აქვ გაკეთებული თავ-ბოლოში**; აი **ემეების** ალალ ბიძაშვილ იყო; **იმეებმა** დააღონეს სრულა; **იმაების** ბრალითაო ჩვენცა ვტირითო.

ებიანი მრავლობითით გაფორმებული საზღვრული მსაზღვრელსაც ამავე ფორმით შეიწყობს: აქამდე კი არ სწუნობდი ჩემს **დაგზავნილებს თასმებსა**; ჩემ ქმარსა **გადავლილიანებ წინდებ** ეცვა ქორწილშია; **შენებ სწორებმა** ვაყებმა, ყველამ გაუშვა თმანია; გიძღვრდენ **ჩემებ სწორები**; გამაუდგენ **ბოზვ-ქურდებსა, წვრილებ** დაპრჩა **ყმაწვილები.**

ფშაურში ბევრია მრავლობითი რიცხვის ნართანიანი ფორმებიც, ოღონდ ძლიერ ცოტაა ისეთი შემთხვევები, სადაც ამ ფორმებს შინაარსიც მრავლობითისა ჰქონდეს. ისინი უმეტესად ლექსებში გვხვდება და ერთგვარად მეტყველების ემოციური სტილისთვისაა დამახასიათებელი: **მეზობელნ** რო საქონს უყრიდნენო, მე ხის წვერებში ვიჯდოდი, ზურგზე მეკიდის **კონანი**, მაჭკიმის, დავიჭმიხლოდი. არის შემთხვევები, როცა აღნიშნული ფორმები მაინცა და მაინც მრავლობითობას არ გამოხატავენ: წინავ **ერთნი** იყვნენ; **ძმანი** ყოფილან; **ბაღლნ** უჭკონია.

ნართანიანი მრავლობითის სუფიქსები აწარმოებენ სოფელ-მეზობლობის, გვარების, შტო-გვარების, ოჯახების აღმნიშვნელ სახელებს: სუ წამოცვივდენ **წიწონი**, სუ გამოცვივდენ კარჩია; **წიწოთ** კარატიელი ვარ, ჩარგალს მივალ **დამფაითა**; ისენ **გულიკანი** ყოფილან; **გაბრიელთ** სოსო იქნება.

ბევრია შემთხვევები, როცა ე. წ. ნართანიან ფორმებს აშკარად მხოლობითის მნიშვნელობა აქვს: მემრე **დოვთ** (დოეს) ჩასწურვენ; რა **დრონ** იქნებოდეს, კი ვერ ვიცი. **წყალნი** მწყურანო, უთქვამ დედისადა; საღამოლა იყო, **მზებძანებანი**; სირცხვილ არ არიო, ამ **დროთას** კაცს ზედ მაჯდებიო? არაყნი, ვიცი, გეგულეზიან; **მინდლოთ** რო სისხლის ტბა ბრუნავს... **ნარცხათ** გადმოღვრის. ჩვეულებრივ ნართანიანი მრავლობითის ფორმით იხმარება **ჯალაბნი** (= ჯალაბი, ოჯახი); **აბჯარნი** (= აბჯარი); **იარაღნი** (= იარაღი); **ტანისამოსნი** (= ტანისამოსი).

ნართანიანი მრავლობითის მაწარმოებელთა ფლექსიური ფუნქცია საგრძნობლად შესუსტებულია, მაგრამ გაძლიერებულია სადერივაციო ფუნქცია. ამავე დროს სრულად აქვს შენარჩუნებული სინტაქსური ძალა, ის ზმნაში აჩენს შესაბამის მორფოლოგიურ ნიშნებს: — რაად **გიცვენან** ხვარამზეს უსახლო **ტყავის ძველანი** (იგულისხმება ერთი ტყავის ძველა)? — ხვარამზეს ტყავ არას უშლის, დაფრინავს როგორც ჯერანი, შენ ცოლს რომ ტყავი სცვავ, აღარც **კაბანი მთელანი** (იგულისხმება ერთი კაბა). **დაგიწვენ**, გაგნელის ბაღლო, უსაჯლო **ტყავის ძველანი**, **სულ** ჩხუბში რადა ხყუდიხარ, რო ცხვრის ნადგომში **დოლონი**? გუშინ ხო ნახე, კახებმა **ერთუცს გვაფარნეს ოროლნი**.

ნართანიანი მრავლობითით იხმარება ნივთიერებათა სახელები: **წყალნი**, **არაყნი**, **მიწანი** — ზოგადად არათვლადი საგნების აღმნიშვნელი სახელები: **შავნი მოიდეს ღურბელნი**, თეთრის თვლისა **მთოვარნი**, **ყროლნი მოსრულან მაყარნი**, ჩვენის ქალისა **მთხოარნი**.

ფშაურში რომ -ნ სუფიქსის ფლექსიური ძალა დასუსტებულია, ამის დასტურად გამოდგება ისეთი მაგალითები, როგორიცაა ბაყაყის (მყვარი) ფშაური ფორმა ბაყაყნი. არ არსებობს მისი მხოლობითის ფორმა **ბაყაყი**. **ბაყაყნ მიკოხნა**, **ბაყაყნ** კერაჩიავა **სხედან**. აქ ყველგან საუბარია ერთ ბაყაყზე, მაგრამ ფორმა მისი მრავლობითისაა. ეს ფორმა, რომელიც აშკარად ერთ საგანს აღნიშნავს, ზმნაში მრავლობითი რიცხვის ფორმას აჩენს. ე. ი. ამ სუფიქსს არ გააჩნია ფლექსიური, ე. ი. გრამატიკული რიცხვის მაწარმოებლის ფუნქცია, მაგრამ აქვს, როგორც ჩანს, რაღაც მიმალული სადერივაციო ფუნქცია და აშკარად გამოხატული სინტაქსური ძალა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ფშაურ დიალექტში მოქმედებს სახელთა მრავლობითის წარმოების ორივე ტიპი — ებიანიც და ნართანიანიც. ებიანის მორფოლოგიური ფლექსიური ძალა სრულია, სინტაქსური ძალა უაღრესად სუსტი; ნართანიანი ტიპის წარმოებას ძლიერ აქვს შესუსტებული ფლექსიური ძალა, აქვს გაძლიერებული სადერივაციო ფუნქცია და სრული სინტაქსური ძალა.

სახელის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად **თუშურ** დიალექტში **-ებ** სუფიქსია ძირითადი. ნართანიანი წარმოება იშვიათია და მას იქ ან სტილებრივი დანიშნულება აქვს — პოეტური და ექსპრესიული სტილისთვისაა დამახასიათებელი, ან უკვე დერივაციული ფუნქციითაა აღჭურვილი. ებიანი მრავლობითის სახელები აღჭურვილია სრული სინტაქსური ძალით და აქვს ცხადად ჩამოყალიბებული წესები: ზმნურ სინტაგმაში ყველა სახელობითბრუნვიანი მრავლობითის ფორმის სახელი ზმნას მრავლობითში ითანხმებს და ამ მრავლობითის ექსპონენტად წარმოდგენილია **-ნ, -ან, -ენ, -ნენ, ნეს, ეს** სუფიქსები, იმისდა მიხედვით თუ დროის რა ფორმითაა ზმნა წარმოდგენილი. ოღონდ ერთი პირობაა აუცილებელი: მრავლობითისფორმიანი სახელი სახელობითში უნდა იდგეს ან მოთხრობითში. მიცემითბრუნვიანი სახელი ზმნაში რიცხვის ნიშანს ვერ აჩენს, ანუ ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს.

ა) სუბიექტის რიცხვი ზმნაში: კაცებ ხყუდვან, ეყუდნეს, ყუდებულან; კაცებ იმალებიან, დიდმაღნეს, დამალულან; კაცებ ეფერაყებიან, მეყფერაყნეს, მოხფერაყებიან; კაცებ აშენებენ, კაცებთ აყშენეს.

ბ) ობიექტის მრავლობითი რიცხვი ზმნაში: ჯიჯვებ დაჯოცნ, ჯიჯვებ დუჯჯოცვან; სახლებ აყშენნ, სახლებ უყშენებვან.

სისტემურად არა, მაგრამ ებიანი მრავლობითით ნაწარმოები სახელი მის მსაზღვრელს ზოგჯერ მრავლობითშიც ითანხმებს: **ჩემებო ქალებო, ჩემებ ანაებო, უღლად დაწყობილნო, უღელდადებულნო.**

— ურემს მოუკვდა მომგონი, **დამწვეტებულეხ ჩხირები,**
რო ჩაეფლობა ლაფშია, ეზიდედ იკრიქ **კმილები.**

— ვირებს ენაცვლოს პატრონი, **თეთრებ** დააქვის **ცხვირები**
დავხკიდებ, დარაჯრაჯდება, ქვევით მე დავგვირები.

მხოლოდ თუშური დიალექტის თავისებურებას წარმოადგენს ებიანი მრავლობითი მოთხრობითი ბრუნვის წარმოება. აქ **-მ(ა)** სუფიქსის მაგივრად გვაქვს **-თ** მაწარმოებელი: კაცებ-ი, **კაცებ-თ,** კაცებ-ს, კაცებ-ის...

როგორც აღვნიშნეთ, ნართანიანი წარმოება თუშურში ძირითადად ლექსებში გვხვდება. ამ წარმოების მრავლობითს სრული სინტაქსური ძალა აქვს; ზმნას ყოველთვის ითანხმებს რიცხვში:

გზანიმცე აყვავდებიან, ცხვრისანი, მემცხვარსიანი,
წყალს იმათ გამომავდინეს, **ვიდნი დამისხნეს** ხისანი;
დაგლივნათ, გულუხიზენო, უთურის ამაცობამა,
უთურის **დათი-დ დედათი** დედაჩი თავაზობამა.

ნართანიანი მრავლობითის მოდელით იწარმოება ეთნონიმები, გვარისა და შტოგვარების სახელები: კახნი, თუშნი, ჩაღმანი, წუჟაყნი, გომეწრელნი, ბახტურნი, შტროლნი, ყველურნი, ცოკალნი, ქუმელაურნი...

ჭოლიკნი, გაფრინდაცნი, ივაცანი.
ცოკალთა-დ ქუმელაურთა, ქვებზეშეხკიდეს ზიარი.

ნართანიანი მრავლობითის ირიბი ბრუნვის ფორმას **-თ** სუფიქსით ლოკატიური მნიშვნელობა აქვს, ისეთი, როგორც აქვთ **-ში** და **-ზე** თანდებულის ფორმებს:

ზალო, ბელითამც მოგვიხვალ, ბედსამც მოგვიტან ტერფითა
ველთ წინდაც, **ზურგთ** აკავანი, შიგ ბიჭი, ოქროსთმიანი.
კალთაჯთ უხვიაგ მარჯვენა, აქვარელთ ბატონისაი.
წისქვილში საფქავ წავიდე, ორთავ ავხკიდე კატებსა,
გზათ თავგებ შემომეყარნეს, დამიციეს ანტე-ბანტესა.
ეს ცხვარ აქ **სოფელ-კართ** არ მიჰვდინებ.

თუშურში გვხვდება ორმაგი მრავლობითის იშვიათი ფორმებიც. რაც აგრეთვე ახლობელთა, ახლო ნათესავთა ოჯახს აღნიშნავს:

ჩვენებნიმ არ მოდიანა, ვერა იცი?
ჩვენებთ ბიჭ ჩამოსვლი ჯართა .
ჩვენებთ ქალმ ყარფუზ მომიღებრ.

მოხეურ დიალექტში ინტენსივობა მრავლობითის წარმოების ორივე ტიპისა თანაბარია. სინტაქსური ძალაც ორივეს ერთნაირი აქვს — ორივე ითანხმებს ზმნას რიცხვში: ჳევსა **თქვეს მაგვევებმა, ჳევსურნი დავაქციენით, წითელ-ყვითელნი დროშანი** საბავეს **მოაყრიენით.**

მესამე პირის ნაცვალსახელების მრავლობითი **-ებ** ფორმანტით იწარმოება: **ისეები || ისები.** ასევე იწარმოება კითხვითი და განუსაზღვრებლობითი ნაცვალსახელების ფორმებიც: **ვინები, ზოგები.**

ნართანიანით იწარმოება გვარებისა და შტოგვარების სახელები: **ყაზბეგიანნი, ყაზბეგიანთი; ოდიანნი, ოდიანთ** გივარგი; **ხეთაგურნი, ხეთაგურთ** ქალი.

-იან სუფიქსიანი სახელის ნათესაობითი ბრუნვა ზოგჯერ გასუბ-სტანტივებულია და ტოპონიმადაა ქცეული. **ბროლიანთი, პაპიანთები** მამულების სახელებია.

მთიულურ-გუდამაყრული ძირითადად სახელთა მრავლობითობის წარმოების ებ-იან ტიპს იყენებს. ამავე სუფიქსით იწარმოება მესამე პირისა და კითხვითი ნაცვალსახელებიც: **ისეები || ისები, ეგეები, აბე-ებმა; ვინები, რეები**. არის შინაარსობლივი დაპირისპირება ერთი — მრავალი — რამდენიმე. ერთმანეთს უპირისპირედება, ერთი მხრივ, ერთი და მრავალი (კრებითი) და, მეორე მხრივ, მრავალი. პირველის მაწარ-მოებელი მორფემა Ø-ია, მეორისა -**ები**.

ცხორი — ერთიც და მრავალიც (ფარა): **ცხორი** იყიდა, **ცხორს** დასდევს, **ცხორი** ჰყავს; **ვაშლი** შეჭამა, **ვაშლი** დაკრიფა; **ვაშლები** მო-მცა, **ვაშლები** აიღო.

ნართანიანი მრავლობითის ტიპით იწარმოება სოფლის სახელები, რომლებსაც გვარის სახელები უდევს საფუძვლად: **ამირანი, კობანი, ქავთარანი...** ზოგჯერ სოფლის სახელები წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს, რომელშიც საზღვრული ნართანიანი მრავლობითით ნა-წარმოები გვარსახელებია: **ბედოთ კარი, კაიშაურთ ველი, ქიმპარიანთ კარი...** ასევეა ნაწარმოები შტოგვართა სახელები: **ელიზბარიანნი, ბე-ჟანიანნი**. სიმცირის გამომხატველი მაწარმოებლადაა გამოყენებული ნა-რიანი წარმოება, როცა მსაზღვრელად რიცხვითი სახელია გამოყენებუ-ლი: **ორანი გარანი**=ორიოდე ხარი; **სამანი ცხორანი**=სამიოდე ცხვარი.

სახელის მრავლობითის ძირითადი მაწარმოებელი **ქართლურშიც -ებ**-ია. შეპირისპირება ერთი — ბევრი ჩვეულებრივ **-ებ** მაწარმოებე-ლით გამოიხატება. ნართანიანი წარმოება აქაც გვხვდება, მაგრამ აქ იგი ერთის საპირისპირო სიმრავლეს არ გამოხატავს. იგი ხშირად და-ერთვის რიცხვით სახელებს, რაოდენობითსაც და რიგობითსაც. ასე ნა-წარმოები სახელები განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ფუნქცი-ით გვევლინებიან: **ერთნი** ამას იტყვიან, **მეორენი** სხვას; **სამნივე** და-სხდნენ; ოჯახისა და შტოგვარების საწარმოებლად ერთმანეთთან თავი-სუფლად მონაცვლეობს **-ებ** და **-ნი** ფორმანტები: **ტუნხანნი, მერაბან-ნი**, მაგრამ: **ტუნხანები, მერაბანები**. ამგვარივე წარმოება თავს იჩენს ზოგად სახელებთანაც და იგი კრებითობას გამოხატავს: **ქალიანნი || ქალიანები; ნეფიანნი || ნეფიანები**. ზოგჯერ **-ნი** ფორმანტი მორფოლო-

გიურ ფუნქციას კარგავს, იგი დერივატად გამოვლინდება. ასეთ შემთხვევაში მრავლობითის შინაარსის მისაცემად საჭირო ხდება იმავე ფორმანტების ხელახალი დართვა: **სხვანანი, ცხრანივენი, ორთავენი**; ამავე ფუნქციით **-ებ** ფორმანტიც გამოდის: **ორთავეები || ორთავენები, თავიანთები**; ზოგჯერ **-ებ** ფორმანტიან სახელს კვლავ **-ნ** დაერთვის: **ტოლებნი** = ტოლები, ერთი ასაკისანი.

მრავლობითი რიცხვის ფორმანტები ხშირად სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოიყენება: **თავიანთები** = თავისიანები, ნათესავეები; **ცოლისები** = ცოლეულები, ცოლის ოჯახი; სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვს **-ებ** ფორმანტს სხვა შემთხვევებშიც: **ძვირები** მიჯდება; მე **წიგნი-სები** რა ვიცი, **სკამები** ჩემი **მზითვისებია**.

ინგილოურში სახელის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად **-ებ** ფორმანტი გამოიყენება მასთან თავისუფლად მონაცვლე **-ევ** ალოფონთან ერთად. **-ებ-ი** უფრო მეტად ახალი თაობის მეტყველებაში ისმის, ეს, ალბათ, მათი სკოლებში სალიტერატურო ქართულთან ზიარების შედეგია. ძველ და ისეთი თაობის წარმომადგენლებთან კი, ვისაც სკოლაში არ უვლია, უმეტესად **-ევ** ვარიანტს ვხვდებით: **კაცები || კაცევი, დიდებ || დიდევ**.

ალიაბათურ კილოკავში პირის ნაცვალსახელებთან **-ნ** ფორმანტს **-ებ-იც** დაერთვის: **ისნები || ისინები, ესნები || ესენები**. არის შემთხვევები, განსაკუთრებით კაკურ კილოკავში, როცა ნარიანი წარმოება **-ებიანს** დაერთვის: **კაცებნი || კაცევნი**.

ფერეიდნულში სახელის მრავლობითი ფორმების ერთადერთი მაწარმოებელი **-ებ** ფორმანტია: **საბუთები** მოიტანა იქა; ეს წყალი და ეს მიწა ფერეიდნულ **ქართველებისა** არი; წაიღო **ბადარკები**; თავრობის **საქმეებჩიქაც** მუშაობენ. **-ებ** ფორმანტით იწარმოება ჩვენებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმებიც: **ისები** მოიტანა იქა; **ესები** ამ სოფელჩი უფროსები **იყნეს**.

ფერეიდნული დიალექტის მრავლობითს სინტაქსური ძალა კახურისნაირი აქვს: შემასმენელს რიცხვში ითანხმებს სუბიექტიც და ირიბი ობიექტიც: **ქართველებმა ისწავლონ**; სხო **ხანებიც იყნეს**. ირიბი ობიექტის ექსპონენტი ზმნაში არის **ყე** ნაწილაკი: ის საქმეები გოუკეთოს-ყე. ყე ნაწილაკი ჩნდება ინვერსიულ ზმნებშიც, როგორც გრამატიკული ობიექტის მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი: **ქართველებსა საქმეები ჰქონდისყე**; ახალგაზრდები **ყვანდაყე**.

მესხურ კილოში სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა საწარმოებლად **-ებ** ფორმანტი გამოიყენება. ეგაა რიცხვის მორფოლოგი-

ური ნიშანი. მაგრამ ამ კილოში თავისებურად მოქმედი ფონეტიკური წესი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მესხურს აქვს რიცხვის თავისებური მაწარმოებელი. საქმე ისაა, რომ **-ებ** ფორმანტი ვერ იწვევს ხმოვანფუძიან სახელებში ფუძისეული ხმოვნის კვეცას, ახდენს მის ასიმილაციას და მორფემათა საზღვარზე ჩნდება ორი **ე**. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მესხურში მრავლობითის ნიშანი იყოს **-ეებ** ფორმანტი. ზოგ შემთხვევაში წინამავალი **ე** დისიმილაციურად ვიწროვდება და ვიღებთ **-იებ** ფორმანტს. და — დეები — **დიები**; ძმა — ძმეები — **ძმიები**; ეს წესი ანალოგიით ვრცელდება თანხმოვანფუძიან სახელებზეც: **ქმრეები** — **ქმრიები**; ცხვარი — **ცხვრეები** → **ცხვრიები**. ასე რომ მესხურში ვიღებთ მრავლობითი რიცხვის მორფემის სამ მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფს: **-ებ -ეებ -იებ**.

ნართანიანი წარმოების ტიპი წარმოადგენს სადერივაციო საშუალებას, რომელიც შტოგვარებს აწარმოებს: **პაპაანი, პაპაანთი**. შტოგვარების მაწარმოებელია **-ან** და **-ენ** სუფიქსები, რასაც, ცხადია გენეტური კავშირი აქვს მრავლობითის **-ნ** ფორმანტთან: **ზაზაანი, მოხენი, გელა-ენი** → **გელენი** → **გელიენი**.

დასტურდება მრავლობითის ორმაგი წარმოების შემთხვევები (ჩვეულებრივ ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებთან): **ისი-ნ-ები, ორთავ-ნ-ები, იმათ-ნ-ები**.

კრებითი მრავლობითობა გამოიხატება **-ობა** სუფიქსით **ქალობამ** აფოცხოს, **კაცობამ** თიბოს; **ხარობა** = ხაროვანი.

სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ერთნაირია. ოპოზიცია ერთი — მრავალი ყველგან გამოხატულია მორფემათა ოპოზიციით **Ø-ები**. სუსტია ებიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა. ებიანი სუბიექტი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს. ვერც ობიექტები აჩენს ზმნაში შესაბამის რიცხვის ექსპონენტს.

რიცხვის ნართანიანი წარმოება დასავლურ დიალექტებში აქა-იქ გადმონაშთის სახით გვხვდება, როგორც სტილური მახასიათებელი ძირითად ლექსებში.

ნართანიანი ფორმანტებით ნაწარმოები სახელები დასავლურ დიალექტებში ყველგან არის, მაგრამ იქ ისინი დაცლილია ფლექსიური მნიშვნელობისაგან და დერივატებს წარმოადგენენ. სხვაობა ამ დიალექტებში ამ მხრივ არის საგრძნობი, მაგრამ ეს საკითხი, ჩვენი აზრით, უნდა განხილულ იქნეს სიტყვაწარმოებაში და არა მორფოლოგიაში.

1.6. ფუძისა და აფიქსთა ურთიერთქმედება ფორმაწარმოების პროცესში

სახელის ფუძისა და სუფიქსთა ურთიერთქმედების თვალსაზრისით ორი შემთხვევა განიხილება: როცა ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება და როცა სახელი ხმოვანფუძიანია. პირველ შემთხვევაში სუფიქსისეული ხმოვანი მოქმედებს ფუძისეულ ხმოვანზე (ამ მოვლენას ფუძის კუმშვას ვუწოდებთ); მეორე შემთხვევაში ქმედება ორმხრივია: ერთი მხრივ, სუფიქსისეული ხმოვანი მოქმედებს ფუძეზე (ამ ფაქტს განვიხილავთ, როგორც ფუძის კვეცას) და, მეორე მხრივ, ფუძისეული ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშნისეულ ხმოვანზე. ორივე ეს უკანასკნელი ვარიანტი განიხილება როგორც ელიზია.

აქ წარმოდგენილი დასკვნები ძირითადად ემყარება ბ. ჯორბენაძის „ქართულ დიალექტოლოგიას“ (ტ. I, 1989).

* * *

თანამედროვე ქართულში **ბრუნვის** პროცესში თანხმოვანფუძიან სახელებს სამ ბრუნვაში — ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში — ფუძე ეკუმშებათ (ხდება ფუძისეული ხმოვნის რედუქცია). რედუქციას ექვემდებარება სამი ხმოვანი: **ა**, **ე** და **ო**. ამათგან **ა** და **ე** სრულიად იკარგება; **ო**-ს შემთხვევაში ხდება სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა:

სახ.	ხმალ-ი	წელ-ი	ფოთოლ-ი	ნიორ-ი
მოთხ.	ხმალ-მა	წელ-მა	ფოთოლ-მა	ნიორ-მა
მიც.	ხმალ-ს	წელ-ს	ფოთოლ-ს	ნიორ-ს
ნათ.	ხმლ -ის	წლ -ის	ფოთლ -ის	ნივრ -ის
მოქ.	ხმლ -ით	წლ -ით	ფოთლ -ით	ნივრ -ით
ვით.	ხმლ -ად	წლ -ად	ფოთლ -ად	ნივრ -ად
წოდ.	ხმალ-ო	წელ-ო	ფოთოლ-ო	ნიორ-ო

ო სრულად იკარგება იმ შემთხვევაში, თუ სიტყვაში არის **ო** ხმოვანი (გოდორ-ი / გოდრ-ის...) ან ბაგისმიერი თანხმოვანი (საპონ-ი / საპნ-ის...), სხვა შემთხვევაში ხდება ნაწილობრივი რედუქცია ხმოვნისა (მინდორ-ი — მინდვრ-ის...).

ჩვეულებრივ, იკარგება ბოლო მარცვლის ხმოვანი, როცა ამ მარცვლის სტრუქტურა არის **VS**, ანუ ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი არის **ლ, რ, მ, ნ, ვ** სონორები... ეს არის ძირითადი წესები. თუმცა ყველა შემთხვევას აქვს გამონაკლისი... პრაქტიკულად ამგვარი დაბოლოების ფუძის ბოლო მარცვლისეული ხმოვანი ყოველთვის არ რედუცირდება, მნიშვნელობა ენიჭება იმას, რამდენ მარცვლიანია სიტყვა. ეს ფაქტორი ძველ ქართულში უფრო მკვეთრად იყო გატარებული; ძველი ქართულის მასალაზე ასეთი დასკვნები გაკეთდა:

„1. სახელებში ფუძისეული ხმოვნის რედუქცია უშუალო კავშირში იყო მარცვალთა რაოდენობასთან. რედუცირდებოდა მხოლოდ ორ-მარცვლიან ფუძეთა ბოლო მარცვლისეული ხმოვანი. ერთ- და ორზემეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა რედუქცია არის მეორეული, გვიანდელი მოვლენა და ერთგვარდაბოლოებიან ფუძეთა ერთ ყალიბში მოქცევის ფაქტი.

2. მაწარმოებელი ხმოვანი რედუქციის კანონებს არ ემორჩილებოდა (ეს არის ძირითადი ფაქტორი ორზემეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა ურედუქციობისა).

3. ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევდა მხოლოდ ის სუფიქსი, რომელიც ხმოვნით იწყებოდა და დახურულ მარცვალს ქმნიდა. სხვაგვარად: ოდენხმოვნიანი სუფიქსი ფუძისეული ხმოვნის რედუქციას ვერ იწვევდა. ამ ფაქტორის გამოვლენაა ის, რომ სუფიქსები **-ა** სიტყვაწარმოებით), **-ი** (სახელობითისა) და **-ო** (წოდებითისა) ვერ კარგავენ ფუძისეულ ხმოვანს“ (გ. გოგოლაშვილი).

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ხმოვნის რედუქცია სემანტიკაზე გავლენას ვერ ახდენს. **ძვლ-**ები და **ძვალ-**ები („გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები“ — ვაჟა). სემანტიკურად აბსოლუტურად იდენტურია. ფუძეთა ასეთი პარალელური ვარიანტები ერთმარცვლიან და ორზემეტმარცვლიან ფუძეებში ძველ ქართულში საძებარი არ არის. გვხვდება **ბრძენისა || ბრძნისა, ძღუნისა || ძღვნისა, ჯუარისა || ჯვარისა, მხევალისა || მხევლისა...**

შენიშვნა: გვაქვს ორიოდ შემთხვევა, როცა ფუძის კუმშვა-უკუმშველობას სემანტიკური დატვირთვა აქვს: **წელ-**ის და **წლ-**ის, **თვალ-**ის და **თვლ-**ის... ეს გამონაკლისად მიიჩნევა.

ფუძეები **კარ-**, **ჟამ-**, **დარ-**, **გან-**, **გონ-**, **ბერ-**, **ღკარ-**, **ქალ-**, **ფეხ-** მხოლოდ მაშინ იკუმშებიან, როცა ისინი კომპოზიტის შემადგენლობაში არიან მეორე კომპონენტად ანდა სიტყვაწარმოებისას მეორე მარცვლის ხმოვნად გვევლინებიან: ცის-

კრ-ის, **სამ-ჟმ-ის**, **ავ-დრ-ის**, **სა-გნ-ის**, **დედა-ბრ-ის**, **ნია-ღვრ-ის**,
ცის-ფრ-ად, **პატარ-ქლ-ი**შვილი...

ძველსა და ახალ ქართულს შორის ფუძისეული ხმოვნის ცვლის ძირითადი პრინციპები ერთგვარია; არსებითად სხვაობს ის, რომ ფუძეები, რომლებიც ძველ ქართულში კუმშვადი იყო, დღეს უკუმშველია და პირიქით.

როცა რედუქციის წესებზე ვსაუბრობთ, ხშირია გამონაკლისები. ძვ. ქართ.: **მეყ-ი** — **მყ-ის**, **მკერდ-ი** — **მკრდ-ის**, **ფერჯ-ი** — **ფრჯ-ით** და სხვ... ახალი ქართული: **სომეხ-ი** — **სომხ-ის**, **ბეჭედ-ი** — **ბეჭდ-ის**, **ნაბად-ი** — **ნაბდ-ის**, **ხონობ-ი** — **ხონბ-ის** და ა. შ.

ამ საკითხების ასე დეტალურად გახსენება იმდენად არის საჭირო, რამდენადაც ქართული ენის დიალექტებში პრინციპულად განსხვავებული ვითარება არა გვაქვს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რედუქციის წესები ძველ ქართულში, ახალ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ერთგვარია. განსხვავებას ქმნის პროცესის ინტენსიობა, ერთი მხრივ, და ცალკეული შემთხვევები, მეორე მხრივ. მაგალითად: იკუმშება ისეთი ერთმარცვლიანი ფუძეები, სალიტერატურო ენაში რომ უკუმშველია:

- დარ-ი** — **დრ-ის** / **დრ-ით** (მესხ.)
- შკამ-ი** — **შკმ-ები** (მოხეური)
- კარ-ი** — **კრ-ები**
- გალა** — **გლ-ები**
- ნიკაბ-ი** — **ნიკბ-ის**
- წამწამ-ი** — **წამწმ-ის**
- ბატონ-ი** — **ბატვნ-ის**
- არხოტიონ-ი** — **არხოტივნ-ები** (ხევსურული)
- ფაიტონ-ი** — **ფაიტვნ-ით**
- ბაგრატიონ-ი** — **ბაგრატივნ-ის**
- როშკიონ-ი** — **როშკივნ-ები**
- ამლიონ-ი** — **ამლივნ-ები**
- ქართველ-ი** — **ქართვლ-ის** (კახური)
- წვრიმალ-ი** — **წვრიმლ-ის**
- კვერ-ი** — **კვრ-ები**
- სხვენ-ი** — **სხვნ-იდან**
- ყალიონ-ი** — **ყალ-ვნ-ის**...

საინტერესო შემთხვევებს ადასტურებენ ჯავახურში (გ. ბერიძე, ა. მარტიროსოვი).

მორეც-ი — **მორვ**-იდან

კარ-ი — **კრ**-ებიდან

ნილაბ-ი — **ნილბ**-ის

ლოგინ-ი — **ლოგნ**იდან(!)

უნაგირ-ი — **უნაგრ**-ებ-ი, **უნაგრ**-იანი (თუმცა ამ შემთხვევაში ა. მარტიროსოვი ამოსავალ ფორმად **უნაგერ**-ს ვარაუდობს).

მსგავსი შემთხვევები ძირითადად აღმოსავლურ დიალექტებში დასტურდება, თუმცა დასავლურსა თუ სამხრულ დიალექტებშიც შეიძლება შეგვხვდეს ამგვარი „გამონაკლისები“. მაგალითად, გურულში ადასტურებენ ასეთ ფორმებს: **ჩხავერ**-ი — **ჩხავრ**-ის, **ერისთავ**-ის... აჭარულში — **კრავ**-ი — **კრვ**-ებ-ი, **სკმ**-ები, **ასტმ**-ებ-ი...

საგულისხმო ფაქტია, რომ ბრუნვის ნიშანზე მეტ მარედუცირებელ ძალას მრავლობითობის **-ებ** სუფიქსი იჩენს.

ისე კი, ეს პროცესი აღმოსავლურ დიალექტებში რომ უფრო ინტენსიურია, ეს ცნობილია. შეკუმშული და შეუკუმშავ ფორმათა პარალელიზმის შემთხვევაში აღმოსავლურ დიალექტებში უპირატესობა შეკუმშულ ფორმებს ეძლევა, დასავლურში — შეუკუმშავს.

ჩვენ ვსაუბრობდით ფორმაწარმოებაზე; რა გავლენას ახდენს ბრუნვის ნიშნები და მხოლოებითი რიცხვის მაწარმოებელი ფუძისეულ ხმოვანზე. როგორც ჩანს, ეს გავლენა სიტყვაწარმოების შემთხვევაში სხვაგვარია... თუმცა ამჯერად ჩვენ მხოლოდ ფორმაწარმოება გვანტიცხვებ.

* * *

რა ვითარებაა ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნებისა და **-ებ**-იანი მრავლობითის წარმოების დროს ფუძისეულ და სუფიქსისეულ ხმოვანთა ურთიერთქმედების თვალსაზრისით?

ზოგადად კანონზომიერება ასეა ჩამოყალიბებული: ქართულში მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილ ხმოვანკომპლექსებში მიმდინარე ფონეტიკური პროცესი — ელიზია — ხდება, როცა ბოლოხმოვნიან სახელს ხმოვნით დაწყებული სუფიქსი დაერთვის. სალიტერატურო ენის მასალის ანალიზის საფუძველზე ასეთი დასკვნა არის გაკეთებული: ელიზიაში ძირითადად მოქმედებს რეგრესული გავლენის პრინციპი, თუ გვხვდება რეგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია, ამ შემთხვევაში ელიზირებულ ხმოვანზე, გარდა მავლიზირებული ხმოვნის გავლენისა, უნდა მოქმედებდეს მეორეული ფაქტორებიც... ელიზიის განხორციელება დამოკიდებულია ხმოვანთა აწეულობასა და წარმოების რიგზე, რაც უფრო მაღალი აწეულობისაა ხმოვანი, ერთი მხრივ, და რაც უფრო

უკანა წარმოებისა, მეორე მხრივ, მით მეტია მისი მავლიზირებელი ძალა... (გოგოლაშვილი, 19), თუმცა დიალექტების მონაცემებს ამ დასკვნებში კორექტივები შეაქვს.

ფუძის კვეცა, ანუ სუფიქსისეული ხმოვნის გავლენით სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ხმოვანი არის **ა** ან **ე**. ერთადერთი გამონაკლისია ღვინო — ღვინის. ეს ზოგადი წესია სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. თუმცა ეს წესი არაა საყოველთაოდ გატარებული.

ჩვეულებრივ, სახელობითი ბრუნვის **ი** სუფიქსი ფუძისეულ ხმოვანს ვერ კარგავს. ფუძისეულ ხმოვანთა და სახელობითი ბრუნვის ნიშნის შეხვედრისას სამი შემთხვევა უნდა განვიხილოთ:

ა) **როცა ბრუნვის ნიშანი სრული სახითაა წარმოდგენილი:** ვერც ბრუნვის ნიშანი ახდენს გავლენას ფუძისეულ ხმოვანზე და ვერც ფუძისეული ხმოვანი — ბრუნვის ნიშანზე.

ხეცსურული: საქმე-ი, რა-ი... თუმცა ეს არ არის ერთადერთი ვარიანტი; პარალელურად **Ø**-ოვანი წარმოებაც გვაქვს. მათი გამოვლენა შეიძლება წინადადებაში ამ სიტყვის ადგილზე იყოს დამოკიდებული (ა. ჭინჭარაული). ფუნქციური განსხვავება **საქმე-ი** და **საქმე** ფორმებს შორის არ არის.

მოხეურში **ი** ბრუნვის ნიშანი დაერთვის მხოლოდ **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს: ქალა-ი, გულა-ი, რა-ი... სხვა ხმოვანფუძიანებთან ნულოვანი წარმოება გვაქვს.

მთიულურში **ა** ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებს დაერთვის **ი:** სარეკელა-ი, წენწენა-ი, ჯმალი-ი... გიორგა-ი, ივანა-ი... შესაძლებელია პარალელურად **ა** ხმოვანფუძიანი სახელი უნიშნოდაც იქნეს წარმოდგენილი და **ა** ნიშნითაც.

უფრო ხშირია ხმოვანფუძიანებთან **ი** სუფიქსის გამოყენება **ქართლურში:** მიწა-ი, დედა-ი, გაკეთება-ი, პატარა-ი... დათა-ი, პავლე-ი, ილიკო-ი... რუ-ი, ღრუ-ი...

თითქმის მსგავსი ვითარებაა **კახურში:** მიწა-ი, დრო-ი, ცხოვრება-ი, ელენე-ი...

სამცხურში (უმეტესად ჯავახურში) ხმოვანფუძიანებთან **ი** დასტურდება: დედა-ი, მამა-ი, ძალო-ი; შოთა-ი, პეტრე-ი, ნუნუა-ი...

საინტერესო ვითარებაა **გურულში:** ყველა ხმოვანფუძიანი ერთმარცვლიანი სიტყვა დაირთავს **ი**-ს: ძმა-ი, და-ი, ცა-ი, ცხრა-ი, თვე-ი, დღე-ი, ხე-ი... დრო-ი, რკო-ი... ყრუ-ი, ცრუ-ი... ორი და მეტმარცვლია-

ნებში, თუ ბოლოკიდური **ა** არის სიტყვაწარმოებითი, მაშინ დაირთავს **ო**-ს: ნაფოტა-ი, ტუმარა-ი.

ბ) მეორე შემთხვევაში ფუძისეული ხმოვანი ახდენს გავლენას ბრუნვის ნიშანზე და გადააქცევს მას **დ**-დ.

ი→**დ** დამახასიათებელია ნაწილობრივ **მთიულურისათვის** (ორ-და მეტმარცვლიან ფუძეებთან): ნიკორა-დ, ბილიკა-დ, ვაჟა-დ... როგორც აღვნიშნეთ, პარალელურად სრული **-ი**-ც გვხვდება (სარეკელა-ი || სარეკელა-დ)...

ინგილოური დიალექტის **კაკურ** კილოში: მამა-დ, ჟაფა-დ, თხოვ-ნა-დ, კალო-დ, თო-დ (თვე), ზუზუ-დ (ძუძუ)...

მესხურში **დ** ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ ან მასთან გატოლებულ საზოგადო სახელთა სახელობითში (ბ. ჯორბენაძე): შოთა-დ, ნინა-დ, პეტრე-დ, ნუნუ-დ... ნიშა-დ, დაბუა-დ, შნო-დ...

რაჭულში ჩვეულებრივ: ვაჟა-დ, ქალა-დ, ხმალუკა-დ, კლდე-დ, ხე-დ, დურო-დ, ბლუ-დ...

აჭარულში — გზა-დ, ხე-დ, ბაბო-დ... ასლანა-დ, ზეჩიე-დ... მიუთითებენ, რომ ზოგჯერ სრულხმოვანი **ი** ისმის სახელობითშიო...

გ) დიალექტთა ერთ ნაწილში ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის **ი** ფუძისეული ხმოვნის გავლენით სრულად იკარგება: **ი**→**∅**. ესაა ჩვეულებრივ ხევსურულში, ფშაურში, ფერეიდნულში, გურულში (ორ და მარცვლიანებთან): დედა, მამა, წყარო, სახე... ეს ვარიანტი სახელობითი ბრუნვისა მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტში გვხვდება.

თუმცა, როგორც ვთქვით, გვაქვს პარალელური ვარიანტები ხმოვანფუძიან სახელებთან: **ო||ი**, **ო||დ**.

ბრუნვის ნიშანთა ვარიანტულობის თვალსაზრისით ხმოვანფუძიან სახელებთან ანალოგიური ვითარება გვაქვს ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში.

ხევსურულში, ფშაურსა და მოხეურში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული **ი** ფუძისეულ **ა** ხმოვანს ვერ კარგავს; ცვლილებას არც თვითონ განიცდის:

ქალა-ის, დროშა-ის; ცრემლა-ის, გეჯა-ის; ქალა-ის...

ქალა-ით, დროშა-ით; ცრემლა-ით, გეჯა-ით; ქალა-ით...

ფუძისეული **ა** უკვეცელია ფერეიდნულშიც, თუმცა ზემოხსენებული დიალექტებისაგან განსხვავებით, ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი თავად იკარგება: ა-ის → ა-ს, ა-ით → ა-თ... ამ შემთხვევაში **ა**-ფუძიან სა-

ხელებთან ისეთივე ვითარებაა, როგორც სხვა უკვეცელ (ო და უ ფუძი-ან) სახელებთან: ჭას (=ჭი-ის) პირზე; დუნიას (=დუნი-ის)... ნადირობას-ი (ნადირობის) ქვა-თ-ი (ქვით)...

თუმცა ფერეიდნულში ეს ერთ-ერთი ვარიანტია; ასევე ჩვეულებრივია მოქმედებითში **-ით** და **ით** ვარიანტები: ქუა-ით || ქუა-ით, ტყივა-ით || ტყივა-თი (ტყვიით)...

დიალექტებში, რომლებშიც სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძისეული ხმოვნის გავლენით სუსტდება (ი→ა), **ა-ით** არის წარმოდგენილი ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები:

ა, **ა** ვარიანტები გვხვდება:

მთიულურში (სრული **ი-ს** პარალელურად) — კატა-ა, ქოთილა-ა; კატა-ით, ქოთილა-ით...

ინგილოური დიალექტის კაკურ კილოში — დედა-ა, შინა-ა (შეშის), ფარჩა-აზგან... შინა-ით, ზედა-ით... თუმცა კაკურში ის ვარიანტებიც გვხვდება, ალიაბადურ კილოკავში რომ დასტურდება ჩვეულებრივ (**-ის**, **ით...**).

რაჭულში, მთიულურისა და ინგილოურისაგან განსხვავებით ის→ა, ით→ა პროცესი ხდება როგორც **ა-ფუძიანებთან**, ისე **ე-ფუძიანებთან**: ვაჟა-ა, ხე-ა, წყარო-ა... რა-ა... დილა-ით, რძე-ით, ერბო-ით... რა-ით...

ასეთივე ვითარებაა **აჭარულშიც**:

ქოსა-ა, ზეჩიე-ა, საცოლე-ა, აგვისტო-ა...

ქოსა-ით, ზეჩიე-ით, საცოლე-ით, რა-ით...

ამ მონაცემებს მხარს უჭერს სხვა სამხრული დიალექტებიც. ფუძისეული და სუფიქსისეული ხმოვნების ურთიერთქმედების თვალსაზრისით საინტერესოა მრავლობითობის **-ებ** სუფიქსის ჩვენება.

სალიტერატურო ენაში ვითარება შედარებით მარტივია — ძირითადად ორი ვარიანტი განიხილება: **ა** ხმოვანფუძიანები და სხვა (ე, ო, უ, ი) ხმოვანფუძიანები. I შემთხვევაში ხდება ფუძისეული ხმოვნის მოკვეცა (მამ-ებ-ი, ფაღა-ებ-ი...), სხვა შემთხვევაში წარმოქმნილი ხმოვანკომპლექსი ცვლილებას არ განიცდის (ხე-ებ-ი, წყარო-ებ-ი, ძუძუ-ებ-ი, ჩაი-ებ-ი...).

დიალექტებში გაცილებით რთული ვითარებაა:

ა) მრავლობითობის **-ებ** იწვევს ფუძის ბოლოკიდური **ა-ს** კვეცას;

ბ) **-ებ** ვერ ახდენს გავლენას ფუძისეულ **ა-ზე**. მოხეურსა და ხევსურულში გვხვდება ფორმები: შეშა-ები, წიწილა-ები, თეთრქუდა-ები... მსგავსი შემთხვევები არცთუ ხშირია...

გ) **-ებ** სუფიქსისეული **ე** იწვევს ფუძისეული **ა** ხმოვნის ასიმილაციას **ა-ებ**→**ე-ებ**. ასეთი პროცესი დადასტურებულია ხევსურულში, მონხურში, კახურში, ლეჩხუმურში, იმერულსა და რაჭულში; მაგალითები სხვადასხვა დიალექტიდან: ჭალე-ები, წიწილე-ები, პაპე-ები, კალთე-ები, ბიძე-ები, წინდე-ები, რე-ები, ვილაცე-ები...

დ) **-ებ** სუფიქსისეული ხმოვნის გავლენა ზოგჯერ უფრო ძლიერია: ასიმილირებული **ე** ხმოვნის დისიმილაცია ხდება: **ა-ებ** → **ეე** → **ი-ებ**. ჭალი-ებ-ი, ქვი-ებ-ი, ძმი-ებ-ი, დი-ებ-ი... დისიმილაციის პროცესი ხდება **ე** ფუძიან სახელებთანაც — **ე-ებ** → **ი-ებ**: ხი-ებ-ი, მეხრი-ებ-ი, სახი-ებ-ი... ეს პროცესი დამახასიათებელია ქართლურისათვის, ინგილოურისათვის, მესხურისათვის. თუმცა ამავე დიალექტებში გვაქვს პარალელური ვარიანტებიც (ასიმილაციის დონეზე): ქვეები, ძმეები...

ე) ქართლურსა და კახურში მრავლობითის **ე** ხმოვანი სახელის ფუძისეულ **ე** ხმოვანს შეერწყმის და ვიღებთ მარტივ **ე**-ს: კიბები, მონადირები, ვარაუდობენ, რომ თუშურის მაგალითები — დედებწ, მამებწ, ძმებწ — არა კვეცის, არამედ ასიმილირებული **ე** ხმოვნის შეერწყმის შედეგია დედა-ებ-ი → დედე-ებ-ი → დედები... ამ ვარაუდის საფუძველი ისაა, რომ თუშურში არ ხდება **ა** ხმოვნის კვეცა; სხვა შემთხვევაში ამგვარ ფორმებს ვადასტურებთ: დრომაცებწ...

ვ) **ო** ფუძიანი სახელები ჩვეულებრივ უკუმშველია, თუმცა ზოგჯერ **-ებ** სუფიქსის დართვა იწვევს ფუძისეული **ო**-ს დისიმილაციას: კალო-ებ-ი > კალუ-ებ-ი, გოგო-ებ-ი > გოგუ-ებ-ი, ეზო-ებ-ი > ეზუ-ებ-ი... ამგვარი პროცესი დასტურდება კახურსა და იმერულში.

ზ) **-ებ**-იან მრავლობითთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტზე მიაწინებენ: თანხმოვანფუძიანი კუმშვადი სახელები (ძირითადად ერთმარცვლიანები) **-იებ** დაბოლოებას დაირთავენ: ცხვრ-იები, წლ-იები, ქმრ-იები, (მ)გლ-იები... ფიქრობენ, რომ ეს ანალოგიაა, თუმცა **იებ** სუფიქსის დართვას დაკარგული ფუძისეული ხმოვნის კომპენსაციად მიიჩნევენ (ჯორბენაძე).

ასეთ ფაქტებს ადასტურებენ კახურში, ქართლურსა და მესხურში. **იებ** დაბოლოების პარალელურად **ეებ** დაბოლოებაც შეიძლება შეგვხვდეს: ნაჭრ-ეები, ძმ-ეები, გზ-ეები...

1.7. თანდებულები ქართულ დიალექტებში (აღმოსავლური დიალექტები)

თანდებული, ქართული ენის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი, ფუნქციონალურ ლექსიკას განეკუთვნება, ანუ დამხმარე სიტყვათა სფეროს წარმოადგენელია. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მას მხლებელთა კლასს (წინდებულებთან ერთად) განუკუთვნებენ. წინადადებაში იგი ჩვეულებრივ ახლავს სახელს და ეს მხლებლიანი სახელი განსაზღვრავს პრედიკატის ადვერბიალურ მიმართებებს: სივრცობრივს, დროითს, მიზეზობრივს, მიზნურს და ზოგ სხვასაც. მოკლედ, თანდებულიანი სახელი წინადადებაში რაიმე სახის გარემოებადაა წარმოდგენილი და ამ გარემოებითობას მას თანდებული ანიჭებს. ამიტომ არ იქნება შეცდომა, თუ თანდებულზე ვიტყვი, რომ ის ქართულ ენაში „ადვერბიალური“ ელემენტია.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მიღებულია, რომ თანდებულები ჯგუფდებიან იმის მიხედვით, თუ რომელი ბრუნვის ფორმას დაერთვიან ისინი. ამისდა კვალად ასახელებენ სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის თანდებულებს. ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება ვისაუბროთ არა ამა თუ იმ ბრუნვის თანდებულებზე, არამედ ბრუნვებზე, რომლებსაც ესა თუ ის თანდებული მოითხოვს. ანუ რომელ ბრუნვაში მართავს თანდებული სახელს, რომელსაც იგი დაერთვის, რამდენადაც თანდებული ლექსიკის დონის ენობრივი ერთეულია და არა მორფემული დონისა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში რომელიმე თანდებული სახელს არ მართავს არც მოქმედებით და არც ვითარებით ბრუნვაში. ტექსტის თანმიმდევრული სეგმენტირებისას პოსტულირდება -გან თანდებული, რომელიც სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში და არა მოქმედებითში და -მდე თანდებული, რომელიც მოითხოვს სახელის ფუძეს, და არა რომელიმე ბრუნვის ფორმას. ხმოვანფუძიანებთან ეს ფაქტი ადვილად დგინდება: გზა-მდე, კლდე-მდე, ორმო-მდე. რაც შეეხება თანმხმოვანფუძიანებს, იქ თანდებულსა და ფუძეს შორის დადასტურებული /ა/ ხმოვანი მიჩნეულია ვითარებითი ბრუნვის ალომორფად. სინამდვილეში ეს არის თანხმოვანთგამყარო აქცესიური კომპლექსისა, მისი სუბერაციის საშუალება, რომელიც წარმოიქმნება

თანდებულისეული /მ/-ს შეხვედრისას სახელის ფუძის ნებისმიერი თანხმოვანთან. ასე რომ, ანალიზის სინქრონიულ დონეზე -მდე თანდებულის წინ /ა/ ხმოვანი ფონეტიკური ჩანართია და არა 'ად' ბრუნვის ნიშნის ალომორფი.

თანდებულებს ორ ჯგუფად ყოფენ: პირველადი თანდებულები და მეორეული თანდებულები. პირველადებს განუკუთვნებენ იმ თანდებულებს, რომლებიც ერთმარცვლიანები არიან და რომლებიც უპაუზოდ ერთიან სათანადო სახელებს. მეორეულ თანდებულებად მიჩნეულია ის თანდებულები, რომლებიც მეტყველების ნაწილთა ჩამონათვალში ზმნი-ზედებადაა დასახელებული. ფუნქციონალური მიმართების თვალსაზრისით ამ ორი რიგის თანდებულებს შორის სხვაობა არაა — ორივენი წინადადებაში იმ სახელთან ერთად, რომელსაც დაერთვიან, ქმნიან წინადადების წევრს — რომელიმე სახის გარემოებას. იმის გამო, რომ ამ თანდებულებს აქვთ დამოუკიდებელი ტონური მახვილი, ისინი სამეტყველო ნაკადში პაუზით გამოიყოფიან და ამის გამო მათ ცალკემდგომ თანდებულებსაც უწოდებენ.

თანამედროვე ქართულ ენაში თანდებულებზე მსჯელობისას საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს როგორც სალიტერატურო ენის სხვადასხვა სინქრონიული დონეები, ასევე ენის დიალექტური ნაირსახეობები. წინააღმდეგ შემთხვევაში თანდებულთა როლი ენობრივ სისტემაში მათი ფუნქციონალური მიმართებების თვალსაზრისით ადეკვატურად ვერ იქნება აღწერილი და დაფასებული.

ქართული ენის სიღრმული სტრუქტურის ელემენტები, ე. ი. ის მნიშვნელობები, რომლებიც ზედაპირულ სტრუქტურაში თანდებულებით გადმოიცემა, ზოგადია, უნივერსალურია ქართული ენის ნაირსახეობათა მთლიანი სპექტრისათვის. ნაწილობრივი განსხვავებები დიალექტების მიხედვით გამოხატულების პლანის ელემენტებშია. სხვაობები სხვადასხვაგვარია: ზოგჯერ ფონეტიკურია, ზოგჯერ კი ლექსიკური, ე. ი. ერთ დიალექტში რომ გარკვეული სიღრმული მნიშვნელობა ერთი გარკვეული თანდებულით გადმოიცემა, სხვაგან იგი სხვა თანდებულით აღინიშნება. ზოგ დიალექტში არის თანდებულები, რომლებიც სხვაგან საერთოდ არ მოიპოვება. სიღრმული ადვერბიალური აღსანიშნები ქართული ენის მთელი დიალექტოლოგიური სპექტრისათვის ერთიანია, აღმნიშვნელები კი — ნაირ-ნაირი.

სადღეისოდ თანდებულები და თანდებულებით გადმოცემული მნიშვნელობები ყველაზე უკეთ სალიტერატურო ქართულშია შესწავლილი. ამიტომ უფრო მოსახერხებელი იქნება, რომ ქართული სალიტე-

რატურო ენის თანდებულთა აღწერა ერთგვარ ეტალონად გამოვიყენოთ და დიალექტური თავისებურებები მასთან მიმართებით გამოვავლინოთ.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ შ ი

თანდებულები	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
-ვით	სახელ. მიცემ.	მსგავსება	კაცი-ვით, ძალი+ვით მზე+ს(ა)-ვით, პეპელა-ს(ა)+ვით
-თან	მიცემ.	ლოკალური მიმართ. სიახლოვეს.	სახლ+0+თან, ამხანაგ+0+თან სკოლა+ს+თან, ძმა+ს+თან
-ზე	მიცემ.	ლოკალური მიმართ. ზედაპირზე, ზემოთ	მაგიდა+0+ზე; ქუჩა+0+ზე მა+ს+ზე
-ში	მიცემ.	ლოკალური მიმართ. შიგნით, სიღრმეში; დრო	ქუჩა+0+ში; ქალაქ+0+ში; ორმო+0+ში; მა+ს-ში წელიწად+0+ში. ერთ საათ+0+ში
-გან	ნათეს.	ლოკალური მიმართ. (გამოსვლითი) მასალა	მეგობრ+ის+გან, მის+გან; ხ+ის+გან; ქვ+ის+გან
-კენ	ნათეს.	ლოკალური: მიმართულებით	სახლ-ის-კენ; ჩემ+კენ
-დან	სახელ.	ლოკალური: გამოსვლითი დრო	სახლ+ი+დან; თბილის+ი+დან. ჩემ+ი+დან; შენ+ი+დან. გაზაფხულ+ი+დან; სამი საათ+ი+დან
-მდე	ფუძე	ლოკალური მიწვევნიობა დრო	თბილის+(ა)+მდე; სახლ+(ა)+მდე. ლდე+მდე; მზე+მდე; მთა+მდე. ზვალ+(ა)+მდე.
-შორის	მიცემ.	ლოკალური მდებარეობა დრო ობიექტთა მიმართება	ორ ქალაქ+ს შორის, ორსა და სამ+ს+შორის. ძმებს შორის, მეზობლებს შორის
-შუა	მიცემ.	ლოკალური მდებარეობა	ქალაქებს შუა; სახლებს შუა; ტოტებს შუა.
-მიერ	ნათეს.	სუბიექტური მიმართება	კაცის
-გამო	ნათეს.	მიზეზი	ავადმყოფობის გამო; დიდი სიციხის გამო.
-გარდა	ნათეს.	გამორიცხვა	ერთის გარდა, ჩემ გარდა

-მი- მართ	ნათეს.	დამოკიდებულება	ღედის მიმართ, ძმის მიმართ
-შესა- ხებ	ნათეს.	ობიექტური მიმართება	მასწავლებლის შესახებ; ჩემ შესახებ; მასწავლებლის შესახებ.

კ ა ხ უ რ ი

თანდებ- ბული	ბრუნ- ვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
-ვით	სახელ. მიცემ. ნათეს.	მსგავსება მსგავსება მსგავსება	კაც+ი+ვით; დიდ+ი+ვით; კაც+სა-ვით; დედა+სა+ვით; კაც+ისა-ვით; დათვ+ისა+ვით.
-თან	მიცემ.	სიახლოვეს ობიექტ. მიმართება	სახლ+(ს)+თან; გზა-ს-თან, ხე+ს+თან; იმა+დ+თან მე ცუდად არა ვარ
-ზე(დ)	ფუძე	ლოკატ. საზედაო ობიექტ. მიმართება	მთა+ზე; ტახტ+ზე მჯდარა გზა+ზედ შა ყრია იმა+ზე გელაპარაკებოდი. იმა+ზე შამატყობინა.
-ში	ფუძე	ლოკატიური შიგნი, სიღრმეში	ინახამენ სასიმიინდე+ში; იმა+ში, გამაიყვანა კარ+შიდა
-თვი(ნ) -ტვინ	ნათეს.	კუთვნილება ობიექტური მიმართება მიზეზი	კაც+ის+თვინ მიუცია. დედ+ის+თვინ უყიდნია. კაც+ის+თვინ უთქვია; იმ-ი-ტვინ გამეერთო. იმ+ი+თვინ გახდა ავათა.
-კე(ნ) -ყე(ნ)	ნათეს.	მიმართულება საიქეთო	სახლ+ის+კე წავიდა; ჩემ+ყე მია- ხედა; შენ+ყე მოდის.
-გან	ნათეს.	ობიექტური მიმართება მიზეზი	ძმ-ის+გან გამაიქცა. იმ+ის+გან წამოიდა. სიცხ-ის-გან დეემართა. ავან- ტყოფობთის +გან გახდა.
-მდე(ნ) -მდი(ნ)	ფუძე	ლოკატივი მიწვევით დროის ბოლო	იქა+მდე ვერ მივიდა; სახლა+ მდინ მისულიყო დილა+მდინა მჯდარიყო. შვიდ საათა+მდინ უცდია.
-დამ	სახელ.	გამოსვლითი დროის საწყისი	სახლ+ი+დამ, სოფლ+ი+დამ. იმ დღ+ი+დამ; ორშაბათ+ი+დამ. წინა წლ+ი+დამ მოყოლებული.

შუა	მიცემ. ფუძე	ლოკატივი ორ ობიექტს შორის	პლანებშუა მარავს. სახლსა და სახლს შუა.
გარდა	ნათეს.	გამორიცხვა	იმი გარდა არვინ მინახნია. რევაზა გარდა.

კახურ დიალექტში თანდებულები რაოდენობითაც და ფუნქციურადაც ახლოსაა სალიტერატურო ქართულთან. სხვაობა რამდენიმე თანდებულის ფონეტიკურ ფორმებშია: კახურში გვაქვს **-ყე(ნ), -თვინ, -დამ** ფორმები. ამას გარდა აქ არ გვაქვს წიგნური გზით დამკვიდრებული თანდებულები, როგორებიცაა შორის, მიერ, გამო, მიმართ, შესახებ. სიღრმული მნიშვნელობები, ამ თანდებულებით რომ გადმოიცემა, კახურშიაც არის, მაგრამ მათი ფუნქციები ნაკისრები აქვს სხვა, პირველად თანდებულებს, როგორებიცაა **-თან, -ზე, -გან**. კახურში ამ უკანასკნელთა სემანტიკური მოცულობა მეტია, ვიდრე სალიტერატურო ქართულში: „შორის“-ის მნიშვნელობას „შუა“ გადმოსცემს: **ჩვენსა და იმათ შუა** სხვაობა არარაი. „მიერ“-ის ფუნქციას „გან“-ი ითავსებს: **იმისგან** მოტანილი. ასევე „გან“-ს უტვირთავს „გამო“-ს ფუნქციაც: **იმისგან** ვიყავ შაწუხებული. თუმცა ამ ბოლოს კახურში გააქტიურდა **„გამოისობით“** თანდებული, რაც აშკარა ჰიპერუბანიზმის ფაქტად გამოიყურება. „მიმართ“-ის მნიშვნელობა „-თან“-ს აქვს შეთავსებული: **იმათთან** წყენა მე არა მაქ. „შესახებ“-ის ადგილი „-ზე“ თანდებულს დაუკავებია: **ბაღღზე** გეობნები.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

თანდებული	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
-ვით	სახელ. მიცემ. ნათეს.	მსგავსება მსგავსება მსგავსება	კაცივით; ზის ბუივით. მთასავით; დაბერდა ჩემსავით. იმისავით; კაცისავით; ვაშლისავით.
-ებ/-ევ	ნათეს.	მსგავსება	კაცისაებრ; იმისაევ ლამაზი ვინ არი.
-თვი(ნ)/-ტვი(ნ)	ნათეს.	ობიექტური მიმართება	იმას უდევნია მტრებისთვის; უთქვამს დედისთვის; ხამხაძეს ტყვევებისთვის უთქომ.
-ზე(დ)	მიცემ.	ადგილი-საზედაო	დაკერებული ჰქონია ბეჭებზედ. გადმოსულიყო მთაზედა; ვაკეზედა მდგარა.
-ში(დ)	ფუძე	ადგილობითი	აუყვანიათ ზედაზენში; წასულა წისქვილშიდა

-თან	მიცემ.	სიახლოვეს, ახლოს	მობრუნდა ტყვეებთანა;
-დან(ი)	ფუძე	მიმართება	ერწოდან შაუყვანიათ; ილიის ქვეშიდან ამიყვანა; რასიდან მოსულან; წავიდეს აქედანი, ქალაქიდან წამოსულა; დილიდან წვიმს.
-კე(ნ) -ყე(ნ)	ნათეს.	მიმართულება	გზისკენ გაიყურება; აქათყენა ; გადასულა კახეთისყე .
-გნით	ნათეს.	მიზეზი	შენგნით დამემართა; იმიზეგნით ; ეს თქვენგნით მოხდა.

ქართლური დიალექტი თანდებულების გამოყენების თვალსაზრისით ძლიერ ახლოა სალიტერატურო ქართულთან. აქ ნაჩვენები თავისებურებანი სისტემური არაა, სპორადულია და ძირითადად ახასიათებს დიალექტის გავრცელების ჩრდილო რეგიონებს, რომლებიც განიცდიან მთიულურის გავლენას. ისე, სალიტერატურო ქართულის ყველა თანდებული აქაც გამოიყენება იმავე ფორმით და დანიშნულებით. აქაც, კახურის მსგავსად არ იხმარება წიგნური გზით გავრცელებული თანდებულები: **-შორის, -მიერ, -გამო, -მიმართ, -შესახებ**. ამათ ფუნქციებს აქ შესაბამისად კისრულობს: **-შუა, -გან, -ზე** თანდებულები. ამისდაკვალად ამ უკანასკნელთა სემასიოლოგიური მოცულობა ქართლურში მეტია, ვიდრე სალიტერატურო ენაში.

თ უ შ უ რ ი

თანდებულო	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
ვით	მიც.	მსგავსება	ცხენსავით, ძალსავით, ჩემსავით, კაცსავით.
თან	მიც.	ახლოს, სიახლოვეს	სახლსთან, გზასთან, ჩემთან, ხესთან.
ზე	მიც.	ლოკ. საზედაო	მთაზე, გზაზე, ყორზე.
ში(გ)	მიც.	შიგნით, სიღრმეში	სოფელში, წყალში, ზეში.
ჩი(გ)	მიც.	სიმრავლის შიგნით, მრავალში	მთა-გზაჩი, ხალხჩი ვერ გამოვ, კაცჩი არ ერევ.
ად/დ	ნათეს.	დანიშნულება, მიკუთვნებულობა	კაცისად/კაციზდ; თოფისად/თოფიზდ. ცხვრისად/ცხვრიზდ.
გნივ	ნათეს.	მიზეზი	ცხენისგნივ, თოფისგნივ.
გული-სად	ნათეს.	მიზეზი	შენის გულისად; ქონების გულისათ.

გარდა	ნათეს.	გამორიცხვა	ჩემ გარდა, იმის გარდა, რევაზის გარდა.
კ/კის/კისაკ	ნათეს.	მიმართულებით	შინისკ, ჩემკის, შენკის, შენკისაკ.
ებურ(ად)	ფუძე	მსგავსად	ცხენებურად, ჩვენებურად.
კუპრ	მიცემ.	უარესად	ჩემსკუპრ, შენსკუპრ.
ზე	ფუძე	შესახებ	ცხენზე ამბობს, ჩემზე ამბობა?
ზეითა	ფუძე	სიმალიდან, რაღაც მალიდან	მთაზეიდა გადმოჩინდ, ცხენზეითა ჩამოვდ.
შიითა	ფუძე	შიგნიდან, სიღრმიდან	სოფელშიითა გამოიდ, ორმოშიითა ამოვდ.
ით	ფუძე	გამოსვლითი	მთაზეით, თოვლო, გადახვედ, ჩემ გულით, დარდო, — რად ვერა.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

თანდებული	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
გნივ	ნათეს.	მიზეზი	მტრისგნივ დაჩაგრულ, ჩემგნივ რა გაკლავ.
კან	ფუძე	ადგილას, ადგილზე	ერთკან დაბინავდეს; ბევრკან არიან; შვიდკან შეკრულია.
კე(დ)	ნათეს.	მიმართულება	საისკე მიმავალია. ხან ერთკე ესწრების, ხან — სხვაკედ.
კ	ნათ.	მიმართულებით	ხევსურეთისაკ წამოვა; ჩვენკ გამაიქცევა.
ი(თ)	მიც. მრ.	გამოსვლითი	საწოლთით გადმადვარდი; ჭალათით გამაქცეული.
ში(გ)	მიც.	შიგნით, სიღრმეში	მყოლთაში, მგზავრთაში, წყალში
ჩი(გ)	მიც.	შიგნით მრავალში	ბევრჯელ ჩამსვეს ქალჩიაო.
ვით	მიც.	მსგავსად	ნალსავით; ჯივვის რქათავით.
ზე(დ) ¹	მიც.	ლოკატ. რაიმეზე	უღელზე გასჭრის. მივლენ ბანზედ. წავალის ყანაზე.
ზე(დ)	მიც.	მიზეზი	რაზედ მახვალ. იმაზედ გაჯავრდა.
თან	მიც.	სიახლოვეს, ახლოს	ქალაქსთან, ქისტებსთან, ძმებსთან.
ზეით	მიც.	რაიმეზე მყოფი, ნაქონი	წელზეით ვმალსა ნუ შამქსნი, ბოსლის კარზეით.
(ა)დ	ნათეს.	კუთვნილება	ამ დღისად; ნარჩევის იარაღისად; ჩვენდ ამბობს.

ფ შ ა უ რ ი

თანდებულო	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
თვი(ნ)	ნათეს.	ობიექტური მიმართება	ჩემ დედისთვისაც ეცემა, ჩემ მამისთვისაც; ღმერთი იმისთვის არი; ჩემ შვილისთვის ეკითხა.
ღ/და	ნათეს.	მიზნის ან ობიექტური მიმართება	რასად მიზნით; შუაფხოვლებისად ეთქვა; დეეძახა იმისად.
მდინ/მდე	ვითარ. ფუძე	ღროითი ან სივრცითი (მიწვევნილობა) მიმართება	სოფლამდინ; დღემდინ; სინამდინ; იქამდენა.
ზე/ზედა	ფუძე	სივრცითი მიმართება, საზედაო	ბორბალოზედა ვყოფილვარ; ამ მთაზედაც, იმ მთაზედაც; გაღმითაზე ჩამაივლის.
ზეა	ფუძე	მიზნის მიმართება	დედა წყალზეა ყოფილიყო.
თობ	ფუძე	მიზნის მიმართება	თივობ წავედით. შეშობ დადიან.
ით	ფუძე	სივრცითი მიმართება — გამოსვლითი	ცხვირით ძმარი ადინა; ზენით მეორე მოჩანს. გაღმათ გამოვიდა.
ზეით	ფუძე	სივრცითი მიმართება. სააქეთო	ბანზეით, ცხენზეით; არავგის მჯარზეით.
შიით	ფუძე	სივრცითი სიღრმიდან — აქეთ	ფშავშიით; ყანაშიით; სახლშიით; საყდარშიით.
ში	მიც.	ადგილობითი—შიგნით	კლასში, ზვავში, ძროხებში.
ჩი	ფუძე	მრავალში — შიგნით	ველჩი, გამოალ კარჩია, კალთაჩი მიჯდება.
კ	ნათეს.	მიმართულებით—იქით	გაღმითაისაკ, ჩვენკ გამაიქცევა.
კა	ნათეს.	მიმართულებით—იქით	უკვენაფშავისაკა, შინისაკა, ჳესურეთისაკა, ისრკა.
კე	ნათეს.	მიმართულებით—იქით	შინისაკე...

მ ო ხ ე უ რ ი

თანდებულო	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
ჩი(გა)	ფუძე	სივრცითი — შიგნით, სიღრმეში	სოფელჩი, გზაჩი, შკამჩი ზის. საბარათიშვილოჩიგა.
ჩი	ფუძე	მიზნითი მიმართება ღროითი მიმართება	თუ ამაჩი გაგსარჯო. წელიწადჩი სამი კოლი

ვი	ფუძე	მსგავსებითი მიმართება, ვითარებითი	სპილოვი გაუტეხარო.
თვი	ნათეს.	მიზეზის მიმართება	რაისთვი არ მეტყვი.
თვინა	ნათეს.	ობიექტური მიმართება	გლენისთვინ, ლხინისთვინ.
კე(ნ)	ნათეს.	სივრცითი, საიქეთო	ქალაქისკე; შინათკე მე შენკენ ვარ, შენ — ეშმაკე-ბისკენ.
გა(ნ)	ნათეს.	სასუბიექტო მიმართება	საჩუქრად მიელო ნეფისაგა; მეზობლისაგანაც.
მდი(სინ)/მდინ	ფუძე	დროითი მიმართება	მილამდისინ; ბოლომდისინ; სანამდისინ; დღესამდინ.
დამ	ფუძე	სივრცითი — სააქეთო	საილამ მაგყავთ? ხალოდამ.
გნით	ნათეს.	მიზეზობითი მიმართება	თოფიზგნით; ლეკებიზგნით.
ზედით	მიც.	სივრცითი, მაღლიდან აქეთ	გულზედით ჩამამდინარმა; იმ ქედზედითა; ლოგინზეით.
ჩივათ	ფუძე	სივრცითი — სიღრმიდან აქეთ	ცხორჩივათ; ჯარჩივათ; სახლჩივათ.

მ თ ი უ ლ უ რ ი

თანდებული	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
-ში	ფუძე	1. ადგილობითი 2. დროითი, რიგითი	მთაში, გზაში, თავში დარჩება; ბირველში; ფარგალში.
-ჩი	ფუძე	ბევრთა შორის	კაცჩი; ქალჩი; ხალხჩი.
-ზე	ფუძე	1. ადგილობითი — ზედ რაიმეზე 2. რისთვისმე, რისამე ფასად	იმით თავზე ; ერთ მეშოკზე ; ოთხფუთიან მეშოკზე.
-მდე/-მდინ	ფუძე	ადგილობითი	ამოშენდება თავამდე ; იცის, ფქვილი სადამდინაც უნდა მივიღეს; მივალთ ქუსლამდე.
-დან/დამ	ფუძე	1. მიმართულება აქეთ; 2. დროიდან	ერთი მკრიდან ჩაულობენ; მეორე მკრიდან ჩაუდგმენ; გზიდან დაბრუნდა; იქილამ; ქალაქილამ; მაისილამ.
-თვი(ნ)	ნათეს.	კუთვნილება	უჩუქემია შვილისთვინ; განა შენთვინ არ მინდაო?
-თან	მიცემ.	ადგილობითი	ძროხებთან არი წასული;

			ქმასთან ყოფილიყო.
-კე(ნ)	ნათეს.	მიმართულებითი	წასულან კახეთისაკე; მოდის საქართველოსკე.
-კან/-ყან	ფუძე	ადგილას	ერთკან, ორკან; სუყვეყან.

მთიულურს ერთგვარი შუალედური ადგილი უკავია მთისა და ბარის დიალექტებს შორის. ეს ფაქტი თანდებულებშიც დასტურდება. ქართულთან მას აახლოვებს თანდებულთა ფონეტიკური ფორმები: **-კე, -კენ, -ყე. -ჩი** თანდებულის ქონით კი იგი მთის ე. წ. ფხოურ (თუშურ, ფშაურ, ხევსურულ, მოხეურ) კილოებს უახლოვდება.

ი ნ გ ი ლ ო უ რ ი

თანდებულებული	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
-ვით/-ვი	მიცემ., სახელ.	მსგავსად	თავზეაც ოქროსავით თმებ აქ; იმი სახლსავი სახლ ააშენა; ი დედაკაც კაცსავი მაგარ იყო; ქალივი; კაცივი
-მდინ	ფუძე	დროის ბოლო	ჰა დრომდინ ინახავა?
-გნი/-გნ	ნათეს.	მიზეზი	ზმნიზგნის ზმაიზგნი; ჩაიზგნი; ბიზიშუკლჷზგნ.
-თანი	ნათეს.	სიახლოვიდან აქეთ	ქუასთან; ქედრიზთან.
-შიი-თი(თ)	ფუძე	შიგნიდან გარეთ	კარშიითით; ჩოშკაშიითი.
-ზეითი	ფუძე	ზემოდან ქვემოთ	მანალებზეითი.
-ბე	ნათეს.	დანიშნულება	ჩემბე მაცემ ხარ; მამა ბეც წაიღ; დედა, ეს რა ბეა? მავან ფაჰჩა ბე ბავშვ არ კეჭტებ.
-ში/შ	ფუძე	შიგნით	ბულბულ არის მახეში ; ვაშკაცები არი ზილში ; შენ თავ თორნეშ ჩაადებელი; ქობ დებ თორნეშ.*
-ზე	ფუძე	მაღალზე, სიბრტყეზე, დროის მერე	დგახარ წორ გზაზე ; შუდ წლის თავზე ; ჩო ფიშოლზე ვამბივთ.
-ზედა-ით/ /-ზედა	ნათეს.	ზემოდან, ზედიდან	ბალან ჭრის ზედა თი; ჩემ ზედა ბალან მოშუქერ ამი ზედა თაც ბალან შუჭრის.
-ში-გა თი	ნათეს.	გამოსვლა შიგნიდან	ამ თოლი შიგა თი გამოდის ერ წითელ ცხენ.
-გნით	ნათეს.	მიზეზი	კაციზგნით; ჰუსეინიზგნით

-ყენ	მოქმ.	მიმართულება	იქიტყენ წაჟლა მინდ; აქიტყენ; იქითყენი.
-თან	მიცემ.	სიახლოვეს	გზავნიან ამ ემესთან, დევრუშ-თან; ქუასთან, ხესთან.

ინგილოურში სულ ორიოდე თანდებულია, რომლებიც მასალობრივად და მნიშვნელობითაც სალიტერატურო ქართულის იდენტურია. ესენია **-ვით, -თან, -ში** და **-ზე** თანდებულები. ამათგან **-ში** სპორადულად /ი/ ხმოვანსაც იკვეცს და მხოლოდ **-შ**-თია წარმოდგეილი. საერთოდ თანდებულთა გამარტივება აქ ხშირია: **-ვით** → **-ვი**; **-გნი** → **-გნ**; **-ზედაით** → **ზედა**. რთული თანდებულებით ინგილოური ქართულის არქაულ მთის დიალექტებთან — თუშურ, ფშაურ, ხევსურულ, მთიულურ, მოხეურთან ჰპოვებს საერთოს. როგორც ჩანს, ადვერბიალურ მიმართებათა რთული თანდებულებით ასახვა ქართულ დიალექტებში არქაიზმია — ხანგრძლივი ენობრივი იზოლაციის გამო ინგილოურსაც ბევრი არქაიზმი შემოუნახავს. აქ მოიპოვება ერთადერთი თანდებული **-ბე**, რომელიც ქართულის **-თვის** თანდებულით გადმოცემულ მნიშვნელობას შეესაბამება. სახელსაც იგი ნათესაობით ბრუნვაში მართავს. იგი ხუნძური ენიდან შემოსულადაა მიჩნეული. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს: ინგილოური აქ ჩამოსახლებული ლეკების გარემოცვაში იყო მოქცეული. აზერბაიჯანულმა გავლენამ აქ მხოლოდ მე-20 საუკუნეში იმძლავრა.

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი

თანდებული	ბრუნვა	მნიშვნელობა	ილუსტრაცია
-თან	მიც.	ლოკატივი: სიახლოვეს	სოფელთან რო მოახლოვდებიან; მოვიდოდნენ ჩონთან ; წავა ქალის მამასთან ; წასულიყნეს თავით დიდებთან იმ ხალღებთან აგმალღლი.
-ზე/ზეგ	ფუძე	1. ლოკატივი: ზედაპირზე, სი- მაღლეზე 2. მიმართება	1. ავიდა სერზე ; დაჰყრიან ქურსზე ; ავიდა თას კინწინზე ; აველ ჩონ მანძილზე ; 2. დადგება თავის ქებაზე ; მიაგდებს ბიძაშვილებზე ; ცემაზეგ არიო.
-ში	ფუძე	ლოკატივი შიგნით, სიღრმეში	ნამა მისლა-მოსლა ერმანერთში წადით ჰასანაბაღში .

-ჩი ჩიგა	ფუძე	ლოკატივი შიგნით, სიღრმეში	წაიშინეს თავჩი ; უნდა ექებჩი ; ეძინოს, ფარსინაყე მოელ თიფ- ლისჩიგა ; წავედით ისფაან ქალაქჩი ; მი- გზავნეთ სოფელჩიგაო .
-თი	მიცემ. მიცემ. ნათეს.	1. მიზანი (თანდ. - თვის) 2. მიმართულებით (თანდ. -კენ) 3. მიზეზით (თანდ. -გამო)	1. არ მოვიდა დაწერვასათი ; ჩონთი არა არის რა; მომზადებუ- ლი იყნევით ლამესათი . 2. ნავბირალმათა სერასათი ; წამო- ვლენ სოფლსათი ; მოდიოდა სა- ნგარებსათი . 3. აღონებდესყე ბრინჯისათი , ყანდისათი ; სირცხილია ჩონთი .
-ყენ/-ყე	მიცემ. მოქმ. მიცემ.	1. ადგილობითი — გამოსვლითი (თანდ. -გან, -დან) 2. მიმართულება 3. სადაურობა (თანდ. -დან)	1. ამ თასაყენაც გადვიხედავ; წაიღეს ემ სამ სოფელსაყე ათას თუმანი; კაცი მოგუვიდა სიბაქსა- ყე ; ქართელობასაყე ველს არ ავიღებთ; 2. ჩავიდა ქომოთყე ; საითყე არი- ან? 3. ვიყნევით ზომომარტყოფსაყე და ქომომარტყოფსაყე თრამეტი ცხენიანი. შემევეყარენით ფერეი- დანსაყე სამოცი ცხენიანი.
-მღი	ფუძე	ღროში მიწევნა	ხუთ ღღემღი; ნავრუზობამღი ცავლი ზაფხულია; დილობამღი ;
-ით	ფუძე	ადგილობითი მხარეს (თანდ. -კენ)	ანქითაც მათქუჩებს (მანდეთც მო- ათქუჩებს).
-გან	ფუძე	წილობითი	გავყავით რვაგან .

ფერეიდნულშიც, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში თანდებულები სახელის მხლებლებია და აქაც ადვერბიალური ფუნქცია აქვთ. სალიტერატურო ქართულთან მასალობრივი და მნიშვნელობითი მსგავსება მხოლოდ რამდენიმეს შემორჩენია. ესენია: **-თან**, **-ზე**, **-ში**, **-მღი**, **-ით**. ერთი თანდებული, კერძოდ, **-ჩი** ფონეტიკურადაც და მნიშვნელობითაც ემთხვევა საქართველოს მთის დიალექტებს. ცხადია, აქაც იგი **-ში**-ს ფონეტიკური ვარიანტია. **-ყე/-ყენ** თანდებული მასალობრივად ემთხვევა კახურის, კერძოდ, ქიზიყურის იმავე თანდებულს, ოღონდ აქ იგი მნიშვნელობით განსხვავებულია და შინაარსობრივი დატვირ-

თვაც მეტი აქვს — იგი პოლისემიურია. ახლა ძნელია იმის დადგენა, აქ იგი არქაიზმია თუ ინოვაცია. რაც შეეხება კიდევ ერთ პროდუქტიულ თანდებულ „-თი“-ს, იგი ქართულ დიალექტებში ანალოგს ვერ ვპოვებთ ვერც მასალობრივად და ვერც მნიშვნელობით. როგორც ჩანს, ის საკუთრივ ფერეიდნულისაა.

შეიძლება დავასკვნათ:

1. უკვე ვთქვით, რომ ქართული ენის სიღრმული სტრუქტურის ის ნაწილი, რომელსაც ზედაპირულ სტრუქტურაში თანდებულიანი სიტყვაფორმები და შესიტყვებები შეესაბამება, უნივერსალურია, ზოგადია, ენის როგორც ვერტიკალურ (ქრონოლოგიურ), ისე სივრცით (დიალექტოლოგიურ) განფენილობაში. სხვაობას, ამ მხრივ, როგორც ენის ქრონოლოგიურ სიბტრყეებს, ისე დიალექტებს შორის, თანდებულების გარეგნული და შინაარსობლივი მხარეები ქმნის.

2. თანდებულების დიალექტურ თავისებურებათა გათვალისწინებით ქართული ენის დიალექტოლოგიურ სივრცეში შეიძლება სამი ზონა გამოიყოს: აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისა და დასავლურ დიალექტური არეალი.

2.1. აღმოსავლურ ქართული ბარის დიალექტების ზოგადი დამახასიათებელი ნიშანი მათი სალიტერატურო ქართულთან სიახლოვეა. აქ თითოეულ დიალექტში თანდებულთა ვარიანტულ თავისებურებებს მათი ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული სხვაობები ქმნის. ამ დიალექტებისათვის უცხოა რთული თანდებულები. ამ ხასიათის სიღრმისეულ მნიშვნელობებს, რომლებსაც მთის დიალექტებში ე. წ. „სადაობით-გამოსვლითები“ შეესაბამება, ბარის დიალექტებში ერთი მარტივი „-დან“ თანდებული გადმოსცემს.

2.2. მთის დიალექტების თანდებულების კოლორიტული ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, რთული „-ზეით“ და „-შიით“ თანდებულებია. ამავე დიალექტებში გვაქვს „-ით“ თანდებული, რაც მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთან ერთად ომონიმური მორფემის წყვილის ცალად შეიძლება განვიხილოთ. მთის დიალექტებისავე ზოგადი დამახასიათებელი ნიშანია „-ჩი“ თანდებულის ქონა, რომელიც ზოგ მათგანში (ხევსურული, მოხეური) ერთადერთი დიალექტური ვარიანტია, ზოგში კი (თუშური, ფშაური, მთიულური) დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია თანდებულის „-ში“ ვარიანტთან. ოღონდ აქ დამატებითობას ქმნის არა ფონოლოგიური კომბინატორიკა, არამედ მათი ხმარების

შინაარსობლივი ველები: „ში“-ს მიერ მართული სახელი, რასაც ის მიერთვის მხოლოდითი შინაარსისაა, „-ჩი“ რომ მიერთვის, იმ სახელს კი მრავლობითის შინაარსი აქვს.

2.3. დასავლურქართული დიალექტური არეალისათვის შეიძლება გამოვყოთ სამი კოლორიტული ნიშანი:

1. „-ში“ თანდებულის ფონეტიკური პოზიციით შეპირობებული „-ჩი“ ვარინატი. ეს უკანასკნელი სონორი თანხმოვნებით ფუძედაბოლოებულ სახელებთან ვლინდება; **2.** „-ზე“, „-შესახებ“ თანდებულებს აქ „-და“ თანდებული შეესაბამება; **3.** სალიტერატურო ქართულის „თვის“ თანდებულს კი აქ თანდებულის „-იზა“ ფორმა ცვლის. ერთადერთი მთარაჭულის თქმებში ვლინდება მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ორმაგი თანდებულები შესაბამისი შინაარსებით.

3. განსაკუთრებულ უბანს წარმოადგენს ქართული ენის საზღვარგარეთული დიალექტები. მათი თანდებულების თავისებურებებს შეაპირობებს ორი ერთნაირი ფაქტორი: არქაულობა და სხვადასხვა უცხოენოვან გარემოში ხანგრძლივი ცხოვრება. სხვა მხრივ ამათ შორის რაიმე ზიარი კოლორიტული ნიშნების მონახვა ჭირს.

1.8. თანდებულები, თანდებულიან სახელთა ბრუნება (დასავლური დიალექტები)

თანდებულთა სისტემა დიალექტებში იდენტურია სალიტერატურო ენისა, თუმცა არსებობს რიგი ფონეტიკური და ფუნქციური ცვლილებები.

-ვით თანდებული გამოხატავს **მსგავსებას**. როგორც სალიტერატურო ქართულში, იგი გვხვდება სახელობითის და მიცემითის ფორმებთან. სახელობით ბრუნვაში იგი ჩვეულებრივ არ განსხვავდება სალიტერატურო ენის ფორმისაგან: **იმერული** — *კაცივით, ქლაქივით... ლეჩხუმური: ფორთელივით, შაქარივით... რაჭულში -ვით* შესაძლოა პირდაპირ ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითის ფუძეს დაერთოს: *გუნდავით, ზევით, მზევით...*

რაც შეეხება მიცემით ბრუნვას, აქ თანდებული ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: თანდებულისეული ხმოვანი ასიმილაციით იცვლება და ვიღებთ **-ვეთ** დაბოლოებას, **იმერული: რკინასავეთ, მზესავეთ... აჭარული — დასავეთ...**

იმერულში თანდებულისეული ხმოვანი მიცემით ბრუნვაშიც იცვლება და ვიღებთ **ის-ა-ვეთ** დაბოლოებას: *თოფისავეთ, ძაღლისავეთ...*

სახელობით და მიცემით ბრუნვებთან ერთად იგი შეიძლება შეგვხვდეს ნათესობითი ბრუნვის ფორმასთან **მესხურში, იმერულსა და ლეჩხუმურ** დიალექტებში. **მესხური** — *დღისავით, ვზისავით...* **ლეჩხუმური** — *ფორთოლისავით, შაქარისავით...* ხმოვანფუძიანი სახელების **-ვით** თანდებულიანი ფორმა ზოგჯერ შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის გარეშეც. **მესხური** — *მამივით, დანივით.*

მესხურ დიალექტში დასტურდება თანდებულის არასრული გამოყენება: *ჯორით* (დაკარგულია -ვ ბგერა), *დევივი* (დაკარგულია თანდებულისეული -თ თანხმოვანი). ამავე დიალექტში ამგვარი ფორმაც დასტურდება: *მამლივით*. რადგან ფორმა შეკუმშულია, მასში ნათესაობითი ნიშნის თანხმოვანი უნდა იყოს დაკარგული.

აჭარულ დიალექტში დასტურდება ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები: **-ვენ // -ვინ:** *ძმასვენ, შენსვენ, ჭირივინ...*

მსგავსებას **-ვით** თანდებულის გარდა გამოხატავს **-ებრ** თანდებული. იგი ძირითადად **ებ/ევ** ფორმით გვევლინება: **რაჭული** — *თქვენსა-*

ეფ, კაცურებ // კაცურეფ, დევურებ // დევურეფ... **იმერული** (ზ. იმ.) — კლდესაეფ, ჩემსაეფ... აჭარული — კონტამინაციური **ვეფ (ვითჟეფ)**: დელსავეფ, ხარსავეფ, ჩემსავეფ... იმერულ დიალექტში გვხვდება ფორმა, რომელიც ნათესაობითისა და **-ებრ** თანდებულის ფონეტიკურად სახეცვლილ დაბოლოებას წარმოადგენს: *კაცისაეფ*.

-თან თანდებული გამოხატავს **ლოკალურ მიმართებას, სიანლოვეს**. დასავლურ დიალექტებში ამ თანდებულის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი გვხვდება: **-ს-თან**, როცა თანხმოვანფუძიან სახელებთან შენარჩუნებულია მიცემითის ნიშანი: **მესხური** — *პატრონსთან, სოფელსთან...* **-თან**, როცა ხმოვანფუძიან სახელებთან იკარგება ბრუნვისნიშნისეული **-ს**: **რაჭული** — *მამათან, იმერხეული* — *გოგოთან...* და **-სან**, როცა დაკარგულია თანდებულისეული **-თ** თანხმოვანი: **რაჭული** — *მამასან, ხესან, მეფესან*; **იმერული** — *ხესან, სადგურსან*; ამ უკანასკნელში ხმოვანფუძიანების ანალოგიით დაკარგულია **-თ** და შენარჩუნებულია ბრუნვისნიშნისეული **-ს**; **გურული** — *ბიცოლასან, კაცსან*; **აჭარული** — *ხესან, ქვასან, ბახჩასან*; **იმერხეული** — *ქოროლოსან, გოგოსან...* მესხურში დასტურდება **-ნ** თანხმოვანდაკარგული ფორმებიც: *კაცთა, შენთაო...*

-თანა თანდებული ნათესაობითის ბრუნვის ფორმაზე დართული გამოხატავს **მსგავსებას, ერთგვარობას**. **გურულსა** და **იმერულში** იგი ფონეტიკურად სახეცვლილი გვხვდება: *ამისანა, ამითანა, ბიცოლისანა, კაცისანა...* **გურულში** — *ამისათანა, მაგითანა, ამისანა, მაგისანა, იმისანა...*

-ზე თანდებული დაერთვის მიცემითს და გამოხატავს **ლოკალურ მიმართებას, ზედაპირზე, ზემოთ**. იგი რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით გვხვდება: **ზედა / ზედ**: **მესხური** — *ურემზედა...* **რაჭული** — *ნაწვევზედ, იმაზედ, მხარზედ... ზურგზედა, ადგილზედა, შეშაზედა...* **იმერული** — *გაზაფხულზედა, მიწაზედ... მიწაზედ...* **-ზე // -ძე // -სე**: **ლეჩხუმური** — *სოფელზე, სოფელძე, გვერძე... კაცსე, თოფსე, დათვსე...* **-ზენ**: **იმერული** — *კტეზენ, ეზოზენ...*

-ზე თანდებული შეიძლება დაერთოს ზმნიზედურ ფორმას: **მესხური** — *ცუდაზე (ცუდად), ძალაზე (ძალად), ტყულაზე (ტყულიად)...* **აჭარული** — *აქზე>აგ ზე, იქზე>იგ ზე, მაქზე>მაგ ზე...* **იმერხეული** — *გალმაზე...*

-ზე თანდებულისანი ფორმა დიალექტებში სხვა მნიშვნელობითაც დასტურდება: გამოხატავს **დროითი მონაკვეთის მნიშვნელობას**: **რაჭული** — *სიმთვრალეზე ამბობდა...* **იმერული** — *წინაზე, ნადირობაზე...* **ლეჩხუმური** — *ომიანობაზე...* ასევე მიუთითებს **მიმართულებას**: **რაჭული**

— ცოლოტობაზე, სახლობაზე... და ადგილს: **ლენხუმური** — ჭიშკარზე, კარებზე...

შესაძლოა **-ზე** თანდებულს საზედაო ფუნქციით გამოყენებისას დაერთოს **-ით** დაბოლოებაც: **რაჭული** — ჯორზეით, ბანზეით...

-ში თანდებულიც გამოხატავს **ლოკალურ მიმართებას**, კერძოდ კი, **შიგნით, სიღრმეში**. **-ში** თანდებულიანი ფორმები ასევე გამოიყენება **დროის** აღსანიშნავად. დიალექტებში იგი რამდენიმე ფონეტიკური სახესხვაობით გვხვდება: **-შიდა/შიდ: მესხური** — მუცელშიდა... **რაჭული** — ოჯახშიდ, ოთახშიდ, ბოსელშიდ... სოფელშიდა... ერთ კვირეშიდა... **იმერული** — სახშიდაო, წყალშიდაო, ვენახშიდა, ვენახშიდ... **-ჩი** (სონანტების მომდევნოდ): **მესხური** — ტყეჩი, კედელჩი, თმოგჩი... **რაჭული** — სოფელჩი, ხელჩი, იმაჩი... **იმერული** — სოფელჩი, ამაჩი, იმაჩი... **ლენხუმური** — სოფელჩი, მისდღემჩი, გვერჩი, იმაჩი... **გურულში** იგი შეიძლება დაერთოს ზმნიზედას: აქში, იქში, მაქში... **რაჭულში** კი გვხვდება **-ით** დაბოლოებით განვრცობილი: ონშიით, ბუხარშიით...

-თვის თანდებული გამიხატავს **დანიშნულებას**. დიალექტებში იგი შეიძლება შეგვხვდეს **-თვის** ფორმით: **რაჭული** — შვილისთვის, სახლისთვის, თავისთვის... ბაღებისათვის, ბატონებისათვის... // ბაღებისთვის, ბატონისთვის, ხარებითვის, ხათრი გულობითვის... **იმერული** — კაცისთვის, სიტყვისთვის, მისთვის... **ლენხუმური** — ქალისთვის, იმითვის... **-თვის** // **-თვისაჲ: აჭარული** — ძმისთვის // ძმისთვისაჲ, ჩემთვის // ჩემთვისაჲ; ჩემდათვისაჲ, შენდათვისაჲ, მიზდათვისაჲ, მათდათვისაჲ... **იმერხეული** — ქოროღლისთვის, კაცისთვის, ბეგისთვის, ცხენისთვის, მისთვის, წაყვანისთვის... ამავე დანიშნულების ფუნქციით დასავლურ დიალექტებში გავრცელებულია **-ის-და > იზ-და-იზა დაბოლოება: რაჭული** — მისდა // მიზდა, რაისდა // რაიზდა, თავიზდა, ბერიზდა, ამბიზდა... **იმერული** — ძმიზან, კაციზან, იმიზან... საქონლიზა... ხალხიზა // ხალხისთვის... (ქ. ძოწ.). **ლენხუმური** — ძმიზდა, მაგიზდა, რაიზდა... მადლიზა, მომავლიზა, სიმიდლიზა, გულიზა... ჩემზდა, შენზდა, მიზდა, იმიზდა... **გურული** — კაციზა, ქალიზა, სახლიზა, გულიზა... მიზდა, სხვისდა... **აჭარული** — ბუძიეიზდა... ამავე ფუნქციით გამოიყენება **-გულობაჲ, -ბარობაჲ** ნაწილაკები **აჭარულში** — ჩემბარობაჲ, ჩემგულობაჲ...

-კენ თანდებული გამოხატავს მიმართულებას. დიალექტებში იგი არ იცვლის მნიშვნელობას და მიმართულების გამოსახატავად გამოიყენება. დასავლურ დიალექტებში გვხვდება ამგვარად: **-კე: რაჭულში, იმერულში, ლენხუმურში, გურულსა და იმერხეულში** — სვანებისკე,

ფეხებიკე... ლეჩხუმისკე, სასახლესკე, ღობესკე, მდინარესკე... საითკე... იმერულის სამტრედიულსა და ხონურში იგი შეიძლება **-კენ // -ყენ // -წყენ** სახით გამოვლინდეს: *სახლისკენ > სახლისყენ > სახლიწყენ...*

-გან თანდებული დაერთვის ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებს. ნათესაობითში იგი გამოხატავს **გამოსვლითობას სულიერ** სახელებთან (**ვისგან?**) და **მასალას (რისგან?)**, ხოლო მოქმედებითში კი — **ლოკალურ გამოსვლითობას (საიდან?)** და **დროს (რა დროიდან?)**. დასავლურ დიალექტებში ეს პრინციპი დარღვეულია და, ფაქტობრივად, მოქმედებითის ფორმა (*ით-გან) გამოხატავს ყველა მნიშვნელობას. გარდა ამისა, ასიმილაციისა და ბგერის დაკარგვის პროცესი ბოლომდე არაა მისული. ამდენად, დიალექტებში ამ მხრივ სალიტერატურო ქართულისაგან ფუნქციურად და ფორმობრივად განსხვავებული ფორმები დასტურდება. **-ით-გან // -იდ-გან // -იდან:** **რაჭული** — *მთიდგან, მალლიდგან, შიგნიდგან, იქიდგან... ჩვენიდგან, დღეიდგან... სოფლიდან // სოფლიდგანი... -გან-ით > -გნ-ით > -გნ-ი:* *ცალგნი, მეორეგნი... უფროსებიდგან... -ით-გან // -იდ-გან // -იდან // -იდგინ:* **იმერული** — *მალლიდგან, მალლიდან, ხვალდგან... სახლიდგინ, წყაროდგინ, წყაროდინ... მალლიდანა — (ზ.იბ.); ლეჩხუმური — *ბაბუეიდგან, ძველიდგან, მარტიდგან... შენდგან, აქიდგენ, რაჭიდგან, ჩვენდგინ, მაგენითგინ... სახლიდან, სოფლიდან... გურული — *ღვაბზუითგან, ღვაბზუიდგან... აჭარულში გამოსვლითობის ფუნქციით დასტურდება კედრიდან // კედაროდან* ფორმები.**

-მდე თანდებული გამოხატავს ლოკალურ მიმართებას, კერძოდ, მიწვევითობასა და დროს. დასავლურ დიალექტებში ეს თანდებული დასტურდება **-მდე // -მდი // -ნდი // -მდინ // -ნდინ // -მდისინ // -ნდისინ** ფონეტიკური ვარიანტებით. **რაჭული** — *სახლამდინ, საღამომდინ, დაწყებამდინ, აქანამდინ, მაისამდინ... მაისამდის, აქანამდის... სახლამდი, დილამდი... კოჭებამდი... იმერული — *სოფლამდი, სოფლამდინ, გაზაფხულამდი, გაზაფხულამდინ, რამდინ (=სანამდე)...* **ქვემოიმერულში** თანდებულის წინა ხმოვანი ორმაგდება, რაც კომპენსაციის წესის მოქმედებითაა ახსნილი: *დილამამდი, ლელემდი, საღამომამდი...* (ნ. შარაშენიძე)*

რაც შეეხება ცალკე მდგომ თანდებულებს, ისინი დიალექტებში იშვიათად დასტურდება. მათ ნაცლად გამოიყენება სხვადასხვა ფორმა, რომელიც ფუნქციურად და სემანტიკურად ენაცვლება ამა თუ იმ თანდებულს: **გარდა — მეტი: აჭარული** — *შენგანმეტი, შენ მეტი...* **გარდა — გამოღმა, გარშემო — მოყოლაი: აჭარული** — *მაგ მოყოლაი, ჩემ მოყოლაი...* **შემდეგ — ოღმა/ულმა:** *მას ოღმა ავერ ხუთი წელიწადია...* **შემდეგ -იქით: იმერხული** — *ერთ თვეს იქით.*

1.8.1. თანდებული დასავლურ დიალექტებში

თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
-ვით	დაერთვის ნათესაობითის ფორმას: -ის-ა-ვით: (დღისავით, გზისავით... მამივით, დანივით, მამლივით... ჭორით... დევივით...	ნმოვანფუძიანებთან: გუნდავით (=გუნდასავით) ხევით (=ხესავით), მზევით (=მზესავით)	-ვით // -ვეთ (კაცვით, ქალაქვით... -ს-ა-ვეთ (ქვასავით, რკინასავით, მზესავით...) -ის-ა-ვეთ (თოფისავით, ძაღლისავით...) -ის-ა-ეფ: (კაცისაეფ...)
	ლინსუმური -ვით (ფორთელივით, შაქარივით...) -ის-ა-ვით (ფორთელისავით, შაქარისავით...)	გურული -ვით // -ვეთ // -ვეფ	აჭარული -ვეთ // -ვე (ძმასავით // ძმასავე, დასავით // დასავე.) -ვენ // -ვინ (ძმასავენ, შენსავენ... ჭირივინ..)
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
-თან	-ს-თან (პატრონსთან, სოფელსთან) -ს-ან (კლდესან, -თა (კაცთა, შენთაო...)	-თან (მამათან, თავითან...) -ან (მამასან, ხესან, მეფესან...)	-თან // -სან // (ხესან, საღვურსან... ამითანა, ამისანა...)
	ლინსუმური	გურული -სან (ბიცოლასან, კაცსან...) -ის-თანა // -ის-ანა (ბიცოლისანა, კაცისანა...)	აჭარული -ს-თან > -ს-ან (ხესან, ქვასან, ბახჩასან...) -თანად (ამითანად, მავითანად...//ამისანად, მავისანად, იმისანად...)
	-ი-თან // -ი-ს-ან (ქოროლითან, გოგოთან... ქოროლისან, გოგოსან...) -ზე (ფუნქციურად ენაცვლება) (ქალაქზე ახლოს = ქალაქთან ახლოს; ყონახზე = სახლთან)		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
	ზედა (ურემზედა...) -ზე (ზმნიზედაზე დართვით)	ზედ(ა) (ნაწვავზედ, იმიზედ, მხარზედ...)	-ზედა // -ზედ // -ზეა (ვაზაფხულზედა, მიწაზედ... წასულია სა-

-ზე	<p>ცულაზე (ცულად), ძა- ლაზე (ძალად) ტყულაზე (ტყულიად)</p>	<p>ზურგზედა, ადგილზედა, შეშაზედა...) ფუნქცია: მიმართულება: სახლობაზე, ცილოურო- ბაზე... დროის მონაკვეთს: სიმ- თვრალეზე ამბობდა... -ზე-ით (ჯორზეით, ბანზეით...)</p>	<p>ქმეზეა...) -ზენ (კტეზენ, ეზოზენ...) -ზე>-სე: (კაცსე, ვენახსე... წი- ნაზე... ნადირობაზე)</p>
	<p>ლენსუპური</p> <p>-ზე // -ძე // -სე (სოფელზე, სოფელძე, გვერძე... კაცსე, თოფსე, დათ- ვსე...) -ზედ // -ზეთ // -ზენ (კტეზეთ, კალოზეთ, კიდეზენ...) დრო: ომიანობაზე ადგილი: ჭიშკარზე; კა- რებზე...</p>	<p>გურული</p> <p>-ზედა // -ზედ // -ზენ</p>	<p>აჭარული</p> <p>-ზე (აქზე>აგზე, იქზე>იგ- ზე, მაქზე>მაგზე..)</p>
	<p>-ზე (შეუღა გაღმაზე, გააშ- პუნა გაღმაზე...კარზე მოღვა...)</p>		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯა- ვანური)	რაჭული	იმერული
-ში	<p>შიდა მუცელშიდა... -ჩი (ტყეჩი, კედელჩი, თმოგჩი...)</p>	<p>შიდ(ა) (ოჯანშიდ, ოთახშიდ, ბო- სელშიდ... სოფელშიდა... ერთ კვი- რეშიდა...) -ჩი (სოფელჩი, ხელჩი, იმა- ჩი...) -ში -ით (ონშიით, ბუხარშიით...)</p>	<p>-შიდა // შიდ // -შია (სახშიდაო, წყალში- დაო, ვენახშიდა, ვე- ნახშიდა, ვენახშია...) -ჩი (სონანტების მო- მღვენოდ): (სოფელჩი, ამაჩი, იმა- ჩი...)</p>
	<p>ლენსუპური</p> <p>-ში // -ჩი (სოფელჩი, მისდღემჩი, გვერჩი, იმაჩი...)</p>	<p>გურული</p> <p>-ში (აქში, იქში, მაქში)</p>	<p>აჭარული</p>
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯა- ვანური)	რაჭული	იმერული
		<p>-ებ // -ეფ: (თქვენსაეფ, კაცურებ // კაცურეფ, დევურებ // დევურეფ,</p>	<p>-ებრ // -ეფ (ზ.იმ): კლდესაეფ, ჩემსაეფ... -ებურ: (ასეთებური, აქეთებური...)</p>

-ებრ	ლენსუმური	გურული	აჭარული -ებრ // -ებ // -ეფ; კონტამინაციური: ვეფ (ვით+ეფ), (დელსავეფ, ხარსავეფ, ჩემსავეფ...)
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჭა- გასური)	რაჭული	იმერული
-თვის	-თვი // -თვინ -თუნ // - თუნ	-თვინ (შვილსითვინ, სახლის- თვინ, თავისთვინ... ბალ- ვებისათვის, ბატონები- სათვის...// ბაღებისთვის, ბატონისთვის, ხარებით- ვინ, ხათრი გულობი- თვინ...) -ის-და (მისდა//მიზდა, რაისდა //რაიზდა, თავიზდა, ბე- რიზდა, ამბიზდა...)	-თვინ (კაცისთვინ, სიტყვის- თვინ, მისთვის...) -ის-და>იზ-და>იზან: (ძმიზან, კაციზან, იმი- ზან... საქონლიზან... ხალხიზა // ხალხის- თვინ...)
	ლენსუმური	გურული	აჭარული
	-თვინ (ქალისთვინ, იმი- თვინ...) -იზ-და > იზა (ძმიზდა, მავიზდა, რა- იზდა... მადლიზა, მო- მავლიზა, სიმიდიზა, გულიზა... ჩემზდა, შენზდა, მი- ზდა, იმიზდა...)	-ის-და > იზ-და > იზა (კაციზა, ქალიზა, სა- ხლიზა, გულიზა... მიზდა, სხვისდა...) -თვინ (ყოველთვინ,)	-თვინ // -თვინად (ძმისთვინ// ძმისთვი- ნად, ჩემთვინ // ჩემ- თვინად; ჩემდათვინად, შენდათვინად, მიზდათ- ვინად, მათდათვინად) -გულობად, -ბარობად (ჩემბარობად ჩემგუ- ლობად) -ისდა // იზდა // -იზა (ბუძიეიზდა...)
	-თვინ (ქოროლლისთვინ, კა- ცისთვინ, ბეგისთვინ, ცხენისთვინ, მისთვინ, წაყვანისთვინ...)		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჭა- გასური)	რაჭული	იმერული
	ლენსუმური	გურული	აჭარული
		-იდან (ფუნქციური შე- ნაცვლება) (წერილი მივიღე ჩემი ძმიდან...)	-გან, -კან (წყურვილისკან) ფუნქციურად ენაც- ვლება: კაციდან...
	იმერული		
	-იდან (ფუნქციური შენაცვლება) (ბიჭიდან=ბიჭისგან, ზოპრადან=ზოპრასგან;)		

	-დამ (ჩიტილამაც მეშინოდა...) ეშინია, სცხვენია ზმნებთან: ცხენებიდან შემეშინა)		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
-კენ		-კე (სვანებისკე, ფეხებიკე...)	-კენ // -ყენ // -წყენ: (სახლისკენ>სახლისყენ >სახლი-წყენ...) (სამტრ., ხონური)
	ლენჩუმური	გურული	აჭარული
	-კე (ლენჩუმისკე, სასახლესკე, ლობესკე, მდინარესკე...)	-კენ // -ყე	კედაროს // კედრიოთ (ჩემ კედაროს // ჩემ კედრიოთ)
	იმერნეული		
	-კე (საითკე...)		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
	ლენჩუმური	გურული	აჭარული
	იმერნეული		
	ჯინს-ი (ნასესხები) (ყუალა ჯინსის = ყველანაირი)		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
-დან	-დამ: (სახლიდამ, სიდამ)	-ით-გან // -იდ-გან // -იდანი (მთიდგან, მალლიდგან, შიგნიდგან, იქიდგან... ჩვენიდგან, დღეიდგან... სოფლიდანი//სოფლიდგანი (რივისთაური) ონიდანი) -გან-ით>-გნ-ით>-გნ-ი: (ცალგნი, მეორეგნი...) უფროსებიდგან...	-ით-გან // -იდ-გან // -იდან // -იდგინ... (მალლიდგან, მალლიდან, ხვალიდგან... სახლიდგინ, წყაროდგინ, წყაროდინ... მალლიდანა - ზ.იძ.)
	ლენჩუმური	გურული	აჭარული
	-ით-გან // -იდ-გან // -იდგან (ბაბუეიდგან, ძველიდგან, მარტიდგან... შენდგან, აქიდგან, რაჭიდგან, ჩვენდგინ, მაგენიოვინ... სახლიდანი, სოფლიდანი...) -დამ (ტყიდამ, სვანეთიდამ...)	-ით-გან // -იდ-გან (ღვაბზუითგან, ღვაბზუიდგან...) -ით-გინ // -იდ-გინ // -დ-გინ (ვიზდგინ, რიზდგინ, ჩემდგინ, შენდგინ... ჩემდგნით, ჩემგნით) -დამ (აქედამ, იქილამა...)	კედრიდან — გამოსვლითობა (ჩემ კედრიდან // კედაროდან...)

თანდ.	მესხური	რაჭული	იმერული
	-მდე // -მდი // -ნდი // -მდინ // -ნდინ // -მდისინ // -ნდისინ	-მდინ // -მდის // -მდი // -მდიმ (სახლამდინ, სალამომდინ, დაწყებამდინ, აჭანამდინ, მაისამდინ... მაისამდის, აჭანამდის... სახლამდი, დილამდი... კოჭებამდიმ...)	-მდე // -მდის: (-მდი // -მდინ // -მდისინ: (სოფლამდი, სოფლამდინ, გაზაფხულამდი, გაზაფხულამდინ, რამდინ (=სანამდე)... ქვ.იმერ: დილამდი, ლელემდი, სალამომდი...) -დამა წყლიდამა, იქიდამა...
	ლენსუმიური	გურული	აჭარული
	იმერხეული	-მდე // -მდინ	

1.8.2. ცალკე მდგომი თანდებულები

თანდ.	ლენსუმიური	გურული	აჭარული
		იმერეთს შუა და ჩვენ შუა...	
	იმერხეული		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
მიერ			გამოია / გამოიე (წუმების გამოიე...)
	ლენსუმიური	გურული	აჭარული
	გამოთ (ამის გამოთ)		გამოლმა // გამოიეს (ჩემ გამოლმა=ჩემ გამო.. შენ გამოიეს=შენ გამო) მგონე (შიში მგონე=შიშის გამო...)
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
			გარდაია / გარდაიე (ამის გარდაია...)
	ლენსუმიური	გურული	აჭარული
გარდა			-მეტი (შენგანმეტი = შენ გარდა; შენ მეტი = შენ გარდა...)
	მარტო (შენ მარტო = შენ გარდა)		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
	ლენსუმიური	გურული	აჭარული
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული

შესახებ	ლენსუპური	გურული	აჭარული
	იმერნეული		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
გარშემო			გვრილიაშამო (ეკლესიის გვრილია-შამო...)
	ლენსუპური	გურული	აჭარული
	გრულია (სახლის გრულია)		
	იმერნეული		
	-მოყოლა (მაგ მოყოლა=მაგის გარშემო; ჩემ მოყოლა=ჩემ გარშემო...)		
თანდ.	მესხური (სამცხურ-ჯავახური)	რაჭული	იმერული
შემდეგ			ოღმა // უღმა (მას ოღმა / უღმა აგერ ხუთი წელიწადია.)
	ლენსუპური	გურული	აჭარული
			მოღმა // ოღმა (შარშანდელ-ოღმა, ყმაწვილობის მოღმა, დიდი ხნის მოღმა)
	იმერნეული		
	იქით (ერთ თვეს იქით)		

1.9. რიცხვითი სახელი და თვლის სისტემა ქართულ დიალექტებში

რიცხვითი სახელი ქართული ენის მეტყველების ნაწილთა შორის ერთი იმათგანია, რომელიც ყველაზე ნაკლებად უჩვენებს დიალექტების მიხედვით განსხვავებებს. დიალექტურ სხვაობებს არ უჩვენებს რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ფონეტიკურ პროცესს, რომელიც ხდება ოცეულიან რიცხვით სახელებში, რომლებშიც „და“ კავშირი მონაწილეობს. აქ „და“-ს წინ ხდება /ც/ აფრიკატის გამჟღერება და, შესაბამისად, ოცეულიანი რიცხვითი სახელების /ც/ /d/ -დ გამოითქმის: ოცდაერთი, ოცდაათი, ორმოცდახუთი და ა. შ. ზოგჯერ პროცესი უფრო შორს მიდის: ხდება /d/ -ს დეზაფრიკატიზაცია და მას ძალიან ხშირად /ზ/ ჩაენაცვლება და, შესაბამისად, „ოც“-იანი რიცხვითი სახელები გამოითქმის ასე: ოზადერთი, ოზდაორი, ოზდაათი, სამოზდახუთი და ა. შ. ეს უკანასკნელი მოვლენა უფრო მეტად ხდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში. ყველაზე უფრო მკვეთრად კი იგი გამოხატულია კახურსა და თუშურ დიალექტებში. არის სხვაგანაც, მაგრამ ამ ორ დიალექტში ამ პოზიციაში გვაქვს მხოლოდ /ზ/ თანხმოვანი. სხვაგან /ც/, /d/ და /ზ/ თითქმის თავისუფლად მონაცვლეობენ ერთმანეთთან.

ყურადღებას იქცევს წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება. ამ ჯგუფის რიცხვითი სახელების საწარმოებლად საყოველთაოა კონფიქსური წესი: მე — ედ კონფიქსით მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან იწარმოება მთელის ნებისმიერი ერთი ნაწილის სახელი (გარდა **ნახევარისა**): მე-სამ-ედი, მე-ოც-ედი, მე-თერთმეტ-ედი, მე-ოც-ედი, მე-ორმოც-ედი, მე-ას-ედი, მე-ათას-ედი, მე-მილიონ-ედი. ეგვევ წესი მოქმედებს შედგენილი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგობითების წარმოებისას, მაგრამ აქ მაწარმოებელი კონფიქსი დაერთვის შედგენილი რიცხვითი სახელის მხოლოდ ერთეულების ნაწილს: ოცდამეერთ-ედი, ოცდამეათ-ედი, ასმეერთ-ედი, ასმეორ-ედი, ათას-მე-ოც-ედი და სხვ. ეს წესი აისახება მართლწერისასაც, როცა რიგობითი რიცხვითი სახელი არაბული რიცხვებითაა გამოხატული მე-2-ედი, მე-3-ედი, მე-5-ედი, მე-18-ედი, მე-20-ედი; 101-ედი, 120-ედი, მე-200-ედი, მაგრამ: 205-ედი, მე-240-ედი და ა. შ. ისე კი წერა-კითხვის კარგად მცოდნენი ასეთ შემთხვევებში წილადურ ციფრებს არჩევენ. წილობით რიცხვით სახელთა

წარმოებისას ეს წესი წიგნური გზით გავრცელდა ქართულად მეტყველი მოსახლეობის მთელ სივრცეზე უმეტესად მოსახლეობის მეტ-ნაკლებად წიგნიერ ნაწილში. რაც შეეხება მოსახლეობის წიგნის ნაკლებადმკითხველ ნაწილს, აქ, როგორც ჩანს, კვლავ მკვიდრობს რიგობით და წილობით რიცხვით სახელთა წარმოების, ალბათ, თავდაპირველი წესი: კონფიქსის **მე-** პრეფიქსი შედგენილი რიცხვითი სახელის აბსოლუტურ თავში და -ე და -ედ სუფიქსები — აბსოლუტურ ბოლოში: მე-ასოცდაერთ-ე, მე-ათასორასოცდაერთ-ე და მე-ასოცდაერთ-ედი ნაწილი და ა.შ.

არის წილობით რიცხვით სახელთა წარმოების ერთი ტიპი, რომელიც ძველად გამოიყენებოდა მეურნეობის იმ პროფესიულ ჯგუფებში, რომლებშიც შემოსავლის გაყოფა ან შრომითი ანგარიშსწორება ნატურალური სახით ხდებოდა. ამგვარ რიცხვით სახელებს შეხვედებოდით, ვთქვათ, მონადირულ ლექსიკაში. იმისდა კვალად, თუ რამდენი მონადირე იმყოფებოდა ამხანაგობაში, ნანადირევი იმდენ ნაწილად იყოფოდა და თითოეულს ხვდებოდა ნანადირევის ნასამალი, ნაოთხალი, ნახუთალი და ა. შ. ასევე ნაწილდებოდა მიწის მოსავალი მამულის იჯარით აღებისას მამულის პატრონსა და მოიჯარადრეს შორის. სამი ნაოთხალი, ან ორი **ნასამალი** ან **ნაოთხალი** — მიწის პატრონისა. ასეთივე ანგარიშსწორება ხდებოდა მეცხვარულ ამხანაგობაში, რომელშიც ყველი ნაწილდებოდა თავების (კვერების) რაოდენობით და არა წონით. ვთქვათ, ყოველ ხუთ ცხვარზე მეცხვარეს ხვდებოდა **კვერი და ნასამალი** ან **ნაოთხალი** და ა.შ.

აგებულება	რაოდენობითი	რიგობითი	წილობითი
ერთი		პირველი	ნახევარი (მე-ორ-ედი)
ორი		მე-ორ-ე	მე-სამ-ედი (ნა-სამ-ედი, ნა-სამ-ალი)
სამი		მე-სამ-ე	
ოთხი		მე-ოთხ-ე	მე-ოთხ-ედი (ნა-ოთხ-ალი)
ხუთი		მე-ხუთ-ე	მე-ხუთ-ედი
ათი		მე-ათ-ე	მე-ათ-ედი (ნა-ათ-ალი)
თერთმეტი		მე-თერთმეტ-ე	მე-თერთმეტ-ედი
ოცი		მე-ოც-ე	მე-ოც-ედი
ორმოცი		მე-ორმოც-ე	მე-ორმოც-ედი
ასი		მე-ას-ე	მე-ას-ედი (ნა-ას-ალი)
ათასი		მე-ათას-ე	მე-ათას-ედი
მილიონი		მე-მილიონ-ე	მე-მილიონ-ედი

ფილენი	ოცდაერთი ასერთი ასოცდაერთი ათასასოცდაერთი	ოცდამე-ერთ-ე ასმე-ერთ-ე ასოცდამე-ერთ-ე ათასოცდამე-ერთ-ე	ოცდამე-ერთ-ელი ასმე-ერთ-ელი ასოცდამე-ერთ-ელი ათასასოცდამე-ერთ-ელი
--------	--	--	--

თვლის სისტემა

თვლის სისტემის რაგვარობის გათვალისწინებით აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები შეიძლება ორ ნაწილად დაჯგუფდეს: ერთია ბარის დიალექტები, რომლებიც თვლის სისტემის თვალსაზრისით მთლიანად მიჰყვება სალიტერატურო ქართულს, ე. ი. ასის ფარგლებში გვიჩვენებს ოცეულებრივ სისტემას, ხოლო ასის ზევით სისტემა შერეულია და მას შეიძლება ვუწოდოთ „ასეულებრივ-ოცეულებრივი“. მეორე არის მთის დიალექტები, რომლებიც აგრეთვე, „ასეულებრივ-ოცეულებრივია“, მაგრამ აქ უპირატესობა ოცეულებრივ სათვალავს ენიჭება. სათვალავის ეს სახეობა მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებულია უპირატესად იმ კუთხეებში, რომლებშიც განსაკუთრებული ექსტენსიურობით იყო განვითარებული სასოფლო მეურნეობის დარგი მეცხვარეობა. ამგვარი დიალექტებია: თუშური, ფშაური, მთიულური და მოხეური. ამიტომ სათვალავის ამ სახეობას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ თვლის მეცხვარული სისტემა. ეს სახეობა მწყობრად ჩამოყალიბებული სახით გვიანობამდის შემორჩა და შეიძლება ითქვას, რომ დღესაც არსებობს განვითარებული მეცხვარეობის ისეთ კუთხეში, როგორც თუშეთია. სხვაგან, თუმც დიალექტოლოგიურ ტექსტებში კვლავაც შევხვდებით ამგვარი სათვალავის ფაქტებს, მაგრამ თავდაპირველი სისტემური სიმწყობრე მათ დაკარგული აქვთ. თუშურ დიალექტში კი, კერძოდ, თუშური მეცხვარული სათვალავის სისტემა ასეთია: ერთიდან ოცამდის თუშებიც ისე ითვლიან, როგორც ყველგან საქართველოში. ოღონდ ქალები აქაც განსხვავებულად ითვლიდნენ, უფრო სწორედ, ითვლიდნენ წყვილობითად ასე: ერთი-დ ორბ, სამი-დ ოთხბ, ხუთი-დ ექვსბ, შვიდი-დ რვა , ცხრა და ათბ, თერ-თორმეტბ, ცამ-თოთხმეტბ, ხუთ-ექვსმეტბ, შვი-თვრამეტბ, ცხრამეტ-ოცბ. ოციდან ოთხმოცის ჩათვლით ითვლიდნენ ოცეულებად. მერე სახელდებოდა ასი და არა ხუ-

თოცი. მაგრამ ასს რომ გადასცდებოდა, სათვალავი კვლავ ოცეულებზე გადადიოდა ვიდრე ოთხასამდე ე. ი. ექვსოცი, შვიდოცი, რვაოცი და ასე ცხრამეტოცამდე, მაგრამ მერე ითქმოდა უკვე ოთხასი და არა ოცოცი. აქედან ათასამდის სათვალავი ასეულებრივ-ოცეულებრივი იყო: ხუთასი, ხუთასოცი, ხუთას ორმოცი და ა. შ. ცხრაასოთხმოცამდე. ათასის შემდეგ სათვალავი გადადიოდა ასეულების რაოდენობაზე არა ასე: ათასასი, ათასორასი და ა. შ., არამედ ასე: თერთმეტასი, თორმეტასი, ცამეტასი და ა. შ. ცხრამეტასამდე. მერე მოდიოდა ორი ათასი და სათვალავითაც გადადიოდა შერეული ათასეულებრივ-ასეულებრივ-ოცეულებრივ სისტემაზე, როგორც ზოგადად ქართულ ენაში.

დოკუმენტურად მეცხვარული სათვალავი ასახულია ხოლმე მეცხვარის ჯოხზე. მეცხვარის ჯოხი ეს არ არის უბრალო საგანი, რომელიც პირუტყვის გასარეკად იხმარება. იგი მეცხვარის აუცილებელი ატრიბუტია, როგორც თოფი და ხმალი — მეომრისა. **ჯოხამდე** ნიშნავს ჯოხის მტარებელს, მწყემსობის შემძლე პრს. „ჯოხ აიღონ — ვაჭვამ გაუჩინიდითა, თოფ აიღონ — სახელ მისციდითა“, ისმის ხატის ხელოსნის ლოცვაში.

მეცხვარული სათვალავის დოკუმენტი მეცხვარის ჯოხზე ფარის გათვლის პროცესში იქმნება. ფარას ერთ მხარეს ვიწრო გასასვლელს გაუხსნიან, „გაქეჩავენ“, ანუ ვიწრო ზოლად გააწელიკებენ და იწყებენ თვლას. გათვლაში ორი პირი მონაწილეობს. ერთი მის წინ გავლილ ცხვრებს ითვლის ჩუმად და ყოველი ოცის გათვლის შემდეგ ხმამაღლა იძახის „ოცი!“ „გავიგე“, უბასუხებს მეორე მწყემსი, რომელსაც ხელში ჯოხი უჭირავს და გამთვლელისგან ყოველი „ოცის“ დაძახილზე დანით თითო ნაჭდევს აკეთებს. ეს ნაჭდევები „ოცისთაგებია“. ყოველი ხუთი ნაჭდევის შემდეგ დამჭდვეი მცირე ადგილს გამოტოვებს და ახალ ხუთეულს იწყებს, ამრიგად ფარის გათვლის შემდეგ მეცხვარეს ხელში უჭირავს ჯოხი, რომლითაც იგი ფარას მიჰყვება და რომელზეც მისი ფარის სათვალავია ოცეულებად და ასეულებად ასახული. ბოლო ერთეულებს, რომელმაც ოცეული ველარ შეადგინა, მეცხვარე „ბუჩუხებს“ ეძახის და მას ზეპირად იხსომებს. ფარის ამ სათვალავზე აგებს პასუხს ფარის მწყემსი „ბინის“ — მეცხვარეთა ტრადიციული ამხანაგობის წინაშე. ზოგჯერ ეს ოცისთაგებიათი სათვალავი ბინის თავს სიბ ქვაზე გადააქვს და ბინაში ინახავს ქოხის კედელზე მიყუდებულს — ხომ შეიძლება, მეცხვარეს ჯოხი დაეკარგოს.

როგორც ვთქვით, ეს სათვალავი მეცხვარულია, მთის დიალექტების ლექსიკისათვის დამახასიათებელი. მაგრამ იგი გვხვდებოდა იმ ბარელთა ლექსიკაშიც, რომლებიც ტყის ღორის ფარებს ამრავლებდნენ და ისინიც, მეცხვარეთა მსგავსად, ფარაში ღორების სულადობას ოცისთავებად ითვლიდნენ.

თვლის ოცეულებრივი სისტემა

ციფრებით	სიტყვიერად
20, 40, 60, 80 100	ოცი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი ასი
120... 180 200	ექვსოცი... ცხრაოცი ორასი
220... 280 300	თეთრმეტოცი... თოთხმეტოცი სამასი
320... 380 400	თექვსმეტოცი... ცხრამეტოცი ოთხასი
500... 1000 1100... 1900 2000	ხუთასი... ათასი თერთმეტასი... ცხრამეტასი ორიათასი
1356	ცამეტასორმოცდათექვსმეტი

1.10. რიცხვითი სახელი დასავლეთ საქართველოს დიალექტებში

დასავლეთ საქართველოს დიალექტები და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე შემონახული იმერხეული კილო, ისევე როგორც აღმოსავლეთი საქართველოს დიალექტები, რიცხვითი სახელების თავისებური წარმოებით არ გამოირჩევა. ამ დიალექტებში რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები სალიტერატურო ქართულისაგან არ განსხვავდება; შეინიშნება მხოლოდ რამდენიმე თავისებურება, რომლებზეც ქვემოთ შევჩერდებით.

პირველ რიგში, დავასახელებთ ფონეტიკური პროცესების შედეგად სახეცვლილ რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელებს. იმერულში **ე** ხმოვნის იოტიზებული შემართვის შედეგად ჩნდება **ე** და ვილებზე **ფერთი, ფექსი** ფორმებს (ო. კახაძე, შ. ძიძიგური).

გურულში **თ** თანხმოვანი იკარგება და **ერთი** ფორმის პარალელურად გვაქვს **ერი**. ეს ფორმები ზოგჯერ ერთ ტექსტში, ერთმანეთის გვერდით გვხვდება: გუუდგა **ერ** გორზე; წამოგცდება **ერი** ღერი სიტყვა... **ერთი** სოუჩიტი ხავს და იგი თხუეო (გურ., ქართ. დიალექტ., 428); იყო **ერთი** მონადირე... ბოვში შეიქნა **ერი** კვირის, გეგონება **ერი** წლის (გურული, ჟღენტი, 1936, 106).

გურულში **ე** ჩნდება ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვნის მომდევნოდ, რის შედეგადაც გვაქვს **რგაე, ცხრაე**.

გურულში, იმერხეულში, აჭარულში იკარგება **ვ** თანხმოვანი და გვაქვს **ექსი, თექსმეტი: ექსი** წელიწადი ვუცადე (ტაოური, ფუტკარაძე, 1993, 130); **თექსმეტ** იანვარში (გურ., ჟღენტი, 1936, 149); **ექსითაა** (აჭარული, დიალ. კორპუსი).

გურულში მეტათეზისის შედეგად გვაქვს **თუთხმეტი: ოზდათუთხმეტი** დღეი დავრჩით (გურ., ჟღენტი, 1936, 98).

შემოიძვრება, გურულ, აჭარულ, ლეჩხუმურ კილოებში თავკიდურა **ო** ხმოვნის წინ განვითარებულა **უ//ვ;** **უორი, უოთხი, უოცი//ვოთხი, ვორი, ვოცი**. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს ფორმები არ არის დამახასიათებელი ქვემოიმერულისათვის (კუბლაშვილი, 1985, 63). იმ დიალექტებში, რომლებშიც **ო** ხმოვნის წინ **უ//ვ** ვითარდება, გვხვდება უვინო ფორმებიც: **ვორი** ბალვი მყავს;

იქვე: **ორი** წელწაღია ვიყიდე. სამი-**ვოთხი** წლის ბაღში მყავს; **ოთხას** წელწად... იხმარეს (ტაოური, ფუტკარაძე, 1993, 119; 120).

აჭარულისათვის დამახასიათებელია დაკარგული სონანტის საკომპენსაციოდ მის მეზობლად მყოფი ხმოვნის დაგრძელება. ამ მოვლენის შედეგად გვაქვს: **ერთი>წითი**: თურმი ის გზავრი მიეჩქარებოდა **წით** საქმროსა და საცოლოს შორის საქმის ჩასაფუშველათ; ყოფილან მეგერ **წითი** მოხუცი ცოლ-ქმარი (ზემოაჭარული, ქართული დიალექტოლოგია, 1961, 401).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყველა დიალექტისათვის არის დამახასიათებელი შემდეგი ფონეტიკური მოვლენა: **ოც** ფუძის შემცველ რიცხვით სახელებში **და**-ს წინ **ც** აფრიკატის გამჟღერების შედეგად ვიღებთ ფორმებს: **ოდდაერთი, ოდდაათი, ორმოცდაათი, ოთხმოცდაათი** და ა. შ., ხოლო **ძ**-ს დეზაფრიკატიზაციით გვაქვს: **ოზდაათი, ორმოცდაათი, ორმოცდაათი, ოთხმოცდაათი** და ა. შ. (ქლენტი, 1936, 50): **ოზდაათი** სოფელი სულ გურჯია (ფუტკარაძე, 1993, 119); **ოზდაათი** წელიწადი აათავა (იქვე, 132); **ოზდათვრამეტ** დღეზე ან **ორმოცდაორ** დღეზე (გურული, იმნაიშვილი, 2006).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში და იმერხეულში რაოდენობითი რიცხვითი სახელი — **მეორე** სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება. იმერულში გვაქვს **მოორე, ეო>ოო** სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ერთი ერთისკენ, **მოორე** — **მოორესკენ** (ქვემოიმერული, ქართ. დიალექტ. 468); გურულსა და აჭარულში, ასევე იმერხეულში გვხვდება **მიორე, ეო>ოო>იო** რთული ფონეტიკური გარდაქმნის საფუძველზე — სრულ რეგრესულ ასიმილაციას მოსდევს რეგრესული დისიმილაცია (ჯორბენაძე, 1989, 518); ნენაი არ გათხოვდა **მიორე** ზობა (გურული, დიალ. კორპუსი); **მიორე** შვილი... ჯენდერმე იყო (ტაოური, ფუტკარაძე, 1993, 132); იმერხეულში გვხვდება **მიერე** ფორმაც: ოთხას წელწად ერთი იხმარეს, ხუთას წელწად **მიერეს** და მესამეს ხმარობენ (იქვე, 120).

ზოგ დიალექტში თავისებურად არის ნაწარმოები რიცხვით სახელთა მრავლობითის ფორმები; კერძოდ, ზემოაჭარულში და იმერხეულში **ნ**-არიანი ფორმა **-ა**-თია გავრცობილი და ყველა ბრუნვაში გამოიყენება: **სამ-ნ-ა-ვე-ს; ექსნავე** ლაპაიკობს (ფუტკარაძე, 1993). შ. ნიჟარაძის აზრით, **ორნავე** და მსგავსი ფორმები **ორნივე** და **ორთავე** ფორმების კონტამინაციით ჩანს მიღებული (ნიჟარაძე, 1961, 71).

აჭარულისათვის დამახასიათებელია რიცხვითი სახელების მრავლობითის ორმაგი წარმოება: **მიორენებმა** შიეკითხენ (ნოღაიდელი,

1960, 106). **-ნ** ორმაგად გამოიყენება **-ვე** ნაწილაკიან რიცხვით სახელებში: **ორ-ნ-ა-ვე-ნ-ი, ექვს-ნ-ა-ვე-ნ-ი** და სხვ.;

რაც შეეხება რთული რიცხვითი სახელების წარმოებას, აჭარულის ზოგ თქმაში და იმერხელში სპეციფიკურად იწარმოება შედეგნილი რიცხვითი სახელები: **ათიდაერთი, ათიდაორი, ასდახუთი, ასდარვა, ასდაცხრამეტი...** ივარაუდება, რომ ეს ჭანტურის გავლენის შედეგია: **ათდაერთი** ქილო იყო ქლიავი (ტაოური, ფუტკარაძე, 1993); **ასდაოცი** წელიწადია აქ მოსულან ჩვენი დიდვანები (ფუტკარაძე, 1993).

დასავლეთი საქართველოს დიალექტებში წილობით რიცხვით სახელთა წარმოება სალიტერატურო ქართულისაგან არ განსხვავდება, მხოლოდ ზოგი დიალექტისათვის, აღმოსავლეთი საქართველოს დიალექტების მსგავსად, დამახასიათებელია წილობით რიცხვით სახელთა წარმოების ძველი წესი **ნა—ალ** კონფიქსის საშუალებით: **ნა-ოთხ-ალ-ი** იგივეა, რაც **მეოთხედი**. ნამდიდრევეა არ ინება არც ნახევარი და არც **ნაოთხალი** (საბა); **ნა-ას-ალ-ი** იგივეა, რაც **მეასედი**. ბევრი რამ მოგახსენე იმ ღვთის კაცზე, მაგრამ **ნაასალიც** ვერ გითხარი (ილია). დიალექტებში **ნა—ალ** კონფიქსით ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელები იშვიათია, გამოიყენება მეურნეობასთან, შემოსავლის გაყოფასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ასეთი წარმოება მარტივ რიცხვით სახელებთან გვხვდება: **ნახუთალი, ნაოთხალი...** ნახევრიანის ფიცარი არ ვარგოდა, ჯობდა **ნაოთხალი** (ლეჩხ., შინამრეწველობის მასალები); ნახეთქიც ერქვა და „**ნაოთხალიც**“ (ზემორაჭ., შინამრეწველობის მასალები); **ნაოთხალს** მე დევტიეფ, დანარჩენი შენი იყოს (აჭარ., ნიუარაძე, 1961, 110). ასეთი ფორმები, შეიძლება ითქვას, ტერმინებად არის ქცეული.

2.1. სახელური სიტყვაწარმოება ქართულ დიალექტებში

სიტყვაწარმოება, ლექსიკური დერივაცია, ქართული ენის მორფოლოგიის საფუძველთა საფუძველია. იგია ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების უმთავრესი წყარო. ამოვდივართ რა ზოგადი დებულებიდან, რომ ენაში ყველა სრულმნიშვნელოვანი სიტყვა სახელია (ადამიანის გონების მიერ დანაწევრებული სამყაროს ელემენტთა სახელები), ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს ვანაწევრებთ სემანტიკურ ჯგუფებად: არსებითი სახელები (სუბსტანტივები), ზედსართავი სახელები (ადიექტივები), რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და ზმნები ანუ მოქმედების სახელები. თითოეული ეს ჯგუფი განიყოფება აგრეთვე ორ ნაწილად: უმოტივაციო სახელები და მოტივირებული სახელები. პირველი ფენა ენაში უძველესია და მთელი ისტორიის მანძილზე უცვლელი, იგია ენის ძირითადი ლექსიკური მარაგის ბირთვი; მეორე ნაწილი — მოტივირებული ლექსიკა — ცვალებადია, იგია სიტყვაწარმოებითი, ანუ დერივაციული საშუალებებით წარმოქმნილი ლექსიკა, მუდმივად ცვალებადი და განახლებადი ენის როგორც ვერტიკალურ (დიაქრონიულ), ისე ჰორიზონტალურ (დიალექტურ) განზომილებებში. ამასთან რაოდენობრივად უაღრესად ჭარბი წინასთან შედარებით. ორი რამაა ქართული ენის მორფოლოგიის სიტყვაწარმოებით სფეროში ზოგადი, უნივერსალური: სიტყვაწარმოებითი საშუალებანი ანუ სადერივაციო მორფემები და ნაწარმოებ სახელთა შინაარსობლივი ჯგუფები (რომლებიც აგრეთვე ბევრად სჭარბობს ძირითადი ლექსიკური ფონდის ბირთვში გამოყოფილ სემანტიკურ ჯგუფებს). დიალექტები, ანუ საერთო სახალხო ენის ტერიტორიული ჯგუფები, ერთურთისაგან სხვაობენ როგორც სადერივაციო აფიქსთა, ისე წარმოქმნილ სახელთა ვარიანტულობით. პირველი, უმთავრესად, შეპირობებულია ამა თუ იმ დიალექტის ფონემურ ერთეულთა დისტრიბუციული თავისებურებებით, მეორეს კი მათი სემანტიკური ნიუანსები ქმნის, რომლებსაც მეტყველებაში მათი გამოყენების კონტექსტები შეაპირობებს. დიალექტების სახელური სიტყვაწარმოების თავისებურებები გამოჩნდება ტაბულებში, რომლებიც სიტყვა-

წარმოებითი მოდულების, ნაწარმოები სიტყვების, საწარმოებელი ფუძეებისა და სემანტიკურ მნიშვნელობათა ურთიერთიმართებათა საფუძველზე შედგენილი.

სახელთა წარმოება კახურ და ქართლურ დიალექტებში

სიტყვაწარმოებითი მოდელი	ნაწარმოები სიტყვა	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
-ი-არ -ი-ალ	მში-არ-ი მშვენ-იარ-ი ბედნ-იარ-ი ლონ-იარ-ი გემრ-იალ-ი ნებ-იარ-ი	— — ბედი ლონე გემო ნება	ვინც მოშიებულია ვინც შვენის (ლამაზია) ვისაც ბედი აქვს ვისაც ლონე აქვს გემოს მქონე თავის ნებაზე მყოფი
-ილ -ულ	მოტან-ული გატეხ-ული და-ზდ-ული და-წნ-ული შეკრ-ილი მო-ოქრ-ული დარჩომ-ილი დაწყობ-ილი დაღუპ-ილი	მოტანა გატეხა და-ზდა დაწნა შეკრვა ოქრო დარჩომა დაწყობა დაღუპვა	მიმღეობა (რაც მოიტანეს) მიმღეობა (რაც გატეხეს, გატყდა) მიმღეობა (ვინც დაზარდეს) რაც დაწნეს, დაიწნა რაც შეკრეს, შეიკრა ოქროთი დაფარული რაც დარჩა რაც დააწყეს რაც დაიღუპა
სა — ავ სა — ულ	სა-მალ-ავ-ი სა-მალ-ულ-ი	მალვა	ადგილი, სადაც მალავენ
ნა — არ	ნა-სახლ-არი ნა-კალო-არი ნა-ბოლო-არი ნა-მეტ-არი	სახლი კალო ბოლო მეტი	წინავითარება (სადაც სახლი იდგა) სადაც კალო იყო ბევრთაგან ბოლო ჩვეულებრივზე მეტი
ნა — ურ	ნა-ცეცხლ-ური ნა-ფას-ური ნაგზა-ური	ცეცხლი ფასი გზა	სადაც ცეცხლი ენთო რასაც ფასობს, რა ფასიც აქვს ადგილი, სადაც გზა გადიოდა
-ურ -ულ	ზემო-ური ახმეტ-ური გრემ-ული	ზემო (მხარე) ახმეტა გრემი	ზემო მხარეს მცხოვრები ახმეტის მცხოვრები გრემის მცხოვრები
-ურელი	სადა-ურელი იქა-ურელი	სად იქ	წარმომავლობა კაცისა წარმომავლობა კაცისა

სა — ისი	სა-ცხოვრ-ისი სა-მყოფ-ისი სა-წუხ-ისი	ცხოვრება ყოფნა წუხილი	ცხოვრების საშუალება სადაც ყოფნა შეიძლება წუხილის მიზეზი
სა — ო	სა-მძინარ-ო სა-მარგებლ-ო	მძინარა მარგებელი	ის, რაც აძინებს ის, რაც რგებს (საკვები)
სა — ე სა — ო	სა-ვაზ-ე სა-ქათმ-ო სა-ჭმ-ო სა-ბალახ-ე	ვაზი ქათამი ჭამა ბალახი	ვაზისათვის განკუთვნილი ქათმებისათვის განკუთვნილი ჭამისათვის ვარგისი ბალახის საფასური (გადასა- ხადი)
სა — ეთ სა — ოთ	სა-მთ-ოთ სა-იანვარ-ოთ	მთა იანვარი	მიზანი მთაში (წასასვლელად) დრო (იანვრისათვის)
სი — ე	სი-მტყუფნ-ე სი-მწუხარ-ე სი-ლარიბ-ე სი-ნაკლულ-ე	მტყუანი მწუხარი ლარიბი ნაკლული	ზოგადი მტყუანობა ზოგადი მწუხარეობა ლარიბად ყოფნა ზოგადი ნაკლულობა
სა — ურ	სა-ძნე-ური სა-ქედ-ური სა-მჭედ-ური	ძნა ქელი მჭედელი	დანიშნულება (ძნის დასაწყობი ადგილი) დანიშნულება (ხარის ქედზე დასადგმელი) მჭედლის ადგილი
უ—ელ უ—არ	გამო-უ-ლევ- არი გამო-უ- ლევ-ელი გა-უ-გებ-ელი გა-უ-გებ-არი	გამოლევა გაგება	ის, რაც არ გამოილევა ის, ვინც ვერ იგებს
ნა—ედ ნა —ალ	ნა-სამ-ედი ნა-ოთხ-ალი ნა-ას-ალი	სამი ოთხი ასი	წილობითი (ერთის წილი)
-იერი -იე- ლი	ხომნ-იერი ქონ-იერი შობ-იერი ხვავრ-იელი	ხომი (ხვაგი) ქონება შობა ხვაგი (დიდი რაოდენობა)	ხვავის, ბარაქის მქონე ვისაც ქონება აქვს ვინც შობს (მშობიარე) დიდი რაოდენობა რისიმე
-ოიან	სახელ-ოიანი	სახელი	სახელის მქონე (სახელოვანი)
-ოსან	თმ-ოსანი ქუდ-ოსანი	თმა ქუდი	თმის მქონე (თმა-წვერ მო- შვებული) ვინც ქუდს ატარებს (მამაკაცი)

მო—ე მო—ე	მო-საფქვავე-ე მე-ქომაგ-ე მე-წი- ნალმდეგ-ე	საფქვავე ქომაგი წინალმდეგი	ვინც ფქვავს, ვისიც იფქვება ვინც ექომაგება ვინც ეწინალმდეგება
-----------------	--	----------------------------------	--

სახელთა წარმოება თუ შორში

სიტყვაწარ- მოებითი მოდელი	წარმოები სიტყვა	წარმოებე- ლი ფუძე	სემანტიკა
ნა—არ ნა—ალ	ნა-სვილ-არი ნა-ქერ-ალი ნა-გომ-რ-ები ნა-ბინა-ვ-არი	სვილი ქერი გომი ბინა	წინავითარება (სადაც სვილი ეთესა) წინავითარება (სადაც ქერი ეთესა) წინავითარება (სადაც გომები იყო) წინავითარება (სადაც ბინა იყო)
ნა—არაყნ ნა—ალაყი	ნა-ბოსლ-არაყნ ნა-საყდრ- ალაყი	ბოსელი საყდარი	წინავითარება (სადაც ბოსე- ლი იდგა) წინავითარება (სადაც საყდა- რი იდგა)
სა — ო	სა-ბინა-ო სა-კოდ-ო სა-ბოსლ-ო	ბინა კოდი ბოსელი	დანიშნულება (ბინისთვის, ან დასაბინავებლად ვარგისი) შენობა, სადაც სალუდე კო- დებია ადგილი, სადაც ბოსლებია გამართული
სა—(ი)აყნ	სა-ენ-აყნ სა-ბოლ-აყი სა-ყველ-იაყნ	ენა ბოლი ყველი	დანიშნულება (ფურნიდან ცე- ცხლის ენის ასასვლელი ხვრელი) დანიშნულება (ბუხრიდან ბო- ლის ასასვლელი მილი) დანიშნულება (ყველის შესა- ნახი ადგილი ან ჭურჭელი)
სა — ე	სა-ქერ-ე სა-კართობლ-ე სა-ქათიბე	ქერი კართობელი ქათიბი	დანიშნულება (ადგილი, სა- დაც ქერი ითესება) დანიშნულება (ადგილი, სა- დაც კარტოფილს თესენ) დანიშნულება (ქათიბის შესა- კერი მატერია)
-იანნ	ცხენ-იანი ცხვრიანი	ცხენი ცხვარი	ყოლა, ქონა (ცხენოსანი) ყოლა (ვისაც ბევრი ცხვარი ჰყავს)

	ქონებიანი დიყიანი	ქონება დიყი	ქონა (მდიდარი) ადგილი (სადაც ბევრი დიყი იზრდება)
-ო(ვ)ანრ -ო(ვ)ანაყრ	სხამოანაყრ არყოანაყ სვილ-ოანრ	სხამაყრ არყი სვილი	ადგილი (სადაც ბევრი სხმაა) ადგილი (სადაც ბევრი არყია) ადგილი (სადაც სვილი ითე- სება)
-ელი	დართლო-ელი პანკის-ელი	დართლო პანკისი	ადამიანის სადაურობა ადამიანის სადაურობა
-ურაყრ/ულ- აყრ	დიდოურაყრ ვესტმო-ურაყრ რუსეთ-ულაყრ	დიდოეთი ვესტმო რუსეთი	არაადამიანის სადაურობა (დიდოეთიდან მოტანილი ან მოყვანილი რამ) წარმომავლობა წარმომავლობა (რუსული წა- რმოების, ან რუსეთიდან მო- ტანილი)
უ—ო უ—ოაყრ	უ-ძაღლ-ო უ-ძაღლ-ოაყრ	ძაღლი	უქონლობა — უყოლობა (სა- დაც ძაღლი არაა ან ვისაც ძაღლი არა ჰყავს)
სი—ე	სი-კოჭლ-ე სი-ობლ-ე სი-მაძღრ-ე	კოჭლი ობოლი მაძღარი	აბსტრაქტული
მო—ო	მო-წითალ-ო მო-თეთრ-ო	წითელი თეთრი	ოდნობითობა (ცოტათი წითე- ლი) ოდნობითობა (ცოტათი თეთრი, ღია ფერის)
ჩა—ული	ჩა-შა(ვ)-ული	შავი	უფროობითი (მუქი)
ხეცხურულში			
სიტყვაწარ- მოებითი მოდელი	წარმოები სიტყვა	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
სა—ე	სა-დიაც-ე სა-თათრ-ე	დიაცი თათარი	დანიშნულება (დიაცთათვის განკუთვნილი) თათართა ადგილი
სა—ო	სა-მთელ- მკვიდრ-ო სა-ნამკვეთრ-ო	მთელ-მკვიდარი ამკვეთი (სასმლის)	დანიშნულება (საზღაური ძა- ლიან მძიმე ჭრილობისათვის) დანიშნულება (ჯარიმა სასმ- ლის ამკვეთისთვის, დიდი სა- სმისი)
სა—ურ	სა-თავით- ური	თავით	დანიშნულება (თავის დასა- დები, სასთუმალი)

სი—ე	სი-მთელ-ე სი-სხორიგ-ე სი-დიდურ-ე	მთელი სხორგი დიდური (ამაყი)	აბსტრაქტულობა აბსტრაქტულობა აბსტრაქტულობა
მე—ე მო—ე მა—ე	მე-სისხლ-ე მა-პირდაპირ-ე მე-ნადირ-ე	სისხლი პირდაპირ ნადირი	ვისაც სისხლი მართებს პირდაპირ მდგომი ხელობა
მა—ური	მა-განძ-ური	განძი	მოვალეობა (განძის მცველი)
ნა—ავი	ნა-ცხენ-ავი	ცხენი	წინავითარება (ადგილი, სა- დაც ცხენი იდგა)
-ობა	ქალ-ობა ვაჟკაც-ობა	ქალი ვაჟკაცი	აბსტრაქტულობა აბსტრაქტულობა
-ური	მამისა-ური მთ-ურ სხვაკნ-ურ-ი	მამისა მთა სხვაკან	წარმომავლობა (მამისას შთა- მომავალი) წარმომავლობა (მთიდან მო- მავალი) წარმომავლობა (სხვაგან ნა- მყოფი)
-ი-ერ ი- ელი	შორ-იელი მიწ-რ-იელნი გონ-ი-ერი ნათლ-ი-ერი	შორი მიწა გონი ნათელი	წარმომავლობა მიწიდან მომავალი მქონებლობა (გონის მქონე) მქონებლობა (ნათლის მქონე)
-ედი -ელა	სიბ-ედი კუდ-ელა	სიბი კუდი	მქონებლობა (სიბიანი, სიბით დახურული) მქონებლობა (გრძელკუდიანი მატლი)
-ონა	შავ-ონა წითლ-ონა	შავი წითელი	კნინობითობა (მოშავო) ოდნობითობა (მოწითალო)
უ—ო	უ-ხან-ო უ-დრო-ო უ-რქ-ო	ხანი დრო რქა	უქონლობა (ვისაც, რასაც ხა- ნი არ აქვს) უქონლობა (არადროული) რასაც რქა არა აქვს
უ—ა	უ-გონთ-ა უ-კეთ-ია	გონი სიკეთე	უქონლობა (ვისაც გონი არა აქვს) უქონლობა (სიკეთის არმქონე)
-უნელა	კარგუნელა	კარგი	მოფერება-ალერსი

წარმოება ფსაურში			
სიტყვაწარ- მოებითი მოდელი	წარმოები სიტყვა	საწარმოებე- ლი ფუძე	სემანტიკა
-ა	ცხენ-ა წყალ-ა ცხვარ-ა დიდ-ა დაბალ-ა წვრილ-ა	ცხენი წყალი ცხვარი დიდი დაბალი წვრილი	კნინობითობა კნინობითობა (პატარა მდინარე ან წყარო) კნინობითობა ადიექტივის კნინობითობა (მოზრდილი, მოდიდო) ადიექტივის კნინობითობა (დაბალ-დაბალი, მოდაბლო) ადიექტივის კნინობითობა (ერთობ წვრილი, ტანწვრილი)
-იკა -უნა -უნელა -უნცელა	ბატარ-იკა კარგ-უნა კარგ-უნელა კარგ-უნცელა ბატარ-უნა	ბატარა კარგი ბატარა	კნინობითობა მოფერებითობა მოფერებითობა
-ილა	დედ-ილა, ძმა- ილა, და-ილა	დედა, ძმა, და	მოფერებითი მიმართვა
უ—არ უ— ურ უ—ო	უ-ცოდ-არი უ-ცნა-ური უ-მწურთნ-ო	ცოდნა ცნობა წურთნა	უარყოფითობა (უცოდნელი) უარყოფითობა (უცნობი) უარყოფითობა (გაუწვრთნელი)
მე — ე	მე-მ-ცხვარ-ე მე-მ-ძროხ-ე	ცხვარე ძროხა	ხელობა (ცხვრის მწყემსი) ხელობა (ძროხის მწყემსი)
მე — ული	მე-რძე-ული	რძე	თვისება (რძის მომცემი, კარგი მეწველი)
ნა—არი	ნა-თავ-არი	თავი	პირველი პროდუქტი (პირველად მონაწველი, პირველად მომკილი...)
ნა-ვ-არი	ნა-ციხ-ვ-არი	ციხე	წინავითარების (ადგილი, სადაც ციხე იყო)
ნა—ევ	ნა-ყან-ევი ნა-ცხვრ-ევი ნა-მთ-ევი	ყანა ცხვარი მთა	წინავითარება (ადგილი, სადაც ყანა იყო; ადგილი, სადაც ცხვარი იდგა) წინავითარება (მთაში ნამყოფი, მთიდან ჩამოსული)
მო—ე	მო-სიცილ-ე	სიცილი	თვისება (სიცილის მოყვარული)

	მო-მ-ლოდინ-ე	ლოდინი	მდგომარეობა (ვინც ელოდება)
-იანი	კუნელა-იანი ხუთყურა-იანი ღვივ-რ-იანი	კუნელა ხუთყურა ღვია	დამახასიათებელი, მქონებლობა (სადაც ბევრი კუნელა, ხუთყურა, ღვიაა)
-ებურ(ას) -ებულ(ას)	მგლ-ებურ(ას) ქორ- ებულ(ას)	მგელი ქორი	ზმნისართი (მსგავსად, მგელივით, ქორივით)

სახელთა წარმოება მოხეურში			
სიტყვაწარმოებითი მოდელი	ნაწარმოები სიტყვა	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
-ენ/-ნ	ჩოფიკ-ენი კარიჭი-ენი ავსაჯან-ენი	ჩოფიკა კარიჭი ავსაჯანა	გვარის სახელი (ჩოფიკაშვილ) გვარის სახელი (კარიჭაშვილნი) გვარის სახელი (ავსაჯანიშვილები)
-(ვ)ელი	იქა-ველი ხუთიელი/ ხურთ-ი-ველი	იქ ხურთი (სოფ.)	წარმომავლობა, სადაურობა წარმომავლობა
-ური/-ული	ყაზბეგ-ური გერგეტ-ული არბანული	ყაზბეგი გერგეტი არბანი	წარმომავლობა, სადაურობა სადაურობა სადაურობა
მე—ე/მა—ე	მე-ნადირ-ე მე-უფროს-ე მა-ვევ-ე	ნადირი უფროსი ვევი	ხელობა თანამდებობა (ვინმეს უფროსი) სადაურობა (ვევის მცხოვრები)
-ტიალა	დათვ-ტიალა თოფ-ტიალა	დათვი თოფი	წყევლა (სატიალე დათვი) წყევლა (სატიალე თოფი)
სი—ე	სი-ობლ-ე სი-ვაჟკაც-ე	ობლი ვაჟკაცი	აბსტრაქტულობა (ობლობა) აბსტრაქტულობა (ვაჟკაცობა)
-ობი	ყან-ობი ბოსლ-ობი	ყანა ბოსელი	ტოპონიმი (ყანებიანი ადგილი) ტოპონიმი (ბოსლებიანი ადგილი, საბოსლო)

2.2. ელ/ურ სუფიქსები მოხეურში (პარადიგმის გასწორების მცდელობა)

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სადაურობის ორი სუფიქსი აწარმოებს: **-ელ** და **-ურ**. ფუნქციათა განაწილება ასეთია: **-ელ** გამოხატავს ადამიანის სადაურობას, **-ურ** — არაადამიანისას. ეს დაპირისპირება (ადამიანი — არაადამიანი, ანუ გონიერი — არაგონიერი) კლას-კატეგორიის არსს უკავშირდება (იგივე **ვინ?** და **რა?** დაჯგუფებანი). **ელ — ურ** დაპირისპირებას სისტემური ხასიათი აქვს: **კახ-ელ-ი** / **კახ-ურ-ი**, **ქალაქ-ელ-ი** / **ქალაქ-ურ-ი**, **მცხეთ-ელ-ი** / **მცხეთ-ურ-ი**... არის გამონაკლისებიც:

გურია — **გურ-ულ-ი** $\left\{ \begin{array}{l} \text{ვინ? — კაცი} \\ \text{რა? — სიმღერა} \end{array} \right.$

მდრ.: **კახ-ელ-ი** — ვინ? — კაცი
კახ-ურ-ი — რა? — ღვინო

-ელ სუფიქსიანი წარმოება სიტყვიდან **გურია** გვაქვს — **გური-ელ-ი**, თუმცა იგი გურიის თავადთა ცნობილ საგვარეულო სახელად (გვარად) ჩამოყალიბდა და საზოგადო სახელის ფუნქცია გამოეცალა. შესაბამისად **გურ-ულ** ფორმამ იტვირთა ყველა ტიპის სახელთა წარმომავლობის გადმოცემა. შესაბამისად **გურულ** ფორმა იქცა გამონაკლისად.

სალიტერატურო ქართულ ენაში ასეთი ფუნქციური გაიგივება მოხდა ზმნიზედურ წარმოებაშიც:

სადა-**ურ-ი** $\left\{ \begin{array}{l} \text{კაცი} \\ \text{ნივთი} \end{array} \right.$

აქა-**ურ-ი** $\left\{ \begin{array}{l} \text{კაცი} \\ \text{ნივთი} \end{array} \right.$

იქა-**ურ-ი** $\left\{ \begin{array}{l} \text{კაცი} \\ \text{ნივთი} \end{array} \right.$

როგორც ვთქვით, ეს მაგალითები სალიტერატურო ქართულში და ასევე დიალექტთა უმრავლესობაში ასეა. ენობრივი წესების თვალსაზრისით გამონაკლისია, თუმცა სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით — ნორმაა.

მოხეურ დიალექტში მოხდა გამონაკლისის წესის ფარგლებში მოქცევა, პარადიგმის გასწორება:

სადავ-ელ-ი — კაცი

სადა-ურ-ი — ნივთი

აქავ-ელ-ი — კაცი

აქა-ურ-ი — ნივთი

იქავ-ელ-ი — კაცი

იქა-ურ-ი — ნივთი

-ურ/-ელ სუფიქსებთან დაკავშირებით სხვა საინტერესო მაგალითებიც გვაქვს: ვაჟა-ფშაველასთან ასეთი მაგალითებში დასტურდება: **ბლო-ელ-ი** აფშინა, მაგრამ აფხუშო-ურ-ი ქალი; წესით უნდა ყოფილიყო **აფხუშოელი** ქალი. საინტერესო ფაქტია: **აფხუშო-ელ-ი** კაცი მაგრამ **აფხუშო-ურ-ი** ქალი. ეს ფაქტიც კლას-კატეგორიის ოდინდელი სისტემის ანარეკლი ჩანს: კლას-კატეგორიის მქონე ენებში განასხვავებენ მამაკაცისა და ქალის კლასს; ზოგჯერ **ქალისა** და **ბავშვის** გადაყვანა ხდება ნივთის კლასში. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის, ზოგადად, კლას-კატეგორიის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში; და კერძოდ, ქართულ ენაში.

2.3. სახელური სიტყვაწარმოება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში სიტყვაწარმოების, ლექსიკური დერივაციის მხრივ მრავალი თავისებურება შეინიშნება. ამ თავისებურებებს განსაზღვრავს აფიქსთა ფონემური ვარიანტულობა, მათი გამოყენების სფეროს გაფართოება და სემანტიკური ნიუანსები. წარმოვადგენთ დასავლეთ საქართველოს დიალექტებში გავრცელებულ სადერივაციო მორფემებსა და ნაწარმოებ სახელებს ცხრილების სახით.

სახელთა წარმოება რაკულში

სიტყვაწარმოებითი მოდელი	ნაწარმოები სახელი	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
-ოვან > -ოან > -უან	ღალატ-ოვან-ი // ღალატ-უან-ი ლამაზ-ოვან-ი // ლამაზ-ოვან-ი აღმას-ოვან-ი (ხრმალი აღმასოვანი) ძალ-უან-ი ყველ-უან-ი ლობ-უან-ი რა-უან-ი	ღალატ- ლამაზ- აღმას- ძალ- ყველ- ლობიო რა	თვისების მქონებლობა (მოღალატე) თვისების მქონებლობა თვისების მქონებლობა მქონებლობა (ძლიერი) მქონებლობა (საჭმელია) მქონებლობა (საჭმელია) მქონებლობა (რიანი)
-იან	წყლ-იან-ი ფრთ-იან-ი	წყალ- ფრთა	მქონებლობა მქონებლობა
-იან-ა	ლობ-იან-ა	ლობიო	მქონებლობა (საჭმელია)
-იერ	ჭკუ-იერ-ი თავ-იერ-ი ჯიშ-იერ-ი	ჭკუა თავ- ჯიშ-	მქონებლობა (ჭკვიანი) მქონებლობა (თავ-გზიანი) მქონებლობა (ჯიშისანი)
-ელ	ქორ-ედ-ი ბოჯღვ-ედ-ი (ბოჯღვ-ელ-ი ტოტი, ბოჯღვ-ელ-ი სარი) კუთხ-ედ-ი	ქორ- ბოჯღ- კუთხე	მქონებლობა (ქორიანი) მქონებლობა (ბოჯღვ-ლიანი) მქონებლობა (კუთხისანი)
	ღობ-ურ-ი	ღობე	მქონებლობა

<p>-ურ > -ულ (რ-ნარეგ ფუძეებთან)</p>	<p>კულ-ურ-ი გლახ-ურ-ი</p> <p>წედ-ურ-ი</p> <p>ღებ-ურ-ი</p> <p>იქანა-ურ-ი (იქანაური კვახი)</p> <p>სამხრე-ულ-ი</p>	<p>კულ- გლახა</p> <p>წედ(ისი)</p> <p>ღებ-</p> <p>იქანა</p> <p>სამხრე</p>	<p>მქონებლობა (კულიანი) თვისების მქონებლობა, მსგავსება</p> <p>წარმომავლობა (რო-გორც ვინ-ჯგუფის, ისე რა-ჯგუ- ფის სახელთა)</p> <p>წარმომავლობა (რო-გორც ვინ-ჯგუფის, ისე რა-ჯგუ- ფის სახელთა)</p> <p>წარმომავლობა</p> <p>დანიშნულება (მხარზე და- სამაგრებელი)</p>
<p>-ად</p>	<p>ძმ-ად-ი</p>	<p>ძმა</p>	<p>მსგავსება-მქონებლობა (ხელისმომკიდე ვაჟი)</p>
<p>-ობა</p>	<p>თოფ-ობა</p> <p>წიაკოკონა-ობა</p> <p>დედულ-ობა</p> <p>თოფუკა-ობა</p> <p>იარაღ-ობა</p>	<p>თოფ-</p> <p>წიაკოკონა</p> <p>დედულ-</p> <p>თოფუკა</p> <p>იარაღ-</p>	<p>დროის მონაკვეთი (თო-ფის სროლის დრო)</p> <p>დროის მონაკვეთი (ღამე, როცა ჭიაკოკონას ანთე- ბენ, ჭიაკოკონობა)</p> <p>წარმომავლობა და კრები- თობა (დედის ნათესავები)</p> <p>თამაშია</p> <p>კრებიტობა (იარაღები)</p>
<p>უ - ე</p>	<p>უ-ხნ-ე</p> <p>უ-გრძ-ე</p>	<p>ხან-</p> <p>გრძელ-</p>	<p>უფროობითი ხარისხი (უფრო ხნიერი)</p> <p>უფროობითი ხარისხი (უფ- რო გრძელი)</p>
<p>-ონ-ა</p>	<p>თეთრ-ონ-ა</p> <p>შავრ-ონ-ა-ფ</p>	<p>თეთრ-</p> <p>შავ-</p>	<p>თვისების მქონებლობა (თეთრი ფერის)</p> <p>თვისების მქონებლობა (შავი ფერის)</p>
<p>-ეურ > -ეულ</p>	<p>ძროხ-ეულ-ი</p> <p>ძირ-ეულ-ი (ძირეული კედელი)</p>	<p>ძროხა</p> <p>ძირა</p>	<p>კრებიტობა (რძის ნაწარ- მი)</p> <p>მქონებლობა (დაბლითა, ძირა)</p>
<p>-ეულ-ა</p>	<p>ველ-ეულ-ა</p>	<p>ველ-</p>	<p>ჰიდრონიმი (ველიდან მომ- დინარე)</p>
	<p>მინდორ-ა</p> <p>ბოსტან-ა</p>	<p>მინდორ-</p> <p>ბოსტან-</p>	<p>კნინობითობა</p> <p>კნინობითობა</p>

-ა	ხერხ-ა ვასილ-ა	ხერხ- ვასილ-	კნინობითობა კნინობითობა
-იკ	შალ-იკ-ი	შალვა	კნინობითობა
-იკ-ა	ნესტორ-იკ-ა პატარ-იკ-ა	ნესტორ- პატარა	კნინობითობა კნინობითობა
-უნ-ა	ქუდ-უნ-ა კატ-უნ-ა თოხ-უნ-ა ცოტ-უნ-ა	ქუდ- კატა თოხ- ცოტა	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა
-ინ-ა	დათვ-ინ-ა თაგვ-ინ-ა	დათვ- თაგვ-	კნინობითობა კნინობითობა
-უჩ-ა	თიკნ-უჩ-ა	თიკან-	კნინობითობა
-იკ-უნ-ა	შალ-იკ-უნ-ა დათ-იკ-უნ-ა დედ-იკ-უნ-ა	შალვა დათ- დედა	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა
-უნ-იკ-ა	ბიჭ-უნ-იკ-ა ცოტ-უნ-იკ-ა	ბიჭ- ცოტა	კნინობითობა კნინობითობა
-უნ-უკ-ა	ბეწ-უნ-უკ-ა	ბეწ-	კნინობითობა
-ინ-იკ-ა	ოლლ-ინ-იკ-ა ცოტ-ინ-იკ-ა	ოლლა ცოტა	კნინობითობა კნინობითობა
-იკ-ელ-ა	პეტრ-იკ-ელ-ა ვირ-იკ-ელ-ა	პეტრე ვირ-	კნინობითობა კნინობითობა
-იკ-ალ-ა	თოფ-იკ-ალ-ა მინდვრ-იკ-ალ-ა ურ-იკ-ალ-ა	თოფ- მინდორ- ურიკა	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა

სახელთა წარმოება იმერულში

სიტყვაწარ- მოებითი მოდელი	ნაწარმოები სახელი	საწარმოებე- ლი ფუძე	სემანტიკა
-ოვან > -უან // -ვან	დიდრ-უან-ი // დიდრ-ვან-ი პატრ-უან-ი // პატრ-ვან-ი უფროს-ვან-ი	დიდ- პატარა უფროს-	ნიშან-თვისების მქონებლო- ბა და სიმრავლე (დიდები) ნიშან-თვისების მქონებლო- ბა და სიმრავლე (პატარები) ნიშან-თვისების მქონებლო- ბა და სიმრავლე (უფროს- ები)
	სახელ-ვან-ი ჭალ-ვან-ი	სახელ- ჭალა	მქონებლობა (სახელის მქონე) მქონებლობა (ადგილის სა- ხელია)
	საშვალეზ-იან-ი	საშვალეზა	მქონებლობა

-იან	დავიდარაბ-იან-ი ბალახბულახიან-ი ღელე-იან-ი	დავიდარაბა ბალახბულახ ღელე	თვისების მქონებლობა (და- ვი-დარაბის ამტეხი) მქონებლობა მქონებლობა
-ის-იან	ცოლ-ის-იან-ი // ცოლ-ის-იან-ებ-ი	ცოლ-	წარმომავლობა (ცოლის ნა- თესავეები)
-იერ	ჭკე-იერ-ი შვილ-იერ-ი ჯიშ-იერ-ი ტვინ-იერ-ი	ჭკუა შვილ- ჯიშ- ტვინ-	მქონებლობა მქონებლობა მქონებლობა მქონებლობა
უ - ო	უ-მარჯვ-ო უ-კობტა-ო	მარჯვე კობტა	უქონლობა უქონლობა
	უ-ბორბლ-ო (უბორბლო ურ- ემი)	ბორბალ-	უქონლობა
	უ-ბარდ-ო (უბა- რდო ლობიო)	ბარდ-	უქონლობა
უ - ურ	უ-შეშ-ურ-ი	შეშა	უქონლობა (უშეშო)
უ - ე	უ-ხნ-ე უ-მაღლ-ე უ-გრძ-ე	ხან- მაღალ- გრძ-ელ-	ხარისხი (უფრო ხნეირი) ხარისხი (უფრო მაღალი) ხარისხი (უფრო გრძელი)
	უ-სხ-ო	მ-სხვ-ილ-	ხარისხი (უფრო მსხვილი)
	უ-მბრალ-ეს-ი უ-მაღლ-ეს-ი უ-მაგრ-ეს-ი	მბრავალ- მაღალ- მაგარ-	ხარისხი (ყველაზე მრავალი) ხარისხი (ყველაზე მაღალი) ხარისხი (ყველაზე მაგარი)
სი - ო	სი-ხმ-ო	ხმ-ელ-	აბსტრაქტულობა „ხმელობა“)
სი - ე	სი-ახალგაზრდ-ე სი-ქურდ-ე სი-კარგ-ე	ახალგაზრდა ქურდ- კარგ-	აბსტრაქტულობა აბსტრაქტულობა აბსტრაქტულობა
	-ელ	ხონ-ელ-ი	წარმომავლობა (როგორც ვინ-, ისე რა-ჯგუფის სა- ხელების: ხონელი ქათამი)
	-ურ > -ულ (რ-ნარეგ ფუძეებთან)	ვან-ურ-ი	ვან-
ზემო-ურ-ი		ზემო	წარმომავლობა (როგორც ვინ-, ისე რა-ჯგუფის სა- ხელების: ზემოური ქალი)
კვინიკო-ურ-ი		კვინიკაძე	წარმომავლობა (გათხოვი- ლი ქალის ქალიშვილობის გვარი)

-ურ-ელ	აქა-ურ-ელ-ი	აქა	წარმომავლობა (როგორც ვინ-, ისე რა-ჯგუფის სახელების: აქაურელი კაცი / ვაშლი)
-ხე	ლაჭა-ხე	ლაჭავა	წარმომავლობა (გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარი)
-ნარ > ნალ (რ-ნარეგ ფუძეებთან)	კენჭ-ნარ-ი ქვარ-ნალ-ი	კენჭ- ქვა	სიმრავლე, კრებითობა (ადგილის აღმნიშვნელ სახელებში კენჭებიანი) სიმრავლე, კრებითობა (ადგილის აღმნიშვნელ სახელებში ქვებიანი)
ნა - ებ	ნა-ღვინ-ებ-ი ნა-ცოლ-ებ-ი	ღვინო ცოლ-	წინავითარება წინავითარება
სა - ე	სა-ტანისამოს-ე სა-აბრეშუმ-ე	ტანისამოს- აბრეშუმ-	დანიშნულება დანიშნულება
სა - ო	სა-წვიმ-ო სა-ქათმ-ო	წვიმა ქათამ-	დანიშნულება დანიშნულება
მე - ე	მე-საქონლ-ე მე-ჭორ-ე	საქონელ- ჭორ-	მოსაქმეოება მოსაქმეოება
მო - ე	მო-კბილ-ე მო-ბიძაშვილ-ე	კბილ- ბიძაშვილ-	(ვინმეს ტოლი, კბილა) (ბიძაშვილისავით, შორეული ბიძაშვილი)
-ა	ვასილ-ა ბილიკ-ა	ვასილ- ბილიკ-	კნინობითობა კნინობითობა
-ელ-ა	გივი-ელ-ა	გივი	კნინობითობა
-იკ-ელ-ა	ნინ-იკ-ელ-ა	ნინო	კნინობითობა
-იტ-ა	გოგ-იტ-ა	გოგი	კნინობითობა
-უტ-ა	ხახ-უტ-ა		კნინობითობა
-ულ-ა	თუნგ-ულ-ა ბარ-ულ-ა (ბარულა თოხი)	თუნგ- ბარ-	კნინობითობა (პატარა თუნგი) კნინ. და მსგავსება (მაგარი მიწის დასამუშავებელი თოხი)
-იკ-ო	ვას-იკ-ო	ვასო	კნინობითობა
-ია//იე//იი	დავით-ია დავით-იე დავით-იი	დავით- დავით- დავით-	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა

სახელთა წარმოება ლეჩხუმურში

სიტყვაწარმოებითი მოდელი	ნაწარმოები სახელი	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
-ოვან->-ოან >-უან > უან > ვან	სახელ-ვან-ი ფერ-ვან-ი დიდრ-ვან-ი	სახელ- ფერ- დიდ-	მქონებლობა მქონებლობა და სიმრავლე მქონებლობა და სიმრავლე
-იერ	ჭკვ-იერ-ი თავ-იერ-ი	ჭკუა თავ-	მქონებლობა მქონებლობა („თავიანი“)
უ - ე	უ-მართლ-ე	მართალ-	ხარისხი (უფრო მართა-ლი)
მო -	მო-რგვალ-ო მო-ნედლ-ო მო-რუხვ-ო	რგვალ- ნედლ- რუხ-	ოღნაობითი ხარისხი ოღნაობითი ხარისხი ოღნაობითი ხარისხი
მო - ო-ა // მო - უ-ა // მო-უ-ე	მო-მყრალ-ო-ა მო-ჭარხლ-უ-ე	მყრალ- ჭარხალ-	თვისების მქონებლობა (მცენარის სახელი) თვისების მქონებლობა, მს- გავსება (მცენარის სახე-ლი)
-იერ-ობა	ქვეყნიერ-ობა	ქვეყანა	მთელი ქვეყანა, სამყარო
-ობა	ყან-ობა ხვამლ-ობა ჭრელ-ობა	ყანა ხვამლ- ჭრელ-	ყანაში მუშაობის დრო დროის მონაკვეთი (დღე- ობაა) აბსტრაქტულობა (სიჭრელე)
-ობ-ია	კენჭ-ობ-ია	კენჭ-	თამაშის სახელია (კენჭო- ბანა//კენჭობა)
-ურ	ბად-ურ-ი (ბადური შალი) მიქაუტაძე-ურ-ი >მიქაუტაძო-ურ-ი	ბადე მიქაუტაძე	მსგავსება გათხოვილი ქალის ქალი- შვილობის გვარი
ნა - ურ	ნა-ღამ-ურ-ი	ღამე	წინა ვითარება (ღამე ნა- ქონი, ნამყოფი)
სა - ე	სა-ჩალ-ე სა-წყლ-ე (საწყლე არხი) სა-ჯამ-ე სა-რღმ-ე	ჩალა წყალ- ჯამ- ღრმა	დანიშნულება დანიშნულება დანიშნულება აბსტრაქტულობა
სა - ურ	სა-ღამ-ურ-ი (საღამური ჩასაცემელი) სა-ბეჭ-ურ-ი	ღამე ბეჭ-	დანიშნულება (ღამისთვის განკუთვნილი) დანიშნულება (ჩოხაზე მი- საკერებელი, ბეჭებზე გად- მოსადები)

სი - ე	სა-ფართ-ე	ფართო	აბსტრაქტულობა
-ა > -ე	იასონ-ე	იასონ-	კნინობითობა
-ელ-ა>ელ-ე	კოწი-ელ-ე	კოწია	კნინობითობა
	ქაქუჩ-ელ-ე	ქაქუჩა	კნინობითობა
-ულ-ა>ულ-ე	აბრამ-ულ-ე	აბრაგი	კნინობითობა
-იკ-ე	ბიცოლ-იკ-ე	ბიცოლა	კნინობითობა
-იკ-ა	პატარ-იკ-ა	პატარა	კნინობითობა
-იკ-ელ-ა >	ბეს-იკ-ელ-ა	ბეს-	კნინობითობა
-იკ-ელ- ე	ბოშ-იკ-ელ-ე	ბოშ- (ბავშვ)	კნინობითობა
-უკ-ელ-ა >	ბოშ-უკ-ელ-ე	ბოშ- (ბავშვ)	კნინობითობა
-უკ-ელ-ე			
-იკ-ონ-ა >	რაჟ-იკ-ონ-ე	რაჟ-(რაჟდენ)	კნინობითობა
-იკ-ონ-ე			
-იკ-უნ-ა >	შალ-იკ-უნ-ე	შალვა	კნინობითობა
-იკ-უნ-ე			
-იკ-ო	დათ-იკ-ო	დათ-	კნინობითობა
-იკ-ო-ელ-ა >	დათ-იკ-ულ-ე	დათ-	კნინობითობა
-იკ-ულ-ე			
-ია > -იე	ბონდო-იე	ბონდო	კნინობითობა
-იკ-ია >-იკ-იე// -იკ-ფე	სოს-იკ-იე// სოს-იკ-ფე		კნინობითობა

სახელთა წარმოება გურულში

სიტყვაწარმოებითი მოდელი	ნაწარმოები სახელი	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
სი - ე (ნათ. ბრ.-ში დასმულნაცვალ სახელთან ერთად)	რამ-ი-სი-ლამაზ-ე (< რამ-ის სი-ლამაზ-ე)	ლამაზ-	თანაბრობის ხარისხი
სი - ო (ნათ. ბრ.-ში დასმულ ნაცვალსახელთან ერთად)	რამი-სი-სხ-ო (<რამ-ის სი-სხ-ო)	სხვ(ილ)-	თანაბრობის ხარისხი
სი - ვანი (<სი-ოვანი) //სი-ვანები	ამ-ი-სი-სხ-ვანი (< ამ-ის სი-სხ-ვანი) //ამ-ი-სი-სხ-ვანები	სხვ(ილ)-	თანაბრობის ხარისხი და სიმრავლე
ნა - არ	ნა-წინდ-არ-ი	წინდა	ნახმარი წინდა
ნა - ებ	ნა-კაბ-ებ-ი	კაბა	ნახმარი კაბა

სი - ობა -ობა	სი-ცივ-ობა კაძახ-ობა ლანქრ-ობა	ცივ- კაძახ- ლანქერ-	პერიოდი (როცა ცივა) აბსტრაქტულობა (კაცობა) დროის მონაკვეთი (გაზა- ფხულზე მდინარეების აღი- დების დრო)
-ელ	ასკან-ელ-ი	ასკანა	წარმომავლობა როგორც ვინ- ისე რა-ვგუფის სახე- ლების (ასკანელი მიწა)
-ეულ	შალ-ეულ-ი	შალ-	კრებითობა
-ეულ-ობა	ჭურჭლ-ეულ-ობა	ჭურჭელ-	კრებითობა
-ფხე // -ხე	ცინცაი-ფხე იმნაი-ფხე	ცინცა(ძე) იმნა(ძე) ან იმნა(იშვილი)	გათხოვილ ქალთა ქალი- შვილობის გვარი (ცინ- ცაძის ქალი) გათხოვილ ქალთა ქალი- შვილობის გვარი (იმნაძის ან იმნაიშვილის ქალი)
-ა // -ე (-<ა-ი)	თამარ-ა-ი თამარ-ე	თამარ თამარ	კნინობითობა კნინობითობა
-იკ-ა	ივან-იკ-ა ედემ-იკ-ა სიმონ-იკ-ა	ივანე ედემ- სიმონ-	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა
-უკ-ა	ბეჟ-უკ-ა-ი	ბეჟან-	კნინობითობა
-ელ-ა	კოწი-ელ-ა	კოწია	კნინობითობა
-იკ-ელ-ა	მარ-იკ-ელ-ა დათ-იკ-ელ-ა	მარი დათი	კნინობითობა კნინობითობა
-ია // -იე	ჭოლა-ია ჭოლა-იე ნინო-იე	ჭოლა ჭოლა ნინო	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა
-იკ-ია// -იკ- იე // -იკ-იი	ზალ-იკ-ია ზალ-იკ-იე ზალ-იკ-იი	ზაალ- ზაალ- ზაალ-	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა

სახელთა წარმოება აჭარულში

სიტყვაწარ- მოებითი მოდელი	ნაწარმოები სახელი	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
-ეულ	კოტრ-ეულ-ი ავად-ეულ-ი	კოტა ავად	მქონებლობა (სიმინდის ტაროიანი) ავადმყოფი
-ის-ეულ	ხორცის-ეულ-ი მამედას-ეულ-ი	ხორც(-ის) მამედა(-ს)	მქონებლობა კუთვნილება

-იერ	ჭკვ-იერ-ი კობ-იერ-ი სოფელ-იერ-ი	ჭკუა კობ- სოფელ-	მქონებლობა (ჭკვიანი) მქონებლობა (ქვიანი) წარმომავლობა (სოფლელი)
სი - ოგან > სი - ვან (ნა- ცვალსახელ- თან ერთად)	ამ სი-ხოშრ-ვან-ი ამის სი-გძ-ვან-ი	ხოშორ- გრძ(-ელ)-	თანაბრობის ხარისხი (ასე მსხვილები, სქელები) თანაბრობის ხარისხი და სიმრავლე (ასე გრძელები)
-არ	ჩხუტუნ-არ-ი	ჩხუტუნ(-ეთ)	წარმომავლობა (ჩხუტუ- ნეთელი)
-ურ > ურ // -ულ	ზენდიდ-ურ-ი აგარ-ულ-ა-ფ	ზენდიდ- აგარა	გათხოვილი ქალის წარ- მომავლობა (ზენდიდელი) გათხოვილი ქალის წარ- მომავლობა (აგარელი)
-ფხე	ინაი-ფხე ჯინჯარა-ფხე	ინა(იშვილი) ჯინჯარაძე	გათხოვილი ქალის წარ- მომავლობა გათხოვილი ქალის წარ- მომავლობა
ნა - ალ	ნა-სამ-ალ-ი	სამ-	წილობითი (მესამედი)
მე - ურ	მე-გზ-ურ-ე	გზა	მეგზური გზის მცოდნე, მჩვენებელი
მო - ე	მო-ცხ-ე	ცხ(-ელ)	ხარისხი (მოცხელო)
და - ო	და-შავ-ო	შავ-	ხარისხი (მოშავო)
მოდა - ო	მოდა-მცრე-ო	მცრე	ხარისხი (მომცრო)
-არ	ჩიქუნ-არ-ი	ჩიქუნ(ეთი)	წარმომავლობა (ჩიქუნე- ლი)
-ეთ	დავით-ეთ-ი	დავით	მიკუთვნებულობა (დავი- თიანი)
-ა	ნარინჯ-ა-ფ ჭრელ-ა-ფ შაქარ-ა-ფ თეთრ-ა-ფ	ნარინჯ- ჭრელ- შაქარ- თეთრ-	მსგავსება (ნარინჯისფერი) (საქონლის სახელია) თვისების მქონებლობა (საქონლის სახელია) თვისების მქონებლობა (ვაშლის ჯიშია) თვისების მქონებლობა (მსხლის ჯიშია)
-იკ-ა	ხუს-იკ-ა-ფ	ხუს(ეინი)	კნინობითობა
-უკ-ა	ხუს-უკ-ა-ფ	ხუს(ეინი)	კნინობითობა
-ულ-ა	ნენ-ულ-ა-ფ	ნენა	კნინობითობა
-ელ-ა	ლოჯ-ელ-ა-ფ	ლოჯ-	კნინობითობა
	სირ-ინ-ა-ფ	სირ-	კნინობითობა (ჩიტის სა- ხელია)

-ინ-ა	ლომ-ინ-ა-ფ	ლომ-	კნინობითობა (სიმინდის ღერლილისაგან დამზადებული ღომი)
-ია	შველ-ია ჩოჩ-ია-ფ (ჩოჩო-რი)	შველ- ჩოჩ-	კნინობითობა (საქონლის სახელია) კნინობითობა

სახელთა წარმოება იმერხეულში (კლარჯულში)

სიტყვაწარმოებითი მოდელი	ნაწარმოები სახელი	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
-ვან (<ოვან) //-უან// -ვან-ებ-ი (<ოვან-ებ-ი)	დიდ-ვან-ი ერიცახ-ვან-ი პატიტ-უან-ი // პატიტ-უან-ებ-ი	დიდ ერიცახე პატ(არა)	ნიშან-თვისების მქონებლობა და სიმრავლე (დიდები, უფროსები, წინაპრები) ნიშან-თვისების მქონებლობა და სიმრავლე (პატარები, ერთიბეწოები) ნიშან-თვისების მქონებლობა და სიმრავლე (პატარები)
-იან	ინათ-იან-ი ფშნილ-იან-ი ხაპირ-იან-ი	ინათ- ფშნილ- ხაპერ-	თვისების მქონებლობა (ჯიუტი არაბ. ინათ - სიჯიუტე) მქონებლობა (ყველიანი პური, ფშნიაი - ფხვიერი ყველი) მქონებლობა (ჭკვიანი, თავიანი)
უ - ო	უ-იშტაჰ-ო უ-კაც-ო	იშტა კაც-	უქონლობა (უმაღლო, იშტა - არაბ. ჭამის მადა, ხა-ლისი) უქონლობა (უქმრო)
ნა - ებ	ნა-ჭრელ-ებ-ი	ჭრელ-	წინდის სახე (სურათი, ნახატი ან ფიგურა)
სა - ო	სა-გარეთ-ო	გარეთ	დანიშნულება (გარეთ ჩასაცემელი)
სა - ე	სა-ფხოვრ-ე	ხბო	დანიშნულება (სახბოვრე)
სა - ურ	სა-ბეჭ-ურ-ო სა-ჯაჭ-ურ-ი	ბეჭ- ჯაჭვ-	დანიშნულება (1. ბეჭზე შემოსადები მსხვილი ჯოხი 2. ბეჭით მოტანილი შეშა) დანიშნულება (ძელი, ჯაჭვის ჩამოსაბმელი)

-ობა	კალვ-ობა გონჯ-ობა	კალო გონჯ-	დროის პერიოდი (კალო-ობა) აბსტრაქტულობა (სიავე, სიცუდე)
-ურ-ა	ბათუმურ-ა-ი	ბათუმ-	წარმომავლობა (ვაშლის ჯიში)
-ა	ბაირალ-ა-ი ბუმბულ-ა-ი გულიზარ-ა-ი დათვალსხალ-ა-ი (დათვა-მსხალა) კევიფერ-ა-ი	ბაირალ- ბუმბულ- გულიზარ- დათვალსხალ- კევიფერ-	მსგავსება (ბაირალის მსგავსი) მსგავსება (ბუმბულის მსგავსი, რბილი, ფაფუკი) კნინობითობა (ქალის საკუთარი სახელია) მქონებლობა-კნინობითობა (მცენარეა) თვისების მქონებლობა (კევის ფერისა)
-ელ-ა	ლოჯ-ელ-ა-ი	ლოჯ-	კნინობითობა (ლოჯი კბილი)

სახელთა წარმოება სამცხურ-ჯავახურში

სიტყვაწარმოებითი მოდელი	ნაწარმოები სახელი	საწარმოებელი ფუძე	სემანტიკა
-იერ	სინდის-იერ-ი	სინდის-	მქონებლობა
-ოვან (>ვან)	დიდრ-ვან-ი	დიდ-	თვისების მქონებლობა და სიმრავლე (დიდები)
მე - ე	მე-ბად-ე მე-რჯულ-ე	ბადე რჯულ-	ხელობა (მეზადური) რჯულის მიმდევარი
მო - ურ	მო-თა-ურ-ი	თავ-	დანიშნულება
-ურ	აქ-ურ-ი სიდა-ურ-ი მიწ-ურ-ი	აქ სიდა მიწა	წარმომავლობა წარმომავლობა მიწაში გაკეთებული, მიწის
-ელ	რაბათ-ელ-ი	რაბათ-	წარმომავლობა
-ურ-ელ	სადა-ურ-ელ-ი // სადა-ვრ-ელ-ი	სადა	წარმომავლობა (სადაური)
უ - ელ	უ-რიცხვ-ელ-ი მანდა-ურ-ელ-ი	რიცხვ- მანდა	უქონლობა (ურიცხვი) წარმომავლობა (მანდაური)
-ეთ	ობილ-ეთ-ი დედოფლ-ეთ-ი	ობოლ- დედოფალ-	ტოპონიმია ტოპონიმია

სა - ე	სა- თიხ-ე	თიხა	ადგილ-მდებარეობა
სა - ო	სა-ყარაულ-ო	ყარაულ-	ადგილ-მდებარეობა
სა - ურ (სა - ულ)	სა-რთა-ულ-ი		ადგილ-მდებარეობა
ნა - არ (ნა - ალ)	ნა-ვენახ-ალ-ი	ვენახ-	წინავითარება
ნა - ებ (ნა - ევ)	ნა-ზვრ-ევ-ი	ზვარ-	წინავითარება
-ეულ	ვედრ-ეულ-ი	ვედრ-	ადგილ-მდებარეობა
-ნარ (-ნალ)	ლოდ-ნარი	ლოდ-	ადგილ-მდებარეობა (ლო- დებიანი ადგილი)
-ობ	მლაშ-ობ-ი	მლაშე	ადგილ-მდებარეობა (მლაშე ნიადაგი)
-ობა	ბეგ-ობა ვაჟიკაც-ობა კალუ-ობა მამლიყვილ-ობა მიმართულ-ობა უსაკმარის-ობა	ბეგ- ვაჟიკაც- კალო მამლიყვილ- მიმართულ- უსაკმარის-	აბსტრაქტულობა აბსტრაქტულობა დროის მონაკვეთი (კალოს გამართვის დრო) დროის მონაკვეთი (მამ- ლის ყვილის დრო) აბსტრაქტულობა აბსტრაქტულობა
ჯერ-// -ჯელ	ორ-სამჯელ	ორ-სამ-	ჯერობა
-ა	გიორგ-ა ბაგრატ-ა-ი ბილიკ-ა ექვსუღელ-ა	გიორგი ბაგრატ- ბილიკ- უღელ-	კნინობითობა კნინობითობა კნინობითობა მქონებლობა (ექვსუღლიანი)
-ლე	ნინო-ლე ძალო-ლე	ნინო ძალო	კნინობითობა კნინობითობა
-ელ-ა	ერცახ-ელ-ა	ერცახე	კნინობითობა
-უნ-ა	ქალ-უნ-ა	ქალ-	კნინობითობა
-ულ-ა	აჭარ-ულ-ა ჩუნჩხ-ულ-ა	აჭარა ჩუნჩხ-	წარმომავლობა და კნინო- ბითობა (ხილის სახელია) წარმომავლობა და კნინო- ბითობა (ჩუნჩხიდან გათხოვილი)

2.4. სახელწმინათა წარმოების თავისებურებები (დასავლური დიალექტები)

სახელწმინათა წარმოების პრინციპი დასავლურ დიალექტებში რიგ თავისებურებებს მოიცავს, მაგრამ ძირითადად იგი იმავე აფიქსებით გამოიხატება, რომლებიც სალიტერატურო ქართულისათვის არის დამახასიათებელი. ანალიზის პროცესში ძირითადად დგება ორი საკითხი — ფუძის საკითხი, ანუ რა არის აღებული საწყისისა და მიმდებარის ფუძედ და მაწარმოებლის საკითხი, ანუ რომელი მაწარმოებელია ფორმებისათვის გამოყენებული. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ მაწარმოებელთა სისტემა, რა თქმა უნდა, საერთოა სალიტერატურო ქართულთან, მაგრამ დიალექტებისათვის დამახასიათებელია მათი გამოყენება სხვა ძირებთან, სხვა ფუძებთან. ესაა ძირითადი თავისებურება, რომელიც გამოიკვეთება დასავლეთის რეგიონის დიალექტებში სახელწმინათა წარმოების საერთო ნიშნად.

საწყისი მოქმედების სახელადაც განიხილება და იგი არსებითი სახელის ფუნქციის მქონეა წინადადებაში. საწყისის წარმოებაში რამდენიმე საკითხის გამოყოფაა შესაძლებელი:

-ილ სუფიქსიანი ფორმები — რაჭულში, გურულსა და იმერულში გვხვდება **-ილ** სუფიქსიანი მასდარები. იგი შეიძლება ენაცვლებოდეს **-ნ** სუფიქსს ან სხვადასხვა თემის ნიშანსაც. **რაჭული — ძებილი, ხადილი, ხვეწილი... იმერული — დევილი, პატიყილი, ხვერწილი, ყეფილი, ძებილი... გურული — ზიდილი, მზადლი, სესხილი, ტანჯილი...**

ამ დიალექტებისათვის ასევე დამახასიათებელია **-ნ** სუფიქსიანი ფორმებიც: **თონნა, კოცნა...** შესაძლებელია საწყისისეული **-ნ** სუფიქსი დაიკარგოს და ფორმა მხოლოდ **-ა** მაწარმოებლით იყოს წარმოდგენილი: **შოვა (<შოვნა)**

საწყისის ანალიზისას ცალკე უნდა გამოიყოს იმ ფორმათა წარმოების საკითხი, რომლებსაც ხმოვანმონაცვლეობა, ანუ აბლაუტი, ახასიათებთ. ამ ტიპის ზმნების საწყისად დასავლურ დიალექტებში ძირითადად **-ი** ხმოვნის ვარიანტები დასტურდება, რომლებიც ასევე გართულებულია **-ავ** თემის ნიშნით: **ბზიკვა, ქშინვა, ღრინვა, კრიფვა,**

კბინვა, ჭელიტვა. ეს მთავარი მახასიათებელია დასავლურ დიალექტებში სახელზმნების წარმოებისათვის.

დასავლური დიალექტებისათვის ასევე დამახასიათებელია ერთთემიანი ზმნების გაფორმება თემის ნიშნებით, ძირითადად კი **-ავ** თემის ნიშნით: **ტეხვა, მოხვეჭვა...** შეიძლება ფორმა **-ებ** თემის ნიშნითაც განიერცოს: **დასწავლება.**

საწყისის წარმოებაში ცალკე ჯგუფს შეადგენს ის ფორმები, რომლებსაც სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული თემის ნიშნები აქვთ, ანუ ამ ფორმებში თემის ნიშანთა შენაცვლება ხდება: **-ობ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ავ: იმერული — ბურთავი, გორავი, ქაჩავი, კინკლავი, ლოლოავი, შერთობა...**

იმვითად, მაგრამ იმერულში დასტურდება ისეთი მასდარული ფორმები, რომლებშიც სხვადასხვა კატეგორიის ნიშანი ვლინდება. ასეთ ნიშნად შეიძლება ფორმაში აისახოს ვნებითისეული **-დ** სუფიქსი — **გაჯავრდნა**, ან პირის ნიშანი — **სდევნა, სტანჯვა.**

იმერხელ დიალექტში გვხვდება **-ობ** თემის ნიშნით გართულებული **ჩხუბობა** ფორმა. ასევე ამავე დიალექტში ვლინდება **-ინ** მაწარმოებელით გაფორმებული საწყისი — **თხოვინი**, რომელიც **-ილ** მაწარმოებლის ფონეტიკურ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ.

მიმღეობა

სასუბიექტო მიმღეობის ძირითად მაწარმოებლად **მ-/მა-** პრეფიქსი განიხილება. წარმოების პრინციპი დიალექტებშიც იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში, მაგრამ სხვაობს ფუძის საკითხი. ხშირად მიმღეობური ფუძის აგების პრინციპი დიალექტებში განსხვავებულია და დიალექტურ ნაირგვარობასაც ეს ქმნის. დიალექტურ ფორმებში ხშირადაა შენაცვლებული თემის ნიშანი ან იგი დამატებითაა წარმოდგენილი, ასევე სასუბიექტო მიმღეობის წარმოებაში ვლინდება **-ელ** მაწარმოებელი.

იმერული — შემკერველი, გამტენელი, დამთესელი, მრეცხველი, დამბარველი, დამწერელი...

რაჭული — მხნავი (= მხვნელი), მთხოელი (=მათხოვარი), მეცარი-ი (=მეცნიერი, გულთმისანი), მდიდარე (= მდიდარი)...

ლენხუმურ დიალექტში სასუბიექტი მიმღეობის მთავარ მაწარმოებლად **მა-** პრეფიქსი ვლინდება: **მაბარავი, მაწერავი, მათესავი, მაჩივარი, მაყივარი, მათონარი...**

აჭარულისათვის დამახასიათებელია **მ** — **ალ** მაწარმოებულებით სასუბიექტო მიმღეობის გაფორმება: **გამქარვალი** (*გამქრობი*), **მობრუნვალე** (*მბრუნავი*), **მგორვალე** (*მგორავი*), **გამფრინვალე** (*ფრინველი*)... **მ-არე**: **მყოფინარე** (*მყოფნელი*). მხოლოდპრეფიქსული წარმოება: **დამწერი, შემნახი, მაძავი...**

რაც შეეხება საობიექტო მიმღეობას, მისი წარმოებისათვის დიალექტებში გამოიყოფა რამდენიმე პროდუქტიული მაწარმოებელი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვან თავისებურებას ქმნის ფუძის საკითხი.

საობიექტო მიმღეობის წარსული დროის გადმოსაცემად ყველაზე ხშირად გამოყენებული სუფიქსია **-ილ**. **იმერული** — **დაწყილი, ავსილი, ანთილი, გამზადილი, გაცინილი // გაცინული...** ეს ფორმები თემის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. ზოგიერთი ფუძე კი შეიძლება თემის ნიშნით იყოს გართულებული: **თესებული, წერებული...** -ილ მაწარმოებელი ასევე პროდუქტულია **აჭარულში** — **გაწურვილი, დაღუმპვილი, ავსილი, დამზადილი, დაუთვილი, დაწვილი...** -ულ სუფიქსი: **დაჭირული, დათესული...** წარსული დროის მიმღეობის საწარმოებლად გვხვდება **ნა-**პრეფიქსიანი ფორმები: **ლეჩხუმური — ნათონარი...** **იმერხული — ნათონავინი...**

მომავალი დროის მიმღეობის გავრცელებული მაწარმოებელია **სა-**პრეფიქსი. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით დიალექტში პრეფიქსული წარმოება უფრო გავრცელებულია. **იმერული** — **გასათალი, დასასვარი, გადასაყარი, მოსარიდი, წასავალი, გასარები...**

აჭარულში გვხვდება კონტამინაციური ფორმები: **დასასატავლისი, საყოფისი, საკმავისი...**

უარყოფის მიმღეობა **უ-არ, უ-ელ** აფიქსებით იწარმოება. **რაჭული** — **უცოდარი, დაულევარი...** უარყოფის მიმღეობის გადმოცემის საკითხში ყველაზე დიდი თავისებურება დასავლურ დიალექტებში არის ის, რომ უარყოფის ფორმები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორმაგი უარყოფის ფორმით: **იმერული** — **უგოუთლედი, უდოუჭერებელი, უგოუკეთებელი, უგოუგებარი...** სრული ასიმილაციით: **უდუუწერელი, უგუუთლედი...** **აჭარული** — **უდაუდებელი / უდუდებელი, უდუხვენებელი, უდუხნავი, უდუღეველი, უდუძინებელი, უწუწერელი, უწუხლედი...**

2.4.1. სახელზმნა

დიალ.	საწყისი	სასუბიექტო მიმღეობა
<p>ი მ/ წ ე წ ე წ ე</p>	<p>ძებლი ხადილი ხვეწილი (-ილ სიფიქსიანი მასდარები)</p>	<p>მ-ხნ-ავი (= მხვნელი) მ-თხო-ელ-ი (=მათხოვარი), მ-ცნა-ურ-ი (=მეცნიერი), მე-ცარ-ი (=მეცნიერი, გულთმისანი) მ-დიდ-არ-ე (=მდიდარი)</p>
	<p>საობიექტო მიმღეობა</p>	
	<p>წარსული დროის</p> <p>შე-წუხ-ვ-ნ-ილ-ი (=შეწუხებული), და-ნარჩომი (=დარჩენილი)</p>	<p>მომავალი დროის</p> <p>სა-ბმ-ურ-ი (=საბელი), სა-მუშა-ე (=სამუშაო), წა-სრული (<წასლული)</p>
დიალ.	საწყისი	სასუბიექტო მიმღეობა
<p>ი მ/ წ ე წ ე წ ე</p>	<p>ღვეილი, პატიჟილი, ხვერწილი, ყვეფილი, ძებლი (ხშირია -ილ სუფიქსიანი მასდარები); ბზიკვა, ქშინვა, ღრინვა, კრიფვა, კბინვა, ჭყლიტვა, ტეხვა, მოხვეჭვა (გართულებული თემა); შერთობა, დასწავლება (თემის ნიშნის შენაცვლება); ბურთავი, გორავი, ქანავი, კინკლავი, ლოლიავი, ქაჩავი, გაჯავრდნა (ვნებითისეული -დ მასდარში); სდევა, სტანჯვა (ობ. პირის ნიშანი მასდარში)</p>	<p>შემკერველი, გამტეხელი, დამთესელი, მრეცხველი, დამბარველი, დამწერელი (მაწარმოებელი -ელ)</p>
	<p>საობიექტო მიმღეობა</p>	
	<p>წარსული დროის</p> <p>დაწყილი, ავსილი, ანთილი, გამზადილი, გაცინილი//გაცინული (თემის ნიშნის გარეშე); თესებული, წერებული (თემის ნიშნით); მოტანული, შემოღობული, აჭირული, დაბეჭდული, გათხოული//დადებილი, დასწრებილი (მონაცვლეობს -ილ და -ულ)</p>	<p>მომავალი დროის</p> <p>გასათალი, დასასვარი, გადასაყარი, მოსარიდი, წასავალი, გასარები (პრეფიქსული წარმოება)</p>

	გათბობილი, გაშრობილი, გახმობილი, ჩაქრობილი, დადნობილი, წახთომილი (მ-არ ნა-ცვლად -ილ)		
დიალ.	საწყისი		სასუბიექტო მიმღეობა
ი მ ე ნ ი ს			მაბარავი, მაწერავი, მათესავი, მაჩივარი, მაყივარი (ა პრეფიქსიანი) მათოხარი, მაჩივარი (ა-პრეფიქსით)
	საობიექტო მიმღეობა		
	წარსული დროის	მომავალი დროის	უარყოფის მიმღეობა
	ნათოხარი	სათოხარი	
დიალ.	საწყისი		სასუბიექტო მიმღეობა
ი მ ე ნ ი ს	ზიდილი (ზიდვა) მზადილი (მზადება) სესხილი (სესხება) ტანჯი // ტანჯილი დავი // დავილი		
	საობიექტო მიმღეობა		
	წარსული დროის	მომავალი დროის	უარყოფის მიმღეობა
	ჭმული, წასრული, შეკერული	გადასაყარი, გასაზარდი, დასასვარი, დასაშალი	
დიალ.	საწყისი		სასუბიექტო მიმღეობა
ი მ ე ნ ი ს			მეგზური მეხეური (ხეზე ამსვლელი); გამქარვალი (გამქრობი); მობრუნვალე (მბრუნავი); მგორვალე (მგორავი); გამფრინვალე (ფრინველი) მყოფინარე (მყოფნელი) დამწური, შემნახი, მადავი (პრეფიქსული)

საობიექტო მიმღეობა			
წარსული დროის	მომავალი დროის	უარყოფის მიმღეობა	
გაწურვილი, დაღუმბვილი, დაჭირული, დათესული, ავსილი, დამზადილი, მოსტრილი, დაუთვილი (დაუთოვებულო), დაწვილი, დაჭირული	მოსაჭმელო (კონბულიტამინ.), დასასტავლისი, საყოფისი (-ის სუფიქსი) საკმავისი (კონტ.)	უდაუდებელი//უდუდებელი, უდუსვენებელი, უდუნახავი, უდულეველი, უდუძინებელი, უჩუწერელი, უწუსლელი (ნოღ., ნიჟ.)	
დიალ.	საწყისი	სასუბიექტო მიმღეობა	
ი მ ე ზ ნ ე უ ე/ე	ჩხუბობა, თხოვინი	გამფრინვალე	
	საობიექტო მიმღეობა		
	წარსული დროის	მომავალი დროის	უარყოფის მიმღეობა
	ნათხოვინი, გაკოჭვილი, ავსილი		

2.5. მიმღეობა ქართულ დიალექტებში

მიმღეობები დერივაციული ლექსიკის ის ნაწილია, რომელსაც მოქმედების აღმნიშვნელ სახელებთან აქვს ორგანული კავშირი ანუ მოქმედების აღმნიშვნელ სახელთაგან იწარმოება, რომელიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „მასდარის“ სახელითაა ცნობილი და რომელიც მიმღეობასთან ერთად „სახელზმნათა“ სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება. ე. ი. იგი სუბსტანტივია, მაგრამ ამავე დროს აქვს ზმნური ნიშნებიც, უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვაა. საუბრობენ მასდარის წარმოებაზე. მაგრამ მასდარი არ არის რაიმე სხვა ფუძისაგან ნაწარმოები. იგი თვითონაა საწარმოებელი ფუძე წარმოქმნილი (არაძირეული, მოტივირებული) სუბსტანტივებისა და ადიექტივებისა. სწორედ ნაზმნარ, ანუ მასდარისგან ნაწარმოებ ადიექტივებს წარმოადგენს მიმღეობა. ფორმალურად იგი სამ სტრუქტურულ ჯგუფს ქმნის: კონფიქსური ანუ პრეფიქს-სუფიქსური წარმოებისა, პრეფიქსული და სუფიქსური. ეს წესი უნვიერსალურია როგორც სალიტერატურო ქართულს, ისე მთელი დიალექტოლოგიური სპექტრისათვის. რაც შეეხება სემანტიკურ მიმართებებს, აქ მიმღეობები ორი ძირითად ნაწილად განიყოფებიან: აქტიურნი და პასიურნი. აქტიური სემანტიკისაა კონფიქსური მიმღეობები. პასიურ ჯგუფს კი ქმნიან ოდენ პრეფიქსულები და ოდენ სუფიქსურები. თავის მხრივ აქტიურ მიმღეობებში გამოიყოფა სუბიექტური მიმართებისა და ობიექტური მიმართების ჯგუფები. სუბიექტური მიმართებისაა **მ//მა** — თავსართითა და **-ელ** ბოლოსართით ნაწარმოები მიმღეობები ე. ი. **მ(ა) — ელ** კონფიქსური ჯგუფი, ხოლო ობიექტურ მიმართებას აჩვენებს **სა — ელ** კონფიქსური ჯგუფი. ასე რომ, ერთი და იმავე მასდარისგან ნაწარმოები აქტიური მიმღეობები სუბიექტურ-ობიექტური მიმართებების თვალსაზრისით ასეთ სურათს წარმოგვიდგენს: მასდარი **შენება, მ(ა)-შენებ-ელი** — ის, ვინც აშენებს, — სუბიექტური მიმართება და **(ა)სა-შენებ-ელი** — ის, რაც უნდა ააშენონ — ობიექტური მიმართება; მასდარი **ჭამა, მ-ჭამ-ელი** — ის, ვინც ჭამს, — სუბიექტური მიმართება და **სა-ჭამ-ელი** — რასაც ჭამენ — ობიექტური მიმართება.

რაც შეეხება პასიურ მიმღეობებს, იმავე მასდარებისაგან ნაწარმოები მიმღეობების სტრუქტურულ-სემანტიკური სურათი ასეთი იქნება: **ნა-**

შენები, შენების შედეგი, არ ჩანს არც სუბიექტი, ვინც აშენა და არც ობიექტი, რაც აშენეს. ე. ი. სუბიექტურ-ობიექტური მიმართებების თვალსაზრისით ნეიტრალურია. ეგვევ მიმართებები ჩანს, ანუ არ ჩანს მიმართებები მიმღეობაში **აშენებ-ული**. ესეც სუბიექტურ-ობიექტური მიმართებების თვალსაზრისით ნეიტრალურია. ცალკე ჯგუფს ქმნის სტატიკური შინაარსის მასდარებისგან — **წოლა, დგომა, ჯდომა, ძილი, ფიქრი** და ა. შ. ნაწარმოები მიმღეობები: **მ-წოლ-არე, მ-დგომ-არე, მ-ჯდომ-არე, მ-ძინ-არე, მო-ფიქრ-ალი** და ა. შ. ესენი სტრუქტურული თვალსაზრისით აქტიურ მიმღეობებს მიეკუთვნებიან, ხოლო სემანტიკური მიმართებების თვალსაზრისით პასიურთა ჯგუფში ერთიანდებიან.

როგორც ვთქვით, ზოგადად მიმღეობათა ეს სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართებები ერთიანია, უნივერსალურია მთელი ქართული ენისათვის თანამედროვე სინქრონიულ ჭრილში. ერთმანეთისგან არ სხვაობს სალიტერატურო ენა და ბარის დიალექტები. ვარიანტულ განსხვავებებს ვხედავთ მხოლოდ მთის დიალექტებში, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევსურულში, სადაც დიალექტური თავისებურებები დასტურდება როგორც მაწარმოებელ აფიქსებში, ისე სემანტიკურ მიმართებებში. ყველაზე თვალსაჩინო თავისებურებას ავლენს აქტიურ მიმღეობათა როგორც საწარმოებელი აფიქსები, ისე მიმღეობათა წარმოების სტრუქტურული აგების წესი. **მ(ა)—ელი-ს** ადგილზე აქ **მ(ა) — ე** კონფიქსი გვაქვს. მიმღეობის წარმოებისას მასდარს ეხსნება თემის ნიშანი, მისი მოქმედების სახელად მადეტერმინებული ელემენტი და ასე დაერთვის მიმღეობის მაწარმოებელი **მ — ე**. მასდარი **აშენება**, მიმღეობა ბარის დიალექტებში — **ა-მ-შენებ-ელი**, მთის დიალექტებში **ა-მ-შენ-ე; გაკეთება — გა-მკეთებელი — გა-მ-კეთ-ე**.

გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველა: მთელის ქისტეთისა **ამომგდე** („სტუმარ-მასპინძელი“); **მამხსენე** არა მრჩებაო („მწყემსის ანდერძი“); მიჭმით ბროლას, თეოზე **მყეფესა** (იქვე). თუშურ დიალექტში **ძახება** მიცვალებულის მოხსენიებას ნიშნავს. შინ **მძახე** გაწყვეტილი — ოჯახში მომხსენიებელგათავებულია. ასევეა ხევსურულში: **გაჯავრება — გამჯავრე; თენება — ღამის მთენე; ღუღება — ღუღის მღუღე**.

არის კიდევ მიმღეობის ადიექტივაციასთან დაკავშირებული უაღრესად ნიშანდობლივი წესი, რაც უცხოა ბარის დიალექტებისათვის და მხოლოდ მთის დიალექტებს ახასიათებს. ჩვეულებრივ აქტიური მიმღეობები მსაზღვრელ სახელებად გამოიყენება აქაც, მაგრამ აგრეთვე ადვილად ხდება ამ ზმნური ადიექტივების გასუბსტანტივება, ასე მაგალითად, მჭამელი ადიექტივია და ის განსაზღვრებად შეიძლება ახლდეს

სახელს: **მჭამელი** პირუტყვი, მჭამელი ძროხა, მაგრამ მიმღეობის ამავე ფორმას თუშურში კიდევ ორი მნიშვნელობა აქვს და ამ მნიშვნელობებით იგი სუბსტანტივია: ერთი მნიშვნელობით იგი კანის დაავადებაა, ე. წ. ეგზემა, ხოლო მეორე მნიშვნელობით ოჯახის წევრსაც აღნიშნავს. საჭმელი თუშურ დიალექტში პირუტყვის საკვებია, ჩალა-თივა. მაგრამ თუ ამ მიმღეობებს დაურთავთ სპეციალურ მადიექტივებულ სუფიქს -ა-ს, იგი ისეთ ადიექტივად იქცევა, რომელიც აუცილებლად თავის გვერდით საზღვრულსაც გულისხმობს **მჭამელაჲ ფურ**, **საჭმელაჲ ზოკო** და რაც მთავარია, ამ მიმღეობურ მსაზღვრელებს სუბსტანტივებად ვერასოდეს გამოვიყენებთ.

ეგვევ თვისება ახასიათებს -ა ბოლოხმოვნიან ზედსართავ სახელებსაც. ამ დაბოლოების გარეშე ადიექტივები შეიძლება სუბსტანტივებად იქნენ გამოყენებულნი, მაგრამ თუ მათ -ა მაწარმოებელს დავურთავთ, ისინი მხოლოდ მსაზღვრელად გამოიყენებიან.

აქედან ერთი დასკვნაც გამომდინარეობს: -ა სუფიქსური მორფემის ერთი ძირითადი ფუნქცია ადიექტივაციაა.

მიმღეობა თუშურში

სიტყვა-წარმოების მოდელი	მიმღეობა	მასდარი	სემანტიკური მიმართება
მ — ელწ	მ-ჭამ-ელწ მ-ჭრ-ელწ (ა)მ-შენებ-ელწ	ჭამა ჭრა (ა)შენებაა	სასუბიექტო (ვინც ჭამს) სასუბიექტო (ვინც, რაც ჭრის) სუბიექტური (ვინც ააშენებს), ვისაც აშენება შეუძლია)
მ — ელასწ	მ-ჭამელასწ მ-ჭრ-ელასწ (ა)მშენებ-ელასწ	ჭამაჲ ჭრაჲ აშენებაა	სუბიექტური (ვინც ჭამს, ჭამის მოყვარული) სუბიექტური (რაც კარგად ჭრის) სუბიექტური (ვინც ააშენა, კონკრეტული რაიმე)
სა — ელწ	სა-ჭმ-ელწ საჭრ-ელწ (ა)სა-შენებ-ელწ	ჭამაჲ ჭრაჲ (ა)შენებაა	ობიექტური (რაც უნდა ჭამონ; პირუტყვის საკვები) ობიექტური (რაც უნდა გაიჭრას; ჭრის იარაღი) ობიექტური (რაც უნდა აშენდეს, ააშენონ)
სა — ელასწ	სა-ჭმ-ელასწ	ჭამაჲ	ობიექტური (რაც იჭმება, საჭმელად ვარგა)

	სა-ჭრელ-აყრ	ჭრად	ობიექტური (რაც იჭრება, ადვილად ჭრადი)
სა — ელაცრ	სა-სმ-ელაცრ	სმად	ობიექტური (რაც ისმება; სამელად ვარგისი)
ნა —	ნა-ძრავი ნა-ჭარნ ნა-ჯავრ	ძრვა ჭრად გაჯავრა	ნეიტრალური (რაც იძვროდა; მიწა, რომელიც იხვებოდა) ნეიტრალური (რაც იჭრებოდა; ჭრილობა) ნეიტრალური (რაც გაიჯავრა)
— ულნ	აშენებ-ულნ (გა)ზდ-ულნ (გა)ჭიმ-ული	(ა)შენება (გა)ზდვა (გა)ჭიმვა	ნეიტრალური (რაც აშენდა) ნეიტრალური (რაც გაიზდო) ნეიტრალური (რაც გაიჭიმა)
მ — ე	მ-სწავლ-ე გა-მ-ჭრ-ე გა-მ-რიგ-ე მ-ძახ-ე	სწავლება გაჭრა (სამართლის ქნა) გარიგება (საზოგად მართვა) ძახება (შენდობის თქმა)	სუბიექტური (ვინც ასწავლის) სუბიექტური (ვინც ჭრის, სწორ სამართალს იძლევა) სუბიექტური (ვინც არიგებს) სუბიექტური (ვინც უძახებს — შენდობას ეტყვის)
მო-მ- მო-მ-აყ	მო-მ-ველაცრ მო-მ-ველაცრ-აყრ მო-მ-ქსოვრ მომქსოველნ მო-მ-ქსოვ-ელ-აყრ	მოველვა (პოვნა) მოხელვა მოქსოვა მოქსოვა	სუბიექტური (ვინც მოჰველავს, იპოვის) სუბიექტური (ვინც მოველავს რაღაც) სუბიექტური (ვინც მოქსოვს, მოქსოვა შეუძლია) სუბიექტური (ვინც მოქსოვავს რაღაც)
მო-სა — მო-სა — აყ	მო-სა-ველაცრ გულ-მო-სა-ველაცრ-აყრ	მოველვა გულ-მოველვა	ობიექტური (რაც უნდა მოველონ) ობიექტური (გულის საპოვნელი, სასიამოვნო)
სა — ო	სა-წუხილ-ო სა-ჩოთირ-ო და-სა-ნდ-ო	წუხილი ჩოთირი და-ნდობა	ობიექტური (რაზეც წუხან) ობიექტური (რაც ეჩოთირებათ) ობიექტური (ვისაც ენდობიან)

მიმღობა ხევსურულში

სიტყვა-წარმოების მოდელი	მიმღობა	მასდარი	სემანტიკური მიმართება
მე — ურ	მე-ხვეწ-ური	ხვეწნა	სუბიექტური (ვინც ეხვეწება, მთხოვნელი)
მო — ური	მო-ნატ-ური	ნატვრა	ობიექტური (ვისაც ენატრება)

	მო-ცად-ური	ცდა	ობიექტური (რასაც ცდილობს)
ნა-	ნა-რჩომ-ი ნა-ხეჩ-ი	დარჩომა ხეჩა	ნეიტრალური (რაც დარჩა) ნეიტრალური (რაც დაიხეჩა)
სა — ელი	სა-ტირ-ელი სა-ქნ-ელი	ტირილი ქნა	ნეიტრალური (ტირილის ღირსი) ნეიტრალური (რაც უნდა იქნეს)
სა — ური	სა-ნდა-ური სა-ნატ-ური	ნდობა ნატვრა	ნეიტრალური (ნდობის ღირსი) ნეიტრალური (ნატვრის ღირსი)
მ- — -ელ	მ-ხოიშნებ-ელი მ-ხოიშნ-ელი მ-წყალობ-ელი	ხოიშნება (შენდობა, წყალობა) — „ — წყალობა	სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური
მე-	მე-შველი	შველა	სუბიექტური
მ- — ე	მე-ძახ-ე მ-თენ-ე მ-რიგ-ე გა-მ-ჯავრ-ე გა-მ-გორ-ე მ-ღუღ-ე	მეძახე თენება რიგება გაჯავრება გაგორება ღუღება	სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური
მ-	და-მ-ჩუმებ-ი შა-მ-ტყობიებ-ი შა-მ-წევ-ი და-მ-ფასავ-ი და-მ-კრავ-ი მა-მ-კლავ-ი	დაჩუმება შატყობიება შაწევა დაფასება დაკრვა მაკლვა	სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური სუბიექტური
სა — ელ	სა-ტირ-ელი სა-ქნ-ელი სა-ჯნვ-ელ	ტირილი ქნა ჯნვა	ობიექტური (ვინც უნდა იტირონ) ობიექტური (რაც უნდა ქნან) ობიექტური (რასაც ჯნავენ)
სა — არი სა — ალი	საქურდ-ალი სა-ხუც-არი	ქურდობა ხუცობა	ობიექტური (რაც უნდა იქუ- რდონ) ობიექტური (ლოცვა, რაც უნდა იხუცონ)
სა — ო	სა-ხუც-ო სა-შიშ-ო გა-სა-გ-ო გა-სა-თა-ო	ხუცობა შიში გაგება გათავება	ობიექტური (რითაც უნდა იხუ- ცონ) ობიექტური (სახიფათო, საშიში) ობიექტური (რაც უნდა გაიგონ) ობიექტური (რაც უნდა გაა- თავონ)
სა — ავი	სა-ხათრ-ავი	დახათრება	ობიექტური (რასაც ეხათრე- ბა, ერიდება)

	სა-ფიც-ავი	ფიცვა	ობიექტური (რასაც იფიცავს)
მა — ე	მა-ცნ-ე მა-ვნ-ე	ცნობება ვნება	სუბიექტური (ვინც აცნობებს) სუბიექტური (ვინც ავნებს)
მა — ური მა — ული	მა-ძახ-ური მა-არ-ული	ძახება სიარული	სუბიექტური (ვინც უძახის) სუბიექტური (ვინც დადის)

მიმღეობა ფშაურში

სიტყვაწარმოების მოდელი	მიმღეობა	მასდარი	სემანტიკური მიმართება
მ — ე მე — მ	მა-მ-გონ-ე ამო-მ-გდ-ე გა-მ-კეთ-ე მე-ნდომ-ე	მოგონება ამოგდება გაკეთება ნდომა	სუბიექტური (ვინც მოიგონებს) სუბიექტური (ვინც ამოაგდებს) სუბიექტური (ვინც გააკეთებს) სუბიექტური (ვისაც უნდა)
მ-, მე-	მე-რჩოლ-ი მე-შველ-ი მ-ქონ-ი	რჩოლა შველა ქონა	სუბიექტური (ვინც ერჩის) სუბიექტური (ვინც შველის) სუბიექტური (ვისაც აქვს)
სა — არ	სა-ზიზღ-არი სა-ცოდ-არი სა-ხვეწ-არი	ზიზღება შეცოდება ხვეწა	ობიექტური (რაც ეზიზღებათ) ობიექტური (რაც ეცოდებათ) ობიექტური (რასაც ეხვეწებიან)
სა — ელი	სა-რჩევნ-ელი სა-ცინ-ელი და-სა-წერ-ელი	რჩევა სიცილი დაწერა	ობიექტური (რასაც არჩევენ) ობიექტური (რაზეც იცინიან) ობიექტური (რაც უნდა დაწერონ)
სა —	სა-ვალი სა-მყოფი	სვლა ყოფნა	ობიექტური (გზა, რაც უნდა გაიარონ) ობიექტური (ყოფნის საშუალება)
-ილი	გაჯდ-ილი შანახ-ილი ჩათუთქვ-ილი	გაჯდომა შანახვა ჩათუთქვა	ნეიტრალური (ის ვინც გახდა) ნეიტრალური (ის, რაც შენახული იქნა) ნეიტრალური (ის, რაც ჩათუთქვა)
-ული	გადაუგონ-თებ-ული დასუფთა-ული დაბად-ული	გადაუგონთება დასუფთავება დაბადება	ნეიტრალური (ვინც გადაუგონთდა) ნეიტრალური (რაც დასუფთავდა) ნეიტრალური (ვინც, რაც დაიბადა)
ნა-	ნა-ჭარი	ჭრა	ნეიტრალური (ჭრის შედეგი. ჭრილობა)

	ნა-გაზი	დაგაზვა	ნეიტრალური (რაც დაიგაზა)
მ — არე	მ-წოლ-არე მ-ჯდომ-არე	წოლა ჯდომა	ნეიტრალური (ვინც წევს) ნეიტრალური (ვინც ზის)

მიმღობა მოხეურში

სიტყვაწარ- მოების მოდელი	მიმღობა	მასდარი	სემანტიკური მიმართება
მე—ე	მე-ნადირ-ე	ნადირობა	სუბიექტური (ვინც ნადი- რობს)
მო-	მო-ვნავ-ი	ვნავა	სუბიექტური (ვინც ვნავს)
მა-	მა-თქვამ-ი	თქმა	სუბიექტური (ვინც „თქვამს“, იტყვის)
სა—ური	სა-ვნა-ური	ვნავა	ობიექტური (ის, რაც უნდა მოივნას)
ს(ა)—ელი	გა-ს(ა)-კიდ-ელი	გაკიდება	ობიექტური (რაც უნდა გაი- კიდოს)
	გა-ს(ა)-ტეხ-ელი	გატეხვა	ობიექტური (რაც უნდა გატეხონ)
	გა-სა-ზდ-ელი	გაზდა	ობიექტური (რაც უნდა გაზარდონ)
სა — ო	გა-სა-მრჯელ-ო	გარჯა	გარჯის საფასური

**3. ნაწილაკ-მორფემოიდები, მათი ფონეტიკური
ვარიანტები და სემანტიკური ფუნქციები ქართული
ენის დიალექტებში
(აღმოსავლური და დასავლური დიალექტების
მიხედვით)**

**3.1. ნაწილაკ-მორფემოიდთა სისტემა ქართული
ენის დიალექტებში**

ნაწილაკთა სისტემა ქართულ ენაში საკმაოდ მდიდარი და ფუნქციურად დატვირთულია. ზოგჯერ ნაწილაკი გვევლინება სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის წარმოების დამატებით საშუალებად, ზოგჯერ კი მისი ფუნქცია გარკვეული სემანტიკური კატეგორიის გამოხატვას ემსახურება. ეს უკანასკნელი თანამედროვე ქართული ენის მონაცემების ახლებურად გაანალიზებას მოითხოვს. ამის მაგალითად გამოდგება მოდალობის კატეგორიის ანალიზი, რომლის გამოხატვის ერთ მთავარ საშუალებას, კილოსთან ერთად, სწორედ ნაწილაკი წარმოადგენს. ნაწილაკთა სისტემის შესწავლა უკავშირდება არა მხოლოდ თავისთავად ნაწილაკთა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს, არამედ გულისხმობს გარკვეული სემანტიკური კატეგორიების გამოვლენას ენაში და მათ ფუნქციურ-პრაგმატულ ანალიზსაც.

დიალექტებში ნაწილაკთა სისტემა, რა თქმა უნდა, იმეორებს საერთო ქართული ენის სისტემას, მაგრამ როგორც დამოუკიდებლად არსებული ენობრივი ქვესისტემები, ისინი ასევე მოიცავენ ისეთ ნაწილაკ-მორფემოიდებსა და ელემენტებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ არსებობს. ამდენად, დიალექტთა მონაცემები ენის ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციებისათვის მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელი მასალაა.

ქართული ენის დიალექტებში მოიპოვება ისეთი ნაწილაკები, რომლებიც სალიტერატურო ქართულისათვის აღარაა დამახასიათებელი; ასევე ვლინდება სალიტერატურო ქართულისაგან არა მხოლოდ ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტები, არამედ სემანტიკურად გან-

სხვაგვებული ფუნქციის მქონე ელემენტებიც. ამის გათვალისწინებით, ნაწილაკ-მორფემოიდთა სისტემა ქართული ენის დიალექტებში მრავალფეროვან და საინტერესო მასალას იძლევა.

ნაწილაკ-მორფემოიდთა საფუძვლიანი ანალიზისათვის მნიშვნელოვანი მხარეა მათი სემანტიკური ფუნქციის შესახებ მსჯელობა. დიალექტთა მონაცემების მრავალფეროვან და მრავალფუნქციურ მასალაში რამდენიმე სემანტიკური ჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი. ეს სემანტიკური ჯგუფები და მათი შემადგენელი ნაწილაკები შეიცავენ ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც უკავშირდება მთქმელის მიერ ფაქტთა და მოვლენათა მისეულ აღქმასა და შეფასებას; ეს კი შესაძლებლობას იძლევა ისინი მოდალობის კატეგორიის გამომხატველ ენობრივ საშუალებებად მივიჩნიოთ. მათი ანალიზი ორმხრივი შედეგების მომცემია: ერთი მხრივ, იკვეთება ცალკეულ დიალექტებში გამოვლენილი ნაწილაკები და მათი სემანტიკური ფუნქციები, ხოლო მეორე მხრივ, აღიწერება მოდალობის კატეგორიის გამომხატვის ენობრივი საშუალებები ქვესისტემებში, ანუ დიალექტებში. საბოლოოდ კი, ეს ყოველივე საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ მოდალობის კატეგორიის გამომხატველი ზოგადი სისტემის შესახებ ქართულ ენაში.

ქართული დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებით შემდეგი სემანტიკური ჯგუფების გამოყოფაა შესაძლებელი:

* * *

კითხვითობა. ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ, ძველ ქართულში, კითხვის გამომხატველ ელემენტად გვევლინება **-ა** ნაწილაკი. (იხ.: ე. ბაბუნაშვილი, მ. ფაღავა). თანამედროვე ქართულისათვის იგი მხოლოდ რამდენიმე დიალექტში გვხვდება. უმეტესად ზმნას ერთვის და გამონათქვამს კითხვის მნიშვნელობას ანიჭებს. ზოგადად წინადადებაში კითხვით სიტყვასთან ერთად **-ა** ნაწილაკის არსებობა მიუთითებს მის დასუსტებაზე, თუმცა აღმოსავლეთის დიალექტებში მისი არსებობა მას კვლავ ენობრივად აქტიურ ელემენტად წარმოადგენს. **ხევისურულ** დიალექტში იგი **-ა** სახით გვხვდება, თუმცა მას შეიძლება **-ე** ელემენტიც დაერთოს: **„ცოდვა არ აბა?“ „გა-კხონს-ა-ე?“ — გახსოვს? „წა-ვიდ-ეს-ა-ე-ვ?“ — წავიდნენო? ფშაურსა და თუშურ** დიალექტებშიც ანალოგიური ვითარებაა — კითხვითობის **-ა** ნაწილაკი დაერთვის ზმნას. ინგილოურში კი შეიძლება კითხვითი წინადადება **-ა** ნაწილაკითაც დადასტურდეს და **-ა** ნაწილაკის გარეშეც: **„სა მიდი-ა? // სა მიდი?“** მნიშვნელოვანია ის, რომ თუ არაა კითხვითობის **-ა**, მაშინ ხმოვანი გრძელდება. ეს საკითხი კითხვითი წინადადების მახ-

ვილს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ მახვილი ძველსავე ქართულში მოუდიოდა არა კითხვითობის -ა ნაწილაკს, არამედ მის წინა პოზიციაში მყოფ ხმოვანს. სწორედ ამას უნდა განეპირობებინა ქართულში -ა ნაწილაკის დაკარგვა. ინგილოურ დიალექტში კი წინა ხმოვნის სიგრძე სწორედ -ა ნაწილაკის არარსებობაზეა დამოკიდებული. გარდა მთის დიალექტებისა, კითხვითობის -ა გვხვდება რაჭულშიც — „**მოდინარ-ა?**“

კითხვითობის სემანტიკაში შეიძლება განვიხილოთ **ჩაკითხვის** ნაწილაკიც. ჩაკითხვა მთქმელის დამოკიდებულების გამომხატველია. იგი შესაძლოა გულისხმობდეს დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას ან სურვილს, როგორც ვერგაგების, ასევე ინფორმაციის შევსების საჭიროების შემთხვევაში. **გურულ** დიალექტში ამ შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება **თუ** ელემენტი, რომელიც, გარდა სხვა ფუნქციებისა, გურულ დიალექტში ამ სემანტიკასაც ითავსებს: „**გუუ-კეთე, თუ?**“

* * *

დადასტურებითობა. დადასტურებითობის სემანტიკა გულისხმობს საკუთარი გამონათქვამისადმი მკვეთრად დადებითი დამოკიდებულების გამოხატვას. დადასტურებითი ნაწილაკები საკუთარი ხედვისა და პოზიციის გამაძლიერებელი საშუალების ფუნქციური დატვირთვით ვლინდება წინადადებაში. დიალექტებში ამ სემანტიკის გამოხატვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ **-ქვე/-ქე** ნაწილაკები. ეს ნაწილაკი გვხვდება როგორც აღმოსავლეთის, კერძოდ, ხევსურულ, ისე დასავლეთის დიალექტებში, კერძოდ, რაჭულში, ლეჩხუმურსა და იმერულში. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი საერთო ქართული მოვლენაა. რაჭულში ზოგჯერ მისი მნიშვნელობა იჩრდილება და იგი წინადადებაში შესაძლოა დადასტურებითობის მკვეთრი სემანტიკის გარეშეც იყოს გამოყენებული.

ხევსურული — „**თივას ქვე მივსცემაგ.**“ „**ქვე არ გუთხარ?**“ (ა. ჭინჭარაული)

რაჭული — „**ქვემც აჩუქეს ხმალი**“ „**ქვე რა იყო?**“ „**ქალი ლამაზი ქვე იყო.**“

„ვეზირს ქვე უკვირს.“ „**გოგომ ქვე რა იცოდა.**“ „**ქვე ხვარ გაგუდა?**“ „**ქი არ გეიპარა ეს ქალი?!**“ „**ქვეც აკეთებს, ქვეც აცხობს, ქვეც რეცხამს.**“

ლეჩხუმური — „**ქვე დავრჩით.**“ „**ქვე რა უნდოდა?**“ „**ურემი ქვე სა იყო?**“

გურული — „**ქი მივა.**“

ნაწილაკი **აბა** განსხვავებული სემანტიკით ვლინდება კითხვითსა და ძახილის წინადადებაში. კითხვითი ინტონაციით წარმოთქმისას მას სწორედ დადასტურებითობის ფუნქცია ენიჭება:

იმერული — „გააკეთე? — აბა არა? (კითხვითი ინტონაცია)

ლეჩხუმური — „გააკეთე? — აბა არა? (კითხვითი ინტონაცია)

სრულიად განსხვავებულია მისი სემანტიკა ძახილის წინადადებაში. იგი ამ შემთხვევაში უარყოფის სემანტიკას გამოხატავს:

იმერული — „გააკეთე? — აბა! (ძახილის ინტონაცია)

გარდა განხილული ნაწილაკებისა, დადასტურებითობას გამოხატავს ნაწილაკები: **დასტურ, ჰაგრე, ბა, და:**

გურული — „დასტურ ასეა!“

აჭარული — „ჩვენსა არ ამოხვალ, ბიძავ? — ჰაგრე!“ (=კი, ამოვალ) „საწყალს თლა გააყვენ შინაურები, ბა!“ „მოვალ-და!“

დიალექტებში ასევე ვლინდება დადასტურებითი **ხომ > ხუმ // ხუ** და **ხოდე / ჰოდე / ჰოდედა / ხოდედა** ნაწილაკები.

ცალკე დგას მოხეური დიალექტის მონაცემი, რომელიც **თუ** ფორმის დადასტურებითობის სემანტიკით გამოყენების შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ და ავლენს მის დამატებით კიდევ ერთ სემანტიკას:

მოხეური — „იმ მთიულს ცხენი თუ (=ხომ) არ ჰყვანდა?“

დადასტურებითობის სემანტიკას შეიძლება კიდევ ახლდეს გარკვეული დამატებითი შინაარსიც:

კითხვით-დადასტურებითი: მოხეური — „მოდის განა?“

დადასტურებითი, წაქეზება: რაჭული — „აბა, მითხარი..“

დიალექტებში დადასტურებითობის შინაარსი სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა, რაც აშკარად მიუთითებს ენაში ამ სემანტიკის აქტიურ ფუნქციონირებაზე.

* * *

უარყოფა. ქართულ ენაში უარყოფის მეტად თავისებური სისტემა ვლინდება, რაც გულისხმობს ნეიტრალური ან კატეგორიული უარყოფის, შესაძლებლობის უარყოფისა და ბრძანება-თხოვნის უარყოფის სპეციალური ნაწილაკებით გადმოცემას. ეს სისტემა დიალექტებშიც უცვლელად მოქმედებს, რაც საერთო ქართული მონაცემია და მას სისტემური ცვლილება არც დიალექტებში არ ახასიათებს.

გარდა ამისა, დიალექტებში დასტურდება გარკვეული სემანტიკური ნიუანსით განვრცობილი ფორმები — **აბა, მააბა**, რომლებიც კატეგორიულ უარყოფას გამოხატავენ ძახილის წინადადებაში.

იმერული — „გააკეთე? — აბა! (ძახილის ინტონაცია)

რაჭული — „იყავი ონშიდა? — მააბა! (შ. ძიძიგური)

სალიტერატურო ქართულისაგან სრულიად განსხვავებული სემანტიკა აქვს **გურულში** „ანაგებათ“ ფორმას: „ანაგებათ არ ქნა!“ იგი კატეგორიული უარყოფის გამაძლიერებელ საშუალებად ვლინდება კონტექსტში.

* * *

დაეჭვება-ვარაუდი. გამონათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულების გამოხატვა ხშირად **დაეჭვებისა** და **ვარაუდის** სემანტიკით ვლინდება. ამდენად, მოდალობის კატეგორიაში ეს ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული სემანტიკაა. სალიტერატურო ქართულში ეს სემანტიკა რამდენიმე ნაწილაკით გამოიხატება: **ალბათ, იქნებ, ეგებ, უნდა...**

დიალექტებში ამ სემანტიკის გამოხატვას უფრო მრავალფეროვანი სპექტრი გვაქვს. **ხევსურულში** დაეჭვება-ვარაუდის სემანტიკა **თუ** ფორმით გამოიხატება: „**ქვე თუ წაიყვანეს...**“ (ა. ჭინჭარაული).

ვლინდება სხვა საშუალებებიც:

ფშაური — „**პური-ოთ გშინ**“ — **ალბათ პური გშია**
მონეური — „**მოვალის-და?**“ — **მოვა კი? (საბა, შ. ძიძიგური)**
ქართლური — „**მოვიტანო-და?**“

ვარაუდის სემანტიკა ფშაურში შეიძლება გამოიხატოს **დიამც** ან **სამ** ფორმით: „**დიამც ზოგ ზოგას ავშურდე**“ (ზოგს **იქნებ კიდეც შევძულდე**). „**მონუცმა სამ (=როგორც ჩანს, ალბათ) იკითხა**“ (ა. ჭინჭარაული). თუმცა **სამ** ფორმა შესაძლოა წინადადებაში ამ შინაარსისაგან დაცლილი იყოს: „**ბევრ სამ ავს საქმეს ჩაიდენს**“ (ვაჟა).

ეგებ და **იქნებ** ნაზმნარი ფორმები თანამედროვე ქართულში მოდალობის გამოხატვის ყველაზე პროდუქტული საშუალებებია. ეს სემანტიკა დიალექტებშიც ამავე ფორმებს უკავშირდება: **ეგება /ეგებო, იქნება /იქნებო** ფორმები დაეჭვებისა და ვარაუდის სემანტიკას გამოხატავს იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში:

იმერული: „**იქნება ქე მევიდეს აწი.**“

გურული — „**იი კაცი მევიდეს ეგება.**“

ლეჩხუმური — „**ეგებო ქე მევიდეს ი კაცი ამელამ.**“

ალბათობის სემანტიკა ახლოსაა დაეჭვებისა და ვარაუდის სემანტიკასთან, მაგრამ ხშირად იგი ცალკე განიხილება, თუმცა შესაძლოა მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებები ემთხვეოდეს ვარაუდის გამოხატვას. ფშაურში ამ სემანტიკას **-ოთ** ნაწილაკი გამოხატავს: **ფშაური** — „**კი-ოთ აღარა მერგება**“ — **ალბათ აღარ მერგება**. „**კიდე-ოთ გნახავთ, სწორებო, არ-ოთ არსად დავიკარგები**“ — **ალბათ კიდეც გნახავთ, ალბათ არსად დავიკარგები**.

თუ ნაწილაკს უკავშირდება ალბათობის სემანტიკის გამოხატვაც: **მონეური - „ერთი ცნვარი დაგოკლდა, თუ (=ალბათ) დაიღუპა სა-ით.“**

* * *

მოვალეობა, ვალდებულება, სასურველობა. თანამედროვე ქართლისათვის მოდალური სემანტიკით ყველაზე მეტად დატვირთული ფორმა არის **უნდა** ნაწილაკი. იგი ნაზმნარი ფორმაა, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა **სურვილსა და საჭიროებას** უკავშირდება. ნაწილაკად ქცევის შემდგომაც ამ ფორმის ყველაზე მკვეთრი მახასიათებელი არის მისი კონტექსტუალური პოლიფუნქციურობა. ერთსა და იმავე კონსტრუქციაში მისი საშუალებით შეიძლება გამოხატული იყოს როგორც მოვალეობა, ისე ვალდებულება, სასურველობა, შესაძლებლობა და სხვა სემანტიკა. ეს სემანტიკური მრავალმნიშვნელოვნება მას დიალექტებშიც გადაჰყვება. მაგრამ დიალექტები მისი ფორმოზრივი მახასიათებლის საინტერესო მასალასაც იძლევა. იგი გვევლინება სხვადასხვა ფორმით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფორმოზრივი ცვლილება მხოლოდ ნაწილაკურ ფორმას ეხება, ხოლო დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით იგი ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის.

სამცხურ-ჯავახური: -ნა // -და // -ნდა: „მე-ნა წავიდე, ღვდე-ლი-ნა მოვიყვანო, ბოვშეები-ნა დავანათვლინო.“ „მას-ნა შეერწყა.“ „შვილი-და გაგიჩნდეს // შვილი გაგიჩნდეს-ნა.“

უნა: „უნა გავიყარნეთ.“ „ძმა უნა მოუკლას“ „თქვენ-ნა ჩამოგერთვათ მიწა-წყალი, უნა გადიეცეს საწყალ გლეხებსა.“

კახური — „თითო კევრზე უნა იყოს უღელი საქონელი შებმულიო.“

„უნ დაფარული იყოს.“ „ისნა შეერთო.“ (ის უნდა) „მეცნა წავიდე“ (მეც უნდა).

რაჭული — „მე უნა გამამყვე ცოლათაო.“ „ხემწიფე უნა ევირ-ჩიოთაო“ (ქვემორაჭული) „ქალები ცალკენ უნა მსხდარიყვენ“ (ზემო-მორაჭული); „უნა წამოვიყვანო“ (ზემორაჭული)

ლენჩხუმური — „უნა გამატანოვო.“

აჭარული — „იქ-ნდა // იქ-ნა მივდეს.“ „ვიღა-ნდა მოვდეს კიდ-ვენ?“ „რომელი-ნდა გააკეთო კაცმა?“ „ვინ-და წევდეს?“ „ის-ნა მე-თქვა.“ „ნიდზე-ნა გადააგდოს.“ „არ-ნა გეკადრებია.“ „ერთი რაცნა შეგებვეწო-ნდა“ „დაწეროს-ნა.“

გურულსა და იმერულში დასტურდება უნდა ფორმები:

გურული — „იი კაცი მევიდეს უნდა.“

იმერული: „მაი მასე კარ უნდა თქვა...“

უნდა მოდალური ფორმის სემანტიკური ნიუანსების სრულყოფილი დახასიათება გულისხმობს დიდძალი მასალის ანალიზს როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ასევე დიალექტებშიც.

* * *

6. ნატვრითობა. ნატვრითობა მკვეთრად გამოხატული სემანტიკაა ქართულში. იგი ძველი ქართულიდანვე უკავშირდება კავშირებით კილოსა და **-მცა** ნაწილაკს.

დიალექტებში ნატვრითობის სემანტიკის გამოხატვა **-მცა** ნაწილაკის სხვადასხვა ფომეტიკური ვარიანტით ხდება: იგი დასტურდება როგორც **-მცა**, ასევე **-მც** ფორმით. **-მცა** ნაწილაკი წინადადების სხვადასხვა წევრს შეიძლება დაერთოს, შეიძლება იგი ნატვრითობის გამოხატველ **ნეტავ** ფორმასთანაც შეგვხვდეს და ამით გააძლიეროს მისი მნიშვნელობა.

ხევსურული — *„ღმერთ-ი-მც აგაშენებს!“ (ა. ჭინჭარაული)*
მთიულურ-გუდამაყრული — *„შენამც შეგიუორდება ცხრათავისნი დევის დაო.“ (= შეგიუვარდეს)*

ფერეიდნული — *„ღამით გავიარნეთ, არა-მც ქენი ჰამყათარებმა გოდოგოკიდნ-ენ.“*

რაჭული — *„დიამც (= ბევრიმც) მოვივა ახალი წელიწადიო შეძენისაო.“*

„ნეტამცა ნატრა მანატრა.“ „ნეტამცა ეჯობოს.“

თუშურში გამოვლენილი **-მე** ნაწილაკი ავლენს **-მცა** ნაწილაკის წარმომავლობას (-მე-ცა. თ. უთურგაიძე) **თუშური** — *„მო-ვიდ-ი-ს-ა-მე-ვ“* — **ნეტავ მოვიდესო!** *„გაუ-კეთ-ებ-ს-ა-მე-ა? — ნეტავ გააკეთებებს?“*

ცალკე მსჯელობის საგანია იმერულში დადასტურებული კონტექსტი, რომელსაც ამჟამად უფრო ირონიული ელფერი აქვს, რაც აძნელებს მასში ნატვრითობის სემანტიკის ამოკითხვას: **„ისემც კაი დაგე-მართოს“**. **-მც** ნაწილაკიანი ფორმა კავშირებითი კილოს ზმნასთან დასტურდება. მართალია, ამ მყარ გამონათქვამში ახლა ნატვრითობის სემანტიკა სრულიად დაჩრდილულია და იგი უფრო ირონიულ ფრაზად გვევლინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ **-მც** ნაწილაკში სხვა სემანტიკა ვეძიოთ. მოცემული გამოთქმა უკვე მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად გვევლინება, რომელშიც ცალკეულ ფორმათა მნიშვნელობა დაჩრდილულია, ხოლო ფრაზის სემანტიკა კი გადააზრებულია. მოცემული ფრაზეოლოგიური გამოთქმა უკავშირდება იმ შემთხვევას, როცა მთქმელისათვის დაუჯერებელია ან მიუღებელია რაიმე ფაქტი, ხოლო მოცემული ფრაზით ირონიზებულია ეს დამოკიდებულება. გამონათქვამის ამოსავალ ვარიანტში შეიძლება ამგვარი შინაარსი ვიგულისხმოთ: **ნეტავ ყველაფერი კარგად იყოს, ყველაფერი კარგი „დაგემართოს“; მაგრამ მე მაინც არ მჯერა შენი...**

ნატვრითობის სემანტიკა ასევე უკავშირდება ნეტა/ნეტავ/ნეტაი/ნეტარ ფორმებს, რომლებიც გავრცელებულია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში.

* * *

დაზუსტება. ცალკე სემანტიკურ ჯგუფად შეიძლება გამოიყოს დაზუსტებისა და მითითება/დაზუსტების შინაარსის გამამკვეთრებელი ნაწილაკები. ამ შემთხვევაში მათი გამოყენება მიუთითებს მთქმელის სურვილზე, გამოკვეთოს გარკვეული ინფორმაცია წინადადებაში: **ფშაურ** დიალექტში ეს სემანტიკა **-ოდ** და **-და** ნაწილაკებით გამოიხატება:

„ერთი ჯორა რაიმა მყვანდა, იხინჯასა და იხიც იქა-ოდ გავყიდე“ (=იქვე) (გ. ცოცანიძე); „საღამო-და იყო“ — უკვე საღამო იყო. „მკვლარი-და ვეგონე“ — უკვე მკვლარი ვეგონე (გ. ცოცანიძე).

კახურსა და ქართლურ დიალექტებში მითითება-დაზუსტებისათვის სპეციალური ნაწილაკები ვლინდება. ესაა **ანდე // ანგე; ენდე // ენგე; ინდე // ინგე** ფორმები, რომლებიც, გარდა განხილული სემანტიკისა, მოლაპარაკის პირთან მიმართებასაც გამოხატავენ. კერძოდ კი, ამ ფორმებში სიშორე-სიახლოვის სემანტიკის გამოხატვა აკისრია **ა | ე | ი** ხმოვნებს. **ქართლური** — „ანდე.“ — **აი, აქ. „ენდე.“** — „აი, მანდ, მაქ. „ინდე.“ — **აი, იქ (ი. იმნაიშვილი, ო. კახაძე).**

* * *

მტკიცებითობა. ფშაურსა და თუშურ დიალექტებში ვლინდება ნაწილაკები, რომლებიც მტკიცებითობის სემანტიკას ატარებს. მოცემული გამონათქვამებით მთქმელი ცდილობს საკუთარი პოზიციის ან შეხედულების დამტკიცებას: **ფშაური** — „განა კი დავიმაღლები“ (=ხევის. **ქვე) თუშური** — „ცხენი, გატყობა-წ, გეშინის...“ — **ცხენო, აკი გატყობ, გეშინია.**

* * *

თხოვნით-წაქეზებითობა. ეს სემანტიკა შესაძლოა რამდენიმე ფორმას დავუკავშიროთ: **მოხური** — „გაამზადეღა.“ **რაჭული** — „გამიკეთე, ჭი, ეგ საქმე.“ „ჩაირბინე, ჭი.“ „ნუ, ჭი!“ „მოველო, ჭი, და მოვიტანე ნაბადი.“

* * *

შეფასება-მიახლოებითობა. ეს ორი სემანტიკა კარგად ვლინდება ნაწილაკში **კინლამ**, რადგან ამ ფორმით გამოიხატება მთქმელის მიერ ფაქტის შეფასება, რომელიც სრულად არ განხორციელდა და შედეგთან მიახლოებით მსგავსებას გამოხატავს. კონტექსტი „**კინლამ წავიქე-**

ცი“ მიუთითებს, რომ მთქმელმა მოქმედება წაქცევას დაუკავშირა, მაგრამ რეალურად ასე არ მომხდარა, წაქცევა შედეგი არ ყოფილა. მოცემული ტერმინი (შეფასება-მიახლოებითობა) არის ცდა გამოიხატოს წინადადებაში ამ ნაწილაკის მეშვეობით შეტანილი სემანტიკა.

დიალექტებში ეს შინაარსი მოცემული ნაწილაკის სხვადასხვა ვარიანტით გამოყენებას უკავშირდება: *კიღამ / კიღამე (რაჭული), დარმე / რადმე, კიღმე (იმერული), კიღამ / კიღმა (ლენხუმური), კიღარმი / დარმი / წიღამ (აჭარული).*

ქართლურ დიალექტში ამ სემანტიკას გამოხატავს **-და** ნაწილაკი: **„კვდება-და ის უბედური, ისე მუშაობს.“**

რაჭულსა და იმერულში შეფასება-მიახლოებითობის სემანტიკას კიდევ ერთი ელემენტი გამოხატავს: ესაა **-ზე** თანდებული, რომელიც ნაწილაკის ფუნქციით გვევლინება გარკვეულ კონტექსტში და ზმნასთანა დაკავშირებული, მაგრამ ცალკე მდგომი ერთეულია. **„გადირია ზე“** კონტექსტი გამოხატავს, რომ ემოციური ფონი იმდენად დიდი იყო, რომ იგი კრიტიკულს მიუახლოვდა.

საერთო მასალიდან შესაძლებელია კიდევ რამდენიმე სემანტიკური ჯგუფის გამოყოფა, თუმცა მათზე მსჯელობისათვის სასურველია მეტი მასალის ანალიზი, რაც მხოლოდ კორპუსული კვლევის გამოყენებითაა შესაძლებელი. საკითხის სიცხადისათვის ნაშრომს თან ერთვის ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია მოდალობის სემანტიკური ჯგუფები, მათი გამოხატვის საშუალებები და ნიმუშები.

3.2. ნაწილაკ-მორფემოიდები ქართული ენის დიალექტებში (ცხრილები)

3.2.1. სალიტერატურო ქართულისაგან ფუნქციურად ან ფორმობრივად განსხვავებული ფორმები:

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
ხევსურული	-ა	„გორგი, შენა ხარ-ა თველექათიო?“ „ცოდვა არ ას-ა?“	კითხვითობის გამობატვა
	-ა-ე	გა-ხსონს-ა-ე?“ - განსოვს? „წა-ვიდ-ეს-ა-ე-ვ?“ – წავიდნენო?	კითხვითობის გამობატვა
	-მცა	„ღმერთ-ი-მც ავაშენებს!“	ნატვრითობა (ნ.შ.) თხრობითი კილოს ფორმებს ანიჭებს კავშირებითის ფუნქციას
	-ქვე	„თივას ქვე მივსცემავ.“ „ქვე არ გუთხარ?“	დადასტურებითი (კი, აკი)
	-ქვე თუ	„ქვე თუ წაიყვანეს...“	დაეჭვება, ვარაუდი ან აუცილებლობა
	-ო > ვ	„წინ-წინავ — თქვისავ ხოვას მინდიმავ—თვალნ ამიხვივინესავ, გზა არ ნახასავ, მივლიესავ აისეთაივ.“	სხვათასიტყვის ნაწილაკი (დაერთვის წინადადების ყველა წევრს)
	აი > ი	„აისი“ (აი, ის) „აიმას“ (აი, იმას) „ააქ“ (აი, აქ) „აისე“ (აი, ისე) „აეხლად > ეეხლად“ (აი, ახლა)	მიმათითებელი ნაწილაკ-მორფემოიდით ჩვენებითი ნაცვალსახელისა და ზმნისართის გაფორმება

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
	-ა	„მაშ არა სთქვა შანშემა, ჩამეეშველოს ლაშ-“	კითხვითობის გამობატვა

ფშაური		ქარსა?“ <i>(ვაჟა-ფშაველა)</i> „არ მოგხვდათა?“ <i>(არ მოგხვდაო? (ვაჟა-ფშაველა)</i>	
	-ოთ	„პური-ოთ ვ შიან“ — ალბათ პური ვ შია	დაჭკება, ალბათობა
	კი-ოთ კიდევ-ოთ	„კი-ოთ აღარა მერგება“ - ალბათ აღარ მერგება „კიდევ-ოთ გნახავთ, სწორებო, არ-ოთ არ- სად დავიკარგები“ - ალბათ კიდევ გნახავთ, ალბათ არსად დავიკარ- გები.	ალბათობა
	დიამც	„დიამც ზოგ ზოგას ავ- შურდე“ - ზოგს იქნებ კიდევ შევსულდე.	ვარაუდი
	-ოდ	„ერთი ჯორა რაიმა მყვანდა, იხინჭასა და ისიც იქა-ოდ ვავყიდე“ (=იქვე)	დამაზუსტებელი
	-სამ	„მოხუცმა სამ (=რო- გორც ჩანს, ალბათ) იკითხა“ „ბევრ სამ ავს საქმეს ჩაიდენს“	ვარაუდის გამოხატვა
	კი	„განა კი დავიმალები“ (=ხევეს. ქვე)	მტკიცებითობა
	რა-კი	„რა-კი არ უნდა ბეჩავ- სა, რა-კი არ ერჩის გუ- ლია.“ <i>(ვაჟა-ფშაველა)</i> (=განა)	= განა ემოციური დამოკი- დებულების გამოხატ- ვა
	-ლა	„სალამო-ლა იყო“ - უკ- ვე სალამო იყო. „მკვდარი-ლა ვევონე“ — უკვე მკვდარი ვევონე	დამაზუსტებელი მნიშვნელობა
	-ო // -ვ	„ბიჭო, არ მოგ შივდა-ო პური-ო და კი მომშივ- და-ო პური-ო და კი მამშივდა-ვ“	სხვათასიტყვის ნაწი- ლაკი (დაერთვის წი- ნადადების ყველა წევრს)

დიალექტი	ნაწილაკ-მო- რფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
თუშური	-წა> -წ	„ცხენი, ვატყობა-წ, გე- შინის...“ — ცხენო, აკი ვატყობ, გეშინია.	მტკიცებითობა
	-აყ	„სამოცი-აყ წასრულ“ — სამოცილა წასულა.	ოდნაობა
	-აყ	„შენ-აყ რამდენ გექნე- ბოდ“ — მართო შენ რამდენი გექნებოდა.	მრავლისაგან ერთის გამოყოფა; გამორჩე- ვითობა
	-ოდ	„კაცი-ოდ ვერ გასკე- თებდ“ — კაციც ვერ გააკეთებდა „შავი-ოდ“ — უშავესი. „ცუტუნაყი-ოდ“ — უპა- ტარავესი	გამაძლიერებელი ნა- წილაკი (=ც); ზედ- სართავის აღმატები- თი ხარისხი
	-ა	გასკეთება?—გააკეთებ?	კითხვითობის გამო- ხატვა
	-მე	„მო-ვიდ-ი-ს-ა-მე-ვ“ — ნე- ტავ მოვიდესო! „გაყ-კეთ-ებ-ს-ა-მე-ა? — ნეტავ გააკეთებს?	ნატვრითობა

დიალექტი	ნაწილაკ-მო- რფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
მონხური	-მეთქი	„შევშინდი, არ-მეთქი სცას.“ — შევშინდი, არ დაარტყას-მეთქი.	სხვათასიტყვის ნაწი- ლაკი (დაერთვის წინა- დადების ყველა წევრს)
	-ო	„ჩემი ამხანაგო, ვუთხა- რი.“ — ჩემი ამხანაგი- მეთქი, ვუთხარი.	სხვათასიტყვის ნაწი- ლაკი
	თუ	„ქალის ძმებმა თუ უთხრეს.“ (=თურმე) (ქა- რთული დიალექტოლო- გია)	უნახაობა (ევიდენცია- ლობა)
	თუ	„ერთი ცხვარი დაგოყ- ლდა, თუ (=აღბათ) და- იღუპა საით.“	აღბათობა
	თუ	„იმ მთიულს ცხენი თუ	დადასტურებითობა =

		(=ხომ) არ ჰყვანდა?“	ხომ
	განა	„მოდის განა?“ (-ხომ, კი)	კითხვით-დადასტურებითი
	-ლა	„გაამზადელა.“	თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითი
	-ლა	„მოვალის-ლა?“ — მოვა კი?	დაეჭვება
	-ლა	„ორჯერ-ლა წავიკითხე, იმდენი მაცინა, მეტის სიცილითა ვტიროდელა.“	თავაზიანობის გამოხატვა

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
მთიულურ-გულამაყურული	-ა	„არ დარდობს-ა დედაშენი?“ „ისივ არი-ა ნეტარ ი გოდორი?“	კითხვითობის გამოხატვა
	-მცა	„შენამც შეგიყორდება ცხრათავისნი დევის დაო.“ (=შეგიყვარდეს)	ნატვრითობა კავშირებითის ფუნქციით; სასურველობა
	-სამ	„ეგრე სამ (=თურმე) უთქვია.“	თურმეობითობა, ევიდენციალობა
	უნდა + -ყა -ყა	„უნდა დაგაჩვენო ყველა-ყაი.“ „ეჭიფმა უნდა დააბატი-ქოს მაყრებს ყველაყასა.“	სასურველობა

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
ქართლური	*-ნდე ანდე ენდე ინდე	„ანდე“ — აი, აქ. „ენდე“ — აი, მანდ, მაქ „ინდე“ — აი, იქ	მიმართებულ-დამაზუსტებელი მოდალური ფორმა
	-ლა	„მოვიტანო-ლა/“ — მოვიტანოთ კი? // კიდევ მოვიტანოთ? თულა გერგება რამე?“ — კიდევ თუ ერგება რამე?	დაეჭვება-ვარაუდი აღბათობა

	-ლა	„კვდება-ლა ის უბედურბი, ისე მუშაობს“ (=ლამის კვდება)	შეფასება-მიასლოები- თობა მიასლოებითობა-მი- მსგავსება
--	-----	---	---

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
კახური	*-ნდე // ნგე	ანდე // ანგე ენდე // ენგე ინდე // ინგე	მიმათითებელ-დამა- ზუსტებელი მოდალურ- რი ფორმა
	უნა	თითო კვერზე უნა იყოს უღელი საქონელი შებმულიო.“	უნდა მოდალური ფორ- მის ეკვივალენტი
	უნ	„უნ დაფარული იყოს.“	უნდა მოდალური ფორ- მის ეკვივალენტი
	-ნა	„ისნა შეერთო.“ (ის უნ- და); „მეცნა წავიდე.“ (მეც უნდა)	უნდა მოდალური ფორ- მის ეკვივალენტი

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
ინგილოური	იყო // ეყო	„ერ კაპიკიც იყო არ მოქვცა.“ — ერთი კაპი- კიც არ მოვცა. „დინუათ იყო წაულ- დით.“ — დინჯად მაინც წავიდოდით.	გამაძლიერებელი მო- რფემოდის დანიშნუ- ლებით (=კი, მაინც)
	-ც	„სასროგნე ვარ, მოხტე- სა, არ მოხტესაც.“ — ვისვრი, თუნდ მოხვდეს, თუნდ არ მოხვდეს.	განურჩევლობა
	-ა	„მინ არის-ა?“ — ვინ არის? „სა მიდი-ა? // სა მი- დი?“ — სად მიდიხარ? მინ გაცხოვრებს-ა? // მინ გაცხოვრებს?“ — ვინ გაცხოვრებს? (გ. იმნაიშვილი) (თუ არაა კითხვითობის -ა, მაშინ	კითხვითობის გამო- ხატვა

		ხმოვანი გრძელდება)	
	-ო (ალიაბათური)	„უნდა-უ-ა?“ — უნდაო? (ო // ვ > უ)	სხვათასიტყვის გამოხატვა
	-ე (კაკურში)		
	ჰეჩ (აზერბაიჯანულიდან: ვერევენ, არაფერი)	„ჰეჩ რამ არ იქნების.“ — არაფერი არ იქნება.	უარყოფის გამაძლიერებელი

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
ფერეიდნული	-მცა	„ღამით გავიარნეთ, არამც ქენი ჰამყათარებმა გოდოგოკიდნ-ე-ნ.“ — ღამით გავიაროთ, თქვენი თანამოსაქმეები არ გადაგვეკიდონ.	ნატვრიტობა გამოიყენება კავშირებითის ფორმასთან.
	გერივ-	„გერივაც თუ ელ ამ ჯმას პატონთან არ მივიდე, ივო შიში აქო.“ - კიდევაც თუ ამ ხმის პატრონთან არ მივალ, უფრო შიში აქვსო.“	კიდევ, ისევ, კვლავ
	-ელ // -ელა // -ილ	შელ ვგრე.“ - აი, ასე. „იმ წელს, ელა“ -იმ წელს, აი. „თუ ილ იმ ორსა სწადებოდა.“ — თუ აი იმ ორსა სწადებოდა. „ელ ამ“ — ის ამ; „ილ იმ“ — აი, იმ „ილ ის“ — აი, ის.	

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
	-ნა//და//ნდა (უნდა)	„მე-ნა წავიდე, ღვდელი-ნა მოვიყვანო, ბოვშეები-ნა დავანათვლინო.“ — მე უნდა წავიდე, მღვდელი უნდა	ვალდებულებითი კილო

სამცხურ- ჯავახური		მოვიყვანო, ბავშვები უნდა მოვანათვლინო. „მას-ნა მეერწყა.“ — მას უნდა მოერწყა. „შვილი-და გავიჩნდეს // შვილი გავიჩნდეს- ნა.“ — შვილი უნდა გავიჩნდეს.	
	უნა	„უნა გავიყარნეთ“ — უნდა გავიყაროთ. „ძმა უნა მოუკლას“ — ძმა უნდა მოუკლას. „თქვენ-ნა ჩამოგერთვათ მიწა-წყალი, უნა გადი- ეცეს საწყალ გლეხებ- სა, ღღესი აით ამათ იუფლონო.“	
	-ნა // -და	„ნა დავჭრა შეშაი.“ „უნა დავჭრა შეშა. // უნა შეშა დავჭრა.“	
	დამოუკიდებელი ზნის ფუნქციით ზმნა ფონეტიკურ ცვლილე- ბას არ განიცდის „ქურდს რა უნდა და — ბნელი ღამეო.“, „მა- გას ჯერ რათ უნდა ცოლი.“		

დიალექტი	ნაწილაკ-მო- რფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
	-მცა	„ღიამც (=ბევრიმც) მო- გევა ახალი წელიწა- დიო შეძენისაო.“ „ნეტამცა ნატრა მა- ნატრა.“ „ნეტამცა ეჯობოს.“	ნატვრითობა
	-ქვე / -ქე	„ქვემც აჩუქეს ხმალი“ „ქვე რა იყო?“ „ქალი ლამაზი ქვე იყო.“ „ვეზირს ქვე უკვირს.“ „გოგომ ქვე რა იცო- და.“ „ქვე ხვარ გავიყდა?“	დადასტურებითი ნა- წილაკი

რაჭული		„ჭი არ გეიპარა ეს ქალი?!“ „ქვეც აკეთებს, ქვეც აცხობს, ქვეც რეცხამს.“	
აპა მააპა		„აპა, მითხარი..“ „იყავი ონშიდა? — მააპა!“	დადასტურებითი, წაქეზება
-ჭი (←ჭირი-მე)		„გამიკეთე, ჭი, ეგ საქმე.“ „ჩაირბინე, ჭი.“ „ნუ, ჭი!“ „მოველო, ჭი, და მოვიტანე ნაბადი.“	თხოვნითი კილოს კონსტრუქციებში
უნა (←უნდა)		„მე უნა გამამყვე ცოლათაო.“ „ხემწიფე უნა ევირჩიოთაო“ (ქვემორაჭული) „ქალები ცალკენ უნა მსხდარიყვენ“ (ზემორაჭული); „უნა წამოვიყვანო“ (ზემორაჭული)	ვალდებულება, მოვალეობა, გადაწყვეტილება, სასურველობა.
კილამ/კილამე		„კილამ მეიტება ფეხი!“	შეფასება-მიახლოებითობა (მიახლებითი)
-ზე		„გადირია ზე.“	შეფასება-მიახლოებითობა შეფასებითი
-ა		„იქ არ შემოგისწრონაო.“ „დაგმაღავაო.“ „ვაითუ მოკლანაო.“.....	
-ა		„მოდიხარ-ა?“ „არ მოგაქვს-ა?“ „რა მოწყენილი ხარ-ა?“	კითხვითობის გამოხატვა
-ო		„ნადირსო მოვერიდებოდეო“ „გაწმენდილი ვიყოთო მტრიდანო და ბოროტიდანო.“	სხვათასიტყვის გამოხატვა (დაერთვის თითქმის ყველა წევრს)
-თქვა		„უთხარი, ის ტყუა-თქვა.“ „მოდი-თქვა.“ (რივნის-თაური)	სხვათასიტყვის ნაწილაკი პირველი პირისათვის

		<p>„მერე კი მჭავრობდი, რაზე მოვკალი-თქვა, მარა ქვე რალა დროს“ (ქვემორაჭული)</p> <p>„მე უთხარი, სათიბი არა აქვ-თქვა.“</p> <p>„სახლები ავაგეთ ჩვენ-თქვა“ (გლოლური)</p>	
--	--	--	--

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
იმერული (ზემოიმერული, ქვემოიმერული)	ქე	„ქე ვითხარი, მარა არ დეიჯერე.“ „სიმძი ქე რო გვითესია.“	დადასტურებითი (წინავითარებითი)
	ხოდე / ჰოდე ჰოდედა / ხოდედა		დადასტურებითი
	-მც	„ისემც კაი დავემართოს.“	ნატვრითობა კავშირებითი კილოს ფორმასთან, სემანტიკა ბუნდოვანია
	ლარმე, რალმე, კილმე (კინალამ)	„კილმე დევიტვრე.“	შეფასებითა-მიახლოებითობა (ნ. შ.)
	თქვა	„რამდენჯერ ვითხარი, მოდი-თქვა.“	სხვათასიტყვის ნაწილაკი პირველი პირისათვის
	აპა	„გააკეთე? - აპა არა? (კითხვითი ინტონაცია) „გააკეთე? - აპა! (დახლის ინტონაცია)“	დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკი

დიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
	ქვე / ქე	„ქვე დავრჩით.“ „ქვე რა უნდოდა?“ „ურემი ქვე სა იყო?“	დადასტურებითი ან ფუნქციონალური ელემენტი.
	აპა	„გააკეთე? — აპა არა?“	დადასტურებითი და

ლექსემური		(კითხვითი ინტონაცია) „გააკეთე? — აპა! (ძახილის ინტონაცია)“	უარყოფითი ნაწილაკი
	უნა <უნდა	„უნა გამატანოვო.“	ვალდებულება-აუცილებლობა
	იქნებო, ეგებო		ვარაუდი
	კილამ, კილმა	„კილამ ჩამოვარდი“	შეფასებითა-მიახლოებითობა
	-ნა // -ნე	„აქანე, იქინე...“ სადანე // სანე ძლივათანე	ადგილის ზმნისართების მაწარმოებელი
	-სე	„დეიჭირა კაცი-სე.“ „გითხრა კაცმა-სე.“	
	-რე	„ზერე, ქვერე...“ ისევლე / ისთევლე...	ადგილის ზმნისართების მაწარმოებელი
	-თქვა	„დევეთხოვი-თქვა“	სხვათასიტყვის ნაწილაკი პირველი პირისათვის

ლიალექტი	ნაწილაკ-მორფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
გურული	ქი	„ქი მივა“ (=მიდის)	დადასტურებითი
	დასტურ	„დასტურ ასეა!“	დადასტურებითი
	უნდა	„იი კაცი მევიდეს უნდა.“	ვალდებულება -აუცილებლობა
	ეგება	„იი კაცი მევიდეს ეგება.“	ვარაუდი, ეჭვი
	კალამ / კახამ	„კალამ // კახამ“ — ბარელამ	
	თუ	„გუუკეთე, თუ?“	ჩაკითხვისას
	ანაგებათ	„ანაგებათ არ ქნა!“	უარყოფითი შეფასება
	-ო	„ერთიო კაციო მევიდაო.“ „მოვლო, უთხარი მე, მარა ვინ დავიჯერა!“	სხვათასიტყვის ნაწილაკი (შეიძლება დაერთოს ყველა წევრს), გამოიყენება პირველი პირისთვისაც
	-რე -რელე	„აქთრელე“, „ზერელე“, „ქვერელე“... — ცოტა აქეთ, ცოტა ზე-	ოდნობითობის გამომხატველი

		მოთ, ცოტა ქვემოთ. „საღამოთერელე“ — სა- ღამოსკენ	
--	--	---	--

დიალექტი	ნაწილაკ-მო- რფემოიდი	ნიმუში	სემანტიკა
აჭარული	ჰაგრე	„ჩვენსა არ ამოხვალ, ბიძავ? — ჰაგრე!“ (=კი, ამოვალ)	დადასტურებითი
	ბა (=აბა!)	„საწყალს თლა გააყვენ შინაურები, ბა!“	დადასტურებითი
	და	„მოვალ-და!“	დადასტურებითი
	ქე/ქი	მექი ვარ იქ ჩამყდარი	დადასტურებითი
	ნდა//და//ნა (=უნდა)	„იქ-ნდა//იქ-ნა მივდეს.“ „ვილა-ნდა მოვდეს კიდ- ვენ?“ „რომელი-ნდა გააკეთო კაცმა?“ „ვინ-და წევდეს?“ „ის-ნა მეთქვა.“ „ხიდ ზე-ნა გადაავდოს.“ „არ-ნა გეკადრებია.“ „ერთი რაცხა შეგეხვე- წონდა.“ „დაწეროს-ნა.“	ვალდებულებითი კი- ლო (დაერთვის კავ- შირებითის ფორმებს)
	ხომ>ხუმ//ხუ		დადასტურებითი
	კილარ- მი//ლარმი, წილამ (კ > წ აფრიკატი- ზაციით)	ჰო, კილარმი დამაბი- წყდა	შეფასებითა-მიახლოე- ბითობა

3.2.2. სემანტიკური ჯგუფები

სემანტიკა	გამოხატვის საშუალება	დიალექტთა მონაცემები
კითხვითობის გამოხატვა	-ა -ა-ე	ხეცხურული — „გორგი, შენა ხარ-ა თველე- ქათიო?“ „ცოდვა არ ას-ა?“ „გა-?სონს-ა-ე?“ — გახსოვს? „წა-ვიდ-ეს-ა-ე- ვ?“ — წავიდნენო?

		<p>ფშაური — „მაშ არა სთქვაა შანშემა, ჩამე- ეშველოს ლაშქარსა?“ (ვაჟა-ფშაველა) „არ მოგხვდალა?“ (არ მოგხვდაო? (ვაჟა-ფშა- ველა))</p> <p>თუშური — „გაჟკეთება? — გააკეთებ?“</p> <p>მთიულურ-გუდამაყრული — „არ დარდობს-ა დედაშენი?“ „ისივ არი-ა ნეტარ ი გოდორი?“</p> <p>ინგილოური — „მინ არის-ა?“ — ვინ არის? „სა მილი-ა? // სა მილი?“ - სად მილიხარ? მინ გაცხოვრებს-ა? // მინ გაცხოვრებს?“ — ვინ გაცხოვრებს? (გ. იმნაიშვილი) (თუ არაა კითხვითობის -ა, მაშინ ხმოვანი გრძელდება)</p> <p>რაჭული — „მოლიხარ-ა?“ „არ მოგაქვს-ა?“ „რა მოწყენილი ხარ-ა?“</p> <p>გურული — „გუუჟეთე, თუ?“ (ჩაკითხვისას),</p>
დადასტურე- ბითობა	<p>თუ</p> <p>-ქვე</p> <p>-ქვე / -ქე</p> <p>ქვე / ქე</p> <p>თუ</p> <p>ხოდე/ჰოდე ჰოდელა/ხო- დელა</p> <p>აპა არა?</p> <p>ქი</p>	<p>ხევსურული — „თივას ქვე მივსცემავ.“ „ქვე არ გუთხარ?“</p> <p>რაჭული — „ქვემც აჩუქეს ხმალი“ „ქვე რა იყო?“ „ქალი ლამაზი ქვე იყო.“ „ვეზირს ქვე უკვირს.“ „გოგომ ქვე რა იცო- და.“ „ქვე ხვარ გაგიყდა?“ „ქი არ გეიპარა ეს ქალი?“ „ქვეც აკეთებს, ქვეც აცხობს, ქვეც რეცხამს.“</p> <p>ლენხუმური — „ქვე დავრჩით.“ „ქვე რა უნ- დოდა?“ „ურემი ქვე სა იყო?“</p> <p>მოხეური — „იმ მთიულს ცხენი თუ (=ხომ) არ ჰყვანდა?“</p> <p>იმერული —</p> <p>იმერული — „გააკეთე? - აპა არა? (კითხვი- თი ინტონაცია)</p> <p>ლენხუმური — „გააკეთე? - აპა არა? (კი- თხვითი ინტონაცია)</p> <p>გურული — „ქი მივა“ (=მილის)</p>

	დასტურ ჰაგრე ბა (=აბა!) და ქე/ქი ხომ>ხუმ//ხუ	„დასტურ ასეა!“ აჭარული — „ჩვენსა არ ამოხვალ, ბიძავ? — ჰაგრე!“ (=კი, ამოვალ) „საწყალს თლა გააყვენ შინაურები, ბა!“ „მოვალ-და!“
კითხვით-და-დასტურებითი	განა	მოხეური — „მოდის განა?“ (-ხომ, კი)
დადასტურებითი, წაქეზება	აპა	რაჭული — „აპა, მითხარი..“
უარყოფა	აპა მააპა ჰეჩ (აზერბ.)	იმერული — „გააკეთე? — აპა! (ძახილის ინტონაცია) რაჭული — „იყავი ონშიდა? - მააპა! ინგილოური — „ჰეჩ რამ არ იქნების“ (არაფერი არ იქნება) გურული — „ანაგებათ არ ქნა!“
უარყოფითი შეფასება	ანაგებათ	
დაექვება-ვარაუდი	ქვე თუ -ოთ -ლა ეგება	ხევსურული — „ქვე თუ წაიყვანეს...“ ფშაური — „პური-ოთ გ შიან“ — ალბათ პური გ შია მოხეური — „მოვალის-ლა?“ — მოვა კი? ქართლური — „მოვიტანო-ლა?“ — მოვიტანოთ კი? // კიდეც მოვიტანოთ? თულა გერგება რამე?“—კიდეც თუ ერგება რამე? გურული — „იი კაცი მევიდეს ეგება.“
ვარაუდი	დიამც -სამ იქნებო ეგებო	ფშაური — „დიამც ზოგ ზოგას ავშურდე“ - ზოგს იქნებ კიდეც შევძულდე. ფშაური — „მოხუცმა სამ (=როგორც ჩანს, ალბათ) იკითხა“ „ბევრ სამ ავს საქმეს ჩაიდენს“ ლეჩხუმური — „ეგებო ქე მევიდეს ი კაცი ამელამ.“
ალბათობა	კი-ოთ კიდეც-ოთ	ფშაური — „კი-ოთ აღარა მერგება“ — ალბათ აღარ მერგება „კიდე-ოთ გნახავთ, სწორებო, არ-ოთ არსად

	თუ	<p>დავიკარგები“ — ალბათ კიდევ გნახავთ, ალბათ არსად დავიკარგები.</p> <p>მონეური — „ერთი ცხვარი დავოკლდა, თუ (=ალბათ) დაიღუპა სიით.“</p>
მოვალეობა ვალდებულება სასურველობა	<p>უნდა + -ყა</p> <p>-ნა // -და // -ნდა (უნდა)</p> <p>უნა</p> <p>-ნა // -და</p> <p>უნა უნ -ნა</p> <p>უნა (<უნდა)</p> <p>უნდა</p> <p>უნა<უნდა</p> <p>ნდა//და//ნა (=უნდა)</p>	<p>მთიულურ-გუდამაყრული — „უნდა დავაჩვენო ყველაყაი.“ „ეჭიდმა უნდა დამპატიყოს მაყრებს ყველაყასა.“</p> <p>სამცხურ-ჯავახური — „მე-ნა წავიდე, ღვდელი-ნა მოვიყვანო, ბოვშეები-ნა დავანათვლინო.“ — მე უნდა წავიდე, მღვდელი უნდა მოვიყვანო, ბავშვები უნდა მოვანათვლინო. „მას-ნა მეერწყა.“ — მას უნდა მოერწყა. „შვილი-და გაგიჩნდეს // შვილი გაგიჩნდეს-ნა.“ — შვილი უნდა გაგიჩნდეს.</p> <p>„უნა გავიყარნეთ“ — უნდა გავიყაროთ. „ძმა უნა მოუკლას“ — ძმა უნდა მოუკლას. „თქვენ-ნა ჩამოგერთვათ მიწა-წყალი, უნა ვადიეცეს საწყალ გლეხებსა, დღესი აით ამათ იუფლონო“ (ქართული დიალექტოლოგია) „ნა დავჭრა შეშაა.“ „უნა დავჭრა შეშა//უნა შეშა დავჭრა.“</p> <p>კახური — „თითო კვერზე უნა იყოს უღელი საქონელი შებმულიო.“ „უნ დაფარული იყოს.“ „ისნა შეერთო.“ (ის უნდა) „მეცნა წავიდე.“ (მეც უნდა)</p> <p>რაჭული — „მე უნა გამამყვე ცოლათაო.“ „ხემწიფე უნა ევირჩიოთაო“ (ქვემორაჭული) „ქალები ცალკენ უნა მსხდარიყვენ.“ (ზემორაჭული) „უნა წამოვიყვანო“ (ზემორაჭული)</p> <p>გურული — „იი კაცი მევიდეს უნდა.“</p> <p>ლეჩხუმური — „უნა გამატანოვო.“</p> <p>აჭარული — „იქ-ნა// იქ-ნა მივდეს.“ „ვილანდა მოვდეს კიდვენ?“ „რომელი-ნა გააკეთო კაცმა?“ „ვინ-და წევდეს?“ „ის-ნა მეთქვა.“ „ხიდზე-ნა გადაადღოს.“ „არ-ნა გეკადრებია.“ „ერთი რაცნა შეგეხვეწო-ნდა.“ „დაწეროს-ნა.“</p>

<p>ნატვრითობა</p>	<p>-მცა</p> <p>-მცა</p> <p>-მე</p> <p>-მცა</p> <p>-მც</p>	<p>ხევსრული — „ღმერთ-ი-მც ავაშენებს!“</p> <p>მთიულურ-გუდამაყრული — „შენამც შეგი- ყორდება ცხრათავისნი დევის დაო“ (=შეგი- ვარდეს)</p> <p>ფერეიდნული — „ლამით გავიარნეთ, არა-მც ქენი ჰამყათარებმა გოდოგოკიდნ-ენ.“ - ლა- მით გავიაროთ, თქვენნი თანამოსაქმეები არ გაღაგვეკიდონ.</p> <p>თუშური — „მო-ვიდ-ი-ს-ა-მე-ვ“ — ნეტავ მო- ვიდესო! „გაყ-კეთ-ებ-ს-ა-მე-ა? — ნეტავ გააკე- თებს?</p> <p>რაჭული — „ღიამც (=ბევრიმც) მოვივა ახა- ლი წელიწადიო შეტენისაო.“ „ნეტამცა ნატრა მანატრა.“ „ნეტამცა ეკო- ბოს.“</p> <p>იმერული — „ისემც კაი დაგემართოს“ (კავ- შირებითი კილოს ფორმასთან) სემანტიკა ბუნდოვანია)</p>
<p>ღაზუსტება</p>	<p>-ოღ</p> <p>-ლა</p>	<p>ფშაური — „ერთი ჯორა რაიმა მყვანდა, იხინჭასა და ისიც იქა-ოდგავყიდე“ (=იქვე) „სალამო-ლა იყო“ — უკვე სალამო იყო. „მკვლარი-ლა ვეგონე“ — უკვე მკვლარი ვეგო- ნე. (გ. ცოცანიძე)</p>
<p>მითითება-ღა- ზუსტება</p>	<p>*-ნღე // ნგე</p> <p>*-ნღე</p>	<p>კახური — ანღე//ანგე; ენღე//ენგე; ინღე//ინგე</p> <p>ქართლური — „ანღე.“ — აი, აქ. „ენღე.“ — „აი, მანღ, მაქ.“ „ინღე.“ — აი, იქ (ი. იმნაიშ- ვილი, ო. კახაძე)</p>
<p>მტკიცებითო- ბა</p>	<p>კი</p> <p>-წა > -წ</p>	<p>ფშაური — „განა კი დავიმალეუბი“ (=ხევს. ქვე)</p> <p>თუშური — „ცხენი, გატყობა-წ, გეშინის...“ — ცხენო, აკი გატყობ, გეშინია.</p>
<p>თხოვნით-წა- ქეზებითობა</p>	<p>-ლა</p> <p>-ჭი</p>	<p>მოხეური — „გაამზადელა.“</p> <p>რაჭული — „გამიკეთე, ჭი, ვგ საქმე.“ „ჩაირ- ბინე, ჭი.“ ნუ, ჭი!“ „მოველო, ჭი, და მოგი- ტანე ნაბადი.“</p>
<p>შეფასება-მი- ახლოებითო-</p>	<p>-ლა</p>	<p>ქართლური — „კვდება-ლა ის უბედური, ისე მუშაობს.“ (=ლამის კვდება)</p>

ბა	კილამ/კილამე -ზე ლარმე, რალ- მე, კილმე (კინალამ) კილამ, კილმა კილარმი// ლარმი, წი- ლამ (კაწ აფ- რიკატიზა- ციით)	რაჭული – „კილამ მეიტება ფეხი!“ „გადირია ზე.“ იმერული – „კილმე დევიტვრე.“ ლეჩხუმური – „კილამ ჩამოვარდი“
გამორჩევი- თობა	-აყ	თუშური – „შენ-აყ რამდენ გექნებოდ“ – მართო შენ რამდენი გექნებოდა.
განურჩევლო- ბა	-ც	ინგილოური – „სასროგნე ვარ, მოხტესა, არ მოხტესაც.“ – ვისვრი, თუნდ მოხვდეს, თუნდ არ მოხვდეს.
უნახაობა/ევი- დენცილობა	თუ -სამ	მოხეური – „ქალის ძმებმა თუ უთხრეს“ (= თურმე) მთიულურ-გუდამაყრული – „ეგრე სამ (=თურმე) უთქვია.“
ემოციური დამოკიდებუ- ლება	რა-კი (=განა)	ფშაური – „რა-კი არ უნდა ბეჩავსა, რა-კი არ ერჩის გულია.“ (ვაჟა-ფშაველა) (=განა)
თავაზიანობა	-ლა	მოხეური – „ორჯერ-ლა წავიკითხე, იმდენი მაცინა, მეტის სიცილითა ვტიროლდე-ლა.“

ირიბი ნათქვამის გადმოცემა

პირველი პირისა- თვის	-მეტქი	მოხეური – „შევშინდი, არ-მეტქი სცას.“ – შევშინდი, არ დაარტყას-მეტქი.
	-ო	მოხეური – „ჩემი ამხანავიო, ვუთხარი.“ – ჩემი ამხანავი-მეტქი, ვუთხარი.
	-თქვა	გურული – „მოვალო, უთხარი მე, მარა ვინ დაგიჯერა!“ რაჭული – „უთხარი, სიტყუა-თქვა.“ „მოდი- თქვა.“ (რივნისთაური) „მერე კი მჯავრობდი, რაზე მოვკალი-თქვა, მარა ქვე რაღა ღროს.“ (ქვემორაჭული)

		<p>„მე უთხარი, სათიბი არა აქვ-თქვა.“ „სახლები ავაგეთ ჩვენ-თქვა.“ (გლოლური)</p> <p>იმერული — „რამდენჯერ გითხარი, მოდი-თქვა.“</p> <p>ლეჩხუმი — „დევეთხოვი-თქვა“</p>
მესამე პირისათვის	<p>-ო >ვ</p> <p>-ო // -ვ</p> <p>-ო (ალიბათურში)</p> <p>-ე (კაკურში)</p> <p>-ო</p>	<p>ხევსრული — „წინ-წინავ - თქვისავ ხოვას მინდამავ - თვალნ ამიხვივნესავ, ვზა არ ნახასავ, მივლიესავ აისეთაივ“ (დაერთვის წინადადების ყველა წევრს)</p> <p>ფშაური — „ბიჭო, არ მოგ შივდა-ო პური-ო და კი მომშივდა-ო პური-ო და კი მამშივდა-ვ“</p> <p>ინგილოური — „უნდა-უ-ა?“ — უნდაო? (ო // ვ > უ)</p> <p>რაჭული — „ნადირსო მოვერიდებოდეო.“ „გა-წმენდილი ვიყოთო მტრიდანო და ბოროტი-დანო“ (დაერთვის თითქმის ყველა წევრს)</p> <p>გურული — „ერთიო კაციო მევიდაო.“ „მოვალო, უთხარი მე, მარა ვინ დავიჯერა!“</p>

3.3. ფორმაუცვლელი სიტყვები, ნაწილაკ-მორფემოიდები დასავლეთ საქართველოს დიალექტებში

დასავლეთ საქართველოს დიალექტებიდან იმერულსა და გურულში დადასტურებითი **კი** ნაწილაკი გვხვდება **კიე** ფორმით (საილუსტრაციო მასალა მოგვყავს დიალექტური კორპუსიდან):

— კიე, კარქათ მამიარაო (ზემოიმერული).

— კიეო, — უთხრა (ზემოიმერული).

რატულ, იმერულ, გურულ, აჭარულ დიალექტებში ხშირად გამოიყენება დადასტურებითი ნაწილაკ-მორფემოიდი **ქი**, რომელიც იგივეა, რაც „კი“. მას ზოგჯერ დაერთვის -ც ნაწილაკ-მორფემოიდიც: **ქიც**. ხშირად **ქი** გვხვდება შედგენილი შემასმენლის ნაწილად:

შეს ცოლ-შვილს ქვე რა უჭირს, ეგერ რო დიდი სახლია, იმაში ცხოვრობენო! (ქვემორაჭ., დიალ. კორპ.).

ახლა და ახლა ღორის ჭირიც **ქია** (ზემოიმერული).

მაინც **ქია** ტოტების ძირები ცოტათი დატოვებული (ზემოიმერული).

მიწა რომ მოფხოჭო, იი გაჭუმს, მარა მასე, ბოდიშ მევითხოვ თქვენგან, მასე ღორიც **ქია**! (ქვემოგურული).

ქი-ს ფონეტიკური ვარიანტებია: **ქვე**, **ქი**, **ქო**. იმერულში უმეტესად გამოიყენება ნაწილაკი **ქი**, იშვიათად — **ქვე**, სპორადულად — **ქო**: ქალები **ქიც** თოხნიან აქა, **ქიც** თესევენ... (ზემოიმერული).

იარეს რაოდენიმე გზა, **ქიც** ბევრი ინადირეს (შუაიმერული).

მე ვილა მყამს აწი, ე შვილი **ქვე** გადავაგდე, — დარდობდა ხემწიფე (ზემოიმერული).

იმერული დიალექტის ოკრიბულ კილოკავში **ქი** შეიძლება წინადადების ბოლოს მოექცეს:

ოთხი წელი ისტავლა და ახლა დაამთავრა **ქი** (იმერ., ჯორბ., 1989, 483).

ქი დადასტურებითი ნაწილაკი გავრცელებულია გურულში **ქი** ვარიანტითაც. **ქი** და **ქი** ნაწილაკები გურულის გავლენით გვხვდება აჭარულის ქობულეთურ თქმაშიც.

გადახვა მის ბალნეფს, მარა მისი სიკტილის მერე **ქიც** გუუმართლეს (ქვემოგურული).

— **ქი** წეილო ბოჩიკმაო, — მე უთხარი (გურული).

— მე **ქი** ვარ იქა ჩამყდარი (ქობულეთური).

რაჭულში ხშირია **ქვე**, ახალგაზრდების მეტყველებაში მას **ქე** ენაცვლება, **ქი** კი იშვიათად გვხვდება.

ქვე/ქე ნაწილაკ-მორფემოდს, როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რაჭულში ზოგჯერ უფართოვდება ფუნქცია, ზოგჯერ კი ორნამენტული დანართის სახითაცაა გამოყენებული: **ქვეც** აჩუქეს ხმალი; **ქვე** რა იყო? ქალი ლამაზი **ქვე** იყო; **ქვე** ხომ არ გაგიყდა!

ქვე გამოიყენება **აბა** მორფემოდის დანიშნულებითაც: გოგომ **ქვე** რა იცოდა; **ქვე** რა ვიცი (აბა, რა ვიცი).

ქვე-ს შეიძლება დაერთოს **ც(ა)** ნაწილაკ-მორფემოდი: **ქვეც** აკეთებს, **ქვეც** აცხობს, **ქვეც** რეცხამს.

დადასტურებითი ან წაქეზებითი ფუნქციით რაჭულში, ლეჩხუმურსა და იმერულში გამოიყენება **აბა** ნაწილაკ-მორფემოდი. **აბა** გამოხატავს როგორც დადასტურებას, ისე უარყოფას და გამოითქმის სხვადასხვა ინტონაციით. დადასტურების დროს გამოითქმის კითხვის ინტონაციით და ხშირად ახლავს **არა** ნაწილაკ-მორფემოდი: **აბა არა?! უარყოფის დროს კი გამოითქმის ძახითი ინტონაციით, ისე, როგორც გამოთქმა როგორ არა!**, როცა ირონიას გამოხატავს:

დადასტურება: — გააკეთა? — **აბა არა?! (კითხვითი ინტონაციით);**

უარყოფა: — გააკეთა? — **აბა!** (ძახითი ინტონაციით).

აბა ნაწილაკი გამოიყენება **მა** (<მაშ) ნაწილაკ-მორფემოდთან ერთადაც: **მა აბა > მაბა**, გვხვდება რაჭულსა და ზემოიმერულში.

აბა, მითხარი! — იყავი ონშიდა? — **მააბა!** (რაჭ.).

ზემოიმერულში, ქართლის მოსაზღვრე რეგიონებში, გვხვდება დადასტურებითი ნაწილაკი **ჰოდე // ხოდე** (აგრეთვე **ჰოდედა // ხოდედა**):

ჰოდე, ასეა ი ჩვენი ყანაი (ზემოიმერული, დიალ. კორპ.).

აჭარული დიალექტისათვის, გურულის გავლენით დამკვიდრებული **ქი** ნაწილაკის გარდა (რომელიც ქობულეთურში გვხვდება), დამახასიათებელია დადასტურებითი ნაწილაკ-მორფემოდები: **ჰაგრე, ბა, და**: ჩვენსა არ ამოხვალ, ბიძავ? — **ჰაგრე!**

საწყაღს თლათ გადაყვენ შინაურები, **ბა!** (ჯორბენაძე, 1989, 565).

— მაინც რა არის, **მითხარ-დაა** (ზემოაჭარ. ქართ. დიალ. 1961, 395);

— რაფერიც გინდა, იმფერი დამარქვი, ვერ **მოცემ-და...** (ზემოაჭარ. ქართ. დიალ. 1961, 395);

ხომ ნაწილაკი აჭარულ დიალექტში გვხვდება **ხუმ//ხუ** სახით, **ხუმ** გვხვდება გურულშიც:

წროულს **ხუმ** კაჲ წელიწადია (ქობულეთური);

ხუმ შიასრულეფ პირობას? (ზემოაჭარ.);

უწინ გრაფინკები **ხუმ** არ იყო სტოლძე, ბოთლები იცოდენ ღვი-ნოიზა (ზემოგურული).

კავშირებითის, ნატვრითობის -მცა, -მც ნაწილაკები

რაჭულ დიალექტში, კერძოდ, გლოლურში შემორჩენილია **-მცა // -მც** ნაწილაკ-მორფემოიდი. იგი, ისევე როგორც ძველ ქართულში, გამოიყენება თხრობითი კილოს ფორმასთან და გამოხატავს კავშირებითის სემანტიკას. **-მცა** ნაწილაკი სპორადულად გვხვდება იმერულ, გურულ, აჭარულ დიალექტებშიც.

ნეტამცა ნატრა მანატრა, ნატრა მე ამისრულაო... **ნეტამც** ნადირთა თასმა მქნა, ჩავგვეოდე ღვედურებ (მთარაჭული, გლოლური).

ვერცხლის აბაზიანი ეჭირა ხელში და კბილებში გამოურონიებდა ყველა ოჯახის წევრს: **ასემც** მაგარი ყოფილხარო, ფულის იღბალი გქონოდესო (მთარაჭ., გლოლ.).

ზოგჯერ **-მცა // -მც** ნაწილაკი კავშირებითი ფორმის შემცველ კონსტრუქციებშიც გამოიყენება ნატვრითობის ფუნქციის გასაძლიერებლად **ნეტამცა** ეჯობოს (რაჭ.).

გინდამც, ვითამც ნაწილაკები

დასავლეთი საქართველოს დიალექტებში პირობის გამომხატველი **გინდამც** მოდალური ელემენტი გვხვდება **გინდამც** სახით.

თუ გომბიო დემადა — პრატი, **გინდამც** აფერი არ შეძენიან სახში, ზედმეტია ლაპარაკი მახარობლის დაშაჩუქრებაზე (ზემოაჭარული, ნიჟარაძე, 1957).

გინდამც ვინცხაი მომკტარიყოს, იმფერ მეიქცა ყველაი (ქვემოგურული).

ახლა, იყო იქინე აი ნემცემის დატიებული პური წამოცმული მი-ნაზე და წაახტებოდა ბიჭები და გააფრენდა ხაიერში და **გინდამც** აფერი (გურული).

მიმსგავსება-მოჩვენებითობის გამომხატველი **ვითომ/ ვითომც** გვხვდება **ვითამ / ვითამც** ვარიანტებით:

ნუ გეშინიაო, — უჩუჩულა, — დილაფთ ვაჟა სწმენდს ტრედებს, **ვითამ** გავაკეთებო (გლოლური).

ვითამ ძალდი ეგონა (ქვემოგურული).

ისე ცოცხლითაჲ და ბეჭთათ დამამახსონდა აი ამბავი, **ვითამ** გუმხამ იყო, თვარა ვოთხი წლის კ'არ ვიყაი **ვითამ** (ქვემოგურული).

დამინახეს, **ვითამც** აფერი (ქვემოგურული);

დახტიოლი მამუდამ წევდა, **ვითამ** კანტორზე აზოტი და მიეტანა, მარა მივედი ბოსელზე და მამუდა არსათ არ იყო (ქობულეთური).

ესროლეს და **ვითამც** მოკლეს (ზემოაჭარული).

თხოვნითი ნაწილაკი -ჭი

ჭი (<ჭირიმე) ნაწილაკ-მორფემოიდი ამჟამად ძალზე იშვიათად გამოიყენება. როგორც შ. ძიძიგური აღნიშნავს, თხოვნითი კილოს კონსტრუქციებში ამ ელემენტის გამოყენება სპეციფიკური რაჭული მოვლენაა: „გამიკეთე, **ჭი**, ეგ საქმე!“ „ჩაირბინე, **ჭი!**“

კითხვითი ნაწილაკები: -ა, -ე

რაჭულ დიალექტში კითხვით კონსტრუქციებში გვხვდება -ა ნაწილაკი: **მიდინარ-ა?** არ **მოგაქვს-ა?** რა მოწყენილი **ხარ-ა?** (შ. ძიძიგური).

იმერულ დიალექტში კითხვით ნაწილაკად გვხვდება -ე: რა **უყო-თე?** (ჯორბენაძე, 1989). უმეტესად -ე ერთვის **ხომ** კითხვით ნაწილაკს და ვიღებთ **ხომე-ს**:

კაი ვენახია, **ხომე?**

სიტყვასიტყვითი: -მეთქი, -თქვა, -თქო, -ო.

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში სხვათა სიტყვის ნაწილაკ-მორფემოიდებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება -**თქვა**, რომელიც გამოიყენება როგორც სალიტერატურო ენაში გამოყენებული -**თქო** ნაწილაკის, ისე -**მეთქი** ან -**ო** ნაწილაკის ფუნქციით:

ბიჭი ეუბნება: წადი, და უთხარი ხემწიფეს — შენ ყველაფერი ეს გიქნა იმ ბიჭის ცოდვებმა, რომელიც ორმოზნელში **ჩააგდე-თქვა** (ქვემორაჭული).

მერე კი მჯავრობდი, რაზე **მოგკალი-თქვა**, მარა ქვე რალა დროს (ქვემორაჭული).

მერე მე ვსთქვი, რო ე წაქცეულს კვდარიც რო იყოს, უნა **ვეს-როლე-თქვა** (ქვემორაჭული)

წავიღებდით დიოფალეებს, აკავანეებს და ვიტყოდით: **ვისახლო-თა-თქვა** (მთარაჭული, რივნისთაური, დიალ. კორბ.).

შახში მივალ, შობლები უნდა **ნავხო-თქვა** (ზემოიმერული).

მიველი, უთხარი ანას: ესა და ეს წიგნი **მამეცი-თქვა** (ზემოიმერული).

რო დავფიქტები, ასე ვიტყვი: რამ **მაცოცხლა-თქვა** (ზემოიმერული).

მართალი ტურა ვის **უნახავს-თქვა**, — გეციინე, მოვწიწე ი ტურა, მევიგდე ზრუგზე, მე სამოც დარგას კ'არ **გართუმ-თქვა**, — ვუთხარი და წამევედი (ქვემოგურული).

არ დუუჭერე, ვერ **დეიჭირავდი-თქვა** (ქვემოგურული, დიალ. კორპ.).

-მეთქი მორფემოიდი იმერული დიალექტის ზესტაფონურ თქმაში **მე ვთქვი // მეთქვი** სახითაა წარმოდგენილი;

გურულ, აჭარულ დიალექტებში **-მეთქი** ნაწილაკი გვხვდება ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით: **-მეთქინ**, გამოიყენება როგორც ზმნის ფორმებთან, ისე სახელებთან, ზმნისართებთან, ნაწილაკებთან...

იგენს უთხარი, თქვენ გამოხვეით ჩუმათაი, მოშორებით, არც ჟვერო გასტენოთ და არც **აფერი-მეთქინ** (ქვემოგურ.);

კარგი, არ **გავაცხადეფ-მეთქინ**, — მე უთხარი (გურ.);

ისე მე ყურბეთშიც ვარ ნასიარულეები, მარა ხომ გითხარ, ძველ ამბვეფ ვეღარ ავკრეფ **ახლა-მეთქინ** (ზემოაჭარული);

თქვენ-მეთქინ, ბათუმი **იცი-მეთქინ?** (ქობულეთ.).

ზოგჯერ I პირის ფორმებთან **-მეთქი** ნაწილაკის ნაცვლად გამოიყენება **-ო: მოვალო**, — უთხარი, მარა ვინ დაგიჭერა! (გურული, ჯორბ., 1989, 532).

დასავლეთი საქართველოს დიალექტებში სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკი შეიძლება დაერთოს წინადადების ყველა წევრს: გაწმენდილი **ვიყოთო მტრიდანო** და **ბოროტიდანო** (რაჭ., ჯორბენაძე, 437); **ერთიო კაციო მევიდაო** (გურული, ჯაჭანიძე).

-ო ნაწილაკის წინ ზოგ დიალექტში ჩნდება **-ა**. ეს გვხვდება რაჭულის ყველა კილოკავში, გლოლურის გარდა (ზემორაჭულში: **გინდათ-ა-ო**, **ამოსწვით-ა-ო**; ქვემორაჭულში: **ჰგავს-ა-ო**, **ყამს-ა-ო**; რიენისთაურში: **შემოთვალეს-ა-ო**, **დაამზადეთ-ა-ო**) და იმერული დიალექტის ხარაგაულურ თქმაში (**მივდივარ-ა-ო**, **ხარ-ა-ო**). იშვიათად **-ა** გვხვდება **-ო-დაურთველ** ფორმებშიც: ძმები **ხართა**, ჩვენი ბომუნები **ხართა**, **ავდგებითა**. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, ეს **-ა** და კითხვითი **-ა** ფუნქციით და წარმოშობით ერთმანეთისაგან განსხვავებულია (ჯორბენაძე, 1989).

ვალდებულების ნაწილაკები: უნდა, უნა, ნდა, ნა

დასავლეთი საქართველოს დიალექტებიდან რაჭულსა, იმერულსა და ლეჩხუმურში ვალდებულების, აუცილებლობის გამომხატველი **უნდა** მორფემოიდი გვხვდება არქაული **უნა** სახითაც:

ჩვენი გვარი **უნდა** მოსულიყო მუხურიდან (ზემოიმერული);

ჩვიდმეტ დეკემბერს **უნდა** გამოიცვალოს თვარეი (ზემოიმერული);

— ბიჭმა უთხრა, რომ მე მივდივარ, ამა და ამ კაცს ფული მართებს და ის **უნა** გამოვართვაო (ქვემორაჭული).

მარტიდან **უნა** დევიწყით ვენახის კეთება (შუაიმერული);

შვიდი კაცი წამევიდენ და შეფიცეს: ბატონი **უნა** ამოვწყვიტოთ ცოლ-შვილითო, ამ ღამეს **უნა** მივიდეთო (ზემოიმერული);

უნა გამატანოვო (ლეჩხ.);

გურულსა და აჭარულში გამოიყენება **უნდა, ნდა, ნა:**

მოგტეხო'ნდა ეს ხე და **დავდვა'ნა** ძირშიო (ქართ. დიალ., 1961, 408);

თავი'ნა მეეჭრა ჩემთვის იმ კაცს და გამუასწარიო (ქართ. დიალ., 1961, 409);

მე **აქ'ნა** ვიყო, ღამე გავთენო (ქართ. დიალ., 1961, 408).

განუსაზღვრელობითი ნაწილაკ-მორფემოიდი -ლა-ცა, -ცა-ლა, -ცა-ლ, -ცა-ნა, -ც-ნა, -ძა-ლა, -ძა-ნა:

განუსაზღვრელობითი ნაწილაკ-მორფემოიდი **-ლა-ცა** დიალექტებში ამ სახითაც გვხვდება და სხვადასხვა ფონეტიკური ნაირსახეობითაც: **-ცა-ლა, -ცა-ლ, -ცა-ნა, -ძა-ნა, -ძა-ლა**. ეს რთული ნაწილაკ-მორფემოიდი ყველაზე მეტი ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება რაჭულში. ეს ვარიანტებია: **-ლა-ცა, -ცა-ლა, -ცა-ლ, -ცა-ნა, -ც-ნა, -ძა-ლა, -ძა-ნა:**

ხთის ტუმარო, რა გზით მოსულხარ, იმ გზით წადიო, **ვინცაღა** ხარო! (რივნისთაური);

მივიდა ისრევ ამ დევთანა, **ვინცაღა** ასფურცელა შეჭამაე (გლოლური);

რავარცაღა არი ამისი იგავი და აღარ მახსომს (ზემორაჭული);

მერე გაიქცა იმ მეფესთან, **რომელიცაღა** წამალს უკეთებდა (ზემორაჭული);

— აწ შემოუთვალა როსტომმა ამ ჭაბუკსა: აქ ამოეო, ახლოს მოდი, **ვინცაღ** ბრძანდებიო! (გლოლური);

დაჯდა ხვირზე, ამ დროს აბესალი ამ ხვირიდან **რამაცად** ჰკრა ნემსი და ატკინა (გლოლური);

რამაცად, სააცად (გლოლური, ჯორბ., 1989);

— მე ეს კი არ მინდოდა ჩემი შვილითვინაო, — თქვა მეფემ, — მარა **რომელიძანა** შეხვდა, ის იყოსო (ზემორაჭული);

საცანა, რომელიცანა (ზემორაჭ., ჯორბ., 1989);

რაცნა, საცნა (ქვემორაჭ., ჯორბ., 1989);

-ცანა, -ძადა, -ძანა, -ცნა გვხვდება იმერულში:

ვინცანა სამეგრელოში დედოფლათ ყოფილა (ქვემოიმერული);

ხან სომეხი ჩხუბდა, ხან **ვინძადა** და მერე ჩაშოშინდა ე საქმე (ზემოიმერული);

ბიჭმა უთხრა: მოდი აქ და გაგაგებინებ, **რამძანა** მინდაო (ზემოიმერული);

რამძანა თვალში მოუვიდა (ზემოიმერული);

რომელიძანა ქალი ნახე, ის ველარ ვიცანი (ზემოიმერული).

ამ დროს აქანე მევიდა სხვა **ვინცნა**, მორე კაცი (ქვემოიმერული);

-ცნა გვხვდება გურულსა და აჭარულში:

— მე, ბატონო, გამომაგზანა **ვინცნა** დევმა მესამე სახენწიფოიდან (გურული);

იგი ერთი, **რომელიცნა** ძლიერია, გაანაყოფიერებს ამ დედაფუთკარს (ქვემოგურული);

თქვა, რომ ეს ბლუზა **რომელიცნა** ქალმა მოქსუა, ის ქალი ცოლათ უნდა შევირთოვო (ზემოაჭარული);

ასე ხომ ვერ წევალ წისქვილზე, აკონკილი; **ვინცნა** რომ შემხთეს? (ქობულეთური);

საკურცხლე ამაფხანია, რომენ **საცნა** წევალთ ტირილში ხალხის, **ვინცნა** მოკტება! (ქობულეთური).

-ვე, -რე, -ნა//ნე ნაწილაკები

იმერულ, გურულ, აჭარულ დიალექტებში **-ვე** დაერთვის რიცხვით სახელებში უშუალოდ ფუძეს; ზოგჯერ ხდება ვ > უ: ორ-უე, სამ-უე...

ე კაჩალები გზირათ იყო და მოკლა **ორვე** ძმანები ი ღამეს (ქვემოიმერული).

ახლა ჩვენ მოლაპარაკებელი ვართ **ორვე** ცოლი და ქმარი; აბა, მეტი ვინ კვყავს პატრონი (ქვემოგურული);

ახორში **ორვე** კედაროს სიგძეზე ბაგაა გაკეთებული (ზემოაჭარული).

ორჟე ერთნაირათ იყო აწყობილი (გურული);

ჭუჭულები **ორჟეზეა** შეჩოული (გურული);

სამჟე ღამეს მან უყარაჟლა (ქობულეთური).

-ვე ნაწილაკი აჭარულ დიალექტში **-ნ** სუფიქსიან რიცხვით სახელებს დაერთვის: **ორნივე // ორნავე // ორნავედ, ორნავემ, ორნავეს, ორნავედს, ორნავედთ, ორნავედ:**

ორნავე დღეს მოქსვა (ზემოაჭარული);

მოწიწა **ორნავედ** ყურებით და მტყაჟდა ზრუქში ამ დივ (ზემოაჭარული).

დადებულ პირობაზე **ორნავემ** კლავი მოსწია (ზემოაჭარული);

ორნავეს ასხია წრეგლავი (ზემოაჭარული).

-ვე ნაწილაკ-მორფემოიდი აჭარულში წარმოდგენილია **ის-ვენ** (< ისე-ვე), **კიდ-ვენ** (< კიდე-ვე) ნაწილაკებში, რომლებიც ფუძისეული **ე**-ს სინკოპირებისა და ბოლოკიდური **ე**-ს ნაზალიზაციის შედეგად არის მიღებული:

თვითან ევდა სახლში და დეიწყო **ისვენ** კითხვა (ზემოაჭარული).

წელი მომტყდა ამტონ მუშაობაში და **კიდვენ** მაყვედრი? (ზემოაჭარული).

დასავლეთი საქართველოს დიალექტებში თავისებურებანი შეინიშნება **-რე** ნაწილაკის გამოყენებისას: რაჭულში **-რე** გვხვდება ჩვენებით ნაცვალსახელებთან:

— იარეს ხარებმა და ისრე დასუქდეს, **ისრე**, რო ტყავში აღარ ეტევიან (გლოლური);

— **აგრე** გემრიელი რო მგონებოდე, იქავე შექქამდიო! (ქვემოაჭარული);

— არა, შე სუნელო, **აგრე** ნუკი იზამ, მე მოგიხერხებ ყველაფერს (ქვემოაჭარული);

რაჭულში ხშირად **-რე > -რ**. ამ მხრივ ეს დიალექტი აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებს (ხევსურულს, ფშაურს, მოხეურს) ემსგავსება:

— მესამე ღამესაც წავიდა **ისრე** (გლოლური);

დასტურდება **აგრე** ფორმის **ნ-** ჩართული ვარიანტიც **ანგრე**:

— **ანგრე** შეს ტერს ეძინაო, ქალმა უთხრა, რავარც შენ გეძინაო (ქვემოაჭარული);

—მე **ანგრე** ადვილად ვერ წავალო, — უთხრა (რივნისთაური).

ანგრე, მანგრე ფორმები გვხვდება ზემოიმერულშიც:

— **ანგრე** მამყიდა მეპურემ-მეთქი (ზემოიმერული);

მეც ხო **ანგრე** მამივიდა ზეით, ნაქერლის პირშია (ზემოიმერული).

-რე ნაწილაკი დაერთვის **ზე, ქვე, ადრე** ზმნისართებსაც: **ზე-რე, ქვე-რე, ადრე-რე** (< ადრე-რე):

ასთე უნდა წასრულიყავი, ჯონოული ხიდზე მიხვიდოდი, მერე **ზე-რე** ოუხოვდი და მიხვიდოდი ლაილაშ (ლექსუმური).

ვთქვათ სადმე წყალი გამოდის **ქვერე** (ქვემოდ) და არ გვიმხრობს (ქვემოიმერული).

დასავლეთი საქართველოს დიალექტებში ზმნისართებს ხშირად ერთვის **-ნა// -ნე** მორფემოიდები; ძირითადად ისინი დაერთვის ადგილის ზმნისართებს: **აქანა, იქანა, სადანა, მადანა**, რომლებიც დასტურდება სხვადასხვა ფონეტიკური ნაირსახეობით: **ექა-ნა, საანა, სანა, სანე, სიდან, მანა, მანა... -ნა // -ნე** გვხვდება სხვა ზმნისართებთანაც: **ჩუმათა-ნა // ჩუმათა-ნე; მარტვა-ნა // მარტვა-ნე; ძალათა-ნა // ძალათა-ნე**.

ეს ეკლესია, პირველად რომ მუშაობა დავიწყე, **აქანა** იყო ექვთიმე თაყაიშვილი (ქვემორაჭული);

აგერ **აქანა**, მეც **აქანა** ვარ და ეიყვანა ეს ქათამი და აქავე ჩაფლა (ქვემორაჭული);

აქანე წისქვილი იყო, ერთი თორმეტი წისქვილი მაინც იყო (ქვემორაჭული);

— აბა, **სადანა** გინდა რომ კარები იყოსო? (რივნისთაური);

— მეცა **იქანა** ვიყავნ (გლოლური);

მადანე მენშევიკები აწობოდნენ, კავკასიის აღება უნდოდათ (ქვემორაჭული);

დანით მივაჭრით **აქანე** (ლექსუმური);

სანე ტყუბი სახრე ქონდა ჩაფწნული, **სანე** ისე იყო დარჩენილი (ლექსუმური);

ადესე **სიდან** გაჩთა, მაი არ ვიცი (გურული);

აქანა სახლები მეჩხრათ იდგა, ხეი იყო სულ სოფელჩი შით (გურული);

ამ ხალხს დახვთენია **აქანე** ორი მოსახლე ხაბეიშვილი (გურული);

შენ **სიდან** მედ ყვან მაგას? (ზემოაჭარ.)

იმერულ დიალექტში კილოკავები ამ მხრივ განსხვავდება: ზემოიმერულში ძირითადად **-ნა გვხვდება**, ქვემოიმერულში — **-ნე: აქა-ნა//**

აქა-ნე, იქა-ნა//იქა-ნე; სადა-ნა//სადა-ნე; მადა-ნა//მადა-ნე, თუმცა ეს განსხვავება ყოველთვის არ დასტურდება:

— **აქანა** სულ ნარჩიელაა დატოვებული, ხამსილა ტაროები (ზემო-იმერული);

მესამე წელიწათს, კტის წყარო რო გამოდის, **იქანა** შამომხვთა (ზემოიმერული);

— **სადანა** არი და აგერ არი (ზემოიმერული);

მადანა გეიზარდე (ზემოიმერული);

— ვინ ხარ, კაცო, შენ, **აქანე** რო მარგლიო? (ქვემოიმერული);

— შენ დედა და მე შვილიო, — უთხრა იმ ქალს, **იქინე** რო ესახლა (ქვემოიმერული);

აქანა არის ხეები წაბლი (ქვემოიმერული);

რო დაამთავრა **იქანა**, წამევიდა და მევიდა თავის სამშობლოში (ქვემოიმერული);

ვინ არი **მადანა** დამწყვედელიო, გამეიყვანეთ ჩქარაო! (შუაიმერ.).

ზოგჯერ ადგილის ზმნისართებს ბრუნვის ნიშნების დართვისას **-ნა/-ნე** მორფემოიდი ჩამოსცილდება და გვაქვს **სიდან//სიდანი, სე-დით//სეით**, მადით ფორმები:

ამ დამ გამოხედა გარეთ და უთხრა: **სიდან** მოხვედიო? (ზემოიმერული);

მივლიენ გზაზე, მერე შეხთა დათვი და უთხრა: **სეით** მიხვალო? (ზემოგურული).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ზოგჯერ ზმნისართებს ერთვის **-ი**, რასაც ასევე ფონეტიკური ცვლილებები მოსდევს:

ლდეღმა ქე გამეიშიმა **ჩუმათე** (ქვემოგურული);

კურდღელი მომიკლავს **ჩუმათაი**, ბატონს არ შუუტყვია ისთე (გურული);

— წედი შაქარ-ოღლის შეხდები და **ჩუმათაი** ... გეფე — რუმელი **Á**არალი აქს ჯიბეშიო! (ქობულეთური);

ჩუმჩუმათაი ზოგიერთები ღვინოს აყენებდენ თურმი (ქობულეთური);

მარტვაი ვიყავ (ზემოაჭარ.);

ბევრი იარეს, აფხანაკები დიეკარქენ და დარჩა **მარტვაი** (ქობულეთური);

შელლიგი ჰად ბძანდებიან, რუმ **მარტუაი** დარჩენილხარ? (ზემოაჭარული);

ამის მემრენ ემე ქალმა **ჩუმათალა** ბაზარში ხემწიფის შესადარი ტანსამუსი იყიდა (ზემოაჭარული);

ზოგჯერ ზმნისართები რთულდება **-ობა** სუფიქსით (სანობამდი, მანობამდი, მაქობამდი, აქობამდე, იქობამდე, არასფელობამდინ...):

ორი წლის წინ დავრგევი, **მანობამდი** არ მქონია (ზემოიმერული);

მანობამდიც ასეთი „ჩანგვლური“ საბძელი და სახლი ვიცოდით ახლა რომ საბძლები გვაქ, მისთანა (ლეჩხუმური);

აქნობამდი გაძლო (ლეჩხუმური);

წისქვილს ქფილი არ უნდა შამუხდგეს, ევილოთ უნდა **მაქობამდი** (გურული);

ისტე უბრალოთ არ მოკლიდენ კაცს იგენი **არასფელობამდინ** (ქვემოგურული);

მოკრეფდენ წიფობისთვეში და ჩააწყობდენ ჭურში, დავოზავდენ და გამარტებამდი იყო, **იქობამდი** გააწევდა, არ წახთებოდა (გურული);

ხოდა, აქედან და, იგენი რომ დგანა, **იქნობამდი**, წავგართუა ჩვენ მახსონობაში მიწა, ობლევს (ქვემოგურული);

წისქვილს ქფილი არ უნდა შამუხდგეს, ევილოთ უნდა **მაქობამდი** (გურული).

ანამისმა ახლა შუათანაა გომბიო ხატოა გამოგზანა წყაროზე: გემ გევ, ჰა წევდა **აქობამდი** ფადოა ვო (აჭარული);

— რატომ არ მოვდა ი ბლუმტი **აქობამდინ?** (ზემოაჭარული);

ნაწილაკ-მორფემოიდი კინალამ

კინალამ ნაწილაკ-მორფემოიდი რაჭულში წარმოდგენილია როგორც: **კილამ//კილამე**, იმერულში გვხვდება **ლარმე//ლამე** სახით, ზესტაფონურში: **კილამე//კილამეს**, ლეჩხუმურში: **კილამ//კილმა**, გურულში: **კალამ//კახამ**, აჭარულში: **კილარმი//ლარმი**, **წილამ** (კაწ აფრიკატიზაციით):

ხენწიფე ჭკუაზე **კილამ** შეიშალა (ქვემორაჭული);

აი, იქით, აი აქეთ და **კილამე** დაძლოს ლომკაცმა და გაუტყდა სრმალი და: ჰა, ღმერთო, მიშველეო! (რივნისთაური);

კილამე გახია ტუფლი (ქვემორაჭული);

დუქნებიდან **კილამე** ველარ წამევედიო, ქარი, შუშხი, ყიენა კი არ იყო დიდი (რაჭული);

მთელი ჯარი მოდის მის ამოსადებათ, იქანაურები ვერ ერევიენ, **კილამე** მთელ ამ კუთხეს ეყოფა იქანაური ქართოფილი (ქვემორაჭული);

სამ ლიტრ რძეს იწველება ახლა ი ძროხა, ორს **კილაძე** ღამე იწველება და ერთს დილაზე (ქვემოთაჭული);

შვილო, მამკლა **ღარძე** და შენც გეიპარე, თვარა ჩვენი საშველი არ იქნებაო (ზემოიმერული);

ქმარი გაგიჟდა **ღარძე**, არ ამოუღია ხმაი (ზემოიმერული);

ბოლოს **კილამ** წამატანა უღვაშზე ხელი (ქვემოგურული);

ბერი **კილამ** ჭკვაზე შეიშალა: რა ატირებენ ამათო? (აჭარული);

კილამ შიმიწუხთა გული! (ქობულეთური);

გუუხარდენ, მარა აი უმფროსი **კალამ** გადირია პაწადს მეტი... (ქვემოგურული);

ნიგუზალი **კალამ** დაარტყა (ქობულეთური);

კილამეს მომკლა (ზემოიმერული);

ყენდეჰერ-ალას შიშიზგან **კილარმი** ენა ჩუვარდა პირში (ზემოაჭარული);

ჰო, **კილარმი** დამაბიწყდა — პირველათ ლაპაიკიც მუხდენ ფასზე თურმინ (ზემოაჭარული);

იმდონი ბურღლა დეებღალა, რომ **ღარმი** ერთი ბალიში გეგტენებოდ (ზემოაჭარული).

ქვემოიმერულში გვხვდება **რალძე** ფორმაც: შეხედე, **რალძე** არ დემეცა ეგი თავში?!

ხომ, კიდევ ნაწილაკები

აჭარულ დიალექტში **ხომ** ნაწილაკი გვხვდება შემდეგი სახეცვლილებით: **ხუმ // ხუ**:

— ამ ქალაქე რომ დავწერო, **ხუმ** არ გეწყინება? (ზემოაჭარული);

— წროულს **ხუმ** კაჲ წელიწადია (ქობულეთური).

კიდევ ნაწილაკი რაჭულში, იმერულში გურულსა და აჭარულში გვხვდება **კიდო**, **კიდომ** ვარიანტებით, იმერულსა და აჭარულში იშვიათად დასტურდება **კიდოვ** ფორმაც:

დედინაცვალმა იმდენი ილაპარაკა, **კიდო** კარები გააღებია (ქვემოთაჭული);

დაჰკრა და **კიდო** ააგდო სამი საქალამნე (გლოლური);

კიდო ხ'ვარ გინდა? (ზემოიმერული);

შენსავით ვიმუშეფ მე **კიდოვო** (ქვემოიმერული);

აი **კიდომ** იმფერ ოტკას ხთითა, რუმ გაასხმიდი მოლზე, ახრუკავდა ბალახს (ქვემოგურული);

ახლა **კილომ** ჩააყენებ ტყემალს იმ ჭურჭელში და კილომ მოხარჩავ, კილო დაასხამ კალათში (გურული).

უფთხილდი მაგ შედთან მელას, **კილო** არ გიქნას ვარესი (ქობულეთური);

დაკლესო ხუთი სულიო და აღარ ეყვენ **კილოვო** (ზემოაჭარული);

ბანკები **კილოვ** ტყდება (ზემოაჭარული);

ნუ ილაპარაკებო, თვარა დაგიჭირავენ **კილომო** (გურული);

ზოგჯერ **კილევ** ნაწილაკს დაერთვის **ც** ნაწილაკი: **კილევაც > კილომეც** (ქვემორაჭული), **კილომც** (გურული):

კილომეც გაემგზავრენ ქაჩალი და ერთი მეცხვარე ხენწიფესთან (ქვემორაჭული);

ხაფანგიც ეილო, **კილომც** მომიქნია, ეიწვართა, მარა უშონე ოინი (ქვემოგურული).

აჭარულში ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით (რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ დიალექტისათვის) ვიღებთ **კილონ** ფორმას:

კილონ ამოვდონ აქა (ზემომეჭახლ.).

აჭარულში **კილევ** ნაწილაკს ზოგჯერ ერთვის **ვე**, ფუძისეული **ე** სინკოპირდება, ხოლო ბოლოკიდური ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის და ვიღებთ **კიდ-ვენ** ფორმას:

— ნუ წახუალ, რა გეჩქარება, პაწაი **კიდვენ** დარჩიო (ზემოაჭარული);

ერთ თუეს უკან მივა ელჩი **კიდვენ** (ზედამეჭახლური);

— ახლა რა გაქ **კიდვენო?** (ქობულეთური).

3.4. შორისდებულები ქართული ენის დიალექტებში

შინაარსის მიხედვით შორისდებულებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: გრძნობა-აღქმის, მოუბრის ნება-სურვილის და ფიცილ-აღერსის გამომხატველ შორისდებულებად. განსაკუთრებით მრავალფეროვანია გრძნობა-აღქმის შორისდებულები, რომელთა შესწავლასა და კლასიფიკაციას გარკვეული სირთულე ახლავს, რადგან მათი დიდი ნაწილი მოქცეულია დანაწევრებული და დაუნაწევრებელი მეტყველების ზღვარზე და წერის დროს პირობითად გადმოიცემა; ძნელია იმის მტკიცება, რომ ესა თუ ის შორისდებულო მეტყველებაში მხოლოდ იმ სახით გვხვდება, როგორც ის წერილობით ტექსტებშია წარმოდგენილი; ამასთანავე ესა თუ ის ფორმა განსხვავებული ვარიანტით შეიძლება შეგვხვდეს როგორც სხვადასხვა, ისე ერთისა და იმავე ადამიანის მეტყველებაში. ზემოთქმულის მიუხედავად, აშკარაა, რომ შორისდებულები, ისე როგორც ენის ძირითადი ლექსიკა, განსხვავდება დიალექტების მიხედვით. ზოგი მათგანი მხოლოდ რომელიმე დიალექტური არეალისათვის არის დამახასიათებელი, ზოგი კი სხვადასხვა კილოში სალიტერატურო ქართულისაგან ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტით ან განსხვავებული ფუნქციით გამოიყენება.

განსაკუთრებით გამოირჩევა თავისებური შორისდებულებით მთის კილოები.

თუშურ დიალექტში გვხვდება გაკვირვების გამომხატველი ამე // **ამეც** შორისდებულო: *ამე, ამე, რაყს შჩადის?* (ცოცანიძე, 2012); *ამე, რაყიც მე ქისტების შიშ არ გადამიყრია ბალობითივშ* (ცოცანიძე, 2012); **ამე** შესაძლოა განცვიფრების გამომხატველ ა შორისდებულზე **მე** ნაწილაკის დართვით იყოს მიღებული (როგორც **ი-ზე მე-ს** დართვით მიღებული, იმერულსა და ქიზიყურში გავრცელებული, **იმე**, რომელზეც ქვემოთ შევჩერდებით).

გაკვირვებას გამოხატავს თუშურში ასევე **ენ: ეჩ!** *ეს რავკერიტაყ ყოფილ!* (ცოცანიძე, 2012); იგი უნდა უკავშირდებოდეს ო. გაჩეჩილადის მიერ მოყვანილ **ენა** შორისდებულს (*ენა! რა უქნია და!* ს. მგალ.), რომელიც მკვლევარის აზრით, იგივეა, რაც **ბენა** (გაჩეჩილადე, 1979, 161). ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ვარიანტია **აბენავ** (ა შორისდებულზე დართულია **ბენავ**), რომელიც ფშაურში დასტურდება და შექებას,

მოწონებას გამოხატავს: **აბეჩავ**, *შიშნიავ, შენ მეტიც ამას ვერავინ მაპკლევდა* (თ. რაზიკ.). ირონიულად არის გამოყენებული იგი შემდეგ მაგალითში: **აბეჩავ**, *მამაილავ, არაყის სმით აცხოვრებ ოჯახს!* (ხორნაული, 2000).

შორისდებული **ბეჩა! ბეჩავ! ბეჩაო!** გამოხატავს გაკვირვებას, სიბრაღულს, თანაგრძნობას; ზოგჯერ ჩართული სიტყვის მასალაა მიმართვისას. იგი ძირითადად მთის დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი: **ბეჩაო**, *ჩემო! შენ რაღა გიჭირს?* (ა. ყაზბ.). *რაია, ბეჩა! შენ სულ შენი ელგუჯა გავონდება...* (ა. ყაზბ.). *აჰუ, ბეჩაო, საქონსა თავს ხომ ვერ დავანებებო?* (ბაჩანა).

ეს შორისდებული აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში უფრო **ბეჩავ** ფორმით გვხვდება, დასავლეთი საქართველოს კილოებში კი (რაჭულში, იმერულში) **ბეჩა** ფორმით არის გავრცელებული:

ყურმაყოვ, ბეჩავ, რადამ გვაშინებავ, მეტაყ გვეშინისავ, გონთალ იყავივ (თუშური, დიალ. კორპუსი); ავ, ბეჩავ, ეგ რაყ უქნავ მეგ არსაქნელს!; ბეჩავ, გივი, მეტაყ ცოლ ვინდა? (თუშური, ცოცანიძე, 2012); *ბეჩავ, თუ ჩუენს კაცს ჯორცი არა აქუ, პირს არას დაადებსკე (მოხეთური, დიალ. კორპუსი); მარხვის დროს ჯორცი ინახება, მაშა ვინდა შაშჰამს, ბეჩავ, ჯორცსა!* (მოხეთური, იქვე); *ზაფხული იფრო კარგია, ... რაი არაა: რძე, კარაქი, დო, ყველი, ... ბევრი რაიმი, ბეჩავ!* (მოხეთური, იქვე); *ბეჩა, კაცო, თუ მამიტან წამალს, თვარემ მოკვდები!* (ქვემორაჭული, იქვე); *რომ მოგქსოვდით ბადურს, ქალები ვიტყოდით: მეიქსოვა, ბეჩა, ბადურიო და რამდენზე დავტუოთ თავიო* (ქვემოიმერული, იქვე).

ფშაურ დიალექტში შიშის გამომხატველი შორისდებულია **აბეე**: **აბეე**, *რარივ თავ-ცხვირნი ჰქონ მეგ დანელეებულს მეგასა!* (ხორნაული, 2000.).

მოხეთურში აღტაცებას გამოხატავს შორისდებული **უჯაჩ: უჯაჩ!** *მამა მოვიდა ცხორჩივათ!* (ქავთარაძე, 1985). იგი მხოლოდ ამ დიალექტშია დადასტურებული და მისი წარმომავლობა გაურკვეველია.

ამავე დიალექტში გაცების, გაკვირვების გამომხატველი შორისდებულია **აიშე**: **აიშე**, *ამასლა, როგორი გაზრდილა!* ი. ქავთარაძე კითხვის ნიშნით აღნიშნავს, რომ იგი შესაძლოა **აი შენ**-ისაგან იყოს მიღებული. მის პარალელურად გამოიყენება **ოიშე** (ქავთარაძე, 1985). ივ. ქავთარაძის მოსაზრებას ვფიქრობთ, მხარს უჭერს ისიც, რომ ამავე დიალექტში და ზოგ სხვაშიც გავრცელებულია **აიშე, აიბე, აიბე, ოიშე**,

ოიპმე შორისდებულები, რომლებიც **აი, ოი, ოიპ** შორისდებულებზე **მე** ნაცვალსახელის დართვით არის მიღებული.

რამდენიმე შორისდებული დამახასიათებელია მხოლოდ ქიზიყური მეტყველებისთვის. ასეთია: **ოვაპ, ოოვაპ** (დადასტურებულია ქიზიყური მეტყველების ამსახველ ლიტერატურაში; მოგვყავს შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ხმალაძე, 2001): **ოვაპ, ოოვაპ! საწყალი მალხაზი, აფსუს ვაჟ-კაცო დაკარგულო! ოვაპ, შე საწყალო ლექსავ!** (დასახ. ნაშრ., 31); **გიორგიმ წამოიძახა, — ოოვაპ! და შემოპკრა ხელი ხელს** (იქვე, 30). მ. ხმალაძის აზრით, შესაძლოა იგი აქ მცხოვრებ სომეხთა მეტყველებიდან იყოს შესული ქიზიყურში (იქვე, 32). ქიზიყურში გვხვდება აგრეთვე **ოოვე**, რომელიც დანაწილებას გამოხატავს: **ოოვე, საწყალი! რა ძალად გაიფუჭა თავი საწყალმა, — სთქვა მამასახლისმა** (იქვე, 32). აღსანიშნავია, რომ **ოოვე** სამცხურ-ჯავახურშიც გვხვდება, ოღონდ ამ დიალექტში ის შიშის გამოხატველი შორისდებულია: **ოდა, მე ამაკანკალა: ოოვე, მე წასული ვარ-მეთქი!** (სამცხურ-ჯავახური, დიალ. კორპუსი). შესაძლოა, **ოოვაპ** შორისდებულის მსგავსად **ოოვეც** სომეხთა მეტყველების გავლენით იყოს გავრცელებული ქიზიყურსა და სამცხურ-ჯავახურში.

მხოლოდ ქიზიყურში გვხვდება შორისდებული **იშვ**, რომელიც თავისი შინაარსით მსგავსია **იფ** შორისდებულისა, მაგრამ მისი მნიშვნელობა უფრო დაკონკრეტებულია, გამოხატავს ღვინის ან წყლის დაღვევით მიღებულ სიამოვნებას, მოწონებას, კმაყოფილებას: **როცა მოიხსნა პირიდან საღვინე, ტუჩები დაიტკბარუნა და წამოიძახა: იშვ!...დაილოცა შენი გამჩენი!** (ხმალაძე, 2001, 33); **იშვ!... ცხონდა მამაშენიო და დავა ლიტრა ძირს** (იქვე, 33).

ქიზიყური მეტყველებისათვის დამახასიათებელია **იიმე** შორისდებული, რომელიც გაკვირვება-გაოცებას გამოხატავს: **იიმე, კინალამ გველმა არ დავგვლიჯა, ვახსომს?** (ხმალაძე, 2001, 27). **იიმე, იმე** გვხვდება ქიზიყურისაგან დაშორებულ იმერულ დიალექტშიც: **„იმე! მართლა ამბობთ, თუ მებუმრებით?“** (აკაკი). **„იმე! რას მიბრძანებ, კეკელა?“** (შ. დად.). საყურადღებოა, რომ იმერულსა და ქიზიყურში განსხვავებულია ამ შორისდებულის წარმოთქმის ინტონაცია (ქიზიყურში ი გრძელდება და მასთან დაყოვნება შეინიშნება).

როგორც აღვნიშნეთ, შორისდებულთა ნაწილი დიალექტებში ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტებით გვხვდება. თუმურ და ფშაურ დიალექტებში გვაქვს შორისდებული **აბაბად/აბაბაი**, რომელიც გამოხატავს გაკვირვებას, აღტაცებას, წუხილს, სინანულს: **აბაბად, რამდენ ჟოლი!** (თუმური, ცოცანიძე, 2011); **აბაბად, რა კარგაც შემოჩინდ, ლაზა-**

თიან! (იქვე); **აბაბაი**, რა მეტაყ კი შემწყინდ ეს მეცხვარეობაც! (იქვე). **აბაბაი**, რო ვიცნობდი და მინახავ (ფშაური, დიალ. კორპუსი); **აბაბაი**, სუ უგ ზოთ დავიდოდი, ემა თამარზე ცოტა ვიქნებოდი მაშინისა (ფშაური, იქვე); **აბაბაი**, რო სახს ბევრ უნდა, ჩემო ქალო (ფშაური, იქვე). მარცვლის გამეორებით შექმნილი შორისდებული **აბაბააბაბაბა** სალიტერატურო ენაშიც გვაქვს (გვხვდება გ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველასა და ა. ყაზბეგის ნაწარმოებებში), მაგრამ მასზე დართული ა/ი-ხმოვნაინი ფორმა მხოლოდ თუშურსა და ფშაურშია გავრცელებული.

ფონეტიკურად და ფუნქციურად ამ შორისდებულის მსგავსია მეორე შორისდებული **ადადაი** (გამონათავს წუხილს), რომელიც ასევე თუშურში გამოიყენება: **ადადაი!** როდისემ ვავ ეს ტიალ ზამთარ, რომ ეს ბოლიან ფეჩ დავიშოროთ! (ცოცანიძე, 2011). ეს ფორმა ა-ხმოვანდართული ვარიანტია მწუხარების გამომხატველი **დადაი**, **დადადა** შორისდებულებისა, რომლებსაც მიცვალებულის დატირებისას წარმოთქვამენ, დადასტურებულია ფშაურსა და მოხეურში, გვხვდება ვაჟასა და ყაზბეგის ნაწარმოებებშიც; ყაზბეგი იყენებს აგრეთვე **ადაი** ფორმას: *ამათ, ლოყებშივე შემოკვრით და სიტყვებით „ადაი“ ცხედართან მყოფი ჭირისუფლები უპასუხებდნენ.*

ეპ, ეეპ, ეპე, ეპუ... სალიტერატურო ქართულში წუხილის, სინანულის გამომხატველი შორისდებულება. მათი ვარიანტია თუშური **ეპუპ**: **ეპუპ**, რა უღბად ჩამიარ ყველაყმ (ცოცანიძე, 2011).

როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში საკმაოდ გავრცელებულია **იპ** შორისდებული, რომელიც გამონათავს: 1. სიამოვნებას, აღტაცებას. *ყველა კი ამას გაიძახოდა ერთხმად: „იპ, რა ცეცხლია, დაგლოცა ღმერთმაო!“* (ვაჟა). 2. დანანებას, ნაწყენობას; მორცხვობას. *“იპ! ბეჩავ, რა გინდა ჩემგან? — ფხუკიანობდა თამრო“* (ილია). *მიპ, რაღაც სხვა მეგონა! ჯერ ხომ არა ვინახავს-რა?“* (აკაკი) (ქეგლ). ფონეტიკურად ძალიან ახლოს არის მასთან **იშ** შორისდებული, რომელიც გამონათავს: სინანულს, წუხილს, საყვედურს, გაკვირვებას: *„ჩუ! ...სალამური! ...სწორედ ის არის! იშ! ...შეხედვასაც რომ ვერა ვბედავ?“* (აკაკი). *„იშ, შვილო, მე რომ შენს ალაგას ვიყო, უფრო სხვაფრივ დავიჭერდი საქმეს“* (ს. მგალობ.). **იშ** სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით და ფუნქციით გვხვდება დიალექტებში. ქიზიყურში იგი გამონათავს წყრომას, გაჯავრებას, უკმაყოფილებას: **იშ**, რავი ვინ იყო-მეთქი (ხმალაძე, 2001, 33); **იშ**, ნეტა მეც ეხლა ყაჯარსა ვკერამდე, ეგ ადვილია! (ხმალაძე, იქვე, 33); ქვემო იმერულში გვხვდება კმაყოფილების გამოსახატავად: **იშ**, რა კაი ამინდია, არ ვამევიდა, ბიჯო, დარი რავარც

იქნა?! (შარაშენიძე, 2008, 274); მოხეურ დიალექტში **იშ** და მისი ფონეტიკური ნაირსახეობა **იშე** აღმფოთების გამოსახატავად გამოიყენება: **იშ**, ეგ რაილა ჩემი საქმეა!; მარი, რასა მცემ, **იშე!** (ქავთარაძე, 1985). **იშ** შორისდებულის ფონეტიკური ვარიანტი **აიშ** გვხვდება აჭარულშიც, განსხვავებული ნიუანსით — გამოხატავს შურისგების კმაყოფილებას: **აიშ**, კად ყო: ხომ გებნებოდი, ნუ ეპეჭები-მეთქინ! (ნიჟარაძე, 1961, 170).

ვიპ! **ვი!** შორისდებული გამოხატავს: 1. მოწონებას, სიამოვნებას: „**ვიპ**, ამ ტკბილ ხმებსა!“ (ი. მაჩაბ.). 2. შეწუხებას, ჩივილს: „**ვიპ**, დედავ! დავგზოცა სიცხემ!“ (ა. ფურც.); „**ვი!** გენაცვალეთ; ეს რა მომივიდა!“ (ზ. ანტონ.) (ქეგლ). განსხვავებული ნიუანსით გვხვდება იგი ქიზიურში, გამოხატავს გაკვირვება-გაოცებას: ვინა ხარ, ვინა ხარ? მემრე გამაიხედე? და... **ვი**, თებრო არი და შიო ძიო (ლ. შალვაშვილის მიერ ჩაწერილი ხელნაწერი ტექსტები, ვიმოწმებთ მაია ხმალაძის სადისერტაციო ნაშრომის მიხედვით, 2001, 24). **ვი!** — შაშამ უთხრა, — რათა, დედი, რა გინდა, ვჰამოთ საქმელი და... (იქვე). **ვიპ!** — იმანაც დაჟედა, მეეხვია და აკოცნის (იქვე).

მწუხარების გამომხატველი **ვაი** შორისდებული ფშაურ დიალექტში დასტურდება **ვაპი** სახით: ე ქალ აჯადით მოგყავის, შატილს უნდ დავსვათ ჯარზედა, **ვაპი**, რა ონავრ ვიქნავისთ ლაშარის ჯვარის ყმაზედა (ფშაური, დიალ. კორპუსი). როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ტკივილის, მწუხარების, ტრაგიკული განცდის გამოსახატავად გვხვდება აგრეთვე **ვაპმე**, **ავაპმე**: ამოტირდა ცოდვიანი, **ვაპმე**, ცოდვა რათა გქენი! (ზემორაჭული, დიალ. კორპუსი); **ვაპმე**, რო ველარა ვხედავ, აღარ მიჭრიან თვალნიო... (ფშაური, იქვე); **ავაპმე**, ვინა ფამფარებსო, ჩემ სადასტუროს კარზედაო (ფშაური, იქვე).

ნიშნის მოგებისას გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში **ანდე**, იგივეა, რაც **აპა**, **აი**. დიალექტურ ტექსტებში იგი ხშირად გვხვდება ჩვენებით ნაწილაკად, თუმცა გამოიყენება შორისდებულის ფუნქციითაც, დადასტურებულია ლიტერატურულ ტექსტებშიც, პერსონაჟთა მეტყველებაში: **ანდე**, დავიდგეს თვალი, ხომ შემოგყარე დარდებო (ნ. ონაშ.); **ანდე**, იყავი და ელოდე (ს. დემურხ.); **ანდე**, ხომ გეუბნებოდიო (ლ. მრელ.) (ქეგლ). მისი ფონეტიკური ვარიანტია ქართლურ დიალექტში **ენდე**, რომელიც ასევე ჩვენებით ნაწილაკადაც გვხვდება და შორისდებულადაც. ჩვენებითი ნაწილაკია იგი შემდეგ წინადადებაში: „არც მახარე და არც **ენდე** ეგ, — „სარზე“ მიიშვირა ხე-

ლი, — არ დამხვდა“ (შ. არაგვ.), ხოლო შორისდებულის ფუნქცია აქვს ამ მაგალითში: „**ენდე**, თქვენ რამდენი რამ გცოდნიათ და მე კი მეკითხებოდით“ (შ. არაგვ.). ქართლურის გარდა დადასტურებულია მთის კილოებშიც: — **ენდე**, შეილო, რო გითხრი-მეთქი, ნამწავლი კაცი სუ სხვააო (ხევსურული, ქართ. დიალექტ., 1961, 153).

ეიდა წყენას, საყვედურს, სინანულს გამოხატავს, ზოგჯერ სხვა შორისდებულთან ერთად გვხვდება: „**ეიდა**, აზნაურო, შენი ნამუსი ლა-ლია და ჩემი ნახშირი?“ (ე. ნინოშ., იხ. ო. გაჩეჩილაძე, 1979); „**ეიდა ჰაა!** რანაირ გული გვერჩოდა!“ (ს. მგალობ.) (ქეგლ). მოხეურში **ეიდა**-სთან ერთად დადასტურებულია **ეიტა** შორისდებულის და გამოიყენება დაცინვის გადმოსაცემად: **ეიდა**, ტიტველას არ გამასულა გარეთა! **ეიტა**, ამასალა რაი ჩაუცმია! (ქავთარაძე, 1985).

სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება დიალექტებში **ეელოლო**, **ელე-ლე** შორისდებულები. **ეელოლო!** მოხეურში ნიშნის მოგების და შერცხვენის გამომხატველი შორისდებულია: **ეელოლო**, ტიტველაი! (ქავთარაძე, 1985), ტკვილს გამოხატავს **ელელე** თუშურში: **ელელე**, მტკივის, პატარაიდ მთხილად! (ცოცანიძე, 2012).

შორისდებულის ფუნქციით გამოიყენება **დედა**, **ბიჭო**, **ქა** (<**ქა-ლო**), **ბოშო** მიმართვის ფორმები, რომლებიც აღტაცების, განცვიფრების, გაკვირვებისა თუ შიშის გამომხატველია და დიალექტებში სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება. **დედა** თუშურში გვაქვს **დედო** სახით: დედო, ეს რაუგვერთა ყოფილ! (ცოცანიძე, 2012). დასავლეთ საქართველოს დიალექტებში იგი გვხვდება **დედაია**, **დიდუ**, **დიდუჰ**, **დიდიუ** ფორმებით: **დიდუია**, ბალანე რო გალახა წუხელი?! (ქვემოიმერული, შარაშენიძე, 2008, 272). მერე დაფარცხამთუ იმას, **დედაია**, **დედაია**, რა მიტეხია უმუთუჯოლავი ყანა! (ქვემოიმერული, დიალ. კორპუსი); ქალი ყვირის: — **დიდუ**, რა დემემართა! (ზემოაწარული, იქვე); **დედუ**, რა გამძულდა! (ზემოაჭარული, იქვე); „**დიდუჰ!**“ — შეჰკივლა ნათელამ და ლოყაზე იტკიცა ხელი“ (ნ. წულეისკ. ქეგლ). „**დიდუ**, სავსეა აჭაურობა ხალხით“ (ო. იოს. ქეგლ).

ბიჭო, **ბიჭოს!** შორისდებულის ნაირსახეობაა დიალექტებში **ბი-ჯო!** გვხვდება შემოკლებული სახითაც: **ბჯო** (გურ.), **ჯო** (კახ., აჭარ.), **ჭო** (ქიზ., აჭარ.): **დავაყურე**, **ბიჯო**, დათვი ვიცანი! (ქვემოგურული, დიალ. კორპუსი); **აქეთ ვეცი**, **იქით ვეცი**, რა ვქნა, **ბიჯო**, ახლა? (ქვემოგურული, იქვე); **რაგორ წასცხო**, **ბიჯო**, აჰა დაადე თითი! (სამცხურ-ჯავახური, იქვე); **ე ბიჯო**, ნუ დამიქცევ წყალს მაქანე, ტაშტიე

გარასატანი მაქ (ქვ.იმერ., შარაშენიძე, 2008, 277). **ბჟო**, აღარც მახსოვნობა მაქ და აღარც ხედველობა და აღარც ცნება (ქვემოფურული, დიალ. კორპუსი); რაც ვადაძვდია, არ მოვყევი, **ჯო!** (ქიზიყური, იქვე); **ჯო**, ხამი რომნ სხაი, მოკრიფავ? (ზემოაჭარული, იქვე); **ქო**, აბა არ ვიცნობდი! (ზემოაჭარული, იქვე). **ბიჭო**-ს მსგავსად მიმართვის ფორმაც არის და შორისდებულებაც **ბოშო**, რომელიც იმერულსა და რაჭულშია გავრცელებული: გოდრები არ არი, **ბოშო!** (იმერული, დიალ. კორპუსი).

უნდა აღინიშნოს, რომ საინტერესო სურათი გვაქვს შორისდებულთა გამოყენებისას დიალექტებში გენდერული მიმართებების გამოხატვის თვალსაზრისითაც: **ქა** მიმართვის ფორმა, რომელიც შორისდებულის ფუნქციითაც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებში, მხოლოდ ქალების მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. მისგან განსხვავებით მიმართვის ფორმა **გო** კაცების მეტყველებაშიც გვხვდება, მაგრამ როგორც შორისდებულს, **გო**-ს ძირითადად ქალები მიმართავენ. გვხვდება კახურ, ინგილოურ, აჭარულ, შავშურ-იმერხეულ დიალექტებში. გ. ცოცანიძის ცნობით, თუშურში მხოლოდ ქალთა მეტყველებაშია მიმართვის ფორმა **ბი** (რად **ბი?**), რომელიც **ბიჭოს** შემოკლებული ფორმაა და სხვა დიალექტებში არ გვხვდება.

ქიზიყურში, როგორც მ. ხმალაძე აღნიშნავს, გაცემის გამომხატველი **ვიშ** და გაცემის, წუხილის გამომხატველი **უი**, **უიმე** შორისდებულები, როგორც ცალკე, ისე **ქა** შორისდებულთან ერთად მხოლოდ ქალთა მეტყველებას ახასიათებს. კაცები როგორც მწუხარების, ისე სხვა ემოციების გამოხატვისას მიმართავენ **ეშ**, **ეი**, **ოვაშ**, **ოოვე** შორისდებულებს. მხოლოდ მამაკაცები იყენებენ **აი** შორისდებულს აღტაცების, შექების, გაბრაზების, დალოცვის დროს: **აი**, შე პირდაღლო! **აი**, ყოჩაღ! **აი**, შავირცხვეთ ადამიანობა! (ხმალაძე, 2001, 25). ქალების მეტყველებაში **აი** დაბნეულობა-გაკვირვებას გამოხატავს და — **მე** ან **ქა** ელემენტებს დაირთავს: „**აი**, **ქა**, ახლა ვის აბრალებს!“ **აიმე**, რა ვთქვა, გო, რა ჭირი ვთქვა? (ხმალაძე, იქვე). **იშ** შორისდებულთა ქალები გამოხატავენ გაკვირვებას, სინანულს, საყვედურს, იმედგაცრუებას, უკმაყოფილებას, კაცები კი — მოწონებას, აღტაცებას. მხოლოდ ქალთა მეტყველებაში გვხვდება **ი** (**//იი**) შორისდებული, რომელიც სხვადასხვა ფუნქციით (შექების, დალოცვის, მოფერების, გაკვირვების, სიხარულის დროს) გამოიყენება: **ი**, შენ ვაიხარე თქმისთვის; **იი**, **ქაა!** რა ძლიან იუკადრისე! (იქვე, 190).

როგორც ცნობილია, შორისდებულების წარმოთქმას ხშირად ახლავს სათანადო ყესტი, რაც ასევე განსხვავებულია გენდერული თვალსაზრისით. ქალები მწუხარების გამომხატველი შორისდებულების წარმოთქმისას კალთაზე ირტყამენ ხელს, კაცები კი შორისდებულებთან ერთად ხელის ხელზე შემოკვრით ან გულში ცემით გამოხატავენ წუხილს.

ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ შორისდებულთა ერთი ნაწილი — გრძნობა-აღქმის გამომხატველი შორისდებულები. მათ გარდა, მოუბრისნება-სურვილისა და ფიცილ-აღერსის გამომხატველ შორისდებულებშიც ბევრი დიალექტური ფორმა იქცევს ყურადღებას, რომელთა შესწავლა და განხილვა მომავლის საქმეა.

3.5. გენდერულ მიმართებათა შესახებ ქართულ დიალექტურ მეტყველებაში თუშური დიალექტის მაგალითზე

ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში დიდხანია ცნობილია, რომ დიალექტურ მეტყველებაში შესამჩნევი სხვაობა არსებობს ქალის მეტყველებასა და კაცის მეტყველებას შორის. ეს სხვაობა სტილებრივია და არა სისტემებრივი. ფაქტი შემჩნეული აქვს უკლებლივ ყველა დიალექტოლოგს. გამოწვლილვით იგი შეისწავლა და სათანადო ტერმინითაც ასახა რამაზ ქურდაძემ. ჩვენ ამ მოვლენის აღსანიშნავად გამოვიყენეთ გამოთქმა „გენდერული მიმართებანი“. მას ვიხმართ შემდგომ მსჯელობაშიც.

დიალექტურ მეტყველებაში გენდერული მიმართებები ყველაზე გარკვევით მოჩანს იმ დიალექტებში, რომლებიც უფრო დიდად განსხვავდება სალიტერატურო მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტების — კახურისა და ქართლურისაგან. თუშური დიალექტი ერთ-ერთი ამათგანია. ჩვენც აღნიშნული მოვლენის საილუსტრაციოდ სწორედ ამ უკანასკნელს მივმართავთ ორი უბრალო მიზეზის გამო: პირველი — როგორც ლინგვისტ დიალექტოლოგს თეორიულ დონეზე კარგად მაქვს შესწავლილი ამ დიალექტოლოგიური ერთეულის თავისებურებანი ენობრივი ანალიზის ყველა — ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, ლექსიკურ და სინტაქსურ — დონეზე, მეორე ისაა, რომ მე ვარ ამ დიალექტური მეტყველების პრაქტიკულად მცოდნე და მომხმარებელიც. ამიტომ უნებლიე შეცდომები, რაც შეიძლება გაეპაროს სისტემის ელემენტების დაფიქსირებისას გარედან მისულ დიალექტოლოგს, აქ გამორიცხულია. სისტემის ელემენტები ხომ ის ოდენობებია, რომლებიც ქმნის ამა თუ იმ დიალექტის ლინგვისტურ სახეს. სწორედ ამ ელემენტებით განსხვავდებიან ერთი ენის დიალექტები ერთმანეთისაგან. თუ ენობრივი ერთეულები სხვაობენ სისტემებით და არა მხოლოდ სისტემის ელემენტებით, მაშინ საქმე გვაქვს უკვე დამოუკიდებელ ენებთან და არა ერთი ენის დიალექტებთან.

სიტყვა რომ კიდევ უფრო შორს არ გაგვექცეს, მივუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის ძირითად საკითხს: გენდერული მიმართებები ქართული ენის თუშურ დიალექტზე მოუხართა მეტყველებაში. ეს მიმართებე-

ბი არაერთბლანია — სხვაობები კაცისა და ქალის მეტყველებებს შორის თავს იჩენს ენობრივ ურთიერთობათა და ენობრივი ანალიზის თითქმის ყველა დონეზე და ისინი ადვილი აღსაქმელია ამ მეტყველებაზე დამკვირვებელი თვალ-ყურისათვის. უპირველეს ყოვლისა, არსებობს განსხვავებული სასაუბრო თემები, რომლებშიც ასახულია ქალისა და კაცის ცხოვრებისა და შრომა-საქმიანობის თავისებურებები. წმინდა კაცურია „გარემობასთან“ დაკავშირებული თემები: ლაშქრობა, ნადირობა, მეცხვარეობა, მთა-ბარობა... საუბრის ეს თემები ქალებთან არასოდეს დადასტურდება; სამაგიეროდ, ქალური თემებია: მსხვილფეხა მესაქონლეობა, მატყლის დამუშავება — ჩეჩა, ძაფის დართვა-დაძახვა, ქსლობა-ჯანრობა, — და სხვანი და სხვანი. დამკვირვებლისათვის ძალზე ადვილი შესამჩნევია სხვაობები საუბრის მამაკაცურ და დედაკაცურ სტილებს შორის. მამაკაცის მეტყველების სტილს ახასიათებს უაღრესად დიდი გავლენა სალიტერატურო ენისა და ქართლ-კახური კილოებისა, დედაკაცური სტილი ამ გავლენისაგან თავისუფალია. იგი მაშინაც კი არ „უქცევს კახურად“, ანუ მეტყველებისას არ „კახურაობს“, როცა არა თუშს, რომელიმე სხვა კილოს წარმომადგენელს ესაუბრება. ამგვარი „კახურაობა“ მოსაუბრე ქალისთვის მეტიჩრულ ტონად ითვლება და თანატომელთა გაკილვის საგანი ხდება ხოლმე. მაშასადამე ქალთა მეტყველება წმინდა დიალექტურია და ლინგვისტ-დიალექტოლოგთა დაკვირვებისა და ანალიზის ობიექტსაც სწორედ ქალთა მეტყველება წარმოადგენს. არანაკლებ საჩოთიროდ მიიჩნევა მამაკაცის მეტყველება, რომელიც სუფთა დიალექტურ კილოზე მეტყველებს. მსმენელთათვის იგი „ქალსავით საუბრობს“ და მის „ვაჟკაცურობას“ რამდენადმე ჩრდილი ადგება. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ არის ზიარი თემები, რომლებშიც ქალისა და კაცის ლექსიკა განსხვავებულია და მას საფუძვლად ქალისა და კაცის სააქტივო-საარსებო გარემოს განსხვავებულობა უდევს. ამის თვალსაჩინო ნიმუშად გამოდგება თუნდაც დღე-ღამის დროების განაწილებათა სახელები ქალთა და კაცთა მეტყველებაში. დროის დღე-ღამური ოცდაოთხსაათიანი მონაკვეთი თუშურ დიალექტში ზოგადად „ჟამია“. აი ამ „ჟამს“ — სამყაროს ამ ნაწილს — ქალი და კაცი სხვადასხვაგვარად ანაწევრებენ და, შესაბამისად, სახელებსაც სხვადასხვას არქმევენ. კაცის სააქტივო-სასაუბრო გარემო „გარემხარია“ — მეცხვარეობა და დღეღამის დროთა სახელები მეცხვარული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მეცხვარის დღე „ცისკარმოეთი“ იწყება — განთიადის წინ, დარ ამინდში, აღმოსავლეთის ცისკიდურზე ამოკაშკაშდება დიდი, ბღღვრიალა ვარსკვლავი, „ცისკარი“. ას-

ტრონომიულად ეს მარსია. ცისკრის ამოსვლა განთიადის დასაწყისის მაუწყებელია. „ცისკარმოეს“ „თენება“ მოსდევს: „ეხლა ამოა **ცისკარი**, თან ამოჰყვება **თენება**, წამოდგენს მეცხვარეები, ქალებს დაუწყეს ხსენება“; „**თენებას** დამძინებო, სიზმარში კატებ ვამთხვინე“. „**თენებას**“ „**დილაობა**“ მოჰყვება, მერეა „**მზემოე**“, როცა მზის პირველი სხივები მათაა ზედა ნაწილებს მოეფინება და თანდათანობით მოიწვეს ქვედა ნაწილებსაკენ. ამას მოჰყვება „**მზეებგაშლა**“ — როცა ჩრდილები ღრმა ხეებსა და კლდე-ბეჭების ქვეშაც გაქრება, ზმნისართულად ესაა დრო „**მზეებგაშლით**“. ამასობაში მეწველი ცხვრის ფარები საწველ ბინებს უახლოვდება და მოშუადღეების ხანს ბინასთან, ნაწილარზე, დაეყრება. ეს „**საწველავებმოდგომაა**“, ზმნისართულად „**საწველავებმოდგომით**“. ცხვარი ბაკისკარს ყრია, ისვენებს. მეცხვარეები ამ დროს სადილობენ და საწველად ემზადებიან. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა ცხვარი კარგად დაისვენებს და რძესაც „**ჩამოიყენებს**“, ცხვარს ბაკებში შერეკავენ და იწყებენ წველას. ესაა დრო „**ცხვრებშერეკვით**“. წველიან სამ საათზე მეტ ხანს. წველას მორჩებიან და ფარას ბაკიდან გაუშვებენ. ესაა ხანა „**ცხვრებგაშვებით**“. ამასობაში მზე დასავლეთისაკენ გადაიხრება და ბეჭებისა და კლდეთა ძირებში პირველი ჩრდილები გაჩნდება. ესაა „**გრილებგამოყრის**“ ხანა. მზე დასავლეთის ცისკიდურს უახლოვდება, „**გრილოები**“ იზრდება და თანდათან მთელ არე-მიდამოს ერთიანი ჩრდილი დაფარავს. ეს „**მზეჩაეა**“, „**მზეჩაის ხანი**“. ბოლოს მზის სხივები რომ აღმოსავლეთის ცისკიდურის მწვერვალებზეც გაქრება, ეს „**მზეებჩაკრეფაა**“. მერე „**შებინდება**“ და ბოლოს „**ვაჯშობა**“. მეცხვარეები ვახშამს ჭამენ და ღამისთვის ემზადებიან. ამ დროს ნადირი ბუნაგს ტოვებს, მეცხვარე და ძალლი თეოზე გადიან. ძალლი ფხიზლობს, მეცხვარე ფრთხილადაა. შუალამე გადავა. ნადირი ბუნაგისკენ ბრუნდება, ძალლი თეოზე იძინებს. ესაა „**ძაღლის ძილის დრო**“, კვლავ ერთი ნიშნული დრო მეცხვარული „**ჟამისა**“. „**ძაღლის ძილის დროს**“ დაწყებული წვიმა მთელი დღე გასტანს და მხოლოდ საღამოხანს გადაიღებს, რაც მეცხვარეს კარნახობს, რომ ავდრიან დღეში სამუშაოდ უნდა მოემზადოს. „**ძაღლისძილის დროის**“ შემდეგ მეცხვარე ფხიზლობს. მართალია, ნადირი ბუნაგს დაუბრუნდა, მაგრამ იცის რა ძაღლის ამ თანდაყოლილი ინსტინქტის ამბავი, რომ ამ დროს იძინებს, ცხვრის ფარებს შეიძლება თავს დაესხას მეკობრე-ყაჩაღი. აი, ამ მოსალოდნელი საფრთხისთვისაა მეცხვარე მზად.

ახლა ვნახოთ როგორ ანაწილებს შინამეურნეობისა და ხელსაქმის წარმმართველი ქალი „**ჟამს**“ დროებად. ქალისთვის დღე „**ბინდით**“,

ანუ იგივე „**ბინდ-ბანდით**“ იწყება. ესაა დღე-ღამის გაყრის ჟამი, როცა ღამის სიბნელეს დილის რიჟრაჟი ცვლის. ამ დროს იწყებს ქალი დღის საქმიანობას. „ფურების წველას **„ბინდთავ“** შევდგებითო“, ამბობს ქალი. ამას მოჰყვება „**გათენება**“, ზმნისართულად — „**გათენებით**“. მერეა „**მთისწვერთმზემოე**“, ზმნისართად „**მთისწვერთმზემოისი**“. მერე — „**მზეამოსვლით**“, რასაც „**სადილობა**“ მოჰყვება — ქალი შინასაოჯახო საქმეებს მოითავებს და ოჯახს დილის საუზმეს აჭმევს. ამასობაში მინდორში ნამი აშრება და ქალი სათიბ-სამკალში გადის. ერთი დაღლა დაიღლება. ამასობაში მზე საშუადღეოს ხაზს მიუახლოვდება და მინდვრის მუშა სადილად დასხდება. ეს „**დიდსადილობაა**“. სადილის მერე მუშა კვლავ ისვენებს და დასვენებული „**შუადღეადასვლამდის**“ კვლავ ინტენსიურად მუშაობს. მერე მოატანს „**სამხრობაც**“ და მუშა სამხრად დასხდება. სამხრობიდან „**მზეჩაემდის**“ იგი კვლავ მუშაობს. „**მზეჩაის**“ ხანს მუშა მინდვრიდან შინ ბრუნდება და ემზადება საღამოს პირუტყვის მისახედად. „**მზეჩასვლით**“, როცა მზის სხივები აღმოსავლეთის მაღალ მწვერვალებზეც გაქრება, მოჰყვება „**ძროხამოე**“ — მსხვილფეხა პირუტყვი საძოვრიდან შინ ბრუნდება. ამას მოჰყვება დრო „**ფურწველა**“, ზმნისართულად „**ფურწველას**“; მერე „**ვაჯშმობა**“ და ისევ „**დილა-ბინდი**“.

როგორც ვხედავთ, დროის ამ დანაწილებაში ზიარი ლექსიკაცაა და მხოლოდ „კაცური“ და „ქალურიც“, რაც ოჯახში ქალისა და კაცის სოციალური სტატუსების სხვაობითაა შეპირობებული. რა თქმა უნდა, ეს ლექსიკა, როგორც ერთი, ისე მეორე, კარგად იცის ქალმაც და კაცმაც. სხვაობა მათი გამოყენების აქტიურობა-პასიურობაში მდგომარეობს, რაც, ცხადია, ისევ და ისევ მათ სამეტყველო სტილზე აისახება.

საგრძობია სხვაობა ქალისა და კაცის ემოციური მდგომარეობის ამსახველ მეტყველებაშიც. მაგალითად, გაჯავრებული ქალი იწყევლება და მის მეტყველებაში წინა პლანზე წყევლის ლექსიკა და ფორმულები წამოდის. გაბრაზებული კაცი იგინება და იმუქრება, შესაბამისად, მისი ლექსიკა და ფრაზეოლოგიაც ისეთია, რაც ქალთა მეტყველებაში გამოირიცხულია. ეს სხვაობები კარგად ჩანს პოეზიაში. მაგალითისათვის ვნახოთ გაჯავრებული ქალისა და გაჯავრებული კაცის მიერ ნათქვამი თითო ლექსი, სადაც ეს გენდერული სხვაობები თვალსაჩინოა.

უსამართლოდ დაჭორილი ქალი ლექსად წყევლის მისთვის ჭორის დათქმის მიზეზს:

„მეაწ“ თავწმიდა მეგონა, ვყოფილვარ **ცუდჭურიანი**,
მოყმეო, შენგან დამეთქვა, დღემ დაგიღამდებ მზიანი.

თუ ქალსა-დ **მექნეს რიალი**, ჩემ დედა — **ჩემზე მტირალი**,
 თუ არა-დ **ცუდის მოთქვამო**, **სახლიმც გიდგ სატირლიანი**,
სახლიმცე ოვრად დაგრჩება, მორთული, სარაიანი,
ცხენიცამ ოვრად დაგრჩება, კარს გიბრ გარსაკრიანი,
ცხვარიცამ ოვრად დაგრჩება, მთას გიდგა თვირთვილიანი.
 ვარიმცე მოგეკვდებისა, **ვარგაის წინას დღეშია**,
 ცხენიმცე წაგექცევისა ლაშქარ წაისე გზაშია,
 ვმალიმცე გაგიტყდებისა ვმალდავმალ მიდენაშია,
მვარ-მკლავიმც მოგედებისა ველდაველ შედენაშია.
ჭირთ იყო სახელობასა, **კალთაიმც მოგეჭრებისა**,
 სწორნიმც გიღებენ ნაბლითა, გზაშიამც გიღამდებისა,
 ექიმის დაყრილ წამლები **ცეცხლადამც მოგედებისა**,
 პირში გასხმოდენ აშურას, **ყელშიამც გეჭინძებისა**,
 შინ წაგიყვანენ თავის კარ, **მეწიცამ გიშავდებისა“**.

ახლა ვნახოთ, როგორ ემუქრება და აგინებს კაცი მისი საგვარეუ-
 ლოს შემარცხვენელ სხვა კაცს:

„დედას გიტირებ, ბაკურო, თუ მოგატანე ჩვენსაო,
 ქვრივებსაც დაგავიწყებდე, **ჩამოგანგრევდე ყბებსაო**.
 ერთხენ ხო გაჯსონს, ბაკურო, **გადაგაფრინე ცერსაო**,
 ნაბადიც აქავ გასწიე, ველარ ჩააკარ ცხენსაო.
 წახვიდი-დ ატყუანებდი დოჭუში საყვარელბსაო,
მე ხომ ნაბადი დავხკარგე, ვაი თუ მომპარესაო.
 ბაკურო, შენი ნაბადი, ბედელას ეხურ ერთსაო,
 ჭანთოსა გიგოიზესა ჩაუშვენებდა მხრებსაო.
 — არას ვემდური ქალ-ზლებსა, ნაბადიც დამხურესაო —
 შემოიჭუჭკავს ბურკვაცსა, ვაი თუ შემცივდესაო“.

ქალთა და კაცთა ზიარი თემაა საღვთისმსახური ტექსტებიც,
 ღვთაებისადმი მიმართვის ლოცვა-ვედრებანი და სადიდებლები. აქ კა-
 ცებსა და ქალებს თავთავიანთი უბნები აქვთ განაწილებული, ერთიმეო-
 რის ფარგლებში ისინი არასდროს იჭრებიან და, შესაბამისად, ამ ტექ-
 ტებსაც მკვეთრად გამოხატული **კაცური** და **ქალური** „კილოების“ ბეჭ-
 დები აზის. საზაფხულო თუ საზამთრო რელიგიურ დღესასწაულებზე
 სათემო, სასოფლო თუ საგვარეულო სალოცავების კარზე წარმოთქმუ-
 ლი სადიდებლები მხოლოდ და მხოლოდ კაცური მეტყველების ნიმუ-
 შებს წარმოადგენენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხატის კარზე ამ
 სალოცავი სადიდებლის მთქმელი — „ხელოსანი“ — კაცია. ქალი ხატის
 საბძანისსა თუ სალოცავის ნაგებობათა კომპლექსებიდან იმ ადგილს,

სადაც ეს სადიდებლები წარმოითქმის, უბრალოდ ვერც მიუახლოვდება, — მთიელთა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებით მას ეს ეკრძალება. ცხადია, ამ სადიდებელს მხოლოდ კაცი ამბობს. სადიდებლის მრავალთაგან ერთი ვარიანტი ასეთია: „ღმერთო დიდებულო, დიდად საცხენებულო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ოთხივ კუთხივ მთა-ბარის სალოცავებო: ივანე ნათლისმცემლისაო, სანებავ საჯარისაო, გიორგივ გომეწრისაო, გმირო კოპალევ კარატისაო, თქვენ გეხვეწებიანთ, თქვენ გვედრებიანთ თქვენნი მოყმენი, თქვენდ შემოუწირავ საფუფრის თავი, ცეფისკვერი, რქაჯანგიანი თქვენდ გაუმეტებავ გულითა აღნინა, გულითა მართლითა. თქვენ თქვენ მორიგე ღმერთს შესწირიდითა, შუაკაცად ჩამოუხვიდნიდითა, წყალობა გამოუთხოვიდითა; მთას გაუჭირდეს — მთას დეეშველნიდითა, ბარს გაუჭირდეს — ბარს დეეშველნიდითა, ზე კალთა დააფარიდითა მწყემსსა, მეცხვარესა, მგზავრსა-დ მოგზაურსა, მოლაშქრესა, მონადირესა; დაიხსნიდით, დაიფარნიდით ალაღებულის მტრისაგანა, აღვარებულის წყლისაგანა, მთის ზვავის, მთის ნაპრალისაგან, ჭალაის ალთო-ყინულისაგანა; თუ რა სარჯიელ ეხედვებოდეს ან ცითა ჩამოსრული ან ზღვითა გამოსრული, ვმელეთზე მორიალვი, დაიჭსნიდით, დაიფარნიდით ავკაცის, ავთვალის, ავქარისაგანა, გზა უკუდმ გაუბრუნნიდითა, თავის კალთის ქვეშ შეიფარნიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებთ, გაგიმარჯვებთა... სადიდებელი საკმაოდ გრძელია, მაგრამ ამ მონაკვეთითაც თვალსაჩინოა, რომ ტექსტის კილო ძალიან მიახლოებულია იმ ხალხურ კოინესთან, რომელზედაც იქმნება მთიელთა პოეტური ტექსტები და ამგვარი სადიდებელ-სავედრებლები. ეს ამ თემაზე კაცთაგან წარმოთქმული მეტყველების ტიპური ნიმუშია.

მაგრამ არის საწესჩვეულებო რიტუალების ნაწილი, რომლებზედაც საწირი სუფრის დალოცვის პრეროგატივა ქალს ეკუთვნის და ამ სადიდებლის ტექსტის ენა წმიდა დიალექტურია, სასაუბრო კილოს დაახლოებული. ერთი ამათგანია ქართველ მთიელთა უმთავრესი ღვთაების — მზის — სადიდებლად ძველი სტილით ქრისტიანობისთვის ცხრა რიცხვში, ახალი სტილით დეკემბრის 22-ში დაგებულ სუფრაზე წარმოთქმული სადიდებელი. ამ სუფრას ოჯახის დიასახლისი მზეს ამოსვლისას იმ სარკმელზე შემოდგმულს ახვედრებს, საიდანაც ამომავალი მზის პირველი სხივები შემოიხედავს. სუფრა მარტივია, — იგი მხოლოდ მაჭკატისა და ხავიწისაგან შედგება. დიასახლისი ანთებული სანთლით ხავიწიდან გამოსულ ცხიმს დაამიშხინებს (დამწვარი ცხიმის სუნი ცისკენ უნდა წავიდეს) და მზის სადიდებელს წარმოთქვამს: „შენამც იდიდებ მზეო, შენამც ილოცებ, შენნიმც მყოლ ანგელოზებ იდიდებიანა-დ ილოცებიან. მზეო

ერთგულო, მზეო მადლიანო, რაყვერც ერთფერაჲად დაყდგებ დიდსა-დ ცუტუნას, მდიდარსა-დ ღარიბს, ბეჩავსა-დ სახელოანს, პირწაღმემც და-გვადგებ ბუღით მომოალწ. ჯვარსამც დაგვიწერ, მზეო, კაცსა-დ საქონელს, დიდთა-დ წვრილთ, ნაჯნავს, ნათიბსა-დ ნამკალს, ნაწველსა-დ ნადღვებს, მშვიდობასამც გვაჯმარ, მშვიდობასამც გვასმევა-დ გვაჭმევ“.

თუშურ ზნე-ჩვეულებათა სისტემაში კიდევ ერთი სუფრაა, რომლის დალოცვის პრეროგატივა აგრეთვე ქალს ეკუთვნის. ესაა ოჯახის მიცვალებულთა სულებისათვის დაგებული სუფრა ხორცის კვირის წინა შაბათს. ამ დღეს თუშები „**მკვდართჩამოეს**“ უწოდებენ. მიცვალებულთა სულები თავიანთ ოჯახებში ჩამოდიან, ერთი კვირა რჩებიან და ხორციელის შაბათს კვლავ საიქიოში ბრუნდებიან. ამ დროს ყველა ოჯახში ორჯერ იშლება და ილოცება მიცვალებულთათვის განკუთვნილი სუფრა: კდინის კვირის შაბათს „**მკვდართ ჩამოისა**“ და ხორციელის შაბათს „**მკვდართ გასტუმრებისა**“. ამ სუფრებსაც ოჯახის უხუცესი დიასახლისი დალოცავს: „სულნო ცოდვილნო, შინამც შემოხვალთ, კარიმც მღე გაქვისთა-დ სანთელიმც ანთებულწ, თქვენსამც წინათ არის ეს გაშლილ სუფრაჲ, სანთელ-სამწკინწ, ველთამც გიჭერავთ ყანწი-დ საღვინეჲ, სუყველაყიმც უდერაყ გაქვისთ, ცასამ ცვრად გადაგიწვდებათ, გორამ მწვანილად ამოგივათ, ზამთრისემ ნუ გაგეყინებრთ, ზაფხულისემ ნუ დაგიობდებათ. ყველაყნიმ შინ შემოხვალთ — დიდნი, წვრილნი, თავისანი, უცხოთანი, ოჯრისანი; თუ ვინ გახათრებდესთ ან სოფელ-მეზობლობითა, ან დობილ-ძმობილობითა, სვილაყ-ნათლიაყობითა, ან წყალ-წისქვილის პატრონი, ან კალო-ნაფუძრის პატრონი, ან ცხენ-იარაღის პატრონი, იმათაცამ დიყწვევთა. ცოდვილაყთაცამ შემიყყოლებთა, კარის-კარამც ნურავის გაყბრუნებთა, ველთუსაგძლოაყნიმ ნურავინ დაგრჩებიანთა, ჩვენდამ კას აქნევდა სულეთის ღმერთსა“. ამ ტექსტის ენაც უაღრესად ახლოსაა ცოცხალ სასაუბრო კილოსთან, რაც ქალთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

დაბოლოს, ქალთა და კაცთა მეტყველება ცხადად სხვაობს ემოციური ლექსიკის — შორისდებულებისა და ნაწილაკების გამოყენებით. თუშურ დიალექტში კარგად ცნობილი დასტურის „წ“ ნაწილაკი უპირატესად ქალთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. მამაკაცი მის ადგილას „**ხომ, ხო**“ ნაწილაკს ხმარობს. ამის დასტურის მაგალითები შეგვხვდა ამ სტატიაშივე გაჯავრებული ქალისა და კაცის ნათქვამ ლექსებში. „**მეაწ** თავ წმიდა მეგონა“, ასე იწყებს ქალი თავის საწყევარ ლექსს. ამ ფრაზას კაცი ასე იტყვოდა: „***მე ხო** თავ წმიდა მეგონა“. ჭანთოსგან ბაკურისათვის შეთვლილ სამუქარო ლექსში გვხვდება ადგი-

ლი: „**მე ხო** ნაბადი დავხკარგე“. ამ ფრაზას ქალი ასე იტყოდა: „***მეაწ** ნაბადი დავხკარგე“. კაცი არასოდეს იტყვის ტკივილის გამომხატველ შორისდებულს: „ვამე, ვამე დედო“. კაცის წამოძახილი ამ დროს ასეთია: „**ოხ!** ოხ დედაჩემო!“ ქალი რაიმე მოულოდნელობით გაკვირვებას ასე გამოხატავს „**ჯაუს!**“ იმავე განცდის გამოსახატავად კაცი წამოძახებს: „**ვა!**“, „**ბიჭოს!**“ უბედურებისა და დიდი ტკივილის გამომხატველი შორისდებულის ფორმა „**ვამე**“, მხოლოდ ქალთა მეტყველებას ახასიათებს. „**ვამე** დედასა-დ დასაო, **ვამე** უძმოსა ქალსაო, წავალის მამის სახლშია, ვერვინ გაულებს კარსაო, დაჯდებ, დაიწყებს ტირილსა, რადარ მოვიკლავ თავსაო“. კაცი ამ დროს ხმარობს „**ვაი**“ ფორმას: „**ვაი**, რა ძნელი ყოფილა ცხვარზე გავარდნილ თვალიო, ალონისა შემოვიარე, შემოვაცოლე თვალიო“. ქალური მიმართვის ფორმებია „**ქა, ბი, კაშენ!**“ ამ გამოთქმებს კაცები არასოდეს ხმარობენ. შენაქოელები ჰყვებიან სასაცილო ისტორიას: ქვრივმა ქალმა საძომ და მეზობლის კაცმა ხარები შეამონდგეს — ჯერ ერთის მამულები უნდა მოხნან, მერე მეორისა. გუთნისდედა კაცია, ხართგამძლოლი — საძო. ჯერ საძოს საქერეები მოხნეს და დათესეს. კაცის მამულში რომ გადავიდნენ, საძომ თავისი ხარი გამოხსნა ულლიდან და წაიყვანა: ეს ძალიან გატყდა, ვეღარ იმუშავებსო. რა ქნას კაცმა, მამული მოუხნავი რჩება, ქერი დაუთესელი. ეჩხუბა, ედავიდარაბა, მაგრამ საძოს ვერაფერი შეასმინა. რა ქნას! ვერ დაარტყამს — ქალია. ვერც შეაგინებს — ახლობელია. „**ოხ შე დიდკუკიანო**“, გაჯავრებულმა ესლა წასძახა. „**კუკი**“ თუშურად ქალის სასირცხო ასოა. საძოს პასუხი: „**ავ, კაშენ!** შენ რო ვარ მოგც, დამიციტუნაყდება?“ რაც ლიტერატურულად ასე ითქმის: „**ავრემც კაი დაგემართოს, შენ რომ ხარი მოგცე, დამიპატარავდება?**“

გენდერულ მიმართებათა რკალშივეა განსახილველი ბავშვთა მეტყველება. იგი ქალთა მეტყველების იდენტურია გოგონებისაც და ბიჭებისაც, მაგრამ როგორც კი ბიჭები ყმაწვილობის ასაკს, თანამედროვე ტერმინოლოგიით „**თინეიჯერულ**“ პერიოდს გასცდებიან და მამაკაცურში შეაბიჯებენ, ტოვებენ ქალურ მეტყველებას და მამაკაცურ სტილზე გადადიან.

4.1. ზმნისწინი

4.1.1. ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიანტები დიალექტებში

ქართული ენის დიალექტებში ზმნისწინთა შემადგენელი ხმოვნები იცვლება მომდევნო ხმოვნების გავლენით (იქნება ეს პრეფიქსი თუ ფუძისეული ხმოვანი), ზოგჯერ კი პირის ნიშნების ზემოქმედებით. ერთი და იგივე ზმნისწინი სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა პოზიციაში განსხვავებული ფონეტიკური ნაირსახეობით გვხვდება. განვიხილავთ ამ ნაირსახეობებს.

* * *

ა ხმოვნის შემცველი ზმნისწინები (ა-, გა-, და-, ჩა-, წა-, გადა-)

ა ხმოვნის შემცველი ზმნისწინები (ა-, გა-, და-, ჩა-, წა-) დიალექტებში ერთი და იმავე წესით იცვლება.

ა) ე პრეფიქსი ავიწროებს პრევერბისეულ ა ხმოვანს და სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე გვაქვს: ა-ე > ე-ე, გა-ე > გე-ე, და-ე > დე-ე, ჩა-ე > ჩე-ე, წა-ე > წე-ე; ეს პროცესი დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, ასევე რაჭულში, იმერულსა და ლეჩხუმურში: ეენტო, დეეკარგა, ჩეეყარა, წეეჩხუბა...

ზოგ დიალექტში, კერძოდ, თუშურში ეე (<აე) იქცევა გრძელ ხმოვნად: გა-ე-მართა > გეემაართ. ამ დიალექტში მკვეთრი უ ხმოვნების გამყოფია, მაგრამ როდესაც ხმოვნები იმსგავსებენ ერთიმეორეს და შემდეგ ერწყმიან, უ მაინც რჩება და ყოველთვის მოსდევს გრძელ ხმოვანს (უთურგაიძე, 1960, 18).

ზოგ დიალექტში აე > ეე ცვლილებას სხვა ფონეტიკური პროცესიც ახლავს — ასიმილაციის შემდგომ ხდება რეგრესული დისიმილაცია: ეე > იე: გა-ე-მართა > გე-ე-მართა > გი-ე-მართა; გა-ე-გზავნა > გე-ე-გზავნა > გი-ე-გზავნა (მესხ., გურ.);

აჭარულში პროცესი უფრო შორს მიდის: აე > ეე > იე > აე: დ-ა-ე-წერა, მ-ა-ე-ღ-ო, გ-ა-ე-ღ-ო...

ბ) ი პრეფიქსის წინ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ა-ი > ე-ი, გა-ი > გე-ი, და-ი > დე-ი, ჩა-ი > ჩე-ი, წა-ი > წე-ი; ეს ცვლილება დასტურდება გურულში, აჭარულში, ქვემორაჭულსა და იმერულში, სპორადულად ჩანს სხვა დიალექტებშიც: ა-ი-კიდა > ე-ი-კიდა; გა-ი-არა > გე-ი-არა; გა-ი-მართა > გე-ი-მართა და ა. შ.

აჭარულში ამ ფონეტიკურ პროცესს მოსდევს პროგრესული დისიმილაცია: გა-ი-ტანა > გე-ი-ტანა > გე-მ-ტანა. თუ ე-ი გათიშულია გ თანხმოვნით, ი ხმოვანი იკარგება: გავიტანე > გევტანე, გავიდა > გევდა (ჯორბენაძე, 1998, 611).

ზოგ დიალექტში ნაწილობრივი ასიმილაციის ნაცვლად გვაქვს სრული ასიმილაცია: ა-ი > იი; გა-ი > გი-ი; და-ი > დი-ი; ჩა-ი > ჩი-ი; წა-ი > წი-ი; გადა-ი > გიდი-ი; შე-ი > ში-ი. დაბრკოლებას ვერ ქმნის I და II ობიექტური პირის ნიშნები: გა-ი-კეთა > გი-ი-კეთა; ა-მ-ი-ყვანა > ი-მ-ი-ყვანა; გა-მ-ი-შენა > გი-მ-ი-შენა; ჩა-მ-ი-წყო > ჩი-მ-ი-წყო; წა-გ-ი-ლო > წი-გ-ი-ლო... (აჭარ.). I პირის ფორმაში სრულ ასიმილაციას თან სდევს მეტათეზისი: გი-ვ-ი-კეთე > გი-ი-ვ-კეთე; გა-ვ-ი-არ > გი-ვ-ი-არ > გი-ი-ვ-არ (ქვემოიმერულის სამტრედიული თქმა).

თუშურისათვის დამახასიათებელია იი კომპლექსის შერწყმა გრძელ ხმოვანად: გი-ი-კეთა > გიკეთ. ეს ცვლილება თუშურში ხდება მხოლოდ კონტაქტური მეზობლობის დროს.

თუშურის საპირისპიროდ, აჭარულში ი- პრეფიქსი სრულ რეგრესულ ასიმილაციას იწვევს მხოლოდ დისტანციური მეზობლობისას, როდესაც ა- და ი- გათიშულია მ-, გ-, გვ- ობიექტური პირის ნიშნებით: გა-გ-ი-კეთა > გე-გ-ი-კეთა > გი-გ-ი-კეთა. ამ ცვლილების შუა საფეხური, გე-გ-ი-კეთა ფორმა, დასტურდება იმერხულში (ჯორბენაძე, 1998, 611-612).

შენიშვნა: ზმნისწინისეული ა ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს ფუძისეული ხმოვნის გავლენითაც. ასეთი შემთხვევები დასტურდება აჭარულში: გა-ვალს > გა-ვა > გე-ვა, გა-ველი > გე-ველი, გა-ვედი > გე-ვედი; ინგილოურში: და-დექ > დე-დექ, ჩა-დის > ჩე-დის.

გ) უ პრეფიქსის წინ ნაწილობრივი კონტაქტური ასიმილაციით ა > ო: ა-უ-შენა > ო-უ-შენა; გა- > გო-: გა-უ-მართა > გო-უმართა, გა-უ-ტანა > გო-უტანა; წა-უ-ვიდა > წო-უ-ვიდა... ეს პროცესი დამახასიათებელია ქვემორაჭული, იმერული, ლეჩხუმური, გურული დიალექტებისთვის, თავს იჩენს ასევე ინგილოურსა და ფერეიდნულშიც.

იგივე პროცესი ხდება მაშინაც, როცა ზმნისწინს I სუბიექტური პირის ნიშანი -ვ ან მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ნიშანი გვ- მოსდევს: გა-ვ-ი-ვე > გო-ა-გ, გა-ვ-ი-ხარებ > გო-ა-ხარევ, გა-გვ-ი-ხდია > გო-გ-ი-ხდია (ინგილოური), გა-ვ-რევ > გო-რევ, გა-გვ-ბანა > გო-გ-ბანა (ფერეიდნული).

როდესაც გვ- პირის ნიშნის შემდეგ ა- ან ე- ზმნური პრეფიქსია, ზოგ დიალექტში ხდება ვა > ო, ვე > ო პროცესი; ამ გზით მიღებული ო კი იმსგავსებს ზმნისწინის ა ხმოვანს: გა-გვ-ა-ხარ-ა > *გა-გო-ხარა > გო-გო-ხარა (მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული); გა-გვ-ა-პარა > გა-გო-პარა > გო-გო-პარა; გა-გვ-ე-პარ-ე > გო-გო-პარ-ე (ფერეიდნული). ინგილოურში გა- > გო- ხდება ზმნის ფუძისეული ვ თანხმოვნის გავლენითაც: გა-ველი > გო-ველი.

ზოგიერთი დიალექტისათვის დამახასიათებელია ვე > ო პროცესი, რაც ზმნისწინებშიც აისახება: გა-გვ-ე-ცინა > გა-გო-ცინა > გო-გო-ცინა // გო-გო-ცინა // გო-გო-ცინა (მოხეური). ინგილოურსა და ფერეიდნულში ზმნის -უ პრეფიქსი იქცევა -ჟ-დ, რაც გავლენას ახდენს ზმნისწინის ხმოვანზე და ასიმილაციის შედეგად ვიღებთ ო-ს: გა-უ-გდია > გო-ჟ-გდი (ინგილოური); გა-უ-ხარდა > გო-ჟ-ხარდა (ფერეიდნული).

დიალექტების ერთ ნაწილში -უ პრეფიქსის წინ რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის შედეგად გვაქვს გუ-უ-ლო, გუ-უ-ტანა, გუ-უ-მართა, წუ-უ-ვიდა და სხვ. ასეთი პროცესი გვხვდება გურულში, აჭარულში, ქვემოიმერულში. აჭარულში უ-უ გრძელ ხმოვანად იქცევა: გუ-უ-ლო > გულო, გრძელი ხმოვანი გვაქვს თუშურშიც: გა-უ-ლია > გუჟ-ლი-ი.

ინგილოურში, როდესაც გა-, და-, ჩა-, წა- ზმნისწინებს მოსდევს ვა ან ვე ბგერათკომპლექსი (იქნება ეს I სუბიექტური პირის ნიშანი და ზმნის ხმოვანი პრეფიქსი თუ ფუძისეული), ზმნისწინისეული ხმოვანი იცვლება: ვ-ს ჩავარდნის შედეგად ა > ო, ხოლო რეგრესული დისიმილაციის გზით ოა > უა: გა-ვ-ა-ღე > გო-ა-ღი > გუ-ა-ღი; გა-ვარდნილა > გუ-არდნილ. როდესაც ვე ბგერათკომპლექსი გვაქვს, ე ხმოვანმა შესაძლოა გააუმლაუტოს ზმნისწინისეული ხმოვანი: გა-ველი > გო-ველ // გო-ელ // გუ-ელ.

* * *

ე ხმოვნის შემცველი შე- ზმნისწინი

ა) ზოგ დიალექტში შე- ზმნისწინი გვხვდება შა-ს სახით. მკვლევართა აზრით, ეს ხდება ა-ხმოვნიან ზმნისწინებთან ანალოგიით. შა- ზმნისწინი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის, შეინიშნება ზემორაჭულსა და ზემოაჭარულშიც, ხოლო, როცა შე- ზმნისწინს ერთვის მო- და შედგენილი, რთული ზმნისწინი გვაქვს,

მისი ხმოვანი იცვლება და შამო-ს სახით გვხვდება დასავლეთ საქართველოს დიალექტებშიც (გურულში, იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურსა და აჭარულში).

როდესაც შა- (<შე-) ზმნისწინს მოსდევს ა- პრეფიქსი, აა კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: შა-ა-შინა > შა-შინა, შა-ა-კლა > შა-კლა... (აჭარ.), შა-ა-ბამენ > შა-ბამენ (ფერეიდნული). შეა > შაა > შა თუშურშიც: შე-ა-ხტა > შა-ხტა, შე-ა-ტყო > შა-ტყო...

ბ) შე- ზმნისწინი ზმნური ა- და ე- პრეფიქსების წინ რეგრესული დისიმილაციით გვაძლევს ში-ს: ში-ა-ბა, ში-ა-ტყო, ში-ა-მჩინა (გურ., მესხ., აჭარ.). აჭარულში პროცესი უფრო შორს მიდის: ში-ა-ტყო > ში-ა-ტყო, შე-ე-გება > ში-ე-გება.

გ) ი- პრეფიქსის წინ, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში: სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე შე ზმნისწინი გვაძლევს ში-ს: შე-ი-ნახა > ში-ი-ნახა, შე-ი-ნახება > ში-ი-ნახება. ქვემოიმერული კილოკავის სამტრედიულ თქმაში | პირში მეტათეზისის საფუძველზე გვაქვს შიივნახე ფორმა: შე-ვ-ი-ნახე > ში-ვ-ი-ნახე // ში-ი-ვ-ნახე. აჭარულში ე > ი ხდება მხოლოდ ზმნისწინისა და ხმოვანი პრეფიქსის დისტანციური მეზობლობისას: ში-მ-ი-ნახა, ში-გ-ი-ნახა. თუშურში ასიმილაციის საფუძველზე მიღებული იი კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: შე-ი-რთო > ში-ი-რთო > ში-რთო.

დ) უ- პრეფიქსის წინ შე- ზმნისწინი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად იცვლება და გვაქვს შო-: შე-უ-თვალა > შო-უ-თვალა, შე-უ-დგა > შო-უ-დგა, შე-უ-კვეთა > შო-უ-კვეთა, შე-უ-ტანა > შო-უ-ტანა (ქვემორაჭული, იმერული, ლეჩხუმური, გურული); (ინგილოური, ფერეიდნული). ინგილოურსა და ფერეიდნულში უ- > უ: შო-უ-სწროვ „შეუსწროა“, შო-უ-ნახავ „შეუნახავს“...

ე) ზოგ დიალექტში შე- > შო- | სუბიექტური პირის ვ- ნიშნის წინ: შე-ვ-ი-ნახე > შო-ვ-ნახე (ინგილ.); ასევე ფუძისეული ვ თანხმოვნის წინ: შე-ველი > შო-ველ // შო-ველ // შუ-ველ (ინგილ.) და მრავლობითი რიცხვის | ობიექტური პირის გვ- ნიშნის წინ: შე-გვ-ხედა > შო-გ-ხედა-ა (ფერეიდ.), შე-გვ-რჩა > შო-გ-რჩა (მოს.).

ვ) მოხეურ, ინგილოურ, ფერეიდნულ დიალექტებში შე- ზმნისწინის ხმოვანი იცვლება ო ხმოვნის გავლენით, რომელიც ზოგ დიალექტში ა- და ე- პრეფიქსებისა და გვ- პირის ნიშნის შეხვედრის შედეგია. ვა > ო / ვე > ო პროცესის შემდეგ ო რეგრესული ასიმილაციით ცვლის შე- ზმნისწინის ხმოვანს: შე-გვ-ა-შინა > შე-გო-შინა > შო-გო-შინა (მოხეური), შე-გვ-ა-ერთეს > შე-გო-ერთეს > შო-გო-ერთეს (თუშუ-

რი), შე-გვ-ა-პარა > შე-გო-პარა > შო-გო-პარა (ფერეიდნული). როგორც მოხეურ, ისე ფერეიდნულ დიალექტებში გვხვდება უმლაუტიანი ნაირსახეობანიც (ე-ს შემცველ კომპლექსებში): შე-გვ-ე-შალა > შო-გო-შალა (მოხ.), შე-ველ-ი > შო-ელ (ინგ.).

ზ) უ- პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციით შე > შუ: შე-უ-თვალა > შო-უ-თვალა > შუ-უ-თვალა, შე-უ-ბერა > შო-უ-ბერა > შუ-უ-ბერა. ეს პროცესი დამახასიათებელია გურულისა და ქვემოიმერულისათვის, აჭარულსა და თუშურში კი უუ კომპლექსი შეირწყმის და გრძელ ხმოვანს ვიღებთ: შუ-უ-ერთდა > შუ-ერთდა; შუ-უ-თვალა > შუ-თვალა (აჭარ.), შე-უ-ჭამია > შუ-ჭამია (თუშ.).

I სუბიექტური პირის ნიშნის, მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ნიშნისა და ფუძისეული ვ თანხმოვნის წინა პოზიციაში იგივე ფონეტიკური პროცესები ხდება, რაც ა-ხმოვნის წინა პოზიციაში ხდებოდა.

* * *

ი ხმოვნის შემცველი მი- ზმნისწინი

ა) მი- ზმნისწინისეული ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე ა- და ე- ზმნური პრეფიქსების წინ: მი-ა-ხტ-ა > მდ-ა-ხტ-ა; მი-ე-წია > მდ-ე-წია (აჭარ.).

ბ) ზოგ დიალექტში ე- პრეფიქსი იწვევს მი- ზმნისწინისეული ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას და ამ გზით: მი-ე-ცა > მე-ე-ცა, მი-ე-წია > მე-ე-წია (ქვემოიმერ.). უ- პრეფიქსის წინ ასევე სრული ასიმილაციით გვაქვს: მი-უ-ტანა > მუ-უ-ტანა; (ქართლ., კახ., მესხ., იმერ., გურ.). აჭარულში ორი უ შეირწყმის და გრძელი უ გვაქვს: მი-უ-წერია > მუ-უ-წერია > მუ-წერია.

* * *

ო ხმოვნის შემცველი მო- ზმნისწინი

ა) მო- ზმნისწინი ზოგ დიალექტში წარმოდგენილია როგორც მა-: მა-იტანა, მა-მჭრა (ხევს., ფშ., ქართლ., კახ., იმერ.). ზემოიმერულში მო-ს ნაცვლად მე- გვაქვს სუბიექტურ პირებში, მა- გვხვდება მხოლოდ I ობიექტურ პირში, მ- პრეფიქსის წინ: მა-მ-იტანა, II და III ობიექტურ პირებში კი გვაქვს მო-. კახურში მ- პრეფიქსის წინაც და II და III სუბიექტური პირის ფორმებშიც მა- არის: მა-იტანე, მა-იტანა, მა-მი-ტანა, სხვა შემთხვევაში — მო-: მო-გიტანა, მო-უ-ტანა. ხევსურულში ოდენ მა- არის დადასტურებული, სხვა დიალექტებში კი მა- და მო- მონაცვლეობს. დასახელებულ დიალექტებში მა- გვაქვს ა-, ი-, უ-, ფ-, მ- პრეფიქსიან ზმნებთან: მა-ა-გონდა, მა-ი-ტანს, მა-ფ-კლავს, მა-უ-ხდება,

მა-მ-იკვდა.. ფშაურ დიალექტში ზმნისწინების განხილვისას გ. ცოცანიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მა- ზმნისწინი გვაქვს ზემოთდასახელებული პრეფიქსი ხმოვნების წინა პოზიციაში, ხოლო თუ ეს ფონემები ფუძისეული იქნება, ზმნისწინის მო- ვარიანტი გამოვლინდება: მომკალი და არა მამკალი, მოასფალტებულია და არა მასფალტებულია. თუშურში აა ბგერათკომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: მწყგონდ, მწყქვ („მოაქვს“), მწყყოლ („მოაყოლა“).

ბ) მო->მე- სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ე- პრეფიქსიან ზმნებთან დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში; თუშურში (და ზოგჯერ აჭარულში) ეე კომპლექსი გვაძლევს გრძელ ხმოვანს: მენცტან, მენბრუნ (თუშ.).

გ) მო- > მე- ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ი- პრეფიქსიან ზმნებთან: მო-ე-ტანა > მე-ე-ტანა, მო-ი-წყო > მე-ი-წყო, მო-ი-არა > მე-ი-არა. ეს პროცესი დამახასიათებელია რაჭული, იმერული, ლეჩხუმური, გურული დიალექტებისათვის. აჭარულში ასიმილაციის პროცესს ახლავს სხვა პროცესიც: ი > ე პროგრესული დისიმილაციით: მე-ი-ტანა > მე-ე-ტანა.

დ) მო- > მი- პროცესი ხდება ე- პრეფიქსის წინ რეგრესული ასიმილაციის შემდგომ რეგრესული დისიმილაციით: მო-ე-ტანა > მე-ე-ტანა > მი-ე-ტანა. ეს ცვლილება ხდება მესხურში, გურულსა და აჭარულში. ამ უკანასკნელში პროცესი უფრო ღრმავდება: მი-ე-ტანა > მი-ე-ტანა. დასავლეთ საქართველოს დიალექტებში მო- > მე- პროცესი შესაძლოა გამოიწვიოს ვედ-/ვიდ- ზმნის ფუძისეულმა ხმოვანმაც: მო-ვიდა > მე-ვიდა. თუშურში გვხვდება ასეთი ფორმები: მნეკრიფ „მოიკრიფა“, მნეკლაპარაკეს „მოილაპარაკეს“. ეს ფორმები შესაძლოა მიღებული იყოს ასე: მო-ი-კრიფა > მე-ი-კრიფა > მი-ი-კრიფა > მნეკრიფ, თუმცა შესაძლებელია ამოსავალ ფორმაში მა- ყოფილიყო.

ე) მო- > მუ-: უ- პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციით: მო-უ-ტანა > მუ-უ-ტანა, მო-უ-ნახა > მუ-უ-ნახა... დამახასიათებელია მესხური, ქვემოიმერული, გურული, აჭარული დიალექტებისათვის. აჭარულსა და თუშურში უ-უ კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: მო-უ-ტანა > მუ-უ-ტანა > მუტანა; მო-უ-ყვანია > მუ-უ-ყვანია > მუყვანია (აჭარ.), მო-უ-კიდა > მუ-უ-კიდა > მუყკიდ (თუშ.).

ვ) ა- და ე- პრეფიქსების წინ რეგრესული დისიმილაციით: მო-ა-წყო > მუ-ა-წყო, მო-ა-ვლო > მუ-ა-ვლო, მო-ე-ატან > მუ-ა-ატან, მო-ე-წიე > მუ-ე-წიე... (მთიულ.გუდამაყრ., ფშ., თუშ., ქართლ., კახ., მესხ., იმერ., ლეჩხ.,

გურ.). ზოგ დიალექტში ეს ცვლილება ხდება ვალ/ვედ ფუძისეული ხმოვნის წინაც, ვ თანხმოვანი ინტერვოკალურ პოზიციაში იკარგება: მო-ვალის > მო-ალის > მუ-ალის (თუშ.), მო-ვედი > მო-ედი > მუ-ედ; მო-ვალ > მუ-ალ; (ფშაური). აჭარულში მო- > მუ- პროცესი უფრო შორს მიდის და გვხვდება მუ-ახერხა და მსგავსი ფორმები, თუმცა ეს პროცესი უფრო შედგენილ ზმნისწინებში გვხვდება: გამო-ე-კიდა > გამუ-ე-კიდა > გამუ-ე-კიდა.

* * *

რთული ზმნისწინები

გადა- ზმნისწინი ისეთივე ცვლილებებს განიცდის, როგორსაც გა-, ოლონდ ამ ზმნისწინს შესაძლოა შეეცვალოს როგორც ერთი, ასევე ორივე ხმოვანი: გადა-ე-ტანა > გადა-ე-ტანა // გედ-ე-ტანა (ქართლ., რაჭ., იმერ...); გადა-ი-ნახა > გადა-ი-ნახა // გედ-ი-ნახა (იმერ., ლეჩხ., გურ...). ზოგ დიალექტში ი- და უ- პრეფიქსების წინ ა ხმოვანი შესაძლოა რედუცირდეს: გადა-ი-ტანა > გად-ი-ტანა > გედ-ი-ტანა (იმერ., ლეჩხ.). იგივე ფონეტიკური პროცესები ხდება ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელ გარა- ზმნისწინთანაც: გარა-ე-ტანა > გარე-ე-ტანა // გერე-ე-ტანა და ა. შ.

რთულ ზმნისწინებში, რომელთა შემადგენელი მეორე კომპონენტი არის მო-, დიალექტებში იგივე ცვლილებები ხდება, რაც ამ ზმნისწინის დამოუკიდებლად გამოყენებისას, ზოგ დიალექტში აღინიშნება სხვა ფონეტიკური პროცესებიც:

ა) ე- პრეფიქსის გავლენით, სრული რეგრესული ასიმილაციით იცვლება გამო- ზმნისწინის ორივე ხმოვანი: გამო-ე-კიდა > გამე-ე-კიდა // გამე-ე-კიდა, გა-მე-ე-ე-კიდე > გა-მე-ე-ე-კიდე / გე-მე-ე-ე-კიდე (ქართლ., კახ.).

ბ) გა-მო-, შე-მო რთული ზმნისწინების შემადგენელი მეორე კომპონენტის ხმოვანი იწვევს წინამავალის ცვლილებას: გა-მო-გვ-ი-ცვივდა > გო-მო-გუ-ცვივდა (მოხ.), გა-მო-დის > გო-მო-დის (ინგილ.), გა-მო-გვაგზავნა > გო-მო-გვაგზავნა (ფერეიდნ.). ჯავახურში რეგრესული ასიმილაცია რთული ზმნისწინებიდან დასტურდება მხოლოდ შემო- ზმნისწინში: შე-მო-ვიდა > შო-მო-ვიდა.

გ) რთული ზმნისწინის პირველი კომპონენტის ხმოვანი შესაძლოა შეეცვალოს მეორე კომპონენტის ფონეტიკურად სახეცვლილმა ვარიანტმა: გა-მო-გვიგზავნა > გამუ-გუგზავნა > გუ-მუ-გუგზავნა (ფერეიდ.), გა-მო-ვაგდე > გამუ-აგდე > გუ-მუ-აგდე (ინგილ.).

დ) ინგილოურში რთულ ზმნისწინებში გ-, გვ- პირის ნიშნებთან ხდება მეტათეზისი: გა-მო-გ-ი-წერა > გა-მ-გ-ი-წერა > გა-გ-მ-ი-წერა, შე-მო-გვ-ი-ხვდა > შო-მო-გვ-ი-ხვდა > შომ-გ-ი-ხტ-ო (იკარგება ო და ვ ბგე-

რები, ხდ > ხტ პროგრესული ასიმილაციით, III პირის ნიშან ა-ს ენაცვლება ო) (რ. ღამბაშიძე).

ე) ინგილოურში რთულ ზმნისწინებში ხდება პირველი ხმოვნის ნაწილობრივი ან სრული რედუქცია: ამო-ვიდა > ომო-ვიდა > გმო-ვიდა, (ამო- ზმნისწინის რედუქცირებული ნაისრახეობა გმო- ირაციონალურ ხმოვანს არ კარგავს. ასეთ შემთხვევაში ის დაემთხვეოდა მო- ზმნისწინს, ჯორბენაძე, 1989, 354); გამო-ვ-ა-გდე > *გა-მო-ა-გდ > გა-მუ-ა-გდ > გუ-მუ-ა-გდ > გგმუ-ა-გდ > გმუ-ა-გდ...

ვ) აჭარულში შედგენილ ზმნისწინებში განსაზღვრულ პოზიციებში ხდება რთული ფონეტიკური ცვლილებები: წამო-მ-ი-ლო > წაო-მ-ი-ლო > *წაუ-მ-ი-ლო > წაუ-მ-ი-ლო... ეს ცვლილებები რეგრესული დისიმილაციური დაკარგვის, ასიმილაციისა და დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილების შედეგია.

4.1.2. ზმნისწინთა მონაცვლეობა

ზმნისწინისა და ზმნური ფუძის შეხამების საკითხი ქართულში პრობლემურია. კერძოდ, ზმნისწინისა და ზმნური ფუძის კომბინაცია არ არის ერთგვაროვანი სხვადასხვა ზმნის შემთხვევაში. მათ შეხამებას, ერთი მხრივ, ზმნური ფუძისა და, მეორე მხრივ, ზმნისწინის სემანტიკა განსაზღვრავს. უფრო სწორად, არაა ნათელი, ერთი ზმნური ფუძე რატომ იგულებს ამა თუ იმ ზმნისწინს და სხვა — სხვას. ვთქვათ: რატომ გვაქვს **მო-** (მო-ატყუებს, მო-ჰკრა (თვალი)...), ან რატომ **და-** (და-ქვრივდა, და-აპირა...), ან რატომ **შე-** (შე-წუხდა, შე-ზარხოვდა) და არა რომელიმე სხვა ზმნისწინი ამ შემთხვევებში...

არაერთგვაროვანია ფუძესთან შეხამებულ ზმნისწინთა რაოდენობის საკითხიც ამა თუ იმ ზმნასთან. ზმნური ფუძე შეიძლება იგულებდეს მხოლოდ ერთ ზმნისწინს (**და-**ასახიჩრებს...); ორ ზმნისწინს (**განაღმავს, დანაღმავს...**), სამ ზმნისწინს (**გაფუფქავს, დაფუფქავს, ჩაფუფქავს...**) და ა. შ. ეს მონაცემები შეიძლება იცვლებოდეს: დროთა განმავლობაში ხდება ზმნისწინთა მიერ დამატებითი ფუნქციების შექმნა: ამ მხრივ **მო-, შე-** და **წა-** ზმნისწინთა ვითარებაა საგულისხმო. ზეპირმეტყველებაში (რაც სამწერლობო ენაშიც აისახება) სიცოტავე-სიმცირის ფუნქციით მათი გამოყენება თანდათან ფართოდ ვრცელდება...

ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას სწორედ ზმნის ძირისა და ზმნისწინის კომბინაცია განსაზღვრავს. ეს კი თითქოსდა მყარი შეხამებაა...

მაგრამ დიალექტებში ხდება აუხსნელი პროცესი ზმნისწინთა შენაცვლებისა, რაც ამა თუ იმ დიალექტს თავისებურ ელფერს აძლევს. ისევე აუხსნელია მოტივაცია ამგვარი შენაცვლებებისა, როგორც თავდაპირველი ვარიანტი შეხამებისა.

ზმნისწინთა შენაცვლების მაგალითები შეიძლება ყველა დიალექტში დადასტურდეს მეტ-ნაკლებად. მაგალითებს მოვიყვანთ დიალექტებიდან: ფრჩხილებში მივუთითებთ, რომელ ზმნისწინს შეენაცვლა და ბოლოს — რომელი ავტორის ნაშრომიდან არის მაგალითები ამოღებული.

ხვესურული: ბევრ **გაქვრივდების** ქალია (და)...

სადაც კი **გაგვეწვიან** (და)

ვერ გასძლებენ, მაშინავ **მაიქცევიან** (გა)

მაშინ ქუდს ვერ **დაღლაჯავს** (შე)

არავის არ **დაღრიდებენ** (მო)... (ალ. ჭინჭარაული)

ფშაური: **დამიძღვა** ი ძალი წინა (გა)

დავწირე ის ცხენი იქა (გა)

დაწუხდა (შე)

დათავებულა ის კაცი (გა)

არ **მოგაკარგვინებსო** შვილებსავ (და)... (გ. ცოცანიძე)

კახური: **გაფეთებული** შემოვარდა (და)

ზაზანტრებს **გაუმეგობრდა** (და)

გაკანონდეს (და)

მოვიდა შინ **დაზარხოშებული** (შე)

რატომ არ **წაუსაბუთა** (და)

მოჰხნავდა და **მოსთესდა** (და)

ხელი არ გამოართო (ჩამო) (ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი)

იმერული: ჭირივით **გაძულდა** იქაურობა (შე)

გამამიწყტა ყოლიფერი (და)

წვიმამ **გააპირა** მოსვლა (და)

არ **გამძრახოთ** ახლა (და)...

ემმაკი ვერ **გაატყუებს** (მო)

ქათამი ხორცი მაქ **განატრებული** (მო)

დავატყუე დედაჩემი (მო)

დაწუხთა, ბიჭო (შე)... (კ. კუბლაშვილი)

ჯავახური: თვალი **შეჰკრა** ქალს (მო)

ნებართვა **დასცა** (გა)

ორსოს **დაარიდა** (მო)

- ერთი მეორეს **გე**მწვიდობენ (და)
 ცხვარი სუ **გათვალა** (და) (ა. მარტიროსოვი)
- აჭარული: ვეზირმა ძალჟან **შეკუჭტა** (გა)
 ნუ **შეჩქარდებით** (ა)
 ეს ფთა ჰაცხან **შეგჭირდება** (და)
დუულოდნელად გაჩთა (მო)
 კარქა **დამისმინე** (მო)
 რატომ **დამატყვილე** (მო)
 არ **დამეწონა** (მო)... (შ. ნიჟარაძე)
- შავშური: არ **გაწუხთე** (შე)
 გულმა რავარ **გეისვენოს** (მო)
გავარდი (და)
წავდივარ (მი)
 ბევრი არ'ნა **გააწუხო** (შე)... (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე);

ამგვარი ფაქტები მეტ-ნაკლებად სხვა დიალექტებშიც შეგვხვდება. მსგავსი მონაცვლეობა არ ჩანს კანონზომიერი; არაა ნათელი მონაცვლეობის პრინციპი. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ახსნა მოვუძებნოთ; მაგ.: ჯავახური „თვალის **შეჭკრა**“ შეიძლება **მოჭკრასა** და **შეავლოს** კონტამინაციად მივიჩნიოთ; ანდა **მოჭკრას** დაემატა **შეავლოს** სემანტიკა... ანდა: კახური — **წაუსაბუთა** — ცოტათი დაუსაბუთა... აქ კითხვები იმანაც შეიძლება გააჩინოს, რომელი ზმნისწინი ენაცვლება რომელს და ა. შ. მაგრამ ეს კერძო საკითხებია; ზოგადად პროცესი საინტერესოა და ასახსნელი.

4.2. S₂ და O₃ პირის ნიშანთა სისტემა დიალექტებში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე (S₂O₃) პირის ნიშანთა მეცნიერულ შესწავლას საუკუნის ისტორია აქვს. გასული საუკუნის დასაწყისში ჯერ რამდენიმე გამოკვლევა და მერე მონოგრაფია (სადოქტორო დისერტაცია) მიუძღვნა აკაკი შანიძემ ამ თემას. დიალექტების მონაცემთა სკრუპულოზური ანალიზი არის მოცემული ამ მონოგრაფიაში („სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“). ყველა სახელმძღვანელოში თუ სახელმძღვანელოს ტიპის გამოცემაში, დიალექტოლოგიურ გამოკვლევებში S₂O₃-ის თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. ეს იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნეის, რომ დიალექტთა გამოყოფასაც კი დაედო საფუძვლად. ა. შანიძისეული კლასიფიკაცია დიალექტებისა სწორედ S₂O₃-ის მიხედვით მოხდა.

თუმცა, როგორც ჩანს, სასაუბრო მაინც ბევრია ამ თემაზე, მით უმეტეს, როცა საკითხი დიალექტებს ეხება.

სხვა მორფემებთან შედარებით, თანამედროვე ქართულ დიალექტებში S₂O₃-ის სუფიქსთა სიმრავლეა, თუმცა ეს ვარიანტულობა ამ ნიშნისა „ტრადიციულია“.

იყო პერიოდი ქართული ენის ისტორიაში, როცა S₂O₃ ნიშანი ერთი მორფემა იყო — **ხ**. ამიტომაც ამ პერიოდს „ხანმეტობის“ პერიოდი ეწოდება. ქრონოლოგიურად ეს პერიოდი V-VII საუკუნეებს მოიცავს.

მომდევნო ეტაპიც ერთმორფემიანად ითვლება: **ჰ**- ჩაენაცვლა **ხ**-ს; ანუ ჰაემეტობა ცვლის ხანმეტობას, თუმცა ამ ეტაპზე (VII-IX საუკუნეები) იშვიათია შემთხვევაა, როცა ტექსტში მხოლოდ ეს მორფემაა დადასტურებული S₂O₃-ის აღსანიშნავად (**ხარ**, **ხვალ** ფორმებზე რომ აღარა ვთქვათ...).

შენიშვნა: ეს თემა საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. ვრცლად ამის თაობაზე იხ. გ. გოგოლაგვილი (ქართული ზმნა, 2010).

მონაცვლეობა **ხ** — **ჰ** არ ჩანს მარტივი მონაცვლეობა. ა. შანიძე აღნიშნავს: „ჩემთვის უეჭველია, რომ განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური არ არის, რამდენად დიალექტური. ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი — მეორეზე“ (შანიძე, 1923).

ხ და **ს** მორფემათა დიალექტურ ვარიანტად მიჩნევა, მათი ურთიერთმიმართება პრინციპული ხასიათის პრობლემაა.

გავიხსენოთ: ხანმეტი ძეგლები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ძეგლებს. უდავოდ მომხიბლავი ჩანს ა. შანიძისეული ახსნა ამ ფაქტისა — **ხ** და **ჰ** მორფემათა დიალექტურად გააზრებისა, მაგრამ ერთი და იმავე ფაქტის ორგვარი (ან მრავალგვარი) გამოხატვის შემთხვევაში სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის მოშველება შეიძლება მარტივ გამოსავლად მივიჩნიოთ; თუმცა გვგონია, რომ ხანმეტობისა და ჰაემეტობის შემთხვევაში დიალექტური ფაქტორის მოშველება დამაჯერებელი ჩანს. აქ ერთი სერიოზული კითხვაა: დიალექტური სახესხვაობანი ერთი და იმავე ქრონოლოგიური დონის მონაცემები უნდა იყოს; აქ კი სხვადასხვა პერიოდის მონაცემებზეა საუბარი: ხანმეტობა V-VII საუკუნეების ფაქტია, ჰაემეტობა — VII-IX საუკუნეების. ა. შანიძის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: „ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, რომ თითქოს ქართული ლიტერატურა პარლელურად არ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ, რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე. მაგრამ კიდევაც რომ გამოირკვეს საბოლოოდ, რომ სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სალიტერატურო ენას, ეს მაინც არ მოგვცემს იმის საბუთს, რომ **ჰ**ე ისტორიულად **ხ**ანის განვითარების მეორე საფეხურად ვცნოთ... ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (ასე ვთქვათ, მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰაემეტი კილო კი მის დასავლეთით“ (ა. შანიძე, იქვე). და ივარაუდება, რომ V-VII საუკუნეებში სალიტერატურო ენის საყრდენი ხანმეტი კილო იყო, ხოლო VII-IX საუკუნეებში სალიტერატურო ენის საორიენტაციო ჰაემეტი კილო გახდა; ამის საფუძველი ქვეყანაში მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები უნდა ყოფილიყო. მსჯელობა დამაჯერებელია. თუმცა კითხვები კვლავაც რჩება. თუნდაც: მასალობრივად ერთი

და იგივე პრეფიქსები რატომ გამოხატავენ მორფოლოგიურად ასე მკვეთრად განსხვავებულ ოდენობებს — II სუბიექტურ და III ობიექტურ პირებს! არნ. ჩიქობავას აზრით, „პიროვანი უღლების თვალსაზრისით გაუგებარია და ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე პრეფიქსი (**ხ-**, **ჰ-**) აღნიშნავს მეორე პირის სუბიექტსაც და მესამე პირის ობიექტსაც მიცემითში (თუ აქ ომონიმურ პრეფიქსებთან არა გვაქვს საქმე...). ეს ფაქტი კლასოვანი უღლების გამოძახილი ჩანს“ (ჩიქობავა, 1979). კლასოვანი უღლების გამოძახილი დიალექტურ ვარიანტთა წარმოქმნაში სხვა შემთხვევაშიც დასტურდება (მაგ.: ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ(ხ)** სუფიქსის საკითხი... იხ. 420-427)...

ამგვარი გააზრება S_2O_3 სუფიქსთა წარმომავლობისა გარკვეულწილად ხსნის იმას, რატომაა მათი გამოყენების „წესი“ ასე მერყევი. ეს მერყეობა შეინიშნება ძველ ქართულშიც, სადაც, ერთი, შეხედვით თითქოს მეტი სისტემურობაა. არადა, ძველ ქართულში დაწყებული არასისტემურობა კიდევ უფრო რთულ ხასიათს იღებს დღევანდელ დიალექტებში. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ძველი ქართულის ვითარებაზე. დღევანდელი ვითარება ფაქტობრივ ლოგიკური გაგრძელებაა ძველი ქართულის ვითარებისა.

ჩვენ არაფერი გვითქვამს ე. წ. სანნარევე პერიოდზე. IX საუკუნიდან S_2O_3 ნიშანთა სისტემა იცვლება: იზრდება ფონეტიკური ვარიანტების რიცხვი: **ხ-** შემოგვრჩა ორიოდ ზმნაში S_2 პირის ნიშნად — **ხ-არ**, **ხ-ულ**; ასეა ეს სალიტერატურო ენის მთელი ისტორიის მანძილზე და ყველა დიალექტში (ამ მოვლენის ახსნა ჭირს...); ჩვეულებრივ, ძირითადად ეს სამი მორფემა გამოყენებული: **ჰ-**, **ხ-**, **Ø** (შეიძლება სხვა ვარიანტიც; მაგ.: **შ-...**). მათი განაწილება წმინდა ფონეტიკურ პრინციპზეა დამყარებული. ეს ფაქტი კარგად არის აღწერილი ლიტერატურაში.

O_3 პირის გამოხატვა პრეფიქსთა ვარიანტებისა და ფონეტიკური შეპირობებულობის თვალსაზრისით სხვაობას არ ქმნის; ზუსტად ისეთივეა, როგორც S_2 პირის შემთხვევაში, პრობლემა მორფოლოგიაშია: პრეფიქსი რას აღნიშნავს და რა შემთხვევაში.

არც სუბიექტური პირებისა და არც I-II ობიექტური პირების შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება, რა ბრუნვაში დგას ზმნასთან შეწყობილი პირი: სახელობით ბრუნვაშია თუ მიცემითში; გამოხატვის წესი და საშუალებები ერთნაირია.

სხვაგვარია ვითარება O_3 პირის შემთხვევაში; ძველი ქართულისათვის წესს ასე აყალიბებენ: „**მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი** არის **ჰ-** ან მისი ბგერანაცვალი, ე. ი. ხმოვნების წინ არაფერი (რადგა-

ნაც აქ **ჰ-** დაკარგულია), კბილისმიერისა და ნუნისმიერი თანხმოვნების წინ არის **ს-**, მიღებული **ჰ-**სგან. ეს თანხმოვნებია ტ დ თ; წ ძ ც; ჰ ჯ ჩ“ (ა. შანიძე, 1976).

„მე-3 პირდაპირობიექტური **პირის ნიშანი**. გარდამავალი ზმნის პირდაპირობიექტურ პირს II სერიის ფორმებში ნიშანი არა აქვს. I სერიაში კი პირდაპირობიექტურ პირს შეიძლება ნიშანი ჰქონდეს გარკვეულ შემთხვევაში“ (ა. შანიძე)... ეს „გარკვეული შემთხვევები“ ზუსტდება: თუ **O₃** სახელობით ბრუნვაშია, ნიშანი არა აქვს, თუ მიცემით ბრუნვაშია, ზმნისწინიან ფორმებთან ნიშანი აქვს... სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი რომ არ აისახება, ეს კლასოვანი უღლების ცნობილ პრინციპთან არის დაკავშირებული (არნ. ჩიქობავა); ხოლო რატომაა ობიექტის გამოხატვა დაკავშირებული ზმნისწინთან, ამის ახსნას ფონემატური წესების მოშველიებით ცდილობენ: „ძველ ქართულში მიცემითში დასმული ობიექტის მესამე პირი ყოველთვის გამოიხატებოდა. არა ჰქონდა მნიშვნელობა იმას, ობიექტი ირიბი იყო თუ პირდაპირი. აქედან კარგად ჩანს, რომ **ჰ>O** ფონეტიკურ ნიადაგზეა დაწყებული უზმნისწინო ფორმებში /-ჰ/-ს ფონემატური შეუთავსებლობის გამო. ზმნისწინიან ფორმებში კი მას დაკარგვისაგან ზმნისწინის ხმოვანი იცავდა გარკვეული დროის განმავლობაში“ (უთურგაიძე, 1980).

კითხვები მაინც რჩება და მრავლადაც... ამ წესებს საკმაოდ ბევრი გამონაკლისი ახლავს; თუნდაც „დაჰბადა“ და „ქადაგებს“ ტიპის ზმნები... ასე რომ, გამონაკლისები მრავლადაა; წესის მიხედვით

- ა) უნდა იყოს პრეფიქსი და არ არის (ქადაგებს ტიპი);
- ბ) არ უნდა იყოს პრეფიქსი და არის (ჰყოფს ტიპი);
- გ) ისტორიულად ეძლევა გამართლება პრეფიქსის ქონას, მაგრამ — არა (დაჰბადა ტიპი);

დ) „შერეული ტიპი“ — „ზოგიერთი ზმნა აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში არც **ჰყოფს** ტიპის უღლებას მისდევს მთლად და არც **ქადაგებს** ტიპისას, არამედ ხან ერთს მიჰყვება და ხან მეორეს და ამიტომ ფორმები შერეული აქვს“ (შანიძე, 1981) (კათა იგი —კაფს//ჰკაფს მას).

ზ. სარკველადის კვლევა-ძიებამ ანომალიები გაამრავლა: „ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. სალიტერატურო ენის ნომრების მიხედვით, **S₂** და **O₃** პირის ნიშნები (**ჰ-** ან **ს-**) უნდა იყოს, მაგრამ არაა. II. **ჰ-**ს ნაცვლად **ს-** არის დაწერილი ისეთ შემთხვევებში, სადაც **ჰ-** და **ს-** პრეფიქსთა განაწილების წესის მიხედვით **ჰ-** უნდა იყოს. III. — „პირის ნიშანი“ ზედმეტადაა დაწერილი“

(სარჯველაძე, 1984)... ასევე ანომალიადაა მიჩნეული ე. წ. „მრჩობლი პრეფიქსის“ ხმარება: ჰ-ს-თხოვა, მი-ჰ-ს-ცეს, ჰ-ს-დგეთ, ჰ-ს-ტირ...

ასეთი მრავალფეროვნება S_2O_3 -ის გამოყენებაში ისევ დიალექტურობითაა ახსნილი: „ძველ ქართულში მესამე ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარების საკითხში ორი დიალექტური მიმართულება ებრძვის ერთმანეთს“ (ა. შანიძე).

საკმაოდ რთული სურათი დაიხატა ძველი ქართულისა S_2O_3 -ის პრეფიქსების გამოყენების თვალსაზრისით. რაც უფრო აქეთ მოვდივართ V საუკუნიდან, მით უფრო რთულდება ვითარება. საშუალო ქართულის მონაცემები არ იძლევა შესაძლებლობას, რაიმე ზოგადი კანონზომიერება დადგინდეს. ეს ვითარება აკაკი შანიძემ ასე შეაფასა:

„ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო გაუგებრობა და ფორმების არევა. ეს გაუგებრობა თანდათან იზრდებოდა და მატულობდა საშუალო ქართულში: აირია ხმოვნისანი და თანხმოვნისანი ფუძეები, წაიშალა ფორმალური განსხვავება ბრძანებითსა და თხრობითს შორის, ობიექტური პრეფიქსი გაჩნდა სახელობითდამატებიან ზმნებში და სხვანი, და სხვანი. ერთი სიტყვით, როცა ძველის მიერ ნაანდერძე ქონებას საშუალო ქართულის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში კეთილშენადენი მიემატა, ისეთი არეგ-დარევა შეიქმნა ფორმებისა, რომ ძნელი საქმეა მათი გამორკვევა და რაიმე სისტემით დალაგება“ (შანიძე, 1981).

საშუალო ქართულის ვითარება გაექცა ძველი ქართულის ნორმებს და ზეპირმეტყველების რეალური ვითარება ასახა. როგორც ჩანს, ზეპირმეტყველებაში არის სწორედ ასეთი „დაულაგებელი“ სიტუაცია... ამ რთულ და უსისტემო ვითარებას ამჩნევს ანტონ კათალიკოზიც და ცდილობს, ამ პრეფიქსების თვალსაზრისით რაიმე კანონზომიერება დაიჭიროს, თუმცა ამაოდ... საინტერესო შეფასება მისცა ანტონ კათალიკოსის ამ მცდელობას აკაკი შანიძემ: **„კათალიკოზისათვის ამ პრეფიქს (ცალად ჰ-ს, ტყუბად ჰ-ს) წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს: მისთვის იგი არც S_2 -ია და არც O_3 , არამედ რაღაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად“** (შანიძე, 1981).

ეს შეფასება, უფრო სწორად, ანტონის პოზიცია ჩვენთვის არსებითია: ანტონი უაღრესად სწორად ხედავს მოვლენას. სასაუბრო მეტყველებაში, განსაკუთრებით ქართლსა და კახეთში, S_2O_3 -ის პრეფიქსების ვითარება გართულდა, რამაც სამწერლობო ქართულშიც პოვა ასახვა; სწორედ სამწერლო ენის ვითარება შეაფასა ასე ა. შანიძემ: „დღესაც ერთად-ერთი საზომი ჰესა და სანის ხმარების საკითხის

გადასაჭრელად არის თვითოეული მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“ (შანიძე, 1981).

საუბარია კლასიკის მწერლობაზე. რას ნიშნავს „სურვილი და მოწონება“? რატომ აძლევს ენა უფლებას თუნდაც მწერლს, „როგორც მოესურვება“, ისე გამოიყენოს პრეფიქსები? ასეა მართლა? — როგორც მოესურვება, ისე ხმარობს?... ვაჟა-ფშაველა სთხოვდა თავის გამომცემელს, **ჭ**-ს არ შეხებოდნენ: „ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჭ“ დაიცვათ ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფების შესწავლისას გაირკვა, რომ მწერალი **ჭ/ს** პრეფიქსებს ზოგან ჩაუმატებს, ზოგან ამოშლის... ე. ი. მათთვის, მწერლებისათვის, სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული პრეფიქსიანი ფორმები ბუნებრივია, თუმცა ამ პრეფიქსებს კონკრეტული მორფოლოგიური დანიშნულება არ ეძებნება. გავიხსენოთ ანტონისეული შეხედულების ა. შანიძისეული შეფასება: **პრეფიქსებს არა აქვს წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობა**; ისინი არც S_2 -ისა და არც O_3 -ის ნიშანია, „არამედ რაღაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად“... ფაქტობრივად, ძველ ქართულში მეტ-ნაკლებად, მაგრამ ახალ ქართულში არსებითად **ჭ/ს** პრეფიქსებს ფორმათგანსხვავებული ფუნქცია არ გააჩნია.

მო-ჭ-კლ-ვს და **მო-კლა, და-ს-წერს** და **და-წერა** სუბიექტურ თუ ობიექტურ პირთა გაგების თვალსაზრისით არ განსხვავდება; **ჭ/ს**-ს ქონა-არქონას ფორმებში მორფოლოგიურ გაგებას ფორმისას არ ცვლის; იმავეს ვერ ვიტყვით სხვა პირის ნიშნებზე: **ვ-წერ, წერ-ს, დახატ-ა** და სხვა...

ცხადია, **ჭ/ს** პრეფიქსთა ფუნქცია საკვლევაია, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ უნდა იყოს მორფოლოგიის საგანი... სანამ გაირკვევა რაობა და დანიშნულება ამ პრეფიქსებისა, მათი პირის ნიშანთა სისტემაში განხილვა მოგვიწევს, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნომრების მიხედვით მათი მორფოლოგიური დანიშნულების წესებია დადგენილი.

ჩვენ ამ წესებს წარმოვადგენთ, რადგან დიალექტური ვითარების ანალიზი სწორედ ამ წესებთან მიმართებით უნდა მოხდეს...

XX საუკუნის დასაწყისში S_2O_3 -ის სფეროში არსებული სიჭრელის მოსაწესრიგებლად იზრუნეს და დადგინდა წესები:

„თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დადასტურდეს შემდეგი წესი:

ა) არ იქნეს ხმარებული **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები II სუბიექტური პირის აღსანიშნავად;

ბ) იხმარებოდეს **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად“... წესი ზუსტდება: „**ჰ-** დატოვებული იქნეს **გ, კ, ქ, ბ, პ, ფ, ყ** თანხმოვანთა წინ. **ს-** III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად ყველგან უნდა იხმარებოდეს (ე. ი. **დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჰ** თანხმოვანთა წინ)“...

ერთგვარად გაუგებარია: შეიძლება თანხმოვნის გარდა, **ს-** „ყველგან უნდა იხმარებოდესო და ჩამოთვლილია ცხრა თანხმოვანი. დანარჩენი თანხმოვნებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებთან რა ხდება? ნორმის მიხედვით ნიშანი არ უნდა გვქონდეს?

ამ კითხვებს იმიტომ ვსვამთ, რომ სულ სხვა ვითარებას გვიჩვენებს ზეპირმეტყველება. ნორმის დარღვევას სისტემური ხასიათი აქვს ნებისმიერ დიალექტში — საერთოდ ზეპირმეტყველებასა თუ სამწერლობო ენაში. ჟურნალ „ცისკრის“ 1968 წლის ნომრები შეისწავლა პროფ. ი. იმნაიშვილმა და ასეთი დასკვნა გააკეთა: „ჟურნალში კი ამ საქმეში დიდი არეგ-დარევაა: სადაც ნიშანი საჭიროა, ბევრგან არ წერენ, ხოლო სადაც კი საჭირო არაა, ასევე ბევრგან წერენ“.

ნიშანი „არის საჭირო“ და „არ არის საჭირო“ ნორმებთან მიმართებით ითქმის...

არ მეგულება სხვა მოვლენა, რომელიც ნორმებთან მიმართებით ისეთ რთულ ვითარებას გვიჩვენებდეს, როგორსაც S_2O_3 პრეფიქსები. არ არის არც ერთი დიალექტი, რომელიც ნორმის მოთხოვნებს მეტ-ნაკლებად ითვალისწინებდეს... რა ხდება: დიალექტზე მოსაუბრე ნორმას არღვევს, თუ ნორმა ვერ ახდენს რეალური ვითარების სწორად შეფასებას? ქაოსია თუ გვაქვს დიალექტური ნორმა?

მოდით, გადავხედოთ, რა ხდება დიალექტებში.

როგორც ითქვა, S_2O_3 პრეფიქსების ფონეტიკური ვარიანტების დიდი სიმრავლეა დიალექტებში.

რამდენიმე რიგად წარმოვადგენთ პრეფიქსთა ვარიანტებს:


I რიგი: ეს არის S_2O_3 პრეფიქსების მარტივი ფონეტიკური ვარიანტები: **Ø, ჰ-, ს-, ზ-, შ-, ყ-, ხ-, დ-, მ-**, აქვე უნდა დავასახელოთ **ძ-**.

II რიგი: ეს არის მარტივ პრეფიქსთა იოტიზებული ვარიანტები: **ძჰ-, ძს-, ძწ-, ძშ-, ძხ-**; ვერ დავადასტურებთ **ძყ-** და **ძღ-** ვარიანტები, თუმცა ლოგიკურად არ გამოირიცხება. ამ ვარიანტებს, ერთი მხრივ, რთულ პრეფიქსებად განიხილავენ; თუმცა ძირითადად რთულ ბგერე-

ბად მოიაზრებენ: რომელთა შემართვა **მ-**ისა აქვს, დამართვა — სათანადო სპირანტისა (ბ. ჯორბენაძე).

III რიგის პრეფიქსებად კომპლექსებს განვიხილავთ: **ჰს-**, **ჰშ-**, **ჰხ-**... ვერ დავადასტურეთ მოსალოდნელი ჰჟ-, ჰღ-; არადა, ლოგიკურად არც ეს ვარიანტები გამოირიცხება. სამაგიეროდ დადასტურდა **მჰს-**. სისტემის ანალიზი არ გამოირიცხავს **მჰშ** და **მჰხ** კომპლექსთა არსებობასაც...

ამ მარტივ პრეფიქსთა ურთიერთმიმართებას ბ. ჯორბენაძე ასე გაიაზრებს:



ამ ვარიანტების გამოვლენას წმინდა ფონეტიკური საფუძველი აქვს.

ღ- ნულოვანი ვარიანტი დასტურდება ყველა დიალექტში ჩვეულებრივ ხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძესთან. გარდა ამისა, ხშირია თანხმოვნის წინა პოზიციაშიც, განსაკუთრებით დასავლურ დიალექტებში (იშვიათად აღმოსავლურშიც): **კითხა**, **თხოვა**, **ყავს**, **ქონდა**, **მოტენა**, **ტაცებენ**, **მიცა**, **ყოლოდაყე**...

ჰს- დაკარგვა ზოგჯერ კომპენსირდება მომდევნო თანხმოვნის ფონეტიკური ცვლილებით: დაჰკრა > დაჰრა, დაჰპირდა > დაფირდა (ქვემოიმერული); მოჰპარა > მოფარა, დაჰპირდა > დაფირდა, ჰკითხა > ჰკითხა (ლენხუმური).

ჰ- — პრეფიქსი გვხვდება ყველა დიალექტში, გარდა ხევსურულია და თუშურისა. ამ დიალექტებში ზემოწარმოდგენილ სქემაში (ბ. ჯორბენაძე) წარმოდგენილი ყველა ვარიანტი დასტურდება, გარდა **ჰს-**სი; საერთოდ ამ დიალექტებში **S₂O₃** სისტემა თითქმის ყველაზე უკეთაა გამოხატული. ინგილოურში **ჰ-** გვაქვს იქაც, სადაც **ს-** ან სხვა პრეფიქსი უნდა იყოს ფონეტიკური წესის მიხედვით: **ჰ-ტურ** (ს-ტირი), გა-**ჰ-ჯავრდი**, და-**ჰ-დგა**, შე-**ჰ-ჰამ**... ასევეა კახურშიც: **ჰ-ტაცა**, ჩა-**ჰ-ჩარონ**, და-**ჰ-ძრა**, შე-**ჰ-ჰყვილა**... და რაც ძალზე საინტერესოა: **ჰ-** გვაქვს ხმოვნის წინა პოზიციაშიც: **ჰ-უთხრა**, **ჰ-უთქომ**, **ჰ-უქნი**, **ჰ-უცხოვრია**, **ჰ-უძახნი**,

ჰ-უყვარს, **ჰ**-უნდოდა, **ჰ**-უნახი. გ. იმნაიშვილი ამ მაგალითებს ძირითადად მ. ჯანაშვილის ტექსტებიდან იმოწმებს.

ს- — გვხვდება ყველა დიალექტში, თუმცა მისი გამოვლენის პირობა ყველგან არ არის ერთნაირი. უფრო ფართოდაა **ს**- წარმოდგენილი დასავლურ დიალექტებში; აღმოსავლურში ფონეტიკური გარემოსა და შესაბამისად გვაქვს სხვა ვარიანტები (**ზ**-, **შ**-...); **ს**- ძირითადად შენარჩუნებულია კბილისმიერი და წინანუნისმიერი ყრუ თანხმოვნების წინ (**თ**, **ტ**, **ც**, **წ**): **ს**-თქვი, ა-**ს**-ტყდება, მი-**ს**-ცა, შე-**ს**-წირა...

ჰ- და **ს**- ქვემოიმერულში თითქმის დაკარგულია.

ზ- — პრეფიქსი **ს**-ს ფონეტიკური ვარიანტია. გვხვდება ქართლურში, კახურში, ხევსურულში, ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში, მოხეურსა და ჯავახურში; იშვიათად იმერულში, ლეჩხუმურსა და რაჭულში. ვერ დავადასტურებთ ქართლურსა და თუშურში. არადა იქ არსებული ვარიანტების გათვალისწინებით, თითქოს მოსალოდნელი იყო... იგი ჩვეულებრივ გამოვლინდება მჟღერი კბილისმიერისა (**დ**) და წინანუნისმიერის (**ძ**) წინ: მი-**ზ**-დეგს, გა-**ზ**-ძლოლია... მი-**ზ**-დიხარ, გა-**ზ**-დიხარ... სულმა **ზ**-ძლია... და-**ზ**-დგმენ, **ზ**-დომია...

შ- პრეფიქსი **ს**-ს ფონეტიკური ვარიანტია. იგი გამოვლინდება ყრუ უკანანუნისმიერი თანხმოვნების (**ჭ**, **ჩ**) წინ: და-**შ**-ჭრის, და-**შ**-ჭირდება, შა-**შ**-ჭამს, **შ**-ჭამე, ჩა-**შ**-ჩეხს... **შ**- გვხვდება კახურში, ინგილოურში, თუშურში, ჯავახურსა და აჭარულში. დადასტურდა ლეჩხუმურშიც...

ჟ- — **ს**- პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტია. გამოვლინდება მჟღერი უკანანუნისმიერის (**ჯ**) წინ: ჟ-ჯობს, გა-**ჟ**-ჯავრდება... ჟ-ჯობია, ჟ-ჯობდეს... **ჟ**- ვარიანტი პრეფიქსისა გვხვდება კახურში, ხევსურულში, მოხეურში, თუშურსა და აჭარულში. სხვა დიალექტებში ვერ დავადასტურებთ.

ზ- **ჰ**- პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტია. იგი გამოვლინდება ყრუ ბაგისმიერი (**ფ**, **პ**) და სასისმიერი (**ფ**, **ქ**, **ყ**) თანხმოვნების წინ: **ზ**-ქვიან, **ზ**-ყოლიყო, მი-**ზ**-გვარიან, მა-**ზ**-გლეჯს, **ზ**-გავ, და-**ზ**-კაზმავს, და-**ზ**-კლავს, შამა-**ზ**-ყვირნა... **ზ**- ვარიანტი პრეფიქსისა გვხვდება ქართლურში, ინგილოურში, ხევსურულში, მოხეურში, თუშურში, ფშაურში, ჯავახურში, გურულსა და აჭარულში; ადასტურებენ ლეჩხუმურშიც.

ღ- — **ს**-ს ფონეტიკურ ვარიანტად მოიაზრება. გვხვდება მჟღერი ბაგისმიერის (**ბ**), რბილსასისმიერის (**გ**) და სონორი (**ლ**, **რ**, **მ**, **ნ**, **ვ**) თანხმოვნების წინ; **ღ**- გამოვლინდება ხევსურულში, მოხეურსა და თუშურში: ღ-გვრიან, ღ-გავის, ღ-გვრიანო. ამა-ღ-ბრუნდი, გა-ღ-ბგერევა, გა-ღ-

მართა, **ღ-ვედრიდა**, და-**ღ-ლივა**... გვაქვს მერყეობა: **მა-ღ-მკიან** / **მა-ხ-მკიან**...

ღ-ჭ/ს პრეფიქსთა პოზიციური ვარიანტია. გამოვლინდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში თანხმოვნით დაწყებული ზმნური ფუძის წინ; ეს ხმოვანი ჩვეულებრივ ზმნისწინისეული ხმოვანია (დაჰბარავს > დაბარავს, შასდებენ > შადდებენ... ადკრიფო, გადამხედოდენ...) ანდა ენკლიტიკურად მირთული სიტყვის ბოლო ხმოვანი (ველარა-აჭამს, დედა-აყოლია...).

ღ გვხვდება ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, მთიულურში, ფშაურსა და ჯავახურში.

ღჭ- გვხვდება ქართლურში, კახურში, მთიულურში, ფშაურსა და ჯავახურში. როგორც ვთქვით, ამ პრეფიქსს რთულ ბგერად განიხილავენ, რომელსაც შემართვა **ღ**-სა აქვს და დამართვა **ჭ**-სი.

ღჭ- გვაქვს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში. ჩვეულებრივ ზმნისწინის შემდეგ: და-**ღჭ**-კარგავს (მღრ.: ჰკარგავს), და-**ღჭ**-კივლა, მი-**ღჭ**-ყიდა, იმასა-**ღჭ**-ყვანდა.

ღს- გვხვდება ქართლურში, კახურში, მთიულურში, ფშაურსა და ჯავახურში. რთული ბგერაა. გამოვლინდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: მო-**ღს**-ტეხს, და-**ღს**-წვდა, წა-**ღს**-წყვიტა... მი-**ღს**-ცა, და-**ღს**-ცქერის, მო-**ღს**-წყინდა, გა-**ღს**-ჭირებია...

ღხ- გვხვდება მხოლოდ ფშაურში. გამოვლინდება როგორც ანლაუტში, ისე ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: **ღხ**-ყავს, **ღხ**-კოცდენ, **ღხ**-ვნავდა, გადა-**ღხ**-ყოლიყო...

ღწ- დადასტურდა კახურსა და ფშაურში; შეგვხვდა მხოლოდ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: გა-**ღწ**-დევს, გამა-**ღწ**-ძახს...

ღშ- დასტურდება მხოლოდ კახურსა და ფშაურში: და-**ღშ**-ჭყივლა, შა-**ღშ**-ჭამს, და-**ღშ**-ჭრიდენ...

ღჟ- ბგერას პრეფიქსად ადასტურებენ მოხეურში: გა-**ღჟ**-ფხეკ (← გაჰფხეკ) გა-**ღჟ**-კრავ, შა-**ღჟ**-კონ, გა-**ღჟ**-ხედავ (ი. ქავთარაძე).

შენიშვნა: **ღჟ-** გვხვდება პირველი სუბიექტური პირის ფორმაში **ვ**-ს ფონეტიკურ ვარიანტად (და-**ღჟ**-კუწავ, მო-**ღჟ**-ხარმოთ...).

ჰს- დასტურდება ინგილოურში, აჭარულსა და ლეჩხუმურში: ჩა-**ჰს**-ყვეს, **ჰს**-ყიდი...

ჰშ- დასტურდება ინგილოურსა და აჭარულში: შე-**ჰშ**-ჭამდა, გა-**ჰშ**-ჭრა, და-**ჰშ**-ჭრა, და-**ჰშ**-ჭირდებოდა...

ჰს- გვხვდება კახურში, ინგილოურსა და აჭარულში: ა-**ჰს**-წია, და-**ჰს**-წვა, მი-**ჰს**-ცა... **ჰს**-თოვს, და-**ჰს**-ტყუა, შე-**ჰს**-ძლებს...

4.3. მე-3 ობიექტური პირის პრეფიქსის ალომორფთა დისტრიბუცია ქართულ დიალექტებში

ქართული ენის ზმნურ სიტყვაფორმებში წარმოდგენილი აგლუტინაციური საშუალებებიდან ყველაზე კოლორიტულად გამოკვეთილი, და ამდენად, საინტერესოც, ობიექტური პირის ანუ სინტაქსურად დამატების ექსპონენტების დისტრიბუციაა. ე. ი. ობიექტური პირის მორფემების (პირდაპირი და ირიბი) ალომორფული გამოვლინებები და მათი განდასება მორფოლოგიური და ფონოლოგიური სიტუაციების გათვალისწინებით.

საკითხი ქართულ დიალექტოლოგიაში ძველთაძველია. ის პირველად განიხილა და საფუძვლიანად შეისწავლა აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 10-იან წლებში. გამოქვეყნდა კი 1920 წელს როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი მონოგრაფიისა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. მე-3 ობიექტური პირის ზმნის ფორმაში ასახვის საკითხი ამ შრომაში წარმოდგენილია ყველა ქართული კილოს მონაცემების გათვალისწინებით (მე-2 სუბიექტური პირის პრეფიქსთან ერთად). ნაშრომის ძირითად ნაწილში უაღრესი სკრუპულოზურობით გამოკვლეულია საკითხის არსი და მდგომარეობა ძველ სამწერლობო ქართულ ენაში. დადგენილია, რომ ძველ ქართულში მე-3 ობიექტური პირის ნიშანი ზმნის ფორმაში აფიქსით აისახება იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში დამატება მიცემითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, არა აქვს მნიშვნელობა იგი პირდაპირი დამატებაა თუ ირიბი. ეს არის ძირითადი წესი. ცხადია, დასტურდება ახსნადი გამონაკლისებიც. დიალექტების მდგომარეობა ამ ფონზე განხილული, ასე რომ, ძველი ქართული ენა, ამ შემთხვევაში, ერთგვარი ეტალონის როლს ასრულებს.

ქართულ დიალექტურ მეტყველებაში O_3 -ის პირის ზმნაში ასახვის სურათი მთლიან სამეტყველო სივრცეში ზოგადად ასეა წარმოდგენილი: ქართული ხალხური მეტყველების გავრცელების მთელი სივრცე ორ ძირითად არეალად განიყოფება: დასავლურ არეალად, სადაც O_3 პირი ზმნაში აფიქსით არ აისახება. ასევე არ აისახება S_2 პირიც. ასე რომ, ამ გეოგრაფიულ არეალში (ლიხს იქით) არც S_2 და არც O_3 პირებს ზმნის ფორმაში მორფოლოგიური წარმომადგენელი არ მოეპოვე-

ბათ. მეორე არეალი აღმოსავლეთ საქართველოა, სადაც O_3 -ის მორფემა ზმნაში აისახება. ამ მორფემის ალომორფები ყველა დიალექტში უაღრესი სიზუსტით დაადგინა აკაკი შანიძემ.

როგორც აღმოჩნდა, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ძირითადი სინტაქსური წესი, რომ ზმნაში, ძველი ქართულის მსგავსად, უეჭველად აისახება მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი დამატება, სისტემებში არის გატარებული. დიალექტებს შორის ინოვაციები ალომორფების რაოდენობასა და მათს დისტრიბუციაში მდგომარეობს, რომელთა ძირითადი ნაწილი აკაკი შანიძემვე დაადგინა. ეს სხვაობები აღმოსავლურ დიალექტურ არეალში სამ ქვეარეალს გამოგვავიყვანებს: ბარის დიალექტები — ქართლური და კახური, სადაც O_3 -ის მორფემა ერთიმეორესთან დამატებით დისტრიბუციაში მყოფი ორი \emptyset და o -ალომორფითაა წარმოდგენილი; მთის დიალექტები, ე. წ. „ფხოური კილოები“ — თუშური, ხევსურული, მოხეური — რომლებშიც აგრეთვე კომპლემენტარულად ერთმანეთს ენაცვლება შვიდი ალომორფი \emptyset , ზ-, ს-, ყ-, შ-, ლ-, ხ-. ამათ შორისაა გარდამავალი არეალი — ფშაური და მთიულური, სადაც აგრეთვე პოზიციურად შეპირობებული სამი ალომორფი — \emptyset , ს-, ჰ- ენაცვლება ერთმანეთს.

O_3 პირის მორფემის ალომორფების განაწილების თვალსაზრისით არეალური სხვაობები დოკუმენტურად კარგად ჩანს ერთ კახური წარმომავლობის ხალხური სასიმღერო ლექსის კუთხურ ვარიანტებში, რომელიც უაღრესად პოპულარული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეთა შორის. თვალსაჩინოებისათვის ვნახოთ ეს ვარიანტები:

კახური ვარიანტი (დოკუმენტური)

შირაქში ერთმა მეცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძა უამბო, ბიძა რო **დყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო და ნიავი, **მოფლიჯა** ჩვენი ფარები, ზეცას **გადქონდა** გრიალი. ან მე მოგვკვდები ამ სამ დღით, ან ცხვარ მოუა რიალი. ადექ, ფირუზ, და შინ წადი, იქ ხომ არა გაქ ზიანი. ყველა მწყემსებ დაუძახე, ვისიც რა **დყვანდა** ზიარი. ყველა თავისი გაუყო, **დაძრჩა** ცხრაათასიანი. მეჯოგე ჯოგში **გავზავნე**, ლურჯა **მოფვარე**, ტიალი, მეჯოგემ ლურჯა **მოფვარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

თუშური ვარიანტი (დოკუმენტური)

შირაქში ერთმა მეცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძას უამბო, ბიძა რო **ხყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო

და ნიავი, **მოღვლიჯა** ჩვენი ფარეხი, ზეცას **გახქონდა** გრიალი. ან მე მოგვკედები ამ სამ დლით, ან ცხვარს მოუვა რიალი. ადექ, ფირუზი, შინ წადი, იქ ხო არა გაქვ რიალი. ყველა მწყემსებს დაუძახეს, ვისიც რა **ხყვანდა** ზიარი, ყველას თავისი გაუყო, **დარშჩა** ცხრაათასიანი. მეჯოგე ჯოგში **წაღლლაღეს**, ლურჯა **მოღვვარეთ**, ტიალი, მეჯოგემ ლურჯა **მოღვვარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

ფშაური ვარიანტი (ვირტუალური)

შირაქში ერთმა მემცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძას უამბო, ბიძა რო **ძყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო და ნიავი, **მოძგლიჯა** ჩვენი ფარეხი, ზეცას **გაძქონდა** გრიალი. ან მე მოგვკედები ამ სამ დლით, ან ცხვარს მოუვა რიალი. ადექ, ფირუზი, შინ წადი, იქ ხო არა გაქვ რიალი. ყველა მწყემსებს დაუძახეს, ვისიც რა **ძყვანდა** ზიარი, ყველას თავისი გაუყო, **დაძჩჩა** ცხრაათასიანი. მეჯოგე ჯოგში **გაძგზავნეს**, ლურჯა **მოძგვარეთ**, ტიალი, მეჯოგემ ლურჯა **მოძგვარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

დასავლურქართული ვარიანტი (დოკუმენტური)

შირაქში ერთმა მემცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი, ადგა და ბიძას უამბო, ბიძა რო **ყვანდა** ჭკვიანი. წუხელ სიზმარში, ბიძაო, ქარი იყო და ნიავი, **მოგლიჯა** ჩვენი ფარეხი, ზეცას **გაქონდა** გრიალი. ან მე მოგვკედები ამ სამ დლით, ან ცხვარს მოუვა რიალი. ყველა მწყემსებს დაუძახეს, ვისიც რა **ყვანდა** ზიარი, ყველას თავისი გაუყო, **დარჩა** ცხრაათასიანი. მეჯოგე ჯოგში **გაგზავნეს**, ლურჯა **მოგვარეთ**, ტიალი, მეჯოგემ ლურჯა **მოგვარა**, ლურჯა ცხრაგარსაკრიანი...

როგორც ვხედავთ სურათი ერთობ ნათელია და O₃ პირის ზმნაში ასახვის საკითხი შეიძლება გამოყენებული იყოს ქართული ენის დიალექტური არეალების ძირითად სადემარკაციო იზოგლოსად. მას მხარს უმაგრებს, ცხადია, ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებათა იზოგლოსების კონები.

როგორც ვხედავთ, ამ მორფემის ალომორფთა რაოდენობაც და მათი დისტრიბუციის წესებიც ყველა დიალექტში აკაკი შანიძის მიერ თავიდანვე ისეთივე სიზუსტითაა დადგენილი, რომ შემდგომი დროის მკვლევრები მას ველარაფერს უმატებენ, დასამატებელი არაფერია. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები მაინც ჩნდება, რომლებზე პასუხებიც ან არ არსებობს, ან ნაკლებად დამაჯერებელია.

1. რატომ აისახება ზმნურ ფორმაში წინადადების სამი სხვადასხვა წევრი (მეორე პირით გამოხატული ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება) ერთი აფიქსით. აქ აფიქსების ომონიმიას ვარაუდობენ. ალბათ ასეა.

2. რატომ აისახება ერთი მნიშვნელობა, ანუ წინადადების ერთი წევრი, პირდაპირი დამატება, ორი მორფემით: სახელობითბრუნვიანი — **O**-ით, ხოლო მიცემითბრუნვიანი — პოზიციურად შეპირობებული **ჰ**-, **ს**- ალომორფებით? ეს აგლუტინაციის წესის დარღვევაა. რა აქვს მიცემით ბრუნვას ისეთი, სახელობითისაგან განსხვავებული, რაც ზმნაში წარმომადგენელს აჩენს? ამას ორნაირი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ან სახელობითბრუნვიანი ობიექტი და მიცემითბრუნვიანი ობიექტი სხვადასხვაა, ან მეტყველს სიღრმულ ცნობიერებაში აქვს მიმართება, რაც ზედაპირზე არ ჩანს და ეს მიმართება მიცემითი ბრუნვით გამოიხატება. რეალურობასთან ახლოს მყოფი მეორე ახსნა გვგონია, მით უმეტეს, რომ ეგვევ მიმართება სხვაგვარადაც გამოიხატება: **შ**დრ. **მოსტეხა** — **მოატეხა**, **მოჰგლიჯა** — **მოაგლიჯა**. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიცემითი ბრუნვით გამოიხატება არა მხოლოდ ობიექტური, არამედ რაღაც სხვა, ერთგვარი სივრცითი ან ვერსიული მიმართებაც. ამის მანიშნებლად გვეჩვენება **O₃**-ის ზმნაში ასახვის ხვესურული წესი, როცა აწმყოს წყების უზმნისწინო მწკრივებში აფიქსი არ ჩანს და ზმნისწინიანებში კი იგი დაჩნდება:

ჭრის — მაშჭრის,
 ტეხს — გასტეხს, მასტეხს,
 ჰამს — შაშჰამს,
 კლავს — მახკლავს,
 ლევს — დალლევს.

ზმნისწინის უმთავრესი ფუნქცია ხომ მოქმედების სივრცითი მიმართების დამყარებაა.

საგულისხმოა ზმნათა ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფის, ე. წ. **და-ჰბადა** ტიპის ზმნების ჩვენებაც. ეს ორპირიანი გარდამავალი ზმნებია, რომლებშიც აფიქსი სახელობითბრუნვიან ობიექტებს შეესაბამება, ე. ი. აფიქსი თავს იჩენს აორისტის წყების ფორმებშიც. ეს მოვლენა განსაკუთრებით ცხადად ჩანს მთის დიალექტებში — თუშურსა, ფშაურსა, ხევსურულსა და მოხეურში.

ფური ხბოს **ღბადებს** — ფურმა ხბო **დაღბადა**;
ღღლეჯს ბალახს — **დაღღლეჯა** ბალახი;

უჭრის ხეს — მოუჭრა ხე;
სთესს ქერს — დასთესა ქერი.

არის ამავე აღნაგობის ზმნები, რომლებშიც პირის ნიშანს მხოლოდ მიცემითი ბრუნვა აჩენს, სახელობითთან იგი გამორიცხულია. ლინგვისტი აქ რაიმე კანონზომიერებას ვერ აღმოაჩენს, მაგრამ მოსაუბრეს იგი არ შეეშლება. **სკლავს** ირემს, მაგრამ **მოხკლა** ირემი გამორიცხულია, იტყვის **მოკლა**. **ღღლეჯს** ბალახს — **დაღღლიჯა** ბალახი, მაგრამ **ღღლეჯს** ხალათს — **დაღღლიჯა** ხალათი. **დაღღლიჯა** ხალათი გამორიცხულია. როგორ ასხვავენს მოსაუბრე ამ ორნაირ „დაღღლეჯას“ ერთმანეთისაგან, გაუგებარია. მაგრამ ფაქტია, რომ ის ასხვავენს. გავიმეორებთ ზემოთ ნათქვამს, რომ მოსაუბრის სიღრმულ სტრუქტურაში არის რალაც განსხვავებული მიმართებები, რაც ზედაპირულ სტრუქტურებშიც იჩენს თავს.

4.4. S₃ -ა — ო-ს ნაცვლად

დიალექტთა ერთ ჯგუფში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის **-ო** სუფიქსის ნაცვლად **-ა** სუფიქსი იჩენს თავს.

ხევსურული: გაიგ-**ა**, გადაუგდ-**ა**, აიღ-**ა**...

მოხეური: ამაიღ-**ა**, ჩააგ-**ა**, დაიწყ-**ა**...

ინგილოური: გააგ-**ა**, გააგდ-**ა**, წოჟდ-**ა**...

კახური: მორთ-**ა**,

გურული: იცნ-**ა**, მისარ-**ა** („მისაწრო“), შეიბყრ-**ა**...

აჭარული: იცნ-**ა**, მიაგნ-**ა**, მუასტრ-**ა**...

იმერხეული: დუუდგ-**ა**, შეატყვ-**ა**, შეფტყვ-**ა**, იცნ-**ა**, მოუსწრ-**ა**...

სისტემური ხასიათი ამ ფაქტს ხევსურულში აქვს. ჩვეულებრივ ამ დიალექტში S₃ **-ო** სუფიქსი არ გვხვდება. შესაბამისად, **-ო** არ დასტურდება არც II თურმეობითში (ეელა, გეეგა...)

ეს ზოგადი წესია ქართულში: რომელ ზმნებსაც წყვეტილში მხოლოდით რიცხვში **-ო** სუფიქსი აქვს მესამე პირში, ყველა შემთხვევაში II თურმეობითშიც იჩენს თავს **-ო** (გაიგო — გაეგო, აიღო — აეღო...).

შედარებით სისტემური ხასიათი აქვს **ა**-ს გამოვლენას **ო**-ს ადგილას მოხეურსა და ინგილოურის კაკურ კილოკავში. სხვა დიალექტებში ეს ფაქტები დასტურდება, თუმცა ზემოდასახელებული დიალექტების მსგავსი სისტემური ხასიათი არა აქვს.

როცა ვსაუბრობთ სისტემურობაზე, ვგულისხმობთ ქართულში ზოგადად S₃ **-ო** სუფიქსის გამოვლენის წესს.

რა შემთხვევაში ხდება წყვეტილში **ო** სუფიქსის გამოვლენა:

გარკვეულია, რომ სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენისათვის წყვეტილში ორი პირობაა საჭირო: ა) საყრდენი მორფემა (ჩვეულებრივ ამ შემთხვევისათვის მარტივი ფუძე) უნდა იყოს უმარცვლო და ბ) წყვეტილის მაწარმოებელი **-ე** სუფიქსი (გ. გოგოლაშვილი). ეს კანონზომიერებაა.

გა-ვ-ი-გ- ე	გავა-თბ- ე	დავ-ფრთხ- ე
გა-ი-გ- ე	გაა-თბ- ე	დაა-ფრთხ- ე
გა-ი-გ- ო	გაა-თბ- ო	დაა-ფრთხ- ო

თუ ამ პირობათაგან ერთ-ერთი არ არის დაცული, მაშინ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად წყვეტილში **-ა** სუფიქსი იქნება წარმოდგენილი:

ა) გვაქვს უმარცვლო საყრდენი მორფემა, მაგრამ წყვეტილს **-ი** ელემენტი აწარმოებს:

დავა-ბ- ი	გავუ-შვ- ი
დაა-ბ- ი	გაუ-შვ- ი
დაა-ბ- ა	გაუ-შვ- ა

ბ) წყვეტილის მაწარმოებელია **-ე** სუფიქსი, მაგრამ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია:

გავ-თალ- ე	შევ-კრიბ- ე
გა-თალ- ე	შე-კრიბ- ე
გა-თალ- ა	შე-კრიბ- ა

ეს წესი თითქმის უგამონაკლისოა როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ქართულში. წესი უგამონაკლისო ჩანს დიალექტებშიც. ყველა ის შემთხვევა, სადაც **S₃** პირში მოსალოდნელი **-ი** სუფიქსის ნაცვლად გვაქვს **-ა**, ადვილად იხსნება.

ხევსურული ის დიალექტია, რომელშიც სალიტერატურო ენის **-ი** სუფიქსიან ზმნათა წყვეტილი არ იწარმოება **-ე** სუფიქსით

გა-ვ-ი-გ-რ	ა-ვ-ი-ღ-რ	გადა-ვ-უ-გღ-რ
გა-ი-გ-რ	ა-ი-ღ-რ	გადა-უ-გღ-რ
გა-ი-გ-ა	ა-ი-ღ-ა	გადა-უ-გღ-ა

I-II პირებში გამოვლენილი ო სრული **ი**-ს დავიწროების შედეგია. მრავლობითი რიცხვი ამას გვიჩვენებს: ა-ვიღ-ი-თ, გადავუგღ-ი-თ, გავიგ-ი-თ... როცა I და II პირში ბოლოკიდური ო მიღებულია **-ე** სუფიქსის დავიწროებით, მხოლოდობითში ფორმები ემთხვევა (გავიგ-რ, მავთბ-რ), მაგრამ მრავლობითში ამოსავალი ვარიანტი აღდგება (ავიღ-ი-თ, მაგრამ გავთბ-ე-თ...).

ასე რომ, **ავიღე-აიღო** ტიპის ზმნები (პირობითად ასე ვუწოდეთ) ხევსურულში არ არის **ე** სუფიქსიანი, **ი** ელემენტი. შესაბამისად, ერთი პირობა **-ი**-ს გამოვლენისა დარღვეულია: არცა გვაქვს ამ დიალექტში **S₃** პირის ნიშანი **-ი**. ივარაუდება, რომ ეს არქაული ვითარების ასახვაა, ამ ტიპის ზმნებში ხევსურულში **S₃ -ი** არც როდის გვქონია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ტიპის ზმნათა წყვეტილის წარმოება იყო

თავისებური: **-ე** (სავარაუდოდ ←-ევ) სუფიქსიანი წარმოება არ იყო დამახასიათებელი ამ ზმნებისათვის (გოგოლაშვილი, 2010).

-ლ-ს ადგილს ამ დიალექტში **-ა** იჭერს. ეს არ უნდა მივიჩნიოთ **-ა**-ს უნიფიკაციის ტენდენციის გამოვლენად...

-ა სუფიქსის გამოვლენას **-ლ**-ს ნაცვლად იგივე საფუძველი აქვს მოხეტურსა და ინგილოურ დიალექტებში (კაკურ თქმაში): **ავიდე-აილო** ტიპის ზმნები წყვეტილს **-ე** სუფიქსით არ იწარმოებენ, შესაბამისად, III პირში არა გვაქვს **-ლ**.

რაც შეეხება კახურ, გურულ, აჭარულ და იმერხელ დიალექტებს, აქ სხვა ვითარებაა.

გავიხსენოთ: სალიტერატურო ქართულში დადასტურებულია **-ლ** სუფიქსი ზმნებში: **მორთლ**, **იცნლ**, **მოასწროლ**, **მიავნლ**, **შეიპყროლ**, **დაუდლ**, **შეატყოლ**... ამ ოთხ დიალექტში ეს ზმნები **ა** სუფიქსს დაირთავენ. თუმცა განსხვავებით **ავიდე/აილო** ტიპის ზმნებისაგან, კახურ, გურულ, აჭარულ და იმერხელ დიალექტებში შეიძლება დავადასტუროთ პარალელური ვარიანტები:

მორთა//მორთლ, **იცნა//იცნლ**, **შეიპყრა//შეიპყროლ**, **მიავნა//მიავნლ**, **მოუსწრა//მოუსწროლ**... მართალია, ჩვენ ვერ დავადასტურებთ, მაგრამ პარალელური ვარიანტების არსებობას არც სხვა დიალექტებში გამოვრიცხავთ. არის ზმნები, რომლებიც ამგვარ პარალელიზმს სამწერლობო ენაშიც ავლენენ: **დარგა//დარგლ**, **მორწყა//მორწყლ**, **მიუზღა//მიუზღლ**...

არღვევენ თუ არა ეს ზმნები **ლ** სუფიქსის გამოყენების საერთო წესს? როგორ აიხსნება ეს ვითარება?

ყველა ეს ზმნა წყვეტილს იწარმოებს **ი** ელემენტით:

ვიცან-ი, **მოვასწარ-ი**, **შევიპყარ-ი**, **მივაგენ-ი**...

შესაბამისად, ამ ტიპის წარმოება ვარაუდობს **S₃** პირში **-ა** სუფიქსს:

ვ-ი-ცან- ი	მო-ვ-ა-სწარ- ი	შე-ვ-ი-პყარ- ი	მი-ვ-ა-გენ- ი
ი-ცან- ი	მო-ა-სწარ- ი	შე-ი-პყარ- ი	მი-ა-გენ- ი
ი-ცან- ა	მო-ასწარ- ა	შე-ი-პყარ- ა	მი-ა-გენ- ა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ მწკრივის ნიშანსა და **S₃** პირის სუფიქსზე. ცხადია, თითოეულ დიალექტში (პრეფიქსულ ნაწილში) განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტი შეიძლება იყოს.

ამ ზმნებს წყვეტილის წარმოების მეორე ვარიანტიც მოეპოვებათ:

გა-ვ-ი-ცნ-**ე**, მო-ვ-ა-სწრ-**ე**, შე-ვ-ი-პყრ-**ე**, მი-ვ-ა-გნ-**ე** — შესაბამისად, ამგვარი წარმოება (არსებული წესის თანახმად) S₃ პირში **-ო** სუფიქსს გამოავლენს:

გა-ვ-ი-ცნ- ე	მო-ვ-ა-სწრ- ე	შე-ვ-ი-პყრ- ე	მი-ვ-ა-გნ- ე
გა-ი-ცნ- ე	მო-ა-სწრ- ე	შე-ი-პყრ- ე	მი-ა-გნ- ე
გა-ი-ცნ- ო	მო-ასწრ- ო	შე-ი-პყრ- ო	მი-ა-გნ- ო

-ე სუფიქსიანი წარმოება გვიანდელი ჩანს; პარადიგმის I და II პირის ფორმები ნაკლებად გავრცელებულია; უფრო ხშირია **-ი** ელემენტის პარადიგმის I-II პირის ფორმა და სალიტერატურო ქართულში (და ზოგ დიალექტშიც) ვიღებთ შერეულ პარადიგმას:

შე-ვ-ი-პყარ-**ი** მო-ვ-ა-სწარ-**ი**
 შე-ი-პყარ-**ი** მო-ა-სწარ-**ი**
 შე-ი-პყრ-**ო** მო-ასწრ-**ო** (იხ. გ. გოგოლაშვილი, 2010)

ჩვენმა კვლევამ გამოავლინა **-ა** სუფიქსი იქ, სადაც მოსალოდნელი იყო **-ო**. სამწუხაროდ, I-II პირის ფორმები ყველა დიალექტში ყველა **ზმნისათვის ვერ დავადასტურეთ** ჩვენს საანალიზო მასალაში; ამიტომ ძნელი სათქმელია, ამ დიალექტებში **-ა**-ს გამოვლენა ძველი ვითარების ასახვაა თუ არა. **-ე** სუფიქსიანი წარმოება წყვეტილში არის თუ არა ამ დიალექტებში? კითხვებზე პასუხი დამატებით კვლევას მოითხოვს...

* * *

უამბა...

აქვე გვინდა ვისაუბროთ ერთ კერძო შემთხვევაზე. მოხეურში, ქართლურში, კახურსა და მესხურ დიალექტებში დადასტურდა **უამბა** ფორმა. სალიტერატურო ნორმაა **უამბო**. რა ხდება: **-ო** სუფიქსს ჩაენაცვლა **-ა** სუფიქსი? როგორც ჩანს, აქ სხვა ვითარებაა.

სალიტერატურო ენაში ამ ზმნის წყვეტილის პარადიგმა ასეთია:

ვ-უ-ამბ-**ე**
 უ-ამბ-**ე**
 უ-ამბ-**ო**

პარადიგმა უცნაურია: **ამბ** მარცვლიანი ძირია, ამიტომ **ო** სუფიქსი არ იყო მოსალოდნელი. საწყისის ფორმის — **მბობა** — მიხედვით ა. შანიძე მიიჩნევს, რომ ფუძისეული **ა** (**ამბავ**) ქცევის ნიშნად იქნა გააზრებული. **-ო** სუფიქსის გამოვლენას ეს გამართლება აქვს: უ-ა-**მბ**-ო; თუმცა დაირღვა ერთი ძირითადი წესი მორფემათა განაწილებისა: ერ-

თი რანგის ორი პრეფიქსი (უ-ა) აღმოჩნდა ფორმაში, რაც არაბუნებრივია. სხვათა შორის, ამ უცნაურობის „გამოსწორება“ ხდება II თურმეობითში — ეამბ(ნ)ა; სხვა ზმნების შემთხვევაში II თურმეობითის ვითარება წყვეტილისას ემთხვევა (ორივეგან **-ა** სუფიქსია).

დიალექტური უამბა ფორმა იმის მაჩვენებელია, რომ ამ დიალექტებმა თავი დააღწიეს წესის დარღვევას და ის პარადიგმა შეინარჩუნეს (თუ შექმნეს), რაც **ა**-ს გამოვლენის კანონზომიერებას შეესაბამება:

ვ-უ-ამბ-ე

უ-ამბ-ე

უ-ამბ-ა

ეს კიდევ ერთი კერძო მაგალითია დიალექტში პარადიგმის გასწორებისა.

4.5. მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა

ვიციტ, ენა იცვლება დროსა და სივრცეში. დროში ცვლილებას ენის ისტორია შეისწავლის, სივრცეში ცვლილებას — დიალექტოლოგია. ენის ისტორია და დიალექტოლოგია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგებია. ზოგჯერ ისტორიულად დადასტურებული ფაქტების ახსნას ხელს უწყობს დიალექტის მონაცემთა გათვალისწინება და პირიქით, დიალექტური ფაქტების ანალიზი ენის ისტორიის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ხშირად ქრონოლოგიურად თანმიმდევრულმა ეტაპებმა შეიძლება ერთ ქრონოლოგიურ დონეზე (სხვადასხვა დიალექტში) იჩინოს თავი, ანუ: ერთდროულად, ერთ ქრონოლოგიურ დონეზე შეიძლება ამა თუ იმ ენობრივი პროცესის განვითარების რამდენიმე ეტაპი თანაარსებობდეს სხვადასხვა დიალექტში.

ამის კარგი მაგალითია სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა ასეთ სურათს ქმნის:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
-ა	-ეს
-ო	-ენ
-ს	-ან
-ნ	-ნ
-დ	-ედ

ახალი სალიტერატურო ქართულის ვარიანტი სისტემისა უფრო მარტივია: არა გვაქვს მხოლობითში **-ნ**, **-დ** და მრავლობითში **-ედ** სუფიქსები; სამაგიეროდ, გაჩნდა **ნენ** სუფიქსი „**-ნენ** იმდენად შეიძლება მთლიანად ჩაითვალოს მრავლობითი რიცხვის მე-3 პირის სუბიექტურ ნიშნად, რამდენადაც შიგ შემავალი პირველი **ნ** ვისამე ენაში მხოლოდ მე-3 პირში გვხვდება“ (ა. შანიძე). ამ რთული სუფიქსის ჩამოყალიბება ჩვენ თვალწინ ხდება: მეორე კომპონენტი **ნ-ენ** სუფიქსისა იგივე **-ენ** სუფიქსია, რომელიც მრავლობითის მაწარმოებელთა რიგშია; პირველი კომპონენტი (ნ) ხმოვანდაკარგული ვარიანტია ე.წ. „პირდაპირი ობიექტ-


ტის მრავლობითობის“ **-ენ** ბოლოსართისა (**მოვკალ** მე იგი და **მოვკლ-ენ** მე იგინი).

შენიშვნა: ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსის თაობაზე ცალკე ვისაუბრებთ.

ცნობილი ფაქტია: როცა ე. წ. პირდაპირი ობიექტის გამოხატვის საჭიროება აღარ იყო ქართულ ზმნაში, **-ენ** სუფიქსის ბედი ორი გზით წარიმართა:

ა) დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მოშლის შემდეგ **ენ(→ნ)** სუფიქსი ქრება სამივე პირის ფორმიდან;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში იგივე სუფიქსი ქრება I-II პირის ფორმებში; ხოლო მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმაში მიუხორცდა მრავლობითობის **-ენ** სუფიქსს; მივიღეთ **ნ-ენ**.



აღმოსავლურ პარადიგმაში მესამე პირის ფორმა ძველი პარადიგმიდანაა აღებული, I-II პირის ფორმები — ახალი პარადიგმიდან. მივიღეთ, ასე ვთქვათ, შერეული პარადიგმა:

და-ვ-იზარდ-ენ-ით	და-ვ-იზარდე-თ
და-იზარდ-ენ-ით	და-იზარდე-თ
და-იზარდ-ნ-ენ	და-ი-ზარდ-ენ

ასე რომ, **ნენ** სუფიქსი ამ სისტემაში სპეციფიკურ ვითარებას ქმნის თავისი სტრუქტურით, თავისი ქმედებით (თუ წყვეტილის **-ე** სუფიქსის დაკარგვა **-ა** და **-ეს** სუფიქსებს ბრალდება (გააკეთ-ე-ა > გააკეთ-ა, გააკეთ-ე-ეს > გააკეთ-ეს...), ამავსე ვერ ვიტყვით **-ნენ** სუფიქსის თაობაზე — **-ე** სუფიქსის მოკვეცის პირობა აქ არ არის... (თუმცა მსჯელობა გაგვექცა...).

ამგვარად, ძველი ქართულის რთული სისტემა ახალ სალიტერატურო ქართულში ასეთ სახეს იღებს:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ა	ეს
ო	ენ
ს	ან ნ

ამ სისტემის კომენტარებისას ერთ არსებით მომენტს მინდა მივაპყრო ყურადღება: **-ეს** სუფიქსის გამოყენების სფერო ახალში საგრძნობლად შეიზღუდა:

ძველ ქართულში **-ეს** სუფიქსი აღნიშნავდა S_3 პირის მრავლობით რიცხვს უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივებში ყველა ტიპის ზმნასთან.

უწყვეტელი:	წერდ-ა იგი	წერ-დ- ეს იგინი
	ტირ-ოდ-ა იგი	ტირ-ოდ- ეს იგინი
	ტფებ-ოდ-ა იგი	ტფებო-დ- ეს იგინი
წყვეტილი:	და-წერ-ა მან	დაწერ- ეს მათ
	წარვიდ-ა იგი	წარვიდ- ეს იგინი
	განტფ-ა იგი	განტფ- ეს იგინი

ახალ ქართულში, როგორც ვთქვით, **-ეს** სუფიქსის ფუნქციური დატვირთვა შემცირდა:

უწყვეტელში **-ეს** სუფიქსს ჩაენაცვლა **-ენ(-ნენ)**

წერ-დ-**ნენ** ისინი
ტიროდ-**ნენ** ისინი
თბებოდ-**ნენ** ისინი

შენიშნავთ იმას, რომ ძირითადად დასავლურ დიალექტებში უწყვეტელში **-ენ** (ნაცვლად ნორმატული **-ნენ** სუფიქსისა) გამოიყენება: წერ-დ-**ენ**, ტირ-ოდ-**ენ**, თბებ-ოდ-**ენ**... დღეს ეს ვარიანტები დიალექტურად მიიჩნევა; ისტორიულად მართებული ფორმები შემოგვენახა ამ დიალექტებში.

-ეს სუფიქსი ახალ ქართულში შემოგვრჩა მხოლოდ წყვეტილში; ისიც ისეთ ზმნებთან, რომელთაც მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტი აქვთ:

დაწერ-**ეს** მათ
იტირ-**ეს** მათ...

ხოლო სხვა შემთხვევაში **ენ(ნენ)** სუფიქსი ჩაენაცვლა წყვეტილში:
მოვიდ-**(ნ)ენ**
გათბ-**(ნ)ენ**

-ენ/ -ნენ ვარიანტთა მიმართება, როგორც წინა შემთხვევაში, დიალექტურია.

მე-ვიდ-**ენ**, გათბ-**ენ**... მავიდ-**ნენ**, გათბ-**ნენ**... **-ნენ** სუფიქსის გავრცელება დასავლურ დიალექტებში სალიტერატურო ენის გავლენა უნდა იყოს...

აქ ერთ შენიშვნასაც გავაკეთებთ: ხევსურულში, მოხეურსა და ინგილოური ენის კაკურ კილოკავში მხოლობითის ნიშანთა რაოდენობა ნაკლებია: **-ო** სუფიქსი იმ დიალექტებში არ იცის (იხ. აქვე, 270-274).

ასე რომ, მხოლობითის ნიშანთა ხუთწევრიანი სისტემა ორ სუფიქსზე დავიდა:

დ, ნ, ს, ა, ო > ს, ა

მრავლობით რიცხვში დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში, გურულსა და აჭარულში) **-ეს** სუფიქსი ჩვეულებრივ წყვეტილშიც აღარ იხმარება:

გაკეთ-**ენ** მათ

დაწერ-**ენ** მათ

იტირ-**ენ** მათ

ასე რომ, ამ დიალექტებში S₃ პირის მრავლობითის 5-წევრიანი სისტემა სამწევრიანი გახდა (დარჩა მხოლოდ ნარიანი მაწარმოებლები; იმავე დასავლურ დიალექტებში რიგ შემთხვევაში **-ან** სუფიქსს **-ენ** ჩაენაცვლება: მოდი-**ენ**, ტირი-**ენ**...

ანუ: **ედ, ეს, ენ, ან, ნ > ენ, (-ან), ნ...**

რა ხდება ქართულ დიალექტებში, სისტემის რა ვარიანტებია წარმოდგენილი.

მხოლობითი რიცხვის ნიშანთა სისტემის განვითარების რამდენიმე ეტაპი შეიძლება გამოვყოთ:

I. სრული სისტემა: **დ, ნ, ს, ა, ო**

II. დაიკარგა **დ: ნ, ს, ა, ო**

III. დაიკარგა **ნ: ს ა ო**

IV. სისტემა **ო** სუფიქსის გარეშე: **ს, ა**

I ეტაპი სისტემის განვითარებისა დამახასიათებელი არის მხოლოდ ძველი ქართულისათვის. **დ** სუფიქსი თანამედროვე ქართულ დიალექტებში არ დასტურდება.

II ეტაპი დასტურდება რაჭული დიალექტის გლოლურ თქმაში.

გლოლური ერთადერთი კილოკავია თანამედროვე ქართულის რთულ დიალექტურ სივრცეში, რომელშიც მხოლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად **-ნ** სუფიქსი დასტურდება (შ. ძიძიგური, ბ.

ჯორბენაძე). **-ნ** S_3 მხოლობითის ნიშნად კავშირებითის მწკრივებში გვაქვს:

I კავშ.: „გწყალობდე-**ნ** (=გწყალობდე-ს) ღმერთი“, „გწყალობდე-**ნ** წმინდა გიორგი“

II კავშ.: „ბოსლობა არ შეიძლება იყო-**ნ** (=იყოს) თუთხმეტ იან-გრამდინ, არც შეიძლება, რომ გასცდე-**ნ** (=გასცდე-ს) თუთხმეტ თებერვალს“; „სადღეგრძელოს გაუმარჯო-**ნ** (=გაუმარჯოს) და სხვა

III კავშ.: „მაკვრიელი (მეკვლე) კაი ფეხისა უნდა ყოფილიყო-**ნ** (=ყოფილიყოს)“, „რომ დასჭირებოდე-**ნ** (=დასჭირებოდეს)... „იქ ცეცხლი უნდა დაგვენთო-**ნ** (=დაგვენთო-ს)“

ნ ამ კილოკავში მრავლობითსაც გამოხატავს ამავე მწკრივებში; შესაბამისად, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ემთხვევა: „ქალმა უნდა ჭამო-**ნ**“ და „ქალებმა უნდა ჭამო-**ნ**“, მან//მათ, წაიყვანო-**ნ**, წააქციო-**ნ**, ნახო-**ნ**, ქნა-**ნ**, ზღო-**ნ**... ის//ისინი გაერთო-**ნ**, დაიკარგო-**ნ**, იყო-**ნ**...

აქ ერთი ფაქტიც არის საინტერესო: ძველ ქართულში S_3 **ნ** მხოლობითში არ გვხვდება კავშირებითის მწკრივებში. ამ ფუნქციით **-ნ** დასტურდება აწმყოში, უწყვეტელში, წყვეტილში, II ხოლმეობითში და I თურმეობითში. კავშირებითებში **-ს** სუფიქსი გამოიყენება ყველა შემთხვევაში. არის ასევე დადასტურებული **-დ** სუფიქსი (ზ. სარჯველაძე).

ძნელი სათქმელია, თუ ეს არქაიზმია (სისტემა არქაულია), რატომ მოხდა ფუნქციათა შენაცვლება... საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

III ეტაპი (-ს, -ა, -ო) სისტემის განვითარებისა დადასტურებულია დიალექტთა უმრავლესობაში (გარდა გლოლურისა, ხევსურულისა, მოხურისა და კაკური კილოკავისა).

IV ეტაპი (-ს, -ა) დადასტურებულია ხევსურულში, მოხურსა და ინგილოურის კაკურ კილოკავში. ეს არის ის ნაირსახეობანი, სადაც **ავიდე — აილო** ტიპის ზმნები წყვეტილს **ე** სუფიქსით არ იწარმოებენ, შესაბამისად, არც S_3 **-ო** სუფიქსი გვაქვს. არც ეს საკითხია მარტივად გადასაწყვეტი... ჩვენ ვფიქრობთ, რომ არქაული მოვლენის ნაშთი უნდა იყოს ეს ფაქტი (იხ. გოგოლაშვილი 2010), თუმცა არ გამოვრიცხავთ სხვაგვარ ახსნასაც...

ისევ რომ დავუბრუნდეთ თავში თქმულს, სუბიექტური მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ნიშნათა სისტემაში მომხდარი ცვლილების

განვითარების ბოლო სამი ეტაპი (ოთხიდან) თანაარსებობს თანამედროვე დიალექტებში...

საინტერესო სურათს ქმნის S₃ პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანთა სისტემა. აქ განვითარების ეტაპებს გამოვყოფთ სისტემის წევრთა რაოდენობისა და მათი ფუნქციების გათვალისწინებით.

I ეტაპი: სრული სისტემა ძველი ქართული ენისა (**-ედ, -ეს, -ენ, -ან, -ნ**) S₃ პირის მრავლობითობის **-ეს** სუფიქსის გამოყენება უწყვეტელსა და წყვეტილში ყველა ტიპის ზმნასთან.

II ეტაპი: სისტემა **-ედ** სუფიქსის გარეშე (**-ეს, -ენ, -ან, -ნ**)

III ეტაპი: იგივე სისტემა **-ეს** სუფიქსის შემცირებული ფუნქციებით (მხოლოდ წყვეტილში მოთხრობითსუბიექტიან ზმნებთან)

IV ეტაპი: მხოლოდ **ნ**-არიანი მაწარმოებლები (**-ენ, -ან, -ნ**).

თანამედროვე ქართულ ენაში I ეტაპი არ დასტურდება.

II ეტაპი სისტემის განვითარებისა (-ეს, -ენ, -ან, -ნ; -ეს — სუფიქსი უწყვეტელსა და წყვეტილში ყველა ტიპის ზმნასთან) დასტურდება ხევსურულში, თუშურში, ფერეიდნულში, რაჭული დიალექტის გლოლურ თქმაში და გურულში. თუმცა გურულში სხვათაგან განსხვავებით სპეციფიკური (შერეული) ვითარებაა: უწყვეტელში **-ენ(-ნენ)** სუფიქსი გამოიყენება (ეს III ეტაპის ვითარებაა), წყვეტილში ზოგ თქმაში **-ეს** სუფიქსს დაირთავს როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნა — გააკეთ-**ეს**, დაწერ-**ეს**... მიეგებ-**ეს**, მეიქც-**ეს**, ადგ-**ეს** ისინი.

ზოგ თქმაში III ეტაპის ვითარება: გააკეთ-**ეს**, დაწერ-**ეს**... მაგრამ ადგ-ენ, მევიდ-ენ... თუმცა შეიძლება დადასტურდეს IV ეტაპის ვითარებაც (გაკეთ-**ენ**, დაწერ-**ენ**...).

ის ფაქტი, რომ ფერეიდნულში II ეტაპის ვითარებაა დადასტურებული, იმის მაუწყებელია, რომ კახურ დიალექტშიც ასეთივე ვითარება იყო XVII-XVIII საუკუნეებში.

III ეტაპი სისტემის განვითარებისა (-ეს, -ენ, -ან, -ნ; -ეს წყვეტილში მოთხრობითსუბიექტიან ზმნებთან) დამახასიათებელია სალიტერატურო ენისათვის (ნორმა) და დიალექტთა აღმოსავლური ჯგუფისათვის: კახურისათვის, ქართლურისათვის, ინგილოურისათვის, სამცხურისათვის... თუმცა ეს სისტემა სალიტერატურო ენის გავლენით პარალელურად სხვა დიალექტებშიც იჩენს თავს.


IV ეტაპი (მხოლოდ ნარიანი მაწარმოებლები) დამახასიათებელია დასავლური დიალექტებისათვის. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ **-ეს** სუფიქსის სრული ჩანაცვლება მოხდა **-ენ** სუფიქსით (დაწერ-**ენ**,

გაკეთ-ენ...); რიგ შემთხვევაში **-ენ** ჩაენაცვლა **-ან** სუფიქსსაც (მოდ-**ენ**, ტირი-**ენ**...)... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია სრულად რომ იყოს გატარებული რომელიმე დიალექტში, არც ასეა. IV ეტაპის ვითარება თანაარსებობს III ეტაპთან.


ამგვარად: სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა ისტორიული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო სურათს ქმნის. პირობითად გამოყოფილი განვითარების ოთხი ეტაპიდან თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში თანაარსებობს ბოლო სამი ეტაპი... IV ეტაპი — ეს არის საუკუნეების წინათ დაწყებული ცვლილებათა ტენდენციის დასრულების ეტაპი. სალიტერატურო ენა III ეტაპზეა შეჩერებული...

4.6. ინვერსიულ ზმნათა „გასწორება“


ცნობილი ფაქტია, ზმნათა ერთი ნაწილი აწმყოში ინვერსიულია. ტრადიციული (და ფართოდ გაზიარებული) თვალსაზრისის მიხედვით მომხდარია პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა: სუბიექტი წარმოდგენილია ობიექტის ნიშნით და ობიექტი — სუბიექტის ნიშნით. ჩვეულებრივ ასეა: (რეალური და მორფოლოგიური სუბიექტი (ასევე რეალური ობიექტი და მორფოლოგიური ობიექტი) ემთხვევა ერთმანეთს:



ინვერსიის შემთხვევაში რეალური სუბიექტი მორფოლოგიური ობიექტია და პირიქით, რეალური ობიექტი — მორფოლოგიური სუბიექტი:



ინვერსია III სერიაში სისტემური მოვლენაა ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი ზმნებისა. ლიტერატურაში ინვერსიულად იწოდება ის ზმნები, რომელთაც სუბიექტ-ობიექტის ნიშანთა ასეთი განაწილება ახასიათებთ აწმყოში. მაგალითად:



ასეთი გააზრებაც არსებობს: ე.წ. ინვერსიული ზმნები ისტორიულად არ იყო ინვერსიული:

მ-იყვარ-ს მე ის — სუბიექტი (რეალურიც და მორფოლოგიურიც) არის **ის**, რომელიც მოქმედებს ობიექტზე და აღძრავს ამ გრძნობას... შემდეგში მოხდა ობიექტის გააქტიურება (გააზრება რეალურ სუბიექტად) და სუბიექტის პასიურად ქცევა (გააზრება ობიექტად)...

ასე რომ, ამ ტიპის ზმნათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაირღვა შესაბამისობა რეალურ და მორფოლოგიურ სუბიექტ-ობიექტებს შორის...

აი, ამ დარღვეული თანაფარდობის „გასწორებას“ ცდილობენ დიალექტები. რეალურ სუბიექტად ქცეული პირი (რომელიც მორფოლოგიურად ობიექტის ნიშნითაა გამოხატული) ცდილობს სუბიექტის ნიშნით გამოიხატოს და პირიქით, რეალურ ობიექტად ქცეულ პირს გაუჩინდეს ობიექტის ნიშანი...


ფაქტის ისტორია ასეთია:

I. ამოსავალში იყო რეალური ვითარების შესაბამისი მორფოლოგიური ვითარება.

II. ენობრივი გადააზრიანების შედეგად რეალური და მორფოლოგიური ვითარება აღარ დაემთხვა ერთმანეთს.

III. შექმნილი რეალური ვითარების შესაბამისი მორფოლოგიური ვითარება იქმნება.

ამ საკმაოდ რთული და დიდად საინტერესო მოვლენის მაგალითია ინგილოურ დიალექტში **მიმაქვს** ზმნა.



ზმნამ შეიცვალა არა მარტო მორფოლოგიური გამოხატვა, არამედ სინტაქსური კონსტრუქციაც; უფრო სწორად სინტაქსური კონსტრუქცია მოერგო რეალურ ვითარებას: **პეტრე-ს მიაქვს წიგნი**-ი დიალექტში ასეთ სახეს იღებს: **პეტრე მიაქომს წიგნს**.

ინგილოურში ეს ზმნა ყველა კილოკავში პირდაპირი წყობისად იქცევა. გვაქვს მხოლოდ ფონეტიკური ვარიანტები:

- მე მჟაქ მას
- შენ მიაქ მას

ის მიაქს მას...

პირდაპირი წყობისაა ეს ზმნა უწყვეტელსა და I კავშირებითშიც.

უწყვეტელი:

მე მი-ვ-აქომდი მას / მე მტ-აქდი მას

შენ მი-აქომდი მას / შენ მი-აქდი მას

ის მი-აქომდ-ა მას / ის მი-აქდ-ა მას

I კავშირებითი

მე მი-ვ-აქომდე მას / მე მტაქდე მას

შენ მი-აქომდე მას / შენ მიაქდე მას

ის მი-აქომდეს მას / ის მიაქდე-ს მას

ეს პროცესი უაღრესად საინტერესოა ენობრივი ტენდენციების შესასწავლად. სამწუხაროდ, არსებული ტექსტები და გამოკვლევები მდიდარ მასალას არ იძლევიან ამ პროცესის შესასწავლად... პროცესი ადგილზეა შესასწავლი...

ინვერსიული ზმნის პირდაპირი წყობისად გააზრების მაგალითებს ადასტურებენ ფერეიდნულ დიალექტშიც. ბ. ჯორბენაძე: „ზოგი ინვერსიული ზმნა პირდაპირ წყობისად გააზრება — რეალური სუბიექტი ბრუნვას იცვლის: „თავის დედაკაცი (სახ. ბრუნვა) ერთ ოთახში ეძინა (მის ცოლს ერთ ოთახში ეძინა)“...

ინვერსიული ზმნის პირდაპირი წყობისად გააზრების ტენდენციის ამსახველი ჩანს ის ფაქტი, რომ რამდენიმე დიალექტში (გურულსა და აჭარულში, ნაწილობრივ იმერულში) ინვერსიულ ზმნებში რეალურ სუბიექტს მრავლობითობის გამომხატველად მორფოლოგიური სუბიექტის ნიშნები უჩნდება;

აჭარული: აქვ-ენ || აქვ-ან (=აქვთ), ყავ-ენ || ყავ-ან (ყავ-თ), გონი-ენ || გონი-ან (პგონიათ), მოსწონ-ენ || მოსწონ-ან (მოსწონთ)

გურული: ქონდ-ეს || ქონდ-ენ (=ქონდათ), მიეწონ-ეს || მიეწონ-ენ (=მოეწონათ)...

იმერული: აქვ-ენ, მიაქვ-ენ, მიყავ-ენ...

ამ ფაქტების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშვნები არის, თუმცა პროცესი საგანგებოდ შესწავლილი არ არის. ის ფაქტი, რომ ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტი იძენს მორფოლოგიური სუბიექტის ძალას, საინტერესოა ჩანს თავად ამ მოვლენის (ინვერსიის) ისტორიისათვის. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს...

4.7. დრო-კილოთა სისტემა დიალექტებში

დრო-კილოთა სისტემაზე (ანუ: საუღლებელ ერთეულთა სისტემაზე, ანუ: მწკრივთა სისტემაზე) საუბრისას უპირველესად ყურადღებას მივაბურობთ მწკრივის რაობას და იმ პრინციპს, რა პრინციპითაც მოვახდენთ მწკრივთა გამოყოფას.

რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთგვარობა მწკრივის რაობაზე და, შესაბამისად, მწკრივთა რაოდენობის საკითხზე, საჭიროდ მივიჩნით საკითხის კონკრეტულ განხილვას წინ წავუძღვდეთ ეს ზოგადი მსჯელობა, რომელიც ძირითადად ემყარება ჩვენს ადრეგამოქვეყნებულ თვალსაზრისს (იხ. ქართული ზმნა, თბ., 2010).

მწკრივი ისეთივე მონაცემია ზმნის სისტემაში, როგორც ბრუნვა სახელის სისტემაში; შესაბამისად, მწკრივი არის ზმნის ფუნქციონირების (ენაში ზმნის არსებობისა და გამოყენების) ფორმა; მწკრივს ფორმობრივ მოეპოვება თავისი ყალიბი, ფუძე და მაწარმოებელი (ბ. ჯორბენაძე).

ბრუნვის კატეგორიის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავენ, რომ „იგივეობა ლექსიკური და სხვადასხვაობა გრამატიკული, — აი ბრუნვის ფორმათა არსებობის ნიშანი“ (ა. შანიძე); შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მწკრივის ფორმათა არსებობის ნიშანია ლექსიკური იგივეობა და გრამატიკული (ფორმობრივი) სხვადასხვაობა.

მწკრივის ფორმობრივ სახეს მწკრივის ფუძე ქმნის. მწკრივის ფუძედ მიიჩნევენ იმ ნაწილს ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები. მწკრივს თავისი პარადიგმა აქვს. მწკრივის პარადიგმას ქმნის მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებული ფორმები:

ვ-აკეთებ	ვ-აკეთებ-თ
აკეთებ	აკეთებ-თ
აკეთებ-ს	აკეთებ-ენ

საუბარი მწკრივთა რაოდენობაზე მწკრივის ფუძეთა რაოდენობის გარკვევას გულისხმობს... საგანგებო ყურადღებას იქცევს ზმნისწინი. შედის თუ არა იგი მწკრივის ფუძეში? ჩვენი აზრით, არა (იხ. ქართულ-

ლი ზმნა, 2010). აქედან გამომდინარე, რა არის მწკრივის ფუძე? — **მწკრივის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები**; რამდენადაც მწკრივთა გამოყოფა და დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემყარება, იმდენ მწკრივზე უნდა ვისაუბროთ, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს მწკრივისა.

ამ პრინციპიდან გამომდინარე ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სამი სერია და რვა მწკრივი გამოიყოფა:

I სერია

აწმყო-მყოფადი:	(და)-წერ-ს	(გა)-თბება-ა
უწყვეტელ-ხოლმეობითი:	(და)-წერდ-ა	(გა)-თბებოდ-ა
I კავშირებითი:	(და)-წერდე-ს	(გა)-თბებოდე-ს

II სერია

წყვეტილი:	(და)-წერ-ა	გა-თბ-ა
II კავშირებითი:	(და)-წერო-ს	გა-თბე-ს

III სერია

I თურმეობითი:	(და)-უწერი-ა	გა-მთბარ-ა
II თურმეობითი:	(და)-ეწერ-ა	გა-მთბარ-იყო
III კავშირებითი:	(და)-ეწერო-ს	გა-მთბარ-იყო-ს

ეს სისტემა, ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, განსხვავდება ძველი ქართული სალიტერატურო ენის მწკრივთა სისტემისაგან. ძველ ქართულში სისტემა უფრო რთულია: ოთხი მწკრივია განსხვავებული: I სერიაში ემატება I ხოლმეობითი, II სერიაში — II ხოლმეობითი და შერეული ხოლმეობითი (იგივე: შერეული კავშირებითი) და III სერიაში — III ხოლმეობითი. სისტემა ასეთ სახეს იღებს:

I სერია

აწმყო:	(და)-წერ-ს	გან-ტფები-ს
უწყვეტელი:	(და)-წერდ-ა	გან-ტფებოდე-ს
I ხოლმეობითი:	(და)-წერდ-ი-ს	გან-ტფებოდ-ი-ს
I კავშირებითი:	(და)-წერდე-ს	გან-ტფებოდ-ი-ს

II სერია

წყვეტილი:	და-წერ-ა	გან-ტფ-ა
II ხოლმეობითი:	და-წერი-ს	გან-ტფი-ს
II კავშირებითი:	და-წერო-ს	გან-ტფე-ს
შერეული ხოლმეობითი:	და-წეროდი-ს	გან-ტფოდი-ს

	III სერია	
I თურმეობითი:	და-უწერიე-ს	გან-მტფარ არს
II თურმეობითი:	და-ეწერ-ა	გან-მტფარ იყო
III ხოლმეობითი:	და-ეწერი-ს	— — —
III კავშირებითი	და-ეწერო-ს	გან-მტფარ იყოს

როგორც ვხედავთ, ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენათა სისტემებს შორის პრინციპული განსხვავებას ქმნის ხოლმეობითის მწკრივები. ფაქტია: ძველ ქართულში მრავალგზისობა (ხოლმეობითობა) მორფოლოგიური კატეგორია იყო; ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში აღარაა მორფოლოგიური კატეგორია. ამ ცვლილებამ სისტემა გაამარტივა.

თუმცა დიალექტურ სისტემაზე მსჯელობისათვის საჭიროდ მივიჩნით გვერდიგვერდ წარმოგვედგინა ეს ორი სისტემა და შესაძლებლობა მოგვეცემოდა, დაგვენახა, თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში არსებული ვითარება ამ სისტემებთან როგორ მიმართებაშია.

4.7.1. ზოგადი ვითარება

მწკრივთა რაოდენობის მიხედვით ქართული ენის დიალექტები არაერთგვაროვან ვითარებას გვიჩვენებს.

ის რვა მწკრივი, რომელიც ახალ ქართულში გვაქვს, დასტურდება ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში. ვამბობთ თითქმისო, იმიტომ, რომ თავისებური ვითარებაა მესამე კავშირებითთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ მესამე კავშირებითი ახალ ქართულში ყველაზე ნაკლებად ხმარებული მწკრივია; მის ნაცვლად მეორე თურმეობითი გამოიყენება (ა. შანიძე). მიუთითებენ, რომ მესამე კავშირებითის ხმარება დიალექტებში ისევე შეზღუდულია, როგორც სალიტერატურო ქართულში (ა. ჭინჭარაული). აქაც, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, მას მეორე თურმეობითი ცვლის. გამონაკლისია რაჭული დიალექტი, რომელშიც კარგად შემოგვენახა III კავშირებითი. უფრო მეტიც, იგი ხშირად ცვლის II თურმეობითს. ეს ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია რაჭული დიალექტისა (შ. ძიძიგური). ამგვარივე მოვლენაზე მიუთითებენ ინგილოურსა და ატენის ხეობის ქართლურშიც (გ. იმნაიშვილი). მიუხედავად იმისა, როგორია III კავშირებითისა თუ II თურმეობითის გამოყენების სიხშირე ამა თუ იმ კილოში, ფაქტია, რომ ორივე მწკრივი დასტურდება ქართულ დიალექტებში.

ასე რომ, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დრო-კილოთა სისტემის გამარტივება არ ხდება დიალექტებში; გართულება — კი.

4.7.2. დრო-კილოთა სისტემა აღმოსავლურ დიალექტებში

დრო-კილოთა სისტემის შედგენილობის თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. დიალექტები, რომლებიც მწკრივთა რაოდენობის თვალსაზრისით ახალი ქართულისაგან არ განსხვავდებიან — დრო-კილოთა სისტემაში რვა ერთეულია წარმოდგენილი. დიალექტთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება: აჭარული, მესხური, ჯავახური, კლარჯული, შავშური, ტაოური და ინგილოური.

შენიშვნა: 1. ამ ნიშნის მიხედვით ინგილოური დიალექტი სამხრულ-დასავლურ დიალექტთა გვერდით აღმოჩნდა. სხვაობას აღმოსავლური დიალექტებისგან, კერძოდ, კახურისაგან (რომელთანაც ინგილოურს მრავალი შეხვედრის წერტილი აქვს), ხოლმეობითის მწკრივების ქონა-არქონა ქმნის... თუმცა, ხოლმეობითის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით, ინგილოური ამ ჯგუფისაგან მაინც განცალკევებით დგას: ყე (IIყ) ნაწილაკიანი ფორმებით ხოლმეობითის გამოხატვა ნიშანდობლივია ამ დიალექტისათვის, რაც უცხოა ამ ჯგუფის სხვა კილოებისათვის.

2. მოფტანით, შადნახით, გაფგი, დაფნახი... ტიპის ფორმები, წყვეტილის მნიშვნელობით რომ გვხვდება ინგილოურში, არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიული ხოლმეობითის ფორმებად (შდრ. გ. იმნაიშვილი), იგი უნიფიცირებული წყვეტილის ფორმებია, ანალოგიას ეს მოვლენა ხევსურულში იპოვებს.

3. თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული მეტყველების დიალექტური დაყოფის შესახებ არაა აზრთა ერთგვარობა. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა დიალექტს გამოყოფს. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე როგორც აღვნიშნეთ, ვემყარებით თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე სამი დიალექტი — კლარჯული, შავშური, ტაოური — გამოიყოფა.

2. განცალკევებით დგას ხევსურული დიალექტი. ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია ამ დიალექტში ყველაზე უკეთ და სრულად შემოგვენახა: დასტურდება სამივე ხოლმეობითი:

- I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი) — (გა)-აკეთებ-დ-ი-ს
- II ხოლმეობითი — (გა)-აკეთ-ი-ს
- III ხოლმეობითი — (გა)-ეკეთ-ი-ს

შენიშვნა: ძველი ქართულის იდენტური ვითარება I და II ხოლმეობითის წარმოებაში მხოლოდ III პირის ფორმებთან გვაქვს. I-II სუბიექტური პირის ფორმებში **-იდ** სავრცობი იჩენს თავს:

- I ხოლმეობითი — ვაკეთებდ-იდ-ი-თ ვაკეთებდ-იდ-ი-თ
- აკეთებდ-იდ-ი-თ აკეთებდ-იდ-ი-თ
- აკეთებდ-ი-ს აკეთებდ-ი-ან
- II ხოლმეობითი — ვაკეთ-იდ-ი-თ ვაკეთ-იდ-ი-თ
- აკეთ-იდ-ი-თ აკეთ-იდ-ი-თ
- აკეთ-ი-ს აკეთ-ი-ან

III ხოლმეობითის მწკრივის შემონახვაა ის ფაქტორი, რომელიც ხევესურულს განცალკევებით წარმოგვიდგენს.

3. ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული და მოხეური. ამ დიალექტებში შემონახულია I და II ხოლმეობითის მწკრივები. მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით მთიულურ-გუდამაყრული და მოხეური ძველი ქართულის ვითარებას ასახავს:

- I ხოლმეობითი — ვაკეთებდ-ი ვაკეთებდ-ი-თ
- აკეთებდ-ი აკეთებდ-ი-თ
- აკეთებდ-ი-ს აკეთებდ-ი-ან
- II ხოლმეობითი — ვაკეთ-ი ვაკეთ-ი-თ
- აკეთ-ი აკეთ-ი-თ
- აკეთ-ი-ს აკეთ-ი-ან

ფშაურში ამ მწკრივთა წარმოების პრინციპი ხევესურულის მაგვარია. სხვაობას ის ქმნის, რომ ხევესურულში გამოყენებული **-იდ** სუფიქსის ნაცვლად ფშაურში **-ოდ** სუფიქსი იხმარება:

- I ხოლმეობითი — ვაკეთებდ-ოდ-ი ვაკეთებდ-ოდ-ი-თ
- აკეთებდ-ოდ-ი აკეთებდ-ოდ-ი-თ
- აკეთებდ-ი-ს აკეთებდ-ი-ან
- II ხოლმეობითი — ვაკეთ-ოდ-ი ვაკეთ-ოდ-ი-თ
- აკეთ-ოდ-ი აკეთ-ოდ-ი-თ
- აკეთ-ი-ს აკეთ-ი-ან

ის, რაც ამ დიალექტებს სხვებისაგან გამოარჩევს, **თხოვნით-ბრძა-**

ნებითა (თხოვნით-წაქეზებითი), **II სერიის მწკრივი:**

ვაკეთ-ოდ-ე	ვაკეთ-ოდ-ე-თ
აკეთ-ოდ-ე	აკეთ-ოდ-ე-თ
აკეთ-ოდ-ე-ს	აკეთ-ოდ-ე-ნ

შენიშვნა: 1. განსხვავებულია ამ მწკრივთა ხმარების სიხშირე აღნიშნულ დიალექტებში: თუ ფშაურში მათი გამოყენება ჩვეულებრივი ფაქტია, მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში შედარებით იშვიათია.

2. მოხეურში არის ტენდენცია ხოლმეობითობის ორგანული წარმოების ნაწილაკიანი წარმოებით შეცვლისა, „ხოლმეობითის გამოყენების საჭიროება დარჩა, მაგრამ გამოხატვის ფორმა შეიცვალა... ფართოდ გავრცელდა **-კე** ნაწილაკის გამოყენება „ხოლმეს“ ფუნქციით“ (ი. ქავთარაძე). საინტერესო სურათია: გვერდიგვერდ დასტურდება სამი ვარიანტი — არქაული, გარდამავალი და ახალი:

I ხოლმეობითი — აკეთებდ-ი-ს, აკეთებდ-ი-ს-კე, აკეთებდა-კე;

II ხოლმეობითი — აკეთ-ი-ს, აკეთ-ი-ს-კე, აკეთა-კე.

4. ერთგვაროვანია ვითარება თუშურში, კახურში, ქართლურსა და ფერეიდნულ დიალექტებში. ამ დიალექტებში სალიტერატურო ქართლისაგან განსხვავებული ორი მწკრივი დასტურდება: I და II ხოლმეობითები. წარმოების პრინციპითა და საშუალებებით თუშური ხოლმეობითები ხევისურულის იდენტურია; ქართლური, კახური და ფერეიდნული ხოლმეობითები ძველი ქართლისებურია.

ამ დიალექტების ხევისურულისაგან III ხოლმეობითის არქონა განსხვავებს; ფშაურის, მოხეურისა და მთიულურ-გუდამაყრულისაგან — თხოვნით-წაქეზებითი მწკრივის არქონა.

4.7.3. დრო-კილოთა სისტემა დასავლურ დიალექტებში

სპეციფიკურ ვითარებას ქმნის ქართული ენის დასავლურ დიალექტთა ერთი ჯგუფი — იმერული, ლეჩხუმური, რაჭული და გურული.

დიალექტთა ამ ჯგუფში გამოიყო IV სერია სამი მწკრივით: **თურმეობითი III** (მინავალა, ნაწერა), **თურმეობითი IV** (მინავალიყო, ნაწერიყო) და **კავშირებითი IV** (მინავალიყოს, ნაწერიყოს) (გ. როგავა). ამ ტიპის წარმოება მეგრულის გავლენით აიხსნება (არნ. ჩიქობავა). „ქართული

ენის დასავლურ კილოებს შორის ქვემოიმერული ერთადერთია, რომელშიც აწმყოს ჯგუფის თურმეობითის მწკრივები (ე. ი. IV სერიის მწკრივები — გ. გ.) ყველაზე უფრო მწყობრ სისტემას ქმნის“ (კ. კუბლაშვილი). როგორც ითქვა, IV სერიის მწკრივები დასტურდება აგრეთვე ლეჩხუმურში, რაჭულსა და გურულში. ამ ტიპის ფორმები გამოვლენილია ზემოიმერულშიც (ძოწენიძე, 1973). ქვემოიმერულის მაგალითზე წარმოვადგენთ IV სერიის მწკრივთა პარადიგმებს:

III თურმეობითი:	ვ-ნაკეთებ-ვარ ნაკეთებ-ხარ ნაკეთებ-ა	ვ-ნაკეთებ-ვართ ნაკეთებ-ხართ ნაკეთებლარიენ
IV თურმეობითი:	ვ-ნაკეთებ-იყავი ნაკეთებ-იყავი ნაკეთებ-იყო	ვ-ნაკეთებ-იყავით ნაკეთებ-იყავით ნაკეთებ-იყვენ
IV კავშირებითი:	ვ-ნაკეთებ-იყო ნაკეთებ-იყო ნაკეთებ-იყოს	ვ-ნაკეთებ-იყოთ ნაკეთებ-იყოთ ნაკეთებ-იყონ

მიუთითებენ, რომ კავშირებითი IV-ის „ნაკეთი (შესაძლებელი ფორმა) ისევე იშვიათია, როგორც კავშირებითი მესამის ფორმა“ (გ. როგავა). იმასაც აღნიშნავენ, რომ „ქართულის კილოებში მეოთხე ჯგუფის მწკრივები ჩვეულებრივ მესამე პირის ფორმით გვხვდება: ნაწერა, მინავალა, მინავალიყო, ნაზოგავა, განარება და სხვ... პირველი და მეორე პირის ფორმები იშვიათად გვხვდება... პირის პრეფიქსები იხმარება უმთავრესად **ნა-** მიმღეობის აფიქსის წინ: ვ-ნაკეთებვარ, ვ-ნაწერვარ, მ-ნაყვარება და სხვ... ზოგან კი **ნა-** პრეფიქსსა და ზმნის ფუძეს შორისაა მოთავსებული პირის ნიშანი... შე-ნა-გვ-ძლება“ (გ. როგავა).

4.7.4. განვითარების ტენდენციები

როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ქართულისათვის ნიშანდობლივი მწკრივთა სისტემა არის ის, რაც აერთიანებს დიალექტებში დადასტურებულ სისტემებს. სხვაობას სალიტერატურო ქართულთან მიმართებით ავლენს 12 დიალექტი, თანხვედრა გვაქვს ხუთ შემთხვევაში (ინგილოურ, მესხურ, ჯავახურ, აჭარულ და სამხრულ დიალექტებში). დიალექტები, რომლებიც სხვაობენ სალიტერატურო ქართულთან შედარებით, ზოგადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. რომლებშიც არქაული ვითარებაა დაცული (მხედველობაში გვაქვს ხოლმეობითების მწკრივები): ხევსურული, ფშაური, მთიულურ-გულდამაყრული, მოხეური,

თუშური, ქართლური, კახური, ფერეიდნული; 2. დიალექტები, რომელთა უღლების სისტემას სალიტერატურო ქართულისაგან ახალწარმონაქმნი მწკრივები განასხვავებს (მხედველობაში გვაქვს IV სერიის მწკრივები): იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, გურული. არის გარკვეული კანონზომიერებაც: პირველ ჯგუფში შედის აღმოსავლური დიალექტები (და ფერეიდნული, რომელიც, ფაქტობრივ, კახური დიალექტის განაყოფიერება), ხოლო მეორე ჯგუფში — დასავლური დიალექტები.

პირველი ჯგუფის დიალექტებისათვის დამახასიათებელია სისტემის გამარტივების — სალიტერატურო ქართულთან დაახლოების — ტენდენცია. ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია იშლება. ბარის დიალექტებმა — კახურმა და ქართლურმა — ნაწილობრივ შეინარჩუნეს I და II ხოლმეობითის ფორმები (მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში); მთის დიალექტთაგან მოხეურში მიიღო ამ ტენდენციამ გამოკვეთილი სახე: ორგანული წარმოების ფორმებს ცვლის აღწერითი წარმოება. ყველაზე სრულად და მყარად ხოლმეობითის მწკრივები ხვესურულშია დაცული; შემდგომ თუშურსა და ფშაურში. აქაც თითქოს ნათლად ჩანს გზა სისტემის გამარტივებისა ხვესურულიდან ქართლურ-კახურამდე... საერთო ჩანს თითქოს მოხეურში ამჟამად მიმდინარე პროცესიც ხოლმეობითის ორგანული წარმოების აღწერითი წარმოებით შეცვლისა...

მეორე ჯგუფის დიალექტებისათვის დამახასიათებელია სისტემის გართულების — სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავების — ტენდენცია. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის გათვალისწინება გვავარაუდებინებს, რომ ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია ამ დიალექტებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამჟამად დასავლურ დიალექტებში ამის კვალიც არა ჩანს. ძველი ქართულის რთული სისტემა ხოლმეობითის დაკარგვის ხარჯზე გამარტივდა და აქვე იჩინა თავი სხვა თვალსაზრისით სისტემის გართულების ტენდენციამ: ჩამოყალიბდა IV სერია...

ძველი ქართული სალიტერატურო ენის, ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და თანამედროვე ქართული დიალექტების დრო-კილოთა სისტემის ვითარების გათვალისწინება ერთიან პროცესად წარმოგვადგენინებს დრო-კილოთა სისტემაში მიმდინარე პროცესებს. ქართული ენის დიალექტებმა შემოგვინახეს ამ ხანგრძლივი და საინტერესო პროცესის ყველა ეტაპი ძველი ქართულის დრო-კილოთა სისტემიდან დასავლური დიალექტების სისტემამდე.

ყოველივე ეს მეტად რთულ და საინტერესო ვითარებას ქმნის. საკვლევი და ასახსნელი ამ პროცესში ბევრი რამაა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ აღწერით ვკმაყოფილდებით.

შენიშვნა: როგორც აღვნიშნეთ, დიალექტოლოგიური ხასიათის გამოკვლევებში არაა საუბარი იმის თაობაზე, უნდა გამოიყოს თუ არა მყოფადის წრე ამა თუ იმ დიალექტებში. **აკეთებს — გააკეთებს** ფორმათა შორის რამდენადაც დროული სხვაობა ყველა დიალექტშია და ამ საკითხზე რაიმე შენიშვნა არ კეთდება, ივარაუდება, რომ გაზიარებულია თვალსაზრისი მყოფადის წრის გამოყოფის თაობაზე. ეს, ერთი მხრივ, ტერმინოლოგიის საკითხის გადასინჯვას მოითხოვდა დიალექტებში, რომლებშიც | ხოლმეობითის მწკრივია დამოწმებული: მყოფადის წრის ხოლმეობითი (გააკეთებდა) და იქვე | ხოლმეობითი (აკეთებდის) ტერმინოლოგიურ შეუსაბამობას შექმნიდა... მეორე მხრივ, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირების საფუძველზე მწკრივთა გამოყოფის საკითხი პირველი ხოლმეობითის ზმნისწინიან ფორმათა დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად გამოყოფის საკითხსაც დასვამდა: **აკეთებდის — გააკეთებდის**.

ამ საკითხების შესახებ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო ვრცლად ვისაუბროთ:

4.7.5. დრო-კილოთა სისტემა და ქართული ენის დიალექტთა პირველი ხოლმეობითი

| სერიაში ახალ ქართულში სამი მწკრივი წარმოვადგინეთ. არ ვითვალისწინებთ ე. წ. მყოფადის წრეს. საერთოდ, მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფის საკითხი რომ გადასასინჯია, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი | ხოლმეობითი და საენათმეცნიერო ლიტერატურაში მისი ანალიზი.

როგორც აღვნიშნა, მწკრივთა რაოდენობის მიხედვით ქართული ენის დიალექტები სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს, მაგრამ არსებითია ის ფაქტი, რომ ახალი სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა მწკრივი გვაქვს ყველა დიალექტში. როგორც ითქვა, შესაძლოა, ამა თუ იმ მწკრივის ხმარების სიხშირე განსხვავებული იყოს დიალექტთა მიხედვით.

ჩვენი მსჯელობა | ხოლმეობითს შეეხება. კერძოდ, გვინტერესებს, დიალექტებში, სადაც | ხოლმეობითის მწკრივი გვაქვს, როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი | სერიის მწკრივთა სისტემა.

სამწუხაროდ, დიალექტოლოგიურ გამოკვლევებში, ჩვეულებრივ, უღლების სრული პარადიგმები არაა წარმოდგენილი. მიანიშნებენ მხო-

ლოდ სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულ ვითარებაზე, ფაქტებზე. სხვაგვარად: წარმოჩენილია მხოლოდ თავისებურებანი; ხოლო ეს თავისებური ვითარება, ამა თუ იმ დიალექტისათვის ნიშანდობლივი ფორმები რა ადგილს იჭერს სისტემაში და როგორ მიემართება სისტემის დანარჩენ წევრებს, ამის შესახებ თითქმის არაფერია თქმული. ეს ფაქტი, თავისთავად, ხშირ შემთხვევაში ართულებს სისტემის სრული სახით წარმოდგენას. მაგრამ, რამდენადაც ძირითადი პრინციპი, რომლის საფუძველზეც ეს გამოკვლევები აიგება, ასეთია, რომ სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულის თაობაზეა მხოლოდ საუბარი, ივარაუდება: რაზეც არაა საუბარი, სალიტერატურო ქართულის იდენტურია. არის კი ასე?

როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია მეტ-ნაკლებად კარგადაა შემონახული. | ხოლმეობითი თითქმის ყველა დიალექტშია დაცული. მართალია, ქართლურსა და კახურში ნაშთის სახითღა შემორჩენილი და მხოლოდ ცალკეულ რეგიონში გამოვლინდება, მაგრამ მთის დიალექტებისათვის იგი ჩვეულებრივი ფაქტია.

ძირითადი პრინციპი | ხოლმეობითის წარმოებისა ყველა დიალექტში ერთგვარია — საყრდენად უწყვეტლის ფუძეა (უფრო სწორად, უწყვეტლის საყრდენი ფუძე) გამოყენებული. განსხვავებულია მწკრივის ფორმათა წარმოების საშუალებები. ამის თაობაზე ზემოთ ვისაუბრეთ. ამ თვალსაზრისით სამი შემთხვევა განირჩევა:

ისიც გავიხსენოთ, რომ ტრადიციულად სალიტერატურო ქართულში | სერიის ექვსი მწკრივი ორ წრედაა დაჯგუფებული:

I წრე	II წრე
აწმყო	მყოფადი
უწყვეტელი	ხოლმეობითი
აწმყოს კავშირებითი	მყოფადის კავშირებითი

როგორც ითქვა, რამდენადაც ამის თაობაზე მინიშნება არაა დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში, ივარაუდება, რომ ეს სისტემა ყველა დიალექტისათვისაა მისაღები. დავუშვათ, ასეა, მაშინ: სად დაიჭერს ადგილს | ხოლმეობითი და ის პრინციპი, რის საფუძველზეც გამოიყო ორი წრე, გატარდება თუ არა ბოლომდე?

ეს საკითხი არ დასმულა სამეცნიერო ლიტერატურაში. თუ პირველ სერიაში ერთი და იმავე ზმნის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები სხვადასხვა მწკრივის ფორმებად გაიზარება —

აკეთებდა და გა-აკეთებდა.

აკეთებდეს და **გა-აკეთებდეს**, — საკითხი ასევე უნდა დასმულიყო | ხოლმეობითის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტების თაობაზე. ფაქტობრივ კი, სამეცნიერო ლიტერატურაში | ხოლმეობითზე მსჯელობისას გვერდიგვერდ განიხილება ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები. სხვაგვარად: ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი მწკრივის ფორმებადაა მიჩნეული.

მოხეტრისათვის: ბევრი ცხორი ი ვ ო ც ე ბ ო დ ე ს; ვ ა კ ე თ ე ბ დ ი - კ ე, ვ ქ ს ო ვ დ ი თ - კ ე, ი კ ე რ ა ვ დ ი ა ნ - კ ე და დ ა ხ - ფ ა რ ა ვ დ ი ს, დ ა ვ ხ ე დ ა ვ დ ი - კ ე, დ ა - ვ ა გ დ ე ბ ი ნ ე ბ დ ი - კ ე.

ფშაურისათვის: ვ თ ი ბ დ ო დ ი, ვ ხ დ ი დ ო დ ი, ვ ა კ ე თ ე ბ დ ო დ ი, ვ დ დ ვ ე ბ დ ო დ ი, მ ა ტ ი რ ე ბ დ ო დ ი და ჩ ა მ ო - ვ ხ ვ ე ტ დ ო დ ი თ, ა მ ა ს წ უ რ ა ვ დ ი ა ნ, შ ა ი - ნ ა ხ დ ი ა ნ, დ ა ი ძ ვ რ ო დ ი ს (ი. ქავთარაძე; გ. ცოცანიძე).

მაგალითების მოყვანა სხვა დიალექტებიდანაც შეიძლება. ფაქტია, ყველა შემთხვევაში მსგავსი ვითარებაა. ისე კი, ჩვეულებრივ | ხოლმეობითის წარმოებაზე მსჯელობისას უზმნისწინო ფორმებია გაანალიზებულნი. პარადიგმაც უზმნისწინო ფორმათაგანაა შედგენილი.

საინტერესო გამონაკლისია, ამ თვალსაზრისით, გ. ცოცანიძის გამოკვლევა „თუშური ხოლმეობითის შესახებ“ (გ. ცოცანიძე, 1970). ავტორი მხოლოდ უზმნისწინო ფორმათა პარადიგმას წარმოადგენს როგორც პირველ, ასევე მეორე სერიაში და, შესაბამისად, პირველ სერიაში ე. წ. „მყოფადის წრე“ არ ფიგურირებს. ფაქტი საინტერესოა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ფაქტს კომენტარი არ ახლავს. ძნელია ვიმსჯელოთ, ავტორი არ თვლის მართებულად მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფას, თუ კონკრეტულად ამ შემთხვევისათვის არ მიიჩნევს საჭიროდ. ფაქტია, სისტემის ამ სახით წარმოდგენას მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფის კრიტიკად მივიჩნევთ. თავისთავად ეს ფაქტი იმ სირთულის მანიშნებელია, რაც ახლავს მყოფადის წრის გამოყოფას.

თუ მართებულად მივიჩნევთ | სერიაში მყოფადის წრის გამოყოფას, მაშინ მყოფადის წრეშიც შესაბამისი ზმნისწინიანი ხოლმეობითის მწკრივი უნდა გამოიყოს. ჩვენი თხოვნით ავთანდილ არაბულმა ხევსურული ზმნის უღლების სრული პარადიგმა შეადგინა. არსებული სისტემის საკლასიფიკაციო პრინციპის თანმიმდევრულად გატარების შედე-

გად I სერიაში ხოლმეობითის ორი მწკრივი წარმოადგინა, ტერმინებიც შემოგვთავაზა: აწმყოს ხოლმეობითი და მყოფადის ხოლმეობითი (ნა-ცვლად I ხოლმეობითისა).

I. ვ-თიბდიღწ	II. მა-ვ-ს-თიბდიღწ
ს-თიბდიღწ	მა-ს-თიბდიღწ
თიბდი-ს	მა-ს-თიბდი-ს
ვ-თიბდიღი-თ	მა-ვ-ს-თიბდიღი-თ
ს-თიბდიღი-თ	მა-ს-თიბდიღი-თ
თიბდი-ან	მა-ს-თიბდი-ან

ვიმეორებთ: არსებული სისტემის გათვალისწინებით ლოგიკურია საკითხისადმი ასეთი მიდგომა. თუმცა უნდა გაიხაზოს, რომ არცერთ დიალექტოლოგიურ გამოკვლევაში, რომლებშიც I ხოლმეობითის შესახებაა მსჯელობა, ეს საკითხი არ დასმულა. გარკვევით წერენ: მოხეურში „ნამყო უსრულის ფუძეს ერთვის ცნობილი უძველესი **-ი** სუფიქსი და მესამე პირის დაბოლოების მიხედვით გადმოიცემა ე. წ. პირველი ხოლმეობითი“ (ი. ქავთარაძე). „თუშური ზმნის უღვლილების სისტემაში, სალიტერატურო ქართულთან და რიგ დიალექტებთან შედარებით, ორი ნაკვთი მეტია: ერთი მათგანი დრო-კილოთა აწმყოს წყებაშია, ეყრდნობა ნამყო უსრულის ფუძეს და, I და II პირის ფორმები ეწარმოება **-იდ (ი)** სუფიქსით, ხოლო III პირის ფორმები **-ი-თი...**“ (გ. ცოცანიძე), ფშაურში „პირველი ხოლმეობითი საწარმოებელ ფუძედ ნამყო უსრულს იყენებს“ (გ. ცოცანიძე), „ფშაურ-ხევსურულ-თუშურში პირველი ხოლმეობითი აწმყოს ფუძიდან იწარმოება ნამყო უსრულის მეშვეობით“ (ა. ჭინჭარაული); „მთიულურ-გუდამაყრულში მკვიდრია ხოლმეობითის წარმოება, რომელიც სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: არქაული, **-ი** სუფიქსიანი წარმოება: უყორდ-ი-ს, ჭამდ-ი-ს (I ხოლმეობითი); ჭამ-ი-ს, გაანიაგ-ი-ს, ებ-ი-ს (II ხოლმეობითი)“... (ბ. ჯორბენაძე).

ფაქტია, ამგვარი მსჯელობის მიხედვით I ხოლმეობითის ადგილი აწმყოს წრეშია. ამიტომაცაა, როცა I ხოლმეობითის წარმოებაზე მსჯელობენ, ჩვეულებრივ უზმნისწინო ფორმებს მოიხმობენ, მაგრამ როგორც ვნახეთ, მაგალითების ჩამოთვლისას ზმნისწინიანებიც გაერევა ხოლმე...

ზმნისწინიანი I ხოლმეობითის ფორმათა შემთხვევაში კი ზმნისწინის ფუნქციაზე საუბარი არ არის.

ანალოგიისათვის საინტერესო ფაქტის გახსენება შეიძლება: ა კ ე თ ე ბ დ ე ს და გ ა ა კ თ ე ბ დ ე ს ა. შ ა ნ ი ძ ე მ 1930 წლის „ქართულ გარმატიკაში“ ერთი და იმავე მწკრივის ფორმებად მიიჩნია: ორი-

ვე | კავშირებითად გაიაზრებოდა. საფუძველი ალბათ ის იყო, რომ ეს ორი ფორმა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება იმ ელემენტთა მიხედვით, რომელთაც ავტორი „მწკრივის ელემენტებს“ უწოდებს. სხვაობა ამ ფორმათა შორის ასპექტურია; ასპექტი კი წარმოქმნის კატეგორია და არა უღლებისა. ამიტომ ამ ფუნქციურ სხვაობაზე დამყარებული ფორმები ერთ მწკრივად იქნა გააზრებული. ვითარება ამ შემთხვევაში ისეთივეა, როგორც II და III სერიაში: აკეთა — გააკეთა, უკეთებია — გაუკეთებია... — ერთი მწკრივის ფორმებია. ამიტომ, სავსებით სამართლიანად, მწკრივთა შესახებ თავისივე მოძღვრებიდან ამოსვლით აკეთებდეს და გააკეთებდეს ერთი მწკრივის ფორმებად იქნა გააზრებული. მაგრამ ყოველივე ამან მწკრივთა სისტემაში წარმოქმნა უხერხულობა — I სერია ასეთი სახით წარმოგვიდგა:

- | | |
|--------------------|------------------|
| ა) აწმყოს წრე | ბ) მყოფადის წრე |
| 1. აწმყო | 4. მყოფადი |
| 2. ნამყო უწყვეტელი | 5. პირობითი |
| 3. I კავშირებითი | 6. I კავშირებითი |

მესამე და მეექვსე ნომრად ერთი და იგივე მწკრივი — I კავშირებითი — არის წარმოდგენილი! უხერხულობის გასწორების ორი გზა არსებობდა: ა) ან უარი უნდა გვეთქვა იმ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც მყოფადის წრე გამოიყო, ბ) ანდა I კავშირებითის ზმნისწინანი და უზმნისწინო ფორმები სხვადასხვა მწკრივის ფორმებად მიგვეჩინა, რითაც ირღვეოდა მწკრივთა გამოყოფის პრინციპი (ორ მწკრივს ერთმანეთისაგან უღლების კატეგორიები უნდა განასხვავებდეს და არა წარმოქმნისა). ა. შანიძე მეორე ვარიანტს ამჯობინებს სალიტერატურო ქართულისათვის: I სერიაში ორი კავშირებითი გამოიყო: აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი. ასეთივე კომპრომისია უწყვეტლის ზმნისწინანი ვარიანტისაგან ახალი მწკრივის გამოყოფა.

სხვაობა I სერიის ხოლმეობითის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის ასპექტურია (ვემყარებით ა. არაბულის, მ. კობაიძისა და გ. ცოცხანძის აზრს); ე. ი. ისეთივე, როგორც II და III სერიის მწკრივებს შორის. როგორც ვიცით, ასპექტური თვალსაზრისით დაპირისპირებული II და III სერიის ფორმები სხვადასხვა მწკრივის ფორმებად არ გაიაზრება. ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია

- | | | |
|----------|----|-----------|
| აკეთა | და | გაკეთა |
| აკეთოს | და | გაკეთოს |
| უკეთებია | და | გაკეთებია |

ეკეთებინა და გაეკეთებინა
ეკეთებინოს და გაეკეთებინოს

აქედან გამომდინარე, მართებულია ის პოზიცია, რომელიც ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაშია დამკვიდრებული: I ხოლმეობითის უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები ერთი მწკრივად რომ არის ჩათვლილი. ოღონდ ერთია, საჭიროა შეგუება ამ პოზიციისა დრო-კილოთა არსებულ სისტემასთან. მონაცემთა მიხედვით მხოლოდ სამი მწკრივი შეიძლება გამოიყოს:

- I მწკრივი (აწმყო-მყოფადი) (გა)-აკეთებს
- II მწკრივი (უწყვეტელი-ხოლმეობითი) (გა)-აკეთებდა
- III მწკრივი (I კავშირებითი) (გა)-აკეთებდეს

ამ პრობლემამ თავი იჩინა პარადიგმების შედგენისას. არ მოხერხდა ერთგვაროვანი პრინციპის გატარება (იხ. აქვე: „პარადიგმებისათვის“, გვ. 439).

ის, რისი დასაბუთებაც ჩვენ თეორიულად ვცადეთ, ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში პრაქტიკულად გატარებულია: როგორც ითქვა, I ხოლმეობითის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები საყოველთაოდ ერთ მწკრივადაა მიჩნეული. I სერიის მწკრივთა სისტემა ჩვენთვის საინტერესო დიალექტებში ამ სახით წარმოგვიდგება (მოვიყვანთ ხევსურულის მაგალითს):

- | | | |
|-------------------|---------------------------------|-------------------------|
| 1. აწმყო: | (მა)-ვ-(ს)-თიბ | (მა)-ვ(ს)-თიბ-თ |
| | (მა)-ს-თიბ | (მა)-ს-თიბ-თ |
| | (მა)-(ს)-თიბ-ს | (მა)—(ს)-თიბ-ენ |
| 2. უწყვეტელი: | (მა)-ვ-(ს)-თიბ-დნ | (მა)-ს-თიბ-დ-ი-თ |
| | (მა)-ს-თიბ-დ-ნ | (მა)-ვს-თიბ-დ-ი-თ |
| | (მა)-(ს)-თიბ-დ-ა | (მა)-(ს)-თიბ-დ-ეს |
| 3. I კავშირებითი: | (მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-ა ¹ | (მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-ა-თ |
| | (მა)-ს-თიბ-დ-ა ¹ | (მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-ა-თ |
| | (მა)-(ს)-თიბ-დ-ა-ს | (მა)-(ს)-თიბ-დ-ა-ნ |
| 4. I ხოლმეობითი: | (მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-იდ-ნ | (მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-იდ-ი-თ |
| | (მა)-ს-თიბ-დ-იდ-ნ | (მა)-ს-თიბ-დ-იდ-ი-თ |
| | (მა)-(ს)-თიბ-დ-ი-ს | (მა)-(ს)-თიბ-დ-ი-ან |

დაბოლოს: საკითხები, რომლებიც I ხოლმეობითმა აღძრა, ვფიქრობთ, დამატებითი არგუმენტებია ჩვენი თვალსაზრისისათვის: I სერიაში მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფა ფორმოზრევად გაუმართლებელია.

4.8. თემა და თემის ნიშნები

4.8.1. შენიშვნები ზმნის თემისა და თემის ნიშნების შესახებ

აკაკი შანიძის დამსახურებაა ქართულში ტერმინებისა და შესაბამისი ცნებების — ზმნის თემა, თემის ნიშანი — დამკვიდრება.

თემა ფუძის ნაირსახეობაა. ზმნის სისტემაში ფუძის საკითხი რთული და პრობლემურია (საკითხის უფრო დეტალური ანალიზისათვის იხ. გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბ., 2010, გვ. 25-30. შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში დავიმოწმებთ — „ქართული ზმნა...“). ჩვენ ფუძეს განვიხილავთ, როგორც **პერმანენტულად ცვლად მონაცემს, საყრდენს ფორმათა სისტემისათვის** (ბ. ჯორბენაძე).

ა. შანიძის მიერ თემად განიხილება ზმნური ფუძის ნაირსახეობა, რომელიც საყრდენია I ან II სერიის ფორმათათვის. შესაბამისად, გვაქვს I სერიის თემა და II სერიის თემა. ზმნათა ძირითად ნაწილში I სერიის თემა რთულია, მეორისა — მარტივი.

I სერია

აწმყო-მყოფადი: (გა-)ა-კეთ-ებ-ს, (და-)ნატ-ავ-ს, (და-)დგ-ამ-ს, (და-)თმ-ობ-ს...

უწვევტელ-ხოლმეობითი: (გა-)ა-კეთ-ებ-და, (და-)ნატ-ავ-და, (და-)დგ-ამ-და, (და-)თმ-ობ-და...

I კავშირებითი: (გა-)ა-კეთ-ებ-დეს, (და-)ნატ-ავ-დეს, (და-)დგ-ამ-დეს, (და-)თმ-ობ-დეს...

II სერია

წვევტილი: (გა-)ა-კეთ-ა, (და-)ნატ-ა, (და-)დგ-ა, (და-)თმ-ო...

II კავშირებითი: (გა-)ა-კეთ-ოს, (და-)ნატ-ოს, (და-)დგ-ას, (და-)თმ-ოს...

წარმოდგენილი ზმნებისათვის I სერიის (რთული) თემაა: **კეთ-ებ, ნატ-ავ, დგ-ამ, თმ-ობ**; II სერიის (მარტივი) თემაა: **კეთ, ნატ, დგ, თმ...**

ის ელემენტი ზმნური ფორმისა, რომელიც განასხვავებს რთულ თემას მარტივისაგან, იწოდება თემის ნიშნად. ამ შემთხვევაში თემის ნიშნებია **-ებ, -ავ, -ამ, -ობ**; სხვა შემთხვევაში თემის ნიშნად შეიძლება იქნეს განხილული **-ემ** (მი-ს-ც-ემ-ს...), **-ევ** (ი-ნგრ-ევ-ა...), **ვ-ებ** (ი-ხნ-ვებ-ა → იხვნება), **-მ-ებ** (ი-დგ-მებ-ა); **-ი** ელემენტს (ვ-ზრდ-ი...) თემის ნიშნად არ განვიხილავთ („ქართული ზმნა“). რთული თემის ნიშნები

(ვ-ებ, მ-ებ) ძველი ქართულისათვის არაა დამახასიათებელი; ახალი ქართულის ფაქტია.

თემისა და თემის ნიშნის საკითხი განიხილება როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში; ერთი შეხედვით ვითარება ერთგვარია... თუმცა ეს ერთი შეხედვით.

* * *

საერთოდ, თემის ნიშანი განიხილება ფუძის მაწარმოებელ ელემენტად (არნ. ჩიქობავა ასეც სახელდება: „აწმყოს ფუძის მაწარმოებელი“). არ საუბრობენ მის მორფოლოგიურ ფუნქციაზე. ა. შანიძე როცა მსჯელობს თემის ნიშანზე, როგორც I და II სერიის ფორმათა განმასხვავებელ ელემენტზე, არ საუბრობს თემის ნიშნის მორფოლოგიურ ფუნქციაზე. თემა მისთვის მორფოლოგიური ცნება არ არის... თუმცა ფაქტია, რომ ეს არ არის ფუძესთან შეხორცებული ელემენტები (როგორც სახელებში დეტერმინანტი სუფიქსი); მას „მორფოლოგიური ქცევა“ ახასიათებს; თავს იჩენს ერთი ჯგუფის ფორმებთან, არა გვაქვს მეორე ჯგუფის ფორმებთან. რა გამოდის, ერთი შეხედვით ეს არის მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც მკვეთრად განსაზღვრულ ფორმებთან გვაქვს, სხვა ფორმებთან — არა... ვერ ვხედავთ მის მორფოლოგიურ ფუნქციას...

კითხვას ვაზუსტებთ: თემის ნიშანს მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს, თუ ჩვენ ვერ ვხედავთ, ვერ ვამჩნევთ? ჩვენი აზრით, უფრო მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე...

აქ ერთი კითხვაც დაისმის: ეს „ფუნქცია“ ერთგვარია ძველსა და ახალ ქართულში, თუ განსხვავებული?

მოდით, ჯერ კითხვა ასე დავსვათ: რა არის ზოგადი ფუნქცია თემის ნიშნისა? თუ თემის ნიშნებს აქვთ ერთი რაიმე ზოგადი ფუნქცია, არის თუ არა სხვაობა ცალკეულ თემის ნიშნებს შორის?

* * *

პრინციპულად, გვესახება ის ფაქტი, რომ არის საინტერესო განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის. ძველ ქართულში I სერიის რთულთემიანი ფორმები (ზმნისწინიც და უზმნისწინოც) უსრული ასპექტისაა, III სერიის ფორმები (ზმნისწინიც და უზმნისწინოც) სრული ასპექტისა. ასპექტი თუ მორფოლოგიური კატეგორიაა, ძველი ქართულისათვის ერთადერთ განმასხვავებლად თემის ნიშანი გვევლინება. ანუ: თემის ნიშანი აქვს უსრული ასპექტის ფორმებს, არა აქვს სრული ასპექტის ფორმებს...

კითხვა: თემა არის თუ არა დაკავშირებული ასპექტთან ძველ ქართულში? მორფოლოგიური ანალიზის პრინციპიდან გამომდინარე, ცხადია, შეიძლება საკითხი ასე დავსვათ.

ქართულში იყო მცდელობა, თემის ნიშნისათვის მორფოლოგიური ფუნქციის დაძებნისა; 1968 წელს გ. მაჭავარიანს წაუკითხავს მოხსენება „გრძლიობის, ასპექტისა და დროის კატეგორიების მიმართება თანამედროვე ქართულში“. სამწუხაროდ, მოხსენება დაკარგულა და ძირითადი დებულებები აღუდგენია მათა მაჭავარიანს. ვკითხულობთ: „ავტორი გამოყოფს ახალ ზმნურ კატეგორიას — გრძლიობას. გამოხატულების პლანში მას შეესაბამება ე. წ. „თემის ნიშნები“. გრძლიობის კატეგორიის მორფემა შეიცავს ალომორფებს: [-ებ, -ობ, -ამ, -ავ, -ი, -0...]. ამ ალომორფთა შემცველი (მარკირებული) ფორმები უპირისპირდება არამარკირებული, არაგრძლივ, წყვეტილ ფორმებს, ვხატ-ავ : ვხატ-ე, ვაკეთ-ებ : ვაკეთ-ე, ვწერ-0 : ვწერ-ე, ვაწუხ-ებ-დი : ვაწუხე და სხვა“ (გ. მაჭავარიანი, 1972, გვ. 53).

ამ თვალსაზრისის ანალიზს აქ არ ვაპირებთ (იხ.: „ქართული ზმნა“, გვ. 332-334). რამდენადაც არა გვაქვს შესაძლებლობა ნაშრომის გაცნობისა, ამ თვალსაზრისის შესახებ გაჩენილი კითხვები შეიძლება ზეპირი გზით მისი აღდგენის შედეგი იყოს. ჩვენ ამჯერად გვიჭირს მსჯელობა **გრძლიობის კატეგორიის** ავ-კარგზე. გრძლიობის კატეგორიის შესახებ მსჯელობა ახალი ქართულის მასალას ეფუძნებოდა...

* * *

ზემოთ ვთქვით, მორფოლოგიური ანალიზის პრინციპებიდან გამომდინარე ძველ ქართულში შეიძლებოდა რთული თემა უსრულ ასპექტთან დაგვეკავშირებინა... თუმცა კითხვა აქაც იჩენს თავს: ყველა თემისნიშნისანი ზმნა I თურმეობითში რთული თემითაა წარმოდგენილი: აღუ-შენ-ებ-იეს, აღუ-ღ-ებ-იეს, დაუ-გმ-ობ-იეს, დაუ-ხატ-ავ-ს, დაუ-ღგ-ამ-ს...

ფაქტი, რომ ა. შანიძე თემის საკითხს III სერიის შემთხვევაში არ განიხილავს, ესეც ნიშანდობლივია... თუმცა III სერია თავისთავად ბევრ პრობლემას ქმნის იქ, სადაც I-II სერიაში პრობლემა არაა: მაგ., ქცევა და ქცევის ნიშანთა ფუნქცია... ე- პრეფიქსის საკითხი და ა. შ... ის ფაქტი, რომ I თურმეობითში ხდება ქცევის ნიშანთა ნეიტრალიზაცია და II თურმეობითსა და III კავშირებითში ე- პრეფიქსი კარგავს ვნებით-თან კავშირის ფუნქციას, შეიძლება იმის სასარგებლოდ მეტყველებდეს, თემის ნიშანი ასპექტს დაუკავშირდეს და III სერია ამ შემთხვევაშიც არ მოგვევლინოს დაბრკოლებად...

* * *

თუ ეს დაშვება სავარაუდოა, რა მოხდა ახალ ქართულში?

ასპექტი ზმნისწინს დაუკავშირდა; სერიები ასპექტის მიხედვით აღარ უპირისპირდება ერთმანეთს... დაპირისპირება სრული / უსრული გვაქვს როგორც I, ისე II სერიაში...

არადა, რთული და მარტივი თემების დაპირისპირება ძველი ქართულისებურია: I სერიის მწკრივები რთულთემიანია, II სერიისა — მარტივთემიანი...

მაგრამ შეიმჩნევა ერთი პრინციპული ხასიათის ცვლილება: მოხდა თემის ნიშანთა მონაცვლეობა (ვრცლად იხ.: „ქართული ზმნა“, გვ. 324-332). ჩვენ ზოგად სურათს წარმოვადგენთ:

მოქმედებითი გვარის ზმნებში:

ა) **-ებ** თემისნიშნის ზმნები გახდა უნიშნო

ალა-დგინ-ებ-ს — ალა-დგენ-ს

წარა-ვლინ-ებ-ს — წარა-ვლენ-ს

შეს-ძინ-ებ-ს — შეს-ძენ-ს და მისთ.

ბ) **-ებ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ავ**

გან-კურნ-ებ-ს — გან-კურნ-ავ-ს

აღპ-მართ-ებ-ს — აღ-მართ-ავ-ს

განუ-მარტ-ებ-ს — განუ-მარტ-ავ-ს

გ) უთემისნიშნო ზმნა ხდება თემისნიშნის

ვ-თიბ — ვ-თიბ-ავ

ვ-თეს — ვ-თეს-ავ

ვ-ჩეჩ — ვ-ჩეჩ-ავ და მისთ...

დ) **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა ვნებითის ფორმებში ავ(→ვ) და ამ (→მ) თემის ნიშნებს ენაცვლება (ან ემატება) **-ებ**.

მალ-ავ-ს — ი-მალ-ვ-ის → ი-მალ-ებ-ა

ხატ-ავ-ს — ი-ხატ-ვ-ის → ი-ხატ-ებ-ა

კლ-ავ-ს — ი-კლ-ვ-ის → ი-კვლ-ებ-ა (← ი-კლ-ვ-ებ-ა)

დგ-ამ-ს — ი-დგ-მ-ის → ი-დგ-მ-ებ-ა

აბ-ამ-ს — დაი-ბ-მ-ის → ი-ბ-მ-ებ-ა და მისთ...

ეს სისტემური ცვლილებებია. დაპირისპირება რთული და მარტივი თემისა რჩება, ხდება მონაცვლეობა თემისნიშნებისა. **რამ მისცა ბიძგი ამ მონაცვლეობას?**

და საერთოდ: ჩვენ ვსაუბრობთ მარტივი და რთული თემების დაპირისპირებაზე და ვეძებთ ამ დაპირისპირების ფუნქციურ საფუძველს.

ეს კითხვაც უნდა დავსვათ: შეიძლება თუ არა საუბარი ცალკეული თემის ნიშნების ფუნქციებზე? ანდა: რა არის საფუძველი სხვადასხვა თემის ნიშანთა განაწილებისა? თუ ერთი სისტემის ელემენტებია, უღლების პარადიგმებში რატომ იქცევა განსხვავებულად **-ავ(-ამ)** თემის ნიშნები **-ებ** და **-ობ** თემისნიშნებთან შედარებით?

იყო მცდელობა, თემის ნიშანთა განაწილებისათვის ფონოლოგიური საფუძველი დაეძებნათ: ზმნის ფუძისეული ხმოვანი განსაზღვრავს თემის ნიშნის არჩევანს — **ე** ხმოვნიანი თემის ნიშანი დაირთოს (**ა-კეთებ-ს**, **ა-შენ-ებ-ს...**) თუ **ა** ხმოვნიანი თემის ნიშანი (**კალ — კლ-ავ**, **ძარ — ძრ-ავ-ს...**) (ბ. ჯორბენაძე); თუმცა ასეთი შესაბამისობა იმდენად მცირერიცხოვანია და იმდენად მრავალრიცხოვანი საპირისპირო ვარიანტები, რომ განაწილების ფონოლოგიური საფუძველი სათუთო ხდება...

ფაქტი ერთია — არ ხდება თემის ნიშანთა თავისუფალი მონაცვლეობა. თუ გვაქვს შემთხვევები ერთსა და იმავე ზმნურ ძირთან სხვადასხვა თემის ნიშნის დადასტურებისა, ეს იმ ტენდენციის გამოვლენის ფაქტია, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ცხადია, ასეთი ტენდენციის არსებობისას გარდამავალ პერიოდში პარალელიზმს ვერ ავცდებით.

ტენდენცია თემის ნიშანთა მონაცვლეობისა უკვე ძველ ქართულში იღებს სათავეს. ზოგ შემთხვევაში უკვე დასრულებულია, ზოგან გრძელდება... ჩვენთვის ეს არის დიდად მნიშვნელოვანი — რა ვითარებაა ამ მხრივ ახალი ქართულის დიალექტებში. ფაქტობრივ, ყველა პროცესი, რომელიც ძველ ქართულში დაიწყო, გრძელდება და ღრმავდება ზეპირმეტყველებაში. ვნახოთ:

1. **-ებ→∅**. ეს პროცესი ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ დიალექტებში (მოგვყავს იმ ფორმით რა ფორმითაც წყაროში დავადასტურეთ). მასალას ვიმოწმებთ: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, თ. ქავთარაძე, 1961; ბ. ჯორბენაძე, 1989).

ვ-ტოვ-ებ	---	ვ-ტოვ
ა-გროვ-ებ-ს	---	ა-გროვ-ს
მოვ-კიდ-ებ	---	მოვ-კიდ-დი
ვი-ჯერ-ებ	---	ვი-ჯერ-ი
ვი-თამაშ-ებ	---	ვი-თამაშ-ი
დაა-ჩუმ-ებ	---	დაა-ჩუმ
ვა-ხსენ-ებ	---	ვა-ხსენ-დი
მი-ტოვ-ებ-ს	---	მი-ტოვ-ს და მისთ.

2. **-ებ→-ავ** -ამ ტიპის მონაცვლეობა დამახასიათებელია აღმოსავლური და სამხრული დიალექტებისათვის. ოღონდ ერთია: **ავ**-ის ადგილს ზოგან **-ამ** იჭერს. საერთოდ ეს მონაცვლეობა არაა დამახასიათებელი ძველი ქართულისათვის (ავ/ამ); ზეპირმეტყველებაში ხშირია: დგ-ამ/ავ-ს, აბ-ამ/ავ-ს, სვ-ამ/ავ-ს... ეს უკანასკნელი ქალაქური მეტყველებისთვისაცაა დამახასიათებელი; ასეთი ფორმები — ხატ-ავ/-ამ-ს, კერ-ავ/-ამ-ს... კი დიალექტურია... (მესხურში **-ან** ვარიანტიც გვაქვს).

ჩვენი შემთხვევისათვის დიალექტებში **ებ**-ს ენაცვლება **ა** ხმოვნის თემის ნიშანი -ავ/-ამ:

გა-ნებ-ებ-ს	—	გა-ნებ-ამ-ს
გი-ჯერ-ებ-ს	—	გი-ჯერ-ამ-ს
ა-წიოკ-ებ-ს	—	ა-წიოკ-ამ-თ
ა-ხოცინ-ებ-ს	—	ა-ხოცინ-ამ-თ
ა-კეთ-ებ-ს	—	ა-კეთ-ან-ს
დაჰ-ბად-ებ-ს	—	დაჰ-ბად-ავ/-ამ-ს
დავა-ლევინ-ებ	—	დავა-ლევინ-ამ-თ
გავა-სწორ-ებ	—	გავა-სწორ-ამ
მივა-ყუდ-ებ	—	მივა-ყუდ-ამ-თ და სხვა.

3. საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია **ობ** თემის ნიშნის ჩანაცვლება **-ამ**-ით: გი-ამბ-ობ — გი-ამბ-ამ... სხვა შემთხვევაში **-ობ** კარგავს თემის ნიშნის გავებას, გადაირიცხება ფუძეში და დაირთავს ავ/ამ თემის ნიშანს:

აწმყ. ვ-შ-ობ	→	ვ-შობ-ამ/ავ
წყვ. ვ-შვ-ი (ძვ. ვ-შევ)		ვ-შობ-ე

4. თემის ნიშანთა მონაცვლეობასთანაა კავშირში აღმოსავლურ დიალექტებში ე. წ. „ი თემისნიშნის“ ზმნების მიერ **--ამ** თემის ნიშნის დართვა:

ი-ყიდ-ი-ს	—	ი-ყიდ-ამ-ს
უ-ზრდ-ი-ს	—	უ-ზარდ-ამ-ს
გა-ხდ-ი-ს	—	გა-ხად-ამ-ს
და-გვ-ი-ს	—	და-გავ-ამ-ს
წველ-ი-ს	—	ს-წველ-ამ-ს
წონ-ი-ს	—	წონ-ამ-ს
ტენ-ი-ს	—	ტენ-ამ-ს...

5. ერთთემიანი ზმნების ორთემიანად ქცევის ისტორიული პროცესი ფართოდ ვრცელდება სასაუბრო მეტყველებაში და, საერთოდ, დიალექტებში; დასტურდება პარალელური წარმოება:

კეც-ს	—	კეც-ავ-ს
კვეც-ს	—	კვეც-ავ-ს
პენტ-ს	—	პენტ-ავ-ს
ტეხ-ს	—	ტე-ავ-ს
ჩეჩ-ს	—	ჩეჩ-ავ-ს
ჭედ-ს	—	ჭედ-ავ-ს
მოი-ხვეჭ-ს	—	მოი-ხვეჭ-ავ-ს და სხვა.

დიალექტში ორთემიანია ისეთი ზმნებიც კი, როგორცაა წერ-ს, ფენ-ს : წერ-ავ-ს, ფენ-ამ-ს...

6. ქართულ დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია ფუძედრეკად ზმნებზე **-ავჩამ** თემის ნიშნის დართვა. გვაქვს პარალელური წარმოება — თემის ნიშნის დაირთავს როგორც **ე** ხმოვნიანი ვარიანტი ფუძისა, ისე **ი** ხმოვნიანი ვარიანტი:

გლეჯ-ს	—	გლეჯ-ავ-ს / გლიჯ-ავ-ს
ჭყლეთ-ს	—	ჭყლეთ-ავ-ს / ჭყლით-ავ-ს
ხვრეტ-ს	—	ხვრეტ-ავ-ს / ხვრიტ-ავ-ს
კბენ-ს	—	კბენ-ავ-ს / კბინ-ავ-ს... ყველას აქვს -ამ თემის-

ნიშნიანი ვარიანტი.

7. დასტურდება ორსაფეხურიანი ცვლილებაც. ზემოთ ვთქვით, **-ებ** თემისნიშნიანი ზმნები უთემისნიშნო გახდა: წარი-ყვან-ებ-ს — წაი-ყვან-ს, წარი-ტან-ებ-ს — მოი-ტან-ს... ჯავახურში ასეთი ფორმები დასტურდება: ავი-ყვან-ამ, მოგი-ტან-ამ... ანუ : ტან-ებ → ტან → ტან-ამ... (ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ **-ავ** ჩაენაცვლა **-ებ-ს...**).

8. ვერ ვიტყვით, რომ დიალექტური მოვლენაა, მაგრამ სასაუბრო მეტყველებაში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) ფართოდ გავრცელებული ფაქტია საშუალი გვარის ზმნებში **-ებ** თემის ნიშნის **-ობ**-ით შეცვლა:

ბარბაც-ებ-ს	—	ბარბაც-ობ-ს
კაშკაშ-ებ-ს	—	კაშკაშ-ობ-ს
რაკრაკ-ებ-ს	—	რაკრაკ-ობ-ს
ბიბინ-ებ-ს	—	ბიბინ-ობ-ს და მისთანანი.

9. **-ობ** თემის ნიშანი დაიროთ **-ავ** თემისნიშნიანმა საშუალი გვარის ზმნებმაც. ოღონდ აქ საინტერესო პროცესი მოხდა: **-ავ** ელემენტ-

მა დაკარგა თემის ნიშნის ფუნქცია და გადაირიცხა ფუძეში (ეს ზოგადად ქართული სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი). გვაქვს, ერთი მხრივ:

გორ-ავ-ს	---	ი-გორ-ა
ხტუნ-ავ-ს	---	ი-ხტუნ-ა
ცურ-ავ-ს	---	ი-ცურ-ა
ბუქნ-ავ-ს	---	ჩა-ბუქნ-ა
ყვინთ-ავ-ს	---	ჩა-ყვინთ-ა

და გვაქვს, მეორე მხრივ:

გორავ-ობ-ს	---	ი-გორავ-ა
ხტუნავ-ობ-ს	---	ი-ხტუნავ-ა
ცურავ-ობ-ს	---	ი-ცურავ-ა
ბუქნავ-ობ-ს	---	ი-ბუქნავ-ა

ასეთი მაგალითებიც დასტურდება:

მო-ცურ-ავ-ს --- მო-ცურ-ს (ილია)...

ჩვენი მიზანი არ არის ამჯერად დეტალური ანალიზი ჩავატაროთ თემის ნიშანთა მონაცვლეობისა — რომელ დიალექტში რა პროცესი ხდება, რომელ ზმნებთან. გვსურდა გვეჩვენებინა, რა ცვლილებები მოხდა თემის ნიშანთა სისტემაში ისტორიულად და რა ხდება დღევანდელ ქართულში. ფაქტია: ეს არის ერთი ტენდენციის გამოვლინება. პროცესი სათავეს იღებს ძველ ქართულში და გრძელდება დღესაც. ტენდენცია არ ჩანს დასრულებული.

მთავარი კითხვა ამ პროცესების გააზრებისას ეს არის:

რა არის საფუძველი თემის ნიშანთა მონაცვლეობისა და აქვს თუ არა სისტემური ხასიათი? ჩანს თუ არა რაიმე კანონზომიერება ამ ტენდენციაში?

მივაქციაოთ ყურადღება რა ხდება საერთოდ:

-ებ თემის ნიშანს იშორებს მოქმედებითი გვარის ზმნები : ალაღ-გინ-ებ-ს — ალა-დგენ-ს... ა-გროვ-ებ-ს — ა-გროვ-ს...

მოქმედებითი გვარის ზმნებში **-ებ-ს** ჩაენაცვლება **-ავ/-ამ**: განკურნ-ებ-ს — განკურნ-ავ-ს, ა-კეთ-ებ-ს — ა-კეთ-ამ-ს...

-ავ/-ამ თემის ნიშანს დაირთავს **-ობ** თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზმნები: გი-ამბ-ამ, შობ-ამ-ს...

ე. წ. „ი თემისნიშნისანი“ ზმნები (ყველა მოქმედებითი გვარისაა) **-ავ/-ამ** თემისნიშნისანი ხდება: ი-ყიდ-ამ-ს, წონ-ამ-ს...

ერთთემიანი (უთემისნიშნო) ზმნები დაირთავენ **ავ/-ამ** თემის ნიშანს: თიბ-**ავ/-ამ**-ს, კვეც-**ავ**-ს, წერ-**ავ/-ამ**-ს... ზმნები მოქმედებითი გვარისაა...

-ავ/-ამ თემის ნიშანს დაირთავს ფუძედრეკადი ზმნები: გრეხ-**ავ/-ამ**-ს, გლეჯ-**ავ/-ამ**-ს... გვარის მიხედვით ეს ზმნებიც მოქმედებითისანები არიან...

ამ მაგალითების მიხედვით ერთი დასკვნა კეთდება. **მოქმედებითი გვარის ზმნები კარგავენ -ებ (ზოგჯერ -ობ) თემის ნიშანს და დაირთავენ -ავ/-ამ თემის ნიშანს.**

-ებ თემის ნიშანი რჩება (თბ-ებ-ა, ი-ზრდ-ებ-ა...) და ჩნდება (იმაღ-ებ-ა, ი-დგ-მ-ებ-ა...) ვნებითი გვარის ზმნებთან.

საშუალო გვარის ზმნები **-ობ** თემის ნიშანს დაირთავენ: გორავ-ობ-ს, ბიბინ-ობ-ს...

ასე რომ, თემის ნიშანთა მონაცვლეობას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება. ამის თაობაზე მივანიშნებდით ადრეც („ქართული ზმნა“, § 18), თუმცა ეს კითხვები მაშინ არ დაგვისვამს.

კერძოდ: აშკარაა, ახალ ქართულში განაწილებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება. რამ გამოიწვია ეს ცვლილება? ამ ტენდენციის გამოვლენამდე რა იყო საფუძველი ძველ ქართულში თემის ნიშანთა განაწილებისა? რამ გამოიწვია ეს სისტემური რღვევა?

ეს კითხვები ჯერჯერობით უპასუხოა...

ცნობილი ფაქტია: თემის ნიშნებთან დაკავშირებით III სერიაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. კერძოდ: ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა I თურმეობითში რთულთემიანია:

აღ-უ-**შენ-ებ**-იეს, აღ-უ-**დ-ებ**-იეს, დაე-**ხატ-ავ**-ს...

II თურმეობითსა და III კავშირებითში — მარტივთემიანია:

აღ-ე-**შენ**-ა, აღ-ე-**დ**-ო, დაე-**ხატ**-ა...

აღ-ე-**შენ**-ოს, აღ-ე-**დ**-ოს, დაე-**ხატ**-ოს...

ახალ ქართულში პრინციპული ცვლილება მოხდა: ზმნათა ერთი ნაწილი სამივე მწკრივში რთულთემიანია, მეორე ნაწილი — მარტივთემიანი („ქართული ზმნა“, § 27.2; 27.3).

აუ- შენ-ებ -ია	აუ- დ -ია	დაუ- ხატ -ია
აე- შენ-ებ -ია	აე- დ -ო	დაე- ხატ -ა
აე- შენ-ებ -იოს	აე- დ -ოს	დაე- ხატ -ოს...

ეს არის ფაქტი. რამდენიმე კითხვას ესეც აჩენს: რატომ შეეხო ასეთი პრინციპული ცვლილება მოქმედებითი გვარის ზმნებს? რას ეფუძნება განსხვავება III სერიაში რთულთემიან და მარტივთემიან

ზმნებს შორის? სხვაგვარად რომ დავსვათ კითხვა: რატომ დაეფუძნა ზოგი მარტივ თემას და ზოგი რთულ თემას? ეს ცვლილებები არის კი რაიმე კავშირში იმ ცვლილებებთან, რომლებიც I სერიაში მოხდა (ასპექტის სისტემის შეცვლა, გვარის კატეგორიის გააქტიურება...)?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხი გასაცემია...

თემა ზმნის ფუძის ნაირსახეობაა; იგი არის საერთო საყრდენი დრო-კილოთა I ან II სერიის ფორმათათვის (ა. შანიძე). თემისა და თემის ნიშანთა საკითხი განიხილება როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

დაპირისპირება რთულ (თემისნიშნის) და მარტივ (უთემისნიშნო) თემათა შორის ძველსა და ახალ ქართულში არ ჩანს ერთგვარი. ძველ ქართულში ეს დაპირისპირება ასპექტური ხასიათისა უნდა იყოს; ახალ ქართულში დაპირისპირების მორფოლოგიური საფუძველი გაურკვეველია.

ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლამ გამოიწვია თემის ნიშანთა სისტემაში ცვლილებათა მთელი რიგი: თემისნიშნისანი ხდება უთემისნიშნო; უთემისნიშნო — თემისნიშნისანი; ხდება თემის ნიშანთა ურთიერთშენაცვლება (ებ>ავ, ავ/ამ>ებ, O>ავ, ებ>O, ებ>ობ...).

ძველ ქართულში რა იყო საფუძველი ცალკეული თემის ნიშანთა განაწილებისა, ძნელი სათქმელია; ცვლილებათა ტენდენციის თვალის გადევნება და მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ახალ ქართულში თემის ნიშანთა გადანაწილებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება; მოქმედებითი გვარის ზმნებში ადგილს იმკვიდრებს **-ავ/-ამ**, ვნებითებში — **-ებ**, ხოლო საშუალებში — **-ობ**. ეს ტენდენცია სათავეს ძველ ქართულში იღებს. პროცესი არაა დასრულებული — გრძელდება დიალექტებში. ეს პროცესი საინტერესოა გვარის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის, ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც.

4.8.2. ერთთემიანი ზმნების შესახებ

ვიცი: თემა ფუძის ნაირსახეობაა. — საერთო საყრდენი I სერიის ან II სერიის ფორმათათვის. I სერიის თემაა ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთოა I სერიის ყველა ფორმისათვის (შესაბამისად, II სერიისათვისაც). თუ I სერიის თემა სხვაობს II სერიის თემისაგან, ზმნა ორთემიანია; თემათა განსხვავებული ელემენტი თემის ნიშანია. თუ I და II სერიას ერთნაირი თემა აქვთ, ასეთი ზმნა ერთთემიანია. ჩვენი მსჯელობის საგანი ერთთემიანი ზმნებია.

ა. შანიძე წერს: „მცირეა რიცხვი ისეთი ზმნებისა, რომელთაც ერთი და იგივე თემა აქვთ ორსავე სერიაში“. ავტორი ჩამოთვლის ერთთემიან ზმნებს. ორმოცამდე მაგალითს ასახელებს: ვ-ბან, ვ-ბერტ, ვ-თელ, ვ-თეს, ვ-თიბ, ვ-თხოვ, ვ-კეც, ვ-კვეთ, ვ-კვეც და სხვ. პარაგრაფში — „მერყეობა თემის ნიშანთა ხმარების დროს“ — შენიშნავს: „ერთთემიან ზმნათა უმეტესობას დაერთო **-ავ** და ისინი ორთემიანებში გადაი-რიცხნენ: ვ-ბერტ-ავ, ვ-თელ-ავ, ვ-კეც-ავ, ვ-კვეც-ავ, ვ-ლეს-ავ, ვ-ლეწ-ავ, ვ-ნაყ-ავ, ვ-პენტ-ავ, ვ-რეკ-ავ, ვ-რეცხ-ავ, ვ-ქექ-ავ, ვ-ღებ-ავ, ვ-ლობ-ავ, ვ-ჩეხ-ავ, ვ-ძრახ-ავ, ვ-ხეთქ-ავ, ვ-ხვეტ-ავ და სხვ (შანიძე, 1973, 408).

ერთთემიან ზმნათა ორთემიანად გადაქცევა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი ჩანს. რთული იმდენად, რამდენადაც ამ პროცესის ცალკე განხილვა არ შეიძლება: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მანძილზე თემის ნიშანთა მონაცვლეობა (ამის თაობაზე იხ. :) და ფუძედრეკად ზმნებზე თემის ნიშნის დართვა ერთ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული — პროცესის მიზანი და შედეგი ერთი ჩანს... მეტიც, ის სიჭრელე და მრავალფეროვნება თემის ნიშანთა გამოყენებაში, რაც დიალექტებში ხდება, იმავე კონტექსტიდანაა. ჩვენ ამჯერად ამ ტენდენციის არსზე არ ვისაუბრებთ; გვინტერესებს, როგორ განვითარდა ეს პროცესი (ერთთემიანთა გაორთემიანება) და რა სახე მიიღო მან დიალექტებში, რა ტენდენციები იკვეთება...

სანამ დიალექტების ვითარებას შევხებით, რამდენიმე საკითხს მივაქცევთ ყურადღებას: სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულთაგან რამდენიმე ზმნა ერთთემიანია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში (დიალექტების ჩათვლით): ვ-თხოვ, ვ-ქსოვ, ვ-ძოვ, ვ-წოვ, ვ-ჭამ...

რამდენიმე ზმნა დიალექტებში **-ებ** თემის ნიშანს დაირთავს მხოლოდ აწმყოს III პირის მრავლობით რიცხვში:

მევი-ტან	მევი-ტან-თ
მეი-ტან	მეი-ტან-თ
მეი-ტან-ს	მეი-ტან-ებ-ენ

ასევე: მეი-ყვან-ს და მეი-ყვან-ებ-ენ, მეი-ხმარ-ს და მეი-ხმარ-ებ-ენ... დასტურდება ვ-მღერ-ობ ფორმაც...

სხვა შემთხვევაში ერთთემიანი ზმნები ჩვეულებრივ **-ავ** თემის ნიშანს დაირთავენ (იმ დიალექტებში, რომლებშიც სისტემურად ხდება **-ავ**-ის შეცვლა: **-ამ**-ით — ვ-ხატ-ამ, ვ-მალ-ამ... — ერთთემიანებთანაც **-ამ** თემისნიშანი გვაქვს; ზემოთ ჩამოვთვალეთ კიდევ (ვ-ბერტყ-ავ, ვ-თეს-ავ...). ხშირია ფორმათა პარალელიზმიც სალიტერატურო ენასა თუ სასაუბრო მეტყველებაში (**კვეცავს // კვეცს, ბერტყავს // ბერტყს, ლეწავს // ლეწს...**); წესის დადგენა არ ხერხდება: რა შემთხვევაში რჩება ერთთემიანად და რა შემთხვევაში ხდება ორთემიანი. ამიტომაც ორთოგრაფიული ლექსიკონი ძირითადად თემისნიშნის ვარიანტებს გვთავაზობს ნორმად (**ბერტყავს, თელავს, თესავს, თიბავს, კეცავს...**); უთემისნიშნო ვარიანტებს გვთავაზობს ნორმად ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც პარალელიზმი აშკარაა: **კვეთს//კვეთავს, კვეცს//კვეცავს, ჩეჩს//ჩეჩავს, ჩეხს //ჩაჩავს, იხვეჭს//იხვეჭავს...** ამიტომაც: **ბერტყს, თესს, თიბს...** — დიალექტიზმებად გაიაზრება ისევე, როგორც — **კვეთავს, კვეცავს, ჩეჩავს, ჩეხავს...** ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით I თურმეობითის ფორმებზე მსჯელობისას... როგორც ვთქვით, ორთოგრაფიული ცნობარები სწორ და არასწორ ვარიანტებს გვთავაზობს, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში არ არის მსჯელობა, საორჭოფო შემთხვევაში კრიტერიუმად რა შეიძლება შევარჩიოთ.

როცა სალიტერატურო ქართულში არის ასეთი პარალელური ფორმები, ცხადია, დიალექტებში უფრო რთული მდგომარეობა იქნება... იქნებ დიალექტების ანალიზმა გამოსავალი გვაპოვნინოს...

ე. წ. ერთთემიან ზმნათა ვითარება არაერთგვაროვანია დიალექტებში.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში ძლიერია ტენდენცია ერთთემიანთა გაორთემიანებისა. ისტორიულად უთემისნიშნო ზმნები სისტემურად **-ავ** (მონაცვლეობით **-ამ**) თემის ნიშანს დაირთავს. ქართლურსა და კახურში, ასევე ინგილოურში, თემისნიშნიანია არა მარტო ის ზმნები, რომლებიც სალიტერატურო ენაში **-ავ** თემის ნიშანს დაირთავს (**თესავს, თიბავს, ბერტყავს, თელავს...**), არამედ ისი-

ნიც, რომელთა უთემისნიშნობაც ნორმადაა მიჩნეული თანამედროვე ქართულში (**კვეთავს, კვეცავს, ჩეჩავს, ხეჩავს (ჩეხავს)**)... უფრო მეტიც, ამ დიალექტებში არის ტენდენცია, თემის ნიშანი დაირთოს ისეთმა ზმნებმაც, როგორებიცაა **წერ-ავ/-ამ-ს, ყეფ-ავ/-ამ-ს, უსმენ-ავ-ს, ფენ-ავ/-ამ-ს, ბან-ავ-ს** (=ბანს), **ფხან-ავ-ს**... ამ თვალსაზრისით უნიფიკაციის ტენდენცია იჩენს თავს მესხურში, თუმცა იქ თემის ნიშნის წარიანი ვარიანტია წარმოდგენილი...

არქაული ვითარება სისტემური სახით დაცული არის ხევსურულ დიალექტში: **თიბ-ს, ვოც-ს, ნაყ-ს, რეცხ-ს** და სხვა...

თავდაპირველი სახით არის დაცული უთემისნიშნო ზმნები თუშურში, მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში: **ბერტყ-ს თიბ-ს, ვოც-ს, ჩეჩ-ს, კეც-ს, კვეც-ს, ლეწ-ს**... თუმცა მათ უჩნდებათ პარალელური ფორმები **-ავ** თემისნიშნით (**ს-თეს-ავ-ს, ვოც-ავ-ს, ჩეჩ-ავ-ს**...). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში ეს ფაქტი საერთო ტენდენციის ასახვაა. ამ პროცესში სალიტერატურო ენის გავლენაც არ უნდა გამოვრიცხოთ.

სხვათა შორის მოხეურში პარალელურ თემისნიშნიან ფორმათა გვერდით უთემისნიშნონი გახდნენ ისეთი ზმნებიც, როგორიცაა **ს-წყელ-ს, ს-წონ-ს, ვ-ტოვ-თ, დაგა-სყენ** (**// სყენ-ობ-ს**), **ნაყ-ს**... ტექსტებში უთემისნიშნო ვარიანტები უმეტესად უწყვეტლისა და I კავშირებითის ფორმებში გვხვდება (**ვ-ჩეჩდი, ვ-თესდი**)...

ფშაურში, სხვა მთის დიალექტების მსგავსად, დასტურდება ძველი ფორმები (**მო-ველ-ს, ვ-თიბ**...), თუმცა უპირატესობა ეძლევა **-ავ** თემისნიშნიან ფორმებს.

I თურმეობითის წარმოებაში თავჩენილი უნიფიკაციის ტენდენცია მთის დიალექტებისა შეეხო ერთთემიან ზმნებსაც. სისტემებრ ხევსურულში, ფშაურსა და თუშურში I თურმეობითში ეს ზმნები **-ავ** თემის ნიშანს დაირთავს: **დაუ-თეს-ავ (ის), ჩაყ-ვოც-ავ (ის), მაუ-ველ-ავ (ის), უ-ჭ-ამ-ავ (ის)**... ცხადია, **ავ** სუფიქსის დადასტურება ამ მწკრივში უნიფიკაციის ტენდენციის შედეგია და არა აწმყოს ვითარების ასახვა...

არქაული ვითარებაა დაცული განსახილველი ტიპის ზმნებთან რაჭულში, გურულსა და აჭარულში, თუმცა ამას არა აქვს ისეთი სისტემური ხასიათი, როგორც გვექონდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. ამ დიალექტებში, ერთი მხრივ, გვაქვს ერთთემიანი ვარიანტები (**რეცხ-ს, დარეკ-ს, კეპ-ს, ლეკ-ს, თიბ-ს, ნაყ-ს, ხოც-ს, ხვეტ-ს, ჩეხ-ს**...), მეორე მხრივ — პარალელური ორთემიანი ვარიანტები (**რეცხ-**

ავ-ს, რეკ-ავ-ს...). ხშირად ძნელია, რომელიმე ვარიანტისათვის უპირატესობის მიცემა. თუმცა ისეთი ინოვაციებიც დასტურდება, მაგ., აჭარულში, როგორც არც ძველ ქართულში და არც სხვა დიალექტში არ შეგვხვდრია: უთემისნოშნოდაა წარმოდგენილი ვი-**შოვ** (მე მას), დევი-**ნახ** (მე მას)... და ჩვეულებრივია **წერ-ავ-ს**, **ტენ-ავ-ს** ფორმები. ასე რომ, არქაიზმები და ინოვაციები თანაარსებობს ე. წ. ერთთემიან ზმნებში.

ფორმათა პარალელიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით რაჭულმა მიიქცია ყურადღება; **და-რეკ-ს** ზმნის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება უწყვეტელში: უთემისნიშნო, -ავ, -ამ, -ევ, -ემ და -ებ თემისნიშნიანები:

და-რეკ-და // და-რეკ-ავ-და // და-რეკ-ამ-და // და-რეკ-ევ-და // და-რეკ-ემ-და // და-რეკ-ებ-და...

აწმყოში მოსალოდნელი თემისნიშნიანი ვარიანტები არ შეგვხვდრია. ის ფაქტი, რომ **ავ/-ამ** თემისნიშნიანები **ვიდ** დაბოლოებითაც იწარმოებენ უწყვეტელს რაჭულში, გვაზარაუდებინებს და-რეკ-ვიდ-ა ფორმის არსებობასაც, თუმცა ვერ დავადასტურეთ...

რთული და თავისებური ვითარებაა იმერულში. აქ, სხვა დიალექტების მსგავსად, არქაულ ფორმებსაც ვადასტურებთ და ინოვაციურსაც: ერთი მხრივ, გვაქვს **წერ-ავ-ს**, **ტენ-ავ-ს** ფორმები, მაგრამ მეორე მხრივ, უთემისნიშნოდ გვხვდება ის ზმნები, რომლებიც სხვა დიალექტებში და სალიტერატურო ენაში თემისნიშნიანია; ოღონდ აქ ერთი არსებითი თავისებურება იჩენს თავს: ერთსა და იმავე პარადიგმაში გვაქვს უთემისნიშნო და თემისნიშნიანი საყრდენი ფუძე: აწმყოში მხოლოდბითის ფორმები და მრავლობითის I და II პირის ფორმები თემისნიშნიანია; მრავლობითის III პირის ფორმები — უთემისნიშნო:

ვ-თეს-ავ	ვ-თეს-ავ-თ
თეს-ავ	თეს-ავ-თ
თეს-ავ-ს	თეს-ენ

ასეა: **ხერხ-ავ-ს** და **ხერხ-ენ**, **ხარშ-ავ-ს** და **ხარშ-ენ**, **ხეთქ-ავ-ს** და **ხეთქ-ენ**, **ტენ-ავ-ს** და **ტენ-ენ** და სხვ.

ფუძეთა ამგვარი დაპირისპირებისათვის ზოგი ზმნა **-ებ** თემის ნიშანს გამოიყენებს, ოღონდ აქ ვითარება დიამეტრალურად განსხვავებულია: თუ წინა ვარიანტში უთემისნიშნო იყო პარადიგმის ერთი წევრი — მესამე პირის მრავლობითის ფორმა, აქ პირიქითაა: თემისნიშნიანია III პირის მრავლობითის ფორმა, დანარჩენი — უთემისნიშნო:

მევი-ტან	მევი-ტან-თ
----------	------------

მეი-ტან მეი-ტან-თ
მევი-ტან-ს მევი-ტან-ებ-ენ

ასევე: წეი-ყვან-ს და წეი-ყვან-ებ-ენ, და დაა-ხმარ-ს და დაა-ხმარ-ებ-ენ, ბან-ს და ბან-ებ-ენ, ჭამ-ს და ჭამ-ებ-ენ... მსგავსი ვითარება დასტურდება მესხურ-ჯავახურში, აჭარულსა და შავშურში.

ბალდადურ თქმაში ადასტურებენ რთულ თემას ყველა პირის ფორმაში: გავა-ტან-ებ, გაა-ტან-ებ, გაა-ტან-ებ-ს...

ზემოიმერულში თითქმის სისტემურ ხასიათს ატარებს ასეთი ფაქტები: აწმყოში განსახილველი ტიპის ზმნები რთულთემიანია, უწყვეტელსა და I კავშირებითში — უთემისნიშნო:

აწმყო: ვ-კატ-ავ	უწყვ.: ვ-კატ-დი	I კავშ.: ვ-კატ-დ-ე
კატ-ავ	კატ-დი	კატ-დ-ე
კატ-ავ-ს	კატ-და	კატ-დ-ეს
ვ-კატ-ავ-თ	ვ-კატ-დით	ვ-კატ-დ-ეთ
კატ-ავ-თ	კატ-დით	კატ-დ-ეთ
კატ-ავ-ენ...	კატ-დენ...	კატ-დ-ენ...

ასევე: რეკ-ავ-ს და რეკ-და, ხარჯ-ავ-ს და ხარჯ-და, ხარშ-ავ-ს და ხარშ-და; ყლაპ-ავ-ს და ყლაპ-და (ქ. ძოწენიძე).

ასეთივე ვითარებას ადასტურებენ ჯავახურში (ა. მარტიროსოვი); ქვემოიმერულსა (კ. კუბლაშვილი) და გურულშიც (პ. ჯაჭანიძე).

ერთი ფაქტიც გავითვალისწინოთ: ჩვეულებრივ -ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნები უწყვეტელს ძველი ქართულისებურად ევლ სუფიქსით აწარმოებს (მოდიფიკაციით — III პირშიც ეს დაბოლოებაა): ვ-ხატ-ევ-დ-ი / ხატ-ევ-დ-ი / ხატ-ევ-დ-ა...

რა გამოდის: ზემოიმერულში ერთთემიანმა და -ავ/-ამ თემისნიშნიანმა ზმნებმა არქაული ვითარება შეინარჩუნეს უწყვეტელსა და I კავშირებითში; ერთთემიანმა ზმნებმა თემისნიშნიანი ფორმები აწმყოში განივითარეს...

თემის ნიშანთა სისტემაში არსებული სირთულე დამახასიათებელია მესხურ-ჯავახურისათვის ზოგადად და, კერძოდ, რთული ვითარებაა ერთთემიან ზმნებთანაც: სისტემებრ ორთემიანია, თუმცა ერთთემიანი ვარიანტებიც გვხვდება, ჩვეულებრივ უწყვეტელში: ვ-თეს-დით, ი-ნახ-დენ, ყ-ლაპ-და, დაგვ-ხოც-და, ზიდ-და, ი-ნახ-და, ტეხ-დენენ...

თუმცა ამის გვერდით გვხვდება -ებ თემისნიშნიან ზმნათა უთემისნიშნო ვარიანტები: ვ-ტოვ, მოგა-თხოვ, დაგ-ტოვ, შეა-გროვ-და, მოვ-კიდ-დი...

4.8.3. -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნები ქართული ენის დიალექტებში

4.8.3.1. თემის ნიშანთა მონაცვლეობა

ქართული ზმნის მორფოლოგიაში თემის ნიშანთა სისტემა უაღრესად საინტერესოა: ამ სისტემაში ცვლილებები ხდება როგორც დროში, ასევე — სივრცეში. ცვლილებათა მიზეზი (საფუძველი) და მიზანი მრავალ კითხვას აღძრავს... ამჯერად ვისაუბრებთ **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნებზე.

* * *

-ავ და **-ამ** ფორმანტები თემის ნიშანთა სისტემიდან განცალკევებით დგას. უპირველესად სტრუქტურული თვალსაზრისით: **ა** ხმოვანი მხოლოდ ამ ფორმანტებში გვაქვს. ძველ ქართულში **ა** ხმოვანი ორივე ფორმანტში ნულთან მონაცვლეა. ეს მოქმედი ფონეტიკური პროცესია: ხმოვნის რედუქცია ხდება მომდევნო ხმოვან- ან ხმოვნის შემცველი სუფიქსის დართვისას.

შეგნიშნავთ: რა თავისებურებებსაც ავლენს **-ავ** თემის ნიშანი, იგივე თავისებურებები დასტურდება **-ამ** თემისნიშანთანაც. ამიტომ ჩვეულებრივ ვისაუბრებთ **-ავ** თემის ნიშანზე. თუ რაიმე სხვაობასთან გვექნება საქმე, ამას საგანგებოდ მივანიშნებთ (ვთქვათ **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობის საკითხები და სხვა)...

ა) ძველ ქართულში ხმოვნის რედუქცია ხდება აწმყოს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში:

მალ-ავ-ს — მალ-ვ-ენ,

ა-ბ-ამ-ს — ა-ბ-მ-ენ...

თემის ნიშანი ხმოვანს კარგავს სახელზმნებშიც:

მალ-ავ — მალ-ვ-ა; ბ-ამ — ბ-მ-ა...

მალ-(ვ)ულ-ი, და-ბ-მ-ულ...

ბ) **-ავ/-ამ** თემისნიშნის ზმნათა ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ძველ ქართულში არის ის, რომ უწყვეტლის პარადიგმა არის სუბლექტური: I-II პირის ფორმებში აწმყოსეულ **-ავ/-ამ** ფორმანტებს ჩვენაცვლება **-ევ/-ემ** ფორმანტები:

ვ-მალ- ევ -დ	ვ-მალ- ევ -დ-ი-თ
მალ- ევ -დ	მალ- ევ -დ-ი-თ...
ვ-ა-ბ- ემ -დ	ვ-ა-ბ- ემ -დ-ი-თ
ა-ბ- ემ -დ	ა-ბ- ემ -დ-ი-თ

გ) უწყვეტლის III პირის ფორმათა დაბოლოებაა **ვ-იდ**:

მალ- ვ-იდ -ა	მალ- ვ-იდ -ეს
ა-ბ- მ-იდ -ა	ა-ბ- მ-იდ -ეს...

ეს ფუძე არის საყრდენი I სერიის სხვა მწკრივთათვისაც. ივარაუდება, რომ **ვ/მ** არის **ავ/ამ** ფორმანტთა შეკუმშული ვარიანტი...

დ) **-ავ/-ამ** თემის ნიშნები გადაჰყვება ზმნას ვნებითის ფორმებში:

მალ- ავ -ს	ი-მალ- ვ -ი-ს
ა-ბ- ამ -ს	და-ი-ბ- მ -ი-ს...

ე) I თურმეობითში **-ავ/-ამ** შენარჩუნებულია:

და-უ-მალ- ავ -ს...
და-უ-ბ- ამ -ს...

საგულისხმო თავისებურება: ყველა სხვა ზმნათაგან განსხვავებით **-ავ/-ამ** თემისნიშნისანი ზმნები ძველ ქართულში I თურმეობითში არ დაირთავს **-იე-ს** დაბოლოებას.

ყველა ეს თავისებურება ძველი ქართული ენისა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის ახალ ქართულში. ცვლილებათა ტენდენცია თავს იჩენს ძველ ქართულშივე. თუმცა თანამედროვე ქართულის ნაირსახეობებში ცვლილებათა ტენდენციის ყველა საფეხური დასტურდება სხვადასხვა მოდიფიკაციით; არის ისეთი თავისებურებაც, რაც ახალი ქართულის ფაქტია და ძველში არ დასტურდება. უპირველესად თემის ნიშანთა მონაცვლეობას მივაქცევთ ყურადღებას.

* * *

ქართული ენის დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობა.

-ავ → **-ამ**: დიალექტთა ერთ ჯგუფში **-ავ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ამ**: მალ-**ამ**-ს, თეს-**ამ**-ს, ბარ-**ამ**-ს, ხატ-**ამ**-ს...

ეს პროცესი დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: **ქართლურში, კახურში, ინგილოურში, მესხურ-ჯავახურში, ზემოიმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში.**

მთის დიალექტთაგან ადასტურებენ **მთიულურ-გუდამაყრულში**. ესეც, ვფიქრობთ, ბარის დიალექტებთან სიახლოვის შედეგი ჩანს...

ჩამოთვლილ დიალექტთაგან რამდენიმეში (**ქართლურში, კახურში, ზემოიმერულსა და რაჭულში**) მოქმედებს საპირისპირო პროცესი:

-ამ → **-ავ**: სვ-ავ-ს, დგ-ავ-ს, წა-ა-სხ-ავ-ს...

ანუ, ამ დიალექტებში გვერდიგვერდ მოქმედებს ურთიერთსაპირისპირო პროცესი:

ავ → **ამ** (ხატ-ავ-ს → ხატ-ამ-ს)

ამ → **ავ** (დგ-ამ-ს → დგ-ავ-ს)

ძნელი ასახსნელია, რა არის საფუძველი ამგვარი პროცესებისა. შედეგი უცნაურია: გვქონდა **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნები, გვაქვს **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნები, ოღონდ **-ავ**-იანები **-ამ**-იანები გახდა და პირიქით...

საინტერესოა ისიც, რომ **დგ-ავ, სვ-ავ-ს** ტიპის ფორმები ფეხს იკიდებს ქალაქურ მეტყველებაშიც, რაც საფუძველი ხდება მათი შემოჭრისა მედიის ენაში...

ისეთი მასშტაბური ხასიათისაა **-ავ** → **-ამ** პროცესი, რომ შეიძლება უნიფიკაციის (გაერთფეროვნების) ტენდენციის გამოვლენად მიგვეჩინა; თუმცა **-ამ** → **ავ** პროცესის არსებობა ამ თვალსაზრისისათვის კითხვის ნიშანს დაგვასმევინებს; ყოველი შემთხვევისათვის, უნიფიკაციის ტენდენციის დარღვევისას ეს შამთხვევა (**-ამ** → **-ავ**) სერიოზულ ახსნას მოითხოვს. ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით მსგავსი ფაქტებისათვის გამონაკლისის კვალიფიკაციის მიცემას (ხშირად ვიმეორებთ და ვეთანხმებით ვარლამ თოფურის მოსწრებულ ნათქვამს: „გამონაკლისი და ანალოგია გაჭირვების ახსნა“)...

ამ მასშტაბურ პროცესთან დაკავშირებით (**-ავ** → **-ამ**) კიდევ ერთი საკითხი მოითხოვს გარკვევას: ეს პროცესი **ფონეტიკური მონაცვლეობა ბგერათა** თუ **მორფოლოგიური შენაცვლება**. ჩვეულებრივ, დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში **-ავ** → **-ამ** და **-ამ** → **-ავ** პროცესები თანხმოდანთა სუბსტიტუციად განიხილება: **ვამ** და **მავ**. ანალოგიისათვის მოჰყავთ მსგავსი შენაცვლება სხვა სიტყვებშიც (**ვითამ** > **მითამ** და ა. შ.). ამ თემას დაეუბრუნდებით, როცა სხვა ტიპის მონაცვლეობის საკითხს განვიხილავთ. წინასწარ ვიტყვით, რომ ჩვენ **ავ>-ამ მორფოლოგიურ მონაცვლეობად გვესახება...**

* * *

აკაკი შანიძე როცა თემის ნიშანზე მსჯელობს, შენიშნავს: „თემის ნიშანი საზოგადოდ მკვიდრია: ამა თუ იმ ზმნის ფუძეზე (მარტივ თემაზე) დაერთვის ესა თუ ის თემის ნიშანი: ზოგს **ი**, ზოგს **ავ**, ზოგს **ებ** და სხვა“ (ა. შანიძე, 1973, 408). ეს დასკვნა მისაღებია ძველი ქართული საბუნებისათვის: ძველ ქართულში თემის ნიშანთა პოზიცია მკვიდრია. ძველ ქართულში არ დასტურდება **ავ/-ამ** თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები. არის ზმნები მკვიდრად **-ავ**-იანები, არის ზმნები მკვიდრად **-ამ**-იანები. როგორც ჩანს, თემის ნიშანთა ზოგადი თუ კონკრეტული ფუნქციები ძველში განსაზღვრულია; ვგულისხმობთ საკითხებს: რა არის ზოგადი ფუნქცია თემის ნიშანთა; ანუ დაპირისპირება რთული და მარტივი თემისა რა მნიშვნელობას იძენს; ეს, ერთი მხრივ... და, მეორე მხრივ, რა არის კონკრეტული ფუნქცია ცალკეული თემის ნიშნისა, რატომ გამოიყენება ერთ შემთხვევაში **-ავ** თემის ნიშანი, სხვა შემთხვევაში **-ებ** და ა. შ. ამ თემაზეც გარკვეული პასუხი გვაქვს, ამის თაობაზე ცალკე გვექნება მსჯელობა...

ფაქტია, ახალ ქართულში ფუნქციური დატვირთვა თემის ნიშნებისა იცვლება როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულად; თემის ნიშანთა შენაცვლებაც ამის შედეგი ჩანს.

* * *

თემის ნიშანთა სისტემაში მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომლებიც ე. წ. უთემისნიშნო (ერთთემიანი) ზმნებთან ხდება.

კერძოდ: ისტორიულად უთემისნიშნო ზმნები ახალ ქართულში თემის ნიშანს დაირთავენ...

ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ოთხ ათეულამდე უთემისნიშნო ზმნას ასახელებს: **ვ-ბან**, **ვ-ბერტყ**, **ვ-თეს**, **ვ-თიბ**, **ვ-ღებ**, **ვ-ღობ** და ა. შ. (ა. შანიძე, 1973, 389). თუმცა იქვე შენიშნავს, რომ „ჩამოთვლილი ზმნების უმეტესობას დაერთო **ავ** და ისინი ორთემიანებში გადავიდნენ: **ვთიბავ**, **ვთესავ**, **ვჩეჩავ**, **ვხოცავ**...“. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ძველ ქართულშივე დაიწყო და დღემდე გრძელდება. პროცესი არათანაბრად განვითარდა სხვადასხვა დიალექტში; არაერთგვაროვნად წარიმართა ერთთემიანთა გაორთემიანება: ზოგან შენელებული ტემპით, ზოგან — დაჩქარებულად.

დიალექტებში ზოგი ზმნა, რომლებიც ძველ ქართულში უთემისნიშნონი იყვნენ, ერთთემიანებადვე დარჩნენ; ასეთ ფაქტებს ჩვენ თითქმის ყველა დიალექტში ვადასტურებთ: **თიბ**-ს, **რეცხ**-ს, **ვოც**-ს, **ნაყ**-ს...

(ხევს.), **ჩეჩ-ს**, **პეპ-ს**, **კეც-ს**, **თელ-ს**... (მოხეური), **კეტ-და**, **ხარჯ-და**, **ხარშ-და**... (იმერული), **რეცხ-ს**, **კებ-ს**... (რაჭული); **ხოც-ს**, **რეკ-ს**, **ხვეტ-ს**... (გურული); **ლეკ-ს**, **თიბ-ს**, **ნაყ-ს**... (აჭარული)... თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება უთემისნიშნო ვარიანტი იმ ზმნებისა, რომლებიც სალიტერატურო ენაში **-ავ** თემისნიშნია. აქ ჩვენ რამდენიმე დიალექტის რამდენიმე ფორმა დავიმოწმეთ. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ ზმნათა მსგავსი ფორმები სხვა დიალექტებში არ დასტურდება, ანდა სხვა ზმნები არ შემორჩა უთემისნიშნოდ ამა თუ იმ დიალექტში. ეს ცოცხალი პროცესია. ერთი რამ აშკარაა: უთემისნიშნო ვარიანტები ამ ზმნებისა გაცილებით მრავლადაა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, ვიდრე სხვაგან. ფაქტია: მთის დიალექტები არქაიზმებით გამოირჩეოდა... იქ ზოგჯერ ერთადერთი და ჩვეულებრივი ვარიანტია **თიბ-ს** ტიპის ფორმები... სხვა დიალექტებში ასევე ფაქტია ფორმათა პარალელიზმი. **რეცხ-ს** და **რეცხ-ავ/-ამ-ს**, **თეს-ს** და **თეს-ავ/-ამ-ს**... ბარის დიალექტებში აშკარაა ტენდენცია ორთემიანობისა. ზოგჯერ ისეთ ზმნებთანაც დადასტურდება, სალიტერატურო ენაში რომ მხოლოდ ერთთემიანი ვარიანტები გვაქვს: **წერ-ს** — **წერ-ავ/-ამ-ს**, **ტეხ-ს** — **ტეხ-ავ/-ამ-ს**...

საინტერესოა ერთი ფაქტიც: **წერ-ავ-ს**, **ტეხ-ავ-ს** ვარიანტები ქარგონულ საუბარში თავიანთ სემანტიკურ დატვირთვას იღებენ...

ასე რომ, ერთთემიან ზმნებზე **-ავ** თემის ნიშნის დართვა ხანგრძლივი პროცესია და დიალექტებსა და სალიტერატურო ენას შორის სხვაობას ისიც ქმნის, თუ რა ტემპით ვითარდება ეს პროცესი.

ერთ საინტერესო ფაქტსაც მივაპყროთ ყურადღება: იმერულში უთემისნიშნო ვარიანტები დავადასტურეთ მხოლოდ უწყვეტლის მწკრივში: **კეტ-დ-ა**, **ხარშ-დ-ა**... ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში აწმყოს ფორმები **კეტ-ს**, **ხარჯ-ს**, **ხარშ-ს** და მისთანანი — ვერ დავადასტურეთ. ეს თავისთავად აჩენს კითხვას: არქაული ვითარება (ერთთემიანობა) აწმყომიც შემოგვრჩა თუ არა... მაგალითად, რაჭულში დადასტურდა აწმყოს ფორმა **კეტ-ავ-ს** და იქვე უწყვეტლის ფორმა **კეტ-დ-ა**. მსგავსი ფაქტები მესხურ-ჯავახურშიც დადასტურდა: **თესდა**, **ინახდა**, **ყლაპდა**, **ზიდდა**... აქ საინტერესო ისაა, უთემისნიშნო ვარიანტებს ის ზმნებიც გამოაჩენენ, რომლებიც ისტორიულად თემისნიშნია: **ზიდავს**, **ყლაპავს**... დასმულ კითხვაზე პასუხები დამატებით კვლევას საჭიროებს.

ჩვენ ვსაუბრობთ უთემისნიშნო ზმნებზე **-ავ** თემისნიშნის დართვა-ზე. იმ დიალექტებში, სადაც ავ → ამ პროცესი განხორციელდა, **ავ**-ის ნაცვლად **-ამ**-ი დასტურდება: **თეს-ამ-ს**, **რეკ-ამ-ს**, **წერ-ამ-ს**, **ტენ-ამ-ს**...

უთემისნიშნო ზმნათა მიერ **-ავ** თემისნიშნის დართვა დაიწყო მას შემდეგ, რაც ძველი ქართულის მკვიდრი საფუძველი თემის ნიშანთა სისტემისა შეირყა და თემის ნიშანთა მონაცვლეობა დაიწყო...

მსგავსი ფაქტები, როგორც ითქვა, თითქმის ყველა დიალექტში შეიძლება დადასტურდეს, თუმცა ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, მესხურ-ჯავახურსა და ქვემოიმერულში ვერ დავადასტურეთ არქაული ფორმები; **ვწერ-ამ**, **ვტენ-ამ** ტიპის ფორმები — კი. ესეც საინტერესოა ამ ტენდენციის დინამიკის გასააზრებლად...

* * *

-ავ/-ამ თემის ნიშანთან არის ასევე დაკავშირებული ის ფორმოზომებიც, რომლებიც ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკად) ზმნებთან ხდება. ტენდენცია იგივეა, რაც ზემოთ განვიხილეთ: მარტივთემიანი (უთემისნიშნო) ზმნა ხდება რთულთემიანი (თემისნიშნისანი):

დრეკ-ს — დრეკ-ავ-ს / დრიკ-ავ-ს

გრენ-ს — გრენ-ავ-ს / გრინ-ავ-ს

ეს პროცესი ნაკლებად (ანდა თითქმის არ) შეიმჩნევა იმ დიალექტებში, რომლებშიც უთემისნიშნო ზმნათა მარტივთემიანი ფორმები არის ძირითადად შემორჩენილი: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებსა და ფერეიდნულში. სხვა დიალექტებში ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსიობით გამოიჩნევა, მეტიც, პროცესი იმდენად გავრცელებულია, რომ დიალექტების შთაბეჭდილებას აღარ ტოვებს — იგი ზოგადად სასაუბრო მეტყველების ფაქტად აღიქმება (წერითი მეტყველების ფაქტის საპირისპიროდ).

აქ უფრო საინტერესოა დიალექტური თვალსაზრისით თემისნიშნის ფორმათა პარალელიზმი:

დრეკ-ავ-ს // დრიკ-ავ-ს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფაქტს დიდი ხანია მიექცა ყურადღება. ახსნა ერთმნიშვნელოვანია: ერთი ვარიანტი საყრდენად იყენებს I სერიის ფუძეს, მეორე — მეორე სერიისას... თუმცა პასუხგაუცემელია კითხვა: რატომ დაჭირდა II სერიის ფუძის გამოყენება აწმყოფორმისათვის,... აქ ალბათ სხვაგვარი ახსნა უნდა დაიძებნოს:

დრეკ-ავ-ს ტიპის ფორმები იმავე პრინციპით იწარმოება, რომლითაც **თიბ-ავ**-ს ტიპისა.

დრეკ-ავ-ს შემთხვევისათვის ამოქმედდა ის წესი, რომელსაც ფუძისა და აფიქსთა ურთიერთშეუღლებების წესი ჰქვია: როცა ორი ვარიანტია ფუძისა — რედუცირებული (დრიკ) და არარედუცირებული (დრეკ), მარცვლოვან მორფემასთან ხდება რედუცირებულის შეუღლება: **დრიკ-ავ**; მეორე შემთხვევაში ეს წესი ირღვევა: **დრეკ-ავ** — მარცვლოვანი მორფემა შეუღლებულია არარედუცირებულ ვარიანტთან...

ფაქტი ერთია: ორივე ვარიანტი პარალელურად დასტურდება ერთსა და იმავე დიალექტში; მხოლოდ ერთი ვარიანტი რომ იყოს, ასეთი ფაქტი ჩვენ ვერ დავადასტურებთ. რაოდენობრივი თვალსაზრისით, რომელს ენიჭება უპირატესობა და ერთსა და იმავე პირთან გვხვდება თუ არა ორივე ვარიანტი, ეს დამატებით კვლევას მოითხოვს. თუმცა ესეც ვთქვათ: ამ მხრივ თავისებურია **ფრინ-ავ-ს** ზმნა. **ე** ხმოვნისანი ვარიანტი (ფრენ-ავ-ს) ვერ დავადასტურებთ. **ფრენს** ვარიანტი იმ დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს, უთემისნიშნო ზმნათა არქაული ვარიანტები რომ შემოგვინახა...

და ისიც უნდა ითქვას: ყველა ფუძედრეკადი ზმნა ამ დიალექტებში ერთგვარი ინტენსიობით არ განიცდის ამ ფორმობრივ ცვლილებას. თითქმის ყველგან დასტურდება როგორც უთემისნიშნო ვარიანტი ამა თუ იმ ზმნისა, ისე თემისნიშნისა. ასე რომ გვერდიგვერდ შეიძლება შეგვხვდეს **დრეკს//დრეკავს//დრიკავს...**

* * *

თემის ნიშანთა მონაცვლეობის თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა მესხურში: **ავ/-ამ** თემის ნიშნებს აქ **-ან** ფორმანტი ენაცვლება. ეს შემთხვევა განსხვავებით **-ავ→-ამ** მონაცვლეობისა, მორფოლოგიურ შენაცვლებად განიხილება.

მალ-ავ-ს → მალ-ან-ს, დგ-ამ → დგ-ან-ს...

ეს შენაცვლება უფრო რთული პროცესის ნაწილი ჩანს: **ე** და **ო** ხმოვნისანი თემის ნიშნებშიც ხდება **ნ** თანხმოვნის ჩანაცვლება:

აკეთ-ებ-ს → აკეთ-ენ-ს, ათბ-ობ-ს → ათბ-ონ-ს, კოჭლ-ობ-ს → კოჭლ-ონ-ს...

ზოგ შემთხვევაში **ე** ხმოვნისანი ვარიანტი შუალედური საფეხური ჩანს: აკეთ-ებ-ს → აკეთ-ენ-ს → აკეთ-ან-ს... საბოლოო შედეგი **ა** ხმოვნისანი ვარიანტის გაჩენაა....

როგორც ჩანს, თემის ნიშანთა ისტორიული მონაცვლეობის საფუძველი და მიზანი უფრო რთული და მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი მარტივი ფონეტიკური პროცესი (გ-მ... მ-ვ... ვ-ნ...). ამ საკითხს თემის ნიშანთა სისტემის ანალიზისას კვლავ დავუბრუნდებით...

* * *

-ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნებთან დაკავშირებული ერთი თავისებურება ვნებითის ფორმათა წარმოებაა.

-ავ და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარის ზმნებია. ძველ ქართულში თემის ნიშნები შესაბამისი ვნებითი გვარის ფორმებსაც გადაჰყვება:

მალ-ავ-ს — ი-მალ-ვ-ის

აბ-ამ-ს — და-ი-ბ-მ-ის

ვნებითი გვარის ზმნებმა ახალ ქართულში ორგვარი ცვლილება განიცადა:

იმალ-ვ-ი-ს — ი-მალ-ებ-ი-ს — ი-მალ-ებ-ა

თუ პირველი ვარიანტი ნორმა იყო ძველი ქართულისათვის, ბოლო ვარიანტი ნორმაა ახალი სალიტერატურო ქართულისათვის. სამივე ეს საფეხური დასტურდება ქართულ სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. და რაც არსებითია, სამივე ეს საფეხური დასტურდება თანამედროვე ქართულის დიალექტებში.

დავარქვათ ამ საფეხურებს: ა) არქაული (**იმალ-ვ-ი-ს**), ბ) გარდამავალი (**იმალ-ებ-ი-ს**) და გ) ახალი (**იმალ-ებ-ა**)...

რამდენადაც მოულოდნელი იყო ჩვენთვის, არქაული ვარიანტი შემოგვენახა არა იმ დიალექტებში, რომლებშიც ჩვეულებრივ დასტურდება არქაული ფაქტები და მოვლენები. მხედველობაში გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები. არქაული ვარიანტი დასტურდება იმ დიალექტებში, რომლებშიც უფრო მეტად ზმნურ ფორმაწარმოებაში ინოვაციური პროცესებია განვითარებული: **გურულში, აჭარულში, იმერნულში, რაჭულში, ზემოიმერულში**... აღმოსავლური დიალექტებიდან **იმალ-ვ-ის** ტიპის ფორმები მთიულურში დავადასტურეთ.

გარდამავალი საფეხური (იმალ-ებ-ი-ს...) დასტურდება **ხევსურულში, ფშაურში, თუშურში, მოხურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ინგილოურში, ფერეიდნულსა და რაჭულში**. ამ დიალექტთა უმეტესობაში დასტურდება პარალელური ვარიანტები **-ებ-ა** დაბოლოებით...

-ავ/-ამ თემის ნიშნები ამ დიალექტებში ჩაანაცვლა **-ებ** თემის ნიშანმა, თუმცა ფორმათა ტრანსფორმაცია ამით არ დასრულებულა: დი-

ალექტთა ერთ ჯგუფში ახალი (იმალ-ებ-ა...) ვარიანტი დამკვიდრდა. ეს დიალექტებია: **ქართლური, კახური, მესხურ-ჯავახური, ქვემოიმერული, ლეჩხუმური**... სალიტერატურო ენა ამ ვარიანტს ემყარება.

4.8.3.2. -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ტრანსფორმაციისათვის

ძველ ქართულ ენაში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა უწყვეტლის პარადიგმა რამდენიმე თავისებურებას ავლენს. ყველა სხვა ტიპის ზმნისაგან განსხვავებით უწყვეტლის მწკრივის ფუძე არ ემყარება აწმყოს ფუძეს; ეს არის პარადიგმა, რომელშიც ირდევია **თემის პრინციპი**: თემა (ანუ სერიისათვის საერთო ფუძე) მოეპოვება I სერიის სამ მწკრივს (უწყვეტელს, I თურმეობითსა და I კავშირებითს); აწმყოს „თემა“ (საყრდენი ფუძე) სხვაა. I ხოლმეობითისა და I კავშირებითისათვის საყრდენია უწყვეტლის III პირის ფორმა (**ვ-იდ**, **მ-იდ** დაბოლოებით); ასე რომ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა პირველ სერიაში საერთო თემა არა გვაქვს: სამი პრინციპულად განსხვავებული ფუძე მოგვეპოვება: აწმყოში **-ავ/-ამ** ფორმანტიანი, უწყვეტლის I და II პირში **-ევ-დ/-ემ-დ** დაბოლოებიანი და უწყვეტლის III პირში და მომდევნო მწკრივებში **-ვ-იდ/-მ-იდ** დაბოლოებიანი.

- I. მალ-ავ / ა-ბ-ამ (I ვარიანტი)
- II. მალ-ევ-დ / ა-ბ-ემ-დ (II ვარიანტი)
- III. მალ-ვ-იდ / ა-ბ-მ-იდ (III ვარიანტი)

ეს სამი ვარიანტი გვაქვს I სერიაში მწკრივის საყრდენი ფუძისა. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

აწმყო	ვ-მალ-ავ ჰ-მალ-ავ მალ-ავ-ს	ვ-მალ-ავ-თ ჰ-მალ-ავ-თ მალ-ვ-ენ	ვ-ა-ბ-ამ ა-ბ-ამ ა-ბ-ამ-ს	ვ-ა-ბ-ამ-თ ა-ბ-ამ-თ ა-ბ-მ-ენ
უწყვე.	ვ-მალ-ევ-დ ჰ-მალ-ევ-დ მალ-ვ-იდ-ა	ვ-მალ-ევ-დ-ი-თ ჰ-მალ-ევ-დ-ი-თ მალ-ვ-იდ-ეს	ვ-ა-ბ-ემ-დ ა-ბ-ემ-დ ა-ბ-მ-იდ-ა	ვ-ა-ბ-ემ-დ-ი-თ ა-ბ-ემ-დ-ი-თ ა-ბ-მ-იდ-ეს
I ხოლმ.	ვ-მალ-ვ-იდ-ი ჰ-მალ-ვ-იდ-ი მალ-ვ-იდ-ი-ს	ვ-მალ-ვ-იდ-ი-თ ჰ-მალ-ვ-იდ-ი-თ მალ-ვ-იდ-ი-ან	ვ-ა-ბ-მ-იდ-ი ა-ბ-მ-იდ-ი ა-ბ-მ-იდ-ის	ვ-ა-ბ-მ-იდ-ი-თ ა-ბ-მ-იდ-ი-თ ა-ბ-მ-იდ-ი-ან
I კავშ.	ვ-მალ-ვ-იდ-ე ჰ-მალ-ვ-იდ-ე მალ-ვ-იდ-ე-ს	ვ-მალ-ვ-იდ-ე-თ ჰ-მალ-ვ-იდ-ე-თ მალ-ვ-იდ-ე-ნ	ვ-ა-ბ-მ-იდ-ე ა-ბ-მ-იდ-ე ა-ბ-მ-იდ-ე-ს	ვ-ა-ბ-მ-იდ-ე-თ ა-ბ-მ-იდ-ე-თ ა-ბ-მ-იდ-ე-ნ

რა ხდება ახალ ქართულში?

ზემოთ წარმოვადგინეთ სამი ვარიანტი | სერიის ფორმათა სა-
ყრდენი ფუძისა: **მალ-ავ/მალ-ევ/მალ-ვ-იდ**. ახალ ქართულში უწყვეტ-
ლის პარადიგმის ტრანფორმაცია განხორციელდა სწორედ ამ სამი მი-
მართულებით. სხვადასხვა დიალექტმა სხვადასხვა გზა აირჩია
-ავ და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა | სერიის პარადიგმის ასაგებად.

ერთსაც შევნიშნავთ: თავად **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანი დიალექ-
ტებში სხვადასხვა ცვლილებას განიცდის: **-ავ→-ამ, -ამ→ავ, ავ/-ამ→ან**.
ჩვენ ამჯერად ეს ცვლილებები არ გვაინტერესებს; ვსაუბრობთ უწყვეტ-
ლის წარმოების პრინციპებზე, ამიტომ ამოსავალ **-ავ/-ამ** ვარიანტზე
ვიმსჯელებთ. ამ შემთხვევაში ყურადღებას არ მივაქცევთ არც პირის
ნიშნებს (მაგ. თუშურში უწყვეტლის ფორმაა **ღ-მალ-ევ-დ** და ა. შ.).
ცხადია, თითოეული დიალექტის აღწერისას, მის პარადიგმებში ეს ყო-
ველივე გათვალისწინებული იქნება.

1. დიალექტთა ერთ ჯგუფში | სერიის პარადიგმა გასწორდა და
უწყვეტელსა და მასზე დამყარებულ მწკრივებს საფუძვლად დაედო |
ვარიანტი ფუძისა **-ავ/-ამ** თემისნიშნის ფუძე. მსჯელობის სიმარტივი-
სათვის მხოლოდ **-ავ** თემისნიშნის ზმნებს წარმოვადგენთ. როგორც
ცნობილია, **-ამ** თემისნიშნის ზმნები ძირითადად იმეორებს იმ თავი-
სებურებებს, რომლებიც **-ავ** თემისნიშნის ზმნებს აქვთ. არსებობს მცირე
სხვაობა, რასაც თავის ადგილზე მივუთითებთ.

2. დიალექტთა ამ ჯგუფში პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

აწმყო:	ვ- მალ-ავ	ვ- მალ-ავ-თ
	მალ-ავ	მალ-ავ-თ
	მალ-ავ-ს	მალ-ავ-ენ
უწყვ.	ვ- მალ-ავ-დ-ი	ვ- მალ-ავ-დ-ი-თ
	მალ-ავ-დ-ი	მალ-ავ-დ-ი-თ
	მალ-ავ-დ-ა	მალ-ავ-დ-ენ
კავშ.	ვ- მალ-ავ-დ-ი	ვ- მალ-ავ-დ-ე-თ
	მალ-ავ-დ-ე	მალ-ავ-დ-ე-თ
	მალ-ავ-დ-ე-ს	მალ-ავ-დ-ენ

თუ არის რომელიმე დიალექტში | ხოლმეობითი, პრინციპულად
იგი იმეორებს უწყვეტლისა და | კავშირებითის საყრდენ ფუძეს. რამ-
დენადაც | ხოლმეობითის ორგანული წარმოება მხოლოდ ზოგ დია-
ლექტში დასტურდება და თანაც მწკრივის წარმოება სხვადასხვაობს,
პარადიგმას აქ არ წარმოვადგენთ.

დავარქვით ამ ვარიანტს **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა **უწყვეტლის პარადიგმის განვითარების პირველი გზა**.

ეს ვარიანტი **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნებში I სერიის მწკრივთა წარმოებისა გვაქვს **ქართლურში, კახურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყურულში, ქვემოიმერულში**. როგორც ჩანს, აქ შემოვა ლეჩხუმურიც: დღემდე გამოქვეყნებული ტექსტები და სამეცნიერო ლიტერატურა ამას უჭერს მხარს. თუმცა ქ. ძოწენიძე შენიშნავდა, რომ მკვლევარ მ. ალავიძის ცნობით, ლეჩხუმურისათვის დამახასიათებელია **მალ-ვ-იდ-ა** ტიპის წარმოებაო (ძოწენიძე, 1971, გვ.). ჩვენ ეს ვერ დავადასტურეთ.

ასევე უნდა ითქვას ინგილოურზეც. გ. იმნაიშვილი იმოწმებს ფორმას **დაინახიდნენ** (იმნაიშვილი, 1966, 116). ამ მაგალითს იმოწმებს ვ. აბაშვილიც. თუმცა ამ ტიპის ფორმები, ფაქტობრივ დღეს არ დასტურდება (მ. ბარჩხაშვილის ცნობით).

უწყვეტლის წარმოების ამ ვარიანტს ეფუძნება ახალი ქართული სალიტერატურო ენა. როგორც ვთქვით, ამ ვარიანტით გასწორდა პარადიგმა: **-ავ/-ამ** თემისნიშნიანი ზმნები I სერიის ფორმებს სხვა თემისნიშნიან ზმნათა მსგავსად იწარმოებენ.

2. დიალექტთა მეორე ჯგუფში საყრდენად გამოიყენება ფუძის მეორე — ე ხმოვნისანი — ვარიანტი: **მალ-ევ-დ**. აწმყო ჩვეულებრივ **-ავ** თემისნიშნიანია. უწყვეტლის პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

ვ-მალ-ევ-დ-ი

ვ-მალ-ევ-დ-ი-თ

მალ-ევ-დ-ი

მალ-ევ-დ-ი-თ

მალ-ევ-დ-ა

მალ-ევ-დ-ენ (ზოგ დიალექტ-

ში დაბოლოება **-ეს** გვაქვს; თუმცა, როგორც შევნიშნეთ, განსახილველი საკითხისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს).

ეს ფუძე არის საყრდენი I კავშირებითისა და I ხოლმეობითისათვისაც (სადაც ეს მწკრივი გვაქვს).

ამ ვარიანტში არქაული არის ის, რომ **ევ-დ** დაბოლოება არის გამოყენებული. ინოვაცია არის ის, რომ ეს დაბოლოება გვაქვს სამივე პირში (ძველში მხოლოდ I-II პირში იყო) და უწყვეტლისაგან წარმოებულ მწკრივებში (ძველად ეს მწკრივები III პირის ფორმას ემყარებოდნენ, **ვ-იდ** დაბოლოებიანს).

მსგავსი პარადიგმა გვაქვს **ხევსურულში, თუშურში, ფერეიდ-ნულში, ზემოიმერულში, რაჭულში, აჭარულსა და იმერხეულში**.

შევნიშნავთ: გასულ საუკუნეში თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ მეტყველებას იმერხეულად (ან: კლარჯულად) განვიხილავდით — ერთ დიალექტურ ერთეულად. ბოლო ათწლეულების კვლე-

ვის შედეგად თურქეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ქართული დიალექტის არსებობაზე მიანიშნებენ (შავშური, კლარჯული, იმერხეული, ლივანური, მაჭახლური...). უწყვეტლის წარმოების ეს ვარიანტი (ევ-დ დაბოლოებით) სამხრული ქართული მეტყველების ფაქტია.

ეს (ევ-დ დაბოლოებიანი წარმოება) არის **მეორე გზა უწყვეტლის პარადიგმის ტრანფორმაციისა.**

3. **მესამე გზა უწყვეტლის პარადიგმის ტრანფორმაციისა** არის **ვ-იდ** დაბოლოებიანი წარმოება; ანუ მესამე ვარიანტი ძველი ქართულის I სერიის ფუძისა. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

უწყვეტელი:	ვ-მალ-ვ-იდ-ი	ვ-მალ-ვ-იდ-ი-თ
	მალ-ვ-იდ-ი	მალ-ვ-იდ-ი-თ
	მალ-ვ-იდ-ა	მალ-ვ-იდ-ნენ (ან -ეს)

ეს ფუძე (**მალ-ვ-იდ**) არის საყრდენი I სერიის სხვა მწკრივთათვისაც.

ამ ვარიანტში არქაული არის უწყვეტლის მესამე პირისა და სხვა მწკრივთა წარმოების პრინციპი; ინოვაცია არის უწყვეტლის I-II პირთა წარმოება. არქაული ფაქტია ასევე აწმყოსა და უწყვეტლის ფუძეთა სხვაობაც.

ამგვარი წარმოება გვაქვს **ფშაურში, რაჭულში, გურულსა და აჭარულში.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი წარმოების კვალს პოულობენ ლეჩხუმურსა და ინგილოურშიც, თუმცა ეს უკვე გავლილი ეტაპია...

როგორც ვხედავთ, რაჭულსა და აჭარულში დასტურდება პარადიგმის განვითარების ორი გზა: **ევ-დ** და **ვ-იდ** დაბოლოებიანი. სპეციალურ დიტერატურაში ამ დიალექტებში დადასტურებული ეს ორი ვარიანტი პარალელურ წარმოებად განიხილება. თავისთავად საინტერესო ფაქტია. როგორია ამ დიალექტებში ამ წარმოებათა ურთიერთმიმართება; ერთსა და იმავე კილოკავსა თუ თქმაში, ერთსა და იმავე პირთან დასტურდება ორივე ვარიანტი, თუ არის რაიმე განსხვავება მათ გამოყენებაში, როგორია ტენდენციები ამ მოვლენის განვითარებისა — ამ კითხვებზე პასუხი სპეციალურ ლიტერატურაში არ არის. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

* * *

როგორც ვიცით, **-ავ/-ამ** თემისნიშნისეული ხმოვანი ძველ ქართულში რედუცირდება, როცა მას ხმოვანსუფიქსი დაერთვის. პირიან ფორმებში ეს არის აწმყოს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი

რიცხვის ფორმა (**მალ-ვ-ენ, ა-ბ-მ-ენ...**) და უპირო ზმნებში (**მალ-ვ-ა, დაბ-მ-ა... მალ-(ვ)-ულ-ი, დაბ-მულ-ი...**).

ახალ ქართულში ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა. პირიან ფორმაში ხმოვანი შენარჩუნებულია — **მალ-ავ-ენ, აბ-ამ-ენ...** უპირო ფორმებში რედუცირდება (**მალ-ვ-ა, დაბ-მ-ა...**).

დიალექტებში ამ მხრივ არ არის ერთგვარი ვითარება: სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში თემისნიშნისეული ხმოვანი ზოგან რედუცირებულია (**მალ-ვ-ენ, აბ-მ-ენ...**), ზოგან შენარჩუნებულია (**მალ-ავ-ენ, აბ-ამ-ენ**).

შეინიშნება ერთი კანონზომიერება: **იმ დიალექტებში, რომლებშიც აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში ხმოვანი რედუცირებულია, უწყვეტელში გვაქვს ან მეორე (ევ-დ დაბლოლოებიანი), ან მესამე ტიპის (ვ-იდ დაბლოლოებიანი) პარადიგმა.** დიალექტებში, რომლებშიც ავ/ამ თემისნიშნისეული ხმოვანი რედუქციას არ განიცდის, გვაქვს I ტიპის (**ავ-დ დაბლოლოებით**) პარადიგმა.

მალ-ავ-ენ → მალ-ავ-დ-ა...
 მალ-ვ-ენ → მალ-ევ-დ-ა
 → მალ-ვ-იდ-ა

ძნელი სათქმელია, რა მიზეზშედევობრივი კავშირი არის აწმყოში თემისნიშნისეული ხმოვნის რედუქციასა და უწყვეტლის წარმოების ტიპს შორის, თუმცა შესაბამისობა ფაქტია.

მალ-ვ-ენ ტიპის ფორმები სადაც ნორმალა, იქ ეს შესაბამისობა მყარია.

სადაც ამ ტიპის ფორმათა გადასვლა ხდება **მალავ** ტიპის წარმოებაზე, იქ ეს შესაბამისობა მოხსნილია.

მაგალითად, მოხეურში პარალელურად იხმარება **მალა, მალ-ავ-ენ** და **მალ-ვ-ენ** ტიპის წარმოება. რაც შეეხება **-ამ** თემისნიშნისეულს, ისინი ჩვეულებრივ სრულად წარმოგვიდგენენ ხმოვანს: აბ-ამ-ენ.

ე. ი. გვაქვს: მალ-ვ-ენ || მალ-ავ-ენ
 მაგრამ — აბ-ამ-ენ

აშკარაა ტენდენცია უკუმშველობისა. უწყვეტლის I ტიპის პარადიგმაც სწორედ ამის შედეგი ჩანს — შესაბამისია იმ ვითარებისა, რა ტენდენციაც დაისახა დიალექტში.

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მოხეური გვიჩვენებს გარდამავალ ვითარებას არქაულსა და ახალ წარმოებას შორის. ამის დასტურია მოხეურში ხოლმეობითის წარმოება: ერთდროულად დასტურდება რამდენიმე ვარიანტი: აკეთ-ებ-დ-ის || აკეთ-ებ-დ-ის-კე || აკეთ-ებ-

და-კე. ორგანული და აღწერითი წარმოება გვაქვს გვერდიგვერდ. ეს არის ტენდენცია აღწერითი წარმოების გაბატონებისა... თითქმის იგივე ითქმის მთიულურ-გუდამაყრულზეც **-ავ-ამ** თემისნიშანთა ხმოვანი არ რედუცირდება ძირითადად, თუმცა სპორადულად შეკუმშული ვარიანტიც შეიძლება შეგვხვდეს. აქაც აშკარაა ტენდენცია უკუმშელობისა. უწყვეტლის წარმოება პირველი ტიპისაა.

ავ/ამ თემისნიშანიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ტრანსფორმაცია, როგორც ვხედავთ, სამი მიმართულებით განვითარდა. ძველი ქართული პარადიგმა სუბლექტური იყო: I-II პირის ფუძე განსხვავებული იყო III პირის ფუძისაგან.

**ვ-მალ-ევ-დ
მალ-ევ-დ
მალ-ვ-იდ-ა**

ახალი ქართულის სამივე ვარიანტში უწყვეტლის პარადიგმა გასწორდა:

(1) ვ- მალ-ავ-დ-ი	(2) ვ- მალ-ევ-დ-ი	(3) ვ- მალ-ვ-იდ-ი
მალ-ავ-დ-ი	მალ-ევ-დ-ი	მალ-ვ-იდ-ი
მალ-ავ-დ-ა	მალ-ევ-დ-ა	მალ-ვ-იდ-ა

I ვარიანტის შემთხვევაში თვისობა იცვალა თემის ნიშნებმა: აწმყოს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის რიცხვში თემისნიშნისეული ხმოვანი არ რედუცირდება: მალ-**ავ-ენ**, ა-ბ-**ამ-ენ**. უწყვეტლის წარმოების პრინციპიდან გამომდინარე (ქართული ზმნა, 2010, 313), მარცვლოვანი, არარედუცირებადი საყრდენი მორფემის შემთხვევაში უწყვეტელი **-დ** სუფიქსს დაირთავს. შესაბამისად, ამ ვარიანტში გასწორდა I სერიის პარადიგმა.

აწმყო:	ვ- მალ-ავ	ვ- ა-ბ-ამ
	მალ-ავ	ა-ბ-ამ
	მალ-ავ-ს	ა-ბ-ამ-ს
	ვ- მალ-ავ-თ	ვ- ა-ბ-ამ-თ
	მალ-ავ-თ	ა-ბ-ამ-თ
	მალ-ავ-ენ	ა-ბ-ამ-ენ
უწყვეტელი:	ვ- მალ-ავ-დ-ი	ვ- ა-ბ-ამ-დ-ი
	მალ-ავ-დ-ი	ა-ბ-ამ-დ-ი
	მალ-ავ-დ-ა	ა-ბ-ამ-დ-ა
	ვ- მალ-ავ-დ-ი-თ	ვ- ა-ბ-ამ-დ-ი-თ

	მალ-ავ -დ-ი-თ	ა- ბ-ამ -დ-ი-თ
	მალ-ავ -დ-ნენ	ა- ბ-ამ -დ-ნენ
I კავშირებითი:	ვ- მალ-ავ -დ-ე	ვ-ა- ბ-ამ -დ-ე
	მალ-ავ -დ-ე	ა- ბ-ამ -დ-ე
	მალ-ავ -დ-ე-ს	ა- ბ-ამ -დ-ე-ს
	ვ- მალ-ავ -დ-ე-თ	ვ-ა- ბ-ამ -დ-ე-თ
	მალ-ავ -დ-ე-თ	ა- ბ-ამ -დ-ე-თ
	მალ-ავ -დ-ე-ნ	ა- ბ-ამ -დ-ე-ნ

დიალექტებში, სადაც გვაქვს I ხოლმეობითის მწკრივი, ჩვეულებრივ უწყვეტლის ფუძე მეორდება.

I სერიის პარადიგმა გასწორდა III ვარიანტშიც. **-ავ/-ამ** თემისნიშნანთა თვისობა უცვლელი დარჩა; აწმყოს სუბიექტურ მესამე პირის მრავლობით რიცხვში თემისნიშნისეული ხმოვანი რედუცირდება: მალ-**ვ**-ენ, ა-**ბ-მ**-ენ... უწყვეტლის წარმოების პრინციპიდან გამომდინარე, კუმშვადი საყრდენი მორფემის შემთხვევაში უწყვეტელს **-იდ** სუფიქსი აწარმოებს. შესაბამისად, ამ ვარიანტშიც, როგორც ითქვა, გასწორდა სერიის პარადიგმა:

აწმყო:	ვ- მალ-ავ	ვ-ა- ბ-ამ
	მალ-ავ	ა- ბ-ამ
	მალ-ავ -ს	ა- ბ-ამ -ს
	ვ- მალ-ავ -თ	ვ-ა- ბ-ამ -თ
	მალ-ავ -თ	ა- ბ-ამ -თ
	მალ-ვ -ენ	ა- ბ-მ -ენ
უწყვეტელი:	ვ- მალ-ვ -იდ-ი	ვ-ა- ბ-მ -იდ-ი
	მალ-ვ -იდ-ი	ა- ბ-მ -იდ-ი
	მალ-ვ -იდ-ა	ა- ბ-მ -იდ-ა
	ვ- მალ-ვ -იდ-ი-თ	ვ-ა- ბ-მ -იდ-ი-თ
	მალ-ვ -იდ-ი-თ	ა- ბ-მ -იდ-ი-თ
	მალ-ვ -იდ-ნენ	ა- ბ-მ -იდ-ნენ
I კავშირებითი:	ვ- მალ-ვ -იდ-ე	ვ-ა- ბ-მ -იდ-ე
	მალ-ვ -იდ-ე	ა- ბ-მ -იდ-ე
	მალ-ვ -იდ-ე-ს	ა- ბ-მ -იდ-ე-ს
	ვ- მალ-ვ -იდ-ე-თ	ვ-ა- ბ-მ -იდ-ე-თ
	მალ-ვ -იდ-ე-თ	ა- ბ-მ -იდ-ე-თ
	მალ-ვ -იდ-ენ	ა- ბ-მ -იდ-ენ

უწყვეტლისა და მისგან ნაწარმოებ მწკრივთა პარადიგმა გასწორდა, მაგრამ სხვაობას გვაძლევს აწმყოს პარადიგმასთან მეორე ვარიანტი: უწყვეტელი **-ევ/-ემ** სუფიქსიანია, რაც ვარაუდობს **-ლ** სუფიქსიან წარმოებას, ხოლო აწმყო **-ავ, -ვ, -ამ/-მ** სუფიქსიანია:

აწმყო:	ვ-მალ-ავ	ვ-ა-ბ-ამ
	მალ-ავ	ა-ბ-ამ
	მალ-ავ-ს	ა-ბ-ამ-ს
	ვ-მალ-ავ-თ	ვ-ა-ბ-ამ-თ
	მალ-ავ-თ	ა-ბ-ამ-თ
	მალ-ვ-ენ	ა-ბ-მ-ენ
უწყვეტელი:	ვ-მალ-ევ-დ-ი	ვ-ა-ბ-ემ-დ-ი
	მალ-ევ-დ-ი	ა-ბ-ემ-დ-ი
	მალ-ევ-დ-ა	ა-ბ-ემ-დ-ა
	ვ-მალ-ევ-დ-ი-თ	ვ-ა-ბ-ემ-დ-ი-თ
	მალ-ევ-დ-ი-თ	ა-ბ-ემ-დ-ი-თ
	მალ-ევ-დ-ნენ	ა-ბ-ემ-დ-ნენ
I კავშირებითი:	ვ-მალ-ევ-დ-ე	ვ-ა-ბ-ემ-დ-ე
	მალ-ევ-დ-ე	ა-ბ-ემ-დ-ე
	მალ-ევ-დ-ე-ს	ა-ბ-ემ-დ-ე-ს
	ვ-მალ-ევ-დ-ე-თ	ვ-ა-ბ-ემ-დ-ე-თ
	მალ-ევ-დ-ე-თ	ა-ბ-ემ-დ-ე-თ
	მალ-ევ-დ-ნენ	ა-ბ-ემ-დ-ენ

ესაა ის ვარიანტი, როცა სერიის პარადიგმა არაა გასწორებული. თუმცა ზემოიმერულში ძალიან საინტერესო ტენდენცია იჩენს თავს: აწმყოში **ე** ხმოვნიანი ვარიანტები დასტურდება თემის ნიშნებისა: **მალ-ევ-ენ, ბარ-ევ-ენ, თიბ-ევ-ენ, სვ-ევ-ენ... მალ-ევ, ბარ-ევ, თიბ-ევ (...)** აწმყოს მესამე პირის მრავლობითის ფორმაში გამოვლინდება... ვფიქრობთ, ეს არის მცდელობა I-III ტიპის პარადიგმათა მსგავსად სერიის პარადიგმის გასწორებისა. რით დასრულდება ეს მცდელობა, ძნელი სათქმელია.

როგორც ითქვა, მესხურში გვაქვს პროცესი **-ავ→-ან** (მალ-**ან-ს**), **-ებ→-ან** (აკეთ-**ან-ს**). პარალელურად დასტურდება **-ენ** ფორმანტიანი ვარიანტი აწმყოში — აკეთ-**ენ-ს**, მალ-**ენ-ს**.

აქ, მესხურში, პარალელურ პარადიგმებს ადასტურებენ (მ. ბერიძე):

ვ-რგ-ან || ვ-რგ-ენ

რგ-ან || რგ-ენ

რგ-ან-ს || რგ-ენ-ს... მესხურში მეორე ტიპის პარადიგმაა უწყვეტელში: ვ-რგ-ენ-დ-ი... ეს ფაქტიც პარადიგმის გასწორების მცდელობად გვესახება...

-ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ტრანსფორმაციის ცხრილი

	აწმყო S ₃ მრავლობითი		უწყვეტლის წარმოების ტიპი		
	ვ/მ-ენ	ავ/ამ-ენ	ავ/ამ-დ	ევ/ემ-დ	ვ/მ-იდ
ხევსურული	+			+	
ფშაური	+				+
თუშური	+			+	
მთხეური	ვ-ენ +	ამ-ენ +	+		
მთიულურ-გუდამაყრული		+	+		
ქართლური		+	+		
კახური		+	+		
ინგილოური		+	+		
ფერეიდნული	+			+	
მესხურ-ჯავახური	+			+	
ზემოიმერული	+			+	
ქვემოიმერული		+	+		
ლეჩხუმური		+	+		
რაჭული	+			+	+
გურული	+				+
აჭარული	+			+	+
იმერხეული	+			+	

4.8.3.3. -ავ და -ამ თემისნიშნიან ორპირიან გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა შესახებ

-ავ და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა ფორმაწარმოებასთან რამდენიმე საინტერესო საკითხია დაკავშირებული | თურმეობითში. ეს საკითხები საკმაოდ პრობლემურია; აქ რამდენიმე კითხვა იჩენს თავს: რა მიმართებაა სალიტერატურო და არალიტერატურულ ფორმათა შორის (მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ნორმატული **დაუმალავს, უთქვამს** და, მეორე მხრივ, არანორმატული **დაუმალია, უთქვია**). არალიტერატურული ფორმა არის თუ დიალექტური და, საერთოდ, ფორმა, რომელიც ყველა დიალექტში დასტურდება, უნდა ჩაითვალოს თუ არა დიალექტურად?..

ია დაბოლოებით ფორმები დამახასიათებელია თითქმის ყველა დიალექტისათვის, ქალაქური მეტყველებისათვის; ფაქტია საშუალო ქართულისთვისაც. ანუ: ერთმანეთს უპირისპირდება სამწიგნობრო ნორმა და ზეპირმეტყველება: თუმცა არაა მთლად ზუსტი ასეთი მსჯელობა: **ია** დაბოლოებიანი ფორმები სამწიგნობრო ენისათვისაც არ არის უცხო; პირიქით, ზოგჯერ სჭარბობს კიდევ -ავ/-ამ დაბოლოებიან ფორმებს.

რამდენადაც პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთი დიალექტურად მოიაზრება, საჭიროდ მიგვაჩნია ამ ფორმებზე მსჯელობა.

მაშ ასე, განვიხილავთ ორპირიან -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებში | თურმეობითის პარალელურ ფორმებს: **დაუმაღავს // დაუმაღია, უთქვ-ამს // უთქვია...**

როგორც ვთქვით, დასახელებულ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით, „ერთადერთ სალიტერატურო ფორმად“ მიიჩნევა თემისნიშნიანი ვარიანტები; „არალიტერატურულად უნდა იქნეს მიჩნეული“ -**ია** დაბოლოებიანი ფორმები (ნორმები, 1986, 217).

მიჩნეულია, რომ -**ია** დაბოლოება -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებში მიიღება იმ ზმნების ანალოგიით, რომელთაც | თურმეობითში -**ია** დაბოლოება აქვთ (გაუყეთებ-ია, დაუწერ-ია...).

რამდენადაც ფორმათა სწორი კვალიფიკაცია საფუძველი უნდა გახდეს ნორმის დადგენისა, შევეცდებით არსებული თვალსაზრისების მიმოხილვას და შესაბამისი დასკვნის გაკეთებას.

არაორაზროვანი და პრინციპულია ნორმადართა დასკვნა: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად** უნდა დარჩეს -ავ და -ამ სუფიქსიანი ფორმები, ხოლო -**ია** დაბოლოებიანი ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს“ (იქვე, 217) (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

რატომ? — იმიტომ, რომ თემისნიშნიანი ფორმები

ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;

ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;

გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ (იქვე, 216).

შესაბამისად იგულისხმება, რომ -**ია** დაბოლოებიანი ფორმები

ა) არ არის მართებული ფორმები წარმოების თვალსაზრისით;

ბ) არ არის მართებული ფორმები ისტორიული თვალსაზრისით;

გ) არ არის გაბატონებული ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ეჭვი არ შეგვიძლია შევიტანოთ იმაში, რომ თითქმის საუკუნის წინათ, როცა ეს ნორმა მუშავდებოდა, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ფორმები იყო გაბატონებული (მით უმეტეს, რომ დასკვნა კეთდებოდა XIX საუკუნის კლასიკური ლიტერატურის მასალაზე). მაგრამ ეს არგუმენტი ფაქტობრივ დღეს აღარ გამოდგება; დღეს ვითარება შეიცვალა.

განსახილველ საკითხს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ზურაბ ჭუმბურიძემ 1970 წელს. მისი აზრით, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნათა I თურმეობითის **ორივეგვარი წარმოება სალიტერატურო ენაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული**. ამის საფუძვლად მკვლევარი ასახელებს იმ არგუმენტს, რომ „იგი საერთო ენობრივი ტენდენციის გამოხატულებაა, გავრცელებულია მთელი ხალხის სასაუბრო ენაში და **არ წარმოადგენს ერთი რომელიმე დიალექტის (ან დიალექტთა წრის) შემონატანს** სალიტერატურო ენაში; სავსებით ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას, გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანმიმდევრობას; წარმოების პრინციპის მიხედვით მარტივია (ხელს უწყობს უნიფიკაციას, თავიდან გვარიდებს ხელოვნურ ფორმებს); მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია (თავიდან გვაცილებს ფორმათა დამთხვევას და ორაზროვნებას)“ (ჭუმბურიძე, 1976, 35-36) (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

ჩვენ ვეთანხმებით ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისს და შევეცდებით დამატებითი არგუმენტების მოტანას.

უპირველესად გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ არაა ერთგვაროვანი ვითარება I-II და III სუბიექტური პირების (იგულისხმება ვინის რიგი) ფორმათა წარმოების თვალსაზრისით.

თუ III სუბიექტური პირის ფორმათა შემთხვევაში სამწერლობო ენასა თუ ზეპირმეტყველებაში პარალელიზმი ფაქტია (**უნახავს//უნახია**), I და II სუბიექტური პირების ფორმათა შემთხვევაში თემის ნიშნისანი ფორმები (**გუნახავარ, გინახავარ, მინახავარ, უნახავარ...**) თითქმის აღარ გვხვდება არც ზეპირ და არც წერილობით მეტყველებაში; ამ ფორმებს ძირითადად ლინგვისტური განათლების პროფესიონალები თუ გამოიყენებენ. ჩვეულებრივ იხმარება **-ია** დაბოლოებიანი პარადიგმათა მეშველზმნიანი ფორმები (**გუნახივარ, გინახივარ, მინახინარ, უნახინარ...**)

მესამე სუბიექტური პირის შემთხვევაში ზეპირმეტყველებაში ძირითადად **-ია** დაბოლოებიანი ფორმები გამოიყენება (**უნახია, უთქვამს, დაუბია, დაუდგია...**), **-ავ** სუფიქსიანი ფორმები შედარებით იშვიათია; სადაც არის, ძირითადად ნორმათა გავლენის შედეგია.

ასე რომ, ნორმათა დამდგენი კომისიის მიერ შემოთავაზებული ეს არგუმენტი დღეს აღარ გამოდგება **-ია** დაბოლოებიანი ფორმების „უკუსაგდებად“.

რას ნიშნავს ისტორიულად მართებული ფორმები (მეორე არგუმენტი)? **თუ ენაში ხდება სისტემური ცვლილება, -ამ ცვლილების ნებისმიერი ეტაპი ისტორიულად მართებულია.** ვთქვათ, სუბიექტური II პირის გამოხატვაში ისტორიულად მართებულია ხანმეტიც, ჰამეტიც, სანარევი და „უნიშნა“ (დღევანდელი ნორმა) ვარიანტებიც. ამდენად, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის შემთხვევაში **ისტორიულად მართებულია როგორც თემისნიშნიანი, ისე -ია დაბოლოებიანი ფორმები, რადგან ეს უკანასკნელი არის ამ ტიპის ფორმათა განვითარების ბოლო საფეხური.**

დაუ-მალ-ავ-ს > დაუ-მალ-ვ-ია > დაუ-მალ-ია.

ამ პროცესის თაობაზე ქვევითაც ვისაუბრებთ, ასე რომ, მეორე არგუმენტი ჩვენთვის არაა გასაზიარებელი.

რაც შეეხება პირველ არგუმენტს, ჩვენი მსჯელობა არის ცდა იმის დასაბუთებისა, რომ **-ია** დაბოლოებიანი ფორმები მართებულია წარმოების თვალსაზრისით. თუ ეს ჩვენი მსჯელობა მისაღები იქნება, მაშინ გამოვა, რომ სამივე არგუმენტი, რომლებიც **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ფორმათა მართებულობას ამტკიცებს, დღეს **-ია** დაბოლოების სასარგებლოდ მეტყველებს.

მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ, არის თუ არა წარმოების თვალსაზრისით **-ია** დაბოლოებიანი ფორმები კანონზომიერი?

ცნობილი ფაქტია: დრო-კილოთა სისტემა საუღლებელი ფუძის პრინციპებზეა აგებული (ჩიქობავა, 1962). საუღლებელი ფუძის (ამ შემთხვევისათვის ჯობს გამოვიყენოთ ტერმინი თემა) ერთობა არის საფუძველი I და II სერიის მწკრივთა დაჯგუფებისა.

I სერია	II სერია
მალ-ავ-ს	და-მალ-ა
მალ-ავ-და	და-მალ-ოს
მალ-ავ-დეს	

III სერია ამ მხრივ განსხვავებულია — საუღლებელი ფუძე არაა ერთგვარი (ამის თაობაზე ვრცლად იხ.: გოგოლაშვილი 2010).

ჩვენ ამჯერად მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნათა წარმოების საკითხები გვანტერესებს — პრინციპულად განსხვავებულია ვითარება ძველსა და ახალ ქართულში.

ძველ ქართულში III სერიის მწკრივთა საწარმოებლად გამოიყენება როგორც რთული, ისე მარტივი თემა.

კანონზომიერება ასეა: რთული თემა აწარმოებს I თურმეობითის ფორმებს, მარტივი — II თურმეობითისა და III კავშირებითისას.

აწმყო

აღვა-შენ-ებ, განვა-გ-ებ, დავჰ-მალ-ავ

I თურმეობითი

აღმი-შენ-ებ-იეს, განმი-გ-ებ-იეს, დამი-მალ-ავ-ს

II თურმეობითი

აღმე-შენ-ა, განმე-გ-ო, დამე-მალ-ა

III კავშირებითი

აღმე-შენ-ოს, განმე-გ-ოს, დამე-მალ-ოს

როგორც სქემიდან ჩანს, I თურმეობითი ყველა შემთხვევაში რთულ თემას გამოიყენებს, II თურმეობითი და III კავშირებითი — მარტივს.

I თურმეობითის შემთხვევაში განსხვავებას ქმნის ის ფაქტი, რომ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნთან ზმნებს **-იეს** დაბოლოება არა აქვთ. ამ მხრივ საშუალო ქართულის მიჯნაზე უნიფიცირების ტენდენციაც იჩენს თავს — **-ავ** თემისნიშნანებს **-ია** დაბოლოება დაერთვის: **დაუ-მალ-ვ-ია...**

ამ ტიპის ფორმები (**შემიკრავიეს, შეგიკრავიეს, შეუკრავიეს**) ანტონის პარადიგმებშიც მოხვდა ჩვეულებრივი (**შემიკრავს, შეგიკრავს, შეუკრავს**) ტიპის ფორმათა გვერდით (ანტონი 1998).

დაუ-მალ-ვ-ია ტიპის ფორმები გვხვდება კლასიკურ მწერლობაშიც: **მინახვიანარ** (ილია), **გვინახვია** (მ. ჯავახიშვილი) და სხვა. ფაქტია ზოგ თანამედროვე დიალექტშიც წამოუსხ-მ-ია, დაუდგ-მ-ია, უთქ-მ-ია... (მოხეური) ფორმათა განვითარების დინამიკა ასეთია:

მი-ნახ-ავ-ს > (მი-ნახ-ვ-იეს >) მი-ნახ-ვ-ია > მი-ნახ-ია.

ნარევი ფორმები (ასე უწოდებენ **მინახვია** ტიპის ფორმებს — ნორმები, 216) არ დამკვიდრდა. წარმოება გადავიდა **-ია** დაბოლოებაზე: **მინახავს > მინახია.**

ნარევი ფორმების გაჩენა — ეს იყო მცდელობა ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნათა I თურმეობითის წარმოების უნიფიკაციისა.

აღმი-შენ-ებ-იეს, განმი-გ-ებ-იეს, დამი-მალ-ვ-იეს... ანუ I თურმეობითი ყველა ამ ტიპის ზმნისა იწარმოება რთული თემისაგან **-იეს**

დაბოლოებით, თუმცა ეს ტენდენცია ბოლომდე არ გატარდა — თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ.

მაშ ასე, ძველი ქართულის პრინციპია —

I თურმეობითი — რთული თემა

II თურმეობითი და III კავშირებითი — მარტივი თემა

ვუწოდოთ ამ პრინციპს პირობითად **ფორმათა ერთგვაროვნების ჰორიზონტალური პრინციპი**.

რა ცვლილება მოხდა ახალ ქართულში? მოქმედებითი გვარის ზმნათა ნაწილმა I თურმეობითში რთული თემა შეინარჩუნა და, რაც მთავარია, II თურმეობითსა და III კავშირებითშიც რთული თემა გამოიყენა.

აუ-შენ-ებ-ია
აე-შენ-ებ-ინა
აე-შენ-ებ-ინოს

მეორე ნაწილმა II თურმეობითსა და III კავშირებითში მარტივი თემა შეინარჩუნა და, რაც მთავარია, I თურმეობითშიც მარტივი თემა გამოიყენა:

გაუ-გ-ია
გაე-გ-ო
გაე-გ-ოს

ანუ მოქმედებითი გვარის ზმნები მესამე სერიაში ემყარებიან ან რთულ თემას, ან — მარტივს. დავარქვათ ამას პირობითად **ფორმათა ერთგვაროვნების ვერტიკალური პრინციპი**.

ამგვარი ცვლილებებით III სერიის ფორმათა წარმოებაც ერთგვაროვანი საუღლებელი ფუძის პრინციპს დაემყარა. სამივე მწკრივში ერთგვაროვანი ფუძეა — ან მარტივი თემა, ან — რთული თემა.

ამი-შენ-ებ-ია	ამი-გ-ია
ამე-შენ-ებ-ინა	ამე-გ-ო
ამე-შენ-ებ-ინოს	ამე-გ-ოს

ამიგია ტიპის ფორმათა ჯგუფში შევა **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნები. ასე რომ, **-ია** დაბოლოებიანი ფორმები ახალი ქართული სისიტემის ნაწილია, და, შესაბამისად, მართებულია წარმოების თვალსაზრისით.

თუ ყოველივეს გავითვალისწინებთ, რაც ითქვა, დასკვნა შეიძლება ასეთი გაკეთდეს:

-ია დაბოლოებიანი ფორმები სისტემური ცვლილებების თვალსაზრისით კანონზომიერი ფორმებია და თითქმის თემისნიშნის ფორმათა თანაბრადაა გავრცელებული ზეპირმეტყველებაში. მათ არ შეიძლება მიეცეს დიალექტურის კვალიფიკაცია (დიალექტურია ფორმა, რომელიც გავრცელებულია ერთ ან რამდენიმე ნაირსახეობაში). ამიტომ ისინი უნდა ჩაითვალოს კანონზომიერ ფორმებად. შესაბამისად, **-ია** დაბოლოებიან ფორმებს (**დაუმალია, უნახია... დავუმალივარ, ვუ-ნახივარ...**) უნდა მოეხსნას აკრძალვა და ისინიც მიჩნეული უნდა იქნენ სალიტერატურო ენის კუთვნილებად, რადგან:

- ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

* * *

სისტემის თვალსაზრისით ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტს: **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა I თურმეობითის მეშველზმნიან ფორმებში დღესდღეობით გაცილებით უფრო გავრცელებულია მეორე (ვუწოდოთ გვიანდელი) ვარიანტი, ვიდრე — პირველი (პირობითად — ადრინდელი). პირველი ნორმატული პარადიგმაა, მეორე — „უკუგდებულ უნდა იქნესო“. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი სრულ პარადიგმებს და გავაკეთოთ დასკვნა — არის თუ არა „უკუსადები“ მეორე პარადიგმა:

დამიხატ-ავ-ს	//	დამიხატ-ი-ა მე ის (ისინი)
დაგიხატ-ავ-ს	//	დაგიხატ-ი-ა შენ ის (ისინი)
დაუხატ-ავ-ს	//	დაუხატ-ი-ა მას ის (ისინი)
დაგვიხატ-ავ-ს	//	დაგვიხატ-ი-ა ჩვენ ის (ისინი)
დაგიხატ-ავ-თ	//	დაგიხატ-ი-ა-თ თქვენ ის (ისინი)
დაუხატ-ავ-თ	//	დაუხატ-ი-ა-თ მათ ის (ისინი)
დამიხატ-ავ-ხარ	//	დამიხატ-ი-ხარ მე შენ
დამიხატ-ავ-ხართ	//	დამიხატ-ი-ხართ მე თქვენ
დაგვიხატ-ავ-ხარ	//	დაგვიხატ-ი-ხარ ჩვენ შენ
დაგვიხატ-ავ-ხართ	//	დაგვიხატ-ი-ხართ ჩვენ თქვენ
დაგიხატ-ავ-ვარ	//	დაგიხატ-ი-ვარ შენ მე
დაგიხატ-ავ-ვართ	//	დაგიხატ-ი-ვართ შენ ჩვენ
დაგვიხატ-ავ-ხარ	//	დაგვიხატ-ი-ხარ ჩვენ შენ
დაგვიხატ-ავ-ხართ	//	დაგვიხატ-ი-ხართ ჩვენ თქვენ

დავუხატ-ავ-ვარ	//	დავუხატ-ი-ვარ	მას მე
დავუხატ-ავ-ვართ	//	დავუხატ-ი-ვართ	მას ჩვენ
დაუხატ-ავ-ხარ	//	დაუხატ-ი-ხარ	მას შენ
დაუხატ-ავ-ხართ	//	დაუხატ-ი-ხართ	მას თქვენ
დაგიხატ-ავ-ვართ	//	დაგიხატ-ი-ვართ	თქვენ მე (ჩვენ)
დავუხატ-ავ-ვართ	//	დავუხატ-ი-ვართ	მათ მე (ჩვენ)
დაუხატ-ავ-ხართ	//	დაუხატ-ი-ხართ	მათ შენ (თქვენ)

4.9. მრავალგზისობის გამოხატვის საშუალებები დიალექტებში

4.9.1. ხოლმეობითის მწკრივები

4.9.1.1. მრავალგზისობის კატეგორიისათვის

ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ახალი ქართული ენის მწკრივთა სისტემის წარმოდგენისას წყვეტილისა და ბრძანებითის შემდეგ II ხოლმეობითსაც ასახელებს: „**მეორე ხოლმეობითი**“. გამბობთ „ხოლმეობითი“, რადგანაც ის მრავალგზისობის გაგებას შეიცავს, რომელიც, თუ სათანადო ფორმა არა გვაქვს, „ხოლმე“-თი უნდა გადმოიცეს. ვუმატებთ „მეორეო“, რადგანაც II სერიაში შედის. მაგალითები: ვწერი (დავწერი), ვაშენე (ავაშენი)“ (შანიძე, 1973, 220). ყურადღება მივაქციოთ მაგალითებს და შემდეგ შენიშვნას: „ნაშთის სახით ამ მწკრივის ფორმა საყოველთაოდ „იცის“ და „უწყის“ ზმნათა სახით შემოგვრჩა. ოღონდ მათ დროის თვალსაზრისით ეხლანდელის გაგება მიიღეს...“ და მთავარი: „ეს მწკრივი ახალ ქართულში საყოველთაოდ აღარ არის, — ზოგიერთ კილოს შეჰრჩა. მის ნაცვლად სხვა კილოებმა და სალიტერატურო ენამ შეიმუშავა I ხოლმეობითი, რომელიც უწყვეტელს გამოეყო. ეს შეიმუშავება პარალელურად ხდებოდა II ხოლმეობითის გადავარდნასთან ერთად“ (იქვე, 221). ამ შემთხვევაში II ხოლმეობითი განხილულია როგორც ახალი ქართულის ფაქტი, ოღონდ არა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა (იგულისხმება ორგანული წარმოება), თუმცა მაგალითები (ვწერი — დავწერი, ვაშენი — ავაშენი) ძველი ქართული სალიტერატურო ენისაა (თუ დიალექტების?). ავტორი II ხოლმეობითის ამგვარ ფორმებს სხვა საკითხებზე მსჯელობისასაც მოიშველიებს: „II სერიის ფორმები ამ ზმნისა ყველა სრულია: ნახა, ნახოს, ნახის, ნახე“ (შანიძე, 1973, 271) და სხვა. ფუნქცია ზუსტდება: „მწკრივი იხმარება მრავალჯერ გამეორებული მოქმედების აღსანიშნავად. აგრეთვე ის გადმოგვცემს ჩვეულებითს მოქმედებას, მუდამ გამეორებულ მოქმედებას და ამიტომ შეიძლება, რომ ის წარსულ დროს კი აღარ შეიცავდეს, არამედ სულ დაცლილი იყოს დროის ელემენტისაგან“ (იქვე, 221). სხვაგან ზუსტდება: „მრავალგზითი ფორმა „ხოლმე“-ს გაგებას შეიცავს. ეს „ხოლმე“ შეიძლება დაერთოს ზმნის

ფორმას, მაგრამ რომ არ დაერთოს, იმითაც არა დაშავდება რა“ (იქვე, 211). ეს დაზუსტება იმითაც არის საინტერესო, რომ სწორედ ამ გაგებაში მისცა საფუძველი ტერმინის შერჩევას — ხოლმეობითი. ისიც საგულისხმოა: ა. შანიძე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ხოლმეობის გაგება არაა ერთადერთი ამ ფორმებისათვის: „თუ მოქმედება მეორდება, ის შეიძლება ჩვეულებად გადაიქცეს. ამიტომ მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოსცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმებს ჩვეულებითსაც ეძახიან“ (იქვე, 221). აქ აღვნიშნოთ ისიც, რომ სწორედ ხოლმეობითი არის ერთ-ერთი ის ტერმინი, რომელიც ა. შანიძის წყალობით მარჯვედ შეიქცა და დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურასა და გრამატიკაში: „ხოლმეობითი კარგად ნაწარმოები ტერმინია: „ხოლმე“ — „ხოლმეობითი“ (შდრ. „თურმე“ — „თურმეობითი“, შემოღებული აკ. შანიძისავე მიერ). მისი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ადვილად ირევა „მრავალგზითში“: „აკეთებს ხოლმე“ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს „კეთების“ განმეორებას ექცეოდეს ყურადღება, ნამდვილად კი საჭიროა გადმოიცეს, რომ მოქმედება „ჩვეულებრივ ხდება“, მოქმედებას „ჩვეულებრივად აქვს ადგილი“. ეს რომ არა, „ხოლმეობითი“ შენიშვნას არ გამოიწვევდა. საცა წესია, უფრო ზუსტი იქნებოდა „ჩვეულებითი“ ანდა — კიდევ უფრო — „მიმდინარეობითი“... ამისდა კვალად შეიძლება პერმანენის ბადალად დაგტოვოთ ხოლმეობითი სათანადო აქცენტით („რაც ჩვეულებრივ ხდება“, ამ გაგებით: რაც ხდება ხოლმე“) (ჩიქობავა, 1948, 7).

* * *

მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა ქართული ზმნის ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი ნიშანია. ერთგზისი (ერთხელ შესრულებული მოქმედება) და მრავალგზისი (მრავალჯერ თუ ჩვეულებრივ შესრულებული მოქმედება) ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე გაირჩეოდა ერთმანეთისაგან; თუმცა ამ გარჩევას სხვადასხვა სახე ჰქონდა: ორგანული წარმოება ხოლმეობითისა ჩვენ თვალწინ ბარდება წარსულს და მის ადგილს აღწერითი წარმოება იჭერს.

მრავალგზისობა ის მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენებს შორის პრინციპულ განსხვავებას ქმნის; ძველი ქართულის სისტემიდან (ორგანული წარმოებიდან) ახალი ქართულის სისტემამდე (აღწერით წარმოებამდე) რთული გზა გაიარა. მოგეხსენებათ, ახალ ქართულში მრავალგზისობა სხვადასხვა

მწკრივის ფორმით გადმოიცემა: ნაწილაკების, სხვადასხვა ლექსიკური საშუალებისა თუ ვრცელი კონტექსტის მეშვეობით. ძირითადად -ყე(-კე) ნაწილაკმა იტვირთა მრავალგზისობის გადმოცემა. განვითარების გზა ასეთია:

აკეთებდ-ი-ს → აკეთებდ-ი-ს-კე → აკეთებდა-კე → აკეთებდა... ბოლო საფეხურთან ყველაზე აქტიურია **ხოლმე** ნაწილაკი ან სხვა ლექსიკური საშუალებები (ხშირად, ყოველთვის, მარად, ყოველდღე...).

ანდა: აკეთის → აკეთის-კე → აკეთა-კე...

თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში ამ ტენდენციის განვითარების თითქმის ყველა საფეხურია წარმოდგენილი. ფორმაწარმოებაში გვაქვს არქაიზმებიც და ინოვაციებიც. შევეცდებით ეს სურათი ვაჩვენოთ.

4.9.1.2. მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში

ითქვა: ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, „რაც შეეხება მრავალგზისობას, მისთვის ძველად საგანგებო მწკრივი იყო (და არა მწკრივებიო!? — გ. გ.), რომელიც დღევანდელ მთის კილოებსა და ქიზიყურშია დაცული“.

მრავალგზისობის გამომხატველ დიალექტთა შორის ქიზიყური, ინგილოური და ფერეიდნული ერთ ჯგუფს ქმნიან, სადაც მრავალგზისობის გამოხატვის ცვლილებათა ტენდენციის ერთი ხაზია წარმოდგენილი, სხვადასხვა ეტაპი განვითარების ამ ხაზისა. ამის შესახებ ქვევით ვისაუბრებთ.

მეორე ჯგუფს, უფრო რთულსა და მრავალფეროვანს — აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები ქმნიან (ძირითადად ფხოურს რომ უწოდებდა ა. შანიძე). ესაა ხუთი დიალექტი ქართული ენისა: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ) და მოხური. ამ დიალექტთაგან ძველი ქართულის სამივე ხოლმეობითი შემოგვინახა მხოლოდ ხევსურულმა:

I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი),

II ხოლმეობითი (წყვეტილის ხოლმეობითი),

III ხოლმეობითი (II თურმეობითის ხოლმეობითი).

დანარჩენ ოთხ დიალექტში მხოლოდ I-II ხოლმეობითებია შემორჩენილი.

მთიულური იმით განსხვავდება სხვა დიალექტებისაგან, რომ ძველი ქართულის ვითარება (ხოლმეობითის მწკრივთა წარმოება მაქვს მხედველობაში) ყველაზე უკეთ ამ დიალექტშია შემონახული:

- I ხოლმეობითი: ვ-ჭამ-დ-ი ვ-ჭამ-დ-ი-თ
 ს-ჭამდ-ი ს-ჭამ-დ-ი-თ
 ჭამდ-ი-ს ჭამდ-ი-ან
- II ხოლმეობითი: ვ-ჭამ-ი ვ-ჭამ-ი-თ
 ს-ჭამ-ი ს-ჭამ-ი-თ
 ჭამ-ი-ს ჭამ-ი-ან

ესაა ძირითადი ვარიანტი მრავალგზისობის გამომხატველ ფორმა-თა. იქვე თავს იჩენს **-კე** (← **ყე**) ნაწილაკიანი წარმოება: **იღებს-კე, აიღებდა-კე...** „კე შეიძლება დაერთოს აწმყო-მყოფადის, ნამყო უსრულის ფორმებს“ (ჯორბენაძე, 1989, 285).

არის მესამე ვარიანტიც — ასე ვთქვათ, გარდამავალი, როცა **-კე** დაერთვის ხოლმეობითის ორგანულ წარმოებას: ეზიდებოდ-ი-ს-კე, ეზიდებოდ-ი-ან-კე... გაუშვ-ი-ს-კე, გაუშვ-ი-ან-კე...

როგორც ითქვა, ფორმათა განვითარების დინამიკა ასეთია:

- ჭამდ-ი-ს → ჭამდ-ი-ს-კე → ჭამდ-ა-კე
 გაუშვ-ი-ს → გაუშვ-ი-ს-კე → გაუშვებდა-კე.

სამივე ეს საფეხური არის დადასტურებული მთიულურში, სისტემური თვალსაზრისით უპირატესობა პირველ საფეხურს ენიჭება. მოხეურთან შედარებით ცვლილების პროცესი აქ შენელებულია.

ანალოგიური ვითარებაა მოხეურშიც: აქ შემორჩენილი გვაქვს ძველი ქართულისებური ორგანული წარმოება I-II ხოლმეობითისა (I საფეხური):

- I ხოლმეობითი: (მა)ვ(ს)თიბდ-ი (მა)ვ(ს)თიბდ-ი-თ
 (მა)სთიბდ-ი (მა)სთიბდ-ი-თ
 (მას)თიბდ-ი-ს (მას)თიბდ-ი-ან
- II ხოლმეობითი: (მა)ვ(ს)თიბ-ი (მა)ვ(ს)თიბ-ი-თ
 (მა)სთიბ-ი (მა)სთიბ-ი-თ
 (მას)თიბ-ი-ს (მას)თიბ-ი-ან

ეს სახეობა უკვე იშვიათია მოხეურში, უფრო გავრცელებული კონტამინირებული (II საფეხური და ოდენ **კე** (← **ყე**) ნაწილაკიანი (III საფეხური) წარმოებაა:

- I ხოლმეობითი: ვაკეთებდ-ი-კე ვაკეთებდ-ი-თ-კე
 აკეთებდ-ი-კე აკეთებდ-ი-თ-კე
 აკეთებდ-ი-ს-კე აკეთებდ-ი-ან-კე
- II ხოლმეობითი: (გა)ვაკეთ-ი-კე (გა)ვაკეთ-ი-თ-კე
 (გა)აკეთ-ი-კე (გა)აკეთ-ი-თ-კე
 (გა)ვაკეთ-ი-ს-კე (გა)აკეთ-ი-ან-კე

და ბოლო საფეხური ცვლილებისა: **-კე** ნაწილაკი დაერთვის აწ-მყო-მყოფადის, უწყვეტილისა და წყვეტილის მწკრივთა ფორმებს (ქავთარაძე, 1985, 57); მაგალითები: ცხორი ხშირად **ბრმებაკე**; სულ ის **გუინდაკე**; ადრე **ვღვებითკე**; ნაცარჩიგა **მოგხარშავთკე**; სუილს **გავღბერტყთკე**; მზეზე **გავფენთკე**... „ნამყო-უსრულის ფორმას, ჩვენი დაკვირვებით, **კე** პირველ-მეორე პირში ერთვის, მესამე პირში ის ხოლმეობითს აძლიერებს; ვაკეთებდიკე, აკეთებდიკე, აკეთებდისკე (აკეთებდაკე არ იხმარება!) (ქავთარაძე, 1985, 52).

ასევე მიუთითებენ, რომ „ნამყო სრულის ფორმებთან ძალიან იშვიათია **კე**: გავთიბეკე, გასთიბეკე, გათიბაკე (ე. ი. „მან გათიბა ხოლმე“) მოხეურში ჭერჭერობით თითქმის სულ არ გვხვდება, რადგანაც **გათიბის** ჭერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ მივიწყების გზაზეა, მას გაძლიერება ესაჭიროება და ამით აიხსნება **კე**-ს დართვა“ (ქავთარაძე, 1985, 57).

როგორც ირკვევა, სიხშირული თვალსაზრისით, II საფეხური (კონტამინირებული -ი-კე) სჭარბობს სხვებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოხეური ერთადერთია მთის დიალექტთაგან, სადაც **კე**-ს ადგილს ზოგჯერ **ხოლმე** ნაწილაკი იჭერს. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ასეთ მაგალითს მოიყვანს: „ცხორჩი როცა **ვიყვით ხოლმე**“ (ქავთარაძე, იქვე). თუ ეს სალიტერატურო ენის გავლენა არ არის, უდავოდ საინტერესოა.

ამგვარად, მრავალგზისობის გამოხატვა მთიულურსა და მოხეურში ერთგვარად ხდება; განსხვავებას პროცესის დინამიკა იძლევა: მოხეურში ცვლილება შედარებით დაჩქარებული ტემპით ხდება, ძველიქართულისებრი ფორმები იშვიათია; მთიულურში პირიქით: სწორედ ძველი ვარიანტი არის უფრო გავრცელებული.

ძალზე საინტერესო ვითარებაა თუშურ-ხევსურულ-ფშაურში. ეს დიალექტები ღირსსაცნობ ვარიანტს გვთავაზობენ მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით არქაული და ინოვაციური ვარიანტების შერწყმისას. ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფში მრავალგზისობა ორგანულად იწარმოება (არა გვაქვს ნაწილაკიანი ფორმები), არქაულ ვითარებას ეხმიანება. რაც შეეხება I-II პირებში **-იდ/-ოდ** სუფიქსთა გამოვლენას, ეს ინოვაციაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მრავალგზისობის გამოხატვაში ცვლილების ტენდენციას **-იდ/-ოდ** სუფიქსთა გამოვლენით უჭერს მხარს.

I-II ხოლმეობითის I-II პირის ფორმებში თუშური და ხევსურული დიალექტები **-იდ** სუფიქსს დაირთავენ უწყვეტილისა და წყვეტილის ფუძეზე, ხოლო ფშაური — **-ოდ** სუფიქსს.

შენიშვნა: 1. როგორც ვთქვით, ხევსურულში დასტურდება III ხოლმეობითის ფორმები, „ოლონდ იშვიათი ხმარებისაა ისევე, რო-

გორც ძველ ქართულში“ (ჭინჭარაული, 1960, 145). ა. არაბულის ცნობით, ეს მწკრივი ხევსურულში იწარმოება ძველქართულისებურად:

(მა)მეთიბის	(მა)გვეთიბის
(მა)გეთიბის	(მა)გეთიბისთ
(მა)ეთიბის	(მე)ეთიბის

2. თ. უთურგაიძის მიხედვით, თუშურში I ხოლმეობითი ძველი ქართულისებურად იწარმოება: „უწყვეტლის ხოლმეობითის წარმოება თუშურში ისევე ხდება, როგორც ძველ ქართულში. იმისათვის ამოსავალია უწყვეტლის მწკრივი“ (უთურგაიძე, 1960, 41). ნიმუშად სხვადასხვა ტიპის ზმნათა პარადიგმებია წარმოდგენილი; ერთ-ერთია:

ვთებოდნ	ვთებოდით
სთებოდნ	სთებოდით
თებოდის	თებოდინან

გ. ცოცანიძის აზრით, I ხოლმეობითი, ისევე როგორც II ხოლმეობითი, ხევსურულის მსგავსად (I-II პირის ფორმებზე **-იდ** სუფიქსის დათვით) იწარმოება (ცოცანიძე, 1970).

(მა)ვსთიბდ-იდ-ნ	(მა)ვსთიბდ-იდ-ი-თ
(მა)სთიბდ-იდ-ნ	(მა)სთიბდ-იდ-ი-თ
(მა)სთიბდ-ი-ს	(მა)სთიბდ-ი-ან

ეს ის ვარიანტია, რომელიც გვაქვს თუშურის II ხოლმეობითსა და ამ ჯგუფის სხვა დიალექტებში.

პარადიგმის ნიმუშები I და II ხოლმეობითისათვის დიალექტთა ამ ჯგუფში (თუშური, ხევსურული, ფშაური):


	I ხოლმეობითი	
თუშურ-ხევსურული:	(მა)ვ(ს)თიბდ-იდ-ნ	(მა)ვ(ს)თიბდ-იდ-ი-თ
	(მა)სთიბდ-იდ-ნ	(მა)სთიბდ-იდ-ი-თ
	(მას)თიბდ-ი-ს	(მას)თიბ-ი-ან
ფშაური:	(მა)ვ(ს)თიბდ-ოდ-ი	(მა)ვ(ს)თიბდ-ოდ-ი-თ
	(მა)სთიბდ-ოდ-ი	(მა)სთიბდ-ოდ-ი-თ
	(მას)თიბდ-ი-ს	(მას)თიბდ-ი-ან
	II ხოლმეობითი	
თუშურ-ხევსურული:	(მა)ვთიბ-იდ-ნ	(მა)ვთიბ-იდ-ი-თ
	(მა)თიბ-იდ-ნ	(მა)თიბ-იდ-ი-თ

	(მა)თიბ-ი-ს	(მა)თიბ-ი-ნ
ფშაური:	(მა)ვთიბ-ოდ-ი	(მა)ვთიბ-ოდ-ი-თ
	(მა)სთიბ-ოდ-ი	(მა)სთიბ-ოდ-ი-თ
	(მა)თიბ-ი-ს	(მა)თიბ-ი-ან

თუშურ-ხევსურულ-ფშაური ხოლმეობითი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო:

პირველ ყოვლისა, ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით **-იდ** სუფიქსი (თუშურსა და ხევსურულში) **-ოდ** სუფიქსის (ფშაურში) ტოლფასად წარმოჩნდება.

ინოვაცია (ხოლმეობითის ფორმის სავრცობით გართულება გავთიბ-ი → გავ-თიბ-იდ /ოდ-ი), ვფიქრობთ, მზრის აბმაა იმ ტენდენციისა, ძველი ქართულის ორგანული წარმოების შეცვლა რომ წარმოადგენს; თვითონ გზაა ცვლილებისა განსხვავებული:



I გზით ცვლილება განვითარდა — მთიულურში, მოხეურში, ქიზიყურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში;

II გზით — ქართლ-კახურში (გარდა ქიზიყურისა), დასავლურ დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულში;

III გზით — თუშურში, ხევსურულსა და ფშაურში.

ამგვარად, მრავალგზისობის ორგანული წარმოების მოშლა მკვეთრად გამოხატული ტენდენციაა, რომელიც სხვადასხვა ნაირსახეობაში (დიალექტში) სხვადასხვაგვარად წარიმართა. პროცესი ცოცხალია და რა საბოლოო სახეს მიიღებს, ანდა როდის, ამის თქმა ამჯერად ძნელია.

ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ თუშურ-ხევსურულ-ფშაურში ცვლილება შეეხო მხოლოდ I-II პირს და არა — მესამეს. ეს ფაქტიც იმ ტენდენციის გამოვლენაა, რომელიც საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ქართულში და რომელიც ძველ ქართულშივე იღებს სათავეს. მხედველობაში გვაქვს III პირის განსხვავებული ფორმები I-II პირებთან შედარებით:

ძველ ქართულში — სტატკური ზმნები:

გ-ღგა-თ	გ-გ-ამ-თ
ს-ღგა-თ	ჰ-გ-ამ-თ
ღგა-ან-ან	გმ-ან-ან და მისთ.

-ავ/ -ამ თემისნიშნისანი ზმნების უწყვეტელი:

ვ-კლევდ(ი)	ვ-სუემდ(ი)
ჰ-კლევდ(ი)	ჰ-სუემდ(ი)
კლვიდ-ა	სუმიდ-ა

ახალ სალიტერატურო ქართულში — სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითში მეშველ ზმნას დაირთავს I-II პირები:

ვ-ზი-ვარ	დავ-ბერებულ-ვარ
ზი-ხარ	და-ბერებულ-ხარ
ზი-ს	და-ბერებულ-ა

დიალექტებში სხვადასხვა ტიპის ზმნათა წარმოებაში, მაგალითად: III პირის მრავლობით რიცხვში თემის ნიშანს დაირთავს.

მესხური: ვ-ბაძ-ან	იმერული: მევი-ტან-თ
ბაძ-ან	მეი-ტან-თ
ბაძ-ებ-ენ	მეი-ტანებ-ენ და სხვა...

იდ/ოდ სუფიქსიან ხოლმეობითებშიც ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

საინტერესოდ გვეჩვენება ფშაური ხოლმეობითის I-II პირის ფორმათა დაკავშირება ძველი ქართულის შერეულ ხოლმეობითთან. გავიხსენოთ: ძველ ქართულში მეორე სერიაში იყო მწკრივი შერეული ხოლმეობითი (იგივე შერეული კავშირებითი):

და-ვ-წერ-ოდ-ი	და-ვ-წერ-ოდ-ი-თ
და-ს-წერ-ოდ-ი	და-ს-წერ-ოდ-ი-თ
და-წერ-ოდ-ი-ს	და-წერ-ოდ-ი-ან

II ხოლმეობითისაგან ამ მწკრივს **-ოდ** სავრცობი განასხვავებდა. ხოლმეობითის სხვა მწკრივებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ შესაბამის კონტექსტში მას კავშირებითის ფუნქცია ჰქონდა (ამიტომაც ამ ფორმებს შერეულ კავშირებითსაც უწოდებენ). ფუნქციური თვალსაზრისით ძველ ქართულში შერეულ ხოლმეობითსა და II ხოლმეობითს შორის ფუნქციური თვალსაზრისით რა არის სხვაობა, მთლად ნათელი არ არის. ფაქტია, შერეული ხოლმეობითი ადრე ქრება. ფშაური II ხოლმეობითი ძველი ქართულის II ხოლმეობითისა და შერეული ხოლმეობითის პარადიგმათა შერევის საფუძველზე ჩანს მიღებული: I-II პირთა ფორმები შერეული ხოლმეობითისაა, III პირის ფორმა — II ხოლმეობითის. იგივე პრინციპი აიღო ხევსურულ-თუშურმა, თუმცა **-ოდ** ჩაანაცვლა **-იდ** სუფიქსით...

და კიდევ ერთი კითხვა: როგორ შეიძლება აიხსნას განსხვავება ფშაურსა და თუშურ-ხევსურულს შორის?

ის ფაქტი, რომ სამივე დიალექტში ცვლილების ტენდენცია ერთი გზით წარიმართება, კონვერგენციის პროცესის მოქმედების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული. „კონვერგენცია (← ლათინური „რაც ემთხვევა რასმე“) არის ანალოგიური ან იდენტური მოვლენების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მქონებლობა (პოზიტივობა) ორ ან მეტ დიალექტში... კონვერგენცია უშუალოდაა დაკავშირებული დიალექტთა ინტეგრაციის პროცესთან. ორი რამ — დიალექტთა ურთიერთზეგავლენა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ მსგავს ან იდენტურ მოვლენათა განვითარება სხვადასხვა დიალექტში (კონვერგენცია) ედება საფუძვლად დიალექტთა დაახლოების, ინტეგრაციის პროცესს“ (ჯორბენაძე, 1989, 138). ვფიქრობთ, სწორედ კონვერგენციის პროცესის მოქმედების შედეგი უნდა იყოს ერთგვაროვანი პროცესის ჩასახვა და განვითარება თუშურ-ფშაურ დიალექტებში (ილ/ოდ სუფიქსით გართულება ხოლმეობითის ფორმებისა).

რაც შეეხება განსხვავებას (ილ—ოდ), ბ. ჯორბენაძის აზრით, დივერგენციის პროცესის („საპირისპირო ენობრივი პროცესების მოქმედება ტერიტორიულად ახლომდგომ კილოებსა და კილოკავებში“) მოქმედების შედეგი უნდა იყოს:

ხევსურული და თუშური	ფშაური
და-ვ-წერ-იდ-ი	და-ვ-წერ-ოდ-ი
და-ს-წერ-იდ-ი	და-ს-წერ-ოდ-ი

მსგავსი ტიპის მაგალითები სხვაც სახელდება (ჯორბენაძე, 1989, 135).

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს კიდევ ერთ ტენდენციას — დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციას.

მომიჯნავე დიალექტებს შორის მხოლოდ ურთიერთზეგავლენის ფაქტორი რომ მოქმედებდეს, მაშინ დიალექტებს შორის განსხვავება მოიშლებოდა; ეს კი ხელს შეუწყობდა დიალექტების გაქრობას. არადა, ფაქტები სხვას მეტყველებენ: დიალექტები თანაარსებობენ მეზობლად და ინარჩუნებენ თავისთავადობას. „ეს იმიტომ, რომ ურთიერთზეგავლენასთან ერთად მომიჯნავე დიალექტებში (ასევე ერთი დიალექტის კილოკავებში) თავს იჩენს ურთიერთგამიჯვნის („თვითგამიჯვნის“) აშკარად გამოხატული ტენდენცია“ (ჯორბენაძე, 1989, 37). ასე რომ, ამ შემთხვევაში დიალექტური განსხვავებულობისადმი, დიალექტური თავისებურებებისადმი დამოკიდებულება შეგნებულია — ენობრივი ცნობიერების დონე-

ზე ხდება. ფშაველი თავის ფშავლობას განსხვავებული ენობრივი ფორმებით წარმოადგენს, ისევე, როგორც ხევსური თავის ხევსურობას სწორედ ხევსურული მეტყველების თავისებურებებით გამოავლენს.

4.9.1.3. მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში

დიდად განსხვავებული ვითარება არა გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში; უფრო სწორად, მრავალგზისობის გამოხატვის ზოგადი თვალსაზრისით, ორგანული წარმოებისა გვაქვს I-II ხოლმეობითები; მრავალგზისობას ძირითადად **ყე/კე** ანდა **ხოლმე** ნაწილაკი გამოხატავს. დიდი უპირატესობა აქვს ნაწილაკიან ფორმებს.

ქართულში, კერძოდ, მის ჩრდილოურ კილოკავებში — ქსნისა და არაგვის ხეობებში — ნაშთის სახით შეინიშნება ორგანული წარმოება ხოლმეობითისა: გამამრეკდის, გვაკუთნებდის... დაილოცვის, იყვის... „ამ რიგის წარმოება მოშლის გზაზეა, ხოლმეობითის ფორმები უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში ისმის“ (ჯორბენაძე, 1989, 306; ასევე: იმნაიშვილი, 1974; სომხიშვილი, 1968). ძირითადად მრავალგზისობა იმ საშუალებებით გადმოიცემა, რომლებითაც სალიტერატურო ქართულში.

ვითარება უფრო საინტერესოა კახურსა და მის „განაყარ“ დიალექტებში — ინგილოურსა და ფერეიდნულში. გამოხატვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა კახური (განსაკუთრებით მისი ქიზიყური კილოკავი); აქ გვაქვს შემდეგი სახეობები:

1. არქაული, **-ი** სუფიქსიანი წარმოება (იშვიათად, მაგრამ მაინც): **მაიფშენტამდის, იტყოდის** (I ხოლმეობითი) (მაგალითებს სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიმოწმებთ)... **გამოტყდის, მიუშვიან, დააყრევინიან** (II ხოლმეობითი);

2. არქაულ ფორმაზე დართული **ყე||კე** ნაწილაკი (ძირითადად ქიზიყურში; იშვიათად — გარეკახურში): **გადაუდის-კე, ვიართ-კე, ჩავრივით-კე...**

3. ხოლმეობითის არქაულ ფორმას დაერთვის **ხოლმე** ნაწილაკი და ეს მოვლენა სპეციფიკურია ქიზიყურისათვის: **დაჯეჯილდის ხოლმე, გადააგორიან ხოლმე, მოკვდის ხოლმე, დათესიან ხოლმე...**

4 **ყე || კე** ნაწილაკი დაერთვის აწმყო-მყოფადის (ან სხვა მწკრივის) ფორმებს: **ამბობენკე, იტყოდაკე...**

5. **ხოლმე** დაერთვის აწმყო-მყოფადის (ან სხვა მწკრივის) ფორმებს: **იტყვის ხოლმე, აკეთებდა ხოლმე, გამარგლავდა ხოლმე... ზის ხოლმე, გეტყოდი ხოლმე...**

6. სალიტერატურო ქართულის მსგავსად კახურშიც უწყვეტელ-ხოლმეობითის მწყრივმა ნაწილაკის გარეშე შეიძლება იტვირთოს ეს ფუნქცია: „რაწამ ამოვიდოდა, ხარ(ს) ავშლიდით, ავდგებოდით, დავი-ბანდიო...“ და სხვა...

7. მრავალგზისობა გამოიხატება „უსრული ასპექტის ნამყო ძირი-თადის ფორმათა გამეორებითაც“ (ბ. ჯორბენაძე): „ცხვა, ცხვა, ძლივ გამაცხვა“; „იარა, იარა და ბოლოს მიადგა ერთ სახენწიფო“...

8. „ზოგჯერ მრავალგზისობა გამოიხატება ოდენ უსრული ასპექტის ფორმით: ...იქ ყოფილა ერთი ვაჟიო, დღისით მკვდარა (= კვდებო-და ხოლმე), ღამით ცოცხლებულა (= ცოცხლდებოდა ხოლმე)“ (მარტი-როსოვი, იმნაიშვილი, 1956, 97).

თავისთავად, ქართული ენის ერთ-ერთ უმთავრეს დიალექტში ამ-გვარი სურათის არსებობა მეტყველებს სწორედ ამ მოვლენის — მრავალგზისობის ორგანული წარმოების მოშლის — პრობლემურობაზე; ენაში ისტორიულად მიმდინარე პროცესების თანაარსებობაზე სინქრო-ნულ დონეზე; და იმაზე, რომ ეს ცოცხალი პროცესია და ნელ-ნელა იკვლევს გზას დასრულებისაკენ.

საინტერესო ისტორიული ექსკურსი: რა ვითარება იყო კახურში ისტორიულად (XV-XVI საუკუნეებში) ხოლმეობითის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით, ამ საკითხს შეეხება არ. მარტიროსოვი ერთ-ერთ ნაშრომში (დიალექტიზმები XV-XVI საუკუნეების კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, 1953). ხოლმეობითის ორგანული წარმოების შესახებ ავტორი მცირე შენიშვნას აკეთებს: „გვხვდება II ხოლმეობითის ფორმები; მაგ.: კაცმა ცოლი **გაყი-დის** და თავათ **ღარჩის**“. აქ მხოლოდ ეს ერთი მაგალითია დასახელებული. როგორც ჩანს, ავტორის მიერ შესწავლილ საბუთებში სხვა მაგალითი არ დასტურდება. დასკვნა შესაბამისად ის არის, რომ XV-XVI საუკუნეების კახურ დიალექტში ხოლმეობითის ორგანული წარმოება იშვიათი ფაქტია. ეს დასკვნა კითხვას აჩენს: თუ XX საუკუნეში ხოლმეობითის ორგანული წარმოება ფაქტია (როგორც ზემოთ ვნახეთ), 4-5 საუკუნის წინანდელ მასალაში ეს ფაქტი უფრო მეტად უნდა იჩენდეს თავს.

აქ ერთი ფაქტიც გავიხსენოთ: XIX საუკუნის ცნობილი მწერლის რაფი-ელ ერისთავის შემოქმედებაში როგორც I, ისე II ხოლმეობითის ფორმები არა-იშვიათია (ვემყარებით ლ. იორდანიშვილს — „რ. ერისთავის ენა“, 2015):

რომ **დაუკვირდის, დაჰმღერდის** გულსაც კი **ეფინებოდის**...

შევტუქსავდი ნაზიარებსა.

გასცემდის, უწყალობებდის, ცოტას არ **დააჯერებდის, იწვევდის** სტუ-მართ, დიდებულთ, კეთილად **მოიხსენიებდის.**

ილაღის, იმზიარულის.

მივიდის წირვის სმენასა.

სად მამა-პაპა **მეგულვის**.

დაჰმართის უარესია.

გადაბრუნდის ჩვენი ციგა...

მსგავსი ფორმები რ. ერისთავთან არაა იშვიათი. ჩვეულებრივ ამას მთის კილოთა გავლენით ხსნიან (ზოგჯერ მის წარმომადგენლობას იხსენებენ — რ. ერისთავი არაგვის ერისთავის შთამომავალია, თუმცა კახეთში ცხოვრობდა...). არ ჩანს ეს ასე. XIX საუკუნის კახურში, როგორც ჩანს, ხოლმეობითის ორგანული წარმოება ცოცხალია. რა გვაძლევს ამის საფუძველს? —

1999 წელს თსუ გამომცემლობამ გამოსცა „დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის“. ეს არის აჯანყებულ გლეხთა საჩივრები და ჩვენებები (დაკითხვის ოქმები).

კახეთის ცნობილი აჯანყება 1812 წლის იანვრის ბოლოს დაიწყო და მოიცვა მთელი კახეთი (ქიზიყი, შიგნიკახეთი, გარეკახეთი). აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთავარმართებლის მარკიზ პაულიჩის გადაწყვეტილებით დაიწყო აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესწავლა. შეიქმნა საგანგებო კომისია. შეგროვდა ოცდაათამდე საჩივარი, ათეულობით მოწმე დაიკითხა. 1812 წლის ივნისში მთავარმართებელი შეიცვალა. კომისიამ მუშაობა შეწყვიტა და მოპოვებული მასალები პეტერბურგში გაიგზავნა. შემდეგ ამ მასალამ ბინა დაიღო მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში. 1951 წელს არქივიდან მასალა გადმოწერა და გამოსაცემად მოამზადა ისტორიკოსმა შოთა ხანთაძემ, გამოსცა კიდეც 1961 წელს, თუმცა „არასასურველი გამოცემა“ სტამბაშივე განადგურდა. შემთხვევით გადარჩენილი ცალის მიხედვით 1999 წელს ხელახალი გამოცემა მოამზადა და გამოსცა ისტორიკოსმა დ. ცინცაძემ.

ირაკვევა, რომ მთხრობელები ჩვეულებრივი გლეხები არიან, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი. მათზე წიგნის გავლენა გამორიცხულია; ისინი საუბრობენ ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით. ჩამწერები არიან ძირითადად სასულიერო პირები...

მასალა მრავალმხრივ არის საინტერესო. ჩვენ ამჯერად ხოლმეობითის ფორმები გვაინტერესებს. რა ვითარებაა იმჟამად მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით კახურ დიალექტში?

ხოლმეობითი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ცოცხალია და აქტიურად გამოიყენება მთელ კახეთში; არა აქვს მნიშვნელობა, სად არის ტექსტი ჩაწერილი — ქიზიყში, გარეკახეთში თუ შიგნიკახეთში. ხოლმეობითის მწკრივებს ყველგან თანაბარი სიწმირით ვხვდებით. საილუსტრაციო მასალა:

ქიზიყი: „კამისერისაგან პური რომ **მოგვართვიან**, როგორითაც ჩვენ ერთმანეთში ისყიდებოდეს, სრულებით ფასი არ **მოგვციან** და ისეთის ლიტრით **გვართმევდიან**, რომ თოთხმეტი ლიტრა კოდათ **მიწყვიან** და ბეგარასაგანაც შეწუხებულნი ვიყავით, რომელსაც ხარს აღარ **შეუძლის** წაღება“ (მადარო, ნუკრიანი).

„როცა იმათან **მივიდით** და **შავჩივლით**, უფრო დიდს მწუხარებაში **მიგვციან**, რათა სთქვიო“ (ბოდბე).

„ქირას **დაგვბირდიან** და მოცემა არსად **იყვის**“ (ვაჭირი)

„ჩვენ ცოლებს ჩვენ თვალწინ **სციან** და ჩვენ **დაგვიჭირიან** და ჩვენ ცოლებთან **გვციან**“ (ჭუგანი).

„გააშაკაცებ ცოლები **წაართვიან** და თითონ **დაიჭირიან** და უნამუსოთ **გახიან**“ (ბოლბისხევი).

შიგნიკახური: და ოდეს **მივართმევდით** პურსა, სამს კაცზედ ჩაფს ღვინოსა **დათვრიან** და სხვა უმჯობესი ღვინო **ითხოვიან** და ამა სიღარიბესა შინა მიცემულნი ხალხნი იმოგნიდნენ ღვინოსა უმჯობესსა, შემდგომ **სთხოვიან** დედათავანიც მოგვარეთო“ (ვეჭინი, გარჯაანი).

არ იყო ჩვენი შეწყალება, რა საგძალი **გვექონდის** შევსჭამდით და **დავგრჩებოდით** მშიერნი“ (თელავის მაზრა).

ი კაცი რომ ავთ გახდებოდა, ცემას დაუწყებდნენ ჰსტყუიო და საცა გარი **მოკვდის**, იმის მაგიერ უღელში ჩაგვაბემდნენ (კარდანახი).

გარეკახური: „რაც იმათ **გადარჩის** და ქვევრში ჩავასხემდით, ისიც ქურდობით **ავგინადიან**, რაც შეეძლებოდათ, **წაიდიან** და რაც **დარჩის**, სულ მიწით **აღავსიან** და **წაგვიხდინიან**, რომ ღვინოთ აღარ **გამოგვადგის**“ (კაკაბეთი)...

ამ ტიპის მაგალითები „დოკუმენტებში“ მრავლადაა. თავისთავად ტექსტის შინაარსი ისეთია, სწორედ მრავალგზისობის გამომხატველი ფორმების გამოყენება ხდება აუცილებელი. ასე რომ, ამ დროისათვის კახურ დიალექტში ცოცხალია მრავალგზისობის ორგანული წარმოება; ჩვეულებრივია I და II ხოლმეობითის გამოყენება.

ეს დასკვნა როგორ ეგუება XV-XVI საუკუნეების მასალის ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნას? წინააღმდეგობა არის, მაგრამ ამ წინააღმდეგობას ახსნა აქვს: ის ისტორიული საბუთები, რომლის ანალიზის საფუძველზეც იქნა გამოტანილი დასკვნა, როგორც ჩანს, თავისი ხასიათის იმ შინაარსისაა, რომ მრავალგზისი მოქმედების გამომხატველი ფორმების გამოყენება არ იყო საჭირო... ეს ფაქტი იმის დასტურიც არის, რომ, როცა ამა თუ იმ მოვლენის გავრცელებაზე ანდა გამოყენების სიხშირეზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ საანალიზო მასალის შინაარსს...

„დოკუმენტების“, ენა იმასაც ადასტურებს, რომ ხოლმეობითის ფორმები რ. ერისთავის პოეზიაში კახური დიალექტის იმჟამინდელი ვითარების ამსახველი უნდა იყოს...

ქიზიყურის ამ შთამბეჭდავი სურათის შემდეგ საინტერესოა ინგილოურისა და ფერეიდნულის ვითარება თუნდაც იმის გამო, რომ ეს ორი დიალექტი კახურის განშტოებას წარმოადგენს: „ყველაზე ახლო ფერეიდნული დგას ინგილოურთან, რომელიც წარმოშობით ქიზიყურის ღვიძლი ძმა უნდა იყოს“ (ჩიქობავა, 1927). და ის ისტორიული ძნელ-

ბედობა, რაც ამ დიალექტებს ხვდა წილად, რა გავლენას ახდენს ამ დიალექტებზე ჩვენთვის საინტერესო მოვლენის თვალსაზრისით. ფაქტია, რომ ინგილოურისა და ფერეიდნულისათვის „ენობრივი ღერძი, ხერხემალი კახურია, ოღონდ უხვად შეზავებული სხვა ენების (...) გავლენით“ (ჯორბენაძე, 1989, 338); „ინგილოურიც, ფერეიდნულის მსგავსად, თითქმის მოწყვეტილია ქართულ კილოებს და არც სამწერლობო ქართულის გავლენას განიცდის ისე, როგორც სხვა ქართული კილოები...“ (ჩიქობავა, 1927).

რატომ გავხზავთ ყოველივე ამას: იმ დროისათვის, როცა ამ დიალექტთა დაშორება ივარაუდება, კახურში ხოლმეობითის ორგანული წარმოება გვაქვს. ისტორიულ საბუთებში ეს კარგად იჩენს თავს. თუმცა ამ თემაზე უფრო ვრცლად:

ინგილოურში მოვლენები მხოლოდ ერთი მიმართულებით განვითარდა (გავხზავთ — განვითარდა); ე. ი. პროცესი იქაც გაგრძელდა, ოღონდ არა ისე მრავალფეროვნად, როგორც ეს ამოსავალ დიალექტშია. „ამჟამად ინგილოურში მოქმედების სიხშირის, მის ჩვეულებრიობის აღნიშვნას კისრულობს მხოლოდ **-ყე** (|| ყ) ნაწილაკი“ (იმნაიშვილი, 1966, 121): **ამ ბოვე ნ-ყ** (ამბობენ ხოლმე), **ცხ ვა-ყ** (ცხვება)...

რა ხდება ფერეიდნულში? აქ მრავალგზისობა, ერთი მხრივ, **ი** სუფიქსით გამოიხატება (არქაული ვითარება): **ჩაიგდის, ადგის, წავიდის, აიღის, ...** მეორე მხრივ, **-ყე** ნაწილაკის დართვით. **-ყე**-ს დაირთავს ან I, ან II ხოლმეობითის ფორმები: **ასწავლიდისყე, მისწვდისყე, უამბისყე, შაიტყვისყე** და მისთანანი (ჩიქობავა, 1923-1924; ჩიქობავა, 1927; ჯორბენაძე, 1989). საგულისხმო ის არის, ფერეიდნული იმით შორდება კახურს, რომ ორგანული წარმოებაა თითქმის ერთადერთი საშუალება მრავალგზისობის გამოხატვისა.

ის ფაქტი, რომ ტენდენცია ორივე დიალექტში (ინგილოურსა და ფერეიდნულში) განვითარდა, თავისთავად დადასტურებაა იმისა, რომ ამ ტენდენციას ღრმა და ძლიერი საფუძველი ჰქონდა. ამ ტენდენციის განვითარების რამდენიმე საფეხურზე გვქონდა საუბარი. თუ კახური დიალექტისათვის ზემოწარმოდგენილი სქემიდან ყველა გზა არის დამახასიათებელი, გარდა მესამისა (ავილი → ავილ-იდ/ოდ-ი), ინგილოურსა და ფერეიდნულში ეს ტენდენცია სწორხაზოვნად განვითარდა:

ავილი → ავილი-ყე/კე → ავილებ-ყე

ფერეიდნულში დასტურდება I-II საფეხური (ავილი, ავილი-ყე), ინგილოურში — II-III საფეხური (ავილი-ყე, ავილებ-ყე). ის ფაქტი, რომ

ამოსავალ დიალექტში — კახურში (ძირითადად ქიზიყურ კილოკავში) ტენდენციამ გაცილებით რთული სახე მიიღო, სალიტერატურო ენისა თუ სხვა ქართული დიალექტებისა თუ სამწერლობო ქართულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

ერთ საინტერესო ფაქტსაც გვინდა მივაპყროთ ყურადღება: ფერეიდნულის ტექსტებში არის ისეთი შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე ვარიანტი (არქაული და ყე ნაწილაკიანი) არის წარმოდგენილი: ცხენმა თავი **აიღის** და **გაიქცისყე**; სამჯელ **ავდიყე**, რომ **წავიდე**, არ **გამიშისყე**; იმ დღეს თაყურმა რო ჰარ **მისცისყე**, დღეს ორი იმთენი **მისცა** და მისთანანი (მაგალითები მოგვყავს წერილიდან — ჩიქობავა, 1923-24, 42). ორი კუთხით მივაპყრობთ ყურადღებას: მოსაუბრისათვის ეს ორი ვარიანტი თანაბარი ღირებულების ენობრივი ფაქტია და თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს და, მეორე, მათი მონაცვლეობა სტილისტური ხასიათისა ჩანს. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ დიალექტთა სტილისტიკა (ზეპირ-მეტყველების სტილისტიკა) შესასწავლია.

ხოლმეობითის, როგორც მწკრივის (მწკრივების), გაქრობა ამ კატეგორიის ისტორიის თანმდევი პროცესია. უწყვეტელ-ხოლმეობითის მიერ ამ ფუნქციის შეთავსებამ ვერ დააკმაყოფილა ენის მოთხოვნა მრავალგზისობის გამოხატვისა და ამიტომაც ჩნდება **ხოლმე** ნაწილაკი ამ ფუნქციით. ი. ქავთარაძის აზრით, „თვით სალიტერატურო ენაში და გარკვეულ დიალექტებშიც უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან საბოლოოდ იჩენს თავს ანალოგიურ ფორმათა (იგულისხმება ძველი ქართულის I და II ხოლმეობითები — გ. გ.) მნიშვნელობის დაკარგვა, დავიწყება, რისთვისაც დამატებითი საკომპენსაციო საშუალება — „ხ ო ლ მ ე“ ნაწილაკი ხდება აუცილებელი. ხოლმეობითის ცნობილ ფორმებზე **ხ ო ლ მ ე** ს დართვა ერთგვარი აღდგენაა სათანადო შინაარსისა; ეს ნაწილაკი ინტენსივობის თანდათან გავრცელებული ნაწილაკია, რომელიც შემდეგ ისე ფართოვდება, რომ არახოლმეობითის ფორმასაც ხოლმეობითობას ანიჭებს“ (ქავთარაძე, 1961, 10). ე. ი. ხოლმეობითის ფორმები კარგავენ ხოლმეობითობის შინაარსს და ამ შინაარსის აღდგენას ცდილობს ენა **ხ ო ლ მ ე** ნაწილაკის მეშვეობით; პროცესი გრძელდება; ხოლმეობითის შინაარსი ეცილება ფორმას, ფორმა იკარგება, მაგრამ ამ შინაარსს შეითავსებს სრულად **ხ ო ლ მ ე** ნაწილაკი. მსჯელობა სარწმუნოა:

მრავალგზისი ფორმა + **ხ ო ლ მ ე** → ერთგზისი ფორმა + **ხ ო ლ მ ე**. „**ხ ო ლ მ ე** ნაწილაკიანი აღწერითი ფორმები იმდენად მოქნილი

აღმოჩნდა, რომ მისი მეოხებით მრავალგზისობის გამოხატვა მოხერხდა ნაკვეთების უმეტესობაში“ (ქავთარაძე, 1961, 11).

4.9.1.4. მრავალგზისობის გამოხატვისათვის ახალ სალიტერატურო ქართულში

ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში მრავალგზისობის გამოხატვის თაობაზე. რა ხდება დასავლურ დიალექტებში?

ფაქტია, არცერთ დასავლურ დიალექტში, არც სამხრულ ჯგუფში, ხოლმეობითის ფორმები არ გვხვდება. დასავლური ვითარება ფაქტობრივ ემთხვევა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ვითარებას (ხ. ყანდაშვილი). ამიტომ ვამჯობინებთ, ვისაუბროთ მრავალგზისობის გამოხატვაზე ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში. დასკვნები შეიძლება გავავრცელოთ დასავლურ დიალექტებზე. ახალი სალიტერატურო ენის ვითარების გააზრება იმითაც არის საინტერესო, რომ ის ძირითადად ემთხვევა არა აღმოსავლურ, არამედ დასავლურ მეტყველებას...

ფაქტობრივად, მრავალგზისობის გამოსახატავად **ხოლმე** ნაწილაკიანი ფორმების დამკვიდრებამ გააფართოვა შესაძლებლობა ამ მნიშვნელობის გამოხატვისა: **ხოლმე** ნაწილაკი დაერთვის თითქმის ყველა მწკრივის ფორმას. ვამბობთ **თითქმის**, იმიტომ, რომ ვერ დავადასტურეთ ხოლმე ნაწილაკი III კავშირებითთან; მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ III კავშირებითი იშვიათი მწკრივია და მას ჩვეულებრივ II თურმეობითი ცვლის, ეს „თითქმისობა“ გასაგები იქნება.

მოვიყვანთ მაგალითებს თანმიმდევრულად, მწკრივთა მიხედვით, ერთგზის ფორმებთან ხოლმე ნაწილაკის გამოყენებისას (მაგალითებს ვიმოწმებთ: ქავთარაძე, 1961):

აწმყო-ყოფადი:

ცრემლს წყალსავით **ვღვრით ხოლმე** (ილია);

სულ ეგრე **სტყუი ხოლმე** (იქვე);

თვალი სულ ჩემკენ უჭირავს, **მიცინის ხოლმე** (ვაჟა);

ჩემი ბატონი შემოვა და **დასკუბდება ხოლმე** (შ. არაგვ.);

შიში მუხლს **მოჭკვეთავს ხოლმეო**, ამბობენ (იაკობი);

ძალაუნებურად კეთილ გზისკენ **გამიტაცებს ხოლმე** (აკაკი).

უწყვეტელ-ხოლმეობითი:

სულ ერთსა და იმავე სიმღერას **ღიღინებდა ხოლმე** (ილია);

სააღდგომოდ ჭონაზე **დადიოდნენ ხოლმე** მომღერლები (აკაკი);

ჭია-მატლები **ერეოდნენ ხოლმე** ხეხილსა (იაკობი);

პასუხად სულ ამას **მეტყოდა ხოლმე** (ილია);

გველი რომ შეგხვედროდა? — **დავასხვერტებდი ხოლმე** მიწაზე (აკაკი);

დავითი ადვილად და სწრაფად **მოინადირებდა ხოლმე** ყველას გულს (იაკობი).

I კავშირებითი:

ნეტა სიტყვას საქმედ **ვაქცევდეთ ხოლმე** (ეკ. გაბ.);

ბალის მუშაობის დროსაც ამას უნდა **გაისტუმრებდეთ ხოლმე** (იტს. საბუთ.);

თქვენ თავად სხვას **გაიმძღვარებდეთ ხოლმე** (იქვე);

ამ ჩვენგან განწყობულს წყალობას ჩვენი სახლთუხუცესები, მდივნები ნიადაგ წელს შემოსავლებიდან უნდა **მისცემდეთ ხოლმე** (იქვე).

წვევითი:

მოდი, გიორგისაც **დაეკითხე ხოლმე** (ილია);

სხვაგან წამსვლელი კარგად გაჩხრიკეთ ხოლმე (იაკობი);

ეგრე **სთქვი ხოლმე** სხვაგანაც (ილია).

II კავშირებითი:

ყოველთვის ჰსურს, რომ თავისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, **შეატყობინოს ხოლმე** (აკაკი);

ეცდებიან, სხვებსაც **დაუშალონ ხოლმე** ამგვარი უგუნური და მავნე მოქმედება (იაკობი);

ეგების აქედან ნინოს თვალი **მოგკრა ხოლმეო** (რ. ერისთ.).

I თურმეობითი (იშვიათია):

აღრე ქურციკივით **აურბენია ხოლმე** ეს დაკიდებული გზა (რ. გვეტ.).

II თურმეობითი (იშვიათია):

გაჭირვებული კაცი **გაეცაცებინა ხოლმე** მაცდურს (ილია).

უწყვეტელ-ხოლმეობითი რომ ნაწილაკის გარეშე გამოხატავს მრავალგზისობას, ესეც ცნობილია:

კენინა თვალს **გააჭყეტდა**, შავარდენივით **გადმოფრინდებოდა** ტახტიდამ, **გადიკრავდა** შუბლსაფენსა, ზედ **წაიკრავდა** ჩითმერდინსა, **გადიცვამდა** ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმა — შიშველა ფეხს **შეიმოსავდა** ჩუსტითა და — ჰერი ბიჭო — **დაეშვებოდა** ჩალურისაკენ (ილია).

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „საგარემოებო სიტყვების გამოყენებით განვრძობილი მოქმედების შინაარსი უძლიერდება ზმნის

ნაკვეთის ფორმებს“ (ქავთარაძე, 1961, 20):

ის დალოცვილი მღდევი **ხშირად მარიგებდა ხოლმე** (ილია);

სახე **მუდამ** ერთი განსაკუთრებული სულებლობით **უცინოდა ხოლმე** (ილია);

ოთარაანთ ქვრივი **ყოველ კვირა** ღღეს ერთი ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ხელით გადაუტანდა ხოლმე (ილია)...

ამგვარი შესაძლებლობები განუსაზღვრელია; საგარემოებო სიტყვები ხოლმე ნაწილაკის გარეშეც ახერხებს ამ მნიშვნელობის გადმოცემას:

„**კვირა არ გავიდოდა**, რომ ოთარაანთ ქვრივს არ **ჩამოელო** ეს იარაღი და გულდასმით არ **გაეწმინდა**“ (ილია)...

ბევრჯერ და ბევრჯერ შენ **მაცდუნე** (ილია);

მუდამ გაბუტვით **დადის** (ილია);

მრავალჯერ დაეფრთხოს (აკაკი) და სხვა.

აღარას ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როგორცაა ფორმათა გამეორება:

ვკეცი, ვკეცი, ვერ დაგვეცი...

ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე...

იარა, იარა და მიადგა...

წერა, წერა და...

ყოველივე ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ დავინახოთ, თუ რა ვითარება შეიქმნა ახალ ქართულში ხოლმეობითის ორგანული წარმოების მოშლის შემდეგ: მრავალგზისობის გამოხატვის ენობრივი შესაძლებლობები გაიზარდა, გამრავალფეროვნდა. ეს თავისთავად ამ მნიშვნელობის გამოხატვისას დამატებითი ნიუანსების გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა. ზმნურ ფორმათა ფუნქციური ანალიზის დროს ყოველივე ამაზე ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული...

4.9.1.5. შენიშვნები ხოლმეობითის მწკრივთა წარმოების თაობაზე

ფშაური დიალექტი

პირველი ხოლმეობითის პირველი და მეორე პირის ფორმები **-ოდი** მაწარმოებლით უკიდურესად მცირეა. ისიც დასტურდება მე-19 საუკუნის ჩანაწერებში და ძალიან იშვიათად ძველი თაობის მეტყველებაში. ამასთან კიდევ უფრო იშვიათია ამ ფორმათა გამოყენება მოქმედების მრავალგზისობის გამოსახატავად: დაიც, თუ მეც ის არ გიყვა, რაც შენ მიყავი ობოლსა: **მცემდოდი, მატირებდოდი**, მითრევი შე-

შას როგორცა, ხბუათად მავლევინებდი, არ **მაკმეველოდი** ერბოსა; იოსებ ბარისავოს **დავიდოდის**, სხვა ხალხ აღარ **დადიოდის**. უფრო ხშირია ამ ფორმათა გამოყენება წარსული დროის რაღაც მონაკვეთში მოქმედების პროცესის, პერმანსიულობის გამოსახატავად; ჩემი კვირისა **ყვიროდის**, მე რო საბძელსა **ვკვდიდოდი**; რა ვქენ ამ თავმოსაკვდავმა, რად არ ლამითაც **ვთიბდოდი**. განსაკუთრებით ცხადად ჩანს პირველი ხოლმეობითის ფორმათა პერმანსიულობა ფშაური ლექსის შემდეგ ნაწყვეტში:

ღმერთო, არ ამიცხადება წუხელ ნანახსა სიზმარსა,
 მითომ წაწალთას **ვიყვოდი**. **ვაკეთებდოდი** ხინკალსა,
 მარიამ გუნდასა **შჭრიდის**, **ღგვანდის** თენების ცისკარსა.

აქ რაიმე მრავალგზისობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მთხრობელი ერთ სიზმარს ჰყვება, ამ სიზმარში ის ხედავს თავისთავს, რომელიც ხინკალს აკეთებს, ხინკლის კეთების პროცესშია, და თავის წაწალს, რომელიც სახინკლე ცომის გუნდებს ჭრის, ამ მოქმედების პროცესშია. ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ახლა ჩვეულებრივ უწყვეტლის მწკრივის ფორმები იხმარება. ის ერთგვარი პროცესებრივობა კი კონტექსტით შეიცნობა. ხოლმეობითებს ვხვდებით იქაც, სადაც თითქოს უწყვეტლის ფორმები უფრო ბუნებრივი იქნებოდა: თედუაი მენა ბატარაი **მყვანდის**; არც **იბადებოდის** კაცის ძე; გუთან კი ხისა **იყვის**, საჯნის-საკვეთელი **ხქონდის** რკინისა. არის შემთხვევები, როცა ხოლმეობითისა და უწყვეტლის ფორმები ერთსა და იმავე წინადადებაში ერთიმეორის გვერდით იხმარება: ზოგ-ზოგ ძროხას **ყვარაულობდით**, ვბო არ მოკლასო, ზოგ-კი არა **ჰყარაულობდის**.

მეორე ხოლმეობითი

ეს ფორმები ფშაურში დღესაც ცოცხალია, საყოველთაოდ გავრცელებული და ფუნქციურად საკმაოდ დატვირთული. მისი ძირითადი მნიშვნელობა წარსულში მომხდარი მოქმედების მრავალგზისობაა: მეფე ერეკლეს დროშია შორს **გავრეკნოდი** ძროხანი, **დავწვოდი**, **დავვიძინოდი**, **წავიხურნოდი** ჩოხანი; ვბო **ავიყვანოდით**, **მივგვაროდით** ძროხასა და **ჩამაუწველოდით** ლაშჩია, მემრე თავადაც **მოგონდის** და **მოწოვის**; ქათამ რო **იყივლის**, მაშინავ **ჩავაყაროდით** კალო, ღამე **გავვლენოდით**; სთვლობით გულგაცოფებულმა ირემმა **დაიღრიალის**, ან **მოსქდის** ზვავი მთიდამა, **დაიძრის** **დაინჩიალის**, **ანავლდის** შველი დამთხვარი, კოდალამ **დაიკრიალის** (ვაჟა).

მეორე ხოლმეობითის მეორე პირის ფორმებს ბრძანებითის მნიშვნელობა აქვთ. ამ ფორმებს, თავისებური შინაარსობლივი ნიუანსის გამო სპეციალურ ლიტერატურაში ხან თხოვნით ბრძანებითებს უწოდებენ (აკ. შანიძე), ხან ხოლმეობით ბრძანებითებს (ალ. ჭინჭარაული). ჩვენი დაკვირვებით მათ უფრო მომავლის ბრძანებითის მნიშვნელობა აქვთ. მთქმელის ბრძანება (სურვილი) მომავალში შესასრულებელ მოქმედებას შეეხება. **მომიტანე** აწმყოს ბრძანებითი იქნება, **მომიტანოდი** — მომავლის ბრძანებითი. მეო ზვავს გამოაქანებო და თქვენაო **დაიუროდითო**, რარიგ ხმას მოიტანს ისივ; თარემს რო დაერჩევიან, ცხენ **შაჰკაზოდი**, **შაჰჯლოდი**, თუ რო სახელის ქნაგინდა, კაი ვაჟკაცთან **დასდგოდი**, ჩასვლით **ჩახვიდი** წინ-წინა, გამოსვლით უკან **დასდგოდი**.

მეორე ხოლმეობითის ფორმები ხშირად ნამყო ძირითადის ფორმებთან გვხვდება კონტექსტში და თითქოს მნიშვნელობითაც მათივე ტოლია. ოღონდ ეს მოვლენა მხოლოდ პოეტური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი: დიდხანს **ეძებეს** ჩემთ ყმათა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო, **დაკლიან** ტბისა პირზედა, ღმერთო, დასწერე ჯვარიო; ძალს **მიუგდიან** საჭმელად... მორთო ყმული ბრალისა (ვაჟა).

აქა-იქ პოეზიის ენაში ხოლმეობითი აწმყოს კონტექსტშიც იჩენს თავს: სულა-კურდღელა **ჰკაზმვენ** ცხენებსა, ვეფხვებს **უჭირავთ** ბარისკე თვალი, **დაიხურიან** თავზე ჩაჩქანი, წელს **შაიბიან** ნაკურთხი ხმალი.

თხოვნა-წაქეზებისავე მნიშვნელობა აქვს **-ოდე** სუფიქსით ნაწარმოებ ფორმებს, რომლებიც აგრეთვე ნამყო სრულის ფუძეს ეყრდნობა. ეს მაწარმოებელი **ოდი**-საგან განსხვავებით ფორმებს სამივე პირში გასდევს: **ავდგოდეთ** და ამით **წავართმოდეთ**; ზოგთა თქვეს, თუშთა **მივსცოდეთ**, მტერმ დაგვატანა ძალია, ზოგთა თქვეს, არა, ნუ **მივსცემთ**, ჩვენც **გავლესოდეთ** ხმალია; ჩემს ნაქნარ სახელს ნუ იტყვი, **ვიყვნოდეთ** და-ძმობაზედა; გიბარებ, ძმაო, ჩემ ცხენსა ქერ **აქმიოდე** ბაკნითა; თუ კიდევ ვინამ გადაგრჩეს, **ამოაგდოდე** ჭირითა; უთხროდი თოფი **დაჰკროდეს**, იმ დალისტანელს წინასო (ვაჟა); პირჯვარი **დაიწეროდეს**, მითამ საყდარში არია (ვაჟა); მაშინ **მითხროდენ**, შენთვისა ვინ ნახეს ატირებული.

აქ მოხმობილი მაგალითების ანალიზი ფშაურში კიდევ ერთ მწკრივს გამოგვაყოფინებს, რომელსაც მისი ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება „თხოვნითი“ ვუწოდოთ.

თუშურ დიალექტში ფუნქციურად პირველი ხოლმეობითის ფორმების ძირითადი მნიშვნელობა წარსულში უსრული მოქმედების მრავალგზისობაა: როცა გინდ გაგეხდვავ. დღედაჟ ბანედაჟზე **იჯლისა-დ**

მატყლს **არჩევდ-ისავ**. სუც კი არ დავისვენიდრ, ღღედაც **ვაზღევდ-იდრ**. ამ ფორმებს ამავე მნიშვნელობით თავისუფლად ჩაენაცვლება მეორე ხოლმეობითის უზმნისწინო ფორმები: **არჩი-ის, ვაზღ-იდრ**. არის ფორმები, რომლებშიც პირველ ხოლმეობითს მეორე ხოლმეობითი ვერ ჩაენაცვლება: **ვიჯდ-იდივ** უჩინაცშიაოდ **უკილაჯიდივ** ქალებსავ. აქ მთხრობელი ერთ შემთხვევაზე ჰყვება, როცა ის სიბნელეში იჯდა და ქალებს თვალს უკრავდა, მოკლედ, თავის ჭიას ახარებდა, თორემ მის თვალების ჩხაკუნს ვერავინ ამჩნევდა. აქ ამ ფორმებს მეორე ხოლმეობითები ამავე მნიშვნელობით ვერ ჩაენაცვლებს. სულ სხვა მნიშვნელობისაა **დავჯდ-იდი** და **ჩუჯკილაჯ-იდი** ფორმები. აქ მართლა წარსულში ჩადენილი სრული მოქმედების მრავალგზისობასთან, განმეორებითობასთან გვაქვს საქმე. ნამდვილი ხოლმეობითები, ანუ მრავალგზისები ესენია. პირველი ხოლმეობითის ფორმები კი მრავალგზისობასთან ერთად წარსულში რომელიღაც მომენტში **მოქმედების განგრძობითობას, პროცესებრივობასაც** ასახავს. ამასთან ფორმათა ამ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები ბევრად სჭარბობს პირველს. ასე რომ, თუ მწკრივის სახელის დარქმევისას მის ფუნქციას მივანიჭებთ მნიშვნელობას, უპრიანი იქნებოდა, რომ მისთვის „ხოლმეობით-პროცესებრივი“ გვეწოდებინა.

ფშაურის მსგავსად თუშური პოეზიის ენაშიც არაა იშვიათი მეორე ხოლმეობითის ფორმათა გამოყენება წყვეტილის, ანუ ერთჯერადი მოქმედების მნიშვნელობით: თოფ **დახკრის** ლეკის გაზდილსა, ნაპირ აწითლა წყლისაო; **ჩაიყვანიან** ალვანში, ექიმს მიღმართეს მალეო.

ხოლმეობითის მეორე პირის ფორმებს, ფშაურისაგან განსხვავებით, თუშურში თხოვნის ელფერი არ დაჰკრავს. აქ ისინი სუფთა მომავლის ბრძანებითებია. აწმყოს ბრძანებითი იქნება: **წიყვანრ, დიყკირრ, უთხარრ; წიყვანიდრ, დიყკირიდრ, უთხარიდრ...** ფორმები ადრესატს ავალებს, რომ ეს მოქმედებები მომავალში ჩაიდინოს. თხოვნისათვის თუშურ დიალექტს სპეციალური **-დ** ნაწილაკი მოეპოვება: ნეტავი შენა, წერილო, მიებარები ნინოსა, **უთხარიდიდ**, ჩემსა მაგივრად, შენთანად დაიძინოსა; თანაც აუცილებელი არაა, რომ ნაწილაკი მაინცა და მაინც ზმნას დაერთოს. იგი იმ სიტყვასთანაა, რომელზედაც ფრაზაში ლოგიკური მახვილი მოდის: **მეტაცედ გაჯმთხილიდივ, მტაცედ** დაშიშიდივ.

დრო-კილოთა სისტემაში თუშურში ამ სისტემის 10 ერთეული, ანუ 10 მწკრივი გამოიყოფა. ზედაპირულ სტრუქტურაში მას არ გააჩნია თხოვნის გამომხატველი ზმნის სპეციალური ფორმა, სიღრმული

სტრუქტურის ეს ერთეული აქ აღწერთად — ხოლმეობითის ფორმაზე — ნაწილაკის დართვით — გადმოიცემა.

ხევსურული

მრავალგზისობის გამომხატველი ფორმების წარმოება ხევსურულში იმეორებს თუშურის მოდელს როგორც პირველი, ისე მეორე ხოლმეობითისას.

პირველი ხოლმეობითი ხევსურულში, როგორც თუშურში, ნამყო უსრულის (უწყვეტლის) ფუძეს ეყრდნობა და იქაც წარსულის ერთ კონკრეტულ დროში მიმდინარე პროცეს ასახავს: ვაშკაცის სახელს **იდებდიდისაო**, მალულთ რო წინ **უდგებოდისაო**, ქისტის შვილას რო **თელავდისაო**, ის ქუდით **ეხვეწებოდისაო**; ყელჭელი იღუასის თოფი ნელ-ნელა **გამადიოდისაო**; შენ ეგიც არა **იცოდდიო**, ლეგას ჩოჯასაც **იცომდიდო**. პირველი და მეორე პირის ფორმები ხშირი არაა, მაგრამ არც აკრძალულია.

მეორე ხოლმეობითი

ამ ფორმათა პროდუქტიულობა ბევრად აჭარბებს ხოლმეობითი პირველისას. აქ საყრდენ ძირად წყვეტილის ფუძე გვევლინება. ამ ფორმების ძირითადი მნიშვნელობა წარსულში მომხდარი მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვაა: **შავიდიდით**, ციხის კარები **დავალიდით**; შატილ **ვისხდნიდით** ციხის კარაო... არც კი ვის **გადავხდნიდითაო**; სათამაშოდ რო **გადმახვდიდო**, მაშივ ღილღურად **დახკივლიდო**; **ად-ჩადიოდის** ხოყანაო; ძმებ **აატირის** ვაშკაცებო.

მეორე ხოლმეობითის მეორე პირის ფორმებს იმპერატიულობის ელფერი დაჰკრავს. ამიტომ მათ **თხოვნით-ბრძანებთებსაც** უწოდებენ. თუშურისაგან განსხვავებით ისინი ბრძანებასაც გამოხატავენ და თხოვნასაც. ამ უკანასკნელი მნიშვნელობისთვის მათ დამატებითი ნაწილაკი არ დაერთვის: სულეთის ღმერთს **გამასთხოდიო**, **წამამკვარიდი** ბეწიკურიო; მტერს მიზღვედან, **მისწივნიდით**, მასღვედას ვინ — **გამა-ახვეწნიდით**.

მოხეური და მთიულური

მოხეურსა და მთიულურ დიალექტებში მოქმედების მრავალგზისობა ერთნაირად აღინიშნება. ორივეგან აწმყოს, მყოფადის და ნამყო უსრულის მრავალგზისი აღწერთად, **-კე** ნაწილაკის მეშვეობით გამოიხატება. რაც შეეხება ნამყო სრულის მრავალგზისობას, აქ გვაქვს სპეციალური მწკრივიც **-ი** სუფიქსით, რომელიც ზოგჯერ **-კე** ნაწილაკითაც ძლიერდება.

აწმყო-მყოფადის მრავალგზისი

ცხორი ხშირად **ბრმებაკე**; **მეშინიანკე**; სულ ის **გუინდაკე**; ნა-
ცარჩიგა **მოვნარშავთკე**; **ქორწილისთუი მეემზადებიანკე**; იმას **მო-
ვპკითკე**; **გავლბერტოკე**;

ნ-ამყო უსრულის მრავალგზისობა

მრავალგზისობის გამოსახატავად პირველი და მეორე პირის ფორმებში მხოლოდ **კე** ნაწილაკი დაერთვის. მესამე პირის მოქმედების მრავალგზისობისათვის ფორმაც განსხვავებულია, ოღონდ **კე** ნაწილაკი აქაც დაერთვის, რაც მრავალგზისობის გამაძლიერებელ საშუალებადაა მიჩნეული (ი. ქავთარაძე): **ვაკეთებდიკე**, **აკეთებდიკე**, **აკეთებდისკე** (**აკეთებდაკე** არ იხმარება). **გავბედავდიკე** და **დავაგდებინებდიკე**; არ **მეინტერესებოდისკე**; **იკერავდიანკე** კაბასა.

ნამყო სრულის მრავალგზისობის გამოსახატავად მოხეურს აქვს სპეციალური მწკრივი, მაგრამ ხშირად იგი **კე** ნაწილაკსაც დაირთავს: მამა რომ გარეთ გავიდოდის, მე წიგნს თავი **დავანებიკე**, **მოვ-ამზადი-
კე** იარადი, საგძალი **ჩავაწყვიკე** გულაჩი; ზამთრის მეტი **დავჩეჩითკე**.

მოხეურსა და მთიულურს აქვს ე. წ. თხოვნითი-ბრძანებითის ფორმებიც, რომლებიც ფორმითაც და მნიშვნელობითაც ფშაურისას ჰგავს და **-ოდე** სუფიქსით იწარმოება: ასე რომ, იმპერატიული მნიშვნელობის გადმოსაცემად მთიულურ-მოხეურსაც, ფშაურის მსგავსად ცალკე მწკრივი მოეპოვება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების მასალა საფუძველს არ იძლევა, რომ დრო-კილოთა პირველი სერია ორ წრედ გაიყოს. სიღრმული სტრუქტურის სათანადო მნიშვნელობების გადმოცემა ზედაპირულ სტრუქტურებში კონტექსტუალურად ხერხდება.

4.9.2. მწკრივთა წარმოება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში

დასავლეთი საქართველოს დიალექტებში მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით მთელი რიგი თავისებურებები შეინიშნება. ეს თავისებურებანი ზოგჯერ მორფოლოგიური ხასიათისაა, ზოგჯერ კი ფონეტიკური ცვლილებების შედეგია.

I სერიის ფორმათა წარმოების თავისებურებანი

დასავლეთი საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელია თავისებურებანი ფუძის წარმოების მხრივ; ზოგჯერ უთემისნიშნო და თემისნიშნიანი ფორმები პარალელურად გამოიყენება; გვხვდება თემისნიშნანთა მორფოლოგიური შენაცვლება; ხშირად თემის ნიშნები წარმოდგენილია ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებით.

რაჭულში შეინიშნება თემის ნიშანთა მორფოლოგიური შენაცვლება: -ებ:-ობ (კაკან-ობ-ს „კაკანებს“, ღრიალ-ობ-ს „ღრიალებს“, ბზუ-ალ-ობ-ს „ბზრიალებს“); -ობ:-ამ (და-ა-სვ-ამ-ს „დაასობს“); -ებ:-ამ (გა-უ-შვ-ამ-ს „გაუშვებს“); -ი:-ებ (თვალ-ებ-ს „თვლის“), -ებ:-ი (ე-ი-ნაცვლ-ი-ს „აინაცვლებს“); -ავ:ობ (ცეკვ-ობ-ს)-ავ:-ი (შე-გ-ი-რთვ-ი „შეგირთავ“).

გამოიარა ერთს ადგილზე და ობობას გასტანებია ეკალი და **ბზუ-ალობს** (გლოლური, ძიძიგური, 1974);

ახლა ასე ვზადაბნეულია, **დაყანყალობს** მას აქეთ (ქვემორაჭული, დიალექტ. კორპ.);

მერე ამოუკიდებთ ფქვილუკას და ურევთ მავრა, ხან იქით და ხან აქეთ **სრიალობს** (მთარაჭული, დიალექტ. კორპ.);

ამ ჭრილით დათუები ედგმის ურმის ღერძს ისე, რომ ღერძი **ტრიალობს** დათუებში (ქვემორაჭული, დიალექტ. კორპ.).

— შალიკო არ **გაუშვამსო**, — ამბობდა ხალხი (გლოლური, ძიძიგური, 1974);

ისინი გადმოიჩერებინ და გაავსებს ოქრო-ვერცხლს, **ეინაცვლის** ველზე (რივნისთაური, ძიძიგური, 1974);

დაჯდა და სვამს ამ ღვინოს და **ინაცვლის** ადგილს (რივნისთაური, ძიძიგური, 1974).

ზემორაჭულში, რიგნისთაურსა და გლოლურში -ავ//ამ თემის ნიშანთა გახმოვანება ნამყო უსრულში იცვლება: **ხარშ-ევ-დ-ა** „ხარშავ-და“, **გადა-ხურ-ევ-დ-ა** „გადახურავდა“, **დგ-ემ-დ-ა** „დგამდა“.

ხორცს მოვხარ შევდით ჩოინაში, -ამოვიღემდით და ხონჩაზე ვავა-ცივებდით (გლოლური, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

ზოგი ოდინდელი მარტივფუძიანი ზმნა გვხვდება როგორც თემის-ნიშნით, ასევე უთემისნიშნოდ: პარალელურად გვხვდება **რეცხ-ს // რეცხ-ავ-ს**, უთემისნიშნოდ გვხვდება **კებ-ს**, -ებ თემის ნიშნით გვაქვს **უ-ჭირ-ებ-ს**.

გოდუჭირებთ ბაწარს, წინ -ამოვდებთ ურმის ან მარხილი მჭყვე-ში ან თხიპეში და მოვიტანთ (ლეჩხუმური, დიალექტ. კორპ.).

ბაწარს კიდემ უფრო გავუჭირებთ (ქვემორაჭული, დიალექტ. კორპ.).

რაჭულში გვხვდება -ან ფორმანტით ნაწარმოები ზმნური ფუძეები: **არწი-ან-ობ-ს**, **ა-არწი-ან-ებ-ს** „არწევს“, **ჩა-უ-თქვ-ან-ი(ვ)-ებ-ს** „ჩა-უთქვამს“ (გლოლ., რიგნისთაური).

ამავე დიალექტში ნასახელარ ზმნებში ფუძის მაწარმოებლად გამოიყენება -ავ: **სახლ-ა-ობ-ს**, **დოღყ-ა-ობ-ს** (თამაშობანია; რიგნისთ.), **უ-ფერ-ავ-ებ-ს** „ეფერება“ (გლოლ., რიგნისთ.), ზოგჯერ კი ზმნურ ფუძეში მოსალოდნელი -ავ არ დასტურდება: **ი-ჭიდ-ნ-ეს** „იჭიდავეს“. გვხვდება სახელზმნური ფუძეები, რომლებიც დაირთავენ -ობ თემის ნიშანს: **ჩჩომ-ობ-ს**, **ტკენულ-ოფ-ს** (რიგნისთაური), **ჭმეულ-ოფ-ს** „აჭმევს“, **თხოვილ-ოფ-ს** (ქვემორაჭ.).

— *შვილო, რატო ქალს არ თხოვილობთ? (ქვემორაჭული, ძიძიგური, 1974).*

ამგვარი სახელზმნური ფუძეებისაგან ნაწარმოები ფორმები გვხვდება დასავლეთი საქართველოს სხვა დიალექტებშიც:

ამის უკეთესი, ამიზა ვჩივი, ამ ჩემი ქმარიზა, ცხრაი მთხონილობ-და, ცხრა (ქვემოვურული, დიალ. კორპ.);

ვთხონილობდით, მერე ქი გუუგ ზანიდით (ქვემოვურული, დიალ. კორპ.);

— რას **ტკენულობს**, რა უნდა? (ზემოაჭარული, ნიჟარაძე, 1957).

თემის ნიშანთა შენაცვლება დამახასიათებელია იმერულის გურულისა და აჭარულისთვისაც: **-ებ-ი** (აბრალ-ი-ს, ა-ძალ-ი-ს; იმერ.); **-ი-ობ** (შეფერ-ოფ-ს; იმერ.), **-ავ-ობ** (ცეკვ-ობ-ს, შფოთ-ოფ-ს; იმერ.); **-ამ-ობ** (ი-ს-ობ-ს; იმერ., გურ.); **-ებ-ობ** (ღრიალ-ოფ-ს; იმერ., გურ.; მიბზიალ-ობ-ს; აჭარ.); **-ევ-ოფ** ფონეტიკური ცვლილების შედეგია (ა-მტვრ-ოფ-ს // ა-ნტრ-ოფ-ს; იმერ., გურ.).

კვ-ამლი სახში **ტრიალობდა**, ჩ-ამოდიოდა **ჟვენთხი**, თოვლმა რო ლლობა დეიწყო (ზემო იმერული, ძოწენიძე, 1973).

ზ-ამთარი რომ გეიარს, მერე ვერ იშონი, **ანტროვს** საქონელი (გურული, იმნაიშვილი, 2006).

ავენი კილომ ეძებენ, ბაღნები **ზღრიალობენ** (ქვემოგურული, დი-ალ. კობაძე.).

იმედი მიეცა გულს, დიდშანი კუბილები კიღუმ თვალში **მიბზიალობდა** (ქობულეთური, ძიძიგური, 1974).

ზოგი ოდინდელი მარტივფუძიანი ზმნა იმერულში, ისევე როგორც რაჭულში, თემის ნიშნით რთულდება: **წერ-ავ-ს, ტენ-ავ-ს, ი-ხვეჭ-ავ-ს, გა-ა-ხილ-ებ-ს, ატნ-ევ-ს...** გვხვდება უთემისნიშნო ფორმებიც: თეს-ს, რეცხ-ს და მისთ. ზოგი -ებ თემისნიშნიანი ზმნაც უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი: **ტოვ-ს, ა-თხოვ-ს...** თემის ნიშნით გართულებული ოდინდელი უთემისნიშნო ზმნები გვხვდება გურულშიც: ჩნდება -ებ თემის ნიშანი (**ჭ-ამ-ებ-ენ** „ჭამენ“).

დასავლეთი საქართველოს დიალექტებში ხმოვანმონაცვლე ზმნები გარდა იმისა, რომ თემის ნიშანს ირთავენ, ფუძის განხმოვანების მხრივაც გამოირჩევიან. რაჭულში ფუძედრეკად ზმნებში გამოყენებულია მეორე სერიის ფუძე (ი-განხმოვანებით): **ი-ჭირ-ავ-ს, ი-ჭირ-ებ-ს**, მაგრამ გვხვდება პირველი სერიის ფუძეც (ე-განხმოვანებით): გლეჯ-ამ-ს „გლეჯს“, შეკრებ-ავ-ს „შეკრებს“ (ზემორაჭ., ქვემორაჭ.). იმერულში აწმყო-მყოფადში **ე-** და **ი-**განხმოვანებიანი ფორმები პარალელურად გვხვდება: **კრეფ-ავ-ს// კრიფ-ავ-ს, კპეჩ-ავ-ს// კპიჩ-ავ-ს...** ნამყო უსრულში უპირატესობა ენიჭება ი-განხმოვანების მქონე ფუძეებს: **კრიფ-ავ-დ-ა, ჩხრიკ-ავ-დ-ა...**

ზემოიმერულში, განსაკუთრებით ქართლის მოსაზღვრე რეგიონებში, -ავ თემის ნიშანი -ამ ნიშნით იცვლება პაუზისა და თანხმოვანის წინა პოზიციაში: **ვ-თიბ-ამ, წერ-ამ, წყვეტ-ამ** და მისთ. ასეთივე ცვლილება ხდება ფუძეებშიც: **ყ-ამ-ს, დემ-ს, აძლემ-ს...** (მსგავსი ფორმები რაჭულშიც დასტურდება). თითქმის ყველა დასავლურ დიალექტში მეტ-ნაკლებად დასტურდება ამის საპირისპირო მოვლენაც: -ამ>-ავ: **ჩა-ასხ-ავ-ს, და-დგ-ავ-ს, ჩე-ი-ცვ-ავ-ს** (ქვემო იმერულისათვის ამგვარი ცვლილებები ნაკლებად არის დამახასიათებელი). ზოგი -ავ თემის ნიშნიანი ზმნა დამატებით დაირთავს -ობ-ს: **კერ-ა-ობ-ს.**

ხეთისავარმა რო გეიგო, რო მღევ ქალს დედა არა **ხყ-ამდა** და მ-ამა **ხყ-ამდა**, უთხრა, რო: მე დედა **მყ-ამს**, იმას ქმარი არა **ხყ-ამს**, შენ დედა არა **გყ-ამს**, მე მ-ამა არა **მყ-ამს**, ჩემი დედა შევრთოთ მ-ამაშენს და ჩვენ ძმები ვიყოთო! (ქვემორაჭული, ძიძიგური, 1974).

-ავ და -ამ თემინიშნიანი ზმნები იმერულში კიდევ ერთ თავისებურებას გვიჩვენებენ. ზემოიმერულში -ავ და -ამ აწმყო-მყოფადის მრავლობითი რიცხვის მე-3 პირის ფორმებში რედუქცირდება: **თეს-ვენ, ხერს-ვენ, თიბ-ვენ, უ-რტყ-მ-ენ.**

იმერულში, რაჭულის მსგავსად, ფართოდ გამოიყენება მიმღობის ფუძისაგან ნაწარმოები ზმნები: ხმარულ-**ოფ-ს**, ტანულ-**ოფ-ს**, სმენილ-**ოფ-ს**, ტყობილ-**ოფ-ს** და მისთ.

გურულ დიალექტში აწმყოში -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა მესამე პირის ფორმები მრავლობით რიცხვში ძველი ქართულისებურად იწარმოება: **მალ-ვენ, ი-ც-მ-ენ...**

ყულ-ამფერ დათესვენ, ყულა სოჲ მოსავალი მუა (ზემოაჭარული, ფუტკარაძე, 1993).

დასავლეთი საქართველოს დიალექტებიდან გურულსა და აჭარულში აღინიშნება უნიფიკაციის ტენდენცია მრ. რიცხვის გამოხატვისას. აწმყოს მე-3 სუბ. პირში -ენ პირის ნიშანი გამოიყენება: **ჭრი-ენ, დგები-ენ, ჩივი-ენ** (გურ.), **დუნახვ-ენ** „დაუნახავთ“ (აჭარ.)... -ენ გამოიყენება ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავდაც: გელირსები-ენ „გელირსებათ ის თქვენ“, დავიძახ-ენ „დავიძახათ მან თქვენ ის“ (გურ.), გზაში საჭმელი **დიელი-ენ** „დაელიათ“ (აჭარ.); ანალოგიით აიხსნება -ენ სუფიქსის გამოყენება | ობიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად (შეგვჩები-ენ „შეგვჩიება ჩვენ ის“); პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად („რამ გადაგრი-ენ ბაღნებო?“); რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად ინვერსიულ ზმნებში (გყავ-ენ „გყავთ“, გონი-ენ).

მარა, რა გინდა, არიკაც აღარ უნდებიენ სოფელი (ქვემოგურული, დიალ. კორპუსი);

კრიმანჭულია თავარი და ძნელიო, ჩივიენ (ზემოგურული, დიალ. კორპუსი).

ეხლა ხელონური დედაც გამოყავენ (ქვემოგურული, დიალ. კორპ.).

მართლაც დეიჭირენ ეს კაცი და მიყავენ დაგლეჯილი ურუბით (ზემოაჭარული, ნოლაიდელი, 1972).

გეძარენ რ-ამდენიმე გზა და ერთ მინდორზე დეისვენენ (ზემოაჭარული, ნოლაიდელი, 1972).

ნამყო უსრული

ზემორაჭულსა, რიგენისთაურსა და გლოლურში -ავ//ამ თემის ნიშანთა გახმოვანება ნამყო უსრულში იცვლება; **კაზმევდა** „კაზმავდა“, **ხარშევდა** „ხარშავდა“, **დგემდა** „დგამდა“, **ჩაახსემდა** „ჩაახსამდა“...

ზოგი ზმნა, რომლებიც აწმყოში -ავ თემის ნიშანს დაირთავს (კეტ-ავ-ს) ნამყო უსრულში უთემისნიშნოდ გვხვდება: კეტ-დ-ა (გლოლ.).

მოსალოდნელი -ევ-დ დაბოლოების ნაცვლად სპორადულად შეინიშნება -ვ-იდ დაბოლოება: კვლ-იდ-ა, ხატ-ვ-იდ-ა, ი-ლოვ-ვ-იდ-ა...

ზშირია მონაცვლე თემის ნიშანთა პარალელური გამოყენების შემთხვევები: რეცხ-დ-ა // რეცხ-ევ-დ-ა // რეცხ-ემ-დ-ა ან: რეცხ-ავ-დ-ა // რეცხ-ამ-დ-ა; ხნ-ევ-დ-ა // ხნ-ემ-დ-ა, თეს-ევ-დ-ა // თეს-ემ-დ-ა და მისთ.

გურულ დიალექტში ნამყო უსრულში-ავ და -ამ თემისნიშნაინი ზმნები -ვ და -მ-თია წარმოდგენილი, მწკრივის მაწარმოებლად კი -იდ გვაქვს: ვ-მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ა; ვ-დგ-მ-იდ-ი, დგ-მ-იდ-ი, დგ-მ-იდ-ა...

ნამყო უსრულში ფუძის მაწარმოებელი -დ ფორმანტი ყრუ თანხმოვნების მომდევნოდ პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე იცვლება: წყვეტ-დ-ა > წყვეტ-ტ-ა, ჩეჩ-დ-ა > ჩეჩ-თ-ა, კეტ-დ-ა > კეტ-ტ-ა, ყლაპ-დ-ა > ყლაპ-ტ-ა, ხარშ-დ-ა > ხარშ-თ-ა, გასკ-დ-ა > გასკ-ტ-ა:

თანთან **გასუსტტა** ახლა (ზემოიმერული, ძოწენიძე, 1973).

ძალიანი **დასუსტტა** დევი (ქვემოგურული, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

ახლა ქე შემეშინა, **გამისკტა** გული... (ქვემოგურული, ქართული დიალექტოლოგიური კორპუსი).

ზოგჯერ -დ ფორმანტი ყრუ თანხმოვნის მომდევნოდ აღმოჩნდება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად და მაშინ ასიმილაციით ვიღებთ თ-ს: გა-გვიჩნ-დ-ა > გა-გვიჩ-დ-ა > გა-გვიჩ-თ-ა:

აქანაი **გავვიჩთა** ბატონი მაინც, ხალვაშები, (გურული, იმნაიშვილი, 2006).

II სერიის ფორმათა წარმოების თავისებურებანი

დასავლეთი საქართველოს დიალექტებიდან რაჭულის გლოლურ კილოკავში ნამყო ძირითადის პარადიგმაში არ გამოიყენება ნართაული -ი: მო-ვ-კალ, მო-ხ-კალ; -ი არ ჩანს ასევე ბრძანებითა და აწმყოში: ნუ ტირ!

რათ ვინდა პურიო, მინდორსა ბევრი ზის ნადირი, **მოკალ** და ჭამეო (ქართ. დიალექტ. მასალ., 1974).

ვედ- ფუძისაგან ნამყო ძირითადი და ბრძანებითი თავისებურად იწარმოება: ამო-ე, შემო-ე, წა-ე:

მივე სახში; ამასლამ **წაე**: მე **წავე** (ქართ. დიალექტ. 1, 1961).

გაიარა ამ ბებერმა და ჩაუძახა: როსტომო, **ამოე** ზეითაო! (ქართ. დიალექტ. მასალ., 1974).

უფრო იშვიათად გვხვდება ასეთი ფორმები: ამო-ედ, შემო-ედ.

ზოგ დიალექტში აორისტში -ე ფორმანტის ნაცვლად (ვ-ნახ-ე, დავთეს-ე) გვაქვს -ევ-ი დაბოლოება: ვ-ნახ-ევ-ი (ქართლ.), დავთეს-ევ-ი (კახ.). დასავლეთი საქართველოს დიალექტებიდან ასეთი ცვლილება ახასიათებს ზემოიმერულს, აჭარულს: ვ-ი-ყიდ-ევ-ი // ვ-ი-ყიდ-ე-ი, და-ვ-რგ-ევ-ი // და-ვ-რგ-ე-ი:

გევიდევი ზურგზე და მამაქ, მარა რა სიმძიმეა, ფუთი მეტი იყო (ზემოიმერული, ძოწენიძე, 1973).

ეს ლაგამი **ამეიდევი** პირში თუ არა, ისე რაფერ შევჯდო (შუა-იმერული, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

გაატანდა ეს დედინაცვალი ამ გერს ძროხას, ერთ კვერაკვერას, ბამბას და ეტყოდა: ეს ბამბა **დაართევი**, ეს კვერაკვერა შენც ჭამე და სხვასაც **აჭამევი** და სახშიაც **მეიტანევიო**. (ზემოიმერული, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

ქმარისთვინ უთხრობია ამ დედაბერ, რუმენ: ... ცალ ხარი **იყიდე-ვი**, უღლათ ხარი გვეყოლებავო (აჭარ., ქართ. დიალექტ. 1961).

გავხედევი, რუმე ნუსხაფში ნახა ფარა (აჭარ., ქართული დიალექტ. კორპუსი).

-ევ-ი დაბოლოებას ვხვდებით ზოგ -ი სუფიქსიან ზმნასთანაც: და-ს-ევ-ი, მო-უ-ს-ევ-ი „მოუსვი“, წა-უ-ს-ევ-ი „წაუსვი“ (იმერული).

დასავლეთი საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელია აორისტში -ე/-ი ფორმანტების მორფოლოგიური მონაცვლეობა. იმერულში -ე/-ს ნაცვლად -ი გვაქვს შემდეგ შემთხვევებში: და-ვ-ა-პ-ი „დავაპე“, დე-ვ-ი-მხვ-ი „დავიმხე“... გურულში -ი-ს ნაცვლად გვაქვს -ე: ვ-ი-ცნ-ე „ვიცანი“.

მორფოლოგიური ანალოგიის შედეგად მიიჩნევა იმერულში მეორე კავშირებითში წა-ვიდ-ე-ს, მო-კლ-ა-ს ფორმების ნაცვლად **წე-ვიდ-ო-ს**, **მო-კლ-ო-ს** ტიპის ფორმები:

ერთი ამ მოსავალს ჩავაკარედ და ეგება თფილიში **წამევიდო** (იმერ., გაჩეჩ., 155).

ამ გზაზე აწერია ქვაზე: ამ გზაზე ვინც **წევიდოს**, კარქათ იაროს; ამ გზაზე ვინც **წევიდოს**, ველარ **მევიდოს** (შუაიმერული, ძიძიგური, 1974).

III სერიის ფორმათა წარმოების თავისებურებანი

I შედეგობითში -ავ, -ამ თემისნიშნის გარდამავალი ზმნები -ი სუფიქსით არის წარმოდგენილი: მუუკლია „მოუკლავს“, დუუმბია „დაუბამს“:

შეკითხენ მოლას: კამბეში დიგიკლია ამ კაცისო, რატონ ქენიო? (აჭარული, ქობულეთური, ქართული დიალექტოლოგ. კორპუსი).

ფარის მოვალეობა იყო, რომ კერის დროს ძვალი (ხისა იყო) გაემაგრებია (ქვემოიმერ., ქართ. დიალ. კორპ.).

ქათმებიზა უნდა დაგველობა წკნელით ძარო, უნდა ჩაგვეყარა ქათმები და გაგვესუქებია (გურ., ქართ. დიალ. კორპ.).

ნაჯახები უმ არ გაგვეყოლიებია, დეგება არც შექვხთებოდა იი ანბავი (გურ. ქართ. დიალ. კორპ.).

შუახვევლ ხუსეინას იმის დელითა გამეეტანებია ფარა (აჭარ., ქართ. დიალ. კორპ.).

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში, II შედეგობითსა და III კავშირებითში ჩნდება -ნ. ეს მოვლენა დამახასიათებელია რაჭული, იმერული, გურული, აჭარული დიალექტებისათვისაც: მოუტაცნია, დაუხოცნია, მეეთიბნა, დაეხოცნა, გამეეთხოცნოს (რაჭ., ჯორბ., 1989, 432).

გადასწყვიტავს, რომ ხენწიფე ვინაიდან იმ ვაჟს არ მისცემდა თავის ქალ, მეეტაცნა ... (ზემოაჭარ., ქართ. დიალ. კორპ.).

ქვემორაჭულში I შედეგობითში მდგომარეობის გამომხატველ ზმნებშიც გვხვდება -ებ ფორმანტი: უფიქრებია „უფიქრია“, უთამაშებია „უთამაშია“...

II შედეგობითსა და III კავშირებითში -ინა დაბოლოების ნაცვლად გვხვდება -ია დაბოლოება: გამოეტანებია, გამოეტანებოს; აეშენებია, აეშენებოს... (რაჭ.).

4.9.2.1. მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება და პარადიგმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში

მეოთხე სერიის ფორმები თავისი სემანტიკური თავისებურების გამო გამოყენების დიდი სიხშირით არ გამოირჩევა. სიტუაციური კონტექსტი ავიწროებს ამ ფორმათა ხშირ გამოყენებას. **ნა-** პრეფიქსიან ფორმათა სემანტიკა განაპირობებს იმ გარემოებასაც, რომ დადასტურებულ შემთხვევათა უმეტესობაში ამგვარი წარმოება მესამე პირის ფორმით გვხვდება.

ნა- პრეფიქსიან ფორმათა არსებობა მეგრულის გავლენას მიეწერება და ეს გარკვეულწილად მოსალოდნელია იმ დიალექტთა წყებაში, რომლებშიც ეს ფორმები დასტურდება. ის ფაქტი, რომ ქვემოიმერულისათვის ეს წარმოება ყველაზე უფრო მეტადაა დამახასიათებელი, მეგრულიდან ამ წარმოების მიღების ფაქტს ადასტურებს. მესამე პირის ფორმების სიუხვე კი არა მარტო იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ეს ნაკვები მესამე პირის საფუძველზეა ჩამოყალიბებული (როგავა, 1953, 29), არამედ იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ ფორმის რეალიზების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი სწორედ სემანტიკაა.

მეოთხე სერიის ფორმები რამდენიმე სემანტიკური ნიშნით ხასიათდებიან:

1. ადმირატიულობა ანუ მოულოდნელი შედეგი, როცა მოლაპარაკისათვის ნახული ფაქტი მოულოდნელობაა;

2. ინფერენცია, ანუ ლოგიკური დასკვნა, რომელიც ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტს და მასზე დაყრდნობით გამოტანილ დასკვნას ზოგადი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით;

3. ხმებზე დამყარებული ინფორმაცია, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებული სემანტიკაა და გულისხმობს არსებულ, გავრცელებულ ხმებზე დამყარებულ ინფორმაციას. მიღებული ინფორმაცია, მართალია, გადაუმოწმებელია და ამდენად მასში არაა დარწმუნებული მოლაპარაკე, მაგრამ მაინც იყენებს მას და ხდება ამ აზრის გამტარი. ამ სემანტიკის მარკირება სწორედ **ნა-** პრეფიქსიანი ფორმებით ხდება. ამგვარ შინაარს მთლიანად იტევს **ნა-** პრეფიქსიანი ფორმები და სწორედ ამიტომაც შემოაღწია ამ ფორმებმა გარკვეული სემანტიკის გადმოსაცემად უფრო ფართო მოხმარების ქართულშიც (აქ ვგულისხმობთ ინტერნეტ-სივრცეში სხვადასხვა ფორუმისა თუ კომენტარების ტექსტებში დადასტურებულ ამგვარ ფორმებს).

როგორც ფორმის სემანტიკის ძირითადი მახასიათებლებიდან ვლინდება, პირველი პირი ყველა შემთხვევაში დაკავებულია, რადგან სწორედ იგი ხდება ინფორმაციის გამტარებელი, შემფასებელი, აღმქმელი და გამომხატველი. ამიტომაცაა, რომ მნიშვნელოვნადაა შეზღუდული პირველი და მეორე პირის ფორმათა გამოყენება. ეს გარემოება თავად ფორმის სემანტიკამ შეზღუდა. ასევე შეზღუდულია ამ წარმოების გავრცელება ყველა ტიპის ზმნაზე.

ნა- პრეფიქსიანი ფორმები მხოლოდ ოთხ დასავლურ დიალექტში დასტურდება. რამდენადაც წარმოება შედარებით იშვიათია, წარმოების სისტემისა და პარადიგმის აღსადგენად საინტერესოა დადასტურებული ფორმების ანალიზი:

ქვემოთმართული:	<p>მეს-ამე თურმეობითი: მინავლა, მინაქონა, ნაყვარება, ნაგდება, ნათობა, ნაჟდომა, ნაწერა/ნაწერავა, ნავზავნა, ნაქარგავა, ნაშენება. „ნაჟდომა ბოვში თავისთვის“, „ნაწერა დედ-ამის წერილებს“, „ნავზანა და ნავზანა პასილეებს მოსკოვიდან“, „ნაშენება კაი ბოსელს საქონლიზა“, „ქე ნატკივარა, მარა ქარ ამოულია ხმაი“, „მინაქონა ურემით შეშა თავის სახში“, „ნაჭირება თავისთვინ“...</p> <p>მეოთხე თურმეობითი: მინავალიყო, განათობიყო, ნაფიქრალიყო, „განათობიყო საწყალი ცეცხთან“, „ნათესიყო სიმიდს ყანაში“, „ნამბავიყო ძროხას ხის ძირში“, „განაკეთებიყო სხვის საქმელ“, „განათობიყო საწყალი ცეცხლთან“, „ნაპიქრალიყო თურმე შვილზე“, „ქე ნაჭამიყო მოპარულ ბალს“, „მინაქონიყო თავის ადგილას დასადებათ და ქე გოუტყტა“...</p> <p>მეოთხე კავშირებითი: იშვიათია: მინავალიყოს, ნათობიყოს, ნაყვარებიყოს, ნასროლიყოს... „რო აქ ნასროლიყოს, მაშინ კარ მოკვტებოდა“, „იმას რო ნაყვარებიყოს, ეგი ხო არ მოხთებოდა“;</p>
რაჭული:	<p>მეს-ამე თურმეობითი: „ერთი უბრალო გლეხი(ს) ბიჭი დადის სათევზაოთ ი ზღვის პირზე, ნავალა“ (ზემორაჭული); ნართავა, ნაყურება, ნართმევან, ნაზოგავან, ნაკითხვან (რივნისთაური); „თორმეტი მანათი ნალირალა“, „იქანა ნაცხოვრება“, „ქვათ ნაქცევა“ (გლოლური);</p> <p>მეოთხე თურმეობითი: „ენახა ჩალის ზვინი და იმაში ნადგომიყო ლამე“ (ქვემორაჭული); „დიდ ცუდ საქმესაც ჩანავალიყო“ (რივნისთაური).</p>
ლენხულური	<p>მესამე თურმეობითი: ნაპარავა, მინავალა, დანავალა, ნასუქება, ნაკეთება, ნაკრეფა.</p> <p>მეოთხე თურმეობითი: ნაპარავიყო, მინავალიყო.</p>

გურულში:	<p>მესამე თურმეობითი: <i>მინავალა, ნაყვარება, ნაზიდავა, ნაშენება...</i></p> <p>მეოთხე თურმეობითი: <i>მინავალიყო, ნაყვარებიყო...</i></p>
-----------------	---

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მეოთხე სერიის მწკრივთა ფორმები სისტემურად ქვემოიმერულ დიალექტში ვლინდება (კუბლაშვილი, 1970). მართალია, გარკვეული ფორმები, როგორც ვნახეთ, სხვა დასავლურ დიალექტებშიც ჩანს (ლეჩხუმურში, რაჭულსა და გურულშიც), მაგრამ უმეტესად მხოლოდ მესამე პირისა და მხოლობითის რიცხვისაა. პირველი და მეორე პირის წარმოება ქვემოიმერულში ვლინდება: **„შენა ჩემზე რო ნაწერავხარ რაღაც სისულელეებს? — მე ვნაწერავარ?“**, **„ამასობაში ქე მივნასლელვარ დანიშნულ ადგილას...“**, **„შეგნაძლება ამ საქმის გაკეთება!“**, **„კი ვნარეცხავარ თურმე ამ ხელითაც“**, **„ნამეტანი ვნაყვარება ცოლ-შვილი...“**, **„ნაყვიდავართ სიმიდს, იმდენი გვქონია...“** (კუბლაშვილი, 1986, 171).

როგორც ზემოთ მოცემული მაგალითებიდან ჩანს, დადასტურებულ ფორმათა უმრავლესობა მაინც მესამე პირის ფორმებია. ყველა შემთხვევაში მთქმელი აღმქმელია ფაქტისა, ხოლო ფაქტი მისთვის ან მოულოდნელობაა, ან იგი გამომტანია დასკვნისა, ან მიძღვება ინფორმაციისა. ამგვარი სემანტიკა კი ნაკლებად ეგუება პირველ პირს. რაც შეეხება იმ კონტექსტებს, რომლებშიც დასტურდება პირველი და მეორე პირის ფორმები, მთქმელი მაინც აღმქმელია: **მივნასლელვარ, ვნარეცხავარ** — გამოხატავს მოულოდნელობის განცდას საკუთარი ქმედების გამო, **ნაყვიდავართ** — კი სხვებისგან მიღებულ ინფორმაციას გულისხმობს საკუთარი ოჯახის წარსულის შესახებ, რასაც მთქმელი არ მოსწრება და მხოლოდ სხვებისგან იცის; რაც შეეხება მეორე პირის ფორმებს: **ვნაყვარება** ფორმა გულისხმობს, რომ მთქმელისთვის თანამოსაუბრის სიყვარულის ფაქტი ან მოულოდნელობაა, ან სხვებისგან მიღებული ინფორმაცია. თავად ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე პირველი პირის ფორმა ***მნაყვარება** არცაა მოსალოდნელი, რადგან საკუთარი გრძნობის მოულოდნელობის განცდა, მის შესახებ დასკვნის გამოტანა ან სხვებისგან ინფორმაციის მიღება ნაკლებად წარმოსადგენია; **შეგნაძლება** — ნიშნავს, რომ თანამოსაუბრის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია ან მოულოდნელობაა, ან ლოგიკური დასკვნა, მაგრამ პირველი პირის ფორმის წარმოება ***შემნაძლება**, ზმნის სემანტიკის გათვალისწინებით, აქაც ნაკლებ მოსალოდნელია. მეტად კონკრეტულ სიტუაციას გულისხმობს კონტექსტი **„შენა ჩემზე რო ნაწერავხარ რა-**

ღაც სისულელებს? — მე ვნაწერავარ?! კონტექსტი გულისხმობს, რომ მოლაპარაკისთვის თანამოსაუბრის მოქმედების შესახებ ინფორმაცია სხვებისგანაა მიღებული, პასუხი კი ამ ინფორმაციის გადაუმოწმებლობას უსვამს ხაზს და **ნა-** პრეფიქსიანი ფორმა სწორედ ამიტომაცაა პირველ პირში გადმოცემული „**მე ვნაწერავარ?**“ კითხვითი წინადადების კონსტრუქციითაა წარმოდგენილი, ხოლო თხრობით წინადადებაში, ბუნებრივია, ეს ფორმა ველარ გამოიყენებოდა, რადგან საკუთარი ქმედებისთვის სხვისგან მიღებული ინფორმაციის კვალიფიკაციის მინიჭება ძნელი წარმოსადგენია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზმნა პირველი პირის ფორმით დასტურდება, მის რეალიზებას ხელს უწყობს კითხვითი კონსტრუქცია, სხვა შემთხვევაში კი ეს ფორმა სემანტიკური შეზღუდვის გამო არც იარსებებდა.

ამდენად, მართალია ზმნის წარმოების პარადიგმა შეიძლება თეორიულად კი აღდგეს, მაგრამ სემანტიკური შეზღუდვის პრინციპი ხელს შეუშლის ამგვარი ფორმის რეალიზებას.

როგორც გ. როგავა აღნიშნავს, მეგრულში მეოთხე სერიის ჯგუფში „არაა გარჩეული გარდამავლობა, გვარი, ქცევა, აბსოლუტურობა-რელატიურობა. ამ ჯგუფის ნაკვთებს ახასიათებთ მხოლოდ პირის, რიცხვის, ღროი, კილოს, ასპექტის და გზის კატეგორიები“ (როგავა, 1953, 26), ხოლო რაც შეეხება ფუნქციასა და შინაარსს, ამ მხრივაც ქართული ენის დასავლური დიალექტები მისდევს მეგრულს: „პრეფიქსიანი თურმეობითის ნაკვთები ქართულის დასავლური დიალექტებში იმავე ფუნქციის მქონეა, რა ფუნქციაც აქვს **ნო-** პრეფიქსიანი მეგრული ზმნის ნაკვთებს: მინავალა — მიდის თურმე / მიდიოდა თურმე, მინავალიყო — მიდიოდა თურმე...“ (როგავა, 1953, 28; ძოწენიძე, 1948, 55). მესამე თურმეობითი ნაწარმოებია **ვარ/ზარ/არს** მეშველი ზმნებით, ხოლო მეოთხე თურმეობითი **ვიყავი/იყავი/იყო** მეშველი ზმნის საშუალებით, რაც შეეხება მეოთხე კავშირებითს, იგი იყო მეშველი ზმნითაა ნაწარმოები. პირის ნიშნები შესაძლოა წინ უძღოდეს **ნა-** პრეფიქსს: **ვნაკეთებვარ, ვნაწერვარ, ვნაყვარება, შეგვნაძლებია...**

მეოთხე სერიის ფორმების მთავარი მახასიათებელი სფეციფიკური ნიშნით განსაზღვრული უნახავი აქტის გამოხატვაა. ყველა მწკრივის ფორმა (მესამე თურმეობითი, მეოთხე თურმეობითი და მეოთხე კავშირებითი) კი **ნა-** პრეფიქსითაა ნაწარმოები, ეს პრეფიქსები გვხვდება წინავითარების სახელებშიც. მისი ეს ფუნქცია, წინავითარების გამოკვეთა, ზმნურ ფორმაშიც აისახება. ღროის საკითხი ამ ფორმებში მეშველი ზმნის დართვით ვლინდება. მესამე თურმეობითი წარსულ მო-

ქმედებას აღნიშნავს, რომლის შედეგი ჩანს აწმყოში, ხოლო მეოთხე თურმეობითის მაწარმოებელი მეშველი ზმნის წარსული დროის ფორმა მოქმედებას კიდევ უფრო გადასწევს წარსულ დროში. რაც შეეხება კავშირებით მეოთხეს, იგი უფრო მოდალური ხასიათისაა, როგორც კავშირებითის ყველა მწკრივი და ზმნური ფორმა მოდალურ სემანტიკას ნაწილაკის მეშვეობით უსვამს ხაზს. მეოთხე კავშირებითის ფორმა, როგორც უკვე ითქვა და როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მეტად იშვიათი წარმოებისაა. ქვემოთმეორულში იგი **ნეტაი (<ნეტავ>)** ნაწილაკს ირთავს და მისი მეშვეობით წარმოაჩენს ფორმის მოდალურ სემანტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს ის კონსტრუქციები, რომლებშიც ეს ზმნური ფორმები ვლინდება: მესამე თურმეობითი უმეტესწილად მარტივი წინადადების კონსტრუქციაში გვხვდება; მეოთხე თურმეობითი — პირობითი წინადადების კონსტრუქციაში, უმეტეს წილად **რო(მ)** კავშირიან კონსტრუქციაში; ხოლო მეოთხე კავშირებითი **ნეტაი (<ნეტავი>)** ნაწილაკთან ერთად ან **თუ** კავშირიან ფიცის ფორმულებში:

<p>მეს-ამე თურმეობითი</p> <p>მარტივი წინადადების კონსტრუქცია</p>	<p>(1) „<i>შეხედე, აქანე ნაწოლა ე საქონელი</i>“.</p> <p>(2) „<i>რა კაი კალათებს ნაკეთება ეგი, შეხედე</i>.“</p> <p>(3) „<i>აქანე ნაცხოვრებლარიენ ეგენი, მე უკარ ვიცოი...</i>“</p>
<p>მეოთხე თურმეობითი</p> <p>რო(მ) კავშირიანი პირობითი წინადადების კონსტრუქცია</p>	<p>(4) „<i>მე რო ვნაკეთებიყაი მაგას, ქვეყანა გეიგებდა</i>.“</p> <p>(5) „<i>მაგას რო ნაფიქრებიყაი, მასე კარ იქნებოდა ყორფელი... მარა ვინ იცის მაი...</i>“</p> <p>(6) „<i>აქანე რო ნაწოლარიყო ე საქონელი, ქე იქნებოდა ნიშანი</i>.“</p> <p>(7) „<i>აქანე რო ნადებლარიყო ეგი, ქე მივაგნებლი მაშვინ</i>.“</p> <p>(8) „<i>იქინე რო ნაუდომლარიყო მაი, ქე დევინახავდი</i>.“</p> <p>(9) „<i>მაი რო მაგდენს ნაფიქრებიყო, ქე ექნებოდა საშველი</i>.“</p> <p>(10) „<i>მაგი რო ნაკეთებიყო მაგას, სა დეიმალებოდა, ქვეყანა გეიგებდა მაგას</i>.“</p>
<p>მეოთხე კავშირებითი</p> <p>ნატვრა ან სინანული წარსული ქმედების გამო ფიცის ფორმულა</p>	<p>(11) „<i>ნეტაი ქე ნაფიქრებიყოს მაგი მაგას და ვინ მამაძაღლი</i>.“</p> <p>(12) „<i>ნეტაი მეც ქე ნაფიქრებიყო მაგას...</i>“</p> <p>(13) „<i>ნეტაი ქე ნაკეთებიყო მაგას და ვინ მამაძაღლი...</i>“</p> <p>(14) „<i>მე თუ მაგას ნაფიქრებიყო, ქეც მოვმკტარიყო მაშვინ...</i>“</p>

მწკრივთა ფორმების ფუნქცია და წარმოება კი ამგვარად ჩანს:

მწკრივი	მაწარმოებელი	ფორმა	სემანტიკა
III თურ.	ნა—ვარ/ხარ /ა(რის)	ნაკეთებვარ ნაკეთებხარ ნაკეთება	წარსულში მომხდარი მოქმედების მთქმელისთვის მოულოდნელი შედეგი აწმყოში.
IV თურმ.	ნა—ვიყაი/იყაი/იყო	ვნაკეთებიყაი ნაკეთებიყაი ნაკეთებიყო	წარსულში მომხდარი მოქმედების მოულოდნელობის აღქმა წარსულში.
IV კავშ.	ნა—იყო/იყო/იყოს	ნაკეთებიყო ნაკეთებიყო ნაკეთებიყოს	წარსულში სავარაუდო მოქმედების მოულოდნელი შედეგის მთქმელისეული შეფასება.

მრავლობითი ფორმების წარმოება ჩვეულებრივ წესს ემორჩილება, ანუ პირველსა და მეორე პირში -თ სუფიქსის დართვით ხდება, თუმცა მესამე თურმეობითის მესამე პირის მრავლობითში სრული სახით დაერთვის **არიან>არიენ/ლარიენ** მეშველი ზმნა. სტატიკური ზმნებისათვის დამახასიათებელი დაბოლოება ანალოგიის შედეგად გავრცელდა არა მარტო ყველა სტატიკურ ზმნაზე, არამედ გლინდება მესამე თურმეობითშიც. რაც შეეხება -ლ- ელემენტის გაჩენას ფორმაში, იგი ახსნილია დისიმილაციით და გადასულია სხვა ზმნებში ანალოგიით.

ქვემოთ წარმოვადგენთ სხვადასხვა ტიპის ზმნის პარადიგმას მეოთხე სერიაში ქვემოიმერულის ვანური თქმის მასალების მიხედვით. შედარებით სრული პარადიგმა და სამივე მწკრივის მეტ-ნაკლებად რეალიზებული ფორმები სწორედ ამ რეგიონს ახასიათებს. ზოგიერთი ზმნის მეოთხე თურმეობითისა და მეოთხე კავშირებითის ფორმების აღდგენას მოვერიდეთ ზედმეტი ხელოვნურობის გამო:

მეოთხე სერიის მწკრივთა პარადიგმები:

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდამავალი ზმნა -ავ თემისნიშნისანი	მესამე თურმეობითი:	
	I - -----	I - -----
	II - ნაპარავხარ	II - ნაპარავხართ
	III - ნაპარავა	III - ნაპარავლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
I - -----	I - -----	
II - ნაპარავიყაი	II - ნაპარავიყაით	
III - ნაპარავიყო	III - ნაპარავიყვენ	

	მეოთხე კავშირებითი: I - ----- II - ნაპარავიყო III - ნაპარავიყოს	I - ----- II - ნაპარავიყოთ III - ნაპარავიყონ
--	---	--

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდაღებული ზმნა -ამ თემისნიშნისანი	მესამე თურმეობითი: I - (ჩა)ნაცვამვარ II - (ჩა)ნაცვამხარ III - (ჩა)ნაცვამა	I - (ჩა)ნაცვამვართ II - (ჩა)ნაცვამხართ III - (ჩა)ნაცვამლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდაღებული ზმნა -ებ თემის ნიშნით (ვენებითი გვარისა)	მესამე თურმეობითი: I - ----- II - ----- III - ნალალავა	I - ----- II - ----- III - ნალალავლარიენ
	მეოთხე თურმეობითი: I - ----- II - ----- III - ნალალავიყო	I - ----- II - ----- III - ნალალავიყვენ
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდაღებული ზმნა -ებ თემის ნიშნით (ვენებითი გვარისა)	მესამე თურმეობითი: I - ----- II - ნაჯდომხარ / ნაწოლხარ / ანადგომხარ III - ნაყდომა / ნაწოლა / ანადგომა	I - ----- II - ნაჯდომხართ / ნაწოლხართ / ანადგომხართ III - ნაყდომლარიენ / ნაწოლლარიენ / ანადგომლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდაუდებული ზმნა -ობ თემის ნიშნით (საშუალო გვარისა: ფიქრობს)	მესამე თურმეობითი: I - ნაფიქრებვარ II - ნაფიქრებხარ III - ნაფიქრება	I - ნაფიქრებვართ II - ნაფიქრებხართ III - ნაფიქრებლარიენ
	მეოთხე თურმეობითი: I - ნაფიქრებიყაი II - ნაფიქრებიყაი III - ნაფიქრებიყო	I - ნაფიქრებიყაით II - ნაფიქრებიყაით III - ნაფიქრებიყვენ
	მეოთხე კავშირებითი: I - ნაფიქრებიყო II - ნაფიქრებიყო III - ნაფიქრებიყოს	I - ნაფიქრებიყოთ II - ნაფიქრებიყოთ III - ნაფიქრებიყონ

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდაუდებული ზმნა -ობ თემის ნიშნით (საშუალო გვარისა — ცხოვრობს)	მესამე თურმეობითი: I - ნაცხოვრებვარ II - ნაცხოვრებხარ III - ნაცხოვრება	I - ნაცხოვრებვართ II - ნაცხოვრებხართ III - ნაცხოვრებლარიენ
	მეოთხე თურმეობითი: I - ნაცხოვრებიყაი II - ნაცხოვრებიყაი III - ნაცხოვრებიყო	I - ნაცხოვრებიყაით II - ნაცხოვრებიყაით III - ნაცხოვრებიყვენ
	მეოთხე კავშირებითი: I - ნაცხოვრებიყო II - ნაცხოვრებიყო III - ნაცხოვრებიყოს	I - ნაცხოვრებიყოთ II - ნაცხოვრებიყოთ III - ნაცხოვრებიყონ

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდამავალი ძირ-მონაცვლე ზმნა	მესამე თურმეობითი: I - ----- II - ნათქვამხარ III - ნათქვამა	I - ----- II - ნათქვამხართ III - ნათქვამლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მსოლობითი	მრავლობითი
ვიცი ზმნა	მესამე თურმეობითი: I - ----- II - ნაცოდნარხარ III - ნაცოდნარა	I - ----- II - ნაცოდნარხართ III - ნაცოდნარალიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მსოლობითი	მრავლობითი
მიმაქვს/მომაქვს ზმნები	მესამე თურმეობითი: I - ----- II - წანალებხარ/მონატანხარ III - წანალება/მონატანა	I - ----- II - წანალებხართ/მონატანხართ III - წანალებლარიენ/ მონატანლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მსოლობითი	მრავლობითი
უგრება ზმნა	მესამე თურმეობითი: I - ----- II - ნაქნარხარ III - ნაქნარა	I - ----- II - ნაქნარხართ III - ნაქნარლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მსოლობითი	მრავლობითი
გარდაუვალი ზმნები, ინვერსიული ზმნები (მაქვს)	მესამე თურმეობითი: I - ----- II - ----- III - ნაქონა	I - ----- II - ----- III - ნაქონლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდაღებული ზმნები, ინვერსიული ზმნები (უყვარს)	მეს-ამე თურმეობითი: - ----- II - გნაყვარება III - ნაყვარება	- ----- II - გნაყვარებათ III - ნაყვარებლარიენ
	მეოთხე თურმეობითი: - ----- II - გნაყვარებიყო III - ნაყვარებიყო	- ----- II - გნაყვარებიყო III - ნაყვარებიყვენ
	მეოთხე კავშირებითი: - ----- II - გნაყვარებიყოს III - ნაყვარებიყოს	- ----- II - გნაყვარებიყოს III - ნაყვარებიყონ

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
ინვერსიული ზმნა, მინდა	მეს-ამე თურმეობითი: I - ნანდომვარ II - ნანდომხარ III - ნანდომა	I - ნანდომვართ II - ნანდომხართ III - ნანდომლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
ხმოვანმონაცვლე ზმნები	მეს-ამე თურმეობითი: - ----- II - ნაკრეფავხარ III - ნაკრეფავა	- ----- II - ნაკრეფავხართ III - ნაკრეფავლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მხოლოდითი	მრავლობითი
გარდაღებული ძირ-მონაცვლე ზმნა (არის ზმნა)	მეს-ამე თურმეობითი: - ----- II - ნამყოფარხარ III - ნამყოფარა	- ----- II - ნამყოფარხართ III - ნამყოფარლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მსოლობითი	მრავლობითი
გარდაუვალი ძირმონაცვლე ზმნები (დი / ვალ / ვედ)	მეს-ამე თურმეობითი: I - მინავალვარ II - მინავალხარ III - მინავალა	I - მინავალვართ II - მინავალხართ III - მინავალარიენ
	მეოთხე თურმეობითი: I - მინავალიყაი II - მინავალიყაი III - მინავალიყო	I - მინავალიყაით II - მინავალიყაით III - მინავალიყვენ
	მეოთხე კავშირებითი: I - მინავალიყო II - მინავალიყო III - მინავალიყოს	I - მინავალიყოთ II - მინავალიყოთ III - მინავალიყონ

ზმნის ტიპი	მსოლობითი	მრავლობითი
სტატუკური ზმნები (დევს)	მეს-ამე თურმეობითი: I - ----- II - ----- III - ნადება	I - ----- II - ----- III - -----
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

ზმნის ტიპი	მსოლობითი	მრავლობითი
სტატუკური ზმნები (დვას)	მეს-ამე თურმეობითი: I - ----- II - ნადგომხარ III - ნადგომა	I - ----- II - ნადგომხართ III - ნადგომლარიენ
	მეოთხე თურმეობითი: I - ----- II - ნადგომიყაი III - ნადგომიყო	I - ----- II - ნადგომიყაით III - ნადგომიყვენ
	მეოთხე კავშირებითი: I - ----- II - ნადგომიყო III - ნადგომიყოს	I - ----- II - ნადგომიყოთ III - ნადგომიყონ

ზმნის ტიპი	მხოლობითი	მრავლობითი
სტატიკური ზმნები (წევს)	მეს-ამე თურმეობითი: I - ----- II - ნაწოლხარ III - ნაწოლა	I - ----- II - ნაწოლხართ III - ნაწოლარიენ
	მეოთხე თურმეობითი:	
	მეოთხე კავშირებითი:	

4.9.3. -ნა პრეფიქსიანი ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის

ევიდენციალობის (უნახაობის) კატეგორია ქვემოიმერულის ვანური თქმის მასალების მიხედვით

ევიდენციალობის კატეგორია უნივერსალური კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და იგი ყველა ენაში გამოიხატება. მისი გადმოცემა სხვადასხვა ენობრივი ფორმით ხდება: იგი შეიძლება ვლინდებოდეს დისკურსული ანალიზის შედეგად, შეიძლება გადმოცემული იყოს სინტაქსური, ლექსიკური ან მორფოლოგიური საშუალებებით. ევიდენციალობა ფართო გაგებით არის ტექსტში გადმოცემული ინფორმაციისა და ინფორმატორის / მოლაპარაკეს შორის არსებული მიმართების გამოხატვა — რა გზით იქნა მიღებული ინფორმაცია, პირდაპირი აღქმის შედეგია თუ მოსმენილი ან გაგებული სხვა წყაროდან, ჭეშმარიტებას მოიცავს იგი თუ სავარაუდო ან მოსალოდნელია მოლაპარაკისათვის. ამ კატეგორიის ზოგად დახასიათებაში ჩანს რამდენად ფართოა ევიდენციალობის ცნება და რამდენად მრავალფეროვანია ენებში მისი გამოხატვის საშუალებები.

ევიდენციალობის კატეგორიის კვლევა დიდი ისტორიას არ მოიცავს. ამ სემანტიკამ და მისი გამოხატვის ფორმებმა ლინგვისტთა ყურადღება მეოცე საუკუნიდან მიიქცია. ევიდენციალობის კატეგორიის პირველი მინიშნება გულისხმობდა ინფორმაციის დადასტურებულობის გამოკვეთას ენაში. ეს ნიშნავდა იმ ენობრივი ფორმების ანალიზს, რომლებიც მიუთითებდა გადმოცემული ფაქტის წყაროზე. ქართული ენის გრამატიკაში ამ ფუნქციით დახასიათებულია სხვათასიტყვის ნაწილაკები, ხოლო მორფოლოგიაში კი გამოიყო აქტის კატეგორია.

ევიდენციალობის კატეგორიის კვლევა განსაკუთრებით სიღრმისეულად წარიმართა მეოცე საუკუნის ბოლოს. ეს კატეგორია გამოიკვეთა ბევრ ენაში, აღიწერა მისი გამოხატვის გრამატიკული თუ ლექსიკური საშუალებები და გამოიყო ევიდენციალობის სახეები (ვილექტი, 1988; აიხენვალდი, 2004).

ევიდენციალობა გამოხატავს მოლაპარაკის დამოკიდებულებას ინფორმაციის წყაროსადმი. ევიდენციალობის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმად მიიჩნევა ის, თუ როგორაა მიღებული ინფორმაცია: პირდა-

პირ თუ არაპირდაპირ, ანუ ირიბად. **პირდაპირი ევიდენციალობა** გულისხმობს, რომ მოლაპარაკე თვითმხილველია და მას ინფორმაცია პირდაპირ აქვს მიღებული. **ირიბი ევიდენციალობა** კი ნიშნავს, რომ მოლაპარაკე არაა თვითმხილველი, მან ეს ინფორმაცია სხვისგან მიიღო. თავის მხრივ, ირიბი ევიდენციალობა შეიძლება იყოს **შეტყობინებითი (გერბალური)**, ანუ იგი სხვისაგან მიიღო, ან **დასკვნითი (ინფერენციული)** — ანუ მოლაპარაკემ თავად გამოიტანა დასკვნა შედეგის ან სხვა მოვლენისა და ფაქტის მიხედვით. ამ მსჯელობის საფუძველზე აშკარად იკვეთება კავშირი რეზულტატიურობასა და ევიდენციალობას შორის. ფაქტობრივად, რეზულტატიურობამ მისცა ბიძგი ევიდენციალობის განვითარებას. რეზულტატიურობა მიუთითებს, რომ ვითარება არსებობს წარსული მოქმედების გამო, ესაა შედეგის მიხედვით გაკეთებული, გამოტანილი დასკვნა. ფორმა — **წახულია** — გულისხმობს, რომ ის აქ არ არის, ის წავიდა. ეს, ერთი მხრივ, რეზულტატია, შედეგია ქმედებისა, ხოლო მეორე მხრივ, მდგომარეობა იმას გამოხატავს, რომ რადგან ის წავიდა და აქ აღარ არის, მოლაპარაკემ გამოიტანა დასკვნა. ფაქტობრივად, ხდება რეზულტატიურობის გარდასახვა ევიდენციალად. გარკვეულ ენებში (თურქული, ბულგარული...) და მათ შორის ქართულშიც ეს კავშირი რეზულტატიურობასა და ევიდენციალობას შორის თვალსაჩინოა (ბაიბი და სხვა, 1994, 95-97).

თავდაპირველად ევიდენციალობა განიხილებოდა მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთ სახეობად, რამდენადაც იგი გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. იგი განიხილებოდა როგორც ირეალური კატეგორია. მოსაუბრის მიერ გამოტანილი დასკვნა კი ხასიათდებოდა იმის მიხედვით, თუ რის საფუძველზე გამოიტანა მან ეს დასკვნა: ფიქრით, თვითმხილველი იყო, სხვისგან მიღებული ინფორმაციით თუ მამტიკიციბელი საბუთის ნახვით (პალმერი, 1986, 2011). ევიდენციალობისა და ეპისტემიკის ერთ კატეგორიად გაანალიზება განაპირობა, ერთი მხრივ, გამონათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულების სემანტიკამ, ხოლო მეორე მხრივ, იმ ფაქტორმა, რომ ზოგიერთ ენაში ევიდენციალობა შეიძლება გამოიხატოს ეპისტემური მოდალობის გამომხატველი ზმნური ფორმებით (დანიურში, ინგლისურში, გერმანულში...) მოგვიანებითმა კვლევებმა ეს ორი კატეგორია გამიჯნა, რადგან გამოიკვეთა მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება: განსხვავებულია სემანტიკა — ევიდენციალობა **ავლენს** გამონათქვამის წყაროს, მის სიცხადეს, ხოლო ეპისტემური მოდალობა **აფასებს** მოსაუბრის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. ასევე განსხვავებულია

წარმოება — ევიდენციალობა უმეტესად მორფოლოგიური ნიშნებით გამოიხატება, ხოლო მოდალობა — ლექსიკური საშუალებებით. ზოგიერთ ენაში შესაძლებელია იყოს ნაწილობრივი დამთხვევა, მაგრამ ეს დამთხვევა არაა უნივერსალური (დე ჰაანი, 1999, 83, 101).

ამდენად, მიუხედავად წარმომავლობისა და მისი სემანტიკური სი-ახლოვისა, ევიდენციალობის კატეგორია თანამედროვე ლინგვისტიკაში ცალკე, დამოუკიდებელ კატეგორიად განიხილება და შეისწავლება როგორც ცალკეულ ენებში, ასევე ტიპოლოგიურადაც. ევიდენციალობის კატეგორიის სიღრმისეულმა შესწავლამ ენათა კლასიფიკაციის ახალი სისტემა წარმოშვა: ენები ჯგუფდება იმის მიხედვით, სავალდებულოა თუ ფაკულტატიური ევიდენციალობის გამოხატვა ენებში (დე ჰაანი, 1999, 83, 101).

ენათა უმრავლესობაში პირდაპირი ევიდენციალობა არამარკირებულია, ხოლო ირიბი ევიდენციალობა მარკირებულია. ამასთანავე, პირდაპირი ევიდენციალობა ძირითადად გამოიხატება აორისტიით, ხოლო ირიბი ევიდენციალობა პერფექტული ფორმებით (მარგიანი-სუბარი, 2012).

ქართულ ენათმეცნიერებაში ეს კატეგორია **უნახაობის** ტერმინითაა დამკვიდრებული და შესწავლილი. ქართულში უნახაობის მნიშვნელობა თურმეობითის მწკრივის ფორმებსა და **თურმე** ნაწილას უკავშირდება. ა. შანიძემ აქტის სახელით გამოყო უნახაობის კატეგორია, რომელსაც უპირისპირდება ნახაობა აქტი, მაგრამ როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში აქტის კატეგორია დაუკავშირდა თურმეობითის მწკრივს. „დაუსწრებელი მოქმედების შესახებ შესაძლოა ორგვარად გაიგოს მოუბარმა: სხვისგან გაიგოს ამის შესახებ ან თვით ნახოს მოქმედების შედეგი და ამის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ რა უნდა მომხდარიყო“ (შანიძე, 1973, 212). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თურმეობითის ფორმის სემანტიკა მხოლოდ უნახაობით არ შემოიფარგლება, იგი გამოხატავს შეტყობინებას, მოულოდნელობას ან ლოგიკურ დასკვნას (მარგიანი-სუბარი, 2012).

უნახაობა სამივე ქართველურ ენაში დასტურდება, თუმცა იგი მორფოლოგიურ კატეგორიად არ მიიჩნევა. ეს დებულება განპირობებულია იმით, რომ „მას საკუთარი ნიშანი არა აქვს, ის არის ძირითადად პერფექტული დროების ერთ-ერთი ფუნქცია — თანაფუნქცია“ (გოგოლაშვილი, 2012, 759).

ქართულ ენათმეცნიერებაში უნახაობის კატეგორიის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს: მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ

უნახაობა გვიან განვითარებული სემანტიკა და ფუნქციაა და იგი თურმეობითის ფორმებმა შეითავსეს (ჩიქობავა, 1962, ქავთარაძე, 1956; ფხაკაძე, 1989; ბოედერი, 2000). ამ მოსაზრების მიხედვით ძველ ქართულში თურმეობითის ფორმები მხოლოდ რეზულტატივის გამომხატველია, რომლებმაც მხოლოდ მოგვიანებით შეიძინეს ახალი ფუნქცია და მნიშვნელობა. ა. არაბულის აზრით, „პირველი თურმეობითის ძირითადი მნიშვნელობაა რეზულტატიურობა, შეძენილი და ისტორიულად განმტკიცებული ფუნქცია (თანაფუნქცია) — უნახაობა, თურმეობითობა“ და „პერფექტის ბაზაზე უნახაობის მოდელის აღმოცენება, რაც დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში, კანონზომიერი ფაქტია, ის ერთგვარი უნივერსალია“ (არაბული, 1984).

მეორე მოსაზრება კი გულისხმობს, რომ უნახაობა ძველ ქართულშივე დასტურდება. ამის შესახებ მიაწინებს ა. შანიძეც. გარკვეული ფორმების ანალიზმა კი გაამყარა მოსაზრება, რომ უნახაობის აქტის სემანტიკური ნიუანსები კარგადაა გამოხატული ძველსავე ქართულში (სარჯველაძე, 1985). მ. ბერიძე შენიშნავს, რომ ძველი ქართულის გარკვეული „ფორმებისათვის მთავარ სემანტიკურ მახასიათებლად გამოყოფილი უნახაობისა და უნებლიობის მნიშვნელობები... მიღებულია აორისტულ ფორმებში ევიდენციალობის მოდალობის განვითარების შედეგად“ (ბერიძე, 2000, 102).

გ. შაბაშვილის მოსაზრებით, „უნახაობის პერფექტის ჩასახვა და განვითარება უკვე ძველ ქართულში იწყება და ფართო სახეს ახალ ქართულში იძენს, როცა საბოლოოდ ვითარდება ე. წ. ანალიტიკური პერფექტი, მაქვს გაკეთებული ტიპის, რომელიც პერფექტის ასპექტობრივ მახასიათებლებს იძენს და ამით პირველი თურმეობითის მწკრივს მოდალური შინაარსის განვითარებისთვის სრულ თავისუფლებას აძლევს.“ ამ ცვლილების მიზეზად კი მიჩნეულია ის გარემოება, რომ მესამე სერიის ფორმებმა დაკარგეს ასპექტური მახასიათებელი და მხოლოდ დროული მახასიათებელი დარჩათ, რამაც სერიის პრაგმატული სიმყარე დაარღვია და გზა გაუხსნა ახალი სემანტიკის განვითარებას. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ „მეგრულმა ამ თვალსაზრისით მყარად შეინარჩუნა მწკრივის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები და უნახაობისთვის ენამ ცალკე სერია განვივითარა, ისიც პერფექტული მიმდებარების საფუძველზე“ (შაბაშვილი, 2009, 101-102).

რაც შეეხება ევიდენციალობის კატეგორიის გენეზისს, დადგენილია, რომ იგი თავად ქართული ენის სიტემაში განვითარებული კატეგორიაა და სხვა ენების გავლენის საკითხი ამ ეტაპზე მოხსნილია. სვა-

ნურ ენაში ამ კატეგორიის საფუძვლიანმა შესწავლამ ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი წარმოაჩინა ქართველურ ენებში ამ კატეგორიის გამოვლენისა და რეალიზაციის შესახებ (მარგიანი-სუბარი, 2012).

ევიდენციულობის, უნახაობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვაგვარი ვითარებაა. აღმოსავლური დიალექტები ძირითადად ძველ ვითარებას ასახავენ — თურმეობითის მწკრივები უფრო შედეგობითობას, რეზულტატიურობას გამოხატავენ, თუმცა ნარატიულ ტექსტებში I თურმეობითის ფორმების თანმიმდევრობითი ხმარება განაპირობებს პერფექტის რეზულტატიური მნიშვნელობის რღვევას და უნახაობითი, თურმეობითი მნიშვნელობის ჩასახვას (შაბაშვილი, 2010, 163).

განსხვავებული ვითარებაა დასავლურ დიალექტებში. უნახაობის კატეგორიის გამოხატვა სრულიად ბუნებრივია მესამე სერიის ფორმებისათვის. გარდა ამისა, რამდენიმე დიალექტში არსებობს სპეციალური ფორმები ირიბი ევიდენციულობის გადმოსაცემად. მიჩნეულია, რომ ეს ფორმები მეგრულის გავლენის შედეგად ჩამოყალიბებული. ესაა **ნა**-პრეფიქსიანი წარმოება, რომლებიც სახელდებულია მეოთხე სერიის ფორმებად.

მეოთხე სერიის ფორმები ქართველურ ენებში პირველად გამოყოფილია გ. როგავამ. **ნა**-პრეფიქსიანი ფორმებს მეცნიერმა უწოდა აწმყოს თურმეობითის ნაკვეთები და ცალკე ჯგუფად გამოყო ისინი აორისტიის თურმეობითის ნაკვეთებისაგან. ახალი ნაკვეთების სახელდებისათვის იგივე ტერმინები იქნა გამოყენებული, რაც მესამე სერიის ფორმებში იყო: თურმეობითი მესამე, თურმეობითი მეოთხე, კავშირებითი მეოთხე და პირობითი მეოთხე. **ნა**-პრეფიქსიანი თურმეობითების გამოყოფას ჰქონდა როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური საფუძველი — იკვეთებოდა წარმოების დამოუკიდებელი სისტემა და მათ ახასიათებდათ ნომინატიური კონსტრუქცია. ამ ფორმებს გ. როგავა ამგვარად ახასიათებს: „ზმნებს, რომელთაც ხილულ დრო-კილოებში მოეპოვებათ ორივე (I და II) ჯგუფის ნაკვეთები, უხილავ დრო-კილოებშიც გააჩნდათ ორივე (III და IV) ჯგუფის ნაკვეთები“ (როგავა, 1953, 17-18). მეოთხე სერიის ყოველი ფორმის ანალიზისას ავტორი იყენებს **თურმე** ნაწილაკს, რათა მისი სემანტიკა ქართულად უფრო ზუსტად გადმოეცა. მეცნიერი შენიშნავს, რომ „დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვეთებში უფრო ხშირად იხმარება თურმეობითი III გამოხატავს როგორც აწმყო-მყოფადის თურმეობითებს, ისე ნამყო უსრულის თურმეობითებსაც“ (როგავა, 1953, 23). წარმოების თვალსაზრისით ეს ფორმები აღწერილობითია,

იწარმოება **ნა**-პრეფიქსითა და **-უ** სუფიქსიანი მიმღობური ფორმით, თუმცა მეცნიერი აღნიშნავს იმის შესახებაც, რომ **ნა**-პრეფიქსიანი წარმოება მეგრულში შეზღუდა ქართულიდან შეთვისებულმა **ნა**-პრეფიქსმა. ქართულის კილოებში უფრო ხშირად თურმეობითის ორი ნაკვთი გვხვდება — **მონავალა** და **მონავალიყო**. შედარებით იშვიათია მეოთხე კავშირებითი, როგორც მესამე კავშირებითი. მეცნიერის მინიშნებით, „მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ჩვეულებრივ მესამე პირის ფორმით გვხვდება, რაც მას იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს, რომ „ეს ნაკვთები, როგორც ჩანს, მესამე პირის საფუძველზეა ჩამოყალიბებული“ (როგავა, 1953, 29).

მეცნიერს მესამე და მეოთხე სერიის ჯგუფები ისტორიულად სხვადასხვა დროის წარმონაქმნად მიაჩნდა. მეოთხე სერიის ნაკვთები უნდა ჩამოყალიბებულიყო დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ, ხოლო დასავლურ კილოებში (ქვემოიმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში) ეს ფორმები უფრო გვიანდელი მოვლენა ჩანს. მეცნიერს აწმყოს თურმეობითის ნაკვთთა ჩამოყალიბება ქართველურ ენებში ენათა მორფოლოგიის განვითარების შინაგან კანონად მიაჩნია, რაც განპირობებული იყო იმით, რომ საჭირო იყო უხილავი დრო-კილოთა ნაკვთების გაჩენა ნამყო უსრულისათვის. მეგრულის ისეთ ზმნებს, რომლებსაც მხოლოდ აწმყო-მყოფადის ნაკვთები გააჩნიათ, არ განუვითარებიათ სათანადო თურმეობითის ნაკვთები. იმ გარემოებას, რომ ამგვარი ფორმები არ განვითარდა სალიტერატურო ქართულში, მეცნიერი იმით ხსნის, რომ მეგრულს უფრო მეტი საჭიროება ჰქონდა გამოეხატა აწმყოს ჯგუფის თურმეობითის ფორმები, რადგან სტატიკურ ზმნებს მხოლოდ პირველი ჯგუფის ფორმები ჰქონდათ (როგავა, 1953, 30-31).

წიგნში „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ მეოთხე სერიის ფორმები უნახავი აქტის ფორმებად არის დახასიათებული, ხოლო ამ ფორმების სემანტიკა ამგვარად არის ახსნილი: „ისინი გადმოსცემენ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მოლაპარაკეს არ უნახავს, მაგრამ მისთვის ცნობილია სხვათა ნათქვამის (ან უნახავი მოქმედების შედეგის) მიხედვით. ასეთი ფორმები ყოველთვის შეიცავს „**თურმეს**“ გაგებას და ამიტომ მისი ხმარება სავალდებულო არც არის. მაგრამ „თურმეობითობას“, გარდა უნახაობის გადმოცემისა, კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს: აღნიშნავს ნახულს, განცდილ მოქმედებას, რომლის შესახებ (ან რომლის შედეგების შესახებ) მოქმედმა ბოლომდე ყველაფერი არ იცის. ამგვარად, თურმეობითის შინაარსისათვის არსებითია მოქმედების შესახებ ზუსტი ცოდნის არქონის მომენტი. სწორედ არცოდნის სემანტიკა

იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თურმეობითის მნიშვნელობას დაუკავშირდეს პოტენციალისის მნიშვნელობაც (რა თქმა უნდა, იგულისხმება მხოლოდ ის ზმნები, რომელთაც ეწარმოებათ პოტენციალისის ფორმები)“ (კარტოზია და სხვა, 2010, 262).

მეგრულში აწმყოს თურმეობითები წარსული დროის გადმოსაცემად გამოიყენება და ამ სემანტიკის წარმოჩენას ხელს უწყობს ნო- (<-ნა) პრეფიქსი, რომელიც წინავითარების სახელებისა და წარსული დროის მიმღობის მაწარმოებელი აფიქსია (ქობალავა, 2001, 134).

მეგრულის ფორმების სემანტიკური ანალიზისას ჩვეულებრივ წიგნში თურმე ნაწილაკია გამოყენებული, მაგრამ ერთ ადგილას (კარტოზია და სხვა, 2010, 263) „ნაწერავა“ ფორმა გამოუყენებიათ ავტორებს, რადგან ამ ფორმაში უფრო კარგად იგრძნობა ის დამახასიათებელი სემანტიკური ნიუანსი, რომელსაც ეს ფორმა გულისხმობს, ვიდრე ეს ჩანს აღწერით, თურმე ფორმადართულ წარმოებაში.

როგორც უკვე აღინიშნა, ევიდენციალობის ორი სახე გამოიყოფა: **პირდაპირი ევიდენციალობა** და **ირიბი ევიდენციალობა**. პირდაპირი ევიდენციალობის მარკირება არ ხდება, მაგრამ მარკირებულია ირიბი ევიდენციალობა. ირიბი ევიდენციალობის სემანტიკური კლასიფიკაციისას კი მნიშვნელოვანია ინფორმაციის წყარო და მისი მიღების გზა, ანუ როგორია მიღებული ინფორმაცია — **ვერბალური ანუ შეტყობინებითი**, თუ **ინფერენციული ანუ დასკვნითი**, რომელიც მთქმელს გამოაქვს თავისი ცოდნისა და გამოცდილების ფონზე.

ნა- პრეფიქსიანი ფორმები ქართული ენის ოთხ დიალექტში დასტურდება: ქვემოიმერულში, გურულში, ლეჩხუმურსა და რაჭულში (ჯორბენაძე, 1989). ამ ფორმათა არსებობა, როგორც უკვე აღინიშნა, მეგრულის გავლენას მიეწერება, რაც ბუნებრივია ამ არეალისათვის. შენიშნულია, რომ ქართულის კილოებში მეოთხე სერიის ნაკვთები ჩვეულებრივ მესამე პირის ფორმით გვხვდება, რაც ხელს უწყობს იმ დასკვნას, რომ ეს ნაკვთები მესამე პირის საფუძველზეა ჩამოყალიბებული (როგავა, 1953, 29). ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ პირველი პირი დაკავებულია როგორც შემგრძნობი, მიმღები, აღმქმელი ინფორმაციისა. იგი ერთგვარად დისტანცირებულია ფაქტისა და მოვლენისაგან და ფაქტობრივად, ინფორმაციის მიმღები ან გამტარებელი ხდება.

ამ დიალექტებში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, ევიდენციალური სემანტიკა I და II თურმეობითის მწკრივებსაც მოეპოვებათ. დგება საკითხი, რა სემანტიკური სხვაობაა „ყვარებია“ და „ნაყვარება“ ფორმებს შორის, რამაც ამ დიალექტებში **ნა-** პრეფიქსიანი ფორმების დამკვიდრებასა და შენარჩუნებას შეუწყობ ხელი?

-ნა პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკურმა ანალიზმა რამდენიმე ჯგუფის გამოყოფის შესაძლებლობა შექმნა. ეს ფორმები ირიბი ევიდენციულობისა და გარკვეული სემანტიკური ნიშნით ხასიათდება:

1. **ადმირატიულობა, ანუ მოულოდნელი შედეგი** — ნახული, რომლის შედეგი მოულოდნელი იყო მოლაპარაკისათვის: (1) **„ნადუღება ე წყალი რა ხანია...“** — მოლაპარაკისათვის ნახული ფაქტი მოულოდნელია. ფორმაში არა მარტო წინაა წამოწეული **თურმეს** გავება, არამედ იგი გარკვეული ექსპრესიულობის ნიუანსის მატარებელიცაა, კერძოდ, იგრძნობა გაოცება, გაგაკვირვება ნახულის გამო. „ნადუღება“ ფორმის შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება „ადუღებულა“ ფორმისაგან, რომელშიც უფრო რეზულტატიურობის სემანტიკაა წინ წამოწეული. ადმირატიული ევიდენციულობა ვრცელი კონტექსტიდან კიდევ უფრო კარგად ვლინდება. ფრაზაში შესაძლოა არსებობდეს ექსპრესიულობის გამომხატველი „რა“ ან „არ“ ნაწილაკი, რაც ხაზს უსვამს მოულოდნელი შედეგით მიღებულ განწყობას:

(2) „აგერ **არ ნავდება** ეი?! ვეძებ რახანია“...

(3) „მე ვყვირი აქანე და ეგერ **ნადლობა** ბუხართან ეგი, კარქა სითფოში“...

(4) „**რა** კარგა **ნაქარგავა** ეი გოგო, კარ ვიცოი მე“...

(5) „**შეხედე, რა** კაი სკამეფს **ნაკეთება** დათიკო, კარ ვიცოი მე“...

2. **ინფერენცია**, ანუ ლოგიკური დასკვნა — ლოგიკურ დასკვნაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც ძირითადად ემყარება მთქმელისთვის ცნობილ ფაქტებს. ესაა მთქმელის დასკვნა, რომელიც მას გამოაქვს თავისი ზოგადი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. დასკვნა შეიძლება გამოტანილი იყოს წარსული გამოცდილების ფონზე (6), ან გულისხმობდეს გარკვეული ეჭვის არსებობას და მასზე დაფუძნებულ დასკვნას (7), ან ვარაუდს, რომელიც არსებობდა და ახლა დასკვნით გამყარდა (8), ან ფაქტის ხილვის შედეგად გამდიდრებულ გამოცდილებას (9), (10).

(6) „ბაღნებმა მოკრიფენ გუშხამ, სუყველე ფუტურეა... ალბათ თოული **მონახონა // ნახონა** მაგას.“

(7) „მივეი და ქე აღარ იყო რამე ხეზე, მაის ბაღანე **ნაკრეფავა** ჩუმათე... რაღაი იქნებოდა“...

(8) „მაჯავია უფრო ე წითელი ქათმები... ისე დიდი **ნაზარდა** ეგი, კაცო!“...

(9) „რაფერ **დანაქონა** ტყემალი ჩასაბარებლათ, სა შოულია ამ დონი“...

(10) „ქე **ნაბამა** ე თხილი და რაი გინდა“...

ნა- პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკა განსხვავებულია ამავე ზმნების I თურმეობითის ფორმებისაგან: რეზულტატიურობის გამო-მხატველი ფორმებია — *მოხდენია, მოუკრეფია, გაზრდილა, მოუბამს (მოუბია)...*, ხოლო **ნა-** პრეფიქსიანი ფორმებით ირიბი ევიდენციულობა, უნახაობა ვლინდება, რომელიც ფაქტის შემდგომ ლოგიკური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გულისხმობს.

3. **ხმებზე დამყარებული ინფორმაცია** — **ნა-** პრეფიქსიანი ირიბი ევიდენციულობის ყველაზე გავრცელებული სემანტიკაა. ეს შეიძლება **დაუზუსტებელი ინფორმაციის** სახელდებითაც დახასიათდეს, თუმცა ტერმინი „ხმებზე დამყარებული ინფორმაცია“ ამ სემანტიკის მთავარ მახასიათებელს წამოსწევა წინა პლანზე. (ინგლ.: Hearsay) იგი ფაქტობრივად გულისხმობს არსებულ, გავრცელებულ ხმებზე დამყარებულ ინფორმაციას, რომელიც შეუძომწმებელი ან გადაუმომწმებელია, მაგრამ მოლაპარაკე მას მაინც იყენებს, ანუ ამ აზრის გამტარი ხდება. სწორედ ამ სემანტიკურ ნიუანსს უნდა გულისხმობდნენ „მეგრულის ლინგვისტური ანალიზის ავტორები“ როცა წერენ: მეოთხე სერიის ფორმები უნახავი აქტის ფორმებია. ისინი გადმოსცემენ მოქმედებას, რომელიც უშუალოდ მოლაპარაკეს არ უნახავს, მაგრამ მისთვის ცნობილია სხვათა ნათქვამის (ან უნახავი მოქმედების შედეგის) მიხედვით. ასეთი ფორმები ყოველთვის შეიცავს „თურმეს“ გაგებას და ამიტომ მისი ხმარება სავალდებულო არც არის. მაგრამ „თურმეობითობას“, გარდა უნახაობის გადმოცემისა, კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს: **აღნიშნავს ნახულს, განცდილ მოქმედებას, რომლის შესახებ (ან რომლის შედეგების შესახებ) მოქმედმა ბოლომდე ყველაფერი არ იცის.** (ხაზგასმა ჩვენია ნ.შ.) ამგვარად, თურმეობითის შინაარსისათვის არსებითია მოქმედების შესახებ ზუსტი ცოდნის არქონის მომენტი“ (კარტოზია და სხვა, 2010).

მეგრულის წარმოება თავისი სემანტიკური ნიუანსით გადმოვიდა ქართული ენის დასავლურ დიალექტებში და სწორედ ამ სემანტიკის შენარჩუნებამ შეუწყო ხელი ამ ფორმების დაამკვიდრებასა და გავრცელებას. ამ სემანტიკას, რა თქმა უნდა, I თურმეობითის ფორმები ვერ ჩაანაცვლებდა.

(11) „ვირგოლივ სახს **ნაყიდავა** და ყიდულოფს მაგიორს პეტერას“...

(12) „**ნაწუმარა** იქინე“...

(13) „ხშირათ **მონავალა** მა ქალი მაქანე, **დანავალა**“...

(14) „ანიკოს გოულეთ კარები. ქე **ნაწყენა** მარშინა, მარა არ უწყენია ახლა“...

(15) „ქალები **დანარება** იქინე“...

(16) „თვითან ვერ **ნაჭამა** თხილს და აწი რალათ უნდა“...

(17) „ვალოდრეს გოგო **ნაყვარება** მავას და მას მერე არც მოუყვანია ცოლი“.

(18) „მაი, ჯარში რო იყო **ნაწერა** და **ნაგზავნა** წერილებს ი გოგოსან“...

(19) „მაის რძალი სახს **ნაშენება** თურმე ქუთაიში“...

(20) „იქინე ყოფილა ახლოს და იქიდგან **ნაყურება** ამ ამბავს“...

(21) „უნდა ვიყიდო ახალი კრანი, კარ **ნადირალა** ბევერი“...

(22) „**ნაძარავა** მაი ბიჭი ყორფელს“...

(23) „ახალი წლიზა **ნასუქება** ი ღორს ანიკო და კარ დეეკარქა?!“

(24) „**ნანდომა** მავას კაი ხანია“...

საყურადღებოა **ნა-** პრეფიქსიანი ფორმების დაფიქსირების შემთხვევები თანამედროვე ქართულ მედიასა და ინტერნეტსივრცეში. მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია. რა თქმა უნდა, ეს ფორმები უფრო მეტად დასავლური დიალექტების წარმომადგენელთა მეტყველებაში ფიქსირდება, მაგრამ აქ მნიშვნელობა მაინც ფაქტს ენიჭება: ამ ფორმების გამოყენებით სწორედ იმ თავისებურ სემანტიკურ ნიუანსებზე ხდება ყურადღების გამახვილება, რაც სალიტერატურო ენის თურმეობითების ფორმებით სრულად ვერ გადმოიცემა. გარდა ზემოთ განხილული სემანტიკური ნიუანსებისა, კონტექსტების უმრავლესობა მკვეთრ ირონიასაც შეიცავს, რაც ზოგადად დიალექტური მეტყველების არაპირდაპირი გამოყენების მახასიათებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ისიც, რომ სალიტერატურო ენის ჩვეულებრივი ფორმები ვერ წარმოაჩენს იმ ირნიულ ქვეტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მათი გამოყენებლისათვის. ეს ამ ფორმათა ანალიზის პრაგმატული ასპექტებია და ცალკე კვლევას მოითხოვს.

4.10. სტატიკური ზმნები

4.10.1. სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოება მთის დიალექტებში

მთის დიალექტებში — თუშურში, ფშაურსა და ხევსურულში სტატიკური ზმნები ორნაირად ფორმდება 1. **-ავ** სუფიქსისა და 2. **-ი** სუფიქსის მეშვეობით. ცხადია, საქმე მესამე პირის ფორმებს ეხება. პირველი და მეორე პირის ფორმები აღწერილია, მეშველზმნიანი. სტატიკურ ზმნათა მესამე პირის ფორმათა თვალსაზრისით ამ დიალექტებს შორის არის თვალსაჩინო სხვაობა. ფშაურში უნიფიცირებულია **-ავ**-იანი წარმოება. ხევსურულშიც უპირატესობა **-ავ**-იანს ენიჭება, **-ი**-იანი იშვიათია. თუშურში ორივე მოდელი თითქმის თანაბარი სიხშირითაა წარმოდგენილი.

ფშაური

ფშაურ დიალექტში სტატიკურ ზმნათა მესამე პირის ფორმები ორ მოდელს გვიჩვენებს: მხოლოდ **-ავ** სუფიქსიანს, პირის ნიშნის ნულოვანი ვარიანტი: **ღგდავ, ხფენავ შჩრავ, სწერავ, ხყუდავ...** და პირის ნიშნის **-ის** მაწარმოებლით: **ღგდავის, ხფენავის, შჩრავის, სწერავის, ხყუდავის**. მნიშვნელობის მიხედვით ამ ორი რიგის ფორმებს შორის სრული პარალელიზმია. ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მეორე რიგისანი ექსპრესიულობით სჭარბობენ პირველ რიგისებს, მაგრამ ეს შთაბეჭდილება ალბათ მოჩვენებითია. სხვაობა უფრო თაობათა მეტყველებაში უნდა მდგომარეობდეს.

პირების მიხედვით უღლების პარადიგმები ასეთი იქნება:

ერთპირიანები

- | | |
|---------------|------------|
| 1. ვხყუდივარ | ვხყუდივართ |
| 2. ხყუდიხარ | ხყუდიხართ |
| 3. ხყუდავ(ის) | ჰყუდავან |

ორპირიანები

- | | |
|---------------|------------|
| 1. ვაბარივარ | ვაბარივართ |
| 2. აბარიხარ | აბარიხართ |
| 3. აბარავ(ის) | აბარავან |

მასალა

გიგის ლურჯაი ბაგას **ღბავ** (ვაჟა); წიგნშია **სწერავ**; სანამ სული **გვჩრავ** პირშია (ვაჟა); ორთ **უბუჩრავ** ლაგმის ტარია (ვაჟა); სხვა კი აღარა **მაბადავ**, ერთი ჩოჯაი **მცვავისა**; იმათა დგონავ, რო იწვებ; შუ-შანიკაის ბალღი **მტანავ**; რამდენი სიპები **აწვეავ** (ვაჟა);

სხვა დროების ფორმებს სტატიკური ზმნები ისევე იწარმოებენ, როგორც სალიტერატურო ქართული და ქართული ენის სხვა დიალექტები: **სწერავ** — **ეწერა** — **წერებულა(ა)**; **ხფენავ** — **ეფინა** — **ფენილა**; **მაბადავ** — **მებადა** — **მბადებია**; **ღმარხავ** — **ემარხა** — **მარხულა**.

ხევსურული

ძირითადი მოდელი ხევსურულის სტატიკური ზმნების აწმყო დროის ფორმებისა ისეთივეა, როგორც ფშატურში — აქაც პირველი და მეორე პირის ფორმები მეშველზმნიანია, მესამე პირში კი **-ავ(ის)** სუფიქსია სისტემატური: **ღგდავ(ის), სწერავ(ის), ხფენავ(ის), სრტყავ(ის), ასხავ(ის), სცვავ(ის), ხურავ(ის)**. თავისებურებას აქ პირველი თურმეობითის ფორმები აჩვენებს: **არტყავ(ის)** — **ერტყ(ა)** — **სრტყმივ(ას); ასხავ(ის)** — **ესხ(ა)** — **სხმივ(ას); ხურავ(ის)** — **ეხურ** — **ხურვივ(ას); სცვავ(ის)** — **ეცვ(ა)** — **სცმივ(ას)**.

პარადიგმები ასეთი იქნება:

აწმყო (სუბიექტური წყობისა)

- | | |
|---------------|------------|
| 1. ვხკიდივარ | ვხკიდივართ |
| 2. ხკიდიხარ | ხკიდიხართ |
| 3. ხკიდავ(ის) | ხკიდიან |

ობიექტური წყობისა

- | | |
|---------------|-------------|
| 1. მკიდავ(ის) | გვკიდავის |
| 2. გკიდავ(ის) | გკიდავ(ის)თ |
| 3. ხკიდავ(ის) | ხკიდავ(ის) |

თურმეობითი (სუბიექტური პირისა)

- | | |
|-------------------|--------------|
| 1. ვხკიდეზივარ(რ) | ვხკიდეზივართ |
| 1. ხკიდეზიხარ(რ) | ხკიდეზიხართ |
| 2. ხკიდეზივ(ას) | ხკიდეზივან |

ობიექტური წყობის

- | | |
|-----------------|---------------|
| 1. მკიდეზივ(ას) | გვკიდეზივ(ას) |
| 3. გკიდეზივ(ას) | გკიდეზივათ |
| 4. ხკიდეზივ(ას) | ხკიდეზივ(ას) |

თუშურში

თუშურში სტატიკურ ზმნათა აწმყო დროის ფორმათა ორი მოდელია გავრცელებული: **-ავ** სუფიქსიანი და **-ი** სუფიქსიანი 1. **სწერავ, ხფენავ, ხკიდავ, ახვიავ, სთესავ, ღგონავ, უკეთავ, უჭერავ, აკერავ, აკეცავ, აფარავ, აკრავ, ღმარხავ, ურიავ, ხკუნტავ, ხყუდავ, უყენავ;** 2. **შჩრჩ, ღგდრ, ხყრჩ, აგრ, აშჭვრ, ალაგრ, ატყვრ, აცვრ, ასხრ, აბრ, ანთრ აშავრ, აწყვრ, ღბრ.** ამ ორი მოდელის სტატიკური ზმნების აწმყოს ფორმების სიხშირე მეტყველებაში თითქმის თანაბარია. ისინი ერთმანეთს არასოდეს ანაცვლებენ. ასე რომ, ფორმათა თავისუფალ მონაცვლეობა არ ხდება. ამიტომ ვერც იმას ვიტყვით, რომ აქ რაიმე გარდამავალ საფეხურთან გვქონდეს საქმე. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა მოდელებს განსხვავებული ტიპის ზმნები იყენებდეს, მაგრამ თითქოს არ ხერხდება ზმნათა ამ ფორმების რაიმე ნიშნით დაჯგუფება. ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ წარმოების პირველი, **-ავ**-იანი მოდელი ერთპირიანი სტატიკური ზმნებისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო მეორე, **-ი**-იან — იორპირიანებისთვის, მაგრამ ყოველთვის არც ეს მართლდება: **სწერავ, ხფენავ, ხყუდავ, ხკუნტავ** კია ერთპირიანები, მაგრამ იქვეა: **ღგონავ, უკეთავ, უჭერავ, აკერავ, აკეცავ** და სხვ. მეორე მხრივ: **ატყვრ, აცვრ, ასხრ, აბრ** კია ორპირიანები, მაგრამ იქვეა **ანთრ, აწყვრ, ღგდრ, ხყრჩ** და ა. შ. ერთი რამ უეჭველია — თუშურ დიალექტზე მოსაუბრე მათ არასოდეს აურევს ერთმანეთში. პარადიგმები ასეთი იქნება:

-ავ-ით ნაწარმოებნი

სუბიექტური წყობის:

- | | |
|-----------------|------------|
| 1. ვსწერივარ(რ) | ვსწერივართ |
| 2. სწერიხარ(რ) | სწერიხართ |
| 3. სწერავ(ის) | სწერვან |

ობიექტური წყობის

- | | |
|---------------|-------------|
| 1. მაწერავ | გვაწერავ |
| 2. გაწერავ | გაწერავთ |
| 3. აწერავ(ის) | აწერავ(ის)თ |

-ი-თი ნაწარმოებნი

სუბიექტური წყობის

- | | |
|----------------|------------|
| 1. ვღგდივარ(რ) | ვხყრენვართ |
| 2. ღგდიხარ(რ) | ხყრენხართ |
| 3. ღგდრ | ხყრენან |

ობიექტური წყობის

- | | |
|----------|---------|
| 1. მაცვრ | გვაცვრ |
| 2. გაცვრ | გაცვიათ |
| 3. აცვრ | აცვრ |

4.10.2. გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოება მთის დიალექტებში

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს — ფშაურს, ხევსურულსა და თუშურს ერთი თითქოს უცნაურობა სჭირს — დინამიკურ გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველი იმეორებს სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმების წარმოების მოდელს — ისინიც, როგორც ეს უკანასკნელნი, **-ავ** სუფიქსით ფორმდება. ამასთან ეს მაწარმოებელი ფშაურში ერთადერთია, როგორც სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმების შემთხვევაში. ხევსურულსა და თუშურში არის **-ი** მაწარმოებლიანი ფორმებიც, მაგრამ მათი გამოყენების არე ერთობ შეზღუდულია, თანაც უფრო მეტად, ვიდრე სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმათა შემთხვევაში.

ფშაური

გ-ამაუბრუნებავის ი ბაღსა ცხვარი; დედაშვილ **წაუყვანავის** ლეკებსა, ლეკეთში რო **მიუყვანავის**, ი შვილ ჩანგლებზე **დაუკიდებავ**; ფულიც მასწავლებელს **მიუცავის**, **გაუგზავნავის** დეპეშა; მე რო დამცინი, არჯალავ, შენ რალა **გითქომ** თავისა, პატივ არ **გიცავ** ღვთისადა, სანთელ არ **აგინთავისა**, ღვინო არ **ამოგიტანავ**, ქადა არ **გაგიჭრავისა**, ხინკალ არ **მაგიხარშავის**, ხმიანდ არ **ჩაგიცხვავისა**, ტაბლა არ **გაგიკეთებავ**, სახელ არ **შაგიდგავისა**.

ფშაურში ნიშანდობლივი ისაა, რომ **-ავ** თემისნიშნიან ზმნებში ხდება თემის ნიშნის რეინტერპრეტაცია და იგი გვევლინება პირველი თურმეობითის მაწარმოებელ აფიქსად, **კლავ-ს — მაუკლავ(ის)**, **თელავ-ს — მაუთელავ(ის)**. **-ამ** თემისნიშნიანებთანაც ზოგან თემისნიშნი კისრულობს მწკრივის მაწარმოებლის ფუნქციას: **აბ-ამს — დაუბ-ამ**, **გაუბ-ამ**, **სვ-ამს — შეუსვ-ამ**.

პირველი თურმეობითის მწკრივში პირების მიხედვით უღლების პარადიგმებს ასეთი სახე აქვს:

სუბიექტური წყობა

- | | | |
|----|--------------|-------------|
| 1. | მაუტანივარ | მაუტანივართ |
| 2. | მაუტანიხარ | მაუტანიხართ |
| 3. | მაუტანავ(ის) | მაუტანიან |

ობიექტური წყობა

- | | | |
|----|---------------|----------------|
| 1. | მამიტანავ(ის) | მოგვიტანავ(ის) |
| 2. | მოგიტანავ(ის) | მოგიტანავ(ის)თ |
| 3. | მაუტანავ(ის) | მაუტანავ(ის)თ |

ხევისურული

ხევისურულშიც, ფშაურის მსგავსად, უნიფიცირებულია **-ავ** სუფიქსი, თემისნიშნებთანაც და უთემისნიშნებთანაც: **მაუყვანავ(ის), დაუჭერავ(ის), უწოცავ(ის), უშინებავ(ის), უჭამავ(ის).**

ფშაურის მსგავსად აქაც ხდება **-ავ** თემის ნიშნის მწკრივის მაწარმოებლად რეინტერპრეტაცია: **წნავს — უწნავ(ის). კლავს — მაუკლავ(ის), ნახავს — უნახავ(ის), ბედავს — გაუბედავ(ის).** ამ თემის ნიშნიანი თურმეობითების წარმოება ხევისურულში აჩვენებს კილოკავურ განსხვავებებს: პირაქეთ ხევისურულსა და არხოტულში მწკრივის მაწარმოებლის ფუნქციას, ფშაურის მსგავსად, თემის ნიშანი კისრულობს, ე.ი. ხდება თემის ნიშნის რეინტერპრეტაცია მწკრივის მაწარმოებლად: იარაღები **აუსხამ;** ჩოკა **ჩაუცვამ;** აბულეთს... სისხლ ბევრჯელ **უსვამ** მტრისაო; შენ მამაჩემო, თორღვაო, ნუმც **შაგიბამის** ჯმალიო. შატილურ-მიღმაჯეურში **-ამ**-იანი ზმნები **-ავ** მაწარმოებელს დაირთავს, ოღონდ ფონეტიკურ ნიადაგზე თემის ნიშანი სახეს იცვლის, ხმოვანს კარგავს და ზოგჯერ ხდება მისი ფუძეში ინკორპირაცია: **აუსხამავ(ის), ჩაუცმავ(ის), გიქმნავ || გიქნავ, შაუშმავ.**

-ებ თემისნიშნებები დაირთავს **-ავ** მაწარმოებელს და თემის ნიშნისაც უცვლელად ინახავს: **გამაუყოლებავ(ის), გაუმაგრებავ(ის), გაურჯულებავ(ის), გამიკეთებავ(ის).**

პარადიგმები

სუბიექტური წყობა

- | | | |
|----|-----------------|------------------|
| 1. | გამიკეთებავ(ის) | გავგიკეთებავ(ის) |
| 2. | გავიკეთებავ(ის) | გავიკეთებავ(ის)თ |
| 3. | გაუკეთებავ(ის) | გაუკეთებავან |

ობიექტური წყობა

- | | | |
|----|----------------|---------------|
| 1. | გაუკეთებივარ | გაუკეთებივართ |
| 2. | გაუკეთებიხარ | გაუკეთებიხართ |
| 3. | გაუკეთებავ(ის) | გაუკეთებვან |

თუშური

გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა საწარმოებლად თუშურშიც **-ავ** სუფიქსია გაბატონებული. ამ მოდელით იწარმოება თემისნიშნისანი ზმნები:

აშენებს — **უშენებავ**, აკერებს — **დუცკერებავ**, აკნევს — **უკნიავ**, შჭამს — **უჭამავ**, სვამს — **შუცსვამავ**, აბამს — **დუცბამავ**, ასხამს — **დუცსხმავ** (წყალი), ამუცსხამავ (ქალამანი), ხკლავს — **მუცკლავ**, სწვავს — **დუცწვავ**.

-ავ თემისნიშნისანებში აქაც, ფშაურ-ხევსურულის მსგავსად, თემისნიშნისანი რეინტერპრეტირებულია მწკრივის მაწარმოებლად. რაც შეეხება **-ამ** თემის ნიშანს, იგი პირველ თურმეობითებში თემის ნიშნადვე რჩება. მწკრივის მაწარმოებლად კი ისინი **-ავ**-ს დაირთავენ. ამით განსხვავდება თუშური ფშაურ-ხევსურულისგან (მაგალითები იხ. ზემოთ). უთემისნიშნო გარდამავალ ზმნებში ორი მოდელი გვაქვს. ერთი პირველ თურმეობითს **-ავ**-ით იწარმოებენ: სწერს, აწერს — **დუცწერავ**; ღვლეჯს — **დუცღლეჯავ**, მუცღლეჯავ; ხვენს — **დუცხვენავ**, გუცხვენავ. მეორე ნაწილი | თურმერბითს **-ი** სუფიქსით იწარმოებს: შლის — **გუცშლი**, **დუცშლი**; ღვრის — **დუცღვრი**; სთრის — **ჩუცთრი**, **ამუცთრი**, **გამუცთრი**; პირველი თურმეობითის წარმოების მიხედვით განსხვავებულ ზმნათა დაჯგუფება რაიმე შინაარსობლივი მიმართების ტიპებად ჭირს. ერთადერთი ფორმობრივი განსხვავება, რაც აუცილებლად მოხვდება კაცს თვალში ისაა, რომ ყველა ზმნას, რომლებიც მეორე თურმეობითის ფორმებს **-ი**-თი იწარმოებენ აწმყო დროის მესამე პირის ფორმებში **-ის** დაბოლოება მოუდის. ე. ი. **-ს** სუბიექტური სუფიქსის წინ **ი** ხმოვანი აქვს. ეგევე ხმოვანი აქვს ამ ზმნებს პირველი და მეორე პირს ფორმებშიც. მაშასადამე, ეს **-ი** თავისუფლად შეიძლება განვიხილოთ თემის დაბოლოებად და ჩამოვაცალიბოთ წესი, რომ **-ი** თემისნიშნისანი ზმნებში, ისევე როგორც **-ავ** თემისნიშნისანებში, ხდება თემის ნიშნის რეინტერპრეტაცია და **-ი** თემისნიშნისანი გვევლინება პირველი თურმეობითის ფორმათა მაწარმოებლად.

**პირველი თურმეობითის მწკრივების პარადიგმები:
-ავ მაწარმოებლებიანი**

სუბიექტური წყობა

- | | | |
|----|---------------|----------------|
| 1. | დამიჭერავ(ის) | დაგვიჭერავ(ის) |
| 2. | დაგიჭერავ(ის) | დაგიჭერავთ(ის) |
| 3. | ლუცჭერავ(ის) | ლუცჭერავ(ის) |

ობიექტური წყობა

- | | | |
|----|------------|-------------|
| 1. | დუცჭერივარ | დუცჭერივართ |
| 2. | დუცჭერიხარ | დუცჭერიხართ |
| 3. | დუცჭერავ | დუცჭერვან |

-ი მაწარმოებლებიანი

სუბიექტური წყობა

- | | | |
|----|------------|------------|
| 1. | დუცშლივარჩ | დუცშლივართ |
| 2. | დუცშლიხარჩ | დუცშლიხართ |
| 3. | დუცშლჩ | დუცშლიან |

ობიექტური წყობა

- | | | |
|----|---------|-----------|
| 1. | დამიშლჩ | დაგვიშლჩ |
| 2. | დაგიშლჩ | დაგიშლიათ |
| 3. | დუცშლჩ | დუცშლჩ |

დასკვნა

როგორც ვნახეთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის სამივე დიალექტში სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა თურმეობითის წარმოებებს შორის დაბოლოებათა თვალსაზრისით სრული პარალელიზმი არსებობს. მსგავსებაა ამ ფორმათა შინაარსობლივ პლანებშიც — სტატიკური ზმნებიც და თურმეობითებიც მოქმედების შედეგს გამოხატავენ. ზმნის სტატიკურ ფორმებში წარმოდგენილია გარდამავალი ზმნით შესრულებული მოქმედების შედეგი: ვილაცა **წერ-** და და **წერია** ამ მოქმედების შედეგს აჩვენებს. ეგვევ სტატუსია წარმოდგენილი თურმეობითებშიც: ვილაცა ჩვენი მხედველობის მიღმა **ხატავდა** და ჩვენ ამ მოქმედების შედეგი ვნახეთ და მივხვდით, რომ ვილაცას მოქმედება შეუსრულებია — **დაუხატავ(ის)**. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ: სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითებში **-ავ** და **-ი** სუფიქსები შედეგობრივობას გამოხატავენ.

აქვე ადვილად დავინახეთ, რომ სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებზე პირველი თურმეობითების ფორმები ერთი შინაარსობლივი კომპონენტით მეტია: ისინი აქტის უნახაობასაც გამოხატავენ. ამის რეპრეზენტაცია ხდება ფორმობრივადაც: ამ უკანასკნელებს პრეფიქსად ერთვის პირველ და მეორე პირის ფორმებში **ი-**, ხოლო მესამე პირის ფორმებში **უ-** პრეფიქსული ფორმანტები, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში საობიექტო ქცევის მაწარმოებლად მიჩნეული. თურმეობითებთან რაიმე გრამატიკული ვერსია, ობიექტური თუ სუბიექტური, საერთოდ არა ჩანს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ზმნის შედეგო-

ბით ფორმებზე **ი-** და **უ-** პრეფიქსების დართვა ამ შედეგობრივებს უნახაობის მნიშვნელობას ანიჭებს და, შესაბამისად, პირველი შედეგობრივის, ანუ იგივე პირველი თურმეობითი მწკრივის მაწარმოებლობია **ი—ავ**, კონფიქსი პირველ-მეორე პირის ფორმებში და **უ—ავ** (ი—ი და უ—ი) მესამე პირის ფორმებში. ეს თანაბრად ეხება ქართული ენის მთელ კონტინიუმს — დიალექტებსაც და სალიტერატუროსაც.

4.10.3. სტატიკური ზმნები და მათი უღლებების პარადიგმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერულის მასალების მიხედვით)

სტატიკური ზმნების თავისებური წარმოებისა და უღლებების საკითხი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანადაა დამუშავებული. ცნობილია, რომ სტატიკური ზმნები უნიფიკაციის ტენდენციის გამო ერთ სისტემაზე გადავიდა და მეშველზმნიანი წარმოება განივითარა. რა თქმა უნდა, ენაში მოქმედი უნიფიკაციის ტენდენცია დიალექტებზეც გავრცელდა, მაგრამ ზოგიერთ დიალექტში სტატიკურ ზმნთა დაბოლოებაში თავისებური წარმოება გამოვლინდა. ზმნების ერთი ნაწილი **-ა** დაბოლოებაზე გადავიდა: *ჩივა, კივა, ყივა...*, ხოლო **-ავ** თენისნიშნიანი ზმნების ნაწილში **-ია** დაბოლოება ვლინდება: *აკრია, ახურია, უჭერია...*

ქვემოიმერულის ვანურ თქმაში მარტივფუძიან ზმნებში განსხვავებული ვითარება ჩანს. ფუძეში ჩნდება **-ან /-ენ** სუფიქსები, ხოლო მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ვლინდება **-არიენ /-ლარიენ** მეშველი ზმნა. მყოფადის ფორმებში ასევე ჩნდება **-ილ** სუფიქსი: *ვიდგომილები, ვიწოლილები, ვიუდომილები...*

ქვემოიმერულს სტატიკური ზმნების განსხვავებული წარმოების ფორმები აქვს და მისი პარადიგმა ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია მოცემული:

ზმნა: დ-ებ-ა

სერია	მწკრივი	მხოლოდითი	მრავლობითი
	აწმყო	I -----	I -----
		II -----	II -----
		III დენა	III -----
	უწვეტელი	I -----	I -----
		II -----	II -----
		III იდვა	III -----

I სერია	აწმუხოს კავშ.	I ----- II ----- III იღვეს	I ----- II ----- III -----
	მყოფადი	I ----- II ----- III იღება	I ----- II ----- III -----
	ხოლმეობითი	I ----- II ----- III იღებოდა	I ----- II ----- III -----
	მყოფადის კავშირებითი	I ----- II ----- III იღებოდეს	I ----- II ----- III -----
II სერია	წვეტილი	I ----- II ----- III (ღე)იღვა	I ----- II ----- III -----
	II კავშ.	I ----- II ----- III (ღე)იღვას	I ----- II ----- III -----
III სერია	I თურმ.	I ----- II ----- III დებულა	I ----- II ----- III -----
	II თურმ.	I ----- II ----- III დებულიყო	I ----- II ----- III -----
	III კავშ.	I ----- II ----- III დებულიყოს	I ----- II ----- III -----
IV სერია	III თურმ.	I ----- II ----- III ნაღება	I ----- II ----- III -----
	IV თურმ.	I ----- II ----- III ნაღებიყო	I ----- II ----- III -----
	IV კავშ.	I ----- II ----- III ნაღებიყოს	I ----- II ----- III -----

„აგერ არ დენა ე ჭორკო, თელი დღეია ვებებ?!“

„ქვეი უნდა **დებულიყო** ეზოში, დიდი რიყის ქვაი... რეიზა უნდა **დებულიყო** და... რო შემოვა ვინმე, შეხედავს ქვას და ვერ აზნევეფს ვერაფერს.“

„აგერ არ **ნადება** ეი დანა?!“

ზმნა: დეგ (ვღვაჯარ)

სერია	მწკრივი	მხლობითი	მრავლობითი
I სერია	აწმყო	I ვღვანვარ II ღვანხარ III ღვანა	I ვღვანვართ II ღვანხართ III ღვანარიენ
	უწჷვბთელი	I ----- II ----- III -----	I ----- II ----- III -----
	აწმყოს კავშ.	I ----- II ----- III -----	I ----- II ----- III -----
	მყოფადი	I ვიდგომილები II იდგომილები III იდგომილება	I ვიდგომილებით II იდგომილებით III იდგომილებიენ
	ხლმეობითი	I ვიდგომილებოი II იდგომილებოი III იდგომილებოდა	I ვიდგომილებოით II იდგომილებოით III იდგომილებოდენ
	მყოფადის კავშ.	I ვიდგომილებოდე II იდგომილებოდე III იდგომილებოდეს	I ვიდგომილებოდეთ II იდგომილებოდეთ III იდგომილებოდენ
II სერია	წჷვბთელი	I ვიდექი II იდექი III იღვა	I ვიდექით II იდექით III იღვენ
	II კავშირებითი	I ვიდგე II იდგე III იდგეს	I ვიდგეთ II იდგეთ III იდგენ
III სერია	I თურმეობითი	I მღვარვარ II მღვარხარ III მღვარა	I მღვარვართ II მღვარხართ III მღვარალიენ
	II თურმეობითი	I (ვ)მღვარიყაი II მღვარიყაი III მღვარიყო	I (ვ)მღვარიყაით II მღვარიყაით III მღვარიყვენ
	III კავშირებითი	I (ვ)მღვარიყო II მღვარიყო	I (ვ)მღვარიყოთ II მღვარიყოთ

		III მდგარიყოს	III მდგარიყვენ
IV სერია	III თურმეობითი	I ----- II ნადგომხარ III ნადგომა	I ----- II ნადგომხართ III ნადგომლარიენ
	IV თურმეობითი	I ----- II ნადგომიყაი III ნადგომიყო	I ----- II ნადგომიყაით III ნადგომიყვენ
	IV კავშირებითი	I ----- II ნადგომიყო III ნადგომიყოს	I ----- II ნადგომიყოთ III ნადგომიყონ

„აქანე საოტკიას დადეგ, გრუშამო შამოაწყოფ ჭიქეფს. თვარ შამოაწყოფ და **იდგომილება** მარტი იგი.“

„ერთი სახლი უდგანა დიდი.“

„თასთუმალთან უდგანა და იგი საინი მეიტანე.“

„ეგერ **მედგომილებოდა** დიდი სახლი მე, მაი რო არ ყოფილიყო.“

„აქანე **ვიდგომილები** თელი დღეი, გ-ამეიარს აპა რა იზამს. და-ვდგები აქანე და **ვიდგომილები** თელი დღეი.“

„თელი დღეი რო **ნადგომხარ** იქინე, რაიზა?“

ზმნა: წოლა (ვწევარ)

სერია	მწკრივი	მხოლობითი	მრავლობითი
I სერია	აწმყო	I ვწენვარ II წენხარ III წენა	I ვწენვართ II წენხართ III წენარიენ
	უწყვეტელი	I ----- II ----- III -----	I ----- II ----- III -----
	აწმყოს კავშ.	I ----- II ----- III -----	I ----- II ----- III -----
	მყოფადი	I ვიწოლილები II იწოლილები III იწოლილება	I ვიწოლილებით II იწოლილებით III იწოლილებიენ
	ხოლმეობითი	I ვიწოლილებოი II იწოლილებოი III იწოლილებოდა	I ვიწოლილებოით II იწოლილებოით III იწოლილებოდენ
	მყოფადის კავშ.	I ვიწოლილებოდე II იწოლილებოდე	I ვიწოლილებოდეთ II იწოლილებოდეთ

		III იწოლილებოდეს	III იწოლილებოდენ
II სერია	წყვეტილი	I ვიწეი II იწეი III იწვა	I ვიწეით II იწეით III იწვენ
	II კავშირებითი	I ვიწვე II იწვე III იწვეს	I ვიწვეთ II იწვეთ III იწვენ
III სერია	I თურმეობითი	I ვწოლილვარ II წოლილხარ III წოლილა	I ვწოლილვართ II წოლილხართ III წოლილარიენ
	II თურმეობითი	I ვწოლილიყაი II წოლილიყაი III წოლილიყო	I ვწოლილიყაით II წოლილიყაით III წოლილიყვენ
	III კავშირებითი	I ვწოლილიყო II წოლილიყო III წოლილიყოს	I ვწოლილიყოთ II წოლილიყოთ III წოლილიყვენ
IV სერია	III თურმეობითი	I ----- II ნაწოლხარ III ნაწოლა	I ----- II ნაწოლხართ III ნაწოლარიენ
	IV თურმეობითი	I ----- II ნაწოლიყაი III ნაწოლიყო	I ----- II ნაწოლიყაით III ნაწოლიყვენ
	IV კავშირებითი	I ----- II ნაწოლიყო III ნაწოლიყოს	I ----- II ნაწოლიყოთ III ნაწოლიყვენ

„სალამოს გამოვალ აგერ და თუ წენა საქონელი მანქანასან, გავდენი, არ გატეხოს კიდო.“

„თელი დღეი ლოგინზე წენხარ.“

„ი ქალი სულ საავანტყოფოში წენა.“

„ჰაერზე რავა დაჟდებიენ მაგენი, სახში წენარიენ სულ.“

„ავერ არ ნაწოლა ე ხპოი?!“

ზმნა: ზი, ჯედ, ჯექ (ვზივარ)

სერია	მწკრივი	მნოლობითი	მრავლობითი
	აწმყო	I ვჟდანვარ / ვჟანვარ II ჟდანხარ / ჟანხარ III ჟდანა / ჟანა	I ვჟდანვართ/ვჟანვართ II ჟდანხართ/ჟანხართ III ჟდანარიენ/ჟანარიენ

I სერია	უწვებელი	I ----- II ----- III -----	I ----- II ----- III -----
	აწმუხ კავშ.	I ----- II ----- III -----	I ----- II ----- III -----
	მყოფადი	I ვიჟდომილები II იჟდომილები III იჟდომილება	I ვიჟდომილებით II იჟდომილებით III იჟდომილებიენ
	ხოლმეობითი	I ვიჟდომილებოი II იჟდომილებოი III იჟდომილებოდა	I ვიჟდომილებოით II იჟდომილებოით III იჟდომილებოდაენ
	მყოფ. კავშ.	I ვიჟდომილებოდე II იჟდომილებოდე III იჟდომილებოდეს	I ვიჟდომილებოდეთ II იჟდომილებოდეთ III იჟდომილებოდენ
II სერია	წვებელი	I ვიჟეი / ვიჟეი II იჟეი / იჟეი III იჟდა / იჟდა	I ვიჟეით / ვიჟეით II იჟეით / იჟეით III იჟდენ / იჟდენ
	II კავშ.	I ვიჟდე II იჟდე III იჟდეს	I ვიჟდეთ II იჟდეთ III იჟდენ
III სერია	I თურმ.	I მჟდარვარ II მჟდარხარ III მჟდარა	I მჟდარვართ II მჟდარხართ III მჟდარალიენ
	II თურმ.	I ვჟდომილიყაი II ჟდომილიყაი III ჟდომილიყო	I ვჟდომილიყაით II ჟდომილიყაით III ჟდომილიყვენ
	III კავშ.	I ვჟდომილიყო II ჟდომილიყო III ჟდომილიყოს	I ვჟდომილიყოთ II ჟდომილიყოთ III ჟდომილიყვენ
IV სერია	III თურმ.	I ნაჟდომვარ II ნაჟდომხარ III ნაჟდომა	I ნაჟდომვართ II ნაჟდომხართ III ნაჟდომლარიენ
	IV თურმ.	I ნავჟდომიყაი II ნაჟდომიყაი III ნაჟდომიყო	I ნავჟდომიყაით II ნაჟდომიყაით III ნაჟდომიყვენ
	IV კავშ.	I ნავჟდომიყო II ნაჟდომიყო III ნაჟდომიყოს	I ნავჟდომიყოთ II ნაჟდომიყოთ III ნაჟდომიყვენ

„მანქანა რაც უნდა ძვირი დაგიყდეს, მაინც კაია, შენც **ყდანხარ** და ხაბაკიც მიაქ.“

„აქანე **იუდა** ხალხი; ჭადრები აქვენ ეზოში და **ყდანარიენ** იქინე.“

„ისე **ყანა** თელი დღეი, აფერს არ აკეთეფს.“

„მე რო არ მივყვე, ე, ისე **იუდომილება**.“

„მე რო არ ვიყვე, ისე **იუდომილებოდა** თელი დღეი.“

„შეხედე, რაზე **ნაუდომვარ?** ვერ მითხარი, თუ დეინახე?!“

სტატიკურ ზმნათა თავისებური წარმოების შემცველი კონტექსტები ქვემოთმართულის მასალიდან:

„წ-ამოი და მა ვედროო წამეილე, რო **ყდანხარ!**..“

„წაი, შეი სახში, აქანე ნუ **ყდანხარ**...“

„რაი მენდომილება, გო, და გამომართვი ეგი, რო **ყდანხარ** ტყულა თელი დღეი...“

„გარეთ **ვწენვარ** და ვავცივდი...“

„აგერ **დენა** მორე ცალი, აგერ სტოლზე...“

„ეგენი სა არიენ ნეტიი? - **წენარიენ**. - რაი აძინეფთ ახლა?“

„იგი სხვას მემბობა, იგი სხვას, თითვან **ყანარიენ** ცაკე...“

„გარეთ **ვყდანვართ** იქინე.“

„მე ქე **ვყანვარ** ეგერ გარეთ...“

„გერეთ **წენხარ** შენ და იმიტო გახთი ავათ.“

„თელი დღეი ლოგინზე **წენხარ**...“

„კარნელი რაფერ ავათა!.. არ შემეილიაო, გო , და **წენა**...“

„**დაჟეი** რაცხაზე და ისე ამოარჩიე...“

„ქალაქშიც ქე **დგება** ხალხი ადრე...“

„არ გარმოავდო აქით, ქვაბები **მიდგანა** და დამიმტროვს...“

„ეგერ **ყანა** შენი დაი.“

„ეგერ **გარაჯექი** სკამზე, შენ მაინც **ყდანხარ** და მე წამოწოლა მინდა...“

„მაი თელი დღეი **იწვეს** მასე, კარტი ქე აქ და თავს შეიქცევს...“

„მაქანე რო **წამომიჟეი** ახლა შენ, **ვიჟეი** მე მაქანე...“

„**დაწეი** ლოგინზე...“

„აქანე **იუდა** ხალხი...“

„ქალი **უყანა** ერთი გვერჩი კაცს...“

„ბზეში დადეი... ქე ვერ **დაუდები**, ყინვასავეთა თლათ...“

„გარეთ **დგანა** თუჯიე და მეიტანე, თლათ საფსეს ნუ მეიტან...“

4.10.4. სტატიკურ ზმნათა მეშველზმნიანი ფორმების განვითარების ეტაპები

სტატიკური ზმნების უღლება აწმყოში ძველსა და ახალ ქართულს შორის პრინციპულად იმით განსხვავდება, რომ სისტემებში ძველ ქართულში ორგანული წარმოებისაა; ახალ ქართულში ამ ტიპის ზმნათა ნაწილი I და II პირში მეშველზმნიანია:

ძვ. ქართ.	ახ. ქართ.
ვ-ზი	ვ-ზი-ვარ
ჰ-ზი	ზი-ხარ
ზი-ს	ზი-ს

მეშველზმნიან ფორმათა ჩამოყალიბება სტატიკურ ზმნებში ძველ ქართულშივე დაიწყო; პროცესი გრძელდება და დღესაც არ არის დასრულებული.

თუ თვალს გავადევნებთ აწმყოში მეშველზმნიან ფორმათა განვითარებას, შეიძლება რამდენიმე ეტაპი გამოვყოთ. ამ ეტაპების გამოყოფა, ცხადია, პირობითია, მაგრამ მოგვეხმარება თანამედროვე დიალექტური სურათის დასახატავად.

I ეტაპად გავიაზრებთ ძველი ქართული ენის ვითარებას, როცა სტატიკური ზმნები აწმყოში მეშველ ზმნას არ დაირთავენ: **ვ-ზი, ვ-დგა, ვ-წევ... ვ-მღერ, ვ-ტირ... ვ-ფიქრობ... ვ-იცე...**

II ეტაპად მოვიაზრებთ მეშველზმნიან ფორმათა განვითარების იმ ეტაპს, როცა მეშველზმნიანია მხოლოდ მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: **ვ-დგა-ვარ, დგა-ხარ; ვ-ზი-ვარ, ზი-ხარ; ვ-წევ(ვ)-ვარ, წევ-ხარ...** სხვა ჯგუფები სტატიკური ზმნებისა არ დაირთავენ მეშველ ზმნას.

III ეტაპად მოვიაზრებთ იმ ვითარებას, როცა მეშველზმნიან ფორმებს ივითარებს **ვ-მღერი, ვ-ტირი, ვ-ჩივი, ვ-ყვირი** ზმნები (**ვ-მღერი-ვარ, ვ-ტირი-ვარ, ვ-ჩივი-ვარ, ვ-ყვირი-ვარ**)... ამ ეტაპებზე ფორმათა პარალელიზმი გვაქვს: **ვმღერი || ვმღერივარ...** ამ ზმნათა მეშველზმნიანი ფორმები აქტიურად იკიდებს ფეხს; იმდენად აქტიურად, რომ „საჭირო გახდა“ ნორმის მიღება — მეშველზმნიანი ფორმები...

ამ ეტაპზე **ვფიქრობ, ვთ-ამაშობ... ვიცი** ტიპის ზმნებს მეშველ-ზმნიანი ფორმები ჯერ არ განუვითარებია. თუმცა ეს ტენდენცია აშკარაა და, შესაბამისად, **IV ეტაპად** მოვიაზრებთ სწორედ იმ ვითარებას, რაც დიალექტთა ერთ ნაწილს განუვითარდა, როცა ჩნდება ფორმები **ვფიქრობ-ვარ, ვიცი-ვარ...**

თანამედროვე დიალექტებში გარკვეულწილად თითქმის ყველა ეტაპია წარმოდგენილი. I ეტაპს მიახლოებული ვარიანტი აჭარულში შეინიშნება; მდგომარეობის აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა მეშველ ზმნას არ დაირთავს:

მე ვ-წევ („ვწევარ“), მი-ვ-რბი

შენ წევ („წევხარ“), მი-რბი... არქაული მი-ვ-რბი ფორმა დასტურდება გურულშიც.

სხვა დიალექტებში ამგვარი ფაქტები არ დადასტურდა. ფაქტობრივ, მეორე ეტაპი მოვლენის განვითარებისა (როცა მდგომარეობის გამომხატველი ზმნები მეშველ ზმნას დაირთავენ — ვ-ზი-ვარ, ვ-დგა-ვარ, ვ-წე(ვ)-ვარ... ყველა დიალექტშია დადასტურებული. თუმცა სხვა ტიპის სტატიკური ზმნების ვითარება არაერთგვაროვანია.

დიალექტთა უმრავლესობაში III ეტაპის ვითარებაა წარმოდგენილი: ვ-მღერი || ვ-მღერივარ ტიპის პარალელიზმია გავრცელებული. თუმცა ისეთი ზმნები, როგორებიცაა ვ-ფიქრობ, ვ-იცი, ვ-იცი და ა.შ. მხოლოდ მეშველი ზმნის გარეშეა.

ძნელია ამ ვითარების რომელიმე კონკრეტული დიალექტის ფაქტად მოაზრება: ვ-ტირი || ვ-ტირივარ ტიპის პარალელიზმი ზოგადად ქართული ზეპირი მეტყველების ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ. სამწერლობო ენაშიც საკმაოდ აქტიურად შემოდის...

რაც შეეხება მეოთხე ეტაპს, ეს უკვე წმინდა დიალექტური ფაქტია:

ვ-ფიქრობ-ვარ
ფიქრობ-ხარ

ვ-ჩქარობ-ვარ
ჩქარობ-ხარ

ამ ტიპის ფორმები იმერულ დიალექტში არის დადასტურებული, შეინიშნება ლეჩხუმურშიც. მეტიც, განვითარდა **ვიცინივარ, იცინიხარ**, ფორმები... სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ **ვფიქრობ-ვარ, ვიცინივარ** ფორმები ბავშვთა მეტყველებაშიც შეიმჩნევა; ეს კი დასტურია იმისა, რომ ეს ფორმები სისტემური ცვლილების გამოხატულებაა.

სტატიკურ ზმნათა მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია ყველაზე მკვეთრად ინგილოურ დიალექტში გამოვლინდა.

ვფიქრობ, ვჩქარობ... ტიპის ზმნები აქ ჩვეულებრივ მეშველზმნიანია. ძალზე საინტერესოა **ვიცი** ზმნის პარადიგმა:

ვ-იცი-ვარ	ვ-იცი-ვართ
იცი-ხარ	იცი-ხართ
იცი-ს	იცი-ან

ასე რომ, სტატიკური ზმნების მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლა დინამიკური პროცესია. დიალექტები ამ თვალსაზრისით საგრძნობ სხვაობას ქმნიან; ყველაზე „შორს“ ინგილოური დიალექტი წავიდა...

4.10.5. სტატიკურ ზმნათა უღლების ზოგი თავისებურება დიალექტებში

* * *

ა.შანიძე უღლების ტიპების გამოყოფისას საშუალო ვნებითებსა და სტატიკურ ვნებითებს ერთ ჯგუფში (IV ტიპი) მოაქცევს და შენიშნავს: „ამათ ყველას აერთიანებს მწკრივების კლება (ან მეორე სერიისა მთლიანად, ან უწყვეტლისა და I კავშირებითისა, I სერიიდან) (შანიძე, 1973, 489). ამ ზმნებს მარტივად სტატიკურებსაც უწოდებენ.

როცა საუბრობენ, აკლია II სერიის მწკრივები (I ჯგუფი) ან უწყვეტელი და I კავშირებითი (II ჯგუფი) ნიშნავს: საკუთარი ფორმები აქვთ I ჯგუფის ზმნებს I სერიაში:

აწმყო	—	უ-ყვარ-ს	მი-ა-ჩნ-ი-ა
უწყვ.	—	უ-ყვარ-დ-ა	მი-ა-ჩნ-დ-ა
I კავშ.	—	უ-ყვარ-დ-ეს	მი-ა-ჩნ-დ-ე-ს

ან საკუთარი ფორმები აქვს მხოლოდ აწმყოში:

ს-ძინავ-ს, ჰ-კიდი-ა, ახურ-ავ-ს...

ყველა სხვა მწკრივში მათ ე. წ. „ნასესხები“ ფორმები აქვთ; ანუ უღლების სრული პარადიგმა არის არა გრამატიკული, არამედ — სემანტიკური (II ჯგუფის ზმნათა სრულ პარადიგმაშიც უწყვეტლისა და I კავშირებითის ფორმები ცარიელია...).

სტატიკურ ზმნებთან ქართულში საინტერესო პროცესებია დაკავშირებული. ამჯერად ჩვენ მეშველზმნიან ფორმათა წარმოქმნაზე არ ვამახვილებთ ყურადღებას; არც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში სტატიკურ ზმნათა აწმყოს (და I თურმეობითის) უნიფიცირებულ წარმოებაზე (ხ-კიდ-ავ ტიპისა)... ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ დასავლურ დიალექტებში გამოვლენილ თავისებურებებს...

დასავლურში არის ტენდენცია აწმყოში **ია** დაბოლოების უნიფიცირებისა:

უყვარია (უყვარს), **ჭირია** (სჭირს), **ვარგია** (ვარგა), **აკრია** (აკრავს), **ახურია** (ახურავს) — ამგვარი ფორმები იმერულში მრავლადაა. ადასტურებენ ლეჩხუმურსა და რაჭულშიც...

სტატიკურ ზმნებში სავრცობად გამოიყენება როგორც **-დ**, ისე **-ოდ** სუფიქსი. დასავლურში არის ტენდენცია **-ოდ** სუფიქსის უნიფიცირებისა:

ჭირია — **ჭირ-ოდ-ა** (= ჭირდა)

უყვარია — **უყვარ-ოდ-ა** (= უყვარდა)

მიაჩნია — **მიაჩნ-ოდ-ა** (= მიაჩნდა)

აკლია — **აკლ-ოდ-ა** (= აკლდა)...

მსგავსი მაგალითები დადასტურდა იმერულსა და ლეჩხუმურში; შეინიშნება მესხურ-ჯავახურშიც.

აწმყოს **ია** დაბოლოების **ი** ელემენტი ზოგჯერ უწყვეტელშიც გადაჰყვება:

მიაჩნ-ია — **მიჩნ-ი-ოდ-ა** (|| მიაჩნ-ოდ-ა)

უყვარ-ია — **უყვარ-ი-ოდ-ა** (|| უყვარდა)

აკლ-ია — **აკლ-ი-ოდ-ა**

ემინ-ია — **ემინ-ი-ოდ-ა** || ემინ-ოდ-ა (ფორმა ინგილოურის შეგვხვდა)

ეკუთვნ-ის — **ეკუთვნ-ი-ოდ-ა** (|| ეკუთვნ-ოდ-ა)

ვარგ-ია — **ვ-არგ-ი-ოდ-ა** (|| ვარგ-ოდ-ა)

მირბ-ის — **მირბ-ი-ოდ-ა**

ამ ტიპის ფორმები დადასტურდა იმერულში, ლეჩხუმურსა და, განსაკუთრებით, აჭარულში. შეიმჩნევა მესხურ-ჯავახურშიც.

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ || ჯგუფის სტატიკურ ზმნებში არის ტენდენცია უწყვეტლისა და || კავშირებითის ფორმათა წარმოებისა:

ცალ-ია — **ცალ-ი-ოდ-ა** — **ცალ-ი-ო-დ-ე-ს** (მდრ. ე-ცალ-ა, ეცა-ლოს) (ლეჩხ.)

კიდ-ია — **კიდ-ი-ოდ-ა** (მდრ. ეკიდა)

აყრ-ია — **აყრ-ი-ოდ-ა** (მდრ. ეყარა)

აჩნ-ია — **აჩნ-ი-ოდ-ა** (მდრ. ემჩნია)

ატყვ-ია — **ატყვ-ი-ოდ-ა** (მდრ. ეტყობდა)...

ეს ფორმები უფრო გავრცელებულია აჭარულში; გვხვდება იმერულსა და ლეჩხუმურშიც.

განსაკუთრებით ფართო გავრცელებისაა **ძინავს** და **ღვიძავს** ზმნათა ინოვაციური ფორმები უწყვეტლისა და I კავშირებითისა:

ძინავს — **ძინავ-ღ-ა** — **ძინავ-ღ-ე-ს** (შდრ.: ეძინა, ეძინოს)

ღვიძავს — **ღვიძავ-ღ-ა** — **ღვიძ-ავ-ღ-ე-ს** (შდრ.: ეღვიძა, ეღვიძოს).

საერთოდ პარადიგმათა გასწორების ეს პროცესი სტატიკურ ზმნებში საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

* * *

იცის ზმნა ინგილოურ დიალექტში რამდენიმე თავისებურებას ავლენს. როგორც სტატიკური ზმნების უმრავლესობა, მეშველზმნიანია.

როგორც ცნობილია, **იცის** და **უწყის** — ეს ორი გარდამავალი ზმნაა, რომელთაც I სერიაში ერგატული კონსტრუქცია აქვს:

მე **ვიცი** ის მე **ვუწყი** ის

შენ **იცის** ის შენ **უწყის** ის

მან **იცის** ის მან **უწყის** ის.

მოვლენა ახსნილია სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ფაქტები მიჩნეულია გამონაკლისად ქართული ზმნის სისტემაში.

ინგილოურმა დიალექტმა მოახდინა პარადიგმის გასწორება; გამონაკლისის წესის ფარგლებში მოქცევა: **იცის** ზმნა ინგილოურში ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის:

მე **ვიცივარ** მას ჩვენ **ვიცივართ** მას

შენ **იცინარ** მას თქვენ **იცინართ** მას

ის **იცის** მას ისინი **იციან** მას

ცნობილი გამოთქმაა : **რას ვიცი მე!** („რა ვიცი მე“).

უწყის ზმნა ინგილოურში ჩვენ ვერ დავადასტურეთ, ამიტომ მის თაობაზე ვერას ვიტყვით.

ეს არის ერთი ძალზე საინტერესო ფაქტი გამონაკლისის წესის ფარგლებში მოქცევისა...

* * *

ზოგ შემთხვევაში სალიტერატურო ენაში ამა თუ იმ ზმნის ფორმარმოება გარკვეულად შეზღუდულია.

ზმნურ ფორმათა წარმოების შესაძლებლობა ძალიან ფართოვდება დიალექტებში.

ორპირიან ზმნაში ჩვეულებრივია ყველა ვარიანტი შესაძლო კომბინაციისა.

ვ-ნატავ მე მას

ნატავ შენ მას

ნატავს ის მას

მ-ხატავს ის მე

გ-ხატავს ის შენ

მ-ხატავ შენ მე და ა. შ.

ვიცის ზმნას სხვა თავისებურებებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობა აქვს ფორმაწარმოებისა. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს აწმყოში:

ვ-იცი მე ის **ვ-იცი-თ** ჩვენ ის

იცი შენ ის **იცი-თ** თქვენ ის

იცი-ს მან ის **იცი-ან** მათ ის

ობიექტის პირის ცვლა არ ხდება. ასეა ეს სალიტერატურო ენასა და დიალექტთა ძირითად ნაწილში. ქართლურსა და კახურ დიალექტებში ხდება ობიექტის პირის ცვლა:

მ-იცი-ს მან მე **გვ-იცი-ს** მან ჩვენ...

გ-იცი-ს მან შენ

გ-იცი მე შენ

მ-იცი შენ მე

4.11. ზმნის ხმოვანი პრეფიქსები დიალექტებში

დიალექტებში ზმნის ხმოვანი პრეფიქსები ფონეტიკური ცვლილებების შედეგად სხვადასხვა ნაირსახეობით გვხვდება.

ზმნის ხმოვან პრეფიქსებს აქვთ განსაკუთრებული მასიმილირებული ძალა და იმსგავსებენ პრევერბისეულ ა, ე, ო და ი ხმოვნებს. ასიმილაცია რეგრესულია, ნაწილობრივი ან სრული. ზოგ დიალექტში ორი იდენტური ხმოვანი შეერწყმის ერთმანეთს და იქცევა გრძელ ხმოვნად. გრძელი ხმოვნები ხშირია თუშურსა და აჭარულში, გვხვდება ფერეიდნულში, სამცხურ-ჯავახურში:

აა > ა: გა-ა-კეთ-ა > გაწყეთ (თუშ.); გაკეთა (ფერეიდ., აჭარ.):

— თუ **გაკეთებ**, წყევანო, თუერ **გაკეთებ**, თავს მოგჭრიო (აჭარ.).

ბიჭი ისე იქცეოდა, როგორც **დნბარა** დედა ჩიტმა (აჭარ.).

ქალმა **დნბანია** ხელ-პირი (აჭარ.).

რაგვერც ცხენმ უთხრ, ქალმაც იგრ **გაკეთ** (თუშ.).

მემრ გამწყცხად: ...**დნბრუნეთავ** ისენივ, მომგვარეთავ აქავ (თუშ.).

ხანჯარ **შემწყრტყიან** ნეფეებს, მუწლებზე **დნცდებდეს** პატარ-ზალსა (თუშ.).

შეგიძლია პირზე ცოტა ერბო **დნსხა** (სამცხურ-ჯავახ.).

აი > ეი > იი > ი: გა-ი-კეთ-ა > გე-ი-კეთ-ა > გი-ი-კეთ-ა > გიწყეთ (თუშ.).

აუ > უუ > უ: ა-უ-მენა > უ-უ-მენა > უ-მენ-ა; გა-უ-კეთ-ა > გუ-უკეთ-ა > გუკეთა (ზემოაჭარ.):

ჩუუცუამს ვაჭრის ურბა, ცხენზე **გუდუუკიდავს** ჰეგბით ალთუნი და მოდგომია ჭიშკარსა (მუჰაჯ. ზემოაჭარ.).

გუდუუგდევს ძალს, ძალლი მოკდება (ზემოაჭარ.).

ყოლანი **გუდუუდვია** ერთმანეთს, თუთხმეტი ცხენი ვერ წვილებდა, იმდენი **წუუღია** სამ კაცს (მუჰაჯ. ქობულეთ.).

ბიჭი **გუდუდებოდა** წინ გოგოს და ჩამეატევედა უკან (აჭარ.).

ჩემ შიშითავ მალლ ფრინველს ვერ **გუწკლიაო'დ**, დაბლ — ჯიან-ჭველასავ (თუშ.).

აე > ეე > ე: გა-ე-კეთ-ა „გაეკეთებინა“ > გე-ე-კეთ-ა > გმესკეთ (თუ-შურ.):

დიკლოსაკ რო **გმესარ**, დიკლოთა კიდენ სამნ **წმესყვან** — დედაი'დ ორ შვილნ (თუშ.).

ღიაც **გმესგღვ** (თუშ.).

ჯაგოდანს ლაბაბიან **გმესგზავნ** ბოჭორნას ჯეტაიყსად ... (თუშ.).

ენეს პურ მთელაც **გმესთავებიაც** (თუშ.).

ღიალექტებში ზმნის ხმოვანი პრეფიქსები იცვლება პირის ნიშნების დართვის დროსაც. ღიალექტების ერთ ნაწილში, როდესაც ა-, ე-ან ი- პრეფიქსებს წინ ერთვის პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ-ან პირველი ობიექტური პირის ნიშანი გვ-, წარმოქმნილი ბგერათკომპლექსი ფონეტიკურად იცვლება და ვა-, ვე-ს ნაცვლად ვიღებთ ო-ს ან რ-ს, ვი-ს ნაცვლად უ-ს ან უ-ს: **და-ვ-ანებ-ე** > **და-ო-ნებ-ე** (ხეგს.); ვ-ა-**ჩუქ-ებ** > **ო-ჩუქ-ებ**, ვ-ი-ც-ი > **უ-ც** (ინგილ.); **გვ-ე-ძან-ი-ს** > **გო-ძან-ი-ს**//**გრ-ძან-ი-ს**, **გვ-ი-თხრ-ა** > **გუ-თხრ-ა**//**გუ-თხრ-ა** (მოხეური); **გვ-ა-ქვ-ს** > **გო-ქ** (ინგილ.); **გვ-ე-ჩქარებ-ა** > **გო-ჩქარებ-ა**, **გვ-ი-ნღ-ა** > **გუ-ნღ-ა** (ფერეიდნ.) (ჯორბენაძე, 1998, 639-640).

ზოგჯერ, როცა I სუბიექტური პირის ფორმას ზმნისწინიც ახლავს, ხდება სხვა ცვლილებაც და ვიღებთ გრძელ ხმოვანს: გა-ვ-ა-ჩენ > ***გა-ო-ჩენ** > **გო-ო-ჩუნ** > **გოჩენ** (ფერეიდ.) (იქვე, 639).

ზოგ ღიალექტში, კერძოდ, იმერული ღიალექტის სამტრედიულ თქმაში, ი- პრეფიქსი იწვევს ზმნისწინისეული ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას, I სუბიექტური პირის ფორმებში კი ამასთანავე ხდება ვ- პირის ნიშნისა და ი პრეფიქსის მეტათეზისი: **გა-ვ-ი-კეთე** > **გე-ვ-ი-კეთე** > **გი-ვ-ი-კეთე** > **გი-ი-ვ-კეთე**; **წამო-ვ-ი-ყვანე** > **წამე-ვ-ი-ყვანე** > **წამი-ვ-ი-ყვანე** > **წამი-ი-ყვანე** (იქვე, 639-649).

ღიალექტებში ზმნის ხმოვან პრეფიქსებზე მოქმედებს ფუძისეული ხმოვნები და რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე გვაქვს შემდეგი ცვლილებები:

ე- > ი- ფუძისეული ა ხმოვნის წინ (**ე-ახლ-ა** > **ი-ახლ-ა**; **ე-ამ-ა** > **ი-ამ-ა**), რაც საერთო ქართული მოვლენაა;

ე- > ო- ფუძისეული უ- ხმოვნის წინ (**ე-უბნებ-ა** > **ო-უბნებ-ა**), რაც დამახასიათებელია ზემოიმერულიათვის. ასეთ შემთხვევაში სხვაგვარი ცვლილება ხდება ფშაურში: ზმნის ხმოვანი პრეფიქსის გავლენით იცვლება ფუძისეული ხმოვანი (**ე-უბნებ-ა** > **ე-ობნებ-ა**).

ზმნისწინისეული ხმოვნის შემდეგ (რომელიც თავის მხრივ იცვლება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე) ი ვიწროვდება: ი- > ო-: **და-**

ი-წერ-ს > **დე-ი-წერ-ს**, **წა-ი-ყვან-ს** > **წე-ი-ყვან-ს**, ზოგ დიალექტში კი იკარგება: **და-ვ-ი-წერ** > **დე-ვ-წერ**, **წა-ვ-ი-ყვან** > **წე-ვ-ყვან**... (აჭარ., იმერს.); **ა-ვ-ი-ღებ** > **ა-ვ-ღებ** (ინგილ. ალიაბათ.).

უ- > უ პროცესი ხდება ზმნისწინისეული ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: **და-უ-ჭერია** > **და-უ-ჭერი**, **მო-უ-კლავს** > **მო-უ-კლავ** (ინგილ.); **გა-უ-ნარდა** > **გო-უ-ნარდა**, **და-უ-რჭო** > **დო-უ-რჭო** (ფერეიდ. ამ შემთხვევაში ზმნისწინისეული ხმოვანიც იცვლება რეგრესული ასიმილაციით); **შემო-უ-თვალა** > **შამო-უ-თვალა** // **შამ-უ-თვალა** (აჭარ.); **გა-ვ-უ-გზავნე** > **გა-უ-გზავნე** // **გა-ვ-გზავნე** (რაჭ. გლოლური და რივინისთაური კილოკავები) (ჯორბენაძე, 1998, 640, 641).

4.12.1. ვნებითი გვარის ფორმათა უღლების თავისებურებანი

საინტერესო სურათი გვაქვს დიალექტებში ვნებითი გვარის ზმნათა წარმოების მხრივ. დიალექტების ერთ ნაწილში ვნებითის მხოლობითი რიცხვის აწმყოს მესამე პირში წარმოჩნდება ძველი ქართულის მსგავსი დაბოლოება — **-ებ-ი-ს**, ნაცვლად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გავრცელებული **-ებ-ა** დაბოლოებისა. ამავე დროს დიალექტებში გამოიყენება არქაული წარმოების **იბმის, იხარშვის** და მისთ. ფორმები. დიალექტებში სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ვნებითის პრეფიქსით ნაწარმოები ფორმების ნაცვლად სუფიქსით ნაწარმოები ფორმები გამოიყენება და პირიქით, მოსალოდნელი სუფიქსიანი ფორმების ნაცვლად გვხვდება პრეფიქსიანი. განვიხილავთ ამ თავისებურებებს უფრო დაწვრილებით.

მთის კილოებში ვნებითი გვარის ზმნათა მხოლობითი რიცხვის აწმყოს მესამე პირის ფორმების წარმოება ძველი ქართულისებურია. ასეთი ფორმები გამოიყენება ხევსურულში: **მე-ბრალ-ებ-ი-ს, მე-ჭირ-ებ-ი-ს** (ჭინჭარაული, 1960, 149); **და-დგ-ებ-ი-ს** „დადგება“, **გად-მანდ-ებ-ი-ს** „გადმოვა“, **მი-ხ-ყვ-ებ-ი-ს** „მიჰყვება“, **ე-ხვევ-ი-ს** „ეხვევა“ (ჯორბენაძე, 1989, 233); თუშურში: **დგ-ებ-ი-ს, ჯდ-ებ-ი-ს, ი-ოც-ებ-ი-ს, გ-ი-ცხონ-დ-ებ-ი-ს, წა-გ-ი-წყდ-ებ-ი-ს**; (უთურგაძე, 1960, 39); მოხეურში: **შა-ფას-დ-ებ-ი-ს** (თუმცა მოხეურში უმეტესად ახალი ქართულისებური წარმოება გვხვდება: **შა-ფას-დებ-ა**).

მემრ დედისად ღმერთს ვაშლნი ჩამატყრიან: ერთ წითელი, ერთ თეთრი: თუ მოხკმეჭავ თეთრს ვაშლსა, მაში ვაჟ გაგჩინდებისავ (ხევსურული, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

არ დაუჯერებავ, მაინც წაუყვანავ: გაიცინიდივ, თუ გაგეცინებისავ (ხევსურული, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

მეკვლეთ მისვლიდგე სოფელჩი ლხინ გაიმართების (ხევსურული, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

წ-ამაფრინდებისა'დ გ-ამაუდგების (ხევსურული, ქართულ დიალექტოლოგია, 1961).

...იმას მოათბობთ, ხაჭოდ **გაკეთდების** (თუშური, დიალ. კორპუსი).

როცა **გამოდვრებისავ**, ჯერ მე გადავეტანებიო'დ მემრ თქვენაც მომეშველნიდითავ (თუშური, ქართული დიალექტოლოგია, 1961).

ცულ ვზები, ხან ტრაქტორებ არ არის, **გაფუჭდების** ვზები'დ ვერ-ამოდის (თუშური, დიალ. კორპ.).

ვნებითი გვარის ზმნები ინგილოურ დიალექტშიც ძველი ქართული სეზურად იწარმოება **-ებ-ი-ს** დაბოლოებით, ოღონდ -ებ მაწარმოებელი ფონეტიკურად სახეცვლილი -ევ ვარიანტით არის წარმოდგენილი: **დგ-ევ-ი-ს** „დგება“, **უდ-ევ-ი-ს** „უდება“, **ი-წუგ-ი-ს** „იწუგება“...; არის შემთხვევები, როცა ვნებითის ფორმა აწმყოში -ი-ს დაბოლოების გარეშე გვხვდება: კეპტ-ევ „კეთდება“, კდრვ „კვდება“ (ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ინგილოურის ალიაბათური კილოკავი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სალიტერატურო ქართულისებური ვითარება: **კეთ-დ-ებ-ა, ი-წუგ-ებ-ა, კვდ-ებ-ა**...).

ნუმ **გალურჯდების**, მემრე დოჟვდებთ წყალ (ინგილოური, კაკური, იმნაიშვილი, 1966).

კაც ბრუნდევ მოდის შინაყ (კახური, ქართ. დიალექტი., 1961).

ძველი ქართულისებური ებ-ი-ს დაბოლოებიანი ფორმები ახასიათებს ფერეიდნულს: გა-გრძელ-დ-ებ-ი-ს „გაგრძელდება“, შა-ი-ქნ-ებ-ი-ს „შიქნება“...

ფატარი ჩაყარიანყე თორნეჩი, **აბოლდების**... (ფერეიდნ., ფერეიდნ. ტექსტები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, 2006).

ადგების, წავა და ანქ შაატყობინეფს სუყელას (ფერეიდნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXI, 1979).

რაჭულში, ჩვეულებრივ, გამოიყენება -ება დაბოლოება ან არქაული ფორმები, -ების დაბოლოება კი ძირითადად პოეტურ ტექსტებში გვხვდება: იმალების, დარჩების, გაეზრდების, ენატრების...

საქონელი ბევრი ხქონდა, არვინ იცის, ვის **დარჩების** (დიალ., კორპ.).

აბრამ იყო ხვთის მოსავი, მაგრამ ძენი **ენატრების** (დიალ. კორპ.).

მთის კილოებსა და ბარის ზოგ დიალექტში შემორჩენილია არქაული წესით ნაწარმოები აწმყოს ვნებითი გვარის მხ. რიცხვის ფორმები:

დაიდგმის ტაბლამ: ხავიწი, პური, საჭმითმატიროლო — ზედ თითო გირონქა ერბო, თითო სატნის კუსი (ხევსურული, ჭინჭარაული, 1960).

კოდთან **იდგმის** ეს ტაბლა, ილოცებ კოდიც, კოდის-ტაბლაიც... (ხევსურული, ჭინჭარაული, 1960).

ეს მარცვლეული... ჩაიყრება თუჯის ქობში, **დაიდგმის** პირველად ნელ ცეცხლზედ, თან გამუდმებულად რევა უნდა (ფშაური, დიალექტ. კორპუსი).

ჯინი თანაბრად წვრილი წნელით მოქსოვილი ძირპრტყელი, პირგანიერი და მოგრძო პატარა გოდორია, რომელიც **დაიდგმის** ყალზედ და **ჩაემბის** წნელებით (თიანური, დიალექტ. კორპ.).

რაჭულ დიალექტში ვნებითი გვარის ზმნები არქაული ფორმით და -ება დაბოლოებით თანაბარი სინშირით გვხვდება: **იმაღვის//იმაღება**, **შიეწვის//შიეწება** (ზემორაჭული); **იტანჯვის//იტანჯება**, **იხარშვის//იხარშება**, **დაიწვის//დაიწება** (რივნისთაური); **მოიხაჭვის//მოიხაჭება**, **დაიწურვის//დაიწურება**, **მოიხვნის//მოიხვნება**; **ედგმის//ედგმება** (გლოლური). პარალელური ნაირსახეობანი სამივე პირის ფორმებში დასტურდება: **ვიმაღვი**, **იმაღვი**, **იმაღვის//ვიმაღები**, **იმაღები**, **იმაღება**. აღსანიშნავია, რომ პარალელური ფორმები გვხვდება ერთი და იმავე პირის მეტყველებაში:

მომდგარ რძეს შემოვდგ-ამ ჩოინით ცეცხლზე, **მოიხაჭვის**; იმ ხაჭვას ამოიღემ თეფშზე და **დაიწურება** წყლიდან (გლოლური, ჯორბენაძე, 1989, 422).

ხვეტი დროს, როცა **დაგროვდება** თივა, მერე ფიწლით გადავყრით, ან ბაჟანზე დავაწყობთ და მერე მივყვებით და მხალტეთ ვხვეტთ, თივას მივიტანთ სათივლეზე და იქ დავდგ-ამთ თივას, ვაკეზე **იდგმის** თივა (მთარაჭული, დიალექტ. კორპუსი).

ხვირი **იწვნის** ფთხილის სახრიდან (მთარაჭული, დიალექტ. კორპ.).

ვნებითის ფორმების არქაული წარმოება ახასიათებს ზემოიმერულსაც (-ამ თემისნიშნიან ზმნებში): **ი-დგ-მ-ი-ს**, **ი-ც-მ-ი-ს**, **დე-ი-ბ-მ-ი-ს**... ასევე ბალდათურსაც (-ავ-, -ამ-თემისნიშნიან ზმნებთან): **ი-დაგ-ვ-**

ი-ს, ი-მართ-ვ-ი-ს, ი-ხრაკ-ვ-ი-ს; ი-დგ-მ-ი-ს... მსგავსი ფორმები დამახასიათებელია გურულისთვისაც: **ი-მალ-ვ-ი-ს, ი-ნახ-ვ-ი-ს, დე-ი-დგ-მ-ი-ს, გე-ი-პარ-ვ-ი-ს** და სხვ. (გვხვდება უნიშნო ვნებითის ყალიბით ნაწარმოები **გჯ-ებ-ა, ხჩ-ებ-ა** და მისთ. ფორმები). ასეთივე ვითარებაა აჭარულსა და იმერხელ დიალექტებში: **ი-მალ-ვ-ი-ს, ი-პარს-ვ-ი-ს, ი-ხარშ-ვ-ი-ს, გე-ი-წურ-ვ-ი-ს, ი-დგ-მ-ი-ს, ე-ნდურ-ვ-ი-ს, გამე-ი-დრ-ი-ს, ი-ჭმ-ი-ს...**

ბოძები **იდგმის** ან ხის სქელი და ვათლილი ქვისაგან, უფრო იშვიათად აგურისაგან (გურული, დიალექტ. კორპუსი).

იმ ქორში თითო არაბა ანჯახ **იდგმის** (შავშურ-იმერხელი, ფუტკარაძე, 1993).

იმისი მოსამიებიც **ინახვის** (ზედ-ამაჰახლური, ფუტკარაძე, 1993).

არ **დეიკარქვის** გურჯი სახელი სოფლისა (ზედ-ამაჰახლური, ფუტკარაძე, 1993).

ნუ **დეენახვის**, აქედან გვედეს უჩუმაღაი (ზემოაჭარული, ფუტკარაძე, 1993).

უნდა აღინიშნოს, რომ ვნებითის არქაული ფორმები სალიტერატურო ქართულშიც გამოიყენება, მაგრამ უმეტესად — სტილისტური დანიშნულებით:

სიყვარული ეტრფის მხოლოდ მშვენიერს და **იმართვის** წარმოშობოს მშვენიერი (გ. რობაქიძე, „აკაკის ქნარი“).

იდგმის საყენო თასი (ზ. კიკნაძე, „ჯვარი და საყმო“, ქართული მითოლოგია, 1996).

ვნებითი გვარის წარმოება დიალექტებში გამოირჩევა იმითაც, რომ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს კილოებში გვხვდება პრეფიქსული წარმოება იმ ფორმებში, რომლებშიც სუფიქსი იყო მოსალოდნელი და პირიქით.

ხევსურულში, როგორც ა. ჭინჭარაული აღნიშნავს, ძველი ქართულის ვითარება ჩანს შემონახული და დონიანი ვნებითის ნაცვლად ენიანი ვნებითი გვხვდება: **ე-ჭირ-ებ-ა** „სჭირდება“, **დე-ე-ღონ-ებ-ი-ან, გა-მ-ე-სწორ-ებ-ი, მო-ე-გონ-ა...** (ჭინჭარაული, 1969, 149).

ასევე კახურშიც გვხვდება პრეფიქსი იმ ფორმებში, რომლებშიც სუფიქსი იყო მოსალოდნელი: **გე-ე-მკლავ-ა** თავის ტოლს; ვერ **შე-ე-მკლავ-ა, გა-ე-ბრაზ-ა, გე-ე-ბოროტ-ა...** ეს რომ მკითხეო, **გემებრაზაო** და იმისთვისაო ვერაფერი ვერ გითხარო (დიალ. კორპ.). მემრე ძალინ **გეებოროტა** ბიჭსა (დიალ. კორპ.). გვხვდება ე- და ი- პრეფიქსების მონაცვლეობის შემთხვევებიც: იარაღი არა მქონდა და **ვიძვირენით, ვი-**

ტაკენით, შავინეჩენით... გვხვდება ასევე ე- პრეფიქსიანი წარმოების მოულოდნელი ფორმები: **ენაონრებინათ, დავეუნცროსებოდი...**

ჯავახურშიც დასტურდება ფორმები, სადაც დონიანი ვნებითის ნაცვლად პრეფიქსული წარმოება გვაქვს: **გვ-ე-ჭირვ-ებ-ა** (მის პარალელურად გამოიყენება გვ-ჭირ-დ-ებ-ა ფორმა(ც)); **მო-ი-ნგვრ-ა** „მოგროვდა“. თავისი წარმოებით მოულოდნელი პრეფიქსიანი ფორმებია: **ი-თვრ-ებ-ა, და-ი-თვრა** „დათვრა“, **მო-ი-კლ-ა, ე-კითხვ-ის** „ეკითხება“, **ე-კუთვნ-ებ-ა** „ეკუთვნის“, **ე-ყეფ-ებ-ა, ე-რცხვინ-ებ-ა**. გვხვდა ორი ცალი რო დალია, დაატყო, რო **ითვრება** (დიალ. კორპ.).

ვნებითის სუფიქსიანი ფორმების ნაცვლად იხმარება პრეფიქსიანი ფორმები აჭარულსა და იმერხელში: **გიეჭენება** „გაჭენდება“, **გიეგძე-ლება** „გაგრძელდება“, **გიეთხუება** „გათხოვდება“, **ესლება** „ახლდება“, **გეეთხუა** „გათხოვდა“...

ამავე დროს, დიალექტებში ფართოდ არის გავრცელებული ვნებითის სუფიქსური წარმოება. მთის კილოებში მოსალოდნელი ინიანი და ენიანი ვნებითის ნაცვლად გვხვდება ვნებითის სუფიქსური წარმოება: **შა-მ-ბრალ-დ-ა, და-გ-ნატრ-დ-ა, გა-მზად-დ-ი-თ, და-მ-ხარბ-დ-ა, შა-მ-ნან-დ-ა, შა-მ-ხათრ-დ-ა** და მისთ.

დადნანდა ლაშქართ ბელადსა, ცრემლები ჩამოზდისაო (თუშური, უთურგაიძე, 1960).

დუნია ხალხ გამოგვყვა, დედავ, **შადბრალდა** ხალხს ი ქალაი (თებრო გოგოლაური, 2005).

კახურშიც, მთის კილოების მსგავსად, ვნებითის მოსალოდნელი პრეფიქსიანი ფორმების ნაცვლად სუფიქსიანი ფორმები გვხვდება:

ფთა რო მოისვა თვალებზე, **აუხილდა** თვალები (გარეკახური, იმნაიშვილი, მარტიროსოვი, 1956).

მსგავსი ფორმები დასტურდება ჯავახურში: **გა-მგზავრ-დ-ა** „გაემგზავრა“, **და-მორჩილ-დ-ა, და-თანხმ-დ-ა...**

დასავლეთი საქართველოს დიალექტებიდან ვნებითის დ სუფიქსიანი წარმოება იმ ფუძეებთან, რომლებშიც პრეფიქსი იყო მოსალოდნელი, გავრცელებულია იმერულში (**გათომ-დ-ება, შენან-დ-ება, შე-ბრალ-დ-ება...**), გურულში (**მოსწონ-დ-ებ-ოდა, გა-ხარ-დ-ა, და-ლაპა-რაკდ-ნენ...**), აჭარულსა და იმერხელში (**და-მ-წონ-დ-ებ-ა** „მომეწონება“, **და-გ-წონ-დ-ებ-ა** „მოგეწონება“...):

პირველათ იმას უნდა ენახა ქალი, **მოსწონდებოდა**, რა ქონდა ზორი, გეირონიებდა ხელჩი (ქვემოგურული, დიალ. კორპ.).

ბიჭიზა გოგოს ამეძრჩევს დედა — თუ **მოსწონდება** (აჭარული, დიდიგური, 1974).

— დღევანდელი ჭკვა ხვალ **მოგწონდება?** (შავშური-იმერხელი, შავშური დიალექტის მასალები, 2011).

გურულში დადასტურებულია ვნებითის სუფიქსური წარმოების ფორმა — მოსპა (<მოსპდა) „მოისპო“:

როცა ტყეი აღარ დარჩა, ღორიც **მოსპა**, შველიც **მოსპა**, ფრინველიც **მოსპა** (იმნაიშვილი, 2006, 123).

დიალექტებში ფართოდ გამოვლენილი სუფიქსური წარმოება პრეფიქსულის ნაცვლად ყველა დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. სუფიქსიანი და პრეფიქსიანი ფორმების მონაცვლეობა სალიტერატურო ენისთვისაც არ არის უცხო, შდრ.: დამორჩილდა // დაემორჩილა, დათანხმდა // დაეთანხმა და მისთ. ვნებითი გვარის ზმნების ისტორიულ ასპექტში შესწავლის შედეგად გარკვეულია, რომ სუფიქსური წარმოების გააქტიურება თანამედროვე ქართულის ტენდენციაა (ნოზაძე, 1961, 68), რაც სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა სიხშირით და გარკვეული თავისებურებებით გამოვლინდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ კახურსა და ქართლურში შეინიშნება ვნებითის ორმაგი (პრეფიქს-სუფიქსური) წარმოების შემთხვევები: **დე-ე-ძინ-დ-ებ-ა**, **შე-ე-ნან-დ-ებ-ა**, **მე-ე-წონ-დ-ებ-ა**, **გე-ე-ცინ-დ-ებ-ა**, **მე-ე-წყინ-დ-ებ-ა** და მისთ. (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, სომხიშვილი).

დიალექტების უმეტესობაში შეუზღუდავად იწარმოება ვნებითის კაუზატიური ფორმები: **დე-ე-ჭერ-ინ-ებ-ა**, **გე-ე-ლახ-ვ-ინ-ებ-ა**, **ე-კვლ-ევინ-ებ-ა** // **ე-კვლ-ეინ-ებ-ა**, **ე-ჩაგვრ-ინ-ებ-ა**, **ე-ქელ-ვინ-ებ-ა**...

ქართლურსა და კახურში, ასევე ჯავახურში ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ნამყოფი ძირითადში წარმოჩნდება -ენ > -ნ სუფიქსი: **და-ვ-ი-ზარ-დ-ენ-ი-თ**, **და-ი-ზარ-დ-ენ-ი-თ**, **და-ი-ზარ-დ-ნ-ენ**; **შე-ვ-ე-ხვეწ-ენ-ი-თ**, **შე-ე-ხვეწ-ენ-ი-თ**, **შე-ე-ხვეწ-ნ-ენ**... (ქართლ-კახ., ჯავახ.). მესამე პირის ფორმათა -ნ-ენ დაბოლოება, რომელიც ერთიან სუფიქსად იქნა გააზრებული და სხვა პარადიგმებშიც გავრცელდა, დამახასიათებელია ცენტრალური და სამხრეთი ქართლურისათვის, ჩრდილო და დასავლური ქართლურისათვის კი ჩვეულებრივია -ენ სუფიქსიანი დაბოლოება: **და-ი-ზარ-დ-ენ** (და-ი-ზარ-დ-ნ-ენ და მისთ. იშვიათად გვხვდება).

გამოვძვრენით და წამუედითო (ფშაური, დიალ. კორპ.).

გულტკენით **გავიყარენით**, არ ვაწყენინეთ ენითა (შიგნიკახური, დიალ. კორპ.).

დავბრუნდი და საიდანაც **გავიყარენით**, იქ მივედი და გავხყევ ამ კვალს (თუშური, დიალ. კორპ.).

სუ **გადავიბუგენით** (ფშაური, ქართული დიალექტოლოგია).

გჭ-ამეთ პური, **ავიშაღენით**, ჩ-ამოველით (სამცხურ-ჯავახური, ბერიძე, 2005).

ეგრე უგემურათ **დავიზარდენით** (შიგნიკახური, დიალ. კორპ.).

სუყველა **დავიზარდენით** (სამცხურ-ჯავახური, ბერიძე, 2005).

შავი დღითა და ბნელი დღით **დავიზარდენით** (ქიზიყური, დიალ. კორპუსი).

ვნებითის დასახელებული ფორმები კავშირებითში -ე მაწარმოებელს დაირთავენ: **და-ვ-ი-მალ-ნ-ე-თ** „დავიმალოთ“, **და-ი-მალ-ნ-ე-თ** „დაიმალოთ“, **და-ვ-ი-ზარდ-ნ-ე-თ** „დავიზარდოთ“, **და-ი-ზარდ-ნ-ე-თ** „დაიზარდონ“; **გამო-ვ-ე-ცხად-ნ-ე-თ**, **გა-ვ-ი-ყარ-ნ-ე-თ**... ასეთი წარმოება დამახასიათებელია დასავლური ქართლურის გარდა მთელი ქართლურისა და კახურისათვის, ასევე ჯავახური დიალექტისათვის (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956).

უნდ **გავემზადნეთ** მეორე წლისადა'დ გავაკეთებთ იმ ალაოსაც... (თუშური, დიალ. კორპ.).

იმ საძირეს გადავჭრით მიწის პირდაპირ, მოუთხრით გარშემო მიწას, რომ ნ-ამყნის ვაკეთებაში ხელი არ შეგვიშალოს და კარგათ **გავიმართნეთ** (შიგნიკახური, დიალ. კორპ.).

II სერიაში მრავლობითი რიცხვის ფორმებში ფუძის გართულება -ენ // -ნ სუფიქსით დამახასიათებელია აჭარულისთვისაც (ი-/-ე- პრეფიქსიანი ვნებითები ნამყო ძირითადში: **მივეშველენით**, **მიეშველენით**, **მიეშველენენ**; **ვიყვენით**, **იყვენით**, **იყვენენ**; II კავშირებითში: **მივეშველნეთ**, **მიეშველნეთ**, **მიეშველნენ**; **ვიყვნეთ** // **ვიყვენეთ**, **იყნეთ** // **იყვენეთ**, **იყვენენ**). აღსანიშნავია, რომ -ნ მხოლობითის ფორმაშიც გვხვდება: **ი-ყ-ნ-ე** „იყო“, რაც, შესაძლებელია, მრავლობითის ანალოგიით იყოს მიღებული (ნიჟარაძე, 1975); ა. შანიძის აზრით, **ი-ყნ-ე** ფორმა **ი-ქნ-ე-ს** ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი ენაში (შანიძე, 1980, 449). ზოგჯერ -ენ > -ნ სუფიქსით რთულდება III ტიპისა და -დ სუფიქსიანი ვნებითის მრავლობითის ფორმებიც: **და-ვ-დგ-ნ-ე-თ** „დავდგეთ“, **გა-ვ-რიგ-დ-ნ-ე-თ** „გავრიგდეთ“. ასეთი ფორმები უმეტესად ზემოაჭარულისთვის არის დამახასიათებელი.

4.12.3. ვი-ყვ-ენ-ით ტიპის ფორმათა წარმოება

ქართული ენის რამდენიმე დიალექტში — ქართლურში, კახურში, ფერეიდნულში, მესხურში, აჭარულში (უპირატესად ზემოაჭარულში), რაჭული დიალექტის გლოლურ თქმაში მეორე სერიაში პრეფიქსიანი ვნებიტების საყრდენი ფუძე სუბიექტის მრავლობით რიცხვში **ენ(>ნ)** სუფიქსით რთულდება:

და-ვი-ზარდ-ენ-ით	შე-ვ-ე-ხვეწ-ენ-ით
და-ი-ზარდ-ენ-ით	შე-ე-ხვეწ-ენ-ით
და-ი-ზარდ-ნ-ენ	შე-ე-ხვეწ-ნ-ენ

და-ვ-ი/ე-მალ-ენ-ით
და-ი/ე-მალ-ენ-ით
და-ი/ე-მალ-ნ-ენ

ფერეიდნულსა და გლოლურში სხვაობს მესამე პირის ფორმა:

შე-ვ-ი-ყარ-ენ-ით	ვ-ი-ყვ-ენ-ით
შე-ი-ყარ-ენ-ით	ი-ყვ-ენ-ით
შე-ი-ყარ-ნ-ენს...	ი-ყვ-ნ-ენს...

ეს ფაქტები დასახელებულ დიალექტებში სისტემურ ხასიათს ატარებს. მხოლოდითი სუბიექტის შემთხვევაში პარადიგმა რაიმე თავისებურებებს არ ავლენს:

და-ვ-ი-კარგ-ე	შდრ.: და-ვ-იკარგ-ენ-ით
და-ი-კარგ-ე	და-იკარგ-ენ-ით
და-ი-კარგ-ა	და-იკარგ-ნ-ენ/ეს

ნ(>ენ) სუფიქსი თავს იჩენს ამ დიალექტებში II კავშირებითის ფორმებშიც:

და-ვ-ი/ე-მალ-ნ-ე-თ
და-ი/ე-მალ-ნ-ე-თ
და-ი/ე-მალ-ნ-ე-ნ

ფორმობრივად III პირის ფორმა ემთხვევა წყვეტილის III პირის ფორმას (და-ი/ე-მალ-ნ-ენ); სხვაობა გვაქვს გლოლურში (და-ი/ე-მალ-ნ-ეს და და-ი/ე-მალ-ნ-ენ).

ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, მაგრამ კვალიფიკაციის დროს საკმაოდ ფრთხილობენ: „ი- და ე- პრეფიქსიანი ვნე-

ბითები ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის ფორმებში **-ენ→ნ** სუფიქსს დაირთავენ“ (ბ. ჯორბენაძე). ამ სუფიქსის რაობაზე არაფერია თქმული. თუმცა ჩვეულებრივ მას განიხილავენ ძველი ქართულის ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითი ნიშნის ნაშთად...

თავისთავად **დავიწარდენით** ტიპის ფორმათა ანალიზი მრავალ საინტერესო კითხვას გასცემს პასუხს როგორც ენის ისტორიის, ისე დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

მოგვიწვევს ვრცელი ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

1929 წელს არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა ნაშრომი „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული ობიექტი ძველ ქართულში?“ დასკვნა ასეთია: „მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში **MO**-ი, რომელი პირისაც უნდა იყოს იგი, თანაბრად აღინიშნება **-ენ//ნ** ფორმანტით; პირის განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს“. ის ფაქტი, რომ **-ენ** სუბიექტური მესამე პირის აღმნიშვნელადაც გვევლინება ზმნაში (აწმყოში), ავტორის აზრით, „არის ნაშთი იმ მდგომარეობისა, როდესაც **MS**-ისა და **MO**-ის ფორმანტები არ განირჩეოდნენ, ერთისა და იმავე ფორმანტით შეიძლებოდა აღნიშნულიყო, როგორც ერთი, ისე მეორე“. მოგვიანო პერიოდის ნაშრომში ავტორი ასეთ თვალსაზრისს გვთავაზობს: „უახლესი ობიექტის რიცხვის (მრავლობითის) აღნიშვნა ძველ ქართულს გარდამავალ ზმნაში (ყვ-ნ-ა საქმენი, ვყვ-ენ-ი-თ, ჰყვ-ენ-ი-თ, ყვ-ნ-ეს საქმენი...) კლასოვანი უღლების ნაშთია ძველ ქართულში“ (ჩიქობავა, 1979), მიუხედავად ამგვარი დასკვნისა, დღევანდელ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **-ენ/ნ** ჩვეულებრივ განიხილება პირისა და რიცხვის ნიშანთა სისტემაში და იწოდება **პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად**; მით უმეტეს, რომ იგი მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტსაც მიემართება ვნებითი გვარის ზმნებში (და-ვ-ი-ზაოდ-ენ-ი-თ). გარდა ამისა, ჩვენი აზრით, სახელმძღვანელოებსა და სახელმძღვანელოთა ტიპის გამოცემებში ამ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობა არ შეესაბამება მორფოლოგიური ანალიზის პრინციპებს...

როგორც ითქვა, ძველ ქართულში II სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი (სახელობითში დასმული) ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება **-ენ** (<-ნ) სუფიქსით:

და-ვ-ხატ-ე მე იგი,

მე იგინი და-ვ-ხატ-ენ

და-ხატ-ე შენ იგი,	შენ იგინი და-ხატ-ენ
და-ხატ-ა მან იგი,	მან იგინი და-ხატ-ნ-ა
და-გ-ხატ-ე-თ ჩუენ იგი,	ჩვენ იგინი და-გ-ხატ-ენ-ი-თ
და-ხატ-ე-თ თქუენ იგი,	თქვენ იგინი და-ხატ-ენ-ი-თ
და-ხატ-ეს მათ იგი,	მათ იგინი და-ხატ-ნ-ეს

-ენ/-ნ მოქმედი აფიქსი ჩანს; მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია და არა მიცემითში. **ობიექტის სახელობითში ყოფნა აუცილებელი პირობაა -ენ(ნ) სუფიქსის გამოვლენისათვის.**

წარმოდგენილ პარადიგმაში პირდაპირი ობიექტი მესამე პირია და, როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში მისი მრავლობითობა **-ენ(ნ)** სუფიქსით გამოიხატება. აგლუტინაციის პრინციპი თითქმის არ ირღვევა: სუბიექტის პირი და რიცხვი დამოუკიდებელი აფიქსებით აღინიშნება, მრავლობითში დასმული ობიექტის რიცხვი — სხვა აფიქსით:

ვითარება რთულდება, როცა პარადიგმაში პირდაპირი ობიექტი I და II პირებია:

და-მ-ხატ-ა მან მე,	მან ჩუენ და-გუ-ხატ-ნ-ა
და-გ-ხატ-ა მან შენ,	მან თქუენ და-გ-ხატ-ნ-ა-თ
და-მ-ხატ-ე შენ მე,	შენ ჩუენ და-გუ-ხატ-ენ
და-გ-ხატ-ე მე შენ,	მე თქუენ და-გ-ხატ-ენ-ი-თ

რა არის **-ენ(-ნ)** სუფიქსი, რისი მორფოლოგიური ნიშანია? იგი ფორმაში მრავლობითში დასმულ I ან II პირის პირდაპირ ობიექტს მიემართება. მაგრამ მრავლობითობა ამ პირებისა ზმნაში ისედაც გამოხატულია: I პირის შემთხვევაში **გუ-** პრეფიქსით (ან **მ-** პრეფიქსით), II პირის შემთხვევაში — **-თ** სუფიქსით. თითქოსდა ორმაგი გამოხატვა

ხდება მრავლობითობისა. თუ ეს ასეა, მაშინ ერთ-ერთი ჭარბია; ასეც განიხილება („ჭარბი მორფოლოგიური ნიშანი“ — თ. უთურგაიძე).

სრულ პარადიგმაში იცვლება სუბიექტი და ობიექტი, შესაბამისად, იცვლება სუბიექტისა და ობიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები; უცვლელი რჩება **-ენ** სუფიქსი. ცხადია, პარადიგმაში უცვლელი მორფემა იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რაც ამ პარადიგმისათვის შინაარსობრივად უცვლელია. რა არის ის, რაც არ იცვლება, რისი ნიშანია **-ენ?** კითხვაზე პასუხის გაცემამდე ერთ საკითხსაც მივაპყრობთ ყურადღებას — გავიხსენოთ პრეფიქსიანი ვნებითების წყვეტილის პარადიგმა:

და-ვ-ი-ხატ-ე მე,	$\overbrace{\hspace{10em}}^{\hspace{10em}}$ ჩუენ და-ვ-ი-ხატ-ენ-ით
და-ი-ხატ-ე შენ,	$\overbrace{\hspace{10em}}^{\hspace{10em}}$ თქუენ და-ი-ხატ-ენ-ით
და-ი-ხატ-ა იგი,	$\overbrace{\hspace{10em}}^{\hspace{10em}}$ იგინი და-ი-ხატ-ენ-ეს

ამ პარადიგმაში სუბიექტის პირიცა და რიცხვიც შესაბამისი აფიქსებით არის გამოხატული. რა არის **-ენ(-ნ)** სუფიქსი, რომელიც გამოვლინდება მხოლოდ მეორე სერიაში (იმ სერიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია!)? რისი ნიშანია იგი?

ტრადიციული განმარტება ასეთია: „ვნებითი გვარის ზმნა მოქმედებითი გვარის მობრუნებული (კონვერსიული) სახეა. მოქმ. გვარის II სერიის მწკრივებში ორ-ორი ფორმა აქვთ: ერთი პირდაპირი ობიექტის მხოლობითში შეწყობისას. ზმნის გადაყვანისას ვნებითში პირდაპირობიექტური სუბიექტური ხდება. ამიტომ ამ სუბიექტურ პირს მრავლობითის ნიშანი **-ენ** მოქმედებითიდან ვნებითში გადაჰყვება“ (შანიძე, 1976). ეს თვალსაზრისი თითქმის საყოველთაოდ გაზიარებულია. განსხვავებულ კვალიფიკაციას აძლევს **-ენ** სუფიქსს ზ. სარჯველაძე: „პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა მეორე სერიაში გამოვლინდება სუბიექტის მრავლობითობის ამსახველი **-ენ(-ნ)** სუფიქსი. **-ენ** გვაქვს წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში, მეორე ბრძანებითის პირში, **-ნ** მეორე სერიის დანარჩენ ფორმებში“ (სარჯველაძე, 1997). თუმცა ეს თვალსაზრისი ავტორს არ განუვრცია, არც დამატებითი მსჯელობა ახლავს. ფაქტია, **-ენ(-ნ)** სუფიქსი აქ კვალიფიცირებულია სუბიექტის ნიშნად ყველა პირისათვის (!); იმავე სუბიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები ფორმაში სხვა რომ არის, ამაზე არაფერია თქმული...

ჩვენთვის არ არის დამაჯერებელი მოქმედი აფიქსის პარადიგმიდან პარადიგმაში გადაყოლა ფუნქციის გარეშე: როგორც აღვნიშნეთ, გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ვნებითში **-ენ** სუფიქსს თავისი ფუნქცია არ გააჩნია. არც ის არის სარწმუნო, სამივე სუბიექტურ პირს ერთი და იგივე ნიშანი აქვსო...

გვერდივერდ დავსვათ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა **-ენ(-ნ)** სუფიქსიანი პარადიგმები და განვავრძოთ მსჯელობა:

მან **ჩუენ** და-გვ-ხატ-**ნ-ა** } და-ვ-იხატ-**ენ-ი-თ** **ჩუენ**
შენ **ჩუენ** და-გუ-ხატ-**ენ** }

მან **თქუენ** და-გ-ხატ-**ნ-ა-თ** } და-იხატ-**ენ-ი-თ** **თქუენ**
მე **თქუენ** და-გ-ხატ-**ენ-ი-თ** }

მან **იგინი** და-ხატ-**ნ-ა** და-იხატ-**ნ-ეს** **იგინი**

ორივე რიგის პარადიგმაში საერთოა **-ენ(-ნ)** სუფიქსი. კითხვას ასე ვსვამთ: რა არის საერთო ამ პარადიგმებში, რისი ნიშანიც შეიძლება იყოს საერთო მორფოლოგიური ოდენობა **-ენ(-ნ)?** პასუხი: წარმოდგენილ პარადიგმებში საერთო **არის სახელობითში დასმული პირი**, რომელიც ერთ შემთხვევაში **სუბიექტია** (ვნებითი გვარის ზმნებთან), მეორე შემთხვევაში — **პირდაპირი ობიექტი** (მოქმედებითი გვარის ზმნებთან). ზოგადად „სახელობითში დასმული პირი“ არ არის მორფოლოგიური ცნება, ამიტომ მორფოლოგიური ელემენტი (**-ენ/-ნ**) ვერ იქნება ამგვარი ცნების აღმნიშვნელი; მით უმეტეს, ზმნაში წარმოდგენილ სუბიექტურ თუ ობიექტურ პირებს თავიანთი მაწარმოებელი აქვთ პირისა თუ რიცხვისა. ამიტომაც იქნა კვალიფიცირებული **-ენ/-ნ** სუფიქსი ჭარბად. მაგრამ მორფოლოგიური ელემენტი ჭარბად შეიძლება მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, თუ მას თავისი მორფოლოგიური ფუნქცია გამოეცლება; იმთავითვე ჭარბი ელემენტი ენაში არ არსებობს; ვიმეორებთ: აფიქსი ან ფუნქციას კარგავს, ანდა ჩვენ ვერ მივაგენით, ჩვენ ვერ გავარკვიებთ, რისი ნიშანია იგი.

როგორც ვხედავთ, მორფოლოგიურად **-ენ/-ნ** სუფიქსი ძველ ქართულში უკვე ჭარბია და ამიტომაც იკარგება (I-II პირებში), ანდა ხდება მისი რეინტერპრეტაცია (III პირში):

და-ვ-ი-ხატ-**ენ-ი-თ** —————> და-ვ-ი-ხატ-**ე-თ**
და-ი-ხატ-**ენ-ი-თ** —————> და-ი-ხატ-**ე-თ**

და-ი-ხატ-**ნ**-ეს → დაი-ხატ-**ნ**-ენ → და-ი-ხატ-ნენ

ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე **-ენ/-ნ** მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ჩანს; ეს ფუნქცია ეკარგება და იქცევა ჭარბად. რისი ნიშანი შეიძლება ყოფილიყო ეს სუფიქსი ადრეულ ეტაპზე? რისი ნაშთი შეიძლება იყოს იგი ძველ ქართულში?

ყურადღება მივაქციოთ კლასოვანი უღლების ენებში ზმნაში კლასის გამოხატვის პრინციპს. მაგალითისთვის განვიხილავთ ხუნძური ენის ზმნას.

ხუნძური ენა, როგორც იბერიულ-კავკასიური ენა, კლასიკური ნიმუშია კლასოვანი უღლების ენისა. ზმნის ფორმაში აღინიშნება მხოლოდ ერთი კლასი. თუ ზმნა გარდაუვალია, აღინიშნება სუბიექტის კლასი, თუ ზმნა გარდამავალია, აღინიშნება ობიექტის კლასი. შესაბამისად, გვაქვს სუბიექტური უღლება და ობიექტური უღლება:

ა) სუბიექტური უღლება:

ვას ვ-აჭუნა „ვაჟიშვილი მოდის“

მას მ-აჭუნა „ქალიშვილი მოდის“

ჩუ ბ-აჭუნა „ცხენი მოდის“.

სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია.

ბ) ობიექტური უღლება:

ინცმუცმა ვას ვ-ეც³ულა „მამა ვაჟიშვილს აქებს“

ინსმუცა მას მ-ეც³ულა „მამა ქალიშვილს აქებს“

ინსმუცა ჩუ ბ-ეც³ულა „მამა ცხენს აქებს“

ინსმუცა ვასალ რ-ეც³ულა „მამა ვაჟიშვილებს აქებს“

ინცმუცმა სუბიექტია, ვას, მას, ჩუ, ვასალ — ობიექტი. სუბიექტი ერგატივშია, ობიექტები — სახელობითში. „სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი — იქნება იგი რეალური სუბიექტი (გარდაუვალი ზმნისა), თუ რეალური ობიექტი (გარდამავალი ზმნისა) — ყოველთვის აღინიშნება ზმნაში“ (ჩიქობავა, ცერცვაძე).

და კიდევ ერთი არსებითი რამ: „სავსებით იგივე ვითარებაა ზმნის მრავლობითის აღნიშვნის მხრივაც: **გარდაუვალ ზმნაში აღინიშნება მრავლობითი რიცხვი რეალური სუბიექტისა; გარდამავალში — რეალური ობიექტისა**“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის რიცხვი, იქნება ის სუბიექტი თუ ობიექტი, ყოველთვის აღინიშნება ზმნაში.**

ისევ ვსვამთ კითხვებს: რა ხდება ქართულის შემთხვევაში? რას გამოხატავს ზემოგანხილული **-ენ/-ნ** სუფიქსი? პასუხი: **-ენ/-ნ** სუფიქსი გამოხატავს სახელობითში დასმული პირის მრავლობითობას იმ სერიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია: გარდამავალ ზმნასთან ეს არის პირდაპირი ობიექტი, გარდაუვალ ზმნასთან — სუბიექტი. ფაქტია: **კლასოვან ენაში კლასისა და რიცხვის გამოხატვის პრინციპი იდენტურია ძველ ქართულში -ენ/-ნ სუფიქსის გამოყენების წესისა.**

დასკვნა: **ძველ ქართულში -ენ/-ნ სუფიქსი ოდინდელი კლასოვანი უღლების ნაშთია.** ფუნქციური თვალსაზრისით ამ დროისათვის პირის ნიშანთა სისტემაში იგი ჭარბია, თუმცა გამოვლენის ოდინდელ პრინციპს სრულად იცავს.

გავიხსენოთ: იბერიულ-კავკასიურ ენებში კლასოვანი უღლება წინ უსწრებდა პიროვან უღლებას; იყო ზმნის ფორმაცვალების ადრეული საფეხური: „ქართულში (ქართველურ ენებში) კლასოვანი უღვლილება შეიცვალა პიროვანი უღვლილებით“ (ანდლულაძე). ზმნასა და სახელში კლასოვანი უღლების არაერთი კვალი დადასტურდა (ჯავახიშვილი, ჩიქობავა, თოფურია...). „ოდინდელი კლასნიშნებს ახლა მრავალი ფუნქცია აქვს დაკისრებული ენებში“ (ანდლულაძე), მოხდა მათი რეინტერპრეტაცია, ანდა დაიკარგა. როგორც ჩანს, **-ენ/-ნ** სუფიქსს მორფოლოგიური ფუნქცია კლასოვანი უღლების საფეხურზე ჰქონდა; პიროვანი უღლების სისტემაში იგი ჭარბი აღმოჩნდა და ამიტომაც დაიკარგა (III პირის შემთხვევაში პირის ნიშანს მიუერთდა).

როგორც ითქვა, საკითხის ამდაგვარი გააზრება უადრესად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართული ენის ისტორისათვის და, მეორე მხრივ, ქართული დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

დავიზარდენით ტიპის ფორმათა დადასტურება ქართულ დიალექტებში მორფოლოგიური არქაიზმის საინტერესო გამოვლენაა. თა-

ვისთავად ის ფაქტი, რომ ძირითადად ვნებითის პარადიგმაში გვაქვს და არა მოქმედებითისაში, იმის დასტური უნდა იყოს, რომ ძველ ქართულშივე „მოქმედებითიდან ვნებითში გადაყოლილად“ არ უნდა იქნეს მიჩნეული და, შესაბამისად, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად გააზრებული...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პარადიგმის უძველესი სახე (როცა III პირის ფორმაში **-ეს** სუფიქსია — და-ი-მალ-ნ-**ეს** ისინი) ფერეიდნულსა და რაჭულის გლოლურ თქმაშია შემორჩენილი; კახურსა და ქართლურში პარადიგმის განვითარების მომდევნო ეტაპის ვარაინტია წარმოდგენილი (III პირის ფორმაში **-ენ** სუფიქსი და-ი-მალ-ნ-**ენ** ისინი). ეს ფაქტი სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის სუფიქსთა ფუნქციების გადანაწილებასთანაა დაკავშირებული...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიალექტებში, რომლებშიც წყვეტილში **დავიზარდენით** ტიპის ფორმებია შემორჩენილი, **-ნ(>-ენ)** ფორმანტი II კავშირებითშიც იჩენს თავს. ესეც არქაული მოვლენის ასახვაა თანამედროვე დიალექტებში...

როგორც ვთქვით, ძველი ქართულის ვითარება სრული სახით რაჭული ენის გლოლურმა თქმამ შემოგვინახა: ერთი მხრივ ესაა **და-ი-მალ-ნ-ეს** ტიპის ფორმები ვნებითი გვარის ზმნებისა და, მეორე მხრივ, მოქმედებითი გვარის ზმნებთან **-ენ** სუფიქსი II სერიაში: **შენ ისინი ნახ-ენ**, **და-ი-ჭირ-ენ**, **და-ტოვ-ენ**... მან ისინი **ნახ-ნ-ა**, **და-ი-ჭირ-ნ-ა**, **გამოყარ-ნ-ა** და ა. შ. ასე რომ, ყველაზე არქაული ვითარება სწორედ გლოლურშია შემორჩენილი...

4.12.3. ვედ/ვიდ ზმნის ფორმაწარმოების თავისებურებანი სამხრულ დიალექტებში

დიალექტური ინოვაციები ჩვეულებრივ სისტემით არის ნაკარნახევი — ენაში მიმდინარე ტენდენციის ასახვაა, ანდა ე.წ. „გამონაკლისის“ წესის ფარგლებში მოქცევის ფაქტი (პარადიგმის გასწორების მცდელობა). სწორედ ამის მაგალითად გამოდგება აჭარულსა და, საერთოდ, სამხრულ მეტყველებაში მომხდარი ერთი ცვლილება.

ვიციტ: **წასვლა** ზმნის წყვეტილის პარადიგმა ქართულში თავისებურია:

წა-ვედ-ი	წა-ვედ-ი-თ
წა-ხ-ვედ-ი	წა-ხ-ვედ-ი-თ
წა-ვიდ-ა.	წა-ვიდ-ნენ

ეს არის ერთადერთი შემთხვევა ქართულში, როცა ხმოვანმონაცვლეობა **ე/ი** (ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია) ხდება წყვეტილის პარადიგმაში. სხვა შემთხვევაში **ე/ი** მონაცვლეობა წყვეტილში არ ხდება, ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი ზმნები წყვეტილში ორგვარ ვარიანტს წარმოგვიდგენენ:

ა) **ე** ხმოვანი არ იცვლება:

ვ-წერ-ე	ვ-წერ-ე-თ
წერ-ე	წერ-ე-თ
წერ-ა	წერ-ეს და სხვა

ბ) **ე** ხმოვანი სრულად რედუცირდება III პირის ფორმაში:

გავ-ჭერ-ი	გავ-ჭერ-ით
გა-ჭერ-ი	გა-ჭერ-ით
გა-ჭრ-ა	გა-ჭრ-ეს და სხვა

ხმოვანმონაცვლეობა **ე-ი** ხდება სერიებს შორის ე. წ. ფუძედრეკად ზმნებში: ვ-დრეკ — ვ-დრიკ-ე. ეს ცნობილია. **ვედ/ვიდ** ზმნა ქმნის გამონაკლისს; როგორც ვთქვით, მესამე პირის ფორმაში ხდება **ე** ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია. ასეა ეს ქართულში საერთოდ. განსხვავებულია ვითარება სამხრულ დიალექტებში.

აჭარულსა და სხვა სამხრულ დიალექტებში (შავშურში, კლარჯულსა და ტაოურში) ამ ზმნის წყვეტილის პარადიგმა ასეთია (გვხვდება სხვადასხვა ზმნისწინით, ზმნისწინისეული ხმოვნის სხვადასხვა ფონე-

ტიკური ვარიანტით, მაგრამ ზმნისწინს ამჯერად ყურადღებას არ ვაქცევთ):

წე-ვედ-ი	წე-ვედ-ით
წა-ხ-ვედ-ი	წა-ხ-ვედ-ით
წე-ვდ-ა	წე-ვდ-ენ.

ე. ი. მესამე პირის ფორმაში მოხდა ხმოვნის სრული რედუქცია. ამ ცვლილებით **ვედ/ვოდ** ზმნა ჩადგა გავ-ჭერ/გა-ჭრ-ა ტიპის ზმნათა რიგში.

დიალექტში მომხდარი ცვლილება არის მცდელობა გამონაკლისის წესის ფარგლებში მოქცევისა.

ეს ზმნა ამ დიალექტებში სხვა თავისებურებასაც ავლენს. ყურადღებას მივაქცევთსამი მწკრივის პარადიგმას:

უწყვეტელ-ხოლმეობითი

მი-ვდ-ოდ-ი	მი-ვდ-ოდ-ი-თ
მი-ხ-ვიდ-ოდ-ი	მი-ხ-ვიდ-ოდ-ი-თ
მი-ვდ-ოდ-ა	მი-ვდ-ოდ-ენ

I კავშირებითი

მი-ვდ-ოდ-ე	მი-ვდ-ოდ-ე-თ
მი-ხ-ვიდ-ოდ-ე	მი-ხ-ვიდ-ოდ-ი-ე-თ
მი-ვდ-ოდ-ე-ს	მი-ვდ-ოდ-ე-ნ

II კავშირებითი

მი-ვდ-ე	მი-ვდ-ე-თ
მი-ხ-ვიდ-ე	მი-ხ-ვიდ-ე-თ
მი-ვდ-ე-ს	მი-ვდ-ე/ო-ნ

ჩვეულებრივ ასეა: უწყვეტელ-ხოლმეობითში, I კავშირებითსა და II კავშირებითში მწკრივის ფუძედ წყვეტილის III პირის ფუძეა გამოყენებული:

უწყვ.-ხოლმ.	წა-ვიდ-ოდ-ი, წა-ხ-ვიდ-ოდ-ი, წა-ვიდ-ოდ-ა...
I კავშ.	წა-ვიდ-ოდ-ე, წა-ხ-ვიდ-ოდ-ე, წა-ვიდ-ოდ-ე-ს...
II კავშ.	წა-ვიდ-ე, წა-ხ-ვიდ-ე, წა-ვიდ-ე-ს...

სამხრულ დიალექტებში წყვეტილის მესამე პირში **ვედ** ფუძის უხმოვნო ვარიანტია წარმოდგენილი (**ვდ**), სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში **-ი** ხმოვნიანი (ნაწილობრივრედუცირებული) ვარიანტი (**ვიდ**).

განსახილველ სამ მწკრივში მოსალოდნელი იყო, ყველა პირის ფორმაში **ვდ** ვარიანტი ყოფილიყო; სხვაობას სამივე პარადიგმაში ქმნის მეორე პირის ფორმა, სადაც სამხრული დიალექტებისათვის არა-დამახასიათებელი **ვიდ** ვარიანტი გვაქვს:

უწყვ.-ხოლმ.	მი-ხ-ვიდ-ოდ-ი	მი-ხ-ვიდ-ოდ-ი-თ
I კავშ.	მი-ხ-ვიდ-ოდ-ე	მი-ხ-ვიდ-ოდ-ი-ე-თ
II კავშ.	მი-ხ-ვიდ-ე	მი-ხ-ვიდ-ე-თ

თუ I-III პირებში ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის მიზეზი სუფიქსისეული ხმოვანია (*ვედ-ა > ვდ-ა, *ვედ-ოდ > ვდ-ოდ, *ვედ-ე > ვდ-ე), იმავე პროცესს რატომ ვერ იწვევს იგივე სუფიქსები მეორე პირში და რატომ ხდება აქ ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია (*ვედ-ოდ > ვიდ-ოდ, *ვედ-ე > ვიდ-ე)? ანუ, კითხვა ეს არის: ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოში I-III პირებში რატომ ხდება სრული რედუქცია ფუძისეული ხმოვნისა (ვედ > ვდ) და II პირში — ნაწილობრივი რედუქცია (ვედ > ვიდ)?

პრინციპული თავისებურება მეორე სუბიექტური პირისა ის არის, რომ ფორმაში **ხ-** პრეფიქსია წარმოდგენილი. მაგრამ, არის კი **ხ-**პრეფიქსი კავშირში ფუძის გახმოვანებასთან? **ვფიქრობთ, შესაძლებელია ია კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა.** ორი ვერსიისა სავარაუდო:

I. ჩვეულებრივ ასეა: ზმნისწინისეულ ხმოვანზე ფონეტიკურ გავლენას ახდენს ზმნის ხმოვანპრეფიქსი (წე-ი-ყვანა, ე-ი-შენა...), ან ფუძისეული ხმოვანი (წე-ვიდა...). პროცესს გარკვეულწილად აბრკოლებს თანხმოვანპრეფიქსები: წა-მ-ი-ყვანა, წა-გვ-ი-ყვანა და არა წე-მ-ი-ყვანა, წე-გვ-ი-ყვანა... (მომყავს ქვემოიმერულის მაგალითები. ვრცლად ამ პროცესთა თაობაზე იხ.: გოგოლაშვილი 1974); პროცესს **ხ-** პრეფიქსიც აბრკოლებს: წე-ვედი, წე-ვიდა მაგრამ წა-ხ-ვედ- (და არა წე-ხ-ვედი)... დავიხსოვოთ...

აჭარული დიალექტის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება ისიც არის, რომ სხვა დიალექტთაგან განსხვავებით, ზმნისწინისეული ხმოვანი გავლენას ახდენს პრეფიქსულ ხმოვანზე: გა-ი-ქცა > გე-ი-ქცა > გე-ი-ქცა > გე-ი-ქცა; და-ი-წყეს > დე-ი-წყეს > დე-ი-წყეს; მო-ი-ტანა > მე-ი-ტანა > მე-ი-ტანა (შ. ნიჟარაძე)... ორსაფეხურიანი პროცესი ხდება: პირველ საფეხურზე ეგრესული გავლენის საფუძველზე ხმოვანპრეფიქსი **ი-** იმსგავსებს ზმნისწინისეულ ხმოვანს (**ა-ი-ე-ი**); მეორე საფეხურზე პროგრესული გავლენის საფუძველზე ხმოვანპრეფიქსი განიცდის დისიმილაციას ზმნისწინისეული ხმოვნის გავლენით (**ე-ი-ე-ი**)... სწორედ ეს — პროგრესული გავლენა არის აჭარულის თავისებურება.

საფიქრელია: ის ფაქტი, რომ მესამე პირის ფორმაში **ვედ** ზმნის ფუძისეული ხმოვანი განიცდის სრულ რედუქციას, არ უნდა იყოს მხოლოდ სუფიქსისეული ხმოვნის გავლენის შედეგი; ზმნისწინისეული ხმოვნის გავლენაც (ანუ პროგრესული გავლენაც) უნდა იქნეს გათვალისწინებული... იქ, სადაც ეს გავლენა გამოირიცხა (მეორე სუბიექტურ პირში ამ გავლენას აბრკოლებს ხ-პრეფიქსი), ხდება ნაწილობრივი რედუქცია (მი-ხ-ვიდ-ოდ-ი...); ვფიქრობთ, შესაძლებელია ამგვარი ახსნა...

II. შეიძლება სხვაგვარი ახსნაც: II პირის ფორმაში **ე** ხმოვნის სრული რედუქციის შემთხვევაში წარმოიქმნებოდა საკმაოდ რთული თანხმოვანკომპლექსი **ხვდ** (წე-ხვდ-ოდ-ი, წე-ხვდ-ე...)... ამ სირთულის თავიდან ასაშორებლად დიალექტმა გამოიყენა ფუძისეული ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია... ეს ვერსიაც დასაშვებია... თუმცა უფრო მომხიბლავად პირველი ვერსია გვეჩვენება.

4.12.4. ფუძეთა მონაცვლეობის საკითხისათვის პარადიგმებში

პარადიგმა გრამატიკულად განპირობებულ ფორმათა ერთობლიობაა, „რომლებიც ერთსა და იმავე კონტექსტში გამოირიცხავენ ერთმანეთს, ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან მიმართებაში *in absentia*“ (ქართული ენა. ენციკლოპედია, 2008). ზმნის ფორმაწარმოების განხილვისას ვსაუბრობთ მწკრივის პარადიგმაზე, სერიის პარადიგმაზე და უღლების სრულ პარადიგმაზე. მწკრივის პარადიგმაში ერთიანდება ზმნის პირიანი ფორმები, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისაგან მხოლოდ ზმნისწინით, პირისა და რიცხვის ნიშნებით. ზმნისწინის, პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით მწკრივის ფუძეს ვიღებთ. ესე იგი: მწკრივის პარადიგმის წევრებისათვის მწკრივის ფუძე საერთოა... სერიის ფუძე — იგივე თემა — საერთოა სერიის პარადიგმისთვის... უღლების სრული პარადიგმისათვის საერთოა მარტივი ფუძე, იგივე ძირი. ამ პრინციპით ვახდენთ ზმნური ფორმაწარმოების ანალიზს...

მაგრამ არის შემთხვევები, როცა პარადიგმის რომელიმე წევრის ფუძე სხვაობს პარადიგმის საერთო ფუძისაგან; ერთსა და იმავე პარადიგმაში სხვადასხვა ფუძე იყრის თავს. ამგვარად წარმოიქმნება სუბლექტური პარადიგმები.

საერთოდ, ლინგვისტური ლექსიკონების მიხედვით, სუბლექტივიზმი ისეთი გრამატიკული მოვლენაა, როცა ერთი პარადიგმის ფარგლებში ხდება ძირისა თუ ფუძის მონაცვლეობა. სუბლექტივიზმი გვაქვს სამივე რიგის პარადიგმაში.

ქართული ენის მასალაზე მსჯელობისას ზმნის სისტემაში სუბლექტურად მიიჩნევა ე. წ. რიცხვში მონაცვლე ზმნები:

ზის — სხედან

დაჯდა — დასხდნენ

დასვა — დასხა და ა. შ.

ეს მონაცვლეობა გვაქვს ყველა მწკრივის პარადიგმაში, რომელიც კი მოეპოვება ამ ზმნას. დიალექტური თვალსაზრისით, აშკარაა ტენდენცია სუბლექტივიზმის მოხსნისა ერთი მწკრივის ფარგლებში: რიცხვის მიხედვით ფუძეთა დაპირისპირებას აშკარად წიგნური ელფერი

დაჰკრავს; სასუბრო მეტყველებაში ჩვეულებრივია **ზის** და **ზიან**, **დაჯდა** და **დაჯდენ**, **დასვა** მან ის და **დასვა (დააჯინა)** მან ისინი... თუმცა იგივე არ ითქმის **გადაადლო — გადაყარა** ტიპის ფორმათა შესახებ...

**

ზის — სხედან სუბლექტურია არა მხოლოდ რიცხვის მიხედვით, არამედ მწკრივთა მიხედვითაც: **ზის — დაჯდა**. ეს მიმართება დიალექტებში რჩება, თუმცა არის ტენდენცია **ჯედ** ფუძის (ფონეტიკური ვარიანტი **ჟედ—ჟედ**) უნიფიცირებისა; ასე, მაგალითად გურულსა და ქვემოიმერულში:

აწმყო — ვ-ჟედ-ან-ვარ, ჟედ-ან-ხარ, ჟედ-ან-ა

წყვეტილი— ვი-ჟე-ი//ვი-ჯე-ი, ი-ჟე-ი//ი-ჯე-ი, ი-ჟედ-ა//ი-ჯედ-ა

II კავში — ვი-ჟედ-ე, ი-ჟედ-ე, ი-ჟედ-ეს...

სამწუხაროდ, არა გვაქვს ყველა დიალექტის მონაცემი; არადა საინტერესო შედეგია მოსალოდნელი...

არის რამდენიმე ზმნა, რომლებიც უღლების სრულ პარადიგმაში სემანტიკურ პარადიგმას ქმნიან; აწმყოში (და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში), მყოფადსა (და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში) და წყვეტილში (და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში) სხვადასხვა ფუძეებს გამოიყენებენ:

აწმყო — არის შვრება ამბობს

მყოფადი — იქნება იზამს იტყვის

წყვეტილი— იყო ქნა თქვა

ეს პრინციპი ფუძეთა დაპირისპირებისა დაცულია თითქმის ყველა დიალექტში (ფონეტიკურ ვარიანტებს ყურადღებას არ ვაქცევთ ამჯერად).

**

ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში საუბარია მარტივ ფუძეთა მონაცვლეობაზე: როცა უღლების სისტემაში ერთსა და იმავე მწკრივში თუ სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ზმნებია წარმოდგენილი. ფაქტობრივ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სემანტიკური პრინციპის მიხედვით სხვადასხვა ზმნათა ერთ პარადიგმაში გაერთიანებისა. ამგვარ შემთხვევებს ჩვენ სემანტიკურ პარადიგმებს ვუწოდებთ (გოგოლაშვილი 2010).

განმარტების მიხედვით სუბლექტივიზმად უნდა ჩაითვალოს არა მარტო მარტივ ფუძეთა, არამედ მწკრივთა პარადიგმაში საყრდენი ფუძეების სხვაობის შემთხვევაც.

ქართულში არის შემთხვევები, როცა ერთი მწკრივის პარადიგმა-

ში სხვადასხვა საყრდენი ფუძეა გამოყენებული. მაგალითად, ძველი ქართულის

ვალ
ხ-ვალ
ვალ-ს
ვალ-თ
ხ-ვალ-თ
ვლენ-ან

მრავლობითი რიცხვის III პირის **ვლენ** საყრდენი ფუძე განსხვავებულია სხვა პირის ფორმათა საყრდენი ფუძისაგან — **ვალ**. ამგვარ შემთხვევებს ვუწოდებთ ჩვენ სუბლექტივიზმს. ძველ ქართულში ამ რიცხის მაგალითები სხვადასხვაა: **დგ-ა-ს** და **დგან-ან**, **წევ-ს** და **წვან-ან**, **ყავ-ს** და **ყვან-ან**, **გავ-ს** და **გვან-ან** და სხვა. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ შეადგენს III პირის მრავლობითის ფორმაში დადასტურებული **ან** ელემენტის რაობის კვლევა. არსებითი ისაა ჩვენთვის, რომ ეს ელემენტი საყრდენი ფუძის ნაწილია.

სუბლექტური პარადიგმები ქართულში ძირითადად აწმყოს ფორმებში იჩენდა თავს; და მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა განსხვავდებოდა პარადიგმის სხვა წევრთა ფუძისაგან. ამ ზმნათა პარადიგმები სუბლექტურია ახალ ქართულშიც — სალიტერატურო ენასა თუ დიალექტებში. სხვაობას ძველი ქართულისაგან ის ქმნის, რომ I-II პირის ფორმებმა მეშველი ზმნა დაირთეს:

ვ-დგა-ვარ	ვ-დგა-ვართ
დგა-ხარ	დგა-ხართ
დგა-ს	დგან-ან

სუბლექტურ პარადიგმებს დიალექტებშიც ვადასტურებთ. იმერული და გურული სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფუძის განსასხვავებლად სხვა პირთა ფორმებისაგან უთემისნიშნო ზმნებში **-ებ** თემის ნიშანს გამოიყენებს:

მე-ვ-იტან	მე-ვ-იხმარ	წე-ვ-იყვან
მე-იტან	მე-იხმარ	წე-იყვან
მე-იტან-ს	მე-იხმარ-ს	წე-იყვან-ს
მე-ვ-იტან-თ	მე-ვ-იხმარ-თ	წე-ვ-იყვან-თ
მე-იტან-თ	მე-იხმარ-თ	წე-იყვან-თ
მე-იტან-ებ-ენ	მე-იხმარ-ებ-ენ	წე-იყვან-ებ-ენ

ამ რიგის მაგალითებს საკმაოდ მრავლად ასახელებენ სამცხურ-ჯავახურში (მ. ბერიძე); ამ შემთხვევაში განსხვავებისათვის თემის ნიშანთა დაპირისპირებაა გამოყენებული: სუბიექტური მესამე პირის მრავლობითში გამოყენებული **-ებ** თემის ნიშანი უპირისპირდება სხვა პირებში წარმოდგენილ **-ან** (**-ენ**, **-ონ**) თემისნიშანს:

ვ-ხატ-ან	ვ-ხატ-ან-თ
ხატ-ან	ხატ-ან-თ
ხატ-ან-ს	ხატ-ებ-ენ

მსგავსი მაგალითებია: **წერანს** და **წერებენ**, **აკეთანს** და **აკეთებენ**, **იცვანს** და **იცვებენ**, **ანთენს** და **ანთებენ**, **ათბენს** და **ათბებენ**, **წველანს** და **წველებენ**, **აძვიანს** („აძოვებს“) და **აძვიებენ**... **ა-პ-ონ-ს** და **ა-პ-ებ-ენ**, **გრძნ-ონ-ს** და **გრძნ-ებ-ენ** და სხვა...

განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ერთი მწკრივის პარადიგმაში განსხვავებულ ფუძეს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა გამოიყენებს. თუ ძველი ქართულის **ვალ-ს** და **ვლენ-ან** ტიპის სუბლექტივიზმს რაიმე არქაული მოვლენის ნაშთად მივიჩნევთ, ამასვე ვერ ვიტყვით დიალექტურ მონაცემთა მიმართ: აქ აშკარად ახალ ტენდენციასთან გვაქვს საქმე, თუმცა პრინციპი სუბლექტივიზმისა არაა ახალი, ფაქტია ძველ ქართულშიც.

მიუთითებენ აგრეთვე, რომ ზემოთქველში **-ავ** თემისნიშნისანი ყველა ზმნა აწმყოს სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში **-ევ** სუფიქსს დაირთავს **-ავ**-ის ნაცვლად.

ვ-ხნავ	ვ-ხნავ-თ
ხნავ	ხნავ-თ
ხნავ-ს	ხნევ-ენ (ქ. ძოწენიძე, 1973).

საყრდენ ფუძეთა სხვაობა აქაც ფაქტია: **ხნავ** და **ხნევ**. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა **-ა/-ე** ხმოვანმონაცვლეობასთან, არამედ **-ავ** და **-ევ** მორფოლოგიურ ელემენტთა ჩანაცვლებასთან.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ძველ ქართულში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნათა უწყვეტლის წარმოება.

როგორც ცნობილია, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნათა უწყვეტლის პარადიგმაში განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს I-II პირის ფორმები III პირთან მიმართებით.

ვ-კლ-ევ-დ-(ი)	ვ-დგ-ემ-დ-(ი)
ჰ-კლ-ევ-დ-(ი)	ს-დგ-ემ-დ-(ი)
კლ-ვ-იდ-ა	დგ-მ-იდ-ა
ვ-კლ-ევ-დ-ი-თ	ვ-დგ-ემ-დ-ი-თ
ჰ-კლ-ევ-დ-ი-თ	ს-დგ-ემ-დ-ი-თ
კლ-ვ-იდ-ეს	დგ-მ-იდ-ეს

მსგავსი ვითარება ქართული ენის დიალექტებშიც, თუმცა სხვაობა არსებითია: თუ ძველ ქართულში აწმყოს ფუძეს უპირისპირდებოდა უწყვეტელი (მალ-ავ — მალ-ევ...), სხვაობდა უწყვეტლის I და II პირთა ფორმა III პირის ფორმისაგან (მალევდ და მალვიდ). ახალ ქართულში უწყვეტლის პარადიგმა „გასწორებულია“ — ყველა პირში ერთნაირი ფუძეა (ან მალევდ, ან მალვიდ). (ამის თაობაზე იხ. § 4.8.3.2.)

დიალექტთა ერთ ნაწილში „თემის პრინციპი“ გატარებულია:

აწმყო:	ვ-მალ-ავ	ვ-მალ-ავ-თ
	მალ-ავ	მალ-ავ-თ
	მალ-ავ-ს	მალ-ავ-ენ
უწყვ. ვ-მალ-ავ-დ-ი	ვ-მალ-ავ-დ-ი-თ	
	მალ-ავ-დ-ი	მალ-ავ-დ-ი-თ
	მალ-ავ-დ-ა	მალ-ავ-დ-ნენ
I კავშ.	ვ-მალ-ავ-დ-ი	ვ-მალ-ავ-დ-ე-თ
	მალ-ავ-დ-ე	მალ-ავ-დ-ე-თ
	მალ-ავ-დ-ეს	მალ-ავ-დ-ნენ

დიალექტთა მეორე ნაწილში „თემის პრინციპი“ ირღვევა; წარმოიქმნება სუბლექტური პარადიგმა :

აწმყო:	ვ-მალ-ავ	ვ-ა-ბ-ამ
	მალ-ავ	ა-ბ-ამ
	მალ-ავ-ს	ა-ბ-ამ-ს
ვ-მალ-ავ-თ	ვ-ა-ბ-ამ-თ	
მალ-ავ-თ	ა-ბ-ამ-თ	
მალ-ვ-ენ	ა-ბ-მ-ენ	
უწყვეტელი:	ვ-მალ-ევ-დ-ი	ვ-ა-ბ-ემ-დ-ი
	მალ-ევ-დ-ი	ა-ბ-ემ-დ-ი
	მალ-ევ-დ-ა	ა-ბ-ემ-დ-ა
ვ-მალ-ევ-დ-ი-თ	ვ-ა-ბ-ემ-დ-ი-თ	

	მალ-ევ-დ-ი-თ	ა-ბ-ემ-დ-ი-თ
	მალ-ევ-დ-ნენ	ა-ბ-ემ-დ-ნენ
I კავშირებითი:	ვ-მალ-ევ-დ-ე	ვ-ა-ბ-ემ-დ-ე
	მალ-ევ-დ-ე	ა-ბ-ემ-დ-ე
	მალ-ევ-დ-ე-ს	ა-ბ-ემ-დ-ე-ს
	ვ-მალ-ევ-დ-ე-თ	ვ-ა-ბ-ემ-დ-ე-თ
	მალ-ევ-დ-ე-თ	ა-ბ-ემ-დ-ე-თ
	მალ-ევ-დ-ნენ	ა-ბ-ემ-დ-ენ

ერთმანეთს ენაცვლება **მალ-ავ** — **მალ-ევ**, **ბ-ამ** — **ბ-ემ** ფუძეები. **მალ-ვ-იდ-ა**, **ა-ბ-მ-იდ-ა** ფუძეთა შებთხვევაში არაა სუბლექტივიზმი, რადგანაც **ვმ** ფონეტიკური ვარიანტია **-ავ** და **-ამ** სუფიქსებისა (გოგოლაშვილი 2010).

სუბლექტური პარადიგმები არის გამოყენებული თუშურში, ხევსურულსა და ფშაურ დიალექტებში I და II ხოლმეობითის მწკრივთა წარმოებისას. როგორც აღინიშნა (§ 4.9.1.3.), ხოლმეობითის წარმოება ამ დიალექტებში ერთნაირ პრინციპზეა დამყარებული: I-II პირის ფორმაში **-იდ** (თუშურ-ხევსურულში) ან **-ოდ** (ფშაურში) ფორმანტებია წარმოდგენილი, მესამე პირში — არა:

		I ხოლმეობითი	
ხევსურული	—	ვ-აღ-ებ-დ-იდ-ი	ვ-აღ-ებ-დ-იდ-ი-თ
		აღ-ებ-დ-იდ-ი	აღ-ებ-დ-იდ-ი-თ
		აღ-ებ-დ-ი-ს	აღ-ებ-დ-ი-ს
ფშაური	—	ვ-აღ-ებ-დ-ოდ-ი	ვ-აღ-ებ-დ-ოდ-ი-თ
		აღ-ებ-დ-ოდ-ი	აღ-ებ-დ-ოდ-ი-თ
		აღ-ებ-დ-ი-ს	აღ-ებ-დ-ი-ს
		II ხოლმეობითი	
ხევსურული	—	ვ-აღ-იდ-ი	ვ-აღ-იდ-ი-თ
		აღ-იდ-ი	აღ-იდ-ი-თ
		აღ-ი-ს	აღ-ი-ან
ფშაური	—	ვ-აღ-ოდ-ი	ვ-აღ-ოდ-ი-თ
		აღ-ოდ-ი	აღ-ოდ-ი-თ
		აღ-ი-ს	აღ-ი-ან

მესამე პირის ფორმათა საყრდენი ფუძე I-II პირისაგან აქაც სხვაობს. სუბლექტივიზმი აქაც ფაქტია.

ძველი თუ ახალი სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემთა გამოწვლილვით შესწავლა ალბათ ფაქტებს გაამრავლებს. საკითხის დასამისათვის, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

სუბლექტივიზმი მწკრივთა წარმოებაში საგანგებო მოვლენაა. იგი არღვევს მწკრივის პარადიგმის აგების საერთო პრინციპს — მწკრივის საყრდენი ფუძის პრინციპს (გავიხსენოთ: მწკრივი აერთიანებს მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებულ ფორმებს): ერთი მწკრივის პარადიგმაში შემავალ ფორმებს საერთო საყრდენი ფუძე უნდა ჰქონდეთ; სხვადასხვა საყრდენი ფუძე სხვადასხვა მწკრივის ფორმათა წარმოების საფუძველია... სუბლექტივიზმის მოვლენა ახსნას მოითხოვს... ჩვენ ამჯერად ფაქტის აღწერით ვკმაყოფილდებით.

პარადიგმებისათვის

დიალექტოლოგები ამა თუ იმ დიალექტის აღწერისას, ცალკეული გრამატიკული ფაქტისა თუ მოვლენის ანალიზისას ჩვეულებრივ მსჯელობენ ცალკეულ თავისებურებებზე, რომლებიც დასტურდება ამა თუ იმ დიალექტში. ხშირ შემთხვევაში ჭირს ამ თავისებურების გააზრება სხვა ფორმებთან მიმართებაში, ამ თავისებურების ადგილის გარკვევა საერთო ენობრივ სისტემაში; ანუ: ამ თავისებურებების გააზრება სისტემის წევრად. ბრუნებისა თუ უღლების პარადიგმის წარმოდგენას და ამ პარადიგმაში თავისებური ფორმების წარმოჩენას, ვფიქრობთ, ამ თავისებურებათა ანალიზისათვის და არსებული ენობრივი ტენდენციების გარკვევისთვისაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ერთი კონკრეტული მაგალითი: თავისებურებათა ანალიზისას აღნიშნავდნენ, რომ ხმოვანფუძიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშანი არის **ღ** — **ღეღა-ღ**, რომ ხმოვანფუძიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ნიშანი არის **ღ** — **ღეღაღ** (= ღეღა-ს). პარადიგმათა ანალიზის შედეგად წარმოჩნდება, რომ თუ ხმოვანფუძიან სიტყვას სახელობითში აქვს **ღ**, მას მიცემითში ექნება **-ს** და თუ მიცემითში აქვს **ღ**, მას სახელობითში ექნება ან **Ø**, ან **ი** (ბ. ჯორბენაძე). ეს თითქოსდა მარტივი წესი თვალსაჩინო ხდება პარადიგმათა ანალიზისას.

ეს ერთი კონკრეტული მარტივი მაგალითია. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ზმნის ფორმაცვალება.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ ყველა თავისებურება სახელის ბრუნებისა თუ ზმნის უღლებისა შევნიშნეთ და გავაანალიზოთ ჩვენს ნაშრომში. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ არა გვქონდა მეტნაკლებად სრული პარადიგმები ამა თუ იმ დიალექტის სახელისა და ზმნის ფორმაცვალებისა... ამიტომ პროექტზე მუშაობის პარალელურად გადავწყვიტეთ ქართული ენის დიალექტების სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმების შედგენა. ჩვენი თხოვნით ქართული დიალექტების წარმომადგენლებმა შეადგინეს სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმები:

- ქართლურისა** — მარიამ კობერიძემ,
კახურისა — დარეჯან ჩხუბიანიშვილმა და ხათუნა ყანდაშვილმა (ქალ-ბატონ დარეჯანის პარადიგმები დაუსრულებელი დარჩა; შე-ავსო ხათუნა ყანდაშვილმა),
ინგილოურისა — მაია ბარიხაშვილმა,
ფერეიდნულისა — დარეჯან ჩხუბიანიშვილმა (მის მიერ ექსპედიციებში მოპოვებული მასალებისა და ჩაწერილი ტექსტების მიხედვით).
მესხურ-ჯავახურისა — მარინა ბერიძემ,
ხევსურულისა — ავთანდილ არაბულმა,
თუშურისა — გიორგი ცოცანიძემ,
ფშაურისა — ზეზვა ქავთარაძემ,
მთიულურისა — მანანა კობაიძემ, გურამ ბედოშვილმა,
მოხურისა — მაია კობიაშვილმა,
ქვემოიმერულისა — ნინო შარაშენიძემ,
ზემოიმერულისა — ნინო შარაშენიძემ და გიორგი ჭაუჭიძემ
რაჭულისა — რუსუდან ლანდიამ,
ღეჩხუმურისა — კონსტანტინე კაკიტაძემ (სამწუხაროდ, კ. კაკიტაძემ ვერ მოასწრო დასრულება... ვფიქრობთ, ამ სახითაც სასარგებლო არის მისი გამოქვეყნება),
გურულისა — გელა დგებუაძემ,
აჭარულისა — ნარგიზა სურმაგამ,
კლარჯულისა, შავშურისა და ტაოურისა — მამია ფაღავამ და ნანა ცეცხლაძემ (ექსპედიციების დროს შეგროვილი დიდძალი მასალის საფუძველზე...).

მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ მასალა არ არის ერთგვაროვანი; ზოგი დიალექტის პარადიგმები უფრო ვრცელია, ზოგისა — შედარებით მოკლე. ცხადია, ყველა თავისებურ შემთხვევასაც ვერ ავსახავდით პარადიგმებში, ამიტომაც ვუწოდეთ „ძირითადი პარადიგმები“. ზოგჯერ ერთი და იმავე ფაქტისა თუ მოვლენის კვალიფიკაციაც არ არის ერთგვაროვანი (მაგალითისათვის: თუშურში ხოლმეობითის ბოლოსართი დაუშლელადაა წარმოდგენილი **იდ**, ხევსურულში — დაყოფით **ი-დ**. ჩვენ არ ვცდილვართ ავტორებთან ჩვენი თვალსაზრისის შეჯერებას ამგვარ შემთხვევაში... ანდა: ზოგ შემთხვევაში | სერია 3 (ან 4) მწკრივითაა წარმოდგენილი (აწმყო-მყოფადი, უწყვეტელი, | ხოლმეობითი, | კავშირებითი), ზოგ ავტორთან აწმყოსა და მყოფადის წრეებია წარმოდგენილი. თითქოსდა არ იყო ძნელი ერთი პრინციპის გატა-

რება, მაგრამ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს ზოგ დიალექტში მხოლოდ ზმნისწინი არ განასხვავებს — ზმნურ ფუძესა და ზმნისწინის ურთიერთავლენის შედეგად არსებითი ხასიათის სხვაობა იჩენს თავს (მაგ. თუშურ დიალექტში)... ამიტომ რომ არ დაიკარგოს ფორმობრივი ვარიანტი (თუნდაც ფონეტიკური), ვტოვებთ პარადიგმის ავტორისეულ ვარიანტს.

საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა ტერმინოლოგიის საკითხიც. სპეციალურ ლიტერატურაში აკეთებდ-ი-ს / გა-აკეთებდ-ი-ს ფორმები ერთ მწკრივად — I ხოლმეობითად არის მიჩნეული (ამის თაობაზე იხ. ზემოთ, გვ. 293-298). როცა პარადიგმა გაიმართა, უზმნისწინო ვარიანტი (აკეთებდის) აწმყოს წრეში მოექცა, ზმნისწინიანი (გა-აკეთებდ-ი-ს) მყოფადის წრეში. ასე რომ, I სერიაში ორი მწკრივი აღმოჩნდა ხოლმეობითისა. ხეცურულის პარადიგმაში ავტორმა შემოგვთავაზა ტერმინები **აწმყოს ხოლმეობითი** (აკეთებდ-ი-ს) და **მყოფადის ხოლმეობითი** (გა-აკეთებდ-ი-ს).

შენიშვნა: ფაქტია, ლოგიკა არის ამგვარ კვალიფიკაციაში, მაგრამ ამ შემთხვევაში I სერიაში ორი მწკრივია ხოლმეობითისა; II სერიის ხოლმეობითს მაინც ტრადიციული მეორე ხოლმეობითი ჰქვია... თუმცა ეს დეტალია, ამ შემთხვევისათვის არა არსებითი.

სხვა შემთხვევაში (მაგ. მოხურში) ორივე ფორმისათვის დავტოვეთ ტერმინი **I ხოლმეობითი**; ანალოგიისათვის გავისხენებთ ა. შანიძის 1930 წელის გრამატიკას, სადაც ავტორმა **I კავშირებითის** ტერმინით ორი მწკრივი წარმოადგინა (შემდგომი ტერმინოლოგიით — აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი)... ასევე სხვაობს ტერმინები **გა-აკეთებდა** ფორმისათვის; ერთ შემთხვევაში ავტორმა **პირობითი** უწოდა, მეორე შემთხვევაში სხვა ავტორმა **ხოლმეობით-შედეგობითი** და ა. შ.

პარადიგმები ჩვენთვის არის მასალა თეორიული მსჯელობისათვის; თუნდაც ტერმინოლოგიის შერჩევა-დახვეწისათვის. ამიტომ ამ სახის ფაქტებზე კამათს ავტორებთან მოვერიდეთ. ვიმეორებთ, ჩვენი მიზანი კონკრეტული დიალექტის ბრუნებისა და უღლების ძირითადი სურათის ჩვენება იყო. ამ მხრივ მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც ამ საქმეში დახმარება გაგვიწია.

ცხადია, ყველა თავისებურება დიალექტისა ვერ იქნება ასახული აქ წარმოდგენილ პარადიგმებში; მით უმეტეს, კილოკაური სხვაობა

(ზოგჯერ არის ამის თაობაზე მინიშნება). ზოგ შემთხვევაში მორფოლოგიური ვარიანტები არის ნაჩვენები, თუმცა რომელი ვარიანტი რა შემთხვევაში და სად არის რეალიზებული, ეს არ ჩანს... კომენტარები ფაქტობრივ ვერ წარმოვადგინეთ (ზოგ ავტორს ჰქონდა და მოვსენით, რისთვისაც მას ბოდიშს ვუხდით), რადგან ეს ძალიან გაზრდიდა წიგნის მოცულობას. ვიმედოვნებთ, რომ ავტორები მომავალში შემოგვთავაზებენ თავიანთი პარადიგმების გავრცობილ ვარიანტებს კომენტარებითა და შენიშვნებით. რამდენიმე ასეთი ნაშრომის ჩანაფიქრის შესახებ ჩვენთვის ცნობილია.

შეიძლება იყოს სადავო ფორმებიც. პარადიგმებზე პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ შემდგენელი ავტორები. ყველა საქმიანი შენიშვნა მხოლოდ მადლობას დაიმსახურებს.

როგორც ყოველთვის, ამგვარი საქმისათვის ეს დრო, რაც პროექტისათვის იყო განკუთვნილი, საკმაოდ შეზღუდული აღმოჩნდა. წინამდებარე წიგნის გამოცემა დროის მკაცრ ჩარჩოებში მოექცა. რამდენადაც ჩვენი კვლევა და პარადიგმების შედგენა თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა, პარადიგმების გათვალისწინება ვერც შეეძლო ჩვენ გამოკვლევებში. თუ მოხერხდა შემდგომში წიგნის გადამუშავება და ახალი გამოცემის მომზადება, ვფიქრობთ, მოგვეცემა საშუალება, უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ ეს პარადიგმები და უკეთესად წარმოვაჩინოთ დიალექტებში სახელისა და ზმნის ფორმაცვალება.

ამ სახით პარადიგმების გამოქვეყნება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს მომავალ დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას.

მარიამ კობერიძე

ქართლური კილო

ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

სახელთა ბრუნება

ბრუნვის ნიშნის ხმარების მიხედვით ქართლური არ არის ერთფე-
როვანი, განსხვავება შეინიშნება კილოკავებისა და თქმების მიხედვით.

ქართლურში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს მოთხრობითი ბრუნ-
ვის ნიშნად მან, როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახე-
ლებთან: ღმერთმან, მეფემან, ხალხმან (გრ. იმნაიშვილი, ვ. სომხიშვილი).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ ელემენტი ხშირად ინარჩუნებს
მჟღერობას (კაცად), მაგრამ ხშირად გვხვდება მისი ყრუ ვარიანტიც
ფშვინვიერი თ-ს სახით: საომრათ, მოჯამაგირეთ, სანადიროთ, კაცათ...

მაგრცობი ა მოუღის: მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვი-
თარებით ბრუნვის ნიშნებს თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან ფუძე-
ვეცად სახელებს: კაც-ს-ა, კაც-ის-ა, კაც-ით-ა, კაც-ად-ა (კაც-ათ-ა).
გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მაგრცობი ხმოვანი არ გვხვდება:
მეხრეებს, ხალხს... ნათესაობით და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში
ფუძეუკვეცელ სახელებთან -ა მაგრცობი ხმოვნის ადგილს -ი იჭერს
(წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი). -ი შესაძლოა მაგრცობ ხმოვნად ფუძეუკვეცად
და თანხმოვანზე ფუძედაბლოებულ სახელებთანაც იქნეს გამოყენებუ-
ლი: კაც-ის-ი, კაც-ით-ი... ხ-ის-ი, ხ-ით-ი (გრ. იმნაიშვილი, ლ. ნოზაძე).

ქართლურში მრავლობითის საწარმოებლად ჩვეულებრივ იხმარება
-ებ სუფიქსი, მაგრამ გვხვდება ნ და თ სუფიქსები რიცხვით სახელებ-
ში, ტოლად შერწყმულ რთულ სახელებში, ოჯახის (გვარის) სახელებსა
და პირის ნაცვალსახელებში. სახელებში ნ სუფიქსი ძირითადად
გვხვდება სახელობითი და წოდებითი ბრუნვის ფორმებთან.

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელები

ფუძეუკუმშველი

სახ.	ბატონ-ი /0	ბატონ-ებ-ი /-ებ-0 /ბატონ-ნ-ი
მოთხ.	ბატონ-მა / მან	ბატონ-ებ-მა / მან
მიც.	ბატონ-ს / ს-ა / 0 /-ა	ბატონ-ებ-ს/ს-ა/0

ნათ.	ბატონ-ის /ის-ა /ის-ი/იძ	ბატონ-ებ-ის /ის-ა /ის-ი
მოქ.	ბატონ-ით /ით -ა /ით -ი	ბატონ-ებ-ით /ით-ა /ით-ი
ვით.	ბატონ-ად /ად -ა /ათ /ათ -ა	ბატონ-ებ-ად/ად-ა /ათ/ათ-ა
წოდ.	ბატონ-ო	ბატონ-ებ-ო // ბატონ-ნ-ო

ფუძეკუმშვალი

სახ.	მეზობელ-ი /0	მეზობლ-ებ-ი/ებ-0//მეზობელ-ნ-ი
მოთხ.	მეზობელ-მა /მან	მეზობლ-ებ-მა / მან
მიც.	მეზობელ-ს / ს-ა /0/-ა	მეზობლ-ებ-ს /ს-ა/0
ნათ.	მეზობელ//მეზობლ-ის/ის-ა/ის-ი/იძ	მეზობლ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	მეზობელ//მეზობლ-ით /ით-ა/ით-ი	მეზობლ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	მეზობლ-ად /ათ /-ათ-ა	მეზობლ-ებ-ად/ად-ა/ათ//ათ-ა
წოდ.	მეზობელ-ო	მეზობლ-ებ-ო//მეზობელ-ნ-ო

სახ.	ხანჯალ-ი/0	ხანჯლ-ებ-ი//0//ხანჯალ-ნ-ი
მოთხ.	ხანჯალ-მა/მან	ხანჯლ-ებ-მა /მან
მიც.	ხანჯალ-ს/ს-ა/0/-ა	ხანჯლ-ებ-ს /ს-ა /0
ნათ.	ხანჯალ//ხანჯლ-ის/ის-ა/ის-ი /იძ	ხანჯლ-ებ-ის /ის-ა /ის-ი
მოქ.	ხანჯალ//ხანჯლ-ით/ით-ა//ით-ი	ხანჯლ-ებ-ით /ით-ა/ით-ი
ვით.	ხანჯლ-ად/ად-ა/ათ /ათ-ა	ხანჯლ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ.	ხანჯალ-ო	ხანჯლ-ებ-ო//ხანჯალ-ნ-ო

სახ.	(მ) ტერი-ი /0	(მ)ტრ-ებ-/ეფ-/ი/0//მ)ტერ-ნ-ი
მოთხ.	(მ) ტერ-მა /მან	(მ)ტრ-ებ-მა /მან
მიც.	(მ) ტერ-ს / ს-ა /0/-ა	(მ)ტრ-ებ-ს/ს-ა/0
ნათ.	(მ)ტერ//მ)ტრ-ის/ის-ა/ის(ი)/იძ	(მ)ტრ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	(მ)ტერ//მ)ტრ-ით/ით-ა/ით-ი	(მ) ტრ-ებ-ით /ით-ა /ით-ი
ვით.	(მ)ტრ-ად/ად-ა/ათ-/-ათ-ა	(მ) ტრ-ებ-ად/ად-ა /ათ /ათ-ა
წოდ.	(მ)ტერ-ო	(მ) ტრ-ებ-ო/(მ)-ტერ-ნ-ო

სახ.	ქათამ-ი /0	ქათმ-ებ-ი /0//ქათამ-ნ-ი
მოთხ.	ქათამ-მა /მან	ქათმ-ებ-მა /მან
მიც.	ქათამ-ს/ს-ა/0/-ა	ქათმ-ებ-ს/ს-ა /0
ნათ.	ქათამ//ქათმ-ის/ის-ა //ის-ი/იძ	ქათმ-ებ-ის /ის-ა /ის-ი
მოქ.	ქათამ//ქათმ-ით /ით-ა /ით-ი	ქათმ-ებ-ით /ით-ა /ით-ი
ვით.	ქათმ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა	ქათმ-ებ-ად/ად-ა/ათ /ათ-ა
წოდ.	ქათამ-ო	ქათმ-ებ-ო/ქათამ-ნ-ო

სახ.	მინდორ-ი/0	მინდვრ-ებ/ევ-ი/0//მინდორ-ნ-ი
მოთხ.	მინდორ-მა/მან	მინდვრ-ებ-მა/მან
მიც.	მინდორ-ს/-ს-ა/0/-ა	მინდვრ-ებ-ს/ს-ა
ნათ.	მინდორ//მინდვრ-ის/ის-ა/ის-ი/იჰ	მინდვრ-ებ-ის/ის-ა
მოქ.	მინდორ//მინდვრ-ით/ით-ა/-ით-ი	მინდვრ-ებ-ით/ით-ა
ვით.	მინდორ//მინდვრ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა	მინდვრ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ.	მინდორ-ო	მინდვრ-ებ-ო//მინდორ-ნ-ო

შენიშვნა:

1. თანხმოვანზე დაბოლოებული სახელი სახელობით ბრუნვის ნიშნის გარეშე შეიძლება შეგვხდეს: პურ, მწყვანილ, კახელებ, ბატონ... (გრ. იმნაიშვილი).
2. მიცემითში თანხმოვანფუძიან სახელებს ზოგჯერ ეკარგება ბრუნვის ნიშანი ს: კვერცხ, ხარებ, ირმებ, ქათმებ. გამონაკლისია სამხრეთ ქართლური, სადაც მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი იკარგვის მავრცობი ხმოვნის წინა პოზიციაშიც: სახლ-ა, ხალხ-ა (გრ. იმნაიშვილი, თ. სალარიძე).
3. ალგეთის ხეობის ქართლურში ნათესაობით ბრუნვაში მდგომი თანხმოვანფუძიანი სახელი ზოგჯერ შეიძლება -იჰ რთული კომპლექსითაც იყოს გაფორმებული. მაგ.: რო გეგეცხო კაცი*იჰ*თვინ თავში, თავ გაუტეხამდა! (მაწ.); ალვილი იყო, რა, გლენებ*იჰ*თვინ (ჩხ.); აი თევზ*იჰ*თვინ რო აკეთებენ (გოლთ.) (თ. სალარიძე).
4. წოდებითში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ო-ს ადგილას გვაქვს ოუ: კაცოუ, ქალოუ (გრ. იმნაიშვილი, ო. კახაძე).

**ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნება
ფუძეკვეცადი**

სახ.	(მ)ზე/ი	(მ)ზე-ებ-ი/ნ-ი
მოთხ.	(მ)ზე-მ/მა/მან	(მ)ზე-ებ-მა/მან
მიც.	(მ)ზე-ს/ს-ა/-მს/-მჰს/-იჰ	(მ)ზე-ებ-ს/ს-ა
ნათ.	(მ)ზე// (მ)ზ-ის/ის-ა/ის-ი/მს/-მს-ა/-იმს/- იჰჰ/-ჰ/-იჰ/-ი	(მ)ზე-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	(მ)ზ-ით/ით-ა/ით-ი	(მ)ზე-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	(მ)ზე-დ/დ-ა/ათ/ათ-ა	(მ)ზე-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ.	(მ)ზე-ო/0	(მ)ზე-ებ-ო/ნ-ო

შენიშვნა: მზე, მთვარე, ცაქართულში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითი რიცხვის ფორმით. მაგ.: მთვარეები // მთვარე-ნი, ცა/ცებ-ი//ცა-ნი..

სახ.	დედა /ი	დედე//დედები-ი/0/დედა-ნი
მოთხ.	დედა-მ/მა/მან	დედები-მა/მან
მიც.	დედა-ს/ს-ა/-ის/-ის/-ი	დედები-ს/ს-ა
ნათ.	დედა//დედ-ის/ის-ა/ის-ი/ის-ი/ის-ა/-ის-ა/-ის-ი/ის-ი	დედები-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	დედა/დედ-ით/ით-ა/ით-ი	დედები-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	დედა-დ /დ-ათ/თ-ა	დედები-ად /ად-ათ/ათ-ა
წოდ	დედა/ვ/ო/0	დედები-ო//დედა-ნი-ო

შენიშვნა: ჩრდილოეთ ქართულში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები ვერ კვეცენ -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს და არც თვითონ რედუცირდებიან: რკინა-ის-ა, რკინა-ით-ა (თუმცა საკმაოდ გვხვდება რკინ-ის-ა, რკინ-ით-ა) (გრ. იმნაიშვილი).

ფუძეუკვეცილო

სახ.	ორმო /ი	ორმოები-ი /0//ორმო-ნი
მოთხ.	ორმო-მ/მა /მან	ორმოები-მა/მან
მიც.	ორმო-ს /ს-ა /ს-ი/-ის/-ის/-ი	ორმოები-ს/ს-ა
ნათ.	ორმო-ს/ს-ა/ს-ი/ის/-ის-ა/-ის-ი/ის-ი/ის-ი/ის-ა/-ის-ა/-ის-ი/ის-ი	ორმოები-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	ორმო-თ/თ-ა/თ-ი	ორმოები-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	ორმო-დ/დ-ათ/თ-ა	ორმოები-ად/ად-ათ/ათ-ა
წოდ	ორმო-ვ/0	ორმოები-ო

შენიშვნა: ო-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში შეიძლება შეგვხვდეს ასეთი ფორმით: წყარუები-ი//წყარუ-ეფ-ი, რუები//რუ-ეფ-ი, რკუები-ი//რკუ-ეფ-ი, ორმუები//ორმუ-ეფ-ი

სახ.	რუ//რუე-ი/0	რუები-ი/0//რუ-ნი
მოთხ.	რუ-მ/მა/მან	რუები-მა/მან
მიც.	რუ-ს/ს-ა/ს-ი/-ის/-ის/-ი	რუები-ს//რუ-ები-ს-ა
ნათ.	რუ-ს/ს-ა/ს-ი/ის/-ის-ა/-ის-ი/ის-ი/ის-ი/ის-ა/-ის-ა/-ის-ი/ის-ი	რუები-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	რუ-თ/თ-ა/თ-ი	რუები-ით/ით-ა/ით-ი

ვით. წოდ	რუ-დ/დ-ა/თ/თ-ა რუ-ვ/0	რუ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა რუ-ებ-ო
-------------	--------------------------	----------------------------------

- შენიშვნა:**
1. ჩრდილოეთ ქართლურში (არაგვისა და ქსნის ხეობის მეტყველებაში) ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის ნიშანი ი ისევე დაკარგულია, როგორც სალიტერატურო ქართულში. იგი საძებარია სამხრულ ქართლურში (ქვემოქართლურში). მაგრამ ეს ი შემონახულია ცენტრალურ ქართლურსა (შიდაქართლურსა) და დასავლურ ქართლურში (ბორჯომისა და ლიახვის ხეობის მოსახლეობის მეტყველების ჩათვლით). ხმოვანფუძიანი სახელები აქ (ზოგადიცა და საკუთარიც და აგრეთვე მასდარიც) ჩვეულებრივ გვევლინებიან სახელობითი ბრუნვის ი ნიშნით (მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს სახელი სინტაქსურად ქვემდებარე იქნება თუ დამატება) (გრ. იმნაიშვილი). ი იხმარება ოთხივე ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან: დედა-ი, დღე-ი, რკო-ი, რუ-ი (ვ. სომხიშვილი).
 2. ატენისა და წედისის ხეობის ქართლურში ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში დაერთვის მსკენ გადახრილი ი. მაგ.: **დედაი** და **მამაი** ვერ შევიდნენ (ვ. თოფურია, არ. მარტიროსოვი, ო. კახაძე).
 3. მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანები მ-სთან ერთად ხმოვანსაც ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნად თანხმოვანფუძიანების მსგავსად (გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტოლოგია).
 4. ალგეთის ხეობის ქართლურში მიცემითი ბრუნვის -ს ფორმანტი ხმოვანფუძიან სახელებთან ზოგჯერ წარმოდგენილია -მს/-მჰს/-იჰ/-მ-ს სახით. მაგ.: კრუხ-წიწილა**მს**, თუთა**მჰს**თან, დრო**მ**, მეწვრილმაღე**მ**... (თ. სალარიძე).
 5. ალგეთის ხეობის მეტყველებაში ნათესაობით ბრუნვაში მდგომი ხმოვანფუძიანი სახელები ზოგჯერ **-მს ჩიმს ჩიმჰ ჩჰჩიმ** ბოლოსართებს ან კიდევ იმავე ბრუნვის აფიქსისეულ ოდენ **-ი** ელემენტს დაირთავენ. მაგ.: კინტუა**მს**, სა**მს**წორი, ტოლი**მს**ტოლა, გუნდა**მჰ**ტოლა, ხბო**მს**თვინ, ლობიო**ჰ**თანა... (თ. სალარიძე).

6. ქართულში ფუძეთკვეცილი სახელები იშვიათად დაირთავენ ა სავრცობს: **ეზოსა, ეზოთა, ეზოთა, ეზოდა.**

7. უ-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებთან მრავლობითი რიცხვის **-ებ** ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს **-ეფ-ით. მაგ.: რუეფში, რუეფთან...**

კუმშვად-კვეციადი სახელები

სახ.	მოყვარე/ი	მოყვარე//მოყვრ-ებ-ი/0//მოყვარე-ნ-ი
მოთხ.	მოყვარე-მ/მა/მან	მოყვარე//მოყვრ-ებ-მა/მან
მიც.	მოყვარე-ს/სა/-ის/-ი	მოყვარე//მოყვრ-ებ-ს/სა
ნათ.	მოყვარე//მოყვრ-ის/ისა-ის-ი/ ის-ის-ა/-ის-ი	მოყვარე//მოყვრ-ებ-ის/ისა-ის-ი
მოქ.	მოყვარე//მოყვრ-ით/ითა-ით-ი //ით-ათ-ი	მოყვარე//მოყვრ-ებ-ით/ითა-ით-ი ით-ათ-ი
ვით.	მოყვარე//მოყვრ-ად/და-ათ/ათა- ა//და-ათ-ათა	მოყვარე//მოყვრ-ებ-ად/და-ათ/ათა- ათ-ათა
წოდ	მოყვარე -ვ /ო/0	მოყვარე//მოყვრ-ებ-ო//მოყვარე-ნ-ო

შენიშვნა: ქართულში ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება კუმშვად-კვეციადი და უკვეციელ-უკუმშველი ფორმები.

სახ.	სახელო/ი	სახელო//სახლ-ებ-ი/0//სახელო-ნ-ი
მოთხ.	სახელო-მ/მა/მან	სახელო//სახლ-ებ-მა/მან
მიც.	სახელო-ს/სა/-ის/-ი	სახელო//სახლ-ებ-ს/სა
ნათ.	სახელო-ს/სა-ის/ისა-ის-ი/ ის-ის-ა/-ის-ი	სახელო//სახლ-ებ-ის/ისა-ის-ი
მოქ.	სახელო-თ/თა-ით-ი//სახლ-ით/ითა- ით-ი	სახელო//სახლ-ებ-ით/ითა-ით-ი
ვით.	სახელო-და-ათ/ათა-ა//სახლ-და/და- ათ-ათა	სახელო//სახლ-ებ-და-და-ათ/ ათ-ათა
წოდ	სახელო-ვ/0	სახელო//სახლ-ებ-ო

შენიშვნა: ბრუნების თვალსაზრისით საინტერესო სიტყვაა „სახელო“, რომელიც კუმშვად-კვეციადფუძიან სიტყვებს მიეკუთვნება (ნათ. სახლის, მოქ. სახლით, მრ-ში — სახლები და ა.შ.) (ვ. თოფურია, აღ. ჯიშიაშვილი, არ. მარტიროსოვი). „სახელო“ ქართლის მეტყველებაში ხშირად დასტურდება შეუკუმშვად-უკვეციადი ფორმით (სახელოს, სახელოთ, სახელოდ...).

**საკუთარი სახელების ბრუნება
ადამიანის სახელების ბრუნება**

ადამიანის საკუთარ სახელებში გიორგი, აკაკი ფუძისეული -ი გა-
აზრებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად (მოთხრობითში: გიორგ-მა,
აკაკ-მა) (გრ. იმნაიშვილი, ბ. ჯორბენაძე).

სახ.	გიორგ-ი	მაყვალა-ი/ო
მოთხ.	გიორგი-მ//გიორგ-მა	მაყვალა-მ/მა
მიც.	გიორგი-ს	მაყვალა-ს
ნათ.	გიორგი-ს(ი)	მაყვალა-ს(ი)
მოქ.	გიორგი-თ(ი)	მაყვალა-თ (ი)
ვით.	გიორგი-დ	მაყვალა-დ
წოდ	გიორგი	მაყვალა//მაყვალ

გვარის ბრუნება

სახ.	ჭეჭელაშვილ-ი	ჭეჭელაშვილ-ებ-ი/ნ-ი
მოთხ.	ჭეჭელაშვილ-მა/მან	ჭეჭელაშვილ-ებ-მა/მან
მიც.	ჭეჭელაშვილ-ს/ს-ა	ჭეჭელაშვილ-ებ-ს/ს-ა
ნათ.	ჭეჭელაშვილ-ის/ის-ა/ის-ი	ჭეჭელაშვილ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	ჭეჭელაშვილ-ით/ით-ა/ით-ი	ჭეჭელაშვილ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	ჭეჭელაშვილ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა	ჭეჭელაშვილ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	ჭეჭელაშვილ-ო	ჭეჭელაშვილ-ებ-ო /ნ-ო

**მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება
თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი**

სახ.	შავ-ი ცხენ-ი	შავ-ი ცხენ-ებ-ი
მოთხ.	შავ-მა/-ი ცხენ-მა/მან	შავ-მა/-ი ცხენ-ებ-მა/მან
მიც.	შავ-ს/-ი ცხენ-ს/-ს-ა	შავ /-ს/-ი ცხენ-ებ-ს
ნათ.	შავ-ის/-ი ცხენ-ის/-ის-ა/-ის-ი	შავ -ის/-ი ცხენ-ებ-ის
მოქ.	შავ-ის/-ი ცხენ-ით/-ით-ა/-ით-ი	შავ-ის/-ი ცხენ-ებ-ით
ვით.	შავ-ს/-ი ცხენ-ად/-ად-ა /-ათ-ა	შავ/-ს/ი ცხენ-ებ-ად/-ათ
წოდ	შავ-ო/-ი ცხენ-ო	შავ-ო /-ი ცხენ-ებ-ო

სახ.	დიდ-ი ძმა-ი	დიდ-ი ძმ-ებ-ი
მოთხ.	დიდ-/-მა/-ი ძმა-მა/მან	დიდ-ი ძმ-ებ-მა/მან
მიც.	დიდ-/-ს/-ი ძმა-ს/ს-ა	დიდ-/-ს/-ი ძმ-ებ-ს

ნათ.	დიდ-ის/-ი ძმ-ის/ის-ა /ის-ი	დიდ-ის/-ი ძმ-ებ-ის
მოქ.	დიდ-ის/-ი ძმ-ით/ით-ა /ის-ი	დიდ-ის/-ი ძმ-ებ-ით
ვით.	დიდ/-ს/-ი ძმა-დ/დ-ა/-ათ-ა	დიდ/-ს/-ი ძმ-ებ-ად/ათ
წოდ	დიდ-ო/-ი ძმა-ო	დიდ/-ო/-ი ძმ-ებ-ო

- შენიშვნა:**
1. ატრიბუტული თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნებისას მიცემითი ფორმით ეხამება საზღვრულს მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში, ნათესაობითის ფორმით-ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (შავ-ს ცხენ-ს//ცხენ-ად, შავ-ის ცხენ-ის//ცხენ-ით) (ბ. ჯორბენაძე).
 2. წერაქვ-სიონურ და რეხულ თქმებში თანხმოვანზე ფუძე-დაბოლოებული მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი (გ. იმნაიშვილი).

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

სახ.	მოკლე ჯოხ-ი	მოკლე ჯოხ-ებ-ი
მოთხ.	მოკლე ჯოხ-მა/მან	მოკლე ჯოხ-ებ-მა/მან
მიც.	მოკლე ჯოხ-ს/ს-ა	მოკლე ჯოხ-ებ-ს//მოკლე ჯოხ-ებ-ს-ა
ნათ.	მოკლე ჯოხ-ის/ის-ა/ის-ი	მოკლე ჯოხ-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	მოკლე ჯოხ-ით/ით-ა/ით-ი	მოკლე ჯოხ-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	მოკლე ჯოხ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა	მოკლე ჯოხ-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	მოკლე ჯოხ-ო	მოკლე ჯოხ-ებ-ო

მართული მსაზღვრელი

სახ.	ლამ-ის/-ი მეხრე-ი/ო	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ი/ო
მოთხ.	ლამ-ის/-ი მეხრე-მ/მა/მან	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-მა/მან
მიც.	ლამ-ის/-ი მეხრე-ს/ს-ა	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ს/ს-ა
ნათ.	ლამ-ის/-ი მეხრე//მეხრ-ის/ის-ა /ის-ი	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ის/ის-ა /ის-ი
მოქ.	ლამ-ის/-ი მეხრე//მეხრ-ით/ით-ა/ით-ი	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ით/ით-ა/ით-ი
ვით.	ლამ-ის/-ი მეხრე-დ/დ-ა/თ/თ-ი	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ად/ად-ა/ათ/ათ-ა
წოდ	ლამ-ის/-ი მეხრე-ვ	ლამ-ის/-ი მეხრე-ებ-ო

სახ.	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე/ი	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ებ-ი/ო
მოთხ.	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-მ/მა/მან	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ებ-მა/მან
მიც.	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ს/ს-ა	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ებ-ს/ს-ა

ნათ.	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე/(მ)ხარ- ის/ის-ა/ის-ი	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ებ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ით// (მ)ხარ-ით/ით-ა//ით-ი	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ებ-ით/ით-ა /ით-ი
ვით.	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-დ/დ-ა/თ /თ-ა	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ებ-ად/ად-ა/ათ /ათ-ა
წოდ	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე/ვ	ლიახვ-ის/-ი (მ)ხარე-ებ-ო

შენიშვნა: 1. ქართლურში გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს მართულ მსაზღვრელთან ნათესაობითი ბრუნვის -ს თანხმობის დაკარგვის პროცესი. მაგ.: ლიახვი (მ) ხარე, სოფლი-თვალი...

2. შებრუნებული წყობისას მართული მსაზღვრელი ირთავს ემფატიკურ ხმოვანს და იმატებს სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანს. მაგ.: მაწონი კამეჩისაი (ატენი), კაკალი მაზლის ცოლისაი (ბერბუკი), ლექსები პაპიჩემისაი (დირბი) (აღ. ღლონტი).

სახელისა და გვარის ბრუნება

სახ.	იაკოვ ქარუმიძე	სანდრო თარაშვილ-ი
მოთხ.	იაკოვ ქარუმიძე-მ/მა/მან	სანდრო თარაშვილ-მა/მან
მიც.	იაკოვ ქარუმიძე-ს/ს-ა	სანდრო თარაშვილ-ს/ს-ა
ნათ.	იაკოვ ქარუმიძ-ის/ის-ა/ის-ი	სანდრო თარაშვილ-ის/ის-ა/ის-ი
მოქ.	იაკოვ ქარუმიძ-ით/ით-ა/ით-ი	სანდრო თარაშვილ-ით/ით-ა /ით-ი
ვით.	იაკოვ ქარუმიძე-დ/დ-ა/თ/თ-ა	სანდრო თარაშვილ-ად/ად-ა//ათ/ათ-ა
წოდ	იაკოვ ქარუმიძე-ვ/0	სანდრო თარაშვილ-ო

ზმნის უღლების პარადიგმები

ქართლური დიალექტის ნაირფეროვნობა ჩანს ზმნის თემის ნიშნების მიხედვითაც. მართალია, უნიფიკაციის ტენდენცია აქაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს (ძირითადად -ამ გვევლინება ყველგან), მაგრამ ცალკეულ მხარეებში განსხვავება მაინც საგრძნობია (გრ. იმნაიშვილი). ზოგჯერ ერთი პირის გაბმულ მეტყველებაში ერთი და იგივე სიტყვა ხან -ავ-ითაა წარმოდგენილი, ხან -ამ-ით (თ. სალარიძე).

მთელ ქართლურში წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ზოგჯერ -ევ-ი დაბოლოება გვევლინება -ე სუფიქსის ნაცვლად; მაგ.: ვიყიდევი, ვნახევი, ვიკითხევი, გავაკეთევი, ვისწავლევი... ხშირად იკარგება -ევ-

ი დაბოლოების ვ ელემენტი და გვრჩება -ე-ი. მაგ.: ავიწყვიტი, ჩამოვგლიჯე... (ვ. თოფურია, გრ. იმნაიშვილი). არავგისა და ქსნის ხეობის ქართლურში ამავე პოზიციაში შეიძლება მოგვევლინოს ან სალიტერატურო ენის ფორმები -ე დაბოლოებით (წავიღე, მოვიტანე...), ან კიდევ -ევ-ი (-ვი) მარცვალი (წავიღე-ვი, მოვიტანე-ვი (გრ. იმნაიშვილი, ვ.სომხიშვილი).

დასავლურ ქართლურში, იმერეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე სპორადულად გვაქვს ნამყო უსრულში (ე. ი. უწყვეტელში) -ავ-ამ → ევ//-ემ ცვლილების შემთხვევები: ხნავ-ს → ხნევ-დ-ა, თესამ-ს → თესემ-დ-ა... ეს მოვლენა სრულიად უცხოა ქართლურისათვის და იმ რეგიონშიც უპირატესად ისმის ქართლში დასახლებულ იმერელთა მეტყველებაში (ბ. ჯორბენაძე).

ქართლურში თავს იჩენს თემისნიშნიან წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია: წერ-ს-წერ-ავ-ს, გრეხ-ს — გრეხავ-ს // გრიხ-ავ-ს.. (ბ. ჯორბენაძე).

აღგეთის ხეობის ქართლურში რელატიურ ზმნებთან მეორე სუბიექტური პირში იხმარება იგივე ნიშნები, რაც მესამე ობიექტურ პირთან (დ, ძჰ, ან ძს, აგრეთვე აძს; პარალელურად შენახულია ჰ ან ს) (თ. სალარიძე).

პირველ და მეორე თურმეობითში ზოგჯერ ჩნდება -ნ. მაგ.: გაუტეხნია, უნახნია, უზიდნია, მოუპარნია, უომნია, დაუძახნია... (გრ. იმნაიშვილი).

გარდაუვალ ზმნებს -ოდ სუფიქსიანი წარმოების ნაცვლად თურმეობით მეორეში გამოყენებული აქვს მეშველი ზმნა „იყო“. მაგ.: ჰქო-ნიყო, ჩავარდნიყო, ნთებუიყო, ჰყოლიყო, გაჰყოლიყო... (ო. კახაძე).

**მოქმედებითი გვარის ზმნები
ერთეშიანი ზმნები**

I სერია		
აწმყო		
1.	ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან	ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან-თ
2.	წერ/-ავ/-ამ/-ან	წერ/-ავ/-ამ/-ან-თ
3.	წერ/-ავ/-ამ/-ან/-ს	წერ/-ავ/-ამ-ენ
უწყვეტელი		
1.	ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი	ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი-თ
2.	წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი	წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ი-თ
3.	წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ა	წერ/-ავ/-ამ/-ან/-დ-ენ-ენ

აწმუხოს კავშირებითი		
1.	ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ე	ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ე-თ
2.	წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ე	წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ე-თ
3.	წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ე-ს	წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ენ/ენ
მყოფადი		
1.	და-ვ/0-წერ /-ავ/-ამ/-ან	და-ვ/0-წერ /-ავ/-ამ/-ან-თ
2.	და-წერ/-ავ/-ამ /-ან	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-თ
3.	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-ს	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-ენ
ხოლმეობით-შედევობითი		
1.	და-ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან- დ-ი	და-ვ/0-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ი-თ
2.	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ი	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ი-თ
3.	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ა	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ენ/ენ
მყოფადის კავშირები		
1.	და-ვ/0-წერ-ავ/-ამ/-ან-დ-ე	და-ვ/0-წერ-ავ/-ამ/-ან-დ-ე-თ
2.	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ე	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ე-თ
3.	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ა	და-წერ/-ავ/-ამ/-ან-დ-ენ/ენ
II სერია		
წვეტილი		
1.	და-ვ/0-წერ-ე-(ვ)ი	და-ვ/0-წერ-ე-(ვ)ი-თ
2.	და-წერ-ე-(ვ)ი	და-წერ-ე-(ვ)ი-თ
3.	და-წერ-ა	და-წერ-ეს
II კავშირებითი		
1.	და-ვ/0-წერ-ო	და-ვ/0-წერ-ო-თ
2.	და-წერ-ო	და-წერ-ო-თ
3.	და-წერ-ო-ს	და-წერ-ო-ნ
III სერია		
I თურმეობითი		
1.	და-მ-ი-წერ-(ვ)-ი-ა	და-გვ-ი-წერ-(ვ)-ი-ა
2.	და-გ-ი-წერ-(ვ)-ი-ა	და-გ-ი-წერ-(ვ)-ი-ა-თ
3.	და-უ-წერ-(ვ)-ი-ა	და-უ-წერ-(ვ)-ი-ა-თ
II თურმეობითი		
1.	და-მ-ე-წერ-(ვ)-ა	და-გვ-ე-წერ-(ვ)-ა
2.	და-გ-ე-წერ-(ვ)-ა	და-გ-ე-წერ-(ვ) -ა-თ
3.	და-ე-წერ-(ვ)-ა	და-ე-წერ-(ვ)-ა-თ
III კავშირებითი		
1.	და-მ-ე-წერ-ო-ს	და-გვ-ე-წერ-ო-ს
2.	და-გ-ე-წერ-ო-ს	და-გ-ე-წერ-ო-თ
3.	და-ე-წერ-ო-ს	და-ე-წერ-ო-თ

შენიშვნა: 1. ქართულურში თვალში საცემია თემის ნიშნების გამოყენება იმ ზმნებთან, რომლებიც სალიტერატურო ენის მიხედვით თემის ნიშანს არ დაირთავენ. მაგ.: **ყიდის → ყიდავს// ყიდამს// ყიდანს, წერს → წერავს // წერამს, წერანს**

ფუძედრეკადი ზმნები

I სერია		
აწმყო		
